


ISSN 1512 4959



- ❖ HISTORICAL VERTICALS
- ❖ ВЕРТИКАЛЫ ИСТОРИИ
- ❖ GESCHICHTS VERTIKALEN
- ❖ LES VERTICAL ESHISTORIQUES
- ❖ VERTICALES DE LA HISTORIA
- ❖ TARIHIN DIKEY HATLARI

2024



# საისტორიო ვერტიკალები

- HISTORICAL VERTICALS
- ВЕРТИКАЛЫ ИСТОРИИ
- GESCHICHTS VERTIKALES
- LES VERTICALES HISTORIQUES
- VERTICALES DE LA HISTORIA
- TARIHIN DIKEY HATLARI

თბილისი    TBILISI    ТБИЛИСИ

*54*

*2024*

ამთავრობის მდიანობის მუშაობის შესახებ  
აქტიური როლი

ამთავრობის მდიანი

მთავარი რედაქტორი: იგორ კვესელავა

EDITOR IN CHIEF: IGOR KVESELAVA

პასუხისმგებელი რედაქტორი:

EXECUTIVE EDITOR:

ედისერ გვენეტაძე

EDISHER GVENETADZE

რედაქტორის მოადგილე: გურამ გვენეტაძე

DEPUTY EDITOR: GURAM GVENETADZE

რედაქტორის მოადგილე საზოგადოებასთან  
შეთიერთობისა და საორგანიზაციო  
საკითხებში: ნონა ცაბაძე

DEPUTY EDITOR FOR PUBLIC RELATIONS  
AND ORGANIZATIONAL AFFAIRS:  
NONA TSABADZE

საზღვარგარეთის ბიურო:

INTERNATIONAL AGENCY:

რუდიმერ ადრესენი (გერმანია)  
ჰიროტაკი მაედა (იაპონია)  
ჯუნჯი იტო (იაპონია)  
ფრანსუაზა ტომი (საფრანგეთი)  
ბადრი გოგია (საფრანგეთი)  
სტივენ ჯონსი (აშშ)  
დილავერ ჰალიტი (თურქეთი)  
ჰ. პ. ანგელოვა (ბულგარეთი)  
ა. მკრტიჩიანი (ესპანეთი)  
ტ. კოროტკი (უკრაინა)  
მ. პოლოვი (უკრაინა)

RUDIMER ADRESEN (GERMANY)  
HIROTAKI MAEDA (JAPAN)  
JUNJI ITTO (JAPAN)  
FRANSUAZA TOM (FRANCE)  
BADRI GOGIA (FRANCE)  
STEPHAN JONES (USA)  
DILAVER HALIT (TURKEY)  
H.P. ANGELOVA (BULGARIA)  
A. MKRTICHYAN (SPAIN)  
T. KOROTKYI (UKRAINE),  
M. POLOVYI (UKRAINE)

აჭარის ბიურო:

ADJARA AGENCY:

ავთანდილ დიასამიძე

AVTANDIL DIASAMIDZE

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი  
საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემია  
საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY  
Faculty of Law and International Relations  
Academy of Social Sciences of Georgia

The international referred and reviewed scientific journal of the Department  
of Policy and International Relations

---

---

**სარედაქციო კოლეგია:**

გ. აბესაძე, ნ. ბახსოლიანი, ჯ. გაბელია, კ.ზ. გამსახურდია, ჯ. გახოკიძე, ვ. გურგენიძე, ა. დიასამიძე, ზ. კვეტენაძე, თ. კიკნაძე, კ. კოპალიანი, ჰ. კუპრაშვილი, თ. ლომინაძე, ს. მიდელაშვილი, ა. სონღულაშვილი, ზ. სოფრომაძე, ა. ფუტყარაძე, ვ. შუბითიძე, ი. შურღაია, მ. ყიფიანი, დ. ჩუბინიძე, ა. ხევცურიანი, ივ. ჯაგოდნიშვილი, ე. ჯაფარიძე, ე. ჯიჯეიშვილი.

---

---

**EDITORIAL STAFF:**

G. Abesadze, B. Bakhsoliani, J. Gabelia, K. Z. Gamsakhurdia, J. Gakhokidze, V. Gurgenidze, A. Diasamidze, Z. Kvetenadze, T. Kiknadze, T. Lominadze, A. Khevtsuriani, K. Kopaliani, H. Kuprashvili, S. Midelashvili, V. Modebadze, A. Songulashvili, A. Putkaradze, V. Shubitidze, I. Shurghaia, Z. Sopromadze, M. Kipiani, D. Chubinidze, Iv. Jagodnishvili, E. Japharidze, K. Jjeishvili.

---

---

**ტექნიკური რედაქტორი** - ქეთი კვესელავა, სტეფანე აბრამიანი.

**შურნალის ბარეკანი შმასრულა** - ემირ ბურჯანაძემ.

**მეგობრა ეკუთვნის სახალხო მხატვარს** - კობა გურულს.

---

---

**ჟურნალი ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ.**

**გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**

**ჟურნალი დაარსდა ზვიად გამსახურდიას ინიციატივით**

**1991 წელს, აღდგა 2002 წელს**

**მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

**კოსტავას 77, კორპუსი VI, ოთახი 615<sup>ა</sup>**

**Editorial office address: GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

**Tbilisi, Kostava 77, block VI, room 615<sup>a</sup>**

---

---

**599 24 64 74; 592 39 05 85; 595 29 89 07**

**E-mail: [historicalverticals2002@gmail.com](mailto:historicalverticals2002@gmail.com)**

**საისტორიო ვერტიკალები**  
**HISTORICAL VERTICALS №54 ВЕРТИКАЛЫ ИСТОРИИ**

---

---

**შინაარსი – CONTENTS – СОДЕРЖАНИЕ**

**იუბილე – JUBILEE – ЮБИЛЕЙ**

---

**ღაპით ბურბენიკი – 60**

დიდ მამულიშვილთა, მეცნიერთა და პედაგოგთა ღირსეული მემკვიდრე. . . . . 7

**პოლიტიკა – POLICE – ПОЛИТИКА**

---

**იბორ კვესელავა**

მსოფლიო წესრიგის განზომილებები. . . . . 10

**იბორ კვესელავა**

კაპიტალიზმი პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ განზომილებაში . . . . . 23

**იბორ კვესელავა, ნონა ცაბაძე**

„ცივი ომის“ თეორიულ-პრაქტიკული გააზრებისთვის . . . . . 46

**ალუდა ლუღუშაური**

გლობალური და რეგიონალური აქტორების ინტერესები კავკასიაში და ყარაბაღის კონფლიქტი . . . . . 52

**ივანე კავლელაშვილი**

უსაფრთხოების გლობალური გამოწვევები და საქართველო. . . . . 67

**ლევან თევზაია**

რუსულ-უკრაინული კონფლიქტის გავლენა ევროპის უსაფრთხოების პოლიტიკაზე. . . . . 71

**ნატალია ხულორდავა**

საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი კიბერშეტევები . . . . . 75

**ნინო თავართქილაძე**

უკრაინის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ახალი რეალიები. . . . . 81

**ისტორია – HISTORY – ИСТОРИЯ**

---

**ელიშბერგ ბენეტიანი**

საერთაშორისო ურთიერთობები - „პერესტროიკა“ და გორბაჩოვის საერთოევროპული სახლის იდეა . . . . . 89

**ნომადი ბართაია**

დავით აღმაშენებლის უცნობი დამსახურების შესახებ ქართველი ერის წინაშე, რომელიც არანაკლებია დიდგორის გამარჯვებაზე. .... 98

**ავთანდილ ღიასამიძე**

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობა ოსმალეთის მიერ და საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობის დარღვევა XVI საუკუნეში ..... 107

**ედიშერ ჯაფარიძე**

ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობების განვითარების ისტორიიდან ..... 118

**ლომენტი ჩუბინიძე**

ედუარდ შევარდნაძის ნომრიანი „დისიდენტები“ და „ინტელიგენტები“ საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში ..... 122

**საერთაშორისო ურთიერთობები – INTERNATIONAL RELATIONS –**

**МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ**

**ALIA BIBILASHVILI**

Интеграция Молдовы в Евросоюз: проблемы и вызовы ..... 131

**AIVARAS BAGDONAS**

Missed opportunity to enter through the open door: dynamics of Lithuanian efforts to lobby Georgia’s NATO aspiration in the early 2020s. .... 140

**ბიორბი ხიფიჩივილი**

ევროკავშირის მიდგომები საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარების საკითხში. .... 154

**იულია ტყეშელაშვილი**

ევროკავშირის პოლიტიკურ-ეკონომიკური სტანდარტები და საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მოდერნიზაცია. .... 162

**ბიორბი კლიჩიაშვილი**

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის წარმოშობის პოლიტიკური ასპექტები. .... 168

**IOSEB JORJOLIANI**

The Roles of NATO and the EU in International Conflict Resolution: Analyses of the Kosovo and Georgia Cases ..... 172

**ბიორბი შიფია**

რელიგიური ექსტრემიზმი და ტერორიზმი აზერბაიჯანში ..... 176

**ალექსანდრე მამისაშვილი**

ტერორიზმი და ექსტრემიზმი, როგორც ევროპის სტაბილურობის საფრთხე ..... 185

---

**სოციალური მეცნიერებები – SOCIAL SCIENCES –**

**СОЦИАЛЬНЫЕ НАУКИ**

**მაია თაბაგარი**

კომუნიკაციის მეთოდები და ჟურნალისტის ქცევა საგანგებო სიტუაციის დროს  
(თურქეთში მომხდარი სტიქიის (06.02.23) მედიაგაშუქების ანალიზი). . . . . 192

**ნანა ბოკუჩავა**

ზნეობრივი განვითარების რელიგიური პარადიგმა. . . . . 203

**ელენე კურდღელია**

სოციალური მედიის როლი პოლიტიკაში (ქართული და უცხოური პრაქტიკა) . . . . . 217

**სოფიკო ბარამიძე**

ინოვაციების დანერგვისა და ორგანიზაციული ტრანსფორმაციის თავისებურებანი  
განათლების სისტემაში . . . . . 222

---

**სამართალი – LAW – ЮРИСПРУДЕНЦИЯ**

**აკაკი შარჭიანი**

უკრაინა-რუსეთის ომის გავლენა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე . . . . 227

**ნანა კანკავა**

გაერო და საქართველოს გაყინული კონფლიქტები. . . . . 233

---

**ფილოლოგია – PHILOLOGY – ФИЛОЛОГИЯ**

**ბურამ ბენეტიანი**

ქართული ენის სწავლებისათვის . . . . . 244

---

**თვალსაზრისი – POINT OF VIEW – СООБРАЖЕНИЯ**

**ეთერ თაკალანაძე**

დედამიწაზე ქრისტე-სიტყვის, იგივე, ქრისტეს მეორედ მოსვა-მოვლენის შესახებ. . . . . 248

---

**მეგობრება – MEMORY – ПАМЯТЬ**

**ლეილა ხონელიძე**

ნოტიო ლოლუა - განმანათლებელი, რომელიც ქალებს დამოუკიდებლად  
ცხოვრებას ასწავლიდა . . . . . 255



**დიდ მამულიშვილთა,  
მეცნიერთა და პედაგოგთა ღირსეული მემკვიდრე**

სიკეთე, უპირველესად ყოვლისა, ერისათვის სამსახური და კაცთათვის მაგალითია. სიყვარული – უანგარობასა და პირუთვნელობაში გამოხატული კეთილმოსურნე დამოკიდებულებაა სამშობლოსა და სამყაროს მიმართ. მშვენიერების გრძნობას მშობლიური მიწა-წყლის სილამაზე და ერის ზნეობრივ-კულტურული საგანძური აღვივებს. ყოველივე ამას ზიარებული კაცი – მამულიშვილია, პატრიოტია.

სწორედ ასეთია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი დავით გურგენიძე, რომელმაც ღირსეულად, კაცურად, ქართულად განვლო ამ სამყაროში მოვლინებიდან 60 წელი.

ბ-ნი დავითი მსახურობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალმომარაგების, წყალანირების, თბომომარაგებისა და შენობების საინჟინრო აღჭურვის დეპარტამენტის პროფესორად, მონიტორინგის დეპარტამენტის უფრო-



სად, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანად, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიური პოლიტიკის კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად. მისი ხელმძღვანელობით სტუ-ში გაკეთდა ევროსტანდარტების ბიბლიოთეკა, სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები. 2020 წელს აირჩიეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორად. 2023 წელს ასევე სათანადოდ დაფასდა მისი განსწავლულობა და შეტანილი წვლილი მეცნიერებაში. დავით გურგენიძე გახდა საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

ცოდნა რაა, თუ ის რწმენამდე არ მივიდა.

ნათქვამია: „ჭკვიანი მეხომალდე, არასდროს კარგი ამინდის მიხედვით არ აწყობს თავის გემსო“. ამიტომაცაა აკადემიკოსი დავით გურგენიძე თავისი ქცევით, ხასიათით და ქმედებებით, ნამდვილი მამულიშვილი. აი, ისეთი, რომელიც ყოველი დღის ბოლოს ქვეცნობიერში საკუთარ თავს ეკითხება – „აბა. დღეს მე ვის რა ვარგე“.

ინიციატივის გამოჩენა და ღირებული საქმეების კეთება შესაძლებელია მრავალი მიმართულებით, შესაბამისად კითხვაზე თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის ერთ-ერთი უმველესი სასწავლებლის პირველი პირი მასზედ უნივერსალური პასუხი არ არსებობს, ეს დამოკიდებულია არსებულ სიტუაციასა და ადამიანთა მზაობაზე. მიუხედავად ამისა, არსებობს უნარები, რომლებიც სჭირდება წარმატების მიღწევაში.

აღნიშნული თვალსაწიერიდან სტუ-ს რექტორისათვის უმნიშვნელოვანესია ადამიანთა ნდობის დამსახურება. ნდობა კი განსაზღვრება, როგორც ორი ელემენტის კომბინაცია: ხასიათის და კომპეტენციის. რომელიც უხვად აქვს მომადლებული ბატონ დავითს. ანუ ეს არის გზა, რომელიც მას აქვს არჩეული სამშობლოს მსახურებისათვის. ეს გზა კი აღიწერება სიტყვებით – „არა იმისთვის, რომ ემსახურონ, არამედ იმისთვის, რომ თავად ემსახუროს“.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს დავით გურგენიძის ერთ-ერთ განმასხვავებელ უნარს წარმოადგენს ძლიერი ემოციური ინტელექტი. მარტივად რომ ჩამოვაყალიბოთ, ემოციური ინტელექტი არის უნარი შეისწავლო და მართო როგორც საკუთარი, ასევე სხვისი ემოციები. საკუთარი უნარების შესწავლა და მართვა დაფუძნებულია წარსულ გამოცდილებაზე. ეს არის საკუთარ თავზე დაკვირვების ხელოვნება – როგორი რეაქცია გაქვს მოვლენებზე, რა შედეგები მოყვება სხვადასხვა ემოციების გამოვლინებას. სტუ-ს რექტორი თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, პირველ რიგში, საკუთარ თავს უსვამს კითხვებს და ყოველთვის ახსოვს, რომ მის უკან დგას მომავალი თაობა მისი უდიდებულესობა მოსწავლესახალგაზრდობა.

სხვათა ემოციების მართვის საწყის ეტაპზე, იგი წარმატებით ახერხებს სხვათა უარყოფითი ემოციების აღმოჩენას და შეჩერებას. ამისთვის ყურადღებას აქცევს მისი გუნდის წევრების მოტივაციას, ენას ჯგუფური მუშაობის დროს, ურთიერთობის ნორმებს, არ ერიდება თანაგრძნობის გამოხატვას და სხვების მიერ გაწეული შრომის სათანადოდ დაფასებას.

ვინაიდან ჩვენში ასე იყო ოდითგანვე – ქართველი კაცი, მით უმეტეს, ქართველი მეცნიერი, მოძღვარი, ხელმძღვანელი უპირველეს ყოვლისა იყო, არის და მომავალშიც იქნება თავის ერის, სამშობლოს მსახური. დღენიადაც იღწვის მხოლოდ სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე და არ ემსახურება სხვა ათასწაირ „ჭეშმარიტებას!“ უზენაესი ბრძანებს „მრავალნი არიან წვეულნი, ხოლო მცირენი რჩეულნი“ – ესაა, ამას ჰქვია ერისკაცობაც, რომელიც ყველაზე უძიმესი ტვირთია ამ ქვეყანაზე და რომლის ტარებაც ამ წუთისოფელში ღირსეულად მხოლოდ ისეთ გამორჩეულ კაცებს შეუძლიათ, როგორც ბ-ნი დავით გურგენიძე!


მოსმენისა და მოთმენის დიდი კულტურის მქონე, შეკითხვის, პასუხის, რჩევის და სიყვარულის დიდი ნიჭით დაჯილდოებული დავით გურგენიძე დიდი მოჭარბებით ფლობს დუმილის ხელოვნებასაც და ამიტომაც მისთვის პირველადი და მარადიულია:

- ქართული ტრადიციების დაცვა;
- ქრისტიანული მეუღლეობა, მამობა და ბაბუობა;
- წყენის დავიწყება;
- გულის მეხსიერებაში კოდირებული სახით მთელი ცხოვრების, გარეგანის და შინაგანის დანახვა;
- მიმტევებლობა, მპატიებლობა და შენდობა.

აკადემიკოს დავით გურგენიძის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხელმძღვანელად არჩევა დროში დაემთხვა საქართველოს ამ სახელოვანი სასწავლებლის დაარსებიდან, მის საუკუნოვან იუბილეს. რაც პატივცემული რექტორის ხელმძღვანელობით დიდებულად აღნიშნა ქვეყნის ამ უმნიშვნელოვანესმა ცოდნის კერამ და დასახა ისეთი რეალური პერსპექტივები, რომლებიც უდავოდ სჭირდება და დიდად წაადგება ახლადფეხადგმულ, დამოუკიდებლობის გზაზე მყარად შემდგარ სახელმწიფოს მშენებლობას.

ამიტომაც, სადაც არ უნდა ყოფილიყო და არის დავით გურგენიძე მისი მსახურების მთავარი ობიექტი იყო და არის საქართველო!

*ჟურნალ „საისტორიო ვერტიკალები“-ს  
სარედაქციო კოლექტივი*

 იგორ კვესელავა

სტუ, პროფესორი

## მსოფლიო წესრიგის განზომილებები

ნაშრომში განხილულია მსოფლიოს ძველი და ახალი წესრიგის განზომილებები, ერთ-პოლუსიანი, ორპოლუსიანი და მრავალპოლუსიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სისტემები, „მსოფლიო წესრიგის“ თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, პრობლემასთან დაკავშირებული თეორიები (დ. ჰიუმი, ჰ. კისინჯერი, ფ. ფუკუიამა, ბ. გეიტსი, ჯ. სოროსი, ს. ჰანთინგტონი, ა. გორი, ჰ. ბული, გროციუსი, ჯ. გარტენი, ქ. უოლცი, რ. ტაგველი, ჯ. ქენანი და სხვ.).

**საკვანძო სიტყვები:** მსოფლიო წესრიგი, ახალი მსოფლიო წესრიგი, ერთპოლუსიანი, ორპოლუსიანი და მრავალპოლუსიანი წესრიგები, „ცივი ომი“, აშშ, ევროპა, რუსეთი, გლობალიზაცია, საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკა, ლიბერალიზმი, ლიბერალური დემოკრატია, იდეოლოგია, საბჭოთა კავშირი, ლიბერალური სისტემა, „ველური კაპიტალიზმი“, „შეკავების დოქტრინა“.

საერთოდ, პოლიტიკა მრავალი პოლუსით განისაზღვრება. 1742 წელს ინგლისელმა ფილოსოფოსმა, დევიდ ჰიუმმა ძალთა ბალანსის სისტემას მიუძღვნა პოლიტიკური ხასიათის ესე, ხოლო 1758 წელს ნაშრომში „ხალხთა უფლებები“ შვეიცარიელმა დიპლომატმა ემერიხ ვატელმა ბალანსის პრინციპი განსაზღვრა, როგორც „საქმის ვითარება, როდესაც, არცერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მოიპოვოს ისეთი უპირატესობა, რომ სხვებზე მბრძანებლობდეს“.

ძლიერი სახელმწიფოები ბალანსის სტრატეგიის გამოყენებით ცდილობდნენ შეეკავებინათ ძლიერი, პოტენციური, მოწინააღმდეგე ქვეყნები. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი წლების განმავლობაში ცდილობდა ევროპის სახელმწიფოებისათვის დაბრკოლება შეექმნა ჰეგემონ ქვეყნებად ჩამოყალიბებულიყვნენ, რადგან ეს გამოიწვევდა ინგლისის საზღვაო კომუნიკაციების შევიწროებას და ევროპის სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაში შეუშლიდა ხელს.

საფრანგეთი, პრუსია, ავსტრია და რუსეთი XVIII საუკუნიდან, რეგულარულად ცდილობდნენ ანალოგიური სტრატეგიული მიზნების განხორციელებას, თუმცა იმ პერიოდში ნაპოლეონის გარდა, 250 წელზე მეტი

ხნის მანძილზე, ვერავინ შეძლო კონტინენტზე ჰეგემონიის დამყარება.

აღნიშნულმა ქვეყნებმა ერთიანად დაადგინეს თამაშის წესები – როდის უნდა გაეწიათ ერთმანეთისათვის კონკურენცია და როდის შებრძოლებოდნენ საერთო მტერს. ისინი აკონტროლებდნენ გლობალურ ეკონომიკას კლასიკური – ცენტრი-პერიფერიის განზომილებით. მულტიპოლარული ევროპული სისტემის უპირატესობა ისიც იყო, რომ მისი ყველა წევრი იზიარებდა საერთო ღირებულებებს. დიდი ბრიტანეთი მოქმედებდა, როგორც წონასწორობის დამცველი. ევროპული სისტემა მუშაობდა, ვინაიდან მიზნები და საშუალებები შეზღუდული, ხოლო ალიანსები მოქნილი იყო.

თანამედროვე კაცობრიობის ოცსაუკუნოვან ისტორიაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სამხედრო და სხვა მოვლენებით ყველაზე დატვირთული მე-20 საუკუნე აღმოჩნდა, რომელმაც შვა კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემები, მცირე და დიდი კონფლიქტები და ომები, ფაშისტურ-ნაცისტური, კომუნისტური, დიქტატორული და დემოკრატიული სახელმწიფოები, პირველი და მეორე მსოფლიო ომები, ორპოლუსიანი და

**მრავალპოლუსიანი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სივრცეები და მსოფლიო, რეგიონალური და სამხარეო წესრიგები.**

ამ პერიოდში მოხდა ორპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაც (სსრ კავშირი – აშშ) და საბჭოეთის დაშლის შემდეგ მოკლევადიანი (1991-2001 წწ.), ერთპოლუსიანი ამერიკული წესრიგის განვრცობის მცდელობაც.

ახალ საუკუნეში კი ჩამოყალიბდა მრავალპოლუსიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო განზომილებები, რომელიც შეიძლება მოვიაზროთ აღმოსავლურ და დასავლურ სამყაროდ, მაგრამ მათი მოქცევა ერთიანი წესრიგის სივრცეში შეუძლებელია პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური და სამხედრო მოცემულობების მკვეთრად განსხვავებულობის გამო.

შესაბამისად, მათ შეიძლება ეწოდოს აღმოსავლური და დასავლური ორპოლუსიანი სამყარო, თავისი ზესახელმწიფოებით, განსხვავებული ინტერესებით, მიზნებით და ამოცანებით.

მკვლევარები (ჰ. კისინჯერი) მიიჩნევენ, რომ „ცივი ომის“ სასახლეს ბოლო ლურსმანი დააჭედა პრეზიდენტმა რეიგანმა და შეძლო საბჭოთა კავშირის „უომრად“ დამარცხება და დაასრულა „ცივი ომი“.

კისინჯერი განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას პრეზიდენტის გამონათქვამზე „ბოროტების იმპერია“, რომლის დამარცხება პირდაპირ უკავშირდებოდა ერთპოლუსიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბებას ანუ მსოფლიო წესრიგის თეორიის პრაქტიკულად განხორციელებას.

ერნს-ოტო ჩემპილის მიერ 2003 წელს გამოცემულ წიგნში „მსოფლიო პოლიტიკა გარდატეხის პროცესში“ განიმარტებოდა, რომ „ცივი ომის“ პოლიტიკური ზემოქმედება უფრო მეტი იყო გლობალურ მსოფლიოზე, ვიდრე თავად მეორე მსოფლიო ომი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკული და საბჭოური „წესრიგები“ შეიცვალა ერთი „მსოფლიო წესრიგით“, თუმცა ის ხანმოკლე აღმოჩნდა და ამჟამად მსოფლიო იმყოფება მრავალპოლუსიანი წესრი-

გის ფაზაში ანუ მსოფლიოში კვლავ აქტიურად ამოდრავდა „ცივი ომის“ დილემები.

აზიურ სივრცეში გამოცოცხლდნენ ჩინეთი და ინდოეთი, ხოლო სლავურ სამყაროში – რუსეთი და ბელარუსი. გამძაფრდა კონკურენცია „ახლო აღმოსავლეთის“ და „სამხრეთ კავკასიის“ რეგიონში.

მთლიანობაში 21-ე საუკუნის ოცწლეულში მსოფლიოში ჩამოყალიბდებოდნენ მრავალპოლუსიანი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო რელიგიური სისტემები, რომლებიც შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

1. **ანგლოსაქსური** – აშშ, დიდი ბრიტანეთი;
2. **რუსულ-სლავური** – რუსეთი ბელარუსი;
3. **ევროპული** – ევროკავშირის ქვეყნები;
4. **მუსულმანური** – თურქეთი, ირანი, ახლო აღმოსავლეთი, შუა აზია;
5. **ჩინურ-ინდური**;
6. **შერეული და უწესრიგო ძალის ქვეყნები** – დანარჩენი აზია, აფრიკა, სამხრეთ ამერიკა და ა.შ.

მსოფლიო კაპიტალიზმი სხვადასხვა მნიშვნელობით, ფორმით, მეთოდითა და შინაარსით განიხილება მსოფლიოს დიდი თუ მცირე ქვეყნების, გაეროს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო სტრუქტურების ცალკეული პოლიტიკოსების, მეცნიერების, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების და სხვების მიერ.

„მსოფლიო წესრიგის“ შექმნის პრეტენციები, თავის დროზე, ჰქონდათ გერმანიას, სსრ კავშირს და აშშ-ს, რაც დაკავშირებული იყო ადგილობრივ, სამხარეო, რეგიონალურ და მსოფლიო ომებთან (აღმოსავლეთ ევროპა, ცენტრალური აზია, ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთ კავკასია, აშშ-რუსეთის ომის უკრაინისთვის და ა.შ.).

სწორედ ასეთ რეალობებზე აკეთებდა აქცენტებს ჰ. კისინჯერი თავის კვლევებში, საჯარო გამოსვლებში, დისკუსიებში და ა.შ., როდესაც ეხებოდა „მსოფლიო წესრიგის“, თეორიულ და პრაქტიკულ განზომილებებს.

ზოგადად, „მსოფლიო წესრიგის“ და კონკრეტულად კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ისტორიული ბედის შესახებ მსჯელობა მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში და-

იწყო და აქტიურად განიხილებოდა პოლიტიკოსების, ისტორიკოსების, ეკონომისტების, ფილოსოფოსების, პუბლიცისტების და სხვათა მიერ. მათ შორის აღსანიშნავია: **ზ. ზეზინსკი, ჰ. კისინჯერი, ფ. ფუკუიამა, ჯ. სოროსი, ბ. გეიტსი, ჰ. დრიუკერი, ვ. პინჩუკი, ა. ლაგარდი, ა. კატელისი, ა. გორი, ე. ვალლერსტაინი, ს. ჰანთინგტონი, დ. ბელი, რ. არონი, ე. ტოფლერი, დ. რუბენშტეინი, ნ. ორნშტეინი, ტ. ვაიგელი, ვ. ინოზემცევი, ი. ფრანგიშვილი, გ. მალაშხია, ნ. ჭითანავა, ი. კვესელავა, ზ. კვეტენაძე, ე. გვენეტაძე, ა. ფრანგიშვილი, ო. ნამიჩიშვილი, ვ. მაისაია, ვ. მოდებაძე, ვ. შუბითიძე** და სხვები.

რაც უფრო ვითარდებოდა მსოფლიო ცივილიზაცია, მით უფრო უმართავი ხდებოდა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო, კულტურული და სხვა პროცესები და პლანეტის მოსახლეობის ერთი ნაწილისთვის „წესრიგი“ „უწესრიგობად“ აღიქმებოდა და ქცევისა და კულტურის ახალი პოლიტიკის დამკვიდრებას ცდილობდა.

მეორე ნაწილში სწრაფად იკვეთებოდა კონსერვატორულ ძალთა აღორძინება, აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების ურთიერთკავშირი და აქ ერთიან წესრიგზე მსჯელობა გამორიცხული იყო. სხვა ნაწილისთვის დემოკრატია მიზნის მიღწევის საშუალებად იქცა და წინ წამოიწია ფორმულა: „**მიზანი ამართლებს საშუალებას**“.

**მსოფლიოში ჩამოყალიბდა აღმოსავლური და დასავლური დემოკრატიები, რომლებიც გამომდინარეობდა ხალხებისა და ქვეყნების ტრადიციებიდან, პოლიტიკიდან, კულტურიდან, ეკონომიკიდან და ა.შ. ანუ მსოფლიოში არ არსებობდა ერთიანი დემოკრატიის ცნება, ისინი ვარიანტული იყო ყველა ქვეყანაში და გადაკეთებას არ ექვემდებარებოდა.**

საბჭოთა კავშირს „მშვიდობის დამყარების“ ლოზუნგით სურდა მსოფლიო ერთპოლუსიანი გაეხადა, ამერიკის შეერთებული შტატები კი ცდილობდა, ამერიკული დემოკრატიის განვრცობის გზით, გამხდარიყო ლიდერი სახელმწიფო მსოფლიოში. შესაბამისად, იმ პერიოდის ოპოზიციონარ

მსოფლიოში შეუძლებელი იყო ერთიანობის მიღწევა.

ცხადია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ-ის მიერ მოკლე ხნით შექმნილი ერთპოლუსიანი სისტემა არ იყო ერთ საკაცობრიო მაგისტრალად გაერთიანების გარანტი, მით უმეტეს, ერთპოლუსიანი მსოფლიოს შექმნის ამერიკულმა მოდელმა უფრო დააჩქარა მრავალპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის შექმნა.

„**მსოფლიო წესრიგის**“ ოპოლუსიანი სისტემისთვის დამახასიათებელი იყო ე.წ. „**ცივი ომები**“, რომლებიც წარმოიშობოდა მშვიდობიანობის დროს, მოქმედებდა „**რბილი ძალის**“ გამოყენებით და როდესაც პოლიტიკა და დიპლომატია ვერ წყვეტდა წამოჭრილ პრობლემებს, მოქმედებას იწყებდა მსოფლიო, რეგიონალური და ადგილობრივი სამხედრო დაპირისპირებები.

„მსოფლიო წესრიგები“ ისტორიული და პოლიტიკური გამოცდილების ნაწილია, რომელიც კარგადაა დასაბუთებული ჰედლის ბულის თეორიულ ნაშრომში „არსებობს თუ არა წესრიგი მსოფლიო პოლიტიკაში“.

ამ საკითხზე მსჯელობდა მაკიაველიც, რომელიც ფიქრობდა, რომ სახელმწიფო საგარეო პოლიტიკა ხორციელდებოდა ზნეობისა და სამართლის ვაკუუმში, ხოლო კანტისეული ანუ უნივერსალური ხედვით, არსებობდა ზნეობრივი იმპერატივები, რომლებიც ზღუდავდნენ სახელმწიფოთა მოქმედებებს და ისინი მიმართული იყო არა სახელმწიფოთა თანაარსებობისა და თანამშრომლობისკენ, არამედ სახელმწიფოთა სისტემების გაუქმებისა და კოსმოპოლიტიკური საზოგადოებით მისი შეცვლისაკენ.

**გროციუსი** საერთაშორისო პოლიტიკას სახელმწიფოთა საზოგადოების ანუ საერთაშორისო საზოგადოების ასპექტში აღწერდა, ხოლო მისი მიმდევრები თვლიდნენ, რომ სახელმწიფოები ბრძოლაში კი არ იყვნენ ჩართულნი, როგორც გლადიატორები არენაზე, არამედ ერთმანეთთან კონფლიქტში იზღუდებოდნენ საერთო წესებით და ინსტიტუტებით.

შეცვლილმა საერთაშორისო ვითარებამ ახალი რეალობის გააზრების საჭიროება წარმოშვა. შესაბამისად, დაიწყო აქტიური

პოლიტიკური და სამეცნიერო დისკურსი, რომელიც მეცნიერულად და პოლიტიკურად აფასებდა ძველსა და ახალ მსოფლიო პოლიტიკურ წესრიგს და მსოფლიო პოლიტიკის განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობდა.

მსოფლიო წესრიგის ორი განზომილების – ერთპოლუსიანი და ორპოლუსიანი მსოფლიოს შედარებითი ანალიზის დროს მეცნიერთა უმეტესობა, განსაკუთრებით კი, რეალისტური სკოლის წარმომადგენლები თანხმდებოდნენ, რომ ორპოლუსიანი სისტემა გადაუვალი ურთიერთგანადგურებიდან გამომდინარე უფრო დაბალანსებული და სტაბილური იყო.

ამერიკელი მეცნიერი კონ მერშაიმერი სტატიაში „რატომ მოგვენატრა ცივი ომი?“ საინტერესოდ მსჯელობდა ძალთა ბალანსის თავისებურებებზე ცივი ომის შემდეგ და ამტკიცებდა, რომ ბიპოლარულ სისტემაში აგრესიისა და კონფლიქტის საფრთხე ნაკლები იყო და ადამიანები ომისაგან ყველაზე მეტად დაცვულები სწორედ ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის დროს იყვნენ, რადგანაც ამ დროს არსებობდა საერთო თამაშის წესები და ამიტომაც მოვლენებისადმი რაციონალური მიდგომა იყო შესაძლებელი, რაც მულტიპოლარული სისტემის პირობებში გამოირიგებული იყო, რადგან მულტიპოლარულ სისტემაში ბალანსი არ არსებობდა, ახალი აქტორები კი ჯერ კიდევ თვითდამკვიდრების პროცესში იყვნენ, ამიტომ სისტემაში ქაოტურობა შემოჰქონდათ და ერთადერთი, რასაც მშვიდობის შენარჩუნება შეეძლო, იყო ატომური იარაღი და მხოლოდ ის შეიძლება გამხდარიყო მშვიდობის განმაპირობებელი ძალა.

„ახალი მსოფლიო წესრიგის“ იდეას მხარდაჭერა ჰქონდა დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობის მიერ (ტონი ბლერი), რომელიც აცხადებდა, რომ ვინმეს მოწონების მიუხედავად, არსებობდა „ახალი მსოფლიო წესრიგი“. ამავე პოზიციაზე იდგა 2008 წლის მაისში ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნიც.

„მსოფლიო წესრიგის“ იდეოლოგიის მხარდამჭერები იყვნენ გლობალური ინსტიტუტები – მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, აშშ, გაერო, ტრანს-

ნაციონალური კორპორაციები, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი – ნატო და სხვ.

2008-2009 წლებში დასავლეთში „ახალი მსოფლიო წესრიგის“ გვერდით გაჩნდა ახალი ცნება – „ახალი გლობალური სავალუტო ძალაუფლება“, რომლის ავსტორის, პროფესორ ჯეფრი გარტენის აზრით, უნდა მომხდარიყო პრაქტიკულად უპრეცედენტო ფინანსურ-ეკონომიკური ძალაუფლების მქონე გლობალური საბანკო ორგანიზაციის საბჭოს შექმნა, რომელშიც შევიდოდნენ აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ევროპის, იაპონიის, ჩინეთის, საუდის არაბეთისა და ბრაზილიის წარმომადგენლები.

ამ კონტექსტში საყურადღებო იყო ჯერ კიდევ 1993 წელს გამოცემული ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, ჰარვარდის უნივერსიტეტის ცენტრის დირექტორის სამუელ ჰანტინგტონის ნაშრომი „ცივილიზაციათა შეჯახება“, რომელსაც მოჰყვა სხვა ნაშრომები: „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის შეცვლა“, „თუ არა ცივილიზაციები, მაშ რა?“, „ცივი ომის შემდგომი მსოფლიო პარადიგმა“ და სხვ. ავტორის კონცეფციით, „ცივი ომის“ დამთავრებასთან ერთად დასრულდა საერთაშორისო პოლიტიკის განვითარების დასავლური ფაზა, წინ წამოიწია ურთიერთობები დასავლურ და არადასავლურ ცივილიზაციებს შორის და იდეოლოგიის „რკინის ფარდა“ კულტურის „ხავერდის ფარდამ“ შეცვალა.

„მსოფლიო წესრიგი“ ყოველთვის არ იყო მთლიანად დამოკიდებული დიდი ქვეყნის თუ მათი ბლოკების ეკონომიკურ და სამხედრო სიძლიერეზე, მით უმეტეს, ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ მძლავრი ინფორმაციული ტექნოლოგიების მქონე ქვეყნები; კიბერსივრცულმა წესრიგმა“ მოიცვა პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ა.შ. დარგები თუ სფეროები.

ამ მხრივ უდიდეს შესაძლებლობებს ავლენდნენ აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ჩინეთის, ინდოეთის, იაპონიის, ისრაელის, გერმანიის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნები და ბევრ შემთხვევაში, მეორეხარისხოვანი

გახდა გეოგრაფიული მახასიათებლები, დემოკრატიული თუ დიქტატორული რეჟიმები.

მიუხედავად ამისა, მსოფლიომ ვერ მოიხსნა გლობალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, იდეოლოგიური და სხვა სახის კონტროლის ბორკილები; ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა თურქეთმა, რომელიც ძლიერი რეგიონალური ზესახელმწიფო გახდა და დიდი „პოლიტიკური სიღრმე“ გამოავლინა მსოფლიო ქვეყნების და მათ შორის აშშ-ის მიმართ. დაახლოებით მსგავს სტრატეგიას ახორციელებდა აზერბაიჯანიც.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან მხოლოდ აზერბაიჯანმა შეძლო „მედროშის ტვირთი“ აეზიდა, შეენარჩუნებინა სუვერენიტეტი და აღდგინა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ყარაბაღთან წარმოებული ომის შედეგად.

თურქულ-აზერბაიჯანული დიპლომატიური მოქნილობა გამოიკვეთა რუსეთთან მიმართებაში, „პანთურქიზმის კონცეფციის მხარდაჭერაში და „თურქი რასისა“ და „თურქი ერის“ პოლიტიკურ იდეოლოგიაში. მით უმეტეს, ამ დროისათვის, ამერიკის შეერთებულ შტატებში შემუშავებული ჰქონდათ პოლიტიკური ტერმინი „არამზადა სახელმწიფოები“, რომლებშიც იგულისხმებოდა დიქტატორული მმართველობის მქონე ქვეყნები, რომელთა დამოკიდებულება სხვა სახელმწიფოთა მიმართ აგრესიული იყო, ისინი საფრთხეს უქმნიდნენ მსოფლიოში სტაბილურობის შენარჩუნებას, რაც იწვევდა საერთაშორისო ურთიერთობების დარღვევას.

ამერიკელები გამოყოფდნენ თანამედროვე „არამზადა სახელმწიფოებს“, რომელთა შორის იყო: **კუბა, ირანი, სომალი, სუდანი, სირია, ხოლო ყოფილებად მოიხსენიებოდა: ლიბანი, პალესტინა („ჰამასი“), ერაყი და ავღანეთი.**

აშშ-ის „ერთპოლუსიან“ სახელმწიფოდ გადაქცევა დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების კონსესუსით უნდა განეხორციელებინათ, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო-კულტურული ჰეგემონიით ანუ „ამერიკული ცხოვრების წესის – „ამერიკული ოცნების“ დამკვიდრებით.

უდავოა, აშშ-ის ჰეგემონიის დაწყება საბჭოეთის დაშლამ განაპირობა, თუმცა შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა ეჭვქვეშ დააყენა „ლიბერალური დემოკრატიის“ კეთილდღეობისა და ეკონომიკური სიძლიერის ერთადერთობის ფორმულა.

აღსანიშნავია, რომ „მსოფლიო წესრიგის“ კრიტიკა 90-იანი წლებიდან დაიწყო პოლიტიკურ და მეცნიერულ ლიტერატურაში და პრესაში; მაგალითად, ქენეთ ვოლცი თავის ერთ-ერთ ცნობილ ნაშრომში „სტრუქტურული რეალიზმი“ აკრიტიკებდა უნიპოლარულ სისტემას და აშშ-ს უწინასწარმეტყველებდა გამოფიტვას მისი ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სამხედრო უპირატესობებისა და დიდი დემოგრაფიული რესურსების მიუხედავად, ვინაიდან იმ ამოცანებისათვის, რასაც აშშ იყო შეჭიდებული, მას ძალები არ ეყოფოდა. უოლცის აზრს იზიარებდნენ ცნობილი მეცნიერები, პოლიტიკის ანალიტიკოსები და ექსპერტები: **ჰანს კომლერი, ან-მარი სლოუთერი** და სხვ.

თვითონ ტერმინის – „ახალი მსოფლიო წესრიგი“ – მიმართ გამოაშკარავდა იმედგაცრუება და ის, როგორც ფრაზა საკმაოდ ხნის მანძილზე კლინტონის პრეზიდენტობამდე, საერთოდ იქნა ამოღებული ხმარებიდან და მისი ჩანაცვლება მოხდა ადეკვატური, საკამათო თუ მრავალმნიშვნელოვანი ტერმინებით: „გლობალიზაციის ხანა“ და „უნიპოლარული მსოფლიო“.

**შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის გამარჯვების შემდეგ აქტიურად განიხილებოდა იდეა მსოფლიო ჟანდარმის ფუნქციაზე უარის თქმის შესახებ, რაც არჩევნებში მისი გამარჯვების ერთ-ერთი მიზეზიც იყო.** ასევე გამოითქმებოდა მოსაზრება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რეფორმირების, ევროპული სახელმწიფოებისაგან აღებული ფინანსური ვალდებულებების შესრულების, ევროკავშირის ცალკე დამოუკიდებელ ძალის ცენტრად ჩამოყალიბების და სხვა საკითხებზე.

ცხადია, ასეთ ვითარებაში ჩნდებოდა კითხვებიც, რატომ უნდა გამოეყო აშშ-ს ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოებისათვის საკუთარი რესურსები? მით უმეტეს, განსხვავდებოდა ევროპის ქვეყნებისა და

აშშ-ის პოზიციები ირანის წინააღმდეგ სანქციების შესახებ და ა.შ.

საგულისხმოა, რომ ტრამპის მოსაზრებები მთლიანად ჯდება ლოგიკის ჩარჩოში, რატომ უნდა დაეცვა სახელმწიფოთა გაერთიანება, რომელიც ეკონომიკური კუთხით ვაშინგტონის პოტენციური კონკურენტი იყო და თავს უფლებას ამღებდა მის წინააღმდეგ წასულიყო; თუმცა აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებები არ ნიშნავდა, ნატოს ალიანსის უახლოეს პერიოდში დაშლას ან სტრატეგიული პოზიციების დათმობას ევროპის კონტინენტზე.

დემოკრატიულ და რესპუბლიკურ პარტიებს აშშ-ის უძლიერესი ზესახელმწიფოს მომავლის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ, ამიტომ არსებობდა საშიშროება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის გახლეჩვაზე, მით უმეტეს, პრობლემატური ხდებოდა ამერიკული ჰეგემონიის მსოფლიო საყოველთაობა და უალტერნატივობა.

ბიპოლარული მსოფლიოს უპირატესობაზე მსჯელობისას **კონ ჰოპკინსის** ცენტრის პროფესორი **მაიკლ მანდელზაუმი**, „ცივი ომს“ ადარებდა სუმოს, სადაც ორი გიგანტი ერკინებოდა ერთმანეთს: ისინი ამ შერკინებაში მხოლოდ პოზირებით და ფეხის ბაკუნით შემოიფარგლებოდნენ, მათ შორის მცირე კონტაქტი იყო და ხელისკვრითა და რინგიდან გაყვანით არავინ კვდებოდა.

„ცივი ომის“ დროს ბიპოლარული სისტემის არსებობისას, ცენტრების უდიდესი ატომური შეიარაღების მიუხედავად ადგილი არ ჰქონდა მის გამოყენებას ან ფართომასშტაბიან ომს, რომელსაც მესამე მსოფლიო ომის გამოწვევა შეეძლო, პასუხისმგებლობაც მსოფლიოში არსებულ გამოწვევებზე – რეგიონალურ კონფლიქტებზე, ქვეყნის შიგნით არსებულ დაპირისპირებებზე, მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება-გაუფრცვლებლობასა თუ სხვა პრობლემებზე ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის განაწილებული იყო.

განსაკუთრებით მაღალი ხარისხის იყო ეს პასუხისმგებლობა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც ბიპოლარულმა მსოფლიო წესრიგმა გამოკვეთილი **ბილატერალიზმის** დასრულებული ნიშნები შეიძინა, რადგანაც სიმძიმის ამ ორ ცენტრს შორის

ურთიერთქმედებები ზედმიწევნით მოიცავდა მხოლოდ შეთანხმებებსა და მოლაპარაკებებს, სტრუქტურირებულს საერთაშორისო ინსტიტუტების, ალიანსებისა და კოალიციების მიერ.

ბილატერალიზმის კლასიკური მაგალითები იყო 1972 წელს აშშ-ისა და სსრკ-ის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები „ურთიერთობათა ძირითადი პრინციპების შესახებ“, სადაც მკაფიოდ ესმებოდა ხაზი ამერიკულ-საბჭოური დეტანტის (Detante – სიტყვასიტყვით „დამაბულობის განმუხტვა“) არსებობას, რომლის მოხსნაზე სსრკ და აშშ თანხმდებოდნენ, თუმცა წარმოუდგენელი იყო იმდროინდელი საბჭოეთისა და შეერთებული შტატების და შემდგომი პერიოდის ამერიკა-რუსეთის პოზიციური ურთიერთობების ხანგრძლივი პერიოდით არსებობა.

ამავე პერიოდში ამერიკელი მეცნიერისა და დიპლომატის **ჯორჯ ქენანის** მიერ შემუშავდა ე.წ. **„შეკავების დოქტრინა“**, რომლის მთავარი დანიშნულება იყო კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოებში არსებული ოპოზიციური ძალების მხარდაჭერა და ბრძოლა კომუნისტური საშიშროების წინააღმდეგ.

„შეკავების დოქტრინა“ უფრო კონცენტრირებული სახით განსახიერდა ცნობილ **„ტრუმენის დოქტრინასა“** და **„მარშალის გეგმაში“**, სხვათა შორის აშშ-ის კონგრესის მიერ 1947 წელს მიღებულმა ამ „დოქტრინამ“ მხარი დაუჭირა ეკონომიკურად საბერძენთსა და თურქეთს და მათი სახით შეიძინა სტრატეგიული მოკავშირეები და შექმნა მნიშვნელოვანი წინაპირობა წინ აღდგომოდა საბჭოეთის მოსალოდნელ ექსპანსიას ახლო აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში.

**პარალელურად, მეორე მსოფლიო ომის შედეგად ეკონომიკურად გაძლიერებულმა ამერიკამ წარმოადგინა ევროპის ეკონომიკური აღორძინების გეგმა, რომელსაც შემდგომში „მარშალის გეგმა“ ეწოდა. ამ გეგმის ფარგლებში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა 1948-1952 წლებში 17 მილიარდი აშშ დოლარის დახმარება მიიღეს, რასაც ევროპის ეკონომიკური აღმავლობა მოჰყვა.**



ევროპის ფარგლებში ეკონომიკურმა თანამშრომლობამ დღის წესრიგში დააყენა ევროპული თავდაცვითი ორგანიზაციის შექმნა, რომლის იდეა პირველად გაახმოვანა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერნესტ ბევინმა 1948 წლის იანვარში, თემთა პალატაში გამოსვლის დროს, როდესაც წამოაყენა წინადადება დასავლეთის ქვეყნების კავშირის შექმნის შესახებ. უკვე 1948 წლის სექტემბერში ბრიუსელში დაფუძნდა დასავლეთის კავშირის თავდაცვის ორგანიზაცია. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ ევროპას არ შეეძლო დამოუკიდებლად გაეწია წინააღმდეგობა საბჭოთა აგრესიისათვის. გადაწყდა ამერიკისა და დასავლეთ ევროპის სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება.

ისტორიულ-პოლიტოლოგიური და ფილოსოფიური ანალიზი გვარწმუნებს, რომ სხვადასხვანაირი გეოგრაფიული კონტინენტების პარალელურად, არსებობენ მათი შესაბამისი ბუნებრივი ისტორიულ-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური განზომილებები, რომელთა შორის ერთ-ერთია რუსეთი, რომელშიც განივთდა სლავურ-მონღოლური ცნობიერებები, რომლიდანაც მომდინარეობს პოლიტიკური, კულტურული და ავტორიტარული კონსტრუქციები და რომლის წიაღიდანაც აღმოცენდნენ: **ივანე მრისხანე, პეტრე პირველი, ლენინი, ტროცკი, სტალინი, პუტინი, დოსტოევსკი, ტოლსტოი, პუშკინი** და სხვ.

რუსეთს არ შეეძლო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება არ დაეკავშირებინა ავტორიტარიზმთან და ბელადისა და ლიდერის სახელთან და მისი არსი მომდინარეობდა არა ერთი სახელმწიფოდან, არამედ სხვადასხვა ხარისხის სახელმწიფოთა გაერთიანების იდეასთან.

მეცნიერები **სტივენ ბრუკი** და **უილიამ ფოლფოსი** ადასტურებდნენ რომ „არასოდეს უარსებია სუვერენული სახელმწიფოების ისეთ სისტემას, სადაც ერთი ქვეყანა ასეთი მაღალი ხარისხით დომინირებდა“, მათ მხედველობაში ჰქონდათ აშშ-ის სახელმწიფოებრიობის მაღალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ხარისხი და ის შედარებული იყო რომის იმპერიის განვითარების უმაღლეს მწვერვალთან.

აშშ გლობალისტური მოდელის ფარგლებში მსოფლიოს ერთ-ერთ ჰეგემონ სახელმწიფოდ არსებობას, საერთაშორისო სამართლის, ეკონომიკური ინსტიტუტებისა და სამხედრო ძალის პროვოცირების ხარჯზე მოგვიანებით, რომელიც პრეზიდენტ ტრამპს უკავშირდებოდა, ჩამოყალიბდა ახალი მოდელი, სადაც უარყოფილი იყო ამერიკის მსოფლიო ჟანდარმის როლი და საგარეო პოლიტიკა უნდა წარემართათ სხვა მიმართულებით.

ნატო-ს შექმნის ძირითადი მიზეზი დაკავშირებული იყო კომუნისტური რეჟიმის დამყარებასა და გაძლიერებასთან აღმოსავლეთ ევროპაში, მით უმეტეს, ამ საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ ნორვეგია, საბერძნეთი და თურქეთი. ასეთ ვითარებაში დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ მიღებულ იქნა ზომები საბჭოეთის გეოპოლიტიკური გათვლების დასასუსტებლად.

სსრ კავშირის დაშლამ, აშშ-ის ერთპოლუსიანი განზომილების ჩამოყალიბებამ და ვაშინგტონის ძლიერების მოწესრიგებამ საფუძველი გამოაცალა კონფლიქტების მოწესრიგებას, რადგან აშშ გახდა მსოფლიოში ერთადერთი სუპერსახელმწიფო და ფუნქციონირება დაიწყო ახალმა „მსოფლიო წესრიგმა“, რომელმაც გამოკვეთა სხვადასხვა სახის მიმართულებები და გზა გაუხსნა მკვეთრად ლიბერალურ ტენდენციებს, რომელიც ამკვიდრებდა ერთპოლუსიანი გაბატონებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სისტემას, რაც მიუღებელი იყო მსოფლიოსათვის ერთპოლუსიანი „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ დამკვიდრების მცდელობის გამო.

1991 წლიდან 2001 წლამდე მსოფლიო, ფაქტობრივად, აშშ-ის ერთპოლუსიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მეთვალყურეობით ცხოვრობდა, ვიდრე პლანეტის არეალში არ გამოჩნდნენ რუსეთის, ჩინეთის, ინდოეთის ზესახელმწიფოები, გაძლიერებული ევროკავშირი და ა.შ.

„მსოფლიო წესრიგმა“ განსაკუთრებული სახე მიიღო ორპოლუსიანი სისტემაში, როდესაც საბჭოთა კავშირი პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და სამხედრო ნიშნულებით აკონტროლებდა კომუნისტური და სოციალისტური მიმართულების

მქონე ქვეყნებს საბჭოეთში, ევროპის, აზიის, ჩრდილოეთ ამერიკის, აფრიკის კონტინენტებზე.

მსგავსი კონტროლი ახასიათებდა აშშ-ის ხელისუფლებას მის მიერ სხვადასხვა სახით, ფორმით და შინაარსით დაქვემდებარებული სახელმწიფოების მიმართ. თავის მხრივ, კრემლის მიერ კონტროლირებადი მოკავშირე რესპუბლიკები აკონტროლებდნენ მათ ტერიტორიაზე შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებს, ოლქებს, ოკრუგებს და ა.შ.

**ფაქტობრივად, ეს იყო „მსოფლიო წესრიგის“ თავისებური გამოვლინებები ორპოლუსიან მსოფლიოში, რომლებიც საზღვრავდნენ სახელმწიფოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო მიმართულებებს და მიზნად ისახავდნენ ერთპოლუსიანი „მსოფლიო წესრიგის“ შექმნას.**

ამის მკაფიო გამოვლინება იყო საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის უარყოფითი დამოკიდებულება სახელმწიფოთა „ნეიტრალიზმის“ მიმართ (შვეიცია, შვეიცარია, ავსტრია, იუგოსლავია).

1956 წელს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **ჯონ ფოსტერ დალესმა** ნეიტრალიტეტის პრინციპებს მოძველებული უწოდა. ის უხეში ძალის მომხრე იყო და მოითხოვდა აშშ-ის „მსოფლიო წესრიგის“ გაძლიერებას. ამ პრობლემას მოგვიანებით, 1971 წელს, გამოეხმაურა პოლიტოლოგი რექსფორდ ტაგველი და წიგნში **„არასწორი კურსი ტრუმენიდან ნიქსონამდე“** განაცხადა, რომ ამერიკას სერიოზულ დარტყმას აყენებდნენ არა მისი მტრები, არამედ „სახელმწიფო მოღვაწეთა სისულელეები“.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის სწრაფვას ერთპოლუსიანი „მსოფლიო წესრიგის“ შექმნისაკენ მოჰყვა 1945 წლის აპრილში, აშშ-ის პრეზიდენტის **ჰარი ტრუმენის** გადაწყვეტილება, შეეცვალათ პოლიტიკა კრემლის მიმართ უხეში კურსით.

ერთ-ერთი პირველი, ვინც გამოეხმაურა ამ მოწოდებას და ხმა აიმაღლა საბჭოური იმპერიის „მსოფლიო წესრიგის“ შექმნის წინააღმდეგ, იყო ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **უინსტონ ჩერჩილი**, რომელმაც **1946 წელს, ფულტონში** გამოსვლისას **ყურადღება**

**გამახვილა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის „რკინის ფარდის“ არსებობაზე და მოუწოდა შეექმნათ ბრიტანულ-ამერიკული სამხედრო კავშირი „აღმოსავლეთის კომუნიზმთან“ ბრძოლის მიზნით.**

ცხადია, მე-19 საუკუნეში წარმოშობილი ტერმინი „საერთაშორისო ურთიერთობები“, მართო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარადიგმებს არ მოიცავდა და მეტი მასშტაბურობა მას სხვადასხვა დიდმა თუ მცირე ომებმა მოუტანეს. **ილია ჭავჭავაძეს** თუ მოვიშველიებთ, მსოფლიო ჰყავდა **„დიდი თუ ოატარა ონავრები“.**

მათ შორის იყო რუსეთიც, რომელიც არ არღვევდა იმპერიულ ტრადიციას და მისი ორთავიანი არწივის ერთი თავი მუდმივად აკონტროლებდა ქვეყნის შიგნით არსებულ, არც ისე ერთიან, სივრცეს, ხოლო მეორე მკაცრად უმზერდა ახლო ევროპის სამეზობლო ტერიტორიებს, ცენტრალურ აზიას და კავკასიას.

უდავოა, დღეს იქნება თუ ხვალ, რუსეთი იძულებული გახდებოდა კრემლის „მე-სამე“ თვალი მოეცილებინა არაბული, აფრიკული და ახლო აღმოსავლური სამყაროსათვის მანამდე კი საგულისხმო იყო **კისინჯერის** ზოგად დასკვნას იმის შესახებ, რომ **„რუსეთი ყოველთვის იქნება მსოფლიო წესრიგის განუყოფელი ნაწილი. რუსეთის წარმოდგენა საკუთარ თავზე, მსოფლიო არენაზე, როგორც ისტორიულ მოთამაშეზე, სერიოზულად უნდა იქნეს მხდევლობაში მიღებული“.**

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენდა (თუმცა საკმაოდ მოულოდნელსაც), **ჰ. კისინჯერის** გაჟღერებული ფრაზა ამერიკის ტელეარხ „სიენენ“-თან მიცემულ ინტერვიუში: **„მე არ ვფიქრობ, რომ პუტინი ანტიდასავლურად არის განწყობილი. პირველ რიგში, ის რუსი პატრიოტია, რომელიც თავს დამცირებულად გრძნობს იმის გამო, რაც 1990-იან წლებში ხდებოდა რუსეთში“.**

ამას ამბობდა პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც სახელმწიფო მდივნის პოსტ აშშ-ის ორი პრეზიდენტის – **რიჩარდ ნიქსონის** და **ჯერალდ ფორდის** – ადმინისტრაციებში ეკავა. ცნობილია ისიც, რომ პუტინი დაახლოებით 20-ჯერ შეხვდა

კისინჯერს, უკანასკნელად კი – 2012 წლის იანვარში.

დიდი ალბათობით, „ბერიასეული მოდელის“ გამოყენების შემთხვევაში პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად გარდაქმნილ საბჭოეთის ერთიან კონფედერაციას შეეძლო ხანგრძლივად „ეცოცხლა“. ცხადია, ყოველივე ეს მიუღებელი იყო დასავლეთისათვის. ამიტომ ბერიას ფიზიკურად განადგურების გეგმა საზღვარგარეთ დაიგეგმა და განხორციელდა კრემის ავანტიურისტების მიერ (ხრუშჩოვი, მიქოიანი, ბულგანინი, მალენკოვი, ჟუკოვი და სხვ.).

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, დასავლეთის ზეგავლენით შექმნილმა საბჭოეთის „ლიბერალურმა“ სისტემამ თვითონ შექმნა თავისი მესაფლავეები – პოლიტიკურის წევრები – ხრუშჩოვი, ფორბაჩოვი, იაკოვლევი, ელცინი, შევარდნაძე და სხვები.

ნიშანდობლივია, რომ საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნის, მორის ტორეხის შვილი, ცნობილი ფრანგი მეცნიერი პიერ ტორეზი მიიჩნევდა, რომ „ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირის დაშლა იყო კატასტროფა“. მისი აზრით, რუსეთში ყველა სოციალური მონაპოვარი გაქრა, უუფლებო გახდა პროფკავშირები; ცალკეულ სფეროებში (ენერგეტიკა, ტრანსპორტი) აიკრძალა გაფიცვები და საპროტესტო გამოსვლები; მუშებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა დაეცვათ თავიანთი უფლებები; დამკვიდრდა „ველური კაპიტალიზმი“ – ქვეყანა დაიყო მდიდრებად და ღარიბებად; არ არსებობდა საშუალო კლასი, დეზორგანიზებული ეკონომიკა; გაფართოვდა ავტორიტარიზმი, ბიუროკრატია, კრიმინალი, ქსენოფობია; „რუსეთის ცივილიზაციას“ დაუდგა დაისის პერიოდი და, ფაქტობრივად, მოხდა „ველური კაპიტალიზმის“ აღდგენა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაჩნდა აშშ-ის „ახალი მსოფლიო წესრიგის“ პროექტი, რომლის იდეოლოგიური საყრდენი იყო „ლიბერალური დემოკრატიის“ საბოლოო გამარჯვების ფუკუიამასეული თეორია, რაც ნიშნავდა ადამიანის იდეოლოგიური ევოლუციისა და ლიბერალური დემოკრატიის უნივერსალობას, როგორც ადამიანის

მმართველობის საბოლოო ფორმად ჩამოყალიბების დასასრულს [1].

მსგავსი ტიპის საზოგადოების და სახელმწიფოს შექმნის იდეა მომდინარეობდა საბჭოეთის ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ლავრენტი ბერიასაგან, რომელიც მოგვიანებით, გაზიარებულ იქნა საბჭოთა რეფორმისტების – კოსიგინის, ანდროპოვის და პრიმაკოვის მიერ, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება მოხდა ჩინეთში – დიდი სახელმწიფო მოღვაწის დენ სიაოპინის მიერ, რომელიც საფუძვლად დაედო დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთ ზესახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო იდეოლოგიას.

ფ. ფუკუიამა სამყაროში სახელმწიფოების და, შესაბამისად, ადამიანების არსებობის, თანაცხოვრებისა და დანიშნულების ერთადერთ გზად ლიბერალურ საზოგადოებას მიიჩნევდა. მის „მოხეტიალე ფორნებს“ დიდი გართულებების შემდეგ ერთსა და იმავე ადგილამდე უნდა მიედწიათ, ერთ ეგრეთ წოდებულ ქალაქ-სახელმწიფოში უნდა ეცხოვრათ, ერთნაირად კმაყოფილები უნდა ყოფილიყვნენ და მომავალშიც სხვაგან შორეული მგზავრობის სურვილიც კი არ უნდა გასჩენოდათ [1].

უნდა ვივარაუდოთ, რომ ფუკუიამამ თავისი მსჯელობებითა და წარმოდგენებით ყველა დროის, ძველ, ახალ და თანამედროვე „უტოპისტებს“ გაასწრო და იმასაც არ უშვებდა, რომ კაცობრიობა ვერტიკალურად კი არა, ჰორიზონტალურად ვითარდებოდა.

ლიბერალური დემოკრატიის ასეთი სახეცვლილება შეუძლებელი იყო, რადგან საზოგადოების განვითარების ფუკუიამას ევოლუციური გზა, შუა საუკუნეების უტოპისტების – რუსოს, ფურიეს და სხვათა დონეზე აღმოჩნდა, ვერ შეძლო მომავლის სწორი პროგნოზირება და „მოხეტიალე მოაზროვნედ“ დარჩა ლიბერალური დემოკრატიის უსიერ ტევრში, რადგან მისი შეხედულებები დიდ წინააღმდეგობაში მოდიოდა სამყაროს ბუნებრივი და ისტორიული განვითარების კანონზომიერებებთან.

თუმცა ამერიკამ მაინც მოახერხა აზიურ სივრცეში შეექმნა დასავლური ლიბერალური დემოკრატიის აზიური მოდელი, რაც მი-

საღები აღმოჩნდა იაპონურ-ტაივანურ-კორეული სამეულისათვის [1].

თავად დასავლეთში, ლიბერალური ინსტიტუტების კრიზისმა შვა ლიბერალიზმის საპირწონე ახალი პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც სწორედ ოჯახის სტრუქტურაზე, მორალურ ფასეულობებზე, რელიგიაზე, ეთნიკურ ცნობიერებაზე, ისტორიულ ტრადიციებსა და სხვა კონსერვატორულ ფასეულობებზე აკეთებდა აქცენტს.

მკვლევარები ამ მიმართულებით გამოყოფდნენ შემდეგ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს:

1. ნაციონალ-კონსერვატიული პარტია „შვედეთის დემოკრატები“;
2. ულტრანაციონალისტური პარტია „ოქროს აისი“ (საბერძნეთი);
3. რადიკალი მემარჯვენე პოპულისტური პარტია „ჰეიმარტი ფინელეზი“;
4. დანიის სახალხო პარტია;
5. იტალიის ნეოფაშისტური პარტია „ჩრდილოეთის ლიგა“;
6. საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტი“, რომლის ლიდერი მარენ ლე პენი, გამორიცხული არ არის 2025 წელს საფრანგეთის პრეზიდენტი გახდეს;
7. პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“;
8. უნგრეთის პარტია ფიდეში (მმართველი პარტია);
9. პოლონეთის პარტია „სამართალი და სამართლიანობა“ (მმართველი პარტია).

საგულისხმოა, რომ თვითონ ევროკავშირში არსებობდნენ პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც ევროგაერთიანების მომავალს სკეპტიკურად უყურებდნენ. მათ შორის იყო:

1. **პოლიტიკური გაერთიანება „ევროპელ კონსერვატორთა და რეფორმატორთა მემარჯვენე ცენტრისტული პოლიტიკური ჯგუფი**, რომელიც წარმომადგენლობით ორგანოში აერთიანებდა ევროპის 10 სხვადასხვა ქვეყნიდან კონსერვატორულ პარტიებს, დეპუტატებს სხვა პოლიტიკური პარტიებიდან და 13 დამოუკიდებელ კანონმდებელს. ჯგუფი 2009 წელს დაფუძნდა და ბრიუ-

სელში ევროსკეპტიციზმისა და ანტიფედერალიზმის პოლიტიკურ ხედვებს ახმოვანებდა;

2. **პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი ევროპა და პირდაპირი დემოკრატია“**, რომლის წამყვანი რგოლი იყო ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტია.

მსოფლიოში არსებობდა მეტ-ნაკლებად ერთმანეთთან დაპირისპირებული რამდენიმე წესრიგი. შესაბამისად, ფუნქციონირებდა „ცივი ომის“ ანგლოსაქსური, სლავურ-რუსული, ევროპული, აზიური (ჩინურ-ინდური), მუსულმანური და უწესრიგო ქვეყნების მოდელები.

ცხადია, არსებობს „დიდი“ და „მცირე“ ომები, რომლებიც პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ინტერესებიდან გამომდინარეობენ, აქვთ გეგმები და ექვემდებარებიან საწყისს, განვითარებას, დასასრულს და გააჩნიათ შედეგი და უშედეგობაც.

ორპოლუსიანი სისტემის დაშლის შემდეგ, ჩინეთი მთავარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გამოწვევად იქცა მსოფლიოსათვის, ხოლო სწრაფვამ სუპერსახელმწიფოებრიობისაკენ გამოააშკარავა ამერიკის ნეგატიური, ჰეგემონური დამოკიდებულება აზიური სუპერსახელმწიფოსადმი, რომლებმაც განსაკუთრებით ჩინეთმა ერთპარტიულ, კომუნისტურ იდეოლოგიაზე და, იმავდროულად, კერძო საკუთრებაზე დაყრდნობით, შექმნა „სოციალიზმის“ ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა ანუ ამ სინთეზით ჩამოყალიბდა პრაქტიკული წარმატების უნივერსალური ფორმულა.

ვითარებაში, როდესაც რუსეთის მიერ შემქნილი საბჭოეთის იმპერიის დაშლა პრეზიდენტმა პუტინმა „მეოცე საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკურ პატასტროფად შეაფასა“ და უარყო მსოფლიო მოწყობის „გლობალისტური თეორიის“ იდეოლოგია, მოხდა მოსკოვისა და პეკინის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო ინტერესების თანხვედრაც.

ჩინეთი, აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოებთან ერთად, ანგლოსაქსური კოალიციისათვის პოტენციურ საფრთხედ განიხილება – მზარდი სამხედრო ძალით, დიდი ეკონომიკური რესურსებით და უზარმაზარი დემოგრაფიული მონაცემებით.

ჩინეთისა და რუსეთის სკეპტიკური დამოკიდებულება ლიბერალიზმის იდეები-სადმი თვალსაჩინო იყო, ხოლო ევრაზიუ-ლი კავშირის იდეები კრემლისათვის ერ-თადერთ მისაღებ პროექტს წარმოადგენდა. მით უმეტეს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ-ის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო დომინირება საეჭვო არ იყო და ზ. ბჟეზინსკი, ჰ. კისინჯერი და სხვები მსჯელობდნენ აშშ-ის, როგორც ახალი იმპე-რიის ჩამოყალიბების შესახებ [2].

პარალელურად, ფრენსის ფუკუიამა თხზავდა იდეას ისტორიის დასასრულის, ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვების, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ამერიკული „გლობალიზაციის“ პროექტის განხორციე-ლების და აშშ-ის კაცობრიობის განვითარე-ბის უმაღლეს საფეხურად გამოცხადების შე-სახებ [1].

„ფაქტობრივად, მოხდა ახალი ტიპის იმპერიის მსოფლიო ბატონობის იდეოლო-გიური დასაბუთება და ახლა ჩვენ მასშტა-ბური პროექტის ნგრევის და მისი რაღაც ახალში ტრანსფორმაციის მომსწრენი ვართ“ – აღნიშნავდნენ პოლიტიკისა და საერთა-შორისო ურთიერთობების მკვლევარები [3].

ახალი ტიპის იმპერიის მსოფლიო ბა-ტონობის იდეოლოგიური დასაბუთების მცდელობა წარმოადგენდა „ცივი ომის“ ახალ ტრანსფორმაციას, რომელშიც ებმეზო-დნენ დიდი თუ პატარა გეოპოლიტიკური მოთამაშეები, თავიანთი ინტერესებით და ამბიციებითაც.

არ გამოირიცხებოდა პროექტში ჩაბმუ-ლიყო ჩინეთიც, რომელსაც „ცივი ომი“ ჰქონ-და აშშ-სთან, ტაივანთან დაკავშირებით, რაც შეეხება რუსეთს, ის სამხრეთ კავკასიის, ახ-ლო აღმოსავლეთის და უკრაინაში განვითა-რებული ნეგატიური პროცესების თაოსანი იყო.

უახლესი ისტორიის მოვლენებმა კითხ-ვის ნიშნის ქვეშ დააყენა ამერიკის, როგორც თავისუფლებისა და დემოკრატიის მთავარი საყრდენის სტატუსი. თუ რუსეთი შეძლებ-და განევრცო და გაემლიერებინა ეს თეზა, აშშ-ის დომინირება მსოფლიოში შემცირდე-ბოდა, მით უმეტეს, ამერიკელი პოლიტიკო-სები ფიქრობდნენ, რომ რუსეთმა წამოიწყო

ახალი „ცივი ომი“ და აქ კონსენსუსი არ არ-სებობდა.

ცხადია, რუსეთი არ იყო დემოკრატიისა და თავისუფლების ეტალონი, მაგრამ, ბო-ლო პერიოდში, აშშ-ის პოლიტიკაშიც გაჩნ-და დაპირისპირებები კონსერვატო; იდეო-ლოგიებს შორის, რომლის თვალსაჩინო მა-გალითი იყო ამერიკის პრეზიდენტის დო-ნალდ ტრამპის წინასაარჩევნო პოლიტიკა, რომელიც კონსერვატიულ-ნაციონალისტურ დისკურსს მოიცავდა, თუმცა პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემდგომ შეეჯახა ამერი-კული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამ-ხედრო ელიტის მძლავრ წინააღმდეგობას.

მოგვიანებით, ეს ახალი ძალით გამოჩნ-და ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ კავკასი-ისა და, განსაკუთრებით, უკრაინისათვის აშშ-რუსეთის მიერ განვითარებულ, მიმდი-ნარე ომში, რომელიც 2022 წლის თებერ-ვალში დაიწყო.

ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ კავკა-სიის და უკრაინის ომები არ იყო „ცივი ომის“ შედეგი, არც რეგიონალურ კონფლიქ-ტებს წარმოადგენდა, იგი მსოფლიო გლო-ბალური დაპირისპირებების გამოძახილი იყო და ექვემდებარებოდა აშშ-ის, რუსეთის, თურქეთის, ევროკავშირის და სხვა ქვეყნე-ბის ინტერესებს.

„ცივი ომისა“ და „მსოფლიო წესრიგის“ იდეოლოგიების ფაქტორები სრულ პროგნო-ზირებას არ ექვემდებარება. პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო კრიზისები სა-გრძნობ ზეგავლენას ახდენენ საერთაშორი-სო პოლიტიკაზე და არღვევენ არსებულ ბალანსებს.

საერთაშორისო პოლიტიკაში კვლავ დადგა დღის წესრიგში პიროვნებების ის-ტორიული როლის საკითხი, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავდნენ და განსა-ზღვრავენ სახელმწიფოების სიძლიერეს, მო-მავალს და ყოველთვის დიდ გავლენას ახ-დენდნენ საერთაშორისო პროცესებზე (**ცე-ზარი, მაკედონელი, ჩინგიზ ხანი, ნაპოლეო-ნი, ბისმარკი, პეტრე პირველი, სტალინი, ჰიტლერი, ჩერჩილი, რუზველტი, დე გოლი, კენედი, ტეთჩერი, დენ სიაოპინი, რეიგანი, ტრამპი, პუტინი** და ა.შ.). ფაქტობრივად, ისინი განსაზღვრავდნენ იმდროინდელი

დიდი სახელმწიფოების თუ გაერთიანებების პოლიტიკურ და სამხედრო წესრიგებს.

„ცივი ომის“ იდეოლოგია და პრაქტიკა, თავისი მახასიათებლებით, წინ უსწრებს მსოფლიო, კონტინენტურ, რეგიონალურ, ადგილობრივ ომებს.

ამ კონტექსტში საინტერესოა ამერიკელი მეცნიერისა და პოლიტიკოსის ჟოზეფ ნაის თეორია „ხისტი“, „რბილი“ და „ჭკვიანი“ ძალის შესახებ, რომლის მცირე თუ დიდი მასშტაბები დამახასიათებელია მთელი მსოფლიოსათვის და, ფაქტობრივად სხვადასხვა სახის „ცივი ომების“ თეორიული და პრაქტიკული არსიდან გამომდინარეობს, მუდმივი კატეგორიაა და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია, „ცივი ომები“ წინ უსწრებდა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სამხედრო ომებს (ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთ კავკასია, ბალკანეთი, აშშ-სა და რუსეთს შორის უკრაინისათვის გაჩაღებული მესამე მსოფლიო ომი).

ამერიკელებისთვის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, უკრაინა უნდა ყოფილიყო უმნიშვნელოვანესი „შუბი“ რუსულ და ევროპულ სახელმწიფოთა საჯდომში [4].

რაც შეეხება რუსეთს, მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა აშშ-ის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გავლენის შეჩერება ყოფილი საბჭოეთის ევროპულ ნაწილში, განსაკუთრებით, ნატოს მიახლოების თავიდან აცილება მის საზღვრებთან.

21-ე საუკუნის დასაწყისში განვითარებული საერთაშორისო პოლიტიკის მოვლენები

ახალი „ცივი ომის“ პოლიტიკური და სამხედრო იდეოლოგიის სივრცეშია განსახილველი (ახლო აღმოსავლეთი, პალესტინა, ისრაელი, საქართველო, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი) და არა როგორც ადგილობრივი ესკალაციის ან სპონტანური დაპირისპირების, არამედ ერთი მთლიანი გლობალური პროცესის შედეგი, ხოლო კვლევის ფარგლებში, „ცივი ომის“ როგორც ტერმინის დეფინიციად, გამოყენებულია თანამედროვე სახით მისი ავტორის ჯორჯ ორუელის განსაზღვრება, რომელიც აქცენტს ახალი ტიპის იარაღის არსებობაზე და მის შედეგებზე აკეთებდა.

მკვლევარების აზრით, ახალი „ცივი ომი“ არ იყო მხოლოდ კაპიტალისტური და კომუნისტური იდეოლოგიების ურთიერთდაპირისპირების აღმნიშვნელი ცნება და წარმოიდგინება გლობალური დომინირების პრეტენზიისა და შესაძლებლობის მქონე სახელმწიფოთა ურთიერთდაპირისპირების ფორმად, რომელშიც პირდაპირი კონფლიქტი გამორიცხებულია, თერმობირთვული შეიარაღების არსებობის გამო, რადგან აქ არ არსებობს გამარჯვებული ბლოკი ან სახელმწიფო, რაც ახალი „ცივი ომის“ მთავარ და ფუნდამენტურ მსაზღვრელს წარმოადგენს [3].

თუმცა, „ცივი ომში“ იდეოლოგიური ურთიერთდაპირისპირების ასპექტი არ არის უგულვებელყოფილი და იგი განიხილება როგორც „ცივი ომის“ საშუალება და ერთ-ერთი ძირითადი იარაღი, მაგრამ არა, როგორც მისი მთავარი მიზეზი.

IGOR KVESELAVA - GTU, Professor

## DIMENSIONS OF WORLD ORDER

### Summary

The paper discusses the dimensions of the old and new world order, unipolar, bipolar and multipolar political, economic, and military systems, theoretical and practical aspects of "world order", theories related to the problem (D. Hume, H. Kissinger, F. Fukuyama, B. Gates, J. Soros, S. Anthington, A. Gore, H. Bull, Grotius, J. Garten, Q. Waltz, R. Tugwell, J. Kennan).

**Key words:** world order, new world order, unipolar, bipolar and multipolar orders, "Cold War", USA, Europe, Russia, globalization, international relations, politics, liberalism, liberal democracy, ideology, Soviet Union, liberal system, "Wild Capitalism", "Doctrine of Restraint".

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფუკუიამა ფ., „ისტორიის დასასრული? პოლიტიკა და დემოკრატია. თბ., 2015.
2. ბჟეზინსკი ზ., „დიდი საჭადრაკო დაფა: ამერიკის ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2014.
3. მახარაძე ზ., „უკრაინის და სირიის კონფლიქტები, როგორც ახალი „ცივი ომის“ ეტაპი“ (სადოქტორო დისერტაცია), სტუ, თბ., 2019.
4. კვესელავა ი., შუბითიძე ვ., კვეტენაძე ზ., „რბილი“ და „ხისტი“ ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2019. გვ. 11-108.
5. ჰანტინგტონი ს., „ცივილიზაციათა შეჯახება. პოლიტიკა და დემოკრატია“, თბ., 2015.
6. ჯენტერლსტონი „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“, თბ., 2015.
7. დუგინი ა., „გეოპოლიტიკის საფუძვლები“, მოსკოვი, 1997.
8. კუპრაშვილი ჰ., „ეროვნული უსაფრთხოება თუ ეროვნული უშიშროება?!“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2014.

## კაპიტალიზმი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განზომილებაში

ისტორია და პოლიტიკა მუდმივი კამათია წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ. იგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შემადგენელი ნაწილია და „ისტორიის დასასრულზე“ საუბარი ძალიან ნაადრევია, თუ გამოუსწორებელი გეოგრაფიული კატასტროფა არ მოხდა დედამიწაზე. ცხადია, მსოფლიოში ძალიან ბევრია „საკაცობრიობო პრობლემები“, რომლებიც ბოლო პერიოდში გაჩნდა საერთაშორისო არენაზე და თვისი მასშტაბურობით ღრმა დაფიქრებისკენ გვიბიძგებს.

წარმოდგენილ ნაშრომში განალიზებულია კაპიტალიზმის ისტორიული გზა დადებითი და უარყოფითი ტენდენციებით და მსოფლიოს გამოჩენილ ისტორიკოსთა, პოლიტიკოსთა, ეკონომისტთა, ფილოსოფოსთა, უმსხვილესი კაპიტალის წარმომადგენელთა და ა. შ. მოსაზრებები, რომელთა საფუძველზე გაზიარებულია მოსაზრება კაპიტალიზმის დღევანდელი ფორმისა და შინაარსის ამოწურვის შესახებ. განხილულია სოცკაპიტალიზმის, ლიბერალური დემოკრატიის და სხვა თეორიები; გამოთქმულია მოსაზრება ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების შესახებ, რომელშიც შერწყმული იქნებოდა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დადებითი ღირებულებები და შეიძლება მისთვის გვეწოდებინა „სოცკაპიტალიზმი“.

*საკვანძო სიტყვები: კაპიტალიზმი, იმპერია, პოლიტიკა, ეკონომიკა, კაპიტალისტური სისტემა, სოცკაპიტალიზმი, აშშ, სსრ კავშირი, რუსეთი, თანამედროვე კაპიტალიზმი, ლიბერალიზმი, დემოკრატიული ლიბერალიზმი, ჩინური სისტემა, გლობალური კრიზისი, ზესახელმწიფო, განათლება, საერთაშორისო ურთიერთობები, ევროკავშირი, გლობალური მსოფლიო, ლიბერალური დემოკრატია, „დიდი დეპრესია“, ეკონომიკური მოდელი, ერთიანი მსოფლიო წესრიგი, მსოფლიო წესრიგები, იდეოლოგია, მულტიკულტურალიზმი, „ცივი ომი“, სამხრეთ კავკასია, ახლო აღმოსავლეთი, უკრაინა, აფხაზეთი, „ერთიანი“ და „საერთო“ სახელმწიფო.*

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი მასშტაბის პრობლემაა კაპიტალიზმის ისტორიული გზისა და მისი საბოლოო ადგილის საკითხი პლანეტის სივრცეში, რომლის შესახებ თეორიული დისკუსიები წლებია მიმდინარეობს – ისტორიკოსები, პოლიტიკოსები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ეკონომისტები, სამართალმცოდნეები, უმსხვილესი კაპიტალის წარმომადგენლები და სხვები წიგნებში, მონოგრაფიებში, შრომებში, დისერტაციებში, საჟურნალო და საგაზეთო გამოცემებში, სხვადასხვა კონფერენციებში, ფორუმებში, შეხვედრებში და ა.შ., სიღრმისეულად განიხილავენ კაპიტალისტური ფორმაციის წარმოშობის, განვითარებისა და დასასრულის თეორიულ-

პრაქტიკულ პრობლემებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 20-ე საუკუნის ბოლო ოცწლეულსა და ახალი საუკუნის პირველ ოცწლეულში შექმნილი ლიტერატურის ანალიზი და შედეგები, ამ მხრივ კი, გამოსაყოფია უცხოელი და ქართველი ავტორების შემოქმედება (ა. გორი, ზ. ბუჩინსკი, ჰ. კისინჯერი, ბ. გეიტსი, ფ. ფუკუიამა, ჰ. სოროსი, ვ. პინჩუკი, ჰ. დრიუკერი, ა. კატელსი, ა. ლაგარდი, ე. ვალლერსტაინი, ს. ჰანთინგტონი, დ. ბელი, რ. არონი, ე. ტოფლერი, დ. რუბენშტეინი, ლ. სამერსი, კ. შვამბა, ი. შუმპეტერი, ჯ. პლენდერი, ა. გალჩინსკი, ნ. ორნშტეინი, ტ. ვაიგელი, ვ. ინოზემცევი, ჯ. არლოდჟი, ა. დუგინი, გ. მალაშხია, ნ. ჭითანავა, ი. კვესელავა, ე. გვენეტაძე, ზ. კვეტენაძე, ო. გოცაძე).



ჯერ კიდევ 2012 წლის იანვრის ბოლოს შევიცარიის ქალაქ დავოსში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე შეკრებილმა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამეცნიერო ელიტის ცნობილმა სახეებმა, არა მარტო მოახდინეს მსოფლიო უღრმესი ეკონომიკური კრისიზის ფაქტის კონსტატაცია, არამედ აღიარეს, რომ დღევანდელი ფორმატით კაპიტალისტურმა სისტემამ თავისი თავი ამოწურა. დავოსის ფორუმზე ეკონომიკური ელიტის ცნობილი წარმომადგენელი, **კლაუს შვაბა** ირწმუნებოდა, რომ „კაპიტალიზმმა ამოწურა თავისი თავი და აბსოლუტურად არ ეწერებოდა თანამედროვე მსოფლიოს მოდელში“, აშშ-ის ფინანსთა ყოფილი მინისტრის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, **ლარი სამერსის** მტკიცებით: **„ჩვენ ვდგავართ ეკონომიკის ცვლილების წინაშე, რომელიც იქნება ისეთი სერიოზული, როგორც თავის დროზე იყო ინდუსტრიალიზაცია“**.

საინვესტიციო ფონდის მმართველმა **სარლულე დევიდ რუბინშტეინმა** თავისუფალი ბაზრის დასავლეთის მოდელს 3-4 წლის არსებობა უწინასწარმეტყველა და მისი სასწრაფოდ შეცვლის აუცილებლობაზე გააკეთა აქცენტი. დავოსში ისიც გაისმა, რომ კაპიტალიზმმა მე-20 ს-ში დაამთავრა თავისი წარმატების დემონსტრირება, მოძველდა და ნგრევით დაემუქრა 21-ე საუკუნის საზოგადოებას. შესაბამისად, დადგა დრო მისი დასაფლავების შეკვეთის მისაცემად.

საყურადღებო და სიმბოლური იყო ის ფაქტი, რომ დავოსში კაპიტალიზმის ყოფნა-არყოფნის დისკუსიის ინიციატორებად გამოვიდნენ არამხოლოდ მეცნიერები და პოლიტიკოსები, არამედ უმსხვილესი კაპიტალის წარმომადგენლები: **ბ. გეიტსი**, **ჯ. სოროსი**, **ვ. პინჩუკი** და სხვები. საგულისხმოა, რომ, ფაქტიურად, დისკუსიის დასასწყისს, სათავე დაუდო ფორუმის წინ, გაზეთ „The Financial Times“-ში გამოქვეყნებულმა სტატიამ, სახელწოდებით „კაპიტალიზმი – უმძიმესი დრო“. მისი ლაიტმოტივი გახდა თეზა: „ადამიანებმა შეწყვიტეს კაპიტალიზმის ნდობა: სისტემა ჩამოიშალა“. სხვათა შორის, გამოკითხვის შედეგად, ფორუმის მონაწილეთა 70-მა პროცენტმა გაიზიარა მოსაზრება, რომ „სისტემა გაჭირვებაშია“.

ცხადია, თანამედროვე კაპიტალიზმის პრობლემა ყურადღების მიღმა არ დარჩენილია მეცნიერული წრეების წარმომადგენლებსაც. საკითხი კაპიტალიზმის ისტორიული დასასრულის შესახებ რამდენიმე ათეული წელი განიხილებოდა სამეცნიერო გამოცემებში. მათ შორის საყურადღებო იყო აშშ-ის ერთ-ერთი ცნობილი ეკონომისტის, **პიტერ დრიუკერის** გამოცემული წიგნი: „პოსტკომუნისტური საზოგადოება“ (1993 წ.). 2003 წელს დაიბეჭდა მსოფლიოს ერთ-ერთი ავტორიტეტული სოციოლოგის **ემანუელ ვალლერსტაინის** ნაშრომი: **„ნაცნობი მსოფლიოს დასასრული“**. ამ წიგნში და სხვა გამოცემებში მეცნიერი ირწმუნებოდა, რომ „კაპიტალიზმი ცდილობდა გაეკეთებინა უკანასკნელი ამოსუნთქვა, ახალი სუნთქვის შეძენის გარეშე“. მისი აზრით, ჩვენ ვცხოვრობდით, რაღაც ახალ მსოფლიო სისტემაში გადასვლის ეპოქაში. 2012 წლის იანვარში აღნიშნული პრობლემა გააანალიზა უკრაინელმა მეცნიერმა **ანატოლი გალჩინსკიმ** სტატიაში **„კაპიტალიზმის საზღვრების მიღმა“**. მისი აზრით, ამ საკითხში მეცნიერება არ დუმდა. თუმცა, მას ყოველთვის არ უსმენდნენ. კაპიტალიზმის წინააღმდეგ დაიწყო „მოძრაობა „ქვემოდან“ ანუ „ზეგავლენა ქუჩიდან“, რომელიც არ იყო მხოლოდ მეცნიერული ტრაქტატი, არამედ მდიდრებსა და ღარიბებს შორის დაპირისპირების სერიოზულ გამოძახილად აღიქმებოდა. ცხადია, ცალკეულ მილიარდელს შეეძლო შეოსავლების რაღაც ნაწილის გაღება ღარიბთა კეთილდღეობისათვის, მაგრამ ეს არ იყო პრობლემის გადაწყვეტა, რადგან მას არ შეეძლო აღმოეფხვრა სისტემური წესრიგის დაპირისპირება. თუ კაპიტალიზმი ამთავრებდა თავის არსებობას, მის მიმართ გაწეული ე.წ. „სარემონტო“ სამუშაოები ფუჭი იქნებოდა და პრობლემას ვერ მოხსნიდა. მით უმეტეს, ვალლერსტაინი დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ კაპიტალიზმი, როგორც მსოფლიო სისტემა 50 წელიწადში საერთოდ არ იარსებობდა, ამასვე ადასტურებდა გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერი **ელვინ ტოფლერიც**. ის მიუთითებდა არსებულ პროცესებზე, როდესაც „იცვლებოდა ყველაფერი“. ცხადია, მეცნიერს აქ მხედველობაში ჰქონდა საზოგადოების ინსტიტუციონალური ცვლილება,

როგორც მისი ფუნქციონალური, ისე მსოფ-  
ლმხედველობრივი საფუძვლების ჩათვ-  
ლით.

უდავოა, ამაში იდო გარკვეული ლოგი-  
კა. კაპიტალიზმი ადეკვატური იყო ინდუს-  
ტრიალიზმზე, რომლის ფუნდამენტზე მოხ-  
და მისი გენეტიკური ბირთვის ფორმირება.  
ახლა კი ინდუსტრიალიზაციის ეპოქა წარ-  
სულს ბარდებოდა და მის შესაცვლელად  
მოდოდა პოსტინდუსტრიალიზმი, რომ-  
ლის მატერიალური, სოციალური და სუ-  
ლიერი წანამდღერები კაპიტალიზმის მიერ  
იყო შექმნილი. შესაბამისად, ამაში მდგომარ-  
ეობდა მისი ისტორიული დამსახურებაც.

ამერიკულ პრესაში ქვეყნდებოდა **ჯონ  
არლოდჟის** წერილი **„ჯორჯ სოროსი გვაფრ-  
თხილებს ამერიკის შეერთებულ შტატებში  
კლასობრივი ბრძოლის შესახებ“**.

**სოროსი** – მსოფლიოში აღიარებული  
უმსხვილესი თაღლითი, რომელიც **ე. შევარ-  
დნაძის** რეკომენდაციით საქართველოშიც  
შემოიპარა, გამოჩენილ ქართველ მეცნიე-  
რებს მიზერულ თანხებს უხდიდა მისთვის  
მიწოდებული თეორიული და პრაქტიკული  
იდევების სწავლოდ; „მსოფლიო შეეჯახა  
თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთ ყვე-  
ლაზე საშიშ პერიოდს – ბოროტებას. მოსა-  
ლოდნელია ქაოსი და კონფლიქტები, ქუჩის  
გამოსვლები, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს  
მსოფლიოს ეკონომიკური სისტემის ნგრევა“  
– აცხადებდა სოროსი.

არლოდჟის მოჰქონდა სოროსის გამო-  
ნათქვამები, რომ მსოფლიო ეკონომიკური  
კრიზისი არანაკლებ მძიმე იყო, ვიდრე კო-  
მუნისმის დასასრული და იდეა იმის შე-  
სახებ, რომ ბაზარი რაციონალურია და შე-  
ეძლო თვითრეგულირება კატასტროფის  
ასაცილებლად – მსგავსი იყო მარქსიზმის  
კოლაფსთან, როგორც პოლიტიკურ სისტე-  
მასთან.

რეალობა ის იყო, რომ ევროპასა და  
ამერიკაში იგრძნობოდა იმედგაცრუება კა-  
პიტალიზმის თანამედროვე სისტემის მი-  
მართ. 2011 წლის ამერიკული ანალიტიკური  
მიმოხილვა მსოფლიოს აუწყებდა, რომ მხო-  
ლოდ ერთ, ივლისის კვირაში ამერიკული  
ტელეარხები ახალი ამბების გადაცემაში  
7000-ჯერ ახსენებდა სიტყვას „ვალი“, 1278-  
ჯერ – „ოკუპაციას“, 1237-ჯერ – „ულო-

სორითს“, 2738-ჯერ – სიტყვა სამუშაო ად-  
გილს და ა.შ.

ბრიტანულ გამოცემაში დაბეჭდილ  
ერთ-ერთ სტატიაში **ჯონ პლენდერი** მიუ-  
თითებდა, რომ ადამიანები ნდობას არ უც-  
ხადებდნენ კაპიტალიზმს, სისტემა იწყებდა  
ნგრევას და ბოლო 30 წლის არსებობაში  
ძირითადი შემოსავლები მხოლოდ მდიდარ  
ამერიკელებზე ნაწილდებოდა. ასე იყო ეს  
დიდ ბრიტანეთშიც.

კაპიტალიზმის ნდობის საკითხი იყო  
გარჩეული ბრიტანულ გამოცემაში დაბეჭ-  
დილ **ჯონ პლენდერის** სტატიაში. ამავე  
პრობლემას ეხებოდა მკვლევარი სტიუარტ  
ლენსლი, რომელიც ასკვნიდა, რომ კაპიტა-  
ლიზმის ეკონომიკა შედგებოდა ე.წ. რელ-  
სისგან, ერთი, ეს იყო ჩქაროსნული – სუ-  
პერმდიდრებისათვის და მეორე – შენელებ-  
ული – ყველა დანარჩენისათვის.

ამავე დროს, კაპიტალიზმი იწყებოდა  
თავისი თავის უარყოფას. მის წიაღში წარ-  
მოიშობოდა ახალი სტრუქტურები, რომლე-  
ბიც ინარჩუნებდნენ კაპიტალიზმის ნიშან-  
თვისებებს, მაგრამ, იმავდროულად, უარ-  
ყოფდნენ კაპიტალიზმის სპეციფიკას. აქ  
შეგვეძლო ანალოგია გაგვევლო ფეოდა-  
ლიზმთან, რომელიც თავის დროზე ჩამოყა-  
ლიბდა აგრარული ცივილიზაციის ფუნდა-  
მენტზე და ისტორიული არენიდან წავიდა,  
როგორც ცივილიზაციური განვითარების  
სესაბამისი საფეხური.

მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ,  
რომ თანამედროვე ვითარებაში არ ხდებოდა  
კაპიტალიზმის რევოლუციური უარყოფა  
მარქსის პრინციპით „ექსპლუატირებულები  
ექსპლუატატორთა წინააღმდეგ“, არამედ  
წინწამოწეული იყო უარყოფის ლოგიკა, რო-  
მელიც თავის დროზე გააჟღერა მე-20 საუ-  
კუნის პირველი ნახევრის დიდმა მეცნიერმა,  
**იოზეფ შუმპეტერმა**. ესაა „კონსტრუქციული  
უარყოფის“ ლოგიკა, რომელიც გულისხ-  
მობდა უარყოფას მხოლოდ განვითარების  
გზით. საზოგადოება აუცილებლად დაემშვი-  
დობებოდა კაპიტალიზმს, მისი მიღწევები  
კი, მას ზედმეტს და არასაჭიროს გახდიდა. ამ  
აზრით, სრული საფუძველი გვექონდა  
„კაპიტალიზმის დასასრული“ გამოგვეცხა-  
დებინა, როგორც მისი ტრიუმფი. თუმცა,  
იმავე ლოგიკით, შეიძლება გვემტკიცებინა,

## რომ მოხდა კაპიტალიზმის ტრიუმფიც და ტრაგედიაც.

თანამედროვე კაპიტალიზმის სისტემის ყველაგასულობის შესახებ დაუფარავად ლაპარაკი, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო დასავლეთელმა მეცნიერებმა, პოლიტიკოსებმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება, იყო ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი **ალბერტ გორი**. მის წიგნში „დედამიწა სასწორის თევზზე“ ვკითხულობთ: „ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა სადღესოდ იმდენად არის გაცვეთილი და ბოროტად გამოყენებული, რომ ეროვნული განვითარების გზაზე გონივრული არჩევანის უნარი არ არსებობს. კაპიტალიზმის მოდელი ამოიწურა, ხოლო მისი გამეორება ცივილიზაციას სრულ კრახამდე მიიყვანს“.

უდავოა, სხვადასხვა ეპოქებს აქვთ დაბადებისა და დასასრულის პერიოდი და ზოგადი კანონზომიერებებიდან გამომდინარე, კაპიტალიზმიც ექვემდებარება შეცვლას. ცხადია, ახლა ძნელია გადაჭრით ვიწინასწარმეტყველოთ რა სისტემაში მოუწევს მსოფლიოს მომავალში ცხოვრება, მაგრამ ანგარიშგასაწევია მეცნიერთა (**ი. ფრანგიშვილი**) ვარაუდი იმის შესახებ, რომ, შესაძლოა, ეს იყოს უფრო ჰუმანისტური, საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემა – დასავლური სოციალიზმი ან სოცკაპიტალიზმი, რომელიც, სავარაუდოდ, 400-500 წელს იარსებებდა. აღნიშნულ საზოგადოებაში კი მოხდებოდა კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემის ძირითადი მონაპოვრების შერწყმა. შორეულ მომავალში კი მას ჩაენაცვლებოდა უფრო ზეპიროვნული სისტემა – ჰარმონიული საზოგადოება. თუმცა, მკვლევართა გაანგარიშებით, იგი ხანმოკლე იქნებოდა და მის არსებობას შესაძლოა სულ 100-150 წელი მოეცვა.

ამ კონტექსტში საყურადღებო იყო რუსული ანუ სტალინური სოციალიზმი, რომლის დამარცხება განაპირობა შინაგანმა და საგარეო პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა მიზეზებმა. ამერიკამ შეძლო საბჭოეთი განალეხული შეიარაღების შეჯიბრში „ჩაეთრია“. გაეშალა უძლიერესი

ანტისაბჭოთა კამპანია, ჩაერთო მასში საერთაშორისო ორგანიზაციები; გამოეყენებინა საერთაშორისო მასმედია და პოლიტიკური ძალები, მათ შორის დასავლეთში არსებული კომპარტიებიც.

ცხადია, არსებობდა შინაგანი მიზეზებიც – ერთპარტიულობა, ყველა დონის ბიოროკრატიული ნომენკლატურის არსებობა, სიტყვისა და საქმის შეუსაბამობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესება, ადგილობრივი თვითმმართველობის გაღრმავება ცენტრსა და რეგიონებს შორის, საბჭოეთის რიგ რესპუბლიკებში დისიდენტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება და ა.შ.

საბჭოეთის საბოლოოდ დანგრევის შეჩერება შეუძლებელი ჩანდა, თუმცა ხელისუფლების სათავეში სტალინური ტიპის კადრების მოსვლით (**შელეპინი, ანდროპოვი**) მაინც ვერ მოხერხდა მისი არსებობის გახანგრძლივება.

**სტალინის** შექმნილი „სოციალიზმის ახალი ეკონომიკური თეორია“ და **ბერიას** მიერ შემუშავებული სოციალისტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფო მმართველობის გარდაქმნის ახალი სტრატეგია ითვალისწინებდა სერიოზულ ცვლილებებს საბჭოეთის პოლიტიკაში, მათ შორის იყო:

1. სოციალისტური დემოკრატიის განვითარება;
2. სახელმწიფოებრივი და კერძო საკუთრების ჩამოყალიბება და გამიჯვნა;
3. კაპიტალიზმის და სოციალიზმის დადებითი მონაპოვრების გაერთიანება და დაცვა;
4. საბჭოთა კავშირის კონფედერაციულ გაერთიანებად ჩამოყალიბება;
5. ეკონომიკურად სუსტი და პოლიტიკურად მიუღებელი რესპუბლიკის ჩამოშორება გაერთიანებიდან (ბალტიისპირეთი, სომხეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, მოლდავეთი);
6. კომუნისტური პარტიის როლის შემცირება;
7. გერმანიის გაერთიანება ერთ, ნეიტრალურ სახელმწიფოდ.

აღნიშნული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოდელის განხორციელება ვერ მოხერხდა საშინაო და საგარეო მიზეზების გამო, რაც დაკავშირებული იყო უცხო ქვეყნების ჩარევასთან საბჭოეთის საშინაო საქმეებში და, საბოლოოდ, სტალინის და ბერიას ფიზიკურად განადგურებასთან.

თანამედროვე ვითარებაში კაპიტალიზმის სისტემას დაემუქრა საფრთხე იმ მხრივ, რომ გაჩნდნენ ეკონომიკური სპეკულიანტები, რომლის შესახებ ჯერ კიდევ კეინსი ამბობდა: „იმისათვის, რომ დარტყმის ქვეშ დავაყენოთ კაპიტალიზმის მთელი სისტემა, საკმარისია ჩვეულებრივი ბიზნესმენი გადაიქცეს სპეკულიანტად. მით უმეტეს, სახელდობრ, ამ გზით ინგრევა ფსიქოლოგიური თანასწორობა, რომელსაც საზოგადოება მიჰყავს უთანასწორობისაკენ. ბიზნესმენი იქნება მიღებული მხოლოდ იქამდე, სანამ მისი შემოსავალი შესაბამისი იქნა და აგებული ადამიანების მიერ სოციალურ კეთილდღეობაზე, რომელიც მან მიიღო თავისი შემოსავლებისაგან“.

ცხადია, არსებული რეალობები და მონაცემები კაპიტალიზმის ლეგიტიმურობის საკითხს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა და ეს ეხებოდა ამ სისტემაში გამარჯვებულებს და დამარცხებულებსაც; საერთოდ, სამყაროს წინაშე იდგა დილემა და მოდელების ალტერნატივა არც ისე რეალური იყო.

მართალია, აზიური სამყარო თანდათანობით ხდებოდა ანგლოსაქსური ერთობის სერიოზული კონკურენტი, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი არ ფიქრობდა გაპყობდა ჩინურ მოდელს, რადგან აქ შეიძლებოდა მეტი უთანასწორობა აღმოეჩინათ, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

უდავოა, სინგაპურში ავტორიტარული მმართველობის მიუხედავად, ძლიერ ეკონომიკურ ზრდასთან გვეყონდა საქმე, მაგრამ ელექტორატი ნაკლებად ენდობოდა ხელისუფლებას და არც ჰონგკონგის მოდელი იყო პოლიტიკური და ეკონომიკური მარგალიტი. ასეთ ვითარებაში არსებობდა რამდენიმე არჩევანი:

1. ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარების მარქსისტული გზა – სოციალიზმის მოდელი;

2. კაპიტალიზმის არსებული ფორმის გაუმჯობესება (კეინსი), მაგრამ აშშ-ში, სადაც ცენტრისტული პოლიტიკის შემცვლელად გვევლინებოდა პოლარიზაციის მოდელი, რომელიც გზას უკეტავდა ყოველგვარ დიალოგს და შესაძლო ცვლილებებს, ადამიანები უხალისოდ ღებულობდნენ „დიდი ხელისუფლების იდეას“ და ფიქრობდნენ, რომ ყოველგვარი საბანკო სისტემის რეგულაცია იწვევდა, კიდევ უფრო ღრმა ეკონომიკურ კრიზისს.

ამდენად, სახეზე იყო საბაზრო ეკონომიკის სიმყიფე და მას ვერ შევლოდა მეცნიერთა თეორიები კრიზისის მართვის შესახებ. ვერც კეინსი, ჰიუმან მინსკი, მანი ოლსონი და სხვები ვერ იძლეოდნენ მზა რეცეპტს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მთლიანად განსაკურნავად.

თანამედროვე კაპიტალიზმის დასასრულის საკითხი იმდენად აქტუალური გახდა, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ, ეკონომიკური და მეცნიერული ელიტის წარმომადგენლები მსჯელობდნენ პრობლემის თეორიულ-პრაქტიკულ მხარეებზე. ასეთ ვითარებაში აშშ და ბრიტანეთი შეეცადა მხარი დაეჭირა „მომსახურებაზე ორიენტირებული“ ეკონომიკური მოდელისათვის, რაც გულისხმობდა საშუალო კლასის საზოგადოების გაფართოებას, თუმცა სწორედ აქ იჩინა თავი „ჩინური ფენომენის“ სიძლიერემ, როდესაც იაფი მუშახელის გამოყენების მიზნით მრეწველობის ზოგიერთი დარგი ამერიკიდან ჩინეთში გადავიდა. განვითარდა გლობალური პროტექციონიზმის ახალი ფორმა, რამაც გამოიწვია ჩინური აღმავლობა და დასავლური ქვეყნების ერთმანეთისათვის დაპირისპირება, თუნდაც მათი ტექნოლოგიების ე.წ. „მითვისების“ გზით, ყოველივე ამან მძლავრი დარტყმა მიაყენა ამერიკის ეკონომიკას, რომლის გამოსწორება თითქმის შეუძლებელი გახდა, რადგან წარმოების ყველა მნიშვნელოვანი სფერო ჩინელების ხელში აღმოჩნდა [1].

ჩინურმა სისტემამ, რომელმაც სწრაფად მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რაც არ არის დამახასიათებელი აშშ-ის თანამედროვე ეკონომიკური სისტემისათვის, შესაძლებელი გახადა 2010 წლის მერე ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა გლო-

ბალური კრიზისიდან სწრაფად გამოსულიყო, გაესწრო იაპონიისთვის და მსოფლიოში მეორე ეკონომიკა გამხდარიყო.

დასავლეთში არსებულმა ლიბერალური დემოკრატიის პოლიტიკურ-ეკონომიკურმა იდეოლოგიამ და მემარჯვენეების შეცდომებმა და ანარქიულობამ ხელი შეუწყო „მემარცხენე“ ძალების გაძლიერებას და ხელისუფლების სათავეში მოსვლას ევროპის რიგ ქვეყნებში (უნგრეთი, ჩეხეთი), თანამედროვე კაპიტალიზმმა მალა ასწია უთანასწორობის ხარისხის თამასა და მკვეთრი სხვაობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის, თუმცა ამ დროს არსებობდნენ ჯგუფები, რომლებსაც პოლიტიკურ სისტემასთან უპირატესი წვდომა ჰქონდათ, რასაც საკუთარი ინტერესების ლობირებისთვის იყენებდნენ.

ასეთ ვითარებაში სუსტი იყო საშუალო კლასი, რაც იწვევდა პოპულიზმის გაძლიერებას, კონფლიქტების გაფართოებას, განაწილებაში პრობლემებს და ა.შ., რასაც მოკვებოდა კიდევაც სოციალური და პოლიტიკური მოძრაობის გააქტიურება, მოთხოვნა ხელისუფლების შეცვლის შესახებ, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით – სახელმწიფო გადატრიალებებით და ა.შ.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკურ, ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური ლიბერალიზმის ამერიკული მოდელი დარტყმას აყენებდა რიგით ადამიანებს, ფაქტობრივად, ე.წ. „თეთრ მუშათა“ კლასს – თანამედროვე „პროლეტარიატს“.

ამავე პერიოდში დაიწყო საუბარი ჩინეთის ფენომენზე. ფუკუიამა აცხადებდა, რომ შესაძლებელი იყო ჩინეთის „ახალი გლობალური მოდელის“ შექმნა, თუმცა მოგვიანებით „აწონილ-დაწონილი“ აზრის არმქონე პოლიტოლოგი აღნიშნავდა, რომ „დასავლური სისტემის მორყევის“ მიუხედავად, ჩინური სისტემა ვერ იმუშავებდა მისი უსამართლობისა და ამორალური სისტემის გამო და მალე დადგებოდა ჩინური „არაბული გაზაფხული“. საკამათო იყო მკვლევარის თეზა იმის შესახებაც, რომ „როდესაც ჩინეთის ხელისუფლება შეწყვეტდა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული ხარისხით უზრუნველყოფას, ის დარჩებოდა ამ უზარმაზარი მორალური მოწყვლადობით“.

ამერიკელ ახალგაზრდებში წარმოშობილი მოძრაობების მონაწილეები მიიჩნევენ, რომ კაპიტალიზმის კრიზისის სათავე პოლიტიკურ მმართველობაში იყო საძებნი, როდესაც ხორცელდებოდა ზეგავლენა საზარო პოლიტიკაზე და დემოკრატიული პროცესი, როგორც წესი, უზურპირებული ჰქონდათ კარგად ორგანიზებულ ჯგუფებს, რომლებიც ვერ იცავდნენ ძირითადი მოსახლეობის ინტერესებს და ექიმები, ფარმაცევტები, არქიტექტორები, საჯარო მოსამსახურეები და სხვა სოციალური ჯგუფები ცალკეულ, დახურულ კორპორაციებად ჩამოყალიბდნენ, აკონტროლებდნენ ფასებს და მეტწილად გაურბოდნენ გადასახადების გადახდას, აგროვებდნენ საკმაო ქონებას.

ამერიკის გარდა, განსაკუთრებით შეეხო ეს სხვა სახელმწიფოებსაც, მათ შორის იყო: საბერძნეთი, საქართველო და სხვა ქვეყნები.

ცხადია, ამერიკული სტილის დემოკრატია გულისხმობდა კონსენსუსს სხვა ქვეყნების რეპრესიულ მთავრობებთან, თუ ის არ იყო ამკარად ანტიამერიკული და მკვეთრ წინააღმდეგობაში არ მოდიოდა ამერიკულ პრიორიტეტებთან – ნაციონალურ უსაფრთხოებასთან და საყოველთაო გეოპოლიტიკურ ბალანსთან. ამდენად, სიკეთისა და ბოროტების ამერიკული ქადაგება ყოველთვის მიზნობრივი და პრაგმატიზმის სველი ღრუბლით იყო გაჟღენთილი.

ამერიკა უარს არ ამბობდა ზესახელმწიფოს ტიტულზე და, შესაბამისად, ცდილობდა ყოფილიყო მსოფლიოს მეთაური, მაგრამ 21-ე საუკუნეში მას მეტი ლავირება უნდა გამოეჩინა, რომ მსოფლიო სივრცეში ვაშინგტონის მრავალთავიანი კოშკის მხერვა ნაკლებად მრისხანე და მეტად სასიკეთო ყოფილიყო.

კაპიტალიზმის დასასრულისა და ამერიკის პოლიტიკის ახლებური პრობლემური ხედვა მოცემულია ზბიგნეე ბჟეზინსკის წიგნში „სტრატეგიული ხედვა: ამერიკა და გლობალური ძლიერების საკითხი“.

ამერიკელი მოღვაწე ამ ნაშრომში აპოკალიფსურ სურათს ხატავდა, რომლის მიხედვით ამერიკა ეკონომიკურ ვარდნასთან ერთად პოლიტიკურ უძლურებასა და სტრატეგიულ იზოლაციაში იმყოფებოდა, მაშინ,

როდესაც ჩინეთი ისტორიულ ნახტომს აკეთებდა.

ბუეზინსკი ფიქრობდა, რომ ამერიკის გაუზრებელ საშინაო და საგარეო კურსს, შესაძლოა, ქაოსი გამოეწვია, თუმცა, უახლოესი 20 წლის განმავლობაში მსოფლიო არენაზე ვერ გამოჩნდებოდა ზესახელმწიფო, რომელიც შეიძლება უკანასკნელი წლების ამერიკას შედარებოდა. თუმცა განვითარებული მოვლენები მოწმობდა, რომ მიმდინარეობდა დეცენტრალიზაციის პროცესი და ძალა და გავლენა გარდაუვლად ინაცვლებდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ასეთ ვითარებაში აიცვლებელი იყო გონივრული კომპრომისის მიღწევა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული საკაცობრიო ცივილიზაციის დასასრული.

ბუეზინსკის აზრით, მსოფლიოში ბევრი ფიქრობდა, რომ ამერიკამ თავის თავზე აიღო „მსოფლიო ჟანდარმის“ ფუნქცია. მართალია, საბჭოეთის დაშლის პერიოდში ამერიკის გავლენა აშკარა იყო, მაგრამ შემდეგ მან ვერ შეძლო მსოფლიო გარდაქმნის სათავეში მოქცევა და ამის მიზეზები ასე აიხსნება:

1. მსოფლიოში დაიწყო გლობალური პოლიტიკური გამოღვიძების პროცესი და ხალხებმა ღიად გამოხატეს საკუთარი ეროვნულ-პოლიტიკური თვითშეგნება და მისწრაფებები და, შესაბამისად, გართულდა მსოფლიოს მართვა;
2. დასავლეთის დომინირების ფენომენმა თანდათანობით არსებობა შეწყვიტა.

ისტორია მიგვითითებს, რომ დასავლური დომინირების სათავეში მდგომი ქვეყნები – ესპანეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი – პერიოდულად გამოეთიშნენ მეთაურობას. ასე მოუვიდა ამერიკასაც, სადაც ბოლო წლების მანძილზე შენელდა სახელმწიფოებრივი განვითარება, გაძლიერდა სოციალური უთანასწორობა, იმატა დაპყრობითმა ანუ გავლენის მოსაპოვებლად დაწყებულმა ომებმა და ქვეყანამ თანდათანობით დაიწყო დამშვიდობება თავის წარსულთან.

ამერიკის მიერ გატარებულმა არასწორმა პოლიტიკამ უკონტროლო გახადა ფინან-

სური სისტემა, გაფართოვდა სპეკულაცია და ადამიანთა ცალკეული ჯგუფების უზომო გამდიდრება. შენელდა ინფრასტრუქტურა, უმართავი გახდა ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ჯანდაცვა და, განსაკუთრებით – განათლება. ქვეყანას ტვირთად დააწვა უზარმაზარი სესხები, რის შედეგად დავროვდა ათეული ტრილიონი საგარეო ვალი. „მიდა სირთულეებმა საგარეო პოლიტიკურ პრობლემებამდე მიგვიყვანა. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ჩვენ ზომიერების გრძნობა და მორიდება დავკარგეთ“ – გვაუწყებდა ზ. ბუეზინსკი.

ასეთ ვითარებაში წარსულს ჩაბარდა ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუში-უმცროსის საყვარელი გამოთქმა: „ღმერთმა აირჩია ამერიკა მთელი მსოფლიოს ბელადად“. მით უმეტეს, რეალობას კარგავდა ცნობილი ტერმინიც „ამერიკული ოცნება“. ამერიკელების ახალ თაობას გაუქარწყლდა იმის იმედი, რომ მამების თაობაზე უკეთესად იცხოვრებდა. როგორც ბუეზინსკი გვარწმუნებდა, საშუალო ევროპელს წარმატების მიღწევის მეტი შანსი ჰქონდა ცხოვრებასა და კარიერაში, ვიდრე ამერიკელს [3].

უცხოელი და, მათ შორის, ამერიკელი მკვლევარები მიუთითებდნენ ამერიკული ცხოვრების ნეგატიურ მხარეებზე და მიიჩნევდნენ, რომ:

1. კაპიტალიზმი არ იცავდა მორალურ ფასეულობებს და მხოლოდ მდიდართა ინტერესების გამომხატველ სისტემას წარმოადგენდა;
2. კაპიტალისტური სისტემა მისაღები სახით არ ახდენდა ქონების განაწილებას;
3. არ ხდებოდა რესურსების გონივრულად განაწილება. ნოლო ათეული წლები ამერიკასა და ევროპაში ბატონობდა უთანასწორობა. ეს კი ემუქრებოდა დემოკრატიისა და საზოგადოების განვითარებას, რომელიც საშუალო კლასს ეყრდნობოდა;
4. ამერიკის შემოსავლების სტრუქტურა მესამე სამყაროს ქვეყნების დონეზე იყო, მაგრამ იზრდებოდა მდიდარი ამერიკელების საშუალო შემოსავლები.

ამერიკელი პოლიტოლოგის **ნორმან ორნშტეინის** შეფასებით, 1980 წლიდან, მდიდარი ამერიკელების ქონება გაიზარდა 300 პროცენტით, ხოლო აშშ-ის შრომის სამინისტროს სტატისტიკით, საშუალო შემოსავალი გაიზარდა მხოლოდ 40 პროცენტით. ფიქსირდებოდა ისიც, რომ ეს ზრდა მოხდა ქალების ნაწილის შრომის ბაზარზე გამოსვლით. თუ გამოვრიცხავთ ქალების მიერ მოპოვებულ ამ წყაროს, მაშინ აღმოჩნდებოდა, რომ 30 წლის მანძილზე მამაკაცების საშუალო შემოსავალი სრულიადაც არ იზრდებოდა.

**ჯონ პლენდერის** მტკიცებით, თანამედროვე ეკონომიკაში არსებობდა ორი ხაზი – სწრაფი უმაღლესი მდიდრებისათვის და (შეზღუდული) ყველა სხვისთვის. უცხოელი ექსპერტები გამოყოფდნენ მსხვილი დაწესებულებების ხელმძღვანელთა ხელფასებს, რომელიც არნახულად იზრდებოდა. მათი აზრით, გენერალურმა დირექტორმა შეიძლება მიიღოს 400-ჯერ მეტი, ვიდრე ქვედა დონის თანამშრომელმა, მაშინ, როდესაც 1980 წლამდე ეს თანაფარდობა 40-ის ფარგლებში იყო.

იმავდროულად, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ საბაზრო ეკონომიკა ყველა სხვა სისტემაზე მაღლა იდგა, რადგანც მზად იყო მუდმივად შეცვლილიყო. მის წარმატებას უკავშირებდნენ არა იმას, რომ ის ყოველთვის რჩება ძველ გზაზე, არამედ იმას, რომ მუდმივად იცვლება – წერდა უცხოური გამოცემა „The Financial Times“ სარედაქციო სტატიაში 2011 წლის 27 დეკემბერს.

ამერიკა სერიოზულად იდგა განათლების ხარისხისა და მეთოდოლოგიის პრობლემის გამოსწორების გზაზე ჯერ კიდევ **მა-მა-შვილი ბუმების** სხვადასხვა საპრეზიდენტო ვადების პერიოდებში ათეული მილიარდი აშშ დოლარი გამოიყო განათლებაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. ამერიკული განათლების სისტემის ნაკლოვანებებზე საუბრობდა თავის ცნობილ წიგნებში ამერიკის დღევანდელი პრეზიდენტი – **ბარაკ ობამაც**, რომელმაც ამერიკის საგანმანათლებლო სისტემის გარდასაქმნელად კვლავ გამოყო მილიარდობით დოლარი.

**ბეჯინსკი**, ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველი, თავის წიგნში მოუროდებლად

ეხებოდა ამერიკული განათლების პრობლემასაც. მისი აზრით, ამერიკული დემოკრატია რთულ სამყაროში გადარჩენას ლამობდა გონივრული საგარეო პოლიტიკის განხორციელებით, მაგრამ ეს იმ პირობი იყო შესაძლებელი, თუ ქვეყნის მოსახლეობა გონიერად და ჯანსაღად აზროვნებდა: „უნდა ვაღიარო, რომ ამერიკელი ხალხი უფიცია. მას არავითარი წარმოდგენა არ აქვს გარესამყაროზე. ჩვენს სახელმწიფო სკოლებში არ არის საგანი „მსოფლიო ისტორია“. ჩვენ ბავშვებს ამერიკის პატრიოტულ ისტორიას ვასწავლით, სინამდვილეში კი ეს შელამაზებული „საშობაო“ ისტორიაა, რომელიც შორს არის წარსულის რთული და წინააღმდეგობრივი რეალიებისაგან“. ასეთი იყო ამერიკის განათლების სისტემის ბეჯინსკისეული შეფასება.

ამერიკელი პოლიტოლოგი უმკაცრეს შეფასებას აძლევდა ამერიკის თანამედროვე ისტორიის დამოკიდებულებას ამ კონტინენტის მკვიდრი მოსახლეობის – ინდიელების მიმართაც „ამერიკელებმა უნდა აღიარონ, რომ პირველი ეთნიკური წმენდები „კანონის სახელით“ სწორედ მათ მიწაზე მოხდა! ათასობით ინდიელი აყარეს საკუთარი მიწებიდან პრეზიდენტ **ჯექსონის** დროს და ამერიკის ისტორია ამ ფაქტს გვერდს არ უნდა უვლიდეს“ – აცხადებდა ბეჯინსკი.

ამერიკაში არც გეოგრაფიას წყალობდნენ, მაგალითად, ამერიკული კოლეჯების აბიტურიენტების 52 პროცენტს არ შეეძლო რუკაზე გაერკვია სად მდებარეობდა ნიუ-იორკი. 2003-2010 წლებში უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა 70 პროცენტი რუკაზე ვერ პოულობდა ერაყის სახელმწიფოს, რომელშიც ამერიკა წლების მანძილზე იბრძოდა. მომავალი სტუდენტების 30 პროცენტი რუკაზე ვერ ახდენდა წყნარი ოკეანის იდენტიფიცირებას. **ბეჯინსკის** დასკვნით, ეს და სხვა ფაქტები ადასტურებდა, ამერიკელთა დიდი ნაწილის მეტისმეტად მსუბუქ დამოკიდებულებას ამერიკის საგარეო პოლიტიკის საკითხისადმი, ასევე ზედაპირულად ხდებოდა საერთაშორისო პრობლემატიკის სეთავაზება საჯარო დისკუსიებშიც.

**ბეჯინსკის** პოლიტიკურ და დიპლომატიურ შემოქმედებაში არაერთხელ გაჟღერებულა რუსეთის თემაც. აღნიშნულ წიგნში

ამერიკელი პოლიტოლოგი რუსეთის ფენომენის შესახებ საინტერესო თეზას სთავაზობდა ამერიკის ხელისუფლებას: „**რუსეთს კი არ უნდა ებრძოლო, არამედ შენი გზით წაიყვანო**“. მისი ღრმა რწმენით, თუ აშშ ამ სიბრძნეს გამოიჩენდა, შემდგომი 20-30 წლის განმავლობაში მსოფლიო მნიშვნელოვან ცვლილებებს დაინახავდა ამ ნაწილში. „მათი შედარება გასული საუკუნის 90-იან წლებთან იქნება შესაძლებელი, როცა სრულიად მოულოდნელად შობის დამდეგს საბჭოთა კავშირი დაინგრავს“ – აღნიშნავდა პოლიტოლოგი.

ცხადია, მე-19 საუკუნეში წარმოშობილი ტერმინი „საერთაშორისო ურთიერთობები“, მარტო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარადიგმებს არ მოიცავდა და მეტი მასშტაბურობა მას სხვადასხვა დიდიმა თუ მცირე ომებმა მოუტანეს. ილია ჭავჭავაძეს თუ მოვიშველიებთ, მსოფლიო ჰყავდა „დიდი თუ ოატარა ონავრები“. მათ შორის იყო რუსეთიც, რომელიც არ არღვევდა იმპერიულ ტრადიციას და მისი ორთავიანი არწივის ერთი თავი მუდმივად აკონტროლებდა ქვეყნის შიგნით არსებულ, არც ისე ერთიან, სივრცეს, ხოლო მეორე მკაცრად უმზერდა ახლო ევროპის სამეზობლო ტერიტორიებს, ცენტრალურ აზიას და კავკასიას.

უდავოა, რუსეთი ოდესმე იძულებული გახდებოდა კრემლის „მესამე“ თვალი მოეცილებინა არაბული, აფრიკული და ახლო აღმოსავლური სამყაროსათვის მანამდე კი უნდა დავეთანხმეთ **კისინჯერის** ზოგად დასკვნას იმის შესახებ, რომ „რუსეთი ყოველთვის იქნება მსოფლიო წესრიგის განუყოფელი ნაწილი. რუსეთის წარმოდგენა საკუთარ თავზე, მსოფლიო არენაზე, როგორც ისტორიულ მოთამაშეზე, სერიოზულად უნდა იქნეს მხდევლობაში მიღებული“.

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას იძენდა (თუმცა საკმაოდ მოულოდნელსაც), **ჰ. კისინჯერის** გაქდერებული ფრაზა ამერიკის ტელეარხ „სიენენ“-თან მიცემულ ინტერვიუში: „ნე არ ვფიქრობ, რომ პუტინი ანტიდასავლურად არის განწყობილი. პირველ რიგში, ის რუსი პატრიოტია, რომელიც თავს დამცირებულად გრძნობს

იმის გამო, რაც 1990-იან წლებში ხდებოდა რუსეთში“ [4].

ამას ამბობდა პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც სახელმწიფო მდივნის პოსტ აშშ-ის ორი პრეზიდენტის – **რიჩარდ ნიქსონის** და **ჯერალდ ფორდის** – ადმინისტრაციებში ეკავა. ცნობილია ისიც, რომ **პუტინი** დაახლოებით 20-ჯერ შეხვდა, უკანასკნელად კი – 2012 წლის იანვარში.

**კისინჯერისთვის** კარგად იყო ცნობილი, რომ ჯერ კიდევ 2003 წელს, მსოფლიოს 11 ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მიხედვით, დასტურდებოდა, რომ აშშ იყო ქედმაღლური სახელმწიფო და უდიდეს საფრთხეს უქმნიდა მსოფლიოს მშვიდობას, ვიდრე ჩრდილოეთ კორეა [4].

აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ერთი მხრივ, **კოლინ პაუელის** წყნარი დიპლომატია და **ჯორჯ ზუმის** ფრთხილი წინდახედულება, ხოლო, მეორე მხრივ, რამსფელდის და **დიკ ჩეინის** მებრძოლი განცხადებები და ხმამაღალი შემახილების რიტორიკა, რომელიც ხშირად აღმოჩნდებოდა, რომ შეუსაბამოებაში იყო პრაგმატულ პოლიტიკურ არჩევანთან).

თუმცა უფრო ადრე, 2001 წლის სექტემბრამდე, ერთი თვით ადრე ჩატარებული კვლევის შედეგად ფიქსირდებოდა, რომ დასავლეთევროპელები **ზუმის** ადმინისტრაციის მიდგომას საგარეო პოლიტიკასთან აღწერდნენ, როგორც ცალმხრივს. ორი წლის შემდეგ, ერაყის ომმა განამტკიცა ეს აღქმები.

ახალი საზოგადოების გააზრებისა და მომავლის შესაძლო სურათის შექმნის პროცესს, თან სდევდა მის სახელდებასთან დაკავშირებული პრინციპული დისკუსიები. ერთ-ერთი პირველი, ვინც, 1959 წელს, ახალი ეპოქის შესახებ გამოთქვა მოსაზრება და ის პოსტინდუსტრიულად მოიხსენია, იყო ამერიკელი მეცნიერი – **დ. ბელი**.

ბელი ასახელებდა პოსტმოდერნისტულ, პოსტკაპიტალისტურ, პოსტეკონომიკურ, ინფორმაციულ, პროგრამირებულ, სუპერინდუსტრიულ და სხვა საზოგადოებებს.

ბუნებრივია, ერთი საზოგადოების მეორეთი ჩანაცვლების პროცესი გარდამავალ ეტაპებს ექვემდებარებოდა, ამიტომ შესაძლებელი იყო სპეციფიკური, ნიშან-თვისებებისა და მახასიათებლების გამოვლენა.



ნიშანდობლივია, რომ კაპიტალიზმი თვითონ მოიცავდა სოციალიზმს და ეს უკანასკნელიც შორს არ იყო კაპიტალიზმის ღირებულებებისაგან; სხვა საკითხია საბჭოური სოციალიზმი, რომელიც ცდილობდა განთავისუფლებულიყო არა მარტო კაპიტალიზმის, არამედ ფეოდალიზმის ნარჩენებისაგან, რომელიც საკმაოდ იყო რუსეთის იმპერიაში.

თუ ავიღებთ აქსიომად, რომ მთლიანობაში რუსეთში არ არსებობდა სრულყოფილი ფეოდალური სისტემა, სოციალური ხასიათის გადატრიალებას იმპერიაში კრახი უნდა განეცადა, რაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული სტალინს. ამიტომ მან შეიმუშავა რუსული სოციალიზმის თეორია ანუ სტალინისტური სოციალიზმი, რომელიც გამომდინარეობდა რუსული კლასობრივი და ფეოდალური არსიდან და ევროპული სოციალიზმის ცალკეული ღირებულებებიდან. თუმცა, ყველასათვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ უსტალინოდ იგი ნგრევას დაექვემდებარებოდა.

უდავოა, საბჭოთა კავშირი იყო სტალინური იმპერია, რომლის მართვა, არსებითი გარდაქმნების გარეშე არავის შეეძლო, ხოლო ეს ძირეული სახეცვლილებები მხოლოდ სტალინს ან მასთან აზროვნებით და საქმიანობით ძალიან მიახლოებულ ლიდერს უნდა განეხორციელებინა.

ერთადერთი პიროვნება, ვინც შეძლება შეენარჩუნებინა საბჭოეთი იმპერიული კაპიტალიზმისა და იმპერიული სოციალიზმის შერწყმით, ეს იყო ლავრენტი ბერია, თუმცა იმდროინდელი რუსული პოლიტიკური და სამხედრო ელიტა არ აღმოჩნდა მზად ეს მისია შეესრულებინა და ისევ მეორე გამოჩენილი ქართველის ხელით.

აღსანიშნავია, რომ სტალინისა და ბერიასეული სოცკაპიტალიზმის თეორია, შემდეგ პრაქტიკულად განორციელდა ჩინეთის მათ ძე დუნისა და დენ სიაოპინის მიერ. ეს თეორია, გარკვეული გათვლებით, მისაღები აღმოჩნდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიასთვის, რომლის თეზა – „არც სოციალიზმი და არც კაპიტალიზმი“ – ითვალისწინებდა ამ სისტემების დადებითი ღირებულებების თანხვედრას თუ შერწყმას.

ისტორიის კანონზომიერების ხაზის განვითარება სხვადასხვაგვარია აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური ტრადიციებისათვის. შესაბამისად, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის გზამ ამ ორ კანონზომილებაში განსხვავებული ღირებულებები შეიძინა.

კაპიტალიზმში, ისევე როგორც, სოციალიზმში, ჯერ კიდევ ბევრი იყო გამოუყენებელი შესაძლებლობები და, შეიძლება ითქვას, ისინი ერთმანეთისაგან გამომდინარეობდა და ერთმანეთისკენაც მიემართებოდა, ებრძოდნენ, მაგრამ არც უარყოფდნენ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს ანუ პარადიგმებიც იყო და დილემაზეც.

თანამედროვე ეტაპზე ამერიკა არ იყო მზად ცალმხრივი წესით განეხორციელებინა გლობალური საშინაო და საგარეო ცვლილებები დაშეეცვალა დანარჩენი მსოფლიო.

განსაკუთრებულობას, რომელიც ვილსონის საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი იყო, თავისი მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა და, შესაბამისად, არ წარმოადგენდა ერთადერთ ზესახელმწიფოს, რადგან ამ „ტიტულზე“ პრეტენზიას აცხადებდნენ: რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია, თურქეთი, ბრაზილია და სხვა რეგიონალური სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობდნენ აქტიურად ჩაბმულიყვნენ მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში.

თუ ერთ ევროპულ გამოთქმას გამოვიყენებთ – „მგზავრის გზა არ არსებობს, მას თავად მგზავრი ქმნის“, შესაბამისად, არ არსებობდა ქვეყნისთვის შექმნილი გზაც და ის თვითონ ქვეყანას უნდა მოეძებნა.

არც ევროკავშირი იყო მყარი ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაცია. „ლისაბონის სტრატეგიამ (2001 წ.) ერთობლივობით განევიტარებინათ ეკონომიკა, ვერ გაამართლა. ევროპული „კოლექტიური იდენტობა“ ვერ შედგა, ნაციონალური საზღვრების ადვილად „გადალახვის“ დემონსტრირებამ, ბევრი ვერაფერი შესძინა ევროპული ქვეყნების თანამეგობრობას. სამართლიანად შენიშნავდა ცნობილი გერმანელი მეცნიერი უ. ბეკი: „ჩვენ, ევროპელებს საქმე მიგვყავს, თითქოს ახლაც არსებობენ გერმანია, საფრან-

გეთი, იტალია, ჰოლანდია და სხვები. თუმცა, სინამდვილეში, იმ სახით, როგორც ეს ქვეყნები არსებობენ ადამიანთა თავებში, ისინი უკვე რა ხანია არ არის“.

ცხადია, ევროპაშიც, ბევრს ლაპარაკობდნენ სოციალური კაპიტალიზმის აღმავალ ფუნქციებზე, რომლის ფორმირება უნდა მომხდარიყო ნდობის საფუძველზე და პოსტინდუსტრიული ეკონომიკისათვის. ეს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იქნებოდა. თუმცა, ევროკავშირი – ერთ-ერთი, ასე თუ ისე, მოწყვლადი პოზიციის მატარებელი იყო. სამართლიანად წერდა ერთ-ერთი დასავლური გაზეთი: „ევროკავშირში არ არსებობს იდენტობის გრძნობა, არ არის საერთო ისტორიული მეხსიერება. რჩება უნდობლობა ერთი ქვეყნისა მეორისადმი; ჩრდილოეთ ევროპელებს არ ესმით, სამხრეთმა როგორ შეძლო გამხდარიყო ასეთი ხელგამწილი თუ მფალნგველი“.

გლობალური მსოფლიოს იდეოლოგიების აზრით, ევროპის სახელმწიფოებს (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი და ა.შ.) ზღუდავდა სახელმწიფო საზღვრები. გლობალისტური იდეოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი გასეტი თავის გახმაურებულ ნაშრომში „მასების ამბოხი“ (1930 წ.) მიუთითებდა, რომ „ინგლისელი“, „გემანელი“, „ფრანგი“, ნიშნავდა პროვინციელს, ნობელის პრემიის ლაურეატი ამერიკელი მწერალი ქალი ჰ. ზაკი. 1965 წელს გამოცემულ წიგნში საუბრობდა მსოფლიო მთავრობის შექმნის, ერობულ სახელმწიფოთა უფლებამოსილების შეზღუდვის, მსოფლიო საერთო პოლიტიკური და სამხედრო სისტემის შექმნის აუცილებლობაზე.

დაახლოებით, ანალოგიურად მსჯელობდა აინშტაინიც: „მე მთელი არსებით მჯერა, რომ სუვერენულ ერთა არსებულ სისტემას მიყვარათ მხოლოდ ომისაკენ, ბარბაროსობისაკენ, მხოლოდ მსოფლიო სამართალს შეუძლია პროგრესისაკენ წარმართოს ცივილიზაცია“.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე ტელბოტი, 1992 წელს ჟურნალ „თაიმსში“, ასეთ მოსაზრებას გამოთქვამდა: „მე ვაცხადებ, რომ შემდეგი ასწლეულის (21-საუკუნე – ი. კ.) მანძილზე ეროვნულობა, თავისი ახლანდელი გაგებით, მოძველდება“.

„ყველა სახელმწიფო ცნობს ერთადერთ გლობალურ ხელისუფლებას. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მოდური სიტყვები – „მსოფლიო მოქალაქე“ – 21-ე საუკუნეში შეიძენს ჭეშმარიტ მნიშვნელობას“.

სწორედ ამ პრობლემისადმი „დასავლეთური“ აზროვნების არსებობა, შესაძლებლობას აძლევდა საქართველოს პოლიტიკური კლასის გარკვეულ ნაწილს ეფიქრა, რატომ არ გამოდიოდა დასავლეთი კატეგორიულად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოთხოვნით და მხარს უჭერდა საქართველოს კონფედერაციულ მოწყობას, ან მიანიშნებდა საქართველოს ხელისუფლებას ეცნო სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა.

გერმანიის ყოფილი ფინანსთა მინისტრი ტ. ვაიგელი 2011 წელს, გაზეთ „Die Welt“-ში გამოქვეყნებულ წერილში გამოკვეთდა, რომ ევროპაში არსებობდა ევროკავშირის მთავარი ქვეყნები, სახელმწიფოები, რომლებიც ევროკავშირის უბრალო წევრები იყვნენ და შეეძლოთ ყოველ წუთს შესულიყვნენ სავალუტო კავშირში. ასეთ ვითარებაში შესაძლებელი იყო ევროკავშირის ცენტრალიზაციის დაშლის დაწყება და მოძრაობის გაშლა დეცენტრალიზაციის გონივრული მიმართულებით, მრავალწყობიან, სხვადასხვა დონის ფუნქციონირებად, უპირატესობის მქონე, ჰორიზონტალური კავშირების საფუძველზე მოქმედ სისტემასთან.

ეს პროცესი ევროპაში დაწყებული იყო და საქმე ეხებოდა პრინციპულად ახალი ინტეგრაციული მოდელის რეალიზაციას და პერსპექტივას, როდესაც პროცესის მონაწილე თითოეული ქვეყანა შეძლებდა შეენარჩუნებინა სუვერენული უფლება და დარჩენილიყო საკუთარ თავთან (ინგლისი, უნგრეთი, საბერძნეთი, პოლონეთი და ა.შ.) [5].

მკვლევარები იმ აზრსაც გამოთქვამდნენ, რომ მსხვილმასშტაბურობის და დომინანტობის დრო წარსულს ბარდებოდა და უმჯობესი იყო ევროკავშირი ყოფილიყო პატარა, მაგრამ უფრო მეტად მოძრავი და ანგარიშგასაწევი ძალა.

ვაიგელი იმ აზრსაც აფიქსირებდა, რომ „ევროპული კავშირი იმ ათასწლოვანი ომის დასასრული იყო, რომელსაც ყველა ყველას წინააღმდეგ აწარმოებდა. ევროკავშირი წარ-

მოიდგინებოდა სამოთხედ მთელი კონტინენტის მცხოვრებთათვის, როგორც ევროპული ისტორიის ოქროს საუკუნის აღმნიშვნელი“.

თუმცა ასე არ ფიქრობდნენ სხვა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთა მტკიცებით ამ სიტყვებს თითქმის არაფერი ჰქონდა საერთო რეალობასთან. მათ მოჰქონდათ მონაცემები იმის შესახებ, რომ პორტუგალიელები ყოფილ კოლონიებში, ანგოლაში გარბოდნენ სამუშაოს საშოვნელად და პორტუგალიის, საბერძნეთის, ესპანეთის, იტალიის 25 წლამდე ახალგაზრდების ნახევარი უმუშევარი იყო.

ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი მარია დრაგი აცხადებდა, რომ „ევროპული სახელმწიფოს ნაქებმა სოციალურმა მოდელმა საკუთარი თავი ამოწურა“. საბერძნეთი გაკოტრდა, პორტუგალია არაოფიციალურად გაკოტრებულია. ესპანეთი და იტალია ამ ეტაპზე ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში უყვნენ, მაგრამ ევროპის პრობლემების სწრაფი გადაწყვეტის საშუალებები არ არსებობდა.

ევროპის კრიზისის გამწვავებაში უარყოფით როლს ასრულებდა ამერიკა, რომელიც ცდილობდა დატაკი აღმოსავლეთ ევროპა რუსეთისაგან ჩამოეცილებინა და დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში შეეყვანა. ევროკავშირის ასუსტება ევროპული ერების თვითმფენების გაძლიერებაც და სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმის გაფართოება შიდა სეპარატისტული ტენდენციებით.

ევროკავშირის და, შესაბამისად, ევროს პრობლემა მიბმული იყო ამერიკული დოლარის პარადიგმასთან. პოლიტიკის ექსპერტებს უყურადღებოდ არ რჩებოდა ფაქტი, რომ ამერიკელები მსოფლიო მოსახლეობის 5 პროცენტზე ნაკლებს მეტს მოიხმარდნენ. ცხადია, ვაშინგტონი ცდილობდა დოლარი მსოფლიო ვალუტად ექცია, როგორც ირკვეოდა მთლიანობაში დაბეჭდილი იყო უზარმაზარი თანხა – 1 კვადრილიონ 420 ტრილიონი დოლარი, რაც ბევრად მეტი იყო ვიდრე თვითონ მსოფლიოს შიდა პროდუქტი. თითოეული ამერიკელ 10-ჯერ მეტს მოიხმარდა, ვიდრე დედაამიწის საშუალო სტატისტიკური მაცხოვრებელი, ევროპელების

ჩათვლით. ცნობილი იყო, რომ აშშ მოხმარებული პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილს აწარმოებდა და საყურადღებო რჩებოდა, რომ ამერიკელებმა საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის ცნობილი ქმედების სანაცვლოდ მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც, აშშ-ის საზღვრებს გარეთ ბრუნვაში არსებული დოლარის კუპიურების ოქროთი უზრუნველყოფა არ მოხდებოდა. ამდენად, ამერიკელები დოლარის განმტკიცებას სხვა ქვეყნებში სამხედრო ძალით ან ეკონომიკური საშუალებებით ცდილობდნენ. თუმცა, მსოფლიო „დოლარიზაციის“ წინააღმდეგ დაწყებული იყო სერიოზული მოძრაობა ჩინური ოქროს – იუანის, არაბული ოქროს დინარის და რუსული რუბლის გაძლიერების მიზნით.

ვითარებაში, როდესაც ამერიკელები მხარს უჭერდნენ „ოქროს მილიარდის“ ფორმულას, დანარჩენი კაცობრიობა სიღარიბეში ცხოვრობდა და გამოირცხული არ იყო დოლარიზაცია მსოფლიოს გადაქცევა ისეთ დილემად, რომელსაც შეიძლება მოჰყოლოდა ახალი მსოფლიო ომი და მომხდარიყო გამარჯვებულთა მიერ მსოფლიოს ახალი გადანაწილება.

საფრანგეთის გაზეთი „ლე მონდი“ 2012 წლის 26 იანვარს გამოქვეყნებულ სტატიაში „წმინდა კაპიტალიზმის კრიტიკა“, რომელსაც საფუძვლად ედო ექსპერტების გამოქვეყნებული მოსაზრებები საბაზრო ეკონომიკის პრობლემებზე, პაექრობაში რთავდა მსოფლიოს ყველა რეგიონის მიმომხილველებს, ეკონომისტებს, მეწარმეებს და პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომელიც ასე იყო დასათაურებული – „კაპიტალიზმი კრიზისში“.

ექსპერტთა მიერ კეთდებოდა დასკვნა, რომ 80-იანი წლების შემდეგ ფორმულა – ულტრალიბერალური და არარეგულირებული კაპიტალიზმი არ მუშაობდა და განსაკუთრებით ეხებოდა ეს 2008 წელს განვითარებულ პროცესებს, რომლებმაც შეარყიეს მსოფლიოს ეკონომიკური ერთობა.

აშშ-ის რეალპოლიტიკის ცენტრის მიერ ჩატარებული და გაზეთ ნიუ-იორკ თაიმსის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგები ცხადყოფდნენ, რომ ამერიკის კონგრესის 535 წევრიდან, 250 მილიონერი იყო. შეიმჩნეოდა სხვაობა დეპუტატებსა და დანარჩენ მოსახ-

ლეობას შორის, მაგ., კონგრესმენტა სუფთა შემოსავალი წელიწადში შეადგენდა ერთ მილიონ დოლარს, შეძლებული ამერიკელი კი მხოლოდ 100 ათასი დოლარის მფლობელი იყო. საგრძნობლად ნაკლები იყო რიგითი ამერიკელის წლიური შემოსავალი. კონგრესმენტა შემოსავალი 7 წლის განმავლობაში 15 პროცენტით გაიზარდა, ხოლო საშუალო კლასის – უცვლელი დარჩა.

სენატორები და წარმომადგენელთა პალატის დეპუტატები მუდმივად იყენებდნენ „ნაცნობთა წრეს“ და ახალ კავშირებს საკუთარი კაპიტალის გასაზრდელად.

**თანამედროვე ვითარებაში არსებობდა შესაძლებლობა ქვეყნებს აერჩიათ ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარების მარქსისტული გზა – სოციალიზმის მოდელი ან დაბრუნებოდნენ კეინსის ფორმულირებას და გაეუმჯობესებინათ კაპიტალიზმის არსებული ფორმა.** თუმცა მაკროეკონომიკურ ქვეყანაში, კერძოდ, აშშ-ში, სადაც ცენტრისტული პოლიტიკის შემცვლელად პოლარიზაციის მოდელი გვევლინებოდა, რომელიც გზას უკეტავდა ყოველგვარ დიალოგს და შესაძლო ცვლილებებს, ადამიანები უხალისოდ ღებულობდნენ „დიდი ხელისუფლების“ იდეას და ფიქრობდნენ, რომ ყოველგვარი საბანკო სისტემის რეგულაციას მივყავდით კიდევ უფრო ღრმა ეკონომიკურ კრიზისამდე.

საბაზრო ეკონომიკის სიმყიფეს ვერ შველიდა მეცნიერთა თეორიები კრიზისი მართვის შესახებ; **კეინსი, ჰიუმან მიწსკი, მანკი ოლსონი** და სხვები ვერ იძლეოდნენ მზა რეცეპტს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მთლიანად განსაკურნავად.

თანამედროვე კაპიტალიზმის დასასრულის საკითხი იმდენად აქტუალური გახდა, რომ მსოფლიოს პოლიტიკური, ეკონომიკური და მეცნიერული ელიტის წარმომადგენლები იძულებული გახდნენ დაბრუნებოდნენ პრობლემის თეორიულ-პრაქტიკულ მხარეებს. ბევრი იხსენებდა, რომ აშშ-მ და ბრიტანეთმა, თავის დროზე, მხარი დაუჭირა „მომსახურებაზე ორიენტირებულ“ ეკონომიკურ მოდელს, რაც გულისხმობდა სწრაფად სიარულს პოსტინდუსტრიულ სამყაროში და საშუალო კლასის საზოგადოების გაფართოებას, თუმცა აქ გა-

მოჩნდა „ჩინური ფენომენი“, როდესაც მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებშიც ეს ადამიანები მუშაობდნენ ამერიკიდან ჩინეთში გადავიდა, იაფი მუშახელის გამოყენების მიზნით. ასეთ ვითარებაში გლობალური პროტექციონისმიმის ახალმა ფორმამ ანუ ამერიკის მიერ ჩინეთისათვის მსოფლიოს დიდი ნაწილის დეინდუსტრიალიზაციის დაშვებამ გამოიწვია ჩინური აღმავლობა და დასავლური ქვეყნების ერთმანეთისათვის დაპირისპირება, თუნდაც მათი ტექნოლოგიების ე.წ. „მითვისების“ გზით.

თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის იდეოლოგი, ამერიკელი მეცნიერი **ფ. ფუკუიამა** ფიქრობდა, რომ დასავლეთში მოკლევადიანი ინტერესებიდან გამოდიოდნენ და ცდილობდნენ დაესწროთ სხვებისთვის და ფული ჩინეთიდან ზიზნესით ეშვავათ, თუნდაც ის ზიანის მომტანი ყოფილიყო. ამ ტენდენციამ მძლავრი დარტყმა მიაყენა ამერიკის ეკონომიკას და მისი გამოსწორება თითქმის შეუძლებელი ხდებოდა, რადგანაც წარმოების ყველა მნიშვნელოვანი სფერო ჩინელების ხელში იყო.

არ უნდა იყოს პარადოქსული, რომ ავტორიტარული სისტემები მსოფლიოში სულ უფრო მეტად პოპულარული ხდებოდა. **ფუკუიამას** მოჰქონდა გერმანელი საქმოსნების მაგალითი, როდესაც ისინი კომუნისტურ ჩინეთში მოგზაურობის შემდეგ მოიხიბლნენ ამ სისტემით, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა სწრაფად მიეღოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რაც არ იყო დამახასიათებელი ამერიკის ეკონომიკური სისტემისათვის. თუნდაც ჩინეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილებას შეემცირებინა ეკონომიკის ზრდა და ხელი შეეწყო ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის. ერთი მხრივ, ეს ემსახურებოდა რეფორმების რეალიზაციის სტიმულირებას და ეკონომიკის განვითარების ხარისხის ზრდას. მეორე მხრივ, მიმართული იყო ინფლაცია დაბალ დონეზე შენარჩუნებისა და გაემყარებინა ეროვნული ვალუტა – იუანი.

მით უმეტეს, 2010 წლის შემდეგ ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა გლობალური კრიზისიდან სწრაფად გამოვიდა და ზრდის ორნიშნა ტემპებით გაასწრო ია-

პონიას და გახდა მსოფლიოში მეორე ეკონომიკა.

**ფუკუამას** აზრით, ჩინეთი შეიძლება ახალ გლობალურ მოდელად ქცეულიყო, თუმცა ეს დებულება ეწინააღმდეგებოდა მის თეზის იმის შესახებ, რომ ჩინეთი ვერასოდეს გახდება გლობალური მოდელი. მისი მტკიცებით: „**დღევანდელი დასავლური სისტემა მართლაც მოირყა ზოგიერთ ფუნდამენტურ ნაწილში, მაგრამ ვერც ჩინური სისტემა იმუშავებდა. ეს უაღრესად უსამართლო და ამორალური სისტემაა, სადაც ნებისმიერს შეიძლება წამებაში წაართვან ყველაფერი, სადაც ადამიანები იღუპებიან სარკინიგზო ინციდენტებში საზოგადოებრივი კონტროლის უქონლობის და გაუმჭვირვალობის გამო, სადაც კორუფციაა გაბატონებული. ჩვენ უკვე ვხედავთ უზარმაზარ პროტესტს ჩინეთის ყველა ნაწილში“.**

ამერიკელი მეცნიერის ეს დებულება არამეცნიერულ სიმსუბუქეს უფრო მეტად შეიცავდა, ვიდრე აწონილ-დაწონილ აზრს. ფუკუამას მიერ ნახსენები, ჩინეთისათვის დამახასიათებელი ნეგატიური შტრიხები, მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის იყო დამახასიათებელი და, მათ შორის, შეერთებული შტატებისთვისაც. ამასთან, არც ისე ახლოს ჩანდა პოლიტოლოგის ოცნება, ჩინეთის „არაბული გაზაფხულის“ შესახებ. საკამათო იყო მისი თეზისი იმის შესახებაც, რომ „როდესაც ჩინეთის ხელისუფლება შეწყვეტს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული ხარისხით უზრუნველყოფას, ის დარჩება ამ უზარმაზარი მორალური მოწყვლადობით“.

ფუკუამა ვერ ხედავდა მემარცხენეთა ამბოხის მზარდ საშიშროებას დასავლეთში და ნაკლებად იცნობიერებდა, რომ გამორიცხული არ იყო ლიბერალური დემოკრატიის პოლიტიკურ-ეკონომიკური იდეოლოგია „მემარცხენეთა“ ამბოხს კი არ დაემარცხებინა, არამედ „მემარჯვენეების“ და ლიბერალური დემოკრატიის შეცდომებს და ანარქიულობას.

თანამედროვე კაპიტალიზმის სერიოზული ხარვეზი იყო წამყვან სახელმწიფოებში უთანასწორობის ხარისხის განსაკუთრებული სიმაღლე. ამის მიზეზად კი სახელდება შემოსავლების უთანაბროდ განაწილება და მკვეთრი სხვაობა მდიდრებ-

სა და ღარიბებს შორის. ასეთ შემთხვევაში ადამიანი თავს საზოგადოების ნაწილად ვერ მოიაზრებდა და, შესაბამისად, ნდობის ხარისხის დაბალი იყო. თუმცა ამ დროს არსებობდნენ ჯგუფები, რომლებსაც პოლიტიკურ სისტემასთან უპირატესი წვდომა ჰქონდათ, რასაც საკუთარი ინტერესების ლობირებისთვის იყენებდნენ.

საშუალო კლასის სისუსტე აძლიერებდა პოპულიზმს, აფართოებდა კონფლიქტებს და ქმნიდა გადანაწილების პრობლემებს, რომლებიც თანამედროვე კაპიტალიზმის თანხვედრი მოვლენა იყო, რასაც მოჰყვა სოციალური მოძრაობის გააქტიურება ლოზუნგით: „დაიკავე უოლ-სთრითი“.

თავის დროზე პრეზიდენტ ობამას, მდიდრებისათვის უფრო მაღალი გადასახადების დაწესების გამო, „ვეროპელ სოციალისტს“ უწოდებდნენ; ამით ამერიკის ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა და ქვეყანაში ახალი „დიდი დეპრესიის“ ტენდენციები გაჩნდა, თუმცა მემარცხენე ფლანგის გააქტიურება მდიდრების წინააღმდეგ არ გამოკვეთილა, მით უმეტეს, უოლ-სთრითზე დაწყებულმა კრიზისმა და ფინანსების ლიბერალიზაციის ამერიკულმა მოდელმა საშინელი დარტყმა მიაყენა რიგით ადამიანებს და უფრო გაამდიდრა ქვეყნის ყველაზე მდიდარი ნაწილი – ფინანსური სექტორი.

აშშ-ში განვითარებული მაშინდელი კრიზისი „დიდი დეპრესიაში არ გადაზრდილა“. ნობელის პრემიის მფლობელები: **ბრონერი, თაორი, ლაზარევი** და სხვები აშშ-ის ადმინისტრაციას ურჩევდნენ ეკონომიკა სახელმწიფო რელსებზე გადაეყვანა და თავიდან აეცილებინა ახალი დეპრესია.

**60-70-იან წლებში ამერიკელები ფიქრობდნენ, რომ წარსული უფრო მომხიბლავი იყო, ვიდრე აწმყო, მაგრამ სჯეროდათ მომავლის აღმავლობის, თუმცა 80-იანი წლების დასაწყისისათვის ამერიკელთა უმრავლესობა აწმყოს წარსულზე უარესად მიიჩნევდა, მაგრამ უფრო უარესს მოელოდა მომავლისაგან. ამდენად, ამერიკულ საზოგადოებრივ აზრში იკვეთებოდა გარკვეული ისტორიული შემობრუნება ანუ უკუსვლა ტრადიციული ამერიკული ოპტიმიზმისაგან.**

ამერიკას, სხვა ქვეყნების მსგავსად, ჰქონდა ღირებულებები: პოლიტიკური დე-

მოკრატია, ადამიანის უფლებები, სასამართლოს გამჭვირვალობა და ა.შ., რომლებიც მიმზიდველობის ძლიერი წყარები იყვნენ, თუმცა საკმარისი არ იყო მათი მხოლოდ გახმოვანება და თუ ამერიკული ღირებულებები მიჩნეული იქნებოდა თვალთმაქცობად, ნაკლებად სავარაუდო იყო ქვეყნებს აშშ-ის დახმარება მოენდომებინათ პოლიტიკური მიზნების მიღწევაში.

ამერიკული ღირებულებები მისაღები არ იყო ბევრი ხალხისთვის, ამერიკულ ფემინიზმს, ღია სექსუალურობას, გამოკვეთილ ინდივიდუალობას და ა.შ. მკვეთრად ეწინააღმდეგებოდნენ კონსერვატიული საზოგადოებების წარმომადგენლები.

ცალკეულ რელიგიურ ფუნდამენტალისტებს სძულდათ შტატები გულახდილობის, ტოლერანტობის და შესაძლებლობების ღირებულებების გამოც, თუმცა არსებობდა სხვა შეხედულებებიც. მაგალითად, ცნობილია ჩინელი მწერლის რეაქცია 2003 წელს, როდესაც ის არ დაეთახმა მთავრობის კრიტიკას შეერთებული შტატების მისამართით.

1991 წელს ჩეხები, პოლონელები, უნგრელები და ბულგარელები არ იზიარებდნენ ამერიკის ეკონომიკურ მოდელს. გერმანული, მარშალის ფონდის მიერ 2003 წლის ივნისში ჩატარებული გამოკითხვით ევროპელებს და ამერიკელებს ჰქონდათ განსხვავებული სოციალური და კულტურული ღირებულებები.

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი **ოლვინ ტოფლერი** ასე ახასიათებდა იმდროინდელ ამერიკულ საზოგადოებრივ ყოფას: „ჩვენს წიაღში მწიფდება რაღაც უცნაური, ახალი საზოგადოება. ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში შეიძლება შეამჩნიო რაღაც ავამყოფობის ნიშნები. ეს ავადმყოფობა სულ უფრო გამოვლინდება ჩვენს კულტურაში, ჩვენს ფილოსოფიაში, ჩვენს დამოკიდებულებაში რეალობისადმი. არაა გასაკვირი, რომ ბევრი ჩვენს საზოგადოებას შეშლილთა სახლს უწოდებს. ხშირად გვეჩვენება, რომ ჩვენი საზოგადოება რღვევის პირასაა“. თუმცა, **ბარაკ ობამა** სხვა გზით მიდის, მით უმეტეს, მისი გუნდის ზოგად შეხედულებებს მისი მხარდამჭერი დიდი ბანკები აყალიბებენ.

ამერიკაში წარმოშობილი მასობრივი მოძრაობის მონაწილე ახალგაზრდების ნაწილი ფიქრობდა, რომ პრობლემების სათავე ხელისუფლებაში იყო, რომელიც ისეთ ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეოლოგიას უჭერდა მხარს, რომელიც განსხვავებულ ეკონომიკურ წესრიგს არ მოიწოდებდა, თუმცა ამერიკაში საუბრობდნენ გერმანულ მოდელზეც, რომელიც შტატებთან შედარებით, ბევრად უკეთ იცავდა საკუთარ საწარმოო ბაზას – მშრომელთა კლასს. შესაბამისად, გერმანიის ხელისუფლება კონკურენციის მიმართ კეთილგანწყობილი იყო და აფართოებდა სოციალური დაცვის მექანიზმებს.

ცხადია, კაპიტალიზმის კრიზისის სათავე პოლიტიკურ მმართველობაში იყო. მით უმეტეს, ხორციელდებოდა ზეგავლენა საბაზრო პოლიტიკაზე. მაგალითად, **ფუკუიამა** აღიარებდა, რომ დემოკრატიული პროცესი უზურპირებული ჰქონდათ კარგად ორგანიზებულ ჯგუფებს, რომლებიც ძირითადი მოსახლეობის ინტერესებს არ იცავდნენ. აღნიშნულის მაგალითი იყო საბერძნეთი, სადაც ექიმები, ფარმაცევტები, არქიტექტორები, საჯარო მოსამსახურეები და სხვა სოციალური ჯგუფები ცალკეულ დახურულ კორპორაციებად ჩამოყალიბდნენ, აკონტროლებდნენ ფასებს და გაურბოდნენ მეტწილად გადასახადების გადახდას. შესაბამისად, მათ შეძლეს საკმაო ქონების დაგროვებაც, მაგრამ საბერძნეთის ნაციონალური გაკოტრება გარდაუვალი გახდა.

ქრისტიანმა ევანგელისტმა **ფრანკლინ გრამმა** ისლამს უწოდა „ძალიან უზნეო და ბოროტი რელიგია“. ზოგიერთმა ამერიკელმა ისლამი გამოიყვანა როლში, რომელიც კომუნიზმისა და საბჭოთა კავშირის მიერ იყო ნათამაშები. ბაპტისტური კონვენციის უკანასკნელმა პრეზიდენტმა **მუჰამედი** დაახასიათა როგორც „ემმაკეული პედოფილი“. ასეთი კომენტარები არ ლაპარაკობს ამერიკის სასარგებლოდ, მით უმეყეს, რელიგია არის ორპირი ხმალი, როგორც ამერიკული „რბილი ძალის“ წყარო და როგორც ჭრის იგი, დამოკიდებულია იმაზე, ვინც მას ფლობს“.

ამერიკელების ღირებულებები ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში არაერთგზის მოექცა ადამიანის უფლებების

დამცავი საერთაშორისო ორგანიზაციის პოლიტიკის არეალში და შტატები დაადანაშაულებს ფარისევლობაში, რომელიც ძირში ჭრიდა საკუთარ პოლიტიკას და საკუთარ თავს „სუსტ პოზიციაში“ აყენებდა. ასეთი კრიტიკა მოდიოდა კონსერვატიული, პრო-ამერიკული წყაროებიდან. ამერიკას იმაშიც აკრიტიკებდნენ, რომ ამერიკული დემოკრატიის ხასიათი შეიცვალა და თუ ქვეყნების უმეტესობამ 11 სექტემბრის შემდეგ აირჩია ბალანსის რეგულირება თავისუფლებასა და უსაფრთხოებას შორის, ამერიკაში რეგულირება გასცდა უბრალო ცუდად მუშაობის იმ წერტილს, სადაც ფუნდამენტურ ღირებულებებს შეიძლებოდა საფრთხე შექმნოდა. ამასობაში პრეზიდენტი ბუში დადანაშაულდა „ჩრდილოვანი“ სასამართლო სისტემის დაფუძნებაში, რომელიც მიუწვდომელი ხდებოდა კონგრესისა და ამერიკის სასამართლოსთვის.

აშშ გამოირჩეოდა საგარეო პოლიტიკის არსითა და მიმართულებებით. ყველა ქვეყანა მიჰყვებოდა ეროვნულ ინტერესებს საგარეო პოლიტიკაში, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო როგორ განისაზღვრებოდა ეროვნული ინტერესები – ფართოდ თუ ვიწროდ. ღირებულებების მატარებელი პოლიტიკა ყოველთვის მიმზიდველია და ამ თვალსაზრისით, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკა იყო „იმპერია მოწვევით“, რომლის ღირებულებებს წარმოადგენდა ფედერალიზმი, დემოკრატია და ღია ბაზრები, რომელსაც ამერიკა ექსპორტირებას უწევდა და ევროპელები დიდი სიხარულით ეთანხმებოდნენ, მაგრამ „რბილი ძალის“ შედეგი დამოიკიდებელი იყო კულტურის და სხვა ღირებულებების „გადახურვაზე“ შტატებსა და ევროპას შორის.

ახალ საუკუნეში შტატები დაინტერესდა საერთაშორისო წესრიგის ხარისხის შენარჩუნებით, რომ გავლენა მოეხდინა შორეულ სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებზე და წინ წამოეწია მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების, ტერორიზმის, ნარკოტიკების, ვაჭრობის, ეკოლოგიის, რესურსების და ა.შ. საკითხები.

ამერიკას ყოველთვის ჰქონდა პრეტენზია ზესახელმწიფოს ტიტულზე და, შესაბამისად, ცდილობდა ყოფილიყო მსოფლი-

ოს მეთაური, მაგრამ 21-ე საუკუნეში მას მეტი ლავირება უნდა გამოეჩინა და **მსოფლიო სივრცეში ვაშინგტონის მრავალთავიანი კომპის მზერა ნალებად მრისხანე და მეტად სასიკეთო უნდა ყოფილიყო.**

კაპიტალიზმის დასასრულის და ამერიკის პოლიტიკის ახლებური პრობლემური ხედვა იყო მოცემული ზ. ბჟეზინსკის წიგნში „სტრატეგიული ხედვა: ამერიკა და გლობალური ძლიერების კრიზისი“.

პოლიტიკური და ეკონომიკური ვექტორი დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადადიოდა. ამის მაგალითი იყო სინგაპურის მოდელი, რომლის დიდი წარმატებისა და კეთილდღეობის საფუძველი გახდა შემდეგი გარემოებები:

1. ლიბერალურ დემოკრატიაზე უარის თქმა;
2. აქცენტის გაკეთება წესრიგისა და ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტზე;
3. თავისუფალი მოქმედებებისა და განვითარების მიღწევა;
4. „ლიბერალური დემოკრატის“ კეთილდღეობისა და ეკონომიკური სიმდიერის „ერთადერთობის“ ამერიკული ფორმულის მიუღებლობა;
5. ამერიკული ცხოვრების წესის – „ამერიკული ოცნების“ იდეოლოგიის უარყოფა;
6. კარგისა და ცუდის, სიკეთისა და ბოროტების კრიტერიუმების გაცნობიერება.

ჩანდა, მსოფლიოში დადგა ღრმა ცვლილებების დრო. **რეიგანისა და ტეტჩერის** გარდაქმნების ეპოქამ კისერი მოუგრიხა ომისშემდგომ ზომიერ კაპიტალიზმს. 1970-იან წლებში კონსერვატორების მხრიდან განხორციელდა ხანგრძლივი სახელმწიფო დემონიზაცია, ყოველივე ამან კი კაცობრიობა მიიყვანა კაპიტალიზმის ახალი ფორმის დაბადებამდე.

ექსპერტების ვარაუდით, საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე ვერსია მიუღებელი იყო, რადგანც ის გახდა არა მარტო არასტაბილური, არამედ არასამართლიანიც. ამას გვიდასტურებდა ამერიკის ხაზინის მმართველი **ლოურენს სამერსი**, რომელიც ფიქრობდა, რომ თანამედროვე საბაზრო

ეკონომიკას პოზიტიურად არ მიიჩნევდა ამერიკის გამოკითხული მოსახლეობის 50 პროცენტი. ამერიკელები აკრიტიკებდნენ ფინანსისტების მაღალ ხელფასებს, არ მოსწონდათ უსიცოცხლო ეკონომიკური ზრდა და მაღალი სტრუქტურული უმუშევრობა.

საბაზრო ეკონომიკის საბრალდებო დასკვნა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

1. კაპიტალიზმი აღმოჩნდა კრიზისში და იქცა უთანასწორობის მთავარ წყაროდ;
2. კაპიტალიზმი არ იცავდა მორალურ ფასეულობებს და წარმოადგენდა მდიდართა ინტერესების გამომხატველ სისტემას;
3. კაპიტალისტური სისტემა მისაღები სახით არ ახდენდა ქონების განაწილებას;
4. არ ხდება რესურსების გონივრულად განაწილება. ბოლო 20 წელია ამერიკაში და ევროპაში ბატონობდა უთანასწორობა. ეს კი ემუქრებოდა დემოკრატიის და საზოგადოების განვითარებას, რომელიც საშუალო კლასს ეყრდნობა;
5. ამერიკის შემოსავლების სტრუქტურა მესამე სამყაროს ქვეყნების დონეზე იდგა, მაგრამ იზრდებოდა მდიდარი ამერიკელების საშუალო შემოსავლები.

საინტერესოა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, ვინც ამერიკით მოიხიბლა და თავისი ქვეყნის ცხოვრების გზა ამერიკულ ღირებულებებს დაუკავშირა, საქართველო აღმოჩნდა, სადაც ხელისუფლება დიდი შემართებით საუბრობდა ამერიკის საშუალო და უმაღლესი განათლების დიდ უპირატესობაზე. შედეგად, სწავლა ფასიანი გახდა, შემცირდა სავალდებულო საგნების სია. ამოქმედდა ერთიანი ეროვნული გამოცდები და ა.შ., თუმცა, როგორც ბჟეზინსკი გვიმტკიცებდა თვითონ ამერიკაში სერიოზულად იდგა განათლების ხარისხისა და მეთოდოლოგიის პრობლემა. ამ პრობლემის გამოსწორებისათვის, ჯერ კიდევ ბუშების სხვადასხვა პრეზიდენტობის დროს, ათეული მილიარდი დოლარი გამოიყო განათლებაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. ამერიკული განათლების სისტემის ნაკლო-

ვანებზე საუბრობდა თავის ცნობილ წიგნებში ამერიკის პრეზიდენტი – ბარაკ ობამაც, რომელმაც ასევე მილიარდობით დოლარით დააფინანსა სხვადასხვა ქვეყნებში არსებული განათლების სისტემების შესწავლის სახელმწიფო პროგრამა.

მსოფლიოში შექმნილ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ვითარებაში ურთულესი პრობლემები დგებოდა, ერთი მხრივ, გლობალისტური იდეოლოგია ყველა ხალხის უფლების თვითგამორკვევას ემხრობოდა და ეროვნული სახელმწიფოების შექმნას ქადაგებდა, რომელსაც თეორიულად, შეიძლება, გამოეწვია 3 ათასიდან 5 ათასამდე სახელმწიფოს შექმნა, ეთნიკური ჯგუფების საორიენტაციო რიცხოვნობის მიხედვით. საგულისხმოა, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილი ავსტრიელი პოლიტოლოგი **ლ. კორი** გამოდიოდა მოსაზრებით, ევროპაში შეექმნათ სახელმწიფოები ეთნიკური ჯგუფებისათვის (**ბავარია, სლოვენია, ტრანსილვანია, ვალახია, მორავია, პიკარდია, ბურგუნდია და ა.შ.**) [6. 48].

თანამედროვე მსოფლიოში რეალურად არსებობდა გაეროს გარეშე წარმოდგენილი ხალხებისა და ეროვნებების ორგანიზაცია, რომელიც 1991 წელს შეიქმნა და მის ორგანიზაციაში 1995 წლისათვის 40-ზე მეტი ეროვნული მოძრაობის და რეგიონების წარმომადგენლები შედიოდნენ, მათ შორის იყვნენ ავსტრალიელი აბორიგენები, მაკედონიის ალბანელები, ალბანეთის ბერძნები, ასირიელები, რუმინელი უნგრელები, ერაყის თურქმანები, კოსოვოს ალბანელები, შტატების ჰავაიცები, ქურთები, ტაივანელები, ტიბეტელები, მოლდავეთის გაგაუზები, ყირიმის თათრები, ჩერქეზები, ჩუვაშები, თათარისტანი, ჩეჩნეთის რესპუბლიკა, აფხაზეთი და ა.შ. ამ ორგანიზაციას მხარს უჭერდნენ საქართველო, ესტონეთი, ლატვია, სომხეთი, აფხაზეთი და სხვები [6. 49].

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილ რეალობას „უნიპოლარულ მომენტად“ აფასებდნენ მეცნიერები (ჩარლზ კრაუტჰამერი) და მიუთითებდნენ, რომ მსოფლიოში გამოკვეთილი იყო აშშ-ის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვა უპირატესობები; ამ მიმართულებით განსაკუთ-



რებულად გამოირჩეოდა იაპონური წარმოშობის ამერიკელი ფილოსოფოსის, ეკონომიკის და პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი **ფრენსის ფუფუიამა**, რომელმაც 1992 წელს გამოსცა წიგნი „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“ და სათავე დაუდო ინტელექტუალთა დისკურსს იმის შესახებ, თუ როგორი იქნებოდა „ცივი ომის“ შემდგომი მსოფლიო.

**ფ. ფუფუიამამ** სცადა დაესაბუთებინა, რომ ლიბერალური დემოკრატია პოლიტიკური მმართველობის უკანასკნელი და უცვლელი ფორმა იქნებოდა, რითაც დასრულებოდა კიდევ ისტორია, რაციონალური და ირაციონალური საწყისების ბრძოლის ეპოქა. ლიბერალური დემოკრატია გახდებოდა ერთადერთი გააზრებული პოლიტიკური მიმართულება, რომლის ფარგლებშიც იქნებოდა უმთავრესი პოლიტიკური საკითხები გადაწყვეტილი და რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებდა დედამიწის სხვადასხვა რეგიონებსა და კულტურას. „თავისუფალ ბაზარს“ და ლიბერალურ რევოლუციას უნდა უზრუნველყო მომავალში ადამიანთა სხვადასხვა საზოგადოების სულ უფრო და უფრო მეტად გაერთგვაროვნება, მიუხედავად მათი კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიული ფესვებისა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უფრო გააქტიურდა იმპერიული ხასიათის მატარებელი – რუსული სამყაროს კონსტრუირების პროცესი, რომლის მთავარი იდეოლოგი იყო ფილოსოფოსი **ალექსანდრე დუგინი**, რომელიც 2018 წლის 23 დეკემბერს, შანხაის ფუდანის უნივერსიტეტში გამოსვლის დროს აფიქსირებდა მოსაზრებას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამყარდა მონოპოლიური წესრიგი.

საქართველოში ეროვნული მოძრაობის გააქტიურების პერიოდში ქვეყნის მომავალი დასავლურ არჩევანთან იყო დაკავშირებული და ნატოსთან ურთიერთობის საკითხიც ამ საერთო ორიენტირის ფარგლებში მოიაზრებოდა. ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის და, შესაბამისად, უსაფრთხოების საერთაშორისო სისტემაში გაერთიანების თემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. მაშინ თითქმის ყველა პო-

ლიტიკური ძალა ერთსულოვანი იყო იმაში, რომ საქართველოს თავისი ადგილი დამოუკიდებლად უნდა განესაზღვრა. ვითარებაში, როდესაც საქართველო უნდა გამხდარიყო ერთგვარი ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, საქართველოს ნატოსთან თანამშრომლობა პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნატომ პარტნიორული ურთიერთობების დამყარება შესთავაზა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს. ცხადია, საქართველოსაც გაუჩნდა შესაძლებლობა ურთიერთობა დაემყარებინა ალიანსთან. აქედან მოყოლებული, ნატოს გენერალური მდივნები და სხვა წარმომადგენლები თუ დელეგაციები სისტემატურად ჩამოდიოდნენ საქართველოში.

საერთოდ, საქართველო-ნატოს ურთიერთობებს საფუძველი ჩაეყარა ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში – 1991 წლის დეკემბერში – როდესაც ნატოს ფარგლებში ჩამოყალიბდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (NACC), ნაქს-ის მეშვეობით იწყებდნენ ახალი ევროპული უშიშროების არქიტექტურის მშენებლობას. ნაქს-ის წევრობა ქვეყანას საშუალებას აძლევდა ზიარებოდა პოლიტიკურ, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკურ გამოცდილებას.

1991 წლის დეკემბერში შედგა კიდევაც მთავრობის თავმჯდომარის, **ბესარიონ გუგუშვილის** დიალოგი ნატოს იმდროინდელ გენერალურ მდივანთან.

ეროვნული ხელისუფლება მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში უშუალო ჩაბმის მომხრე იყო საბჭოთა კავშირის გარეშე, მაგრამ **ზ. გამსახურდია** ფიქრობდა, რომ შესაძლებელი იყო საქართველოს უფრო ფართო სტრატეგიული კავშირი ჰქონდა რუსეთთან. განიხილებოდა საქართველოს წასვლა ახალი „გიორგიევსკის ტრაქტატის“ გზით.

სწორედ ამ პერიოდში, 1991 წელს ამერიკელი პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი **რიჩარდ ფაიფსი** ასე ახმოვანებდა დამოუკიდებელი საქართველოს მოსახლეობის განწყობილებას: „ქართველი ერი განიცდის ისეთ სულიერ აღმაფრენას, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი ისრა-

ელის სახელმწიფო თავისი დაარსების პირველსავე დღეებში“.

იმ პერიოდში, საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლება პრორუსულ თუ პროდასავლურ პოლიტიკაზე კი არ აკეთებდა აქცენტებს, არამედ ფიქრობდა როგორ უნდა გაეხადა იგი პროქართული. მით უმეტეს, უნივერსალურ სპტრატეგიას წარმოადგენდა გონიერი მანევრირება, რაც დამახასიათებელი იყო ადრინდელი საუკუნეების პოლიტიკური ხელისუფლებებისათვის,

ცხადია, მე-14-18 საუკუნეებში ერთიანი საქართველოს საგარეო პოლიტიკა რეალურად აღარ არსებობდა და არც იდგა ერთიანი სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, შესაბამისად, ქართველური სამეფო სამთავროები თვითონ ირჩევდნენ ურთიერთობებს (ირანი, ოსმალეთი, რუსეთი).

შესაბამისად, არ არსებობდა საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კონცეფციაც, მაგრამ მიმდინარეობდა ქართველური ერის შექმნის, განვითარებისა და კონსოლიდაციის პროცესი და წინ იწეოდა ერთიანობის იდეა.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქვეყანაში მსჯელობიდან გაქრა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, თუმცა აღდგა ცნებები: საქართველო, ქართველი, შემუშავდა საერთო ნიადაგის თეორია (ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე და დაიწყო არა საერთო, არამედ ერთიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბება და მსჯელობის საგანი გახდა უკვე საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, ხოლო მოგვიანებით რუსეთის იმპერიის დამხობის შემდეგ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში წამოტივტივდა ნეიტრალიტეტის იდეაც.

საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ეროვნული ორიენტაციის მიმდევარი მოღვაწე იყო, მას სურდა ქვეყანას პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები ჰქონდა რუსეთთან, ევროპასთან, აშშ-სთან და სხვა ქვეყნებთან, მაგრამ ცალსახად არ უნდა „მიბმოდა“ არცერთ სახელმწიფოს.

დამოუკიდებელი საქართველოს ამერიკასთან პოლიტიკურად მიბმის ინიციატივის გახმოვანების მიზნით თბილისში ჩამოსულ აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს ნიქსონს პრეზი-

დენტისაგან დადებითი პასუხი არ მიუღია, რაც მოგვიანებით გახდა კიდევაც აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მიმართ გამოთქმული ფრაზის - „ზვიად გამსახურდია დინების წინააღმდეგ მიდის“ საფუძველი.

საქართველომ მაშინ უარი განაცხადა განესაზღვრა თავისი ადგილი და როლი სუპერსახელმწიფოთა სისტემაში, მაგრამ უარი არ უთქვამს ორიენტაციაზე, რომელიც იქნებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების და ქართული ისტორიული, კულტურული, ყოფითი, ზნე-ჩვეულებითი, სარწმუნოებრივი და ა.შ. ფასეულობების სინთეზი.

საქართველოს ისტორიაში ცნობილია ორი დიდი მეფე: რეფორმატორი (დავით აღმაშენებელი) და რესტავრატორი (გიორგი ბრწყინვალე) სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები. დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივმა სტრატეგიამ და ტაქტიკამ საქართველო დიდი კავკასიური იმპერია გახადა.

გამართლებული იყო ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი ბრწყინვალის პოლიტიკური გადაწყვეტილებაც, რომელსაც ისტორიკოსი ლოვარდ ტუხაშვილი „აქტიური ლოდინის ტაქტიკას“ უწოდებდა იმის გათვალისწინებით, რომ მეფე მონღოლთა იმპერიის დასასრულს დაელოდა და ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სახელმწიფო რეფორმები განახორციელა ქვეყნის გადასარჩენად.

საბჭოური იმპერიის დაშლის პერიოდში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველომ გარდამავალი პერიოდი აირჩია ლოზუნგად: „არც სოციალიზმი და არც კაპიტალიზმი“, რომელიც ითვალისწინებდა თანდათანობით გადასვლას ეროვნულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ რელსებზე, თუმცა რუსეთისა და აშშ-ის მიერ განხორციელებულმა ეროვნული ხელისუფლების დამხობამ და პირველი პრეზიდენტის ფიზიკურად განადგურებამ, სრული თავისუფლება და კეთილდღეობა ვერ მოუტანა საქართველოს. კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა დიდი პარადიგმის - „ენა, მამული

**სარწმუნოება“ – თეორიულ-პრაქტიკული განხორციელების საკითხი (ბ. ელცინი).**

მოგვიანებით, კრემლის და ვაშინგტონის (ბეიკერი) ძალისხმევით საქართველოს მმართველად მოვლენილმა ედუარდ-გიორგი შევარდნაძემ, როგორც რუსეთის, ისე აშშ-ის მომხრემ, ორსახოვანი პოლიტიკა განახორციელა, იყო ეროვნული ხელისუფლების დამხობის მთავარი ორგანიზატორი, აფხაზეთისათვის ომის გამომცხადებელი, სამეგრელოს რამდენჯერმე აოხრების იდეის ავტორი, „სამხრეთ ოსეთის“ ე.წ. რესპუბლიკის ლეგიტიმურობის მომხრე, დსთ-ში გაწევრიანების მხარდამჭერი, რომელსაც ეკუთვნის თეზა „საქართველოს რუსეთთან სტრატეგიული კავშირის დამყარების გარეშე არსებობა არ შეუძლია“ და ამ დროს, პარალელურად ნათქვამი იმის შესახებ, რომ „საქართველოს მიმართ ომს რუსეთი აწარმოებდა“.

შევარდნაძე თავს ქართველი მეფეების – როსტომისა და თეიმურაზ პირველის პოლიტიკისა და დიპლომატიის გამტარებლად მიიჩნევდა. ერთი მხრივ, ეს იყო როსტომის ღალატის (ირანის მომხრეობა) და, მეორე მხრივ, თეიმურაზ პირველის თავგანწირვის (რუსეთუმეობა) ერთმანეთთან შეკოწიწების გზა, ე.წ. „ორიანობა“, რომელიც შემდეგ ე.წ. „სამიანობით“ შეიცვალა (რუსეთი-აშშ-საქართველო). შევარდნაძის „ორიანობა“ განსახიერდა საეკლესიო სივრცეში, როდესაც ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამამხობელი ე.წ. ქართველი ედუარდ-გიორგი გახდა.

შევარდნაძის მმართველობაში ჩამოყალიბება დაიწყო ახალმა კლასმა – ხელისუფლების ნომენკლატურამ, რომელიც არც თესავდა და არც აშენებდა; მაგრამ ამაცობდა, რომ მოახდინა ე.წ. „დემოკრატიული რევოლუცია“. დაიწყო „ნამარცვის მარცვა“ და სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილი აღმოჩნდა შევარდნაძის პოლიტიკური კლასის ხელში. შესაბამისად, მათ „ბუბლიკი“ ერგოთ, ხოლო საზოგადოების დიდ ნაწილს კი მისი „ხვრელი“. ამ პერიოდში არ გადადგმულა ნაბიჯები ნორმალური ეკონომიკური სისტემის შესაქმნელად და ღია, კერძო საკუთრების დასამკვიდრებლად, რამაც ხელი შეუწყო მონოპოლიისა და მაფიის გაძლიერებას.

საკუთრება ზოგადსაკაცობრიო ფასეულობაა, მაგრამ ამ ახალი აზროვნების დამკვიდრებას ქვეყანაში ოფლითა და გამოცდილებით კი არ ცდილობდნენ, არამედ ნომენკლატურის პროპაგანდისტული კამპანიით.

ხელისუფლებების შეცვლის მიუხედავად, სოციალურ-ეკონომიკური პროცესები შესამჩნევად წინ ვერ წავიდა, რაც სოციალური მღელვარების საშიშროებას ქმნიდა და გამორიცხული არ იყო ქვეყანაში გაძლიერებულიყო სოციალური მოძრაობა ლოზუნგით „დაიკავე რუსთაველი“.

სხვა მხრივ, ინგორირება უკეთდებოდა ქართულ-აფხაზური ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ზვიად გამსახურდიას გეგმას, რომელიც ითვალისწინებდა საქართველო-აფხაზეთის ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს შექმნას. სამწუხაროდ, ამ გეგმას ეროვნული ხელისუფლების და შემდეგ „მოქალაქეთა კავშირის“ მმართველობის პერიოდში მკვეთრად დაუპირისპირდნენ, საბჭოური მეცნიერული ელიტის ცნობილი წარმომადგენლებიც.

საქართველო, ტრადიციულად, კლასიკურ ბუფერულ ქვეყანას წარმოადგენდა და უნდა მოეძებნა პოლიტიკური სტრატეგიის მექანიზმი – „ოქროს შუალედი“. ამ მიმართულებით ნაბიჯები იდგმებოდა „მოქალაქეთა კავშირის“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებების მმართველობის პერიოდებში, მაგრამ აფხაზურ მხარესთან დამამთავრებელი დიალოგი ვერ შედგა, რადგან მთავარ პრობლემად იქცა ტერმინები: „ერთიანი“ თუ „საერთო“ სახელმწიფო. შევარდნაძისთვის მიუღებელი აღმოჩნდა არძინბას მოთხოვნა აფხაზეთის გაერთიანება საქართველო აფხაზეთის ერთიან სახელმწიფოში.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ისტორია სრული სახით ჯერ კიდევ შეუსწავლელია, არსებობს ქართული და აფხაზური ვარიანტები, რომლებიც ჯერ კიდევ ელოდება ობიექტურ ანალიზს და დასკვნებს, მით უმეტეს, პასუხგასაცემია, რატომ გაურბოდნენ მე-12 საუკუნის შემდეგ აფხაზები ქართველებთან თანაცხოვრებას, რატომ აფარებდნენ თავს რუსეთს, რა შეცდომები დაუშვა კომუნისტურმა ხელისუფლებამ.

ბამ, რატომ არ მოხდა საქართველო-აფხაზეთის საერთო ფედერაციულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება და ა.შ.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის გადატრიალების შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსულმა პოლიტიკურმა ძალებმა და „ველური კაპიტალიზმის“ გზა აირჩიეს. თავიანთი პიროვნული ქონებრივი მდგომარეობის გასაძლიერებლად და ქვეყანა ქონების მიტაცების ბუმმა მოიცვა; პრივატიზაციამ სახელმწიფო ქონების „პრიხვატიზაციის“ ფორმა მიიღო, ადამიანები სიღატაკეში აღმოჩნდნენ, გაღრმავდა სოციალური უთანასწორობა და საზოგადოება დაიყო მდიდართა, ღარიბთა და ლატაკთა ფენად.

1992-2003 წლებში „მოქალაქეთა კავშირის“ მმართველობამ ცარიელი დაპირებები სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში აიყვანა და იგი ერთპიროვნული დიქტატის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ძლიერი იარაღი გახდა.

ქვეყანაში დაიწყო საზოგადოებრივი ცნობიერების დაქვეითების, განათლების, მეცნიერების, კულტურის ნგრევის პროცესი. ხელისუფლება ნგრევას შენებად წარმოადგენდა, მარცხს გამარჯვებად, კატასტროფას ტრიუმფად, ყველაფერი კეთდებოდა ელიტის ფინანსური მოგებისა და პოლიტიკური დამკვიდრებისათვის. შეიქმნა სამთავრობო პრესა და ტელევიზია, რომლებიც მუდმივად ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციებს.

სახეზე იყო აფხაზეთის საკითხის ძალადობრივი გზით გადაწყვეტის მცდელობები. 1996 წლის იანვარში, ზუგდიდში გაიმართა მთავრობის მიერ ორგანიზებული მიტინგი, სადაც უნდობლობა გამოეცხადა სამშვიდობო ძალებს, გაეროს დამკვირვებლებს და გაისმა მოთხოვნა სასწრაფოდ გადაეწყვიტათ აფხაზეთის პრობლემა; აქციები იმართებოდა სამეგრელოს რეგიონში, თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და ა.შ. მოთხოვნით დევნილები დაებრუნებინათ აფხაზეთში.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს იყო შევარდნაძის მიერ მომზადებული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა გალის რაიონის დაბრუნებას საქართველოს შემადგენლობაში ათეულობით მილიონი დოლარის გაღების სანაცვლოდ, რომელიც მომდინარეობდა

რუსეთის მაშინდელი სახელმწიფო საბჭოს მდივნის ბ. ბერეზოვსკისაგან და ითვალისწინებდა პროცესში ჩეჩნეთის შეიარაღებული დაქირავებულების ჩართვას, რასაც 1998 წლის ასობით ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა გალში.

ქართველი ხალხის „ახალ რჯულზე“ - ლიბერალიზაციაზე, მოქცევის გზაზე, ბოლშევიკურ-პროლეტარული კულტურის მსგავსად, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაიწყო ახალი იდეოლოგიური ყადის კულტურისა და ხელოვნების გააზრება. დაიკარგა კავშირი ინტელიგენციასთან, მეცნიერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან. ამ მიმართულებით ვერც „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდი აღმოჩნდა სათანადო სიმალღეზე. სიმართლე დაწერა მწერალმა და პუბლიცისტმა ვახტანგ ხარჩილაგამ: „სახელმწიფო, რომელიც არ ეყრდნობა სულიერ ფასეულობათა და ღირებულებათა ფუნდამენტს, სახელმწიფო კი არა, საწარმოა, სადაც ადამიანები შრომობენ, სარჩო-საბადებელს შოულობენ, სვამენ, ჭამენ, მრავლდებიან, მაგრამ არ იციან, რისთვის ცხოვრობენ და რა აზრი და დანიშნულება აქვს მათ ცხოვრებას“.

2017 წლის 20 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გენერალური ასამბლეის ყოველწლიურ თავყრილობაზე ასეთი გზავნილი გაახმოვანა: „მე ამირჩიეს არა იმიტომ, რომ დავუფლებოდი ძალაუფლებას, არამედ იმისათვის, რომ ეს ძალაუფლება დამებრუნებინა ამერიკელი ხალხისთვის, რომელსაც ის ეკუთვნის კიდეც! ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობისას მე ამერიკას ყოველთვის დავაყენებ პირველ ადგილზე, ისევე როგორც თქვენ, საკუთარი ქვეყნების ლიდერები, ვალდებული ხართ, პირველ ადგილზე თქვენი ქვეყნები დააყენოთ!“

დონალდ ტრამპი საპრეზიდენტო არჩევნებამდე ახმოვანებდა, რომ კარგი ურთიერთობა ექნებოდა რუსეთთან და ჩინეთთან, რაც შეეხება საქართველოს, ისტორიულად სავაჭრო ობიექტად რჩებოდა, რომლის დათმობა-არდათმობის საკითხის განხილვისას უნდა გამყარებულიყო პირადი პატივისცემა ორი დიდი ქვეყნის მეთაურებს შორის.

ამერიკა-რუსეთის წინააღმდეგობა სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ ვაშინგტონი მო-

ფერებით მოექცეოდა საქართველოს. ტრამპს არასოდეს მიაჩნდა, რომ ამერიკა რუსეთს მისი მიმდებარე ქვეყნების უკრაინის ან საქართველოს გამო უნდა დაპირსპირებოდა.

ტრამპი საქართველოში 2012 წლის აპრილში ჩამოვიდა, რათა ბათუმში „ტრამპ-თაუერის“ პროექტის პრეზენტაციაში მიეღო მონაწილეობა. 2011 წლის მარტში ნიუ-იორკში გამართულ ცერემონიაზე იმყოფებოდა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც, რომელიც აღნიშნავდა, რომ ტრამპი მისი დიდი ხნის მეგობარი იყო.

ნიუ-იორკში ტრამპი ხელს აწერდა შეთანხმებას, რომელიც საქართველოში დაახლოებით 300 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ორი კომპლექსის მშენებლობას ითვალისწინებდა. მ. სააკაშვილმა დ. ტრამპი ბრწყინვალეობის ორდენით დააჯილდოვა. იგი აღნიშნავდა, რომ დონალდ ტრამპის ჩამოსვლა უფრო მნიშვნელოვანი იყო, „ვიდრე სავალუტო ფონდის, მათგან ბანკის, ანალიტიკური ცენტრის ან რომელიმე პოლიტოლოგის გამოკვლევა, რომ საქართველო ადგას წარმატების გზას. 80-მილიონიანი თურქეთის გარდა, კონტინენტურ ევროპაში საქართველო ერთ-ერთია, სადაც ტრამპი თავის პარტნიორებთან ერთად ავითარებს კომერციულ, საცხოვრებელ და სასტუმრო ცენტრს. ტრამპი მსოფლიოს მასშტაბით წარმატებისა და ბრწყინვალეობის მართლაც განსაკუთრებული ნიმუშია. ამიტომ ჩემთვის დიდი პატივია ამ ორდენის ტრამპისთვის გადმოცემა“ – აცხადებდა სააკაშვილი.

მოგვიანებით, ექსპრეზიდენტმა ტრამპის ბათუმში სტუმრობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე ასე გაიხსენა: „ტრამპმა რომ დაინახა ჩვენი პალმების განათება, სასწრაფოდ შეუკვეთა 500 ბროშურა და გაგვაგზავნინა თავისი ობიექტებისათვის – ფლორიდასა და კალიფორნიაში. ძალიან მოეწონა „ლუსტრა“. ასე რომ, მათაც უკვირთ და ბევრ რაღაცას უკვე აქედან იღებენ“.

სწორედ კაპიტალიზმისა და დასავლური დომინირების შესუსტების შესაჩერებ-

ლად იყო მიმართული სახელმწიფო სუვერენიტეტის თემა, რომელიც იკვეთებოდა ტრამპის წინასაარჩევნო გზავნილში, რომელშიც წინ იყო წამოწეული ამერიკის სახელმწიფოს უპირველესობა მსოფლიო სივრცეში და თვალსაჩინოდ ხდიდა იმ პრობლემას, რომელიც ერთიან მსოფლიო წესრიგზე და ზენაციონალური საერთაშორისო ინსტიტუტების მმართველობაზე ორიენტირებულმა პოლიტიკამ მოუტანა შეერთებულ შტატებს, რომელსაც უნდა დამორჩილებოდნენ, როგორც ზესახელმწიფოს და უდიდესი საგარეო პოლიტიკური და სამხედრო გავლენის მქონე ქვეყანას.

თუმცა ამ თეზის პრაქტიკული განხორციელება ადვილი არ იყო და მისი ხელისშემშლელი ძლიერი ფაქტორები იყო:

1. ნატოს რეორგანიზაცია;
2. ევროკავშირის ლიდერებთან ცივი ურთიერთობა;
3. ევროკავშირის დაშლის მხარდაჭერა;
4. რუსეთთან დიალოგის საჭიროება;
5. ჩინეთთან, ფაქტობრივად, ეკონომიკური ომის გამოცხადება;
6. მსოფლიო წესრიგზე და ზენაციონალური საერთაშორისო ინსტიტუტების მმართველობაზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელება;
7. სუვერენული ქვეყნების დამორჩილება საერთაშორისო ინსტიტუტებზე;

ტრამპი მოუწოდებდა ამერიკასთან მოსაუბრე ერებს და ქვეყნებს გაეცნობიერებინათ ურთიერთობა ერთი ნების, ერთი ცნობიერების, ერთი გეგმის მქონე სისტემასთან.

სწორედ ამ კონტექსტში იყო ნიშანდობლივი მისი გამონათქვამიც საქართველოზე: „დემოკრატიის და თქვენი სახელმწიფოს ბედი თქვენს ხელშია, ჩემსკენ ნუ იყურებით, მე არ ვარ ყველას მამიდა და ყველას პატრონი, ჩამოვიდე და წესრიგი დაგიმყაროთ“.

თუმცა ამ პრობლემაზე არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა ქართულ, ამერიკულ და რუსულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ელიტაში.

## CAPITALISM IN POLITICAL, ECONOMIC AND CULTURAL DIMENSIONS

### Summary


History and politics are a constant debate about the past, present and future. It is an integral part of social-political, economic and cultural life, and it is too early to talk about the "end of history" if there is an irreparable geographical situation. "Tas-t-rofa did not happen on earth. Obviously, there are a lot of "humanitarian problems" in the world, which recently appeared on the international arena, and their scale makes us think deeply.

The presented paper analyzes the historical path of capitalism with its positive and negative trends and the opinions of prominent world historians, politicians, economists, philosophers, representatives of the largest capital, etc. Sh. Opinions on the basis of which the conclusions drawn are based on the opinion about the exhaustion of the current form and content of capitalism. Social capitalism, liberal democracy and other theories are discussed; An opinion has been expressed about the formation of a new socio-political and economic system, in which the positive values of capitalism and socialism would be combined, and we could call it "social capitalism".


**Key words:** capitalism, empire, politics, economy, capitalist system. Social capitalism, USA, USSR, Russia, modern capitalism, liberalism, democratic liberalism, Chinese system, global crisis, superpower, education, international relations, European Union, global world, liberal democracy, "Big Depression", economic model, unified world order, world orders, ideology, multiculturalism, "Cold War", South Caucasus, Middle East, Ukraine, Abkhazia, "united" and "common" state.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფუკუიამა ფ., „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“, აშშ, 1999.
2. ზუეინსკი ზ., „დიდი საჭადრაკო დაფა“, თბ., 2005.
3. ზუეინსკი ზ., „სტრატეგიული ხედვა: ამერიკა და გლობალური ძლიერების კრიზისი“, თბ., 2015.
4. კისინჯერი ჰ., „დიპლომატია“, 2004.
5. კოპალიანი კ., „ლიდერები და ლიდერობის პრობლემა პოლიტიკაში“ (დისერტაცია), თბ., 2016.
6. გვენეტაძე ე., „საერთაშორისო ურთიერთობები XX საუკუნეში და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ანატომიის საკითხები“, თბ., 2023.
7. დრიუკერი პ., „პოსტკაპიტალისტური საზოგადოება“, აშშ, 1993.
8. ვალლერსტაინი ვ., „ნაცნობი მსოფლიოს დასასრული“, აშშ, 2003.
9. კვესელავა ი., „საქართველოს ისტორიის ქრონიკები“, ტ. 6, თბ., 2018.
10. კვესელავა ი., „საქართველოს ისტორიის ქრონიკები“, ტ. 7, თბ., 2021.
11. კვესელავა ი., „საქართველოს ისტორიის ქრონიკები“, ტ. 8, თბ., 2021.
12. კუპრაშვილი ჰ., ეროვნული უსაფრთხოება თუ ეროვნული უშიშროება“, თბ., 2014.
13. ფრანგიშვილი ი., „სხვადასხვაგვარი ბუნების რთული სისტემების ფუნქციონირების საერთო სისტემური კანონზომიერებანი“, მოსკოვი, 1997.
14. ჭითანავა ნ., „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“, თბ., 1997.
15. ჰანტინგტონი ს., „პოლიტიკური სტატიები“, თბ., 2001.
16. პრაზაუსკასი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობა: საქართველოს დილემა და საერთაშორისო გამოცდილება. მოსკოვი, 1996.
17. ცინცაძე ს., „დიპლომატია რიშელიედან გორბაჩოვამდე“, თბ., 2016.
18. სტალინი ი., „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში“, თბ., 1952.

 იგორ კვესელავა

სტუ, პროფესორი

 ნონა ცაბაძე

სტუ, დოქტორანტი

## „ცივი ომის“ თეორიულ-პრაქტიკული გააზრებისთვის

ომი დედამიწის სხვადასხვა რეგიონში ქვეყნის საგარეოპოლიტიკური ამოცანების გადაჭრის ძალისმიერი მეთოდია, სადაც ფუნქციონირებენ სხვადასხვა კავშირები თუ ალიანსები და მათი პოზიციების დაკარგვა ნიშნავს კონკურენტების გავლენის გაძლიერებას. „ცივი ომები“ მშვიდობიანობის დროს წარმოიშობა და როდესაც პოლიტიკა და დიპლომატია ვერ წყვეტს წამოჭრილ პრობლემებს, მოქმედებაში შემოდის ადგილობრივი, რეგიონალური და მსოფლიო მნიშვნელობის დაპირისპირებები, რომლებიც, შეიძლება, რეალურ რეგიონალურ და მსოფლიო ომებში გადაიზარდოს, თუ საგარეო პოლიტიკა სამართლისა და ზნეობის ვაკუუმშია და არც ერთს და არც მეორეს არ შეუძლია შეზღუდოს ან შეაჩეროს სხვადასხვა რანგის კონფლიქტები.

ნაშრომში განხილულია „ცივი ომის“ წარმოშობის განვითარების, სახეცვლილების, მიზნებისა და ამოცანების და შედეგების პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და იდეოლოგიური ასპექტები, სხვადასხვა თეორიები; ანალიზი უკეთდება მსოფლიო და რეგიონალურ სხვადასხვა სახის კონფლიქტებს, ბრძოლას ერთპოლუსიანი იდეოლოგიის ჩამოსაყალიბებლად (ანგლოსაქსური სისტემა).

*საკვანძო სიტყვები:* „ცივი ომი“, პოლიტიკა, ეკონომიკა, იდეოლოგია, სისტემა. ერთპოლუსიანი, ორპოლუსიანი და მრავალპოლუსიანი განზომილებები, „მსოფლიო წესრიგები“, აშშ, საბჭოთა კავშირი, ზესახელმწიფოები.

მე-20 საუკუნეში წარმოშობილი ტერმინი „ცივი ომი“ ისტორიის, პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, სამართლის, დიპლომატიის, ისტორიის, სამხედრო-მცოდნეობის და სხვა დარგების მკვლევართა განსჯის საგანია მონოგრაფიებში, სახელმძღვანელოებში, დისერტაციებში, სამეცნიერო სტატიებში, კონფერენციებში, ფორუმებში და ა.შ. აღსანიშნავია, რომ, თავის დროზე, ცნობილმა გერმანელმა სამხედრო თეორეტიკოსმა კარლ ფონ კლაუზევეცმა ნაშრომში „ომის შესახებ“, ჩამოაყალიბა ომის დეფინიცია: „ომი, ეს არის დიპლომატიის გაგრძელება სხვა მეთოდებით“ ანუ მისი მიზანია პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტა და ის შეიძლება იდეოლოგიურ სხვადასხვაობებთანაც იყოს დაკავშირებული, თუმცა ომის მდგომარეობაში ერთი პოლიტიკური წყობის, ეკონომიკური მოდელის და იდეოლოგიების მქონე სახელმწიფოებიც (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და სხვ.) შეიძლება აღმოჩნდნენ.

„ცივი ომი“ არ არის ისტორიულ, გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და სხვა სივრცეში ომის ამა თუ იმ სახეობის აღწერა და „რბილი“ და „ჭკვიანი“ ძალის პრაქტიკული გამოვლინების საშუალებასაც წარმოადგენს.

მკვლევარები ყურადღებას მიაპყრობენ, რომ ტერმინი „ცივი ომი“ ფიქსირდება 1945 წლის ორეულის მიერ ოქტომბერში გამოქვეყნებულ ესეში „შენ და ატომური ბომბი“, ავტორის მტკიცებით, რაც უფრო მარტივი და მასობრივი გავრცელების იყო იარაღი, რომლითაც წარმოებდა ომი, მით მეტი იყო მსოფლიოში სუვერენული სახელმწიფო და ფარდობითი თავისუფლება ანუ ასეთი იარაღის მასიურობა გზას უხსნიდა ერებს ებრძოლათ და მიეღოთ დამოუკიდებლობა [1].

ამ კონცეფციას ორუელი ხსნიდა ატომური იარაღის არსებობით, რომელიც ესეს ტექსტის გამოქვეყნებამდე რამდენიმე თვით ადრე ამერიკამ გამოიყენა იაპონიაში და დამტკიცა, რომ იყო ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფო მსოფლიოში.

მოგვიანებით ასეთი იარაღი სხვა სახელმწიფოებმაც შექმნეს და დაიწყო ბრძოლა მსოფლიოში საკუთარი კონტინენტური, რეგიონალური და სამხარეო წესრიგის დასამყარებლად, მით უმეტეს, „ცივი ომი“ არ იყო მშვიდობიანი მდგომარეობა, მაგრამ არც რეალური ომი იყო. ამდენად, ეს იყო შუალედური მდგომარეობა, როდესაც მხარეებს შორის გამოიყენებოდა ყველა შესაძლო ურთიერთკონფრონტაციულობა – „რბილი“ და „ჭკვიანი“ ძალის გამოყენებით, პოლიტიკური, ეკონომიკური და ინფორმაციული დაპირისპირებები.

ომი დედამიწის სხვადასხვა რეგიონში ქვეყნის საგარეოპოლიტიკური ამოცანების გადაჭრის ძალისმიერი მეთოდია, სადაც ფუნქციონირებენ სხვადასხვა კავშირები თუ ალიანსები და მათი პოზიციების დაკარგვა ნიშნავს კონკურენტების გავლენის გაძლიერებას.

„ცივი ომები“ მშვიდობიანობის დროს წარმოიშობა და როდესაც პოლიტიკა და დიპლომატია ვერ წყვეტს წამოჭრილ პრობლემებს, მოქმედებაში შემოდის ადგილობრივი, რეგიონალური და მსოფლიო მნიშვნელობის დაპირისპირებები, რომლებიც, შეიძლება, რეალურ რეგიონალურ და მსოფლიო ომებში გადაიზარდოს, თუ საგარეო პოლიტიკა სამართლისა და ზნეობის ვაკუუმშია და არც ერთს და არც მეორეს არ შეუძლია შეზღუდოს ან შეაჩეროს სხვადასხვა რანგის კონფლიქტები.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა, სახელმწიფო გადატრიალებებმა რუსეთსა და გერმანიაში გამოიწვია კომუნისტური და ფაშისტურ-ნაცისტური იდეოლოგიის წარმოშობა და, შესაბამისად, ჩამოყალიბდა სოციალისტური და ფაშისტური სახელმწიფოები, რომლებიც შემდგომში სამხედრო ძალით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ფაქტობრივად, დაიწყო ბრძოლა ერთპოლუსიანი მსოფლიო პოლიტიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად, სადაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ბრიტანეთმა თავდაპირველად ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს ანუ ეს იყო მათი სტრატეგიული გათვლა – ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით დაესუსტებინათ მეზობ-

ლი მხარეები და შეექმნათ ძლიერი ანგლოსაქსური ერთპოლუსიანი მსოფლიო სისტემა.

გამომდინარე იქიდან, რომ ყველგან ფიგურირებს გლობალიზმის, ანტიგლობალიზმის, იზოლაციონიზმის იდეოლოგიური კონტექსტი, ცხადია, არსებობს ადგილობრივი, რეგიონალური, საერთაშორისო „ცივი ომები“, რომლებიც სხვადასხვა მიდგომას მოითხოვენ და მიმდინარეობენ კონფუციანური, ბუდისტური, ებრაული, ქრისტიანული, მუსულმანური, ფაშისტური, კომუნისტური და სხვა სარწმუნოებიდან და იდეოლოგიებიდან.

თანამედროვე მსოფლიოში ჩამოყალიბება დაიწყო ახალმა „სოციალიზმის“ თეორიამ და პრაქტიკამ, როდესაც ხდება ორი სისტემის გამოთავისუფლება ნეგატიური ნაკადებისაგან და ყალიბდება „სოციალიზმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა, რომლის პრაქტიკული დადასტურებაც „სოციალიზმის“ ჩინური პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის არსებობა. ეს არის პოლიტიკის, ეკონომიკის და იდეოლოგიის ჰიბრიდული მოდელი, რომელიც შეიძლება გადაქცეულიყო ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის საფუძვლად, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური სინთეზის შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული სახელმწიფო სისტემები და გამორიცხული იქნებოდა იდეოლოგიური მონოპოლიზმი.

კაცობრიობის ისტორიაში მსოფლიო, კონტინენტური, რეგიონალური, სამხარეო და ადგილობრივი მშვიდობიანი და არამშვიდობიანი დაპირისპირებები მუდმივი პროცესია. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის „ფულტონში“ სიტყვით გამოსვლის შემდეგ საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო ორპოლუსიან პოლიტიკურ სისტემას, რომლის სათავეში აღმოჩნდნენ საბჭოთა კავშირი და ანგლოსაქსური გაერთიანება აშშ-ის მეთაურობით, რომელიც ე.წ. „ბერლინის კედლის“ დანგრევამდე და სსრ კავშირის დაშლამდე გაგრძელდა.



აღნიშნულ პერიოდში გაჩნდა პირობითი ტერმინი „ცივი ომი“, რომელმაც ისტორიული, პოლიტიკური, გეოგრაფიული, მეცნიერული, პუბლიცისტური, ლიტერატურული და ა.შ. დატვირთვა მიიღო.

„ცივი ომი“ არ წარმოიდგინება შეიარაღებულ დაპირისპირებად და არც მშვიდობიანობის გამოხატვა სახელმწიფოებს და მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო გაერთიანებებს შორის, ფაქტობრივად, ის ორ განზომილებას – ომსა და მშვიდობას შორის – ჩაბუდებული უფრო ფრინველია, რომელიც ერთითაც იკვებება და მეორითაც.

თანამედროვე პოლიტიკურ ლიტერატურაში „ცივი ომის“ ღირებულების ერთერთმა პირველმა, მკვლევარმა ზურაბ მახარაძემ წამოსწია და გამოთქვა მოსაზრება, რომ ორუელის ესემ და ფუკუიამას მოძღვრებამ დიდი როლი შეასრულა „ცივი ომის“ ტერმინის დამკვიდრებაში, რადგან ატომურმა შეიარაღებამ შექმნა მცირერიცხოვანი, მაგრამ ძლიერი სახელმწიფოების კლუბი, რომელთაც ჰქონდათ საკმარისი ტექნოლოგიური, სამეცნიერო, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო პოტენციალი, ჰქონდათ ატომური იარაღი, რომელმაც მსოფლიო პოლიტიკაში სახელმწიფოთა შორის მკვეთრი უთანასწორობას და იერარქიულ მდგომარეობას ჩაუყარა საფუძველი [2].

შესაბამისად, ატომური ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოების პრაქტიკაში „ცივი ომის“ იდეოლოგია სხვა ფორმასა და შინაარსს ღებულობს, ვიდრე „უბირთვო“ ქვეყნების პოლიტიკასა და დიპლომატიაში, რადგან ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება ძლიერი და სუსტი ქვეყნების ინტერესები, მიზნები და ამოცანები.

მთლიანობაში „ცივი ომები“ მსოფლიო, რეგიონალური და ადგილობრივი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო წესრიგების პირშოა, განსხვავებული მოცემულობებით, მასშტაბებით და ცდომილებითაც. ომის თეორია გვამცნობს, რომ მოლაპარაკებების და დიპლომატიის რესურსების ამოწურვის შემდეგ პრობლემების გადასაჭრელად ამოქმედებას იწყებს ომი.

ჰელდი ბულის განმარტებით, „ომი წარმოადგენს ორგანიზებულ ძალადობას, რომელსაც ერთი პოლიტიკური ერთეული

ახორციელებს მეორის მიმართ“. „ცივი ომი“ არაერთგზის იხსნა კაცობრიობა განადგურებისაგან, რომლის თვალსაჩინო მაგალითია „კუბის კრიზისი“, როდესაც ვაშინგტონმა და მოსკოვმა შეძლეს საერთო ენა გამოენახათ სადიპლომატიო რესურსებით. „ცივი ომი“ არ გადაქცეულა ისტორიის კუთვნილებად. მისი პროცესი და შედეგები გავლენას ახდენს თანამედროვე პოლიტიკაზე და საერთაშორისო ურთიერთობებზე. ამ მხრივ საყურადღებოა თომას ჰობსის ნაშრომი „ლევიათანი“, რომელიც რეალიზმის თეორიას ასახავს და სახელმწიფო საზღვრები და სუვერენიტეტი ადამიანების უშიშროების გარანტიად არის წარმოჩენილი. ავტორის განმარტებით, ეროვნული ინტერესები იწვევს უთანხმოებას, რომელსაც სახელმწიფოები ვერ აგვარებენ და, შესაბამისად, წარმოიშობა დიდი თუ მცირე ომები. ამდენად შემდგარი სახელმწიფოები ვალდებული არიან მუდმივად ემზადონ ომისთვის [3].

პოლიტიკური რეალიზმის პრაქტიკიდან გამომდინარე, „ცივი ომით“ მომზადებული დაპირისპირება უნდა გადაიქცეს რეალურ ომად, რომლის დამთავრების შემდეგ კვლავ უნდა ჩამოყალიბდეს „ცივი ომის“ მდგომარეობა, ვიდრე მსოფლიო „ერთპოლუსიანი არ გახდება“.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობენ 1948 წელს ჰანს მორგენტაუს მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომს „პოლიტიკა ერებს შორის“, რომელშიც ვრცლად არის განმარტებული პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპები და რეალიზმის არსი, ხაზი ესმება, რომ სახელმწიფოს ინტერესები მის სიძლიერესთან ასოცირდება და ძალაუფლებაში გამოიხატება. პოლიტიკური რეალიზმი გვიხსნის, რომ სუვერენული სახელმწიფო და მისი ინტერესები ისტორიული პროცესის შედეგთან არის დაკავშირებული და თუ არ იარსებებს ასეთი ქვეყნები, მაშინ ეროვნული ინტერესებიც აზრს დაკარგავდა [4].

„ცივი ომის“ პერიოდში მოხდა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ახალი გადააზრება, რაც გამოიხატა ბიჰევიორისტებსა და პოზიტივისტებს შორის თეორიულ კამათში და ნეორეალიზმს დაუდო

საფუძველი, რომლის სათავეში აღმოჩნდა ქენეთ უოლცი და თავის 1979 წელს გამოცემულ ნაშრომში ჩამოაყალიბა „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“ – რეალიზმის ახალი მიდგომა, რომელშიც გახმოვანდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობები სამეცნიერო დისციპლინა უნდა გამხდარიყო და დაფუძნებოდა კანონზომიერებათა მსგავს წესებს [5].

ძალისმიერი ომი ქვეყნის საგარეოპოლიტიკური ამოცანების გადაჭრის ძალისმიერ მეთოდად განიხილება დედამიწის სხვადასხვა რეგიონში, რომელსაც მხარეები სხვადასხვა ფორმით ახორციელებენ, მაგრამ არსებობს გაგრძელებული ე.წ. „ცივი ომი“, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ეკონომიკური, იდეოლოგიური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა ოპერაციების განსახორციელებლად, მათ შორისაა სახელმწიფო და სახელისუფლებო გადატრიალებები.

„ცივი ომი“ რეალური ომის სპეციფიკური ნაირსახეობაა, რომლის მთავარი შემოქმედები აშშ და საბჭოთა კავშირი იყვნენ.

მეორე მსოფლიო ომმა ახლებურად განსაზღვრა ბევრი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ფუნქციისა და მართვის საკითხი. ამერიკისათვის იგი ეკონომიკური დეპრესიიდან გამოსვლას და ზესახელმწიფოს სტატუსის მოპოვებისათვის ბრძოლას ნიშნავდა, გერმანიისა და კორეისათვის კი ორად გაყოფას, დაპირისპირებებს და სამოქალაქო ომებს.

„ცივი ომები“ მიმდინარეობს რეგიონალურ სახელმწიფოებს შორის (ევროპა, სამხრეთ კავკასია და ა.შ.) და ის დაკავშირებულია პოლიტიკასთან, ეკონომიკასთან, საერთაშორისო სამართალთან.

დასავლეთის მიერ „ცივი ომის“ იდეოლოგიის შემოტანა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სივრცეში, იმის მომასწავებელი იყო, რომ ზოგადად სოციალისტური სისტემის, კერძოდ კი, საბჭოთა კავშირის დაშლა უნდა მომხდარიყო „ცივი ომის“ ეკონომიკური და იდეოლოგიური გზავნილებით, როდესაც მოხდებოდა სისტემაში მყოფი სახელმწიფო სუბიექტების, მართვის არენად გადაქცევა „რბილი ძალის“ სხვადასხვა პატამეტრების გამოყენებით, თუმცა მშვიდობიანი გზით „საერთაშორისო ერთობას“ ეს პრობლემა არსად გადაუწყვეტია, მით უმეტეს, გლობალიზმისა და სუვერენიტეტის ერთობა შეუძლებელი იყო და ავტომატურად გამორიცხავდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ თანამშრომლობას.

ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, ევროკავშირის ერთპიროვნული დომინირება არ არსებობდა, დარღვეული და უმოქმედო იყო საერთაშორისო პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების საქმიანობაც, შესაბამისად, გამოირიცხებოდა „ცივი ომის“ საერთაშორისო მიზანდასახულობა და განხორციელების პრაქტიკულობაც, მით უმეტეს, ჩამოყალიბების პროცესში იყო არა დასავლური, არამედ აღმოსავლური, ახალი ცივილიზაციის რეგულირების მექანიზმები, რომლის წყაროს წარმოადგენდა ჩინურ-ინდური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, იდეოლოგიური და სხვა ფაქტორები.

„ცივი ომის“ წარმმართველები არ იყვნენ მხოლოდ ზესახელმწიფოები და ის მიმდინარეობდა რეგიონალურ სახელმწიფოებს შორისაც (არაბული სამყარო – ისრაელი, აზერბაიჯანი – სომხეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთ კორეა და ა.შ.) და ის უკავშირდებოდა პოლიტიკას, ეკონომიკას, სამართალს, იდეოლოგიას, სასაზღვრო დავებს და ა.შ.

ორპოლუსიანი მსოფლიოს დასასრულის წინ „ცივი ომები“ დაიწყო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში (საქართველო, ბალტიისპირეთი), სადაც ეროვნული მოძრაობები კრემლის უნიტარულ პოლიტიკას და იდეოლოგიას უპირისპირდებოდა.

„ცივი ომი“ არ წარმოადგენს დროებით კატეგორიას, ის არსებობდა და იარსებებს სხვადასხვა ფორმებით, ხარისხით და შინაარსით და დამახასიათებელია მრავალპოლუსიანი მსოფლიო წესრიგისათვის, ხოლო მისი შედეგები თავს იჩენს დიდი თუ მცირე ომების, კონფლიქტების, დაპირისპირებების, სახელმწიფო გადატრიალებების და სხვა სახით ანუ არსებობენ „რადიკალური“, „ზომიერი“ და „რბილი“ მიმართულების „ცივი ომები“, რომლებიც ძირითადად „ცივი ომისთვის“ დამახასიათებელ საერთო კანონზომიერებს ექვემდებარებიან და ამავდროულად სხვადასხვა ქვეყნების სპეციფიკიდან,

მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარეობენ.

ცხადია, გასული საუკუნის „ცივი ომების“ ხელწერა განსხვავებული ხასიათის იყო, ვიდრე მსოფლიოს ზესახელმწიფოების თანამედროვე მოცემულობა მოითხოვს და მრავალპოლუსიანი, მსოფლიო და რეგიონალური წესრიგებიდან გამომდინარეობს.

ბოლო პერიოდში ჩინეთის, ინდოეთის და სხვა ქვეყნების გაძლიერებამ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ასპარეზზე, ახლებურად დასვა „ცივი ომის“ აღქმის საკითხი; ამ ასპექტშია გასააზრებელი ბოლო პერიოდში სამხრეთ კავკასიაში, უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში განვითარებული პოლიტიკური და სამხედრო პროცესები, რომლებმაც წარმოშვა ბირთვული პარიტეტის დარღვევის საფრთხე. ასეთ ვითარებაში რუსული ან ამერიკული მხარის ქმედებები ინტერესების ლოგიკაში ჯდება და „ცივი ომის“ ჩარჩოდან გამომდინარე, კეთდება დასკვნები და პროგნოზები. თუმცა ისეთ რთულ და ცვალებად სფეროში როგორც იყო საერთაშორისო პოლიტიკა, მიუღებელი ჩანდა მრავალსუბიექტიან დაპირისპირებათა დაძლევა მშვიდობიანი გზით. ამიტომ „ცივი ომი“ ახალი ფორმებით, ხერხებით და შინაარსით აგრძელებდა არსებობას.

„ცივმა ომმა“ დააჩქარა ისრაელის მიერ ოკუპირებული გოლანის სიმაღლეების აღიარება ისრაელის ტერიტორიად, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალი და გაერო მას სირიას აკუთვნებდა. აშშ-ის მიერ „ცივი ომის“ გამოვლინება იყო კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება. ამ კონტექსტში გასააზრებელია მკვლევარების მოსაზრება, რომ „ცივი ომი“ იყო სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური მოცემულობა, მაგრამ მისი პრაქტიკული რეალიზება შეუძლებელი იყო თერმობირთვული იარაღის არსებობის გამო, ამიტომ ის გადადიოდა სხვა განზომილებებში (პოლიტიკა, დიპლომატია, კულტურა, განათლება და ა.შ.).

„ცივი ომის“ პერიოდში გადაწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა სახელმწიფოს მასობრივი განადგურების იარაღის არამხოლოდ ფლობამ, არამედ სახელმწიფოს მიერ მისი გამოყენების უზრუნველყოფამ, ანუ მოწინა-

აღმდეგის ტერიტორიაზე მიტანის შესაძლებლობამ, ე.წ. ატომური „ტრიადით“ ანუ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო საშუალებებით.

ცხადია, ასეთ ვითარებაში თავის ხსნის გააზრება დაკავშირებული იყო ერთადერთ – შიშის ანუ თვითგანადგურების ფაქტორთან, რომელიც გახდა ბირთვული დარტყმის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება, ყოველგვარი ჰუმანიზმის, საერთაშორისო სამართლის, გაეროს, ევროკავშირის, ნატოს, სხვა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების და ა.შ. გარეშე და დამკვიდრდა თეზისი – „ომს გამარჯვებული არ ეყოლება“.

ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოები ამჯობინებდნენ სამხედრო ოპერაციები ან დახმარებები გადაეტანათ რეგიონალურ სივრცეში (ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთ კავკასია, უკრაინა და ა.შ.) და ადგილობრივი ძალების ხარჯზე ეწარმოებინათ საბრძოლო მოქმედებები, რომელშიც გამოყენებული იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობა.

ამდენად, ომები, თავისი მნიშვნელობით, ცდებოდა ლოკალურ კონფლიქტს, საერთაშორისო ხასიათს იძენდა და, შესაბამისად, ზესახელმწიფოების დაპირისპირების ფორმას ღებულობდა. მით უმეტეს, ცნობილია, რომ პოლიტიკური ისტორია მეორდება ახალი აღქმებით, საშუალებებით, პროცესებით და შედეგებით, თუმცა შეუცვლელი რჩება იდეოლოგიის ძირითადი მიმართულება, ბრძოლა მსოფლიო ჰეგემონისთვის და ის უფრო მძლავრი ფენომენია, ვიდრე სამხედრო დაპირისპირებები და ომები, რაც თანამედროვე ეტაპზე ბირთვული იარაღის მფლობელ ქვეყნებს, ომის შემთხვევაში კატასტროფამდე მიიყვანდა.

„ცივი ომის“ ისტორიული, პოლიტიკური, იდეოლოგიური, დიპლომატიური, სამართლებრივი, ეკონომიკური, სამხედრო და სხვა განზომილებები, ახლაც აგრძელებენ არსებობას და თანამედროვე საკომუნიკაციო ცივილიზაციური ბუმის პირობებში და ურთულეს პროგნოზირებებს ექვემდებარებიან პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, იდეოლოგიური და სხვა მოცემულობებით, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს:

1. სსრ კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილი ერთპოლუსიანი – ანგლო-საქსური სისტემის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და იდეოლოგიური პროცესები;

2. ლიბერალური დემოკრატიის საბოლოო გამარჯვების იდეა, ერთპოლუსიანი მსოფლიოს (აშშ) პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და იდეოლოგიური გაბატონება;

3. ეთნიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ტერიტორიული, რელიგიური და სხვა კონფლიქტების წარმოშობა და განვითარება;

4. ერთპოლუსიანი სისტემის მიერ მიზანმიმართულად მომზადებული „ფერადი რევოლუციები“, სამხედრო და სახელმწიფო გადატრიალებები, ტერორის აქტები,

პოლიტიკური, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეების მკვლევლობები და ა.შ.

მსოფლიოში გრძელდება საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა სახეცვლილებები, შესაბამისად, წარმოიშვა და წარმოიშობა შესაბამისი, ცნებები და ტერმინები: „ცივი ომი“, „რკინის ფარდა“, „ხისტი“, „რბილი“ და „ჭკვიანი“ ძალა და ა.შ. ამ მიმართულებით ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და სხვა ენებზე დაბეჭდილია ისტორიული, პოლიტიკური, იურიდიული, სამხედრო და სხვა სახის ლიტერატურა. ამ მხრივ უცხოელი ავტორებიდან უნდა აღინიშნოს ზ. ბჟეზინსკის, ფ. ფუკუიამას, ჰ. კისინჯერის, ბ. ჯენტერლსონის, ა დუგინის და სხვა ავტორთა შრომები.

*IGOR KVESELAVA - GTU, Professor*

*NONA TSABADZE - GTU, PhD Student*

## FOR THEORETICAL-PRACTICAL UNDERSTANDING OF "COLD WAR"

### Summary

War is a forceful method of solving the country's foreign policy tasks in different regions of the world, where various ties or alliances function, and losing their positions means strengthening the influence of competitors.

"Cold wars" arise during peacetime, and when politics and diplomacy fail to solve the problems, local, regional and world conflicts come into play, which can turn into real regional and world wars. If foreign policy is in a vacuum of law and morality and neither one nor the other can limit or stop conflicts of different ranks.

The paper discusses the political, economic, military and ideological aspects, various theories of the origin and development of the "Cold War", its types, goals and objectives and results; The analysis is made of various world and regional conflicts, the struggle to establish a unipolar ideology (Anglo-Saxon system).

*Key words: "Cold War", politics, economy, ideology, system. Unipolar, bipolar and multipolar dimensions, "world orders", USA, Soviet Union, superpowers.*

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ორუელი ჯ., შენ და ატომური ბომბი. ლონდონი: Tribune, 1945, 3 გვ.
2. მახარაძე ზ., „უკრაინის და სირიის კონფლიქტები, როგორც ახალი „ცივი ომის“ ეტაპი“ (სადოქტორო დისერტაცია), სტუ, თბ., 2019.
3. ჰობსი თ., „ლევიათანი“, ლონდონი, 1961.
4. მორგენტაუ ჰ., „პოლიტიკა ერებს შორის“, 1948.
5. უოლცი კ., „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“, 1979
6. ბჟეზინსკი ზ. „დიდი საჭადრაკო დაფა: ამერიკის ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები“, თბ., 2014.
7. ჯენტერლსონი ბ., „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“, თბ., 2015.
8. ფუკუიამა ფ., „ისტორიის დასასრული? პოლიტიკა და დემოკრატია“, თბ., 2015.
9. კუპრაშვილი ჰ., „ეროვნული უსაფრთხოება თუ ეროვნული უშიშროება“, თბ., 2014.

## გლობალური და რეგიონალური აქტორების ინტერესები კავკასიაში და ყარაბაღის კონფლიქტი

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს მრავალი განზომილება აქვს. ეთნიკური დაპირისპირების გარდა, წარმოდგენილია გეოპოლიტიკური „თამაშები“ ისეთ დიდ ძალებს შორის, როგორცაა რუსეთი, თურქეთი და ირანი, აშკარაა გზა უნიპოლარული საერთაშორისო სისტემიდან მულტიპოლარულ სისტემამდე, სახეზეა დიპლომატიისა და მედიაციის სისუსტე, მძიმე ჰუმანიტარული პრობლემები. ყარაბაღის კონფლიქტის ისტორიულმა ლაბირინთებმა და ამ უკანასკნელის შედეგებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია როგორც მეზობელ სახელმწიფოებში, ასევე, მთელ რეგიონსა და არსებულ ძალთა ბალანსში.

*საკვანძო სიტყვები: დემოკრატია, სუვერენიტეტი, გეოპოლიტიკა.*

ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, რეგიონული და გლობალური ძალები იბრძოდნენ სამხრეთ კავკასიაზე ჰეგემონიისა და გავლენის მოსაპოვებლად ან შესანარჩუნებლად. რეგიონი მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკურად, რადგან მასზე გადის აბრეშუმის გზა, აგრეთვე, გეოპოლიტიკურად იმიტომ, რომ ეს არის ბუფერული ზონა, რომელიც მდებარეობს რეგიონულ ძალებს შორის [1. 51].

მე-20 საუკუნის დასაწყისში, მეფის რუსეთის დაშლის დროს, კავკასიურმა თემებმა ისარგებლეს თვითგამორკვევის უფლებით, გამოიყენეს რეგიონში არსებული ძალაუფლების ვაკუუმი. აზერბაიჯანმა (1918-1920), საქართველომ (1918-1921), სომხეთმა (1918-1920) სამხრეთ კავკასიაში და მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკამ (1917-1920) ჩრდილოეთ კავკასიაში დამოუკიდებლობა გამოაცხადა [2].

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკები საერთაშორისო დონეზე იყო აღიარებული, მათ შორის იყო ტერიტორიული დავები და ომებიც კი, რომლებიც დაკავშირებული იყო საზღვრებთან. აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების დღევანდელი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრები საბჭოთა ხელისუფლებამ დაადგინა. მიუხედავად აღნიშნულისა, უმეტეს რეგიონში დღემდე საზღვრის პრობლემაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა

კავშირის დაშლამ განაპირობა 1991 წელს სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბება [2. 148-149].

საბჭოთა ეპოქის ავტონომიურ ერთეულებზე დავები გამოიწვია ომებმა მთიან ყარაბაღში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რამაც სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკურ არასტაბილურობასა და უსაფრთხოების პრობლემებს ჩაუყარა საფუძველი [3].

ამ უწყვეტმა კონფლიქტებმა დაასუსტა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები და ასპარეზი გაუხსნა რეგიონულ და გლობალურ ძალებს, რეგიონზე კონკურენციის გაძლიერებისათვის [4. 21-24].

რუსეთი მოქმედებდა იმ ძალაუფლების დასაბრუნებლად, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაკარგა „კონტროლირებული კონფლიქტის სტრატეგიით“ [4. 21-24].

ვინაიდან თურქეთს აქვს საერთო კულტურული და რელიგიური კუთვნილება აზერბაიჯანთან, ის ბაქოს გვერდით ედგა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში, ირანი კი ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებდა. რუსეთმა, რომელიც თავდაპირველად მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მოგვიანებით მიიღო უფრო მტკიცე პოზიცია სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით და 2008 წელს ცნო მათი დამოუკიდებლობა იმავე წლის აგვისტოს ომის შემდეგ. სამხ-

რეთ კავკასიის ქვეყნებს შორის სომხეთი ერთადერთია, რომელიც რუსეთთან სტრატეგიულ ალიანსში შევიდა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და აზერბაიჯანის მხარდასაჭერად თურქეთის სამხედრო ჩარევის გამო [5. 70-75].

2013 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (CSTO) მეშვეობით დამყარებული პარტნიორობამ კიდევ უფრო გრძელვადიანი პერსპექტივა მიიღო, როდესაც სომხეთმა გამოაცხადა ევრაზიის საბაჟო კავშირში შესვლა [6].

### ამერიკის ინტერესები და დამოკიდებულება ყარაბაღის კონფლიქტისადმი

2008 წლამდე ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) პოლიტიკა სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებული იყო ენერგეტიკული მოსაზრებებითა და რუსეთთან კონკურენციით რეგიონზე გავლენისთვის. შედეგად შეიქმნა ალტერნატიული ენერგეტიკული მარშრუტები, რომლებიც რუსეთის გვერდის ავლით ხორციელდებოდა [8].

ცივი ომის შემდგომ პერიოდში აშშ მხარს უჭერდა თურქეთის მხარდ გავლენას სამხრეთ კავკასიაში ალტერნატიული ენერჯის მარშრუტების შესაქმნელად. თეთრი სახლი მხარს უჭერდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენს და ბაქო-თბილისი-ერზრუმის (BTE ასევე ცნობილი როგორც სამხრეთ კავკასიის მილსადენი) ბუნებრივი აირის მილსადენს. დასავლეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების გასავითარებლად შეიქმნა თანამშრომლობის პლატფორმა, სახელწოდებით სუამი (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა; დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია), რომელსაც მხარს უჭერდა აშშ. აღნიშნულმა ერთის მხრივ, უბიძგა აშშ-ს მხარი დაეჭირა აზერბაიჯანი-თურქეთი-საქართველოს გეოპოლიტიკური ხაზისთვის სამხრეთ კავკასიაში, ხოლო მეორეს მხრივ, სომხეთთან ცალკეული ურთიერთობის განვითარებას [9].

როგორც კი საბჭოთა კავშირი დაიშალა, ვაშინგტონის ანალიტიკურმა ცენტრმა და-

ევრაზიის ეკონომიკური კავშირი (EAEU), რომელიც დაარსდა რუსეთის, ყაზახეთისა და ბელორუსის მიერ [7].

1991-1993 წლებში, ურთიერთობები შეიცვალა, როდესაც აზერბაიჯანში ნაციონალისტური სახალხო ფრონტი მოვიდა ხელისუფლებაში აბულფაზ ელჩიბეის ხელმძღვანელობით. 1998 წლიდან მოყოლებული, თურქეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის რეგიონალური ალიანსების ჩამოყალიბებამ, ირანი უფრო მჭიდრო თანამშრომლობაში ჩართო სომხეთთან და რუსეთთან [8].

იწყო ორი ასპექტის კონცენტრირება, რომელიც განვითარდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მაგ., რუსეთის მომავალი და კონტროლი ბირთვული იარაღის მასიურ მარაგზე. ვაშინგტონი შეგნებულად ორიენტირებულ სახელმწიფოებს წარმოადგენდა უკრაინა და ყაზახეთი, რომლებიც ფლობდნენ ბირთვულ იარაღს [10].

ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ცივი ომის დასრულებასთან ერთად ვაშინგტონი გააქტიურდა რეგიონში, როდესაც საბჭოთა ფედერაცია დაიშალა და მსოფლიოში ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები გაჩნდა, ამერიკის შეერთებული შტატები ერთი მხრივ, ნავთობისა და გაზის ბუნებრივი რესურსებსა და სუსტი პოლიტიკური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურით ინტერესდებოდა [11], ხოლო, მეორე მხრივ, ეთნიკური საკითხებით [12].

მოგვიანებით, აშშ-ის ოფიციალური პირები აკვირდებოდნენ რუსეთის გავლენის სფეროს პერსპექტიულ მახასიათებლებს მოსკოვ-ჩეჩნეთის კონფლიქტის კონტექსტში [13].

პოლიტოლოგებმა შენიშნეს, რომ მოსკოვი, უპირველეს ყოვლისა, ამჯობინებდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობას ეკონომიკურ და უსაფრთხოების ფრონტებზე. მოსკოვის ოფიციალურმა პირებმა განაგრძეს დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმოება რეგიონულ პოლიტი-

კაში სუპერსახელმწიფოებრივი იმიჯის შესანარჩუნებლად. უფრო მეტიც, მოსკოვმა დაიწყო ახალი გამოწვევების ჩამოყალიბება ჩინეთთან მიმართებით გავლენის სფეროს საკითხში. მოსკოვის საპირისპიროდ, ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკა რეგიონის მიმართ შეიძლება იყოს შესწავლილი ოთხ ეტაპად:

1. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ვაშინგტონს არ ჰქონდა მკაფიო პოლიტიკა რეგიონის მიმართ. ამ ფაზაში მოსკოვი მთლიანად რჩებოდა რეგიონის მიდგომის ცენტრად;
2. მეორე ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ მრავალეროვნულმა ნავთობკომპანიებმა დაიწყეს კონცენტრირება დროზე ორიენტირებული პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე რეგიონების მიმართ, ვაშინგტონს არ სურდა რეგიონში მოსკოვის ჰეგემონური სტატუსის გამოწვევა;
3. მესამე, (1996-1997) ვაშინგტონი გეგმავდა რეგიონისკენ სვლას, რადგან მიხვდა, რომ რეგიონს ჰქონდა გეოსტრატეგიული და გეოეკონომიკური ინტერესები, რადგან ვაშინგტონმა გადაწყვიტა სრულად ყოფილიყო რეგიონში ნავთობისა და გაზის რესურსებზე დომინანტი [14].

11 სექტემბრის მოვლენამ, რეგიონში მთლიანად ექვექვემ დააყენა ვაშინგტონის გლობალური ჰეგემონური სტატუსი მსოფლიო პოლიტიკაში [14].

რეგიონის მიმართ აშშ-ს პოლიტიკის დასრულება ყველა ამ ფაზაში, რომელიც კლასიფიცირებულია სამი პოლიტიკის მიზნის მიხედვით. ვაშინგტონი დაჰპირდა, რომ მხარს დაუჭერდა ყველა სახელმწიფოს სავაჭრო, უსაფრთხოებისა და პოლიტიკურ ფრონტებზე, რათა დახმარება გაეწია მათთვის რუსეთისა და ირანის გავლენისგან თავის დაღწევაში [15].

აშშ-ის მთავრობის წარმომადგენლები მხარს უჭერდნენ ლიბერალურ და სეკულარულ დემოკრატიზაციის რეჟიმებს პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, ვაშინგტონის ადმინისტრაციამ დაგმო მართლმადიდებლური ფუნდამენტური ისლამური მებრძოლი პარ-

ტიები ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებულ სახელმწიფოებში [16].

ვაშინგტონმა საბოლოოდ მხარი დაუჭირა იმ მრავალეროვნულ ნავთობისა და გაზის კომპანიებს, რომ შეესწავლათ კასპიის ზღვის რეგიონი და ჩამოეყალიბებინათ პოლიტიკა, ირანისა და რუსეთის ნავთობისა და გაზსადენის მარშრუტების კონტექსტში. საბოლოოდ, აშშ გეგმავდა სრულ მონოპოლიას. მოსკოვმა შეცვალა დამოკიდებულება ჩინეთის მიმართ რეგიონში 11 სექტემბრის მოვლენის შემდეგ. ამავე სულისკვეთებით, ჩინეთმა კონფრონტაციის პოლიტიკის ნაცვლად, ამჯობინა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე მოსკოვის იდენტური გავლენა რეგიონული და გლობალური პოლიტიკის ახალი ცვალებადი პარამეტრების მიხედვით [17].

11 სექტემბრის თავდასხმებმა შეარყია ვაშინგტონის გლობალური ჰეგემონური პოზიცია, რის შემდეგაც ბუშის ადმინისტრაციამ წინა პლანზე წამოიწია ავღანეთთან მიმართებით. ორი ფაქტორი იყო მნიშვნელოვანი, რამაც განაპირობა რეგიონში ტერორიზმის წინააღმდეგ ომის საკითხების არსებობა. პოლიტიკური ანალიზი ამტკიცებდა, რომ ამერიკელებმა გამოიყენეს ეს შესაძლებლობა კასპიის ნავთობის კონტექსტში გეოსტრატეგიული და გეოეკონომიკური სარგებლის გამო. კასპიის ზღვა რთული რეგიონია და ცენტრალური აზიის ყველა სახელმწიფო, მათ შორის ირანი, თურქეთი და რუსეთი, ითხოვდნენ თავიანთ წილს [18].

ამერიკის შეერთებულ შტატების, მიუხედავად კასპიის ზღვის რეგიონში ნავთობზე არსებითი გავლენისა, მდგომარეობა კრიტიკული ხდებოდა ორი ფაქტორის გამო: პირველი, საუდის არაბეთი, რომელსაც მჭიდრო კავშირები ჰქონდა ვაშინგტონთან, დაჟინებით მოითხოვდა ნავთობის ფასების გაზრდას [19].

მეორე, ვაშინგტონი გრძნობდა, რომ ისრაელის უწყვეტი დიპლომატიური სამხედრო და ეკონომიკური მხარდაჭერის გამო, საუდის არაბეთის მებრძოლი ისლამური ჯგუფები აკრიტიკებდნენ საუდის არაბეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და კიდევ უფრო აზიანებდნენ ამერიკის ინტერესებს საუდის არაბეთში [20].

ვაშინგტონი სამომავლოდ გეგმავდა საუდის არაბეთის ნავთობზე დამოკიდებულების შეცვლას. ამერიკის ეროვნულმა ენერგეტიკის კომისიამ ჩამოაყალიბა ახალი პოლიტიკის მახასიათებლები. ეროვნული ენერგეტიკის კომისია აცხადებდა, რომ „ამერიკამ უნდა გააძლიეროს თავისი სავაჭრო ალიანსი, დიალოგი დაიწყოს ნავთობის ძირითად მწარმოებლებთან და შემდგომ შეიმუშაოს სხვადასხვა ენერგეტიკული გეგმები ნავთობის უფრო დიდი მოპოვებით დასავლეთ ნახევარსფეროში, აფრიკაში, კასპიის ზღვის ნავთობის რესურსების ჩათვლით [21].

მეორე, ცენტრალური აზიის სახელმწიფოების გეოპოლიტიკური მნიშვნელობა იზიდავდა ვაშინგტონს ტერორიზმის წინააღმდეგ, ომის კონტექსტში. მითითებული მიზნისთვის აზერბაიჯანმა ნებაყოფლობით მისცა ვაშინგტონს თავისი როგორც საჭაერო ასევე, საზღვაო სივრცის გამოყენების შესაძლებლობა, ავღანეთზე თავდასხმის მიზნით, სადაც ალ-ქაიდას ხელმძღვანელობა იმყოფებოდა. აზერბაიჯანი ბუმის ადმინისტრაციისთვის მნიშვნელოვანი იყო სტრატეგიული და ეკონომიკური პერსპექტივების ფონზე. აზერბაიჯანი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობით, წარმოადგენს ცენტრალური აზიის იმ ქვეყანას, რომლის გავლითაც ვაშინგტონს შესვლა შეუძლია არა მხოლოდ ავღანეთში, არამედ კასპიის ზღვაშიც. ამ მიზნით, ვაშინგტონმა 2002 წლის იანვარში ამოიღო თავისუფლების მხარდაჭერის აქტის 907 ნაწილი:

„როგორც მდივანმა ოლბრაიტმა და მისმა მოადგილემ ტალბოტმა წარმოადგინეს კონგრესის წინაშე, 907-ე მუხლი აზერბაიჯანში ჩვენი დიპლომატიის სერიოზულ დაბრკოლებად რჩება. გასაგებია, რომ ზოგიერთის აზრით, 907-ე მუხლი ეჭვს იწვევს აშშ-ს ნეიტრალიტეტის შესახებ აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართ მთიანი ყარაბაღის შესახებ მოლაპარაკებებში, თუმცა ჩვენ არ გვჯერა რომ 907-მა მუხლმა მიაღწია იმ მიზანს, რომელიც მისმა მხარდამჭერებმა 1992 წელს მიიღეს. პირდაპირ რომ ვთქვათ, მას არაფერი გაუკეთებია ჩვენთვის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გრძელვადიან

პერსპექტივაში მშვიდობასთან დასაახლოებლად. პოლიტიკურად, მუხლი 907 და მასთან დაკავშირებული დებულებები ხელს უშლის ჩვენს პროგრესს მთიან ყარაბაღში, აზერბაიჯანთან ეფექტური მუშაობის უნარს აღმოსავლეთ-დასავლეთ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანზე, აზერბაიჯანში იგივე რეფორმების წინსვლისთვის, რასაც მხარს ვუჭერთ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ისევე როგორც ამერიკული ფირმების შესაძლებლობას აწარმოონ ბიზნესი აზერბაიჯანში. აზერბაიჯანის მთავრობა მტკიცედ არის ამერიკის შეერთებული შტატების მომხრე, რაც ჩვენთვის სასარგებლოა კასპიის ენერგეტიკის საკითხებში, გაუვრცელებლობაზე, ირანულ ტერორიზმზე და მთიან ყარაბაღზე. 907-ე მუხლი ზღუდავს და გააგრძელებს შეზღუდავს აშშ-აზერბაიჯანის ურთიერთობების გაფართოებას - უსარგებლო მიზნით“ [22].

თავისუფლების მხარდაჭერის აქტის 907-ე მუხლით, ვაშინგტონმა მკაფიოდ განსაზღვრა თავისი პოლიტიკის მახასიათებლები 1998 წელს კავკასიისა და ცენტრალური აზიის მიმართ. ეს მახასიათებლები, შესაბამისად, შემდეგია: უპირველეს ყოვლისა, ვაშინგტონს განზრახული ჰქონდა დემოკრატიზაციის პროცესის დანერგვა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების ეკონომიკური ინსტიტუტების განახლება მოწინავე კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის შესაბამისად [23].

მეორეც, ვაშინგტონმა ეკონომიკურ ფრონტზე წინ წაიწია ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ენერგეტიკის განვითარების იდეის დანერგვით და აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული სატრანსპორტო დერეფნის შექმნით. და ბოლოს, ვაშინგტონი ამტკიცებდა, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნებში უსაფრთხოების ვითარება უნდა გაუმჯობესდეს, რათა დაკმაყოფილდეს მომავალი გლობალური გამოწვევები ეკონომიკურ ფრონტზე ენერგეტიკული სატრანსპორტო დერეფნის წარმატებით განხორციელებით. ფაქტობრივად ამერიკა დაინტერესებული იყო დსთ-ს ახალი ქვეყნების რუსეთზე და ჩინეთზე დამოკიდებულების შემცირებით [24].



## ევროკავშირის ჩართულობის ხარისხი კონფლიქტის დარეგულირებაში

1994 წელს ცეცხლის შეწყვეტის დაწყებიდან ვითარება როგორც აზერბაიჯანში, ასევე სომხეთში და მთიანი ყარაბაღის რეგიონში თითქმის არ შეცვლილა. როგორც სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის (SIPRI) მიერ შეგროვებული მონაცემები აჩვენებს, სამხედრო ხარჯები როგორც აზერბაიჯანში, ასევე სომხეთში ბოლო 20 წლის განმავლობაში მასიურად იზრდება. 72 მილიონი აშშ დოლარიდან 1993 წელს, სომხეთის სამხედრო ხარჯები თითქმის ექვსჯერ გაიზარდა და დაახლოებით 404 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა 2010 წელს. მთლიან შიდა პროდუქტს (მშპ) თუ განვიხილავთ პროცენტულად, ის გაიზარდა 2,3 პროცენტიდან 4,2 პროცენტამდე იმავე პერიოდში. ზრდა კიდევ უფრო არსებითია აზერბაიჯანთან მიმართებით. 1996 წელს ამ უკანასკნელმა დახარჯა 142 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო 14 წლის შემდეგ ეს თანხა გაიზარდა ათჯერ, 1,4 მილიარდ აშშ დოლარამდე. მშპ-ის პროცენტული მაჩვენებელი აზერბაიჯანის შემთხვევაში გარკვეულწილად დაბალია, ვიდრე სომხეთის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აზერბაიჯანს ნაკლები ხარჯი გააჩნია სამხედროებზე. პირიქით, ნავთობით მოპოვებული ეკონომიკური ბუმის წყალობით, აზერბაიჯანმა შეძლო სამხედრო ხარჯების მასიურად გაზრდა და აზერბაიჯანის ოფიციალურმა პირებმა რამდენჯერმე განაცხადეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ძალით დაიბრუნებდნენ მთიან ყარაბაღს [18].

გარდა სამხედრო ფორმირებისა, ორივე ქვეყანა, მმართველობის არადემოკრატიული ფორმების ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, რომლებიც მათი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც თან სდევთ. გლობალური მშვიდობის ინდექსი არ აჩვენებს თანმიმდევრულ განვითარებას არც სომხეთში და არც აზერბაიჯანში, მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია, როგორც ჩანს, ოდნავ გაუმჯობესდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ვინაიდან ორივე საკმაოდ პატარა ქვეყანაა, ცალკეულმა მოვლენებმა, მაგალითად, ძალადობრივმა პოსტ-საარჩევნო საპროტესტო აქციებმა სომხეთში 2008 წელს ან

გახშირებულმა სროლებმა მთიან ყარაბაღში 2009, 2010 და 2014 წლებში შეიძლება შესამჩნევი გავლენა იქონიოს მათი ინდექსის მაჩვენებელზე კონკრეტულ წელს. Economist Intelligence Unit-ის მიერ შეგროვებული დემოკრატიის ინდექსი, ასევე, არ აჩვენებს აშკარა ევოლუციას უფრო ღია პოლიტიკური სცენისკენ. სომხეთს ოდნავ მაღალი ქულა აქვს ვიდრე აზერბაიჯანს: სომხეთი კლასიფიცირებულია, როგორც ჰიბრიდული რეჟიმში დემოკრატია და ავტორიტარიზმს შორის, განსხვავებით აზერბაიჯანისგან, რომელიც ავტორიტარულ რეჟიმად არის წარმოდგენილი [25].

ორგანიზაცია „Freedom in the World“ ანგარიშებშიც ნახსენებია, რომ აზერბაიჯანი „არათავისუფალ“ და სომხეთი „ნაწილობრივ თავისუფალად“ არის წოდებული. რეიტინგი არც ერთ ქვეყანაში არ შეცვლილა მათი დამოუკიდებლობის შემდეგ [26].

კონფლიქტის მოგვარების ჩარჩო, რომელზეც ყველა მხარე შეთანხმდა, არის ეუთოს მინსკის ჯგუფი, სადაც თანათავმჯდომარეები არიან რუსეთი, აშშ და საფრანგეთი. თავმჯდომარე ქვეყნებთან ერთად, მინსკის ჯგუფი ძირითადად ევროკავშირის წევრი ქვეყნებისგან შედგება - თუმცა თავად ევროკავშირი არ იყო წარმოდგენილი როგორც დამოუკიდებელი აქტორი.

როგორც ჩანს, ევროკავშირს არ შეუძლია შესთავაზოს უფრო ეფექტური ჩარჩო ამ პროცესისთვის და, შესაბამისად, მინსკის ჯგუფის ძალისხმევის მხარდაჭერა წესით უნდა ყოფილიყო საკმარისი [26].

როგორც უკვე აღვნიშნე, კავშირში გაწევრიანების შეთავაზება არის ევროკავშირის ყველაზე ძლიერი საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის გაწევრიანებაზე მოლაპარაკებები იმ პერიოდში შეფერხებული იყო, ნაკლებად ივარაუდებოდა, რომ ევროკავშირს თავისი შეთავაზება სამხრეთ კავკასიის რომელიმე ქვეყანაზე გავრცელებინა. მათი გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, თურქეთი ერთადერთი სახმელეთო კავშირს წარმოადგენდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. ასეთი ნაბიჯს საფუძველი მხო-

ლოდ თურქეთის გაწევრიანების შემდეგ ექნებოდა. თურქეთის გაწევრიანების მკაფიო პერსპექტივის ხელახალი დადასტურება ასევე გაზრდიდა ევროკავშირის პოზიციას სამხრეთ კავკასიაში. დაბოლოს, იმისთვის, რომ უფრო სერიოზულად იქნას მიღებული ამ კონფლიქტურ ზონებში, ევროკავშირი უნდა აღიჭურვოს სანდო სამხედრო შესაძლებლობებით. მხოლოდ რბილი ძალა არ არის საკმარისი პოლიტიკის ბევრ სფეროში, რომელთა შორის არის კონფლიქტების მოგვარება ევროკავშირის უშუალო კანდიდატი ქვეყნების გარეთ რეგიონებში. ევროკავშირის „ნორმატიული განსხვავება“ არ იძლევა საკმარის ძალას ამ სფეროში ზემოქმედებისთვის. სამხედრო თანამშრომლობა ევროკავშირი, რომელიც ორგანიზებულია სხვადასხვა საბრძოლო ჯგუფებად, შედგება სხვადასხვა სახელმწიფოდან წარმოდგენილი 1000-დან 1500-მდე ჯარისკაცისგან შესაძლოა სწრაფად განლაგდეს კრიზისულ ზონებში. მიუხედავად აღნიშნულისა, ეს უკანასკნელი მაინც არ არის საკმარისი ძირითადი მიზნებისთვის. ევროკავშირს შეეძლო ყველაზე დიდი წვლილი შეეტანა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის სამშვიდობო მოწესრიგებაში, იქნებოდა ეს წარმოდგენილი დამკვირვებელი თუ სასწავლო მისიებით არა მხოლოდ სამხედროებისთვის, არამედ პოლიციისა და სასამართლო სისტემისთვისაც კი [27].

ევროკავშირი რეალურად არასდროს ყოფილა არსებითად ჩართული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესში, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, არის ის, რომ არც სომხეთმა და არც აზერბაიჯანმა არ მოითხოვეს მისი ჩართვა. სომხეთს არ სურდა რუსეთის გალიზიანება ევროკავშირის ჩართულობით და, 2000-იანი წლების შუა პერიოდში, აზერბაიჯანმა დაიწყო თავისი „ნეიტრალიტეტის“ წარმოჩენა - მცდელობები, რომლებიც ზოგჯერ ევროპულ დიპლომატიურ არსენალს ფაქტობრივად ყირაზე აყენებდა [27].

2003 წელს ევროკავშირის მიერ სამხრეთ კავკასიაში სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნამ გააჩინა მოლოდინი ე.წ. ბლოკის შექმნის შესახებ. ჰეიკი ტალვიტიე და პიტერ სემენბი იყვნენ პირველი ორი სპეციალური წარმომადგენლები, რომლებიც ეძებდნენ

გზებს, რათა ევროკავშირი უფრო ძლიერი აქტორი ყოფილიყო რეგიონში [28].

ამ გაძლიერებულმა მოლოდინებმა გამოიწვია ბევრი ვარაუდი ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიაში, რომ ბლოკმა შეიძლება შეცვალოს ვითარება. ასევე ის, რომ აღნიშნულმა ბლოკმა შესაძლოა ჩაანაცვლოს საფრანგეთი, როგორც მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში (დანარჩენი ორი თანათავმჯდომარეა რუსეთი და შეერთებული შტატები) [29].

თუმცა, პარიზს არასოდეს შეუთავაზებია ბრიუსელისთვის ჩართულობა, ამიტომ მითითებული სპეკულაცია მალევე ჩაცხრა [30].

მოგვიანებით, ევროკავშირი ცდილობდა სამხრეთ კავკასიის საომარ ზონებში დახმარებისა და ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელებას, როგორც კონფლიქტების დარეგულირებაში წვლილის შეტანას. ამ მიდგომამ გარკვეულწილად იმუშავა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში (ქართული თანხმობით), მაგრამ მთიანი ყარაბაღში შედეგი ვერ გამოიღო. აზერბაიჯანს არ სურდა საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობა მთიანი ყარაბაღის დე ფაქტო ხელისუფლებასთან, შესაბამისად, არ შედგა თანამშრომლობა [30].

კონფლიქტის მოგვარებაში ჩართულობის ფუჭი მცდელობების შემდეგ, ბრიუსელმა შესთავაზა მხარეებს დახმარება ესკალაციის დასრულების შემდეგ. სემენბიმ თქვა, რომ „ევროკავშირისგან დიდი წვლილი იქნება შეტანილი, როცა გამოსავალი მოიძებნება და ჩვენ განვიხილავთ ყველა შესაძლებლობას, რაც კი შეიძლება ევროკავშირს, როგორც პოსტკონფლიქტურ ორგანიზაციას ჰქონდეს, რა თქმა უნდა, აქტორების სურვილის გათვალისწინებით [31].

უფრო მეტიც, შესაძლოა, სამშვიდობო ოპერაციის ხელმძღვანელობაც კი“. თუმცა, რადგან აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის შეთანხმება არ ყოფილა, სამშვიდობოების საჭიროება არ არსებობდა. 2007 წლის შუა პერიოდისთვის აზერბაიჯანი სულ უფრო სკეპტიკურად უყურებდა საერთაშორისო საზოგადოების როლს კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ამ სკეპტიციზმმა გამოიწვია სამხედრო სფეროში მასიური ინვესტი-

ციები, სამხედრო რიტორიკა და იმედგაცრუება დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმოებისას [32].

ევროკავშირის იმედები გაამყარა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების პროცესში, წვერი სახელმწიფოების მიერ 2008 წლის თებერვალში კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ. ამ ნაბიჯებმა შეარყია აზერბაიჯანის რწმენა, რომ საერთაშორისო საზოგადოება დაიცავს მის ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. უფრო მეტიც, აზერბაიჯანიც სამშვიდობოების იდეით იყო განმსჭვალული [33].

აზერბაიჯანში ბევრმა დაინახა, რომ სერბეთმა თავდაპირველად მიიღო და დააკანონა გაეროს ძალები კოსოვოში, მხოლოდ იმისთვის, რომ ეს ძალები დახმარებოდნენ კოსოვოს დამოუკიდებლობისა და საერთაშორისო აღიარების უზრუნველყოფისაკენ. ყველა ამ ფაქტორიდან გამომდინარე, აზერბაიჯანი სულ უფრო მეტად ცდილობდა კონფლიქტის დასრულებას სამხედრო ძალის გამოყენებით.

### კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მცდელობები და ეუთოს მინსკის ჯგუფის საქმიანობა

ყოფილ საბჭოთა კავშირში ძალადობრივი კონფლიქტებიდან, ომი მთიანი ყარაბაღის გამო ყველაზე მეტად საფრთხეს უქმნის რეგიონის მომავალ განვითარებას, როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად. ისტორიული ქრონიკები ცხადყოფს, რომ ყარაბაღის კონფლიქტი კონცენტრირებულია მთიანი ყარაბაღის რეგიონისა და მიმდებარე ტერიტორიების ირგვლივ, რომელსაც ფესვები აქვს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ისტორიული, ეთნიკური და ტერიტორიული დავებიდან [35].

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება წარმოადგენს რთულ და ხანგრძლივ პროცესს, რომელშიც წლების განმავლობაში სხვადასხვა საერთაშორისო აქტორები აქტიურად მონაწილეობდნენ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში ძირითად საერთა-

მოგვიანებით, ჩაისახა ვარაუდი დიპლომატიური მოლაპარაკებების შესახებ, რომელიც შექმნილი იყო ეგრეთ წოდებული მადრიდის პრინციპების განსახორციელებლად. ამ პრინციპების თანახმად, სომხეთი დათმობდა კონტროლს შვიდ ოკუპირებულ აზერბაიჯანულ ოლქზე, მაგრამ შეინარჩუნებდა სახმელეთო დერეფანს მთიანი ყარაბაღისკენ და აწარმოებდა მოლაპარაკებებს რეგიონის სტატუსზე. ევროკავშირის დიპლომატიას ძალუძდა პროცესის ხელშეწყობა სომხეთსა და აზერბაიჯანზე ბევრად მეტი ზეწოლით, რათა დაწყებულიყო მადრიდული პრინციპების განხორციელება. თუმცა, ეს უკანასკნელი შესაძლებელი იყო მხოლოდ სომხეთის, აზერბაიჯანის, ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებისა და ბოლოს უკვე, ანკარას თანხმობით (ბაქოს მხარდაჭერით). ამ თვალსაზრისით, ევროკავშირის გავლენა კონფლიქტის ესკალაციაზე არ შეცვლილა, შესაბამისად, მისი როლი კვლავ ამოუცნობია [34].

შორისო მექანიზმს ეუთოს მინსკის ჯგუფი წარმოადგენდა [36].

თავის მხრივ, მინსკის ჯგუფი შეიქმნა 1992 წელს და მოქმედებს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ეგიდით. უმთავრეს ამოცანას, სწორედ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მოლაპარაკებების მშვიდობიანი გზით მოგვარება წარმოადგენს, რა საფუძვლითაც, მინსკის ჯგუფი არაერთხელ იყო ჩართული მოლაპარაკებების შუამავლობაში და სხვადასხვა სამშვიდობო გეგმებიც კი იქნა შეთავაზებული [37].

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ასევე ჩართული იყო ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ იქნა რამდენიმე რეზოლუცია კონფლიქტის ესკალაციასთან დაკავშირებით, რომელიც სომხეთს მოუწოდებდა საჯარისო შენაერთების გაყვანას

აზერბაიჯანის ტერიტორიიდან და დავების მშვიდობიანი გზით მოგვარებას [38], თუმცა აღნიშნული შეთავაზებები ფაქტობრივად არ იქნა გათვალისწინებული.

რუსეთი კონფლიქტის მთავარი აქტორია, რომელსაც გადამწყვეტი როლი აქვს რეგიონში სომხეთთან ისტორიული კავშირებისა და სამხრეთ კავკასიაში გავლენის გამო [38].

ამასთან, რუსეთმა მინსკის ჯგუფის სახელით, სომხეთს დიპლომატიური და სამხედრო დახმარებებიც გაუწია. განსაკუთრებით ხაზგასასმელია რუსეთის როლი 2020 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შუამავლობაში, რომლითაც ფაქტობრივად დასრულდა კიდევ საომარი მოქმედებები სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის [36].

თურქეთი ისტორიულად მხარს აზერბაიჯანს უჭერდა და კრიტიკულად იყო ყოველთვის განწყობილი სომხეთის მიმართ. ბოლო წლებში თურქეთი აქტიურად ჩაერთო როგორც დიპლომატიური გზით კონფლიქტის მოგვარებაში, ისე, სამხედრო თვალსაზრისითაც.

მნიშვნელოვანია თურქეთის რეგიონალური ინიციატივა „პლატფორმა 3+3“, რომელიც მიზნად ისახავდა თურქეთის, რუსეთისა და ირანის რეგიონულ გაერთიანებას. სწორედ აღნიშნულ გაერთიანებას უნდა ემსჯელა ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე.

ევროკავშირი იყო ჩართული სამხრეთ კავკასიაში სამშვიდობო პროცესის მხარდასაჭერად. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს არ აქვს პირდაპირი შუამავლის როლი, როგორც მინსკის ჯგუფს, ამ უკანასკნელმა უზრუნველყო ჰუმანიტარული დახმარება და მხარი დაუჭირა რეგიონში ნდობის აღდგენის მექანიზმებს [39].

ირანს მნიშვნელოვანი ინტერესი გააჩნია მისი ჩრდილოელი მეზობლის აზერბაიჯანის, ისევე, როგორც სომხური უმცირესობის მოსახლეობის სტაბილურობაში. ირანი დროდადრო მზადყოფნასაც კი გამოთქვამდა კონსტრუქციული როლის თამაშის, რომ კონფლიქტის შუამავლობა ეთავა და სთავაზობდა პოტენციური შუამავლის მომსახურებასაც კი [40].

სხვადასხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფი იყო ჩართული დიპლომატიური გზით მოლაპარაკებათა წარმოებაში, ისევე, როგორც ჰუმანიტარულ დახმარებაში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მშვიდობისა და შერიგების ხელშეწყობის მიზნით [40].

უდავოდ აღსანიშნავია ჰააგის სასამართლო, რომელშიც სომხეთის მოთხოვნა იქნება განხილული, რომ აზერბაიჯანმა მთიანი ყარაბაღის სამოქალაქო დასახლებებიდან შეიარაღებული ძალები გაიყვანოს, აღნიშნული უკვე მეოთხე შემთხვევაა, როდესაც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო გადაუდებელი ზომების მოთხოვნას განიხილავს სომხეთ-აზერბაიჯანს შორის არსებული კონფლიქტის პირობებში. სომხეთიც და აზერბაიჯანიც ადანაშაულებენ ერთმანეთს, რომ გაეროს ანტიდისკრიმინაციული ხელშეკრულების პირობები იქნა დარღვეული [41].

მიუხედავად ძალისხმევისა, კონფლიქტი კვლავ მოუგვარებელი რჩება ათეული წლების განმავლობაში. საერთაშორისო აქტორების როლი კვლავაც გადამწყვეტია სტაბილურობის შენარჩუნებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისკენ სწრაფვაში, რომელიც ითვალისწინებს როგორც სომხეთის, ისე აზერბაიჯანის მისწრაფებებს, პატივი სცენ მთიანი ყარაბაღის ხალხის უფლებებს [39].

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებით ხუთი ძირითადი საკითხის გამოყოფა შეიძლება: უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ომის შედეგად, მილიონი ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული პირია, ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მეორე, სომხეთს ჯარი იკავებს აზერბაიჯანის ტერიტორიის დიდ ნაწილს ყარაბაღის გარშემო. სამწუხაროდ, სომხები მზად არიან მიწათა ნაწილის დაბრუნებაზე, თუმცა მტკიცედ ინარჩუნებენ სახმელეთო დერეფანს მთიან ყარაბაღსა და სომხეთს შორის, რომელიც „ლაჩინის დერეფნად“ არის წოდებული, პრობლემურია ასევე ქალაქი შუშა. მესამე, მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი არსებითად სახელმწიფოთაშორისია, რო-

მელშიც აზერბაიჯანი და მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა წარმოადგენენ მხარეებს, აზერბაიჯანი უარს აცხადებს მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის კონფლიქტის მხარედ აღიარებაზე და ადგენს, რომ კონფლიქტის მეორე მხარეს სომხეთი წარმოადგენს [40].

მეოთხე, კონფლიქტის საწყის ეტაოზე, აზერბაიჯანი მთიან ყარაბაღს საკუთარი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევდა. აღნიშნულ თეზას ამყარებდა ეუთოს სუვერენიტეტის, საზღვრების ხელშეუხებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე [42].

სომხეთი კი თვლის, რომ მთიანი ყარაბაღი სომხეთის ტერიტორიას წარმოადგენს, რასაც ამყარებს ეუთოს ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპიდან გამომდინარე.

მეხუთე და, ალბათ, ყველაზე რთული არის ანკლავის საბოლოო სტატუსი. აზერბაიჯანი აცხადებს, რომ ანკლავს მისცემს ავტონომიის უმაღლეს დონეს, მაგრამ მხოლოდ როგორც რეგიონს აზერბაიჯანის შემადგენლობაში. აზერბაიჯანის მთავარი მიზანი ტერიტორიული მთლიანობის დაცვაა. სომხები უარყოფენ ამ მიდგომას და სანაცვლოდ მხარს უჭერენ ან მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას ან მის გაერთიანებას სომხეთის რესპუბლიკასთან [42].

ძირითადად, ყარაბაღის ხელმძღვანელობა ეწინააღმდეგება ნებისმიერ რეგულაციას, რომელიც გულისხმობს ანკლავის აზერბაიჯანულ მმართველობას. ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებული ხუთი ძირითადი საკითხიდან, ეს უკანასკნელი ორი ყველაზე რთული საკითხია კომპრომისის ძიების პროცესში [43].

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი არის გზაგასაყარზე, სადაც მრავალი სახელმწიფოსა და ორგანიზაციის ინტერესები ხვდება კომპლექსურ არეალში. ფაქტობრივად, მთიანი ყარაბაღი მდებარეობს რეგიონული სისტემის ცენტრში, რომელშიც არის კონკურენცია სამ მთავარ ძალას შორის, რუსეთს, თურქეთსა და ირანს შორის და ითვლება „სტრატეგიულ ინტერესად“ ყველა ქვეყნისთვის [39].

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, კავკასიის სა-

ხელმწიფოები ატარებდნენ დასავლურ საგარეო პოლიტიკას, გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ, კონფლიქტებმა და ხანგრძლივმა ისტორიულმა კავშირებმა საფუძველი ჩაუყარა მეგობრობისა და მტრობის ფართო არსენალს, რამაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა ცივი ომის შემდგომი ურთიერთობები [40].

სომხეთზე თურქეთის ეკონომიკური ბლოკადისა და უსაფრთხოების სხვა შესაძლებლობების არარსებობის შედეგად, სომხეთის ხელმძღვანელობა საბოლოოდ რუსეთს უსაფრთხოების გარანტიებს დაეწაფა და აქტიურად ჩაერთო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) [43].

მეორე მხრივ, აზერბაიჯანი ატარებდა დასავლურ საგარეო პოლიტიკას და გაწევრიანდა დემოკრატიისა და ეკონომიკური გაერთიანების ალიანსში. ეს იყო მთავარი დაბრკოლება კონფლიქტის მოგვარებისთვის, რადგან ომში მყოფი მხარეები უსაფრთხოების გარანტიებს ეძებდნენ სხვადასხვა რეგიონულ ძალებში [43].

რუსეთი კი, მხარს უჭერს თავის „სტრატეგიულ პარტნიორს“ და ტრადიციულ მოკავშირეს - სომხეთს იარაღით, საწვავით, სამხედრო ტექნოლოგიებით, ეკონომიკური დახმარებისა და სხვადასხვა ბენეფიტების მიწოდებით. 1992 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) ოფიციალურად შეერთებით, სომხეთმა მიიწვია რუსეთი მის ტერიტორიაზე პატრულირებისა და სამხედრო ბაზების ოპერირების მიზნით [44].

1992 წლიდან რუსეთმა და სომხეთმა ხელი მოაწერეს თერთმეტ ოქმს სამხედრო პროექტების შესახებ და 1990-იანი წლების ბოლოს ისინი თანამშრომლობდნენ საჰაერო თავდაცვის სისტემებში და გაერთიანებული ძალებისთვის ადგილობრივი რეკრუტირების სფეროში. რუსეთი დღესაც რჩება სომხეთის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად [39].

მეორეს მხრივ, აზერბაიჯანმა შესანიშნავი სამუშაო შეასრულა რუსეთის გავლენის შეზღუდვაში. აზერბაიჯანი ფაქტიურად ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში, სადაც რუსული ჯარები არ არიან განლაგებული [39].

რუსეთისთვის სამხრეთ კავკასიას აქვს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული და ისტორიული წონა. მეთვრამეტე საუკუნიდან დაწყებული, რუსეთი ცდილობდა ამ რეგიონში თავისი ტერიტორიისა და გავლენის გაფართოებას. რუსეთი აღნიშნულ ტერიტორიას განიხილავს როგორც კარიბჭეს ახლო აღმოსავლეთში და როგორც მის გაფართოებულ საზღვარს. რუსეთი არის სამშვიდობო ჯარების მთავარი მიმწოდებელი [40].

მოსკოვიდან დანახული, კავკასია მათი „ახლო საზღვარგარეთის“ ნაწილია. სომხეთის მდებარეობა კავკასიაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რუსეთისთვის, რადგან ის ჰყოფს თურქეთს დანარჩენი თურქული ერებისგან და იზიარებს საზღვარს ირანთან, ქვეყანასთან, რომელთანაც რუსეთს სურს უფრო მჭიდრო ურთიერთობების განვითარება.

აზერბაიჯანის მდებარეობა ამ რეგიონში მნიშვნელოვანია, რადგან რუსეთს სურდა მეტი კონტროლი კასპიის ნავთობის საექსპორტო მარშრუტებზე. გარდა ამისა, ეს რეგიონი მნიშვნელოვანია რუსეთის ეროვნული უსაფრთხოებისთვის, რადგან ის არის ცნობილი როგორც „ტერორისტების დასაყრდენი“ და ითვლება, რომ თავშესაფარია „ისლამური ექსტრემისტებისათვის“ [43].

რუსეთი ამკარად საკვანძო მოთამაშეა სამხრეთ კავკასიაში და აქვს მნიშვნელოვანი უნარი გავლენა მოახდინოს მოვლენების მიმდინარეობაზე ამ რეგიონში. სომხეთში რუსეთის ელჩის, ანატოლი დრიუკოვის განცხადებით, სომხეთ-რუსეთის ურთიერთობები „მოკავშირე სტრატეგიულ პარტნიორებაში“ გადაიზარდა. მეორეს მხრივ, რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობები 1990-იანი წლების განმავლობაში „გრილი“ რჩებოდა და მხოლოდ 2000 წელს დაიწყო დათბობა, როდესაც აზერბაიჯანმა განაცხადა, რომ რუსეთი იყო „სტრატეგიული პარტნიორი“ [39].

კავკასიაში რუსული გავლენის ხელახალი მტკიცება შეიძლება მივაწეროთ რუსული პოლიტიკის „ევროატლანტისტური“ პერსპექტივიდან „ნეოევრაზიისტურ“ პერსპექტივაზე გადასვლას. ნეოევრაზიული პერსპექტივა ამტკიცებს, რომ „[ეკონომიკური

და პოლიტიკური] რეფორმის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია რუსეთის სახელმწიფოებრიობის ხელახლა განმტკიცებაზე და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად დაკარგული მიწის აღდგენაზე“ [44].

ეს პერსპექტივა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს დასავლეთის ჩართულობას მის მახლობლად საზღვარგარეთ და ემხრობა უფრო რეალისტურ საგარეო პოლიტიკას. დიმიტრი ტრენინი განმარტავს, რომ „რუსეთი ძირითადად დაინტერესებულია ყოფილი [კავკასიის] რესპუბლიკების მეგობარ სახელმწიფოების სარტყლად გადაქცევით“ და რომ „უსაფრთხოება, გარე თუ შიდა, უდავოდ არის რუსეთის მთავარი ინტერესი“ ამ რეგიონში [45].

ყოველივე ზ/აღნიშნულის გათვალისწინებით, რუსეთის სტრატეგიული მიზანი სამხრეთ კავკასიაში სამი ძირითადი პრინციპის გარშემოა ორიენტირებული: „კავკასიის სახელმწიფოები უნდა იყვნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრები. მეორეც, ამ სახელმწიფოების „გარე“ საზღვრები - რაც გულისხმობს საბჭოთა გარე საზღვრებს ირანთან და თურქეთთან - რუსული სასაზღვრო ჯარების მიერ უნდა იყო კონტროლირებადი და „დაცული“.

მესამე, სამი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნდა იყოს რუსული სამხედრო ბაზები“. რუსეთი წარმატებით ახორციელებს ზემოაღნიშნული სამი პრინციპის განხორციელებას სომხეთში, მაგრამ არა აზერბაიჯანში [39].

აზერბაიჯანს კი, პირველ რიგში, თურქეთი უჭერს მხარს. 1993 წლისთვის თურქეთმა მთლიანად დახურა საზღვარი სომხეთისთვის ჰუმანიტარული დახმარების გადაზიდვისთვის თურქეთის ტერიტორიის გავლით და განმარტა, რომ ის ხელახლა გახსნიდა საზღვარს სომხეთთან მას შემდეგ, რაც სომხური ძალები გამოვიდნენ აზერბაიჯანის ტერიტორიიდან. სტენფორდის უნივერსიტეტის სომეხი ფულბრაიტის, არმენ აივაზიანის თქმით, თურქეთის მთავარი სტრატეგიული მიზანია

გაამლიეროს თავისი სტატუსი კავკასიაში ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობების გაღრმავების გზით ხუთ თურქულენოვან სახელმწიფოს-

თან, მათ შორის აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან, ყაზახეთთან, უზბეკეთთან და ყირგიზეთთან [39].

შეერთებული შტატების მთავრობა ღიად არ უჭერდა მხარს არცერთ მხარეს და ცდილობდა დაებლანსებინა მისი ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესები. ეკონომიკურ სფეროში, აშშ-ს აქვს ინტერესი აზერბაიჯანის კასპიის ზღვის ნავთობის მარშრუტების ალტერნატიული ნავთობსადენის მარშრუტების უზრუნველსაყოფად და მეტი მოკავშირის ჩართვით ტერორის წინააღმდეგ ომში. სტრატეგიულ სფეროში შეერთებულმა შტატებმა ღიად დაუჭირა მხარი აზერბაიჯანის დემოკრატიზაციის პროცესს, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭო და ევროკავშირი აცხადებენ, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას არღვევს მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის არჩევნები [46].

გარდა ამისა, შეერთებულმა შტატებმა ასევე უნდა უპასუხოს თავის მრავალმილიონიან სომხურ საზოგადოებას და ძლიერ სომხურ ლობს, რომელსაც მხარს უჭერს კონგრესმენტა ოცდახუთი პროცენტი. ევროკავშირი აღიარებს, რომ კავკასია ევროპის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან სფეროა, რადგან რეგიონის მუდმივი არასტაბილურობა იძლევა დასავლურ საზოგადოებებზე მიმართული ტერორისტული მოძრაობების, ნარკოტიკებით ვაჭრობისა და მიგრანტების გაფართოების საშუალებას. აღნიშნული ასევე არის შეერთებული შტატების მთავარი საზრუნავი. მეორე, ევროკავშირი განიხილავს გაუარესებულ გარემოსდაცვით ვითარებას და ატომურ ელექტროსადგურებს ამ რეგიონში, როგორცაა მეძამორის ატომური ელექტროსადგური სომხეთში, უსაფრთხოების შესაძლო საფრთხედ. და მესამე, ეს რეგიონი ასევე განიხილება როგორც დიდი სტრატეგიული ღირებულება, როგორც ახალი „აზრეუმის გზა“, რომელიც ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ნავთობს აკავშირებს ევროპასთან. ევროკავშირი შედარებით ახალი და, რა თქმა უნდა, შეზღუდული აქტორია სამხრეთ კავკასიაში. ევროკავშირი ჯერ კიდევ ცდილობს გაუმკლავდეს ამ რეგიონის სოციალურ და პოლიტიკურ სირთულეებს, სანამ მსჯე-

ლობს განავითარებს კავკასიის ადგილზე ევროპულ პოლიტიკურ ჩარჩოებში [43].

ევროკავშირმა მნიშვნელოვანი ეკონომიკური, ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარება გაუწია სამხრეთ კავკასიას და ცდილობდა ხელი შეეწყო დემოკრატიზაციის პროცესს ევროპის საბჭოს მეშვეობით [40].

სომხეთში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ტორბენ ჰოლცე განმარტავს: „პრინციპში სომხეთი ევროპელია. ქვეყანას, ევროპის სხვა სახელმწიფოების მსგავსად, უფლება აქვს იყოს ევროკავშირის წევრი იმ პირობით, რომ იგი დააკმაყოფილებს აუცილებელ სტანდარტებსა და კრიტერიუმებს. იგივე განცხადებები ითქვა აზერბაიჯანზეც. ანალოგიურად, სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერებმა განიხილეს ევროკავშირში გაწევრიანება, როგორც გრძელვადიანი მიზანი [47].

აზერბაიჯანის უპირველესი სტრატეგიული მიზანია დაიცვას თავისი ტერიტორიული მთლიანობა, გააძლიეროს დამოუკიდებლობა და განავითაროს ნავთობისა და გაზის მილსადენები, რომლებიც არღვევს რუსეთს. აზერბაიჯანი დაინტერესებულია დასახლებული პროვინციის „ნახიჩევანის“ ეკონომიკური და სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფით, რომელიც სამი მხრიდან ესაზღვრება სომხეთს. როგორც არმენ აივაზიანმა განაცხადა, „თურქეთისა და აზერბაიჯანის სტრატეგიული მიზნები ერთმანეთს ემთხვევა რუსეთის გავლენის სფეროს შეკუმშვის და მათ შორის „ვიწრო სომხური სოლის“ აღმოფხვრის სურვილს“ [39].

და ბოლოს, სტრატეგიული გამოწვევა სომხეთისა და აზერბაიჯანის წინაშე დგას თურქეთისა და აზერბაიჯანის ეკონომიკურ ემბარგოსთან მიმართებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი გადარჩენა, როგორც სახელმწიფო და როგორც ერი. სომეხ ერს ემუქრება ოსმალეთის იმპერიის მიერ განხორციელებული გენოციდის ისტორია, ხოლო სომხური სახელმწიფოს უმთავრეს გამოწვევას უნიკალური გეოგრაფიული მახასიათებლები წარმოადგენს. ის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყველაზე პატარაა, ზღვაზე გასასვლელია თურქეთს, ირანს, საქართველოსა და აზერბაიჯანს შო-

რის და აქვს რამდენიმე ბუნებრივი რესურსი [39].

არმენ აივაზიანი განმარტავს, რომ თურქეთიდან საფრთხე გამწვავებულია, რადგან ის უარს ამბობს სომხეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე და მისი დედაქალაქიდან, ერევნიდან ეს უკანასკნელი მხოლოდ 200 კილომეტრშია. მთლიანობაში, ხსენებული ფაქტორები ღრმა გავლენას ახდენს სომხეთის ეკონომიკურ განვითარებაზე და სომეხი ხალხისა და მათი ხელმძღვანელობის უსაფრთხოების აღქმის მასშტაბზე [45].

**დასკვნა.** ჩართული მხარეები ან მოლაპარაკების შუამავლები ვერ ან არ ეძებდნენ შესაძლო ნიადაგზე დაფუძნებული პრობლემის სათანადო გადაწყვეტის გზებს. კონფლიქტის დამკვირვებლები ამტკიცებდნენ, რომ მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოგვარების წარუმატებლობის საიდუმლო მდგომარეობს საერთაშორისო საზოგადოების ინტერესებში და აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული უნდობლობის გარემოში. მომლაპარაკებელი მხარეები კი აცხადებდნენ, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს არ აქვს გრძელვადიანი გადაწყვეტა, თუ ორივე მთავრობა, აზერბაიჯანი და სომხეთი არ დათანხმდება ხელი მოაწეროს შეთანხმებას მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოებით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ გვერდითი საკითხების განხილვის ნაცვლად, კონფლიქტის ძირითად საკითხებზე მოხდეს აქცენტირება და შემუშავდეს ესკალაციის შესაბამისი გზები. პოლიტიკური და სტრატეგიული დამკვირვებლები ამტკიცებდნენ, რომ კონფლიქტის საკითხს ტრადიციული მიდგომა სჭირდება, რადგან მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი განიხილება, როგორც რუსეთისა და ირანის მნიშვნელოვანი სტიმული [48].

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს მოკლევადიანი გადაწყვეტა არ აქვს და კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტის იმედები შეიძლება გამართლდეს, თუ საკითხები ადგილზე რეალურად იქნება განხილული. კონფლიქტის საერთო შეფასება მოკლედ ასახავს რეგიონული პოლიტიკის დღევანდელი პო-

ლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული სცენარის ორიგინალურ პარამეტრებს.

დემოკრატიზაციის პროცესი, ეთნიკური იდენტური ფაქტორები მთელს რეგიონში, სომხეთ-თურქეთის შერიგების წარუმატებლობა, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია და გარე ძალების ჩარევა რეგიონულ პოლიტიკაში კონფლიქტის მოგვარების წინაპირობაა. დიალოგები, როგორცაა მინსკის ჯგუფის მოლაპარაკებები და სხვა საერთაშორისო აქტორების მონაწილეობა, უნდა ჩაითვალოს პოზიტიურ ძალისხმევად იმ საკითხების გადასაჭრელად, რაც მთიანი ყარაბაღს შეეხება.

საგულისხმოა, რომ მომლაპარაკებლები ყოველთვის ცდილობდნენ მოკლევადიანი სამშვიდობო პროცესის დაწესებას სამუდამო მშვიდობიანი გადაწყვეტის ნაცვლად. გარე ჩარევა და რადიკალური მოაზროვნე ინტელექტუალების და პოლიტიკოსების ყოფნა აზერბაიჯანსა და სომხეთში და თურქეთის გამოწვევა არის ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც გამოიწვია რეგიონში უნდობლობის გარემოს განვითარება.

და ბოლოს, პოლიტიკურად არის გათვლილი, რომ თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობას, შესაბამისად, აქვთ ცოდნა, რომ მშვიდობიანი და თანამშრომლობით გარემოში პოლიტიკურ სტრატეგიულ და ეკონომიკურ ფრონტებზე სარგებელი იქნება მნიშვნელოვანი და მუდმივი ინტეგრაცია რეგიონში. ამიტომაც ზომიერ ინტელექტუალებსა და პოლიტიკოსებს აქვთ მიდრეკილება უკეთესი ურთიერთობებისკენ სვლაზე.

უნდობლობის ფაქტორების აღმოსაფხვრელად პოლიტიკის წარმოებამ გამოიწვია აზერბაიჯანი-სომხეთი-თურქეთის სამოქალაქო მთავრობებს შორის დიალოგის შეფერხება. თავდაცვის ექსპერტები ამტკიცებდნენ, რომ მშვიდობიანი გარემოში აზერბაიჯანის მთავრობა მაქსიმალურ სარგებელს მიიღებს სამხედრო ფრონტზე, რადგან რამდენიმე წუთში სომხეთის S-300 რაკეტებს შეუძლიათ ბაქომდე მიადწიონ და გაანადგურონ აზერბაიჯანის ენერგორესურსები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სახელმწიფოს შემდგომი ეკონომიკური კოლაფსი. შემდეგ, თუ დამაბული გარემო აზერბაიჯანსა და



სომხეთს შორის შემცირდება, ცხადია, აზერბაიჯანის როლი უფრო მნიშვნელოვანი გახდება, რადგან მისი გეოსტრატეგიული და გეოეკონომიკური მდებარეობა, როგორც ხიდის როლი თურქეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის, კიდევ უფრო გაზრდის პერსპექტივას. ნატო და ევროინტეგრაცია უფრო რეალური გახდება. ანალიზმა, რომელმაც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი სტრატეგიული და ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივიდან შეისწავლა, ნათქვამია, რომ „მოგება-გამარჯვებული სიტუაცია“ შეიძლება გამოსადეგი იყოს საკითხის გადასაჭრელად [49].

რაც ნიშნავს, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის კონცეფცია რეგიონში უნდა განიხილებოდეს, როგორც ხანგრძლივი მშვიდობიანი რეზოლუციის დანერგვის საშუალება. თუმცა, 2024 წლის 01 იანვრიდან მდგომარეობა არსებითად სახეცვლილია, რადგან მთიანმა ყარაბაღმა შეწყვიტა არსებობა.

ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და რეგიონული ინტეგრაცია, ფაქტობრივად, ძირს უთხრის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის სტატუსს. კონფლიქტის მოკლე ანალიზის შემდეგ შეიმჩნევა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და მსხვილი სახელმწიფოები ამ კონფლიქტს განიხილვენ, როგორც შიდა საკითხს [50].

ამასთან, არც ერთ საერთაშორისო სახელმწიფო აქტორს არ განუხილავს კონფ-

ლიქტის ძირეული მიზეზები. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებები შესაძლებელი გახდა მინსკის ჯგუფში, მონაწილეებმა უპირატესობა მიანიჭეს სტრატეგიულ და ეკონომიკურ სარგებელს კონფლიქტის გრძელვადიან პერსპექტივაზე გადაწყვეტის ნაცვლად. აზერბაიჯანის გამოუცხადებელი აგრესია სომხეთის წინააღმდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებს არასოდეს შეუმჩნევიათ. აგრესიამ შემდგომში გამოიწვია ლტოლვილების მასიური ნაკადი ორივე მხრიდან, რამაც ხელი შეუშალა ორივე სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის დაზიანებას. საერთაშორისო თანამეგობრობას და საერთაშორისო სამართლის ორგანიზაციებს არასოდეს შეუმჩნევიათ ეთნიკური წმენდის პოლიტიკა და ძალის გამოყენება ტერიტორიის შესაძენად [51].

საერთაშორისო თანამეგობრობის წარუმატებლობა სწორად არ არის შეფასებული და არც კონფლიქტის ბუნებაა სათანადოდ შესწავლილი. კვლევის შედეგად დგინდება, რომ კონფლიქტის ბუნება, უფრო მეტად საერთაშორისო იყო; პოლიტიკურად ცხადია, რომ ეს არ შეიძლება უბრალოდ გავიგოთ, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის არაკომპეტენტურობა ან უპასუხისმგებლობა დიპლომატიურ დონეზე, მაგრამ რეალობაა, რომ კონფლიქტი ემსახურებოდა მნიშვნელოვანი მსხვილი ძალების ინტერესებს.

*ALUDA GUDUSHAURI – GTU, PhD Student*

## INTERESTS OF GLOBAL AND REGIONAL ACTORS IN THE CAUCASUS AND THE KARABAKH CONFLICT

### Summary

The Nagorno-Karabakh conflict has many dimensions. In addition to ethnic conflicts, geopolitical "games" between such great powers as Russia, Turkey and Iran are presented, the path from the unipolar international system to the multipolar system is clear, there is a weakness of diplomacy and mediation, severe humanitarian problems. The historical labyrinths of the Karabakh conflict and its consequences have caused significant changes in the neighboring states, as well as in the entire region and the existing balance of power.

*Keywords: democracy, sovereignty, geopolitics.*

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Leeuw Ch., Azerbaijan: A quest for identity: a short story, Khojaly Tragedy: an International View, 13th Anniversary of London – Azerbaijan Society and Angl-Azerbaijani Youth, Baku – Azerbaijan, 2007.
2. Comell S., Undeclared War: The Nagorno-Karabakh Conflict Reconsidered, Journal of South Asian and Middle Eastern Studies, Vol. XX, No. 4, Summer 1997.
3. Cullen R., A Reporter at Large. The New York Magazine, 15 April, 1991.
4. Chakhmagly G., Resettlement of Armenians: A look at the problem of their number during resettlement and some other issues, Today & Tomorrow Azerbaijan in Focus, No.7 (07), December, 2007.
5. Nolyain I., Moscow's Initiation of the Azeri-Armenian Conflict, Central Asia Survey, Vol. 4, No. 13, 1994.
6. Ginat R., Vaserman A., National, Territorial or Religious Conflict? The Case of Nagorno-Karabakh Central Asian Survey, Vol. 4, 1994.
7. Salik A., Oil and Independence, Paper Presented at the International Conference on the Caucasus and Central Asia, Bilkent University, Ankara, May 1995.
8. Sestanovich S., Ambassador-at Large and Special Advisor to the Secretary of State for the New Independent States, Statement before the House of International Relations Committee, Washington DC, 30 April 1998.
9. Moradian M., Druckman D., Hurting Stalemate or Mediation? The Conflict over Nagorno-Karabakh, Journal of Peace Research, Vol. 36, No 6. 1999.
10. Babaian D., The West and the Conflict in Nagorno Karabakh, Central Asia and the Caucasus, 2004.
11. ასათიანი ს., „სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები“, ჰაინრიხ ბიონლის ფონდი, თბ., 2014.
12. Baev P., Russia's Policies in the Southern Caucasus and the Caspian Area, European Security, 2001.
13. ლეჟავა ნ., „სამხრეთი კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები“, ჰაინრიხ ბიონლის ფონდი, თბილისი, 2014.
14. Begoyan A., United States Policy in the South Caucasus: Securitisation of the Baku-Ceyhan Project, Iran and the Caucasus, 2004.
15. Chepurin A., How to Strengthen Stability and Security in the Caucasus, Central Asia and the Caucasus, 2004
16. Chorbajian L., The Making of Nagorno-Karabakh: From Session to Republic, New York: Palgrave Publishers, 2004.
17. პაპიაშვილი დ., „სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2009.
18. რონდელი ა., „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, „ნეკერი“, თბ., 2009.
19. Eivazov J., The Caucasus: Limits and Possibilities of Regional Cooperation in the Security Sphere, Central Asia and the Caucasus, 2004.
20. Emerson M., Tocci N., Vahl M., Whyte N., The Elephant and the Bear: The European Union, Russia and their Near Abroads. Brussels: Centre for European Policy Studies, 2001.
21. Mark G., Karabakh Talks Sabotaged by War of Words, Institute for War and Peace Reporting on the Web, 2002.
22. Damien H., The Role of the EU in the security of the South Caucasus: A Compromised Specificity? The Quarterly Journal 3 (September), 2002.

23. მისაია ვ., „შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები“, თბ., 2003.
24. Aydan I., EU's Assistance Programme to Armenia: A Political Economy Critique, Review of Armenian Studies, 2003.
25. შოშიაშვილი ტ., „დრონების ომი - შეცვალა თუ არა ყარაბაღის ომმა ჩვენი წარმოდგენა ზოგადად ომზე“, 2020.
26. Janssen D., The Impact of the European Union on the Nagorno-Karabakh Conflict, Turkish Policy, 2012.
27. Jumayeva L., Not ripe for resolution: the Nagorno-Karabakh Conflict, 1992-2013, University of Birmingham, 2018.
28. Lobjakas A., OSCE: Russia key to new presidency's attempt to resolve frozen conflicts, Free Europe/Radio Liberty, 2006.
29. Barnes C., Cohen J., Lynch D., *European Union and the South Caucasus: Opportunities for intensified engagement*. European Centre for Conflict Prevention, 2004.
30. International Crisis Group, Nagorno-Karabakh: A Plan for Peace, Europe Report 167, 2005.
31. ურუშაძე ე., „რუსული საგარეო პოლიტიკური აზროვნება პოსტსაბჭოთა პერიოდში“, თბ., 2006.
32. Белоногов А., Другой ООН у нас нет Международная жизнь, № 6, 2003, 69-88.
33. Жоржوليани Г. Исторические и политические корни конфликта в Абхазии, Тб., Мецниереба, 2002.
34. Имранлы К., Создание армянского государства на Кавказе – истоки и последствия, М.: Научноиздательский центр „Ладомир“, 2006.
35. Thomas de W., Black Garden: Armenia and Azerbaijan Through Peace and War, New York University Press, 2003, 194-225.
36. Thomas de W., The Caucasus: An Introduction, 1<sup>st</sup> Edition, Oxford University Press, 2008.
37. Krüger H., The Nagorno-Karabakh Conflict: A Legal Analysis, Springer, 2010.
38. The International Crisis Group, Reports on Nagorno-Karabakh, 2023.
39. Allana Ch., The Nagorno-Karabakh Conflict, Virginia Tech, 2005.
40. Timothy R., Intractability and mediation of the Nagorno-Karabakh conflict, Thesis, Monterey, California: Naval Postgraduate School, 2013.
41. „ყარაბაღის თემაზე ჰააგის სასამართლოში იმსჯელებენ“, 06.10.2023, <https://shorturl.at/ceBX9> [07.10.2023].
42. Hamidreza N., The Nagorno Karabakh Conflict: Causes of the conflict and obstacles to conflict resolution, University of Bradford, 2010.
43. Jumayeva L., Not ripe for resolution: the Nagorno-Karabakh Conflict, 1992-2013, University of Birmingham, 2018.
44. Williams J., The Nagorno Karabakh Conflict problems and possibilities for political resolution, 2009.
45. ოსაძე რ., „2020 წლის ნოემბრის მთიანი ყარაბაღის სამხედრო კონფლიქტის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ასპექტები“, თბ., 2021.
46. მისტერი შ., „არასტაბილური მშვიდობა - მთიანი ყარაბაღი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ“, თბ., 2020, იხ., <https://bit.ly/3FQhSIB> [09.10.2023].
47. ანთაძე გ., „ყარაბაღის ომის გეოპოლიტიკური შუქ-ჩრდილები“, თბ. 2020.
48. Shakleyina T., Bogaturov A., The Russian Realist School of International Relations, Communist and Post-Communist Studies, 2004.
49. ლაზარაშვილი ე., „სამხრეთ კავკასიის პრობლემები და გამოწვევები“, თბ., 2014.
50. მალრაძე გ., მისაია ვ., „21-საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2017.
51. მაცაბერიძე მ., „კავკასიის კონფლიქტების შედარებითი ანალიზი“, თბ., 2014.

## უსაფრთხოების გლობალური გამოწვევები და საქართველო

დღევანდელ ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში გლობალური უსაფრთხოების გამოწვევები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მსოფლიოს ქვეყნების სტაბილურობასა და კეთილდღეობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიაში განხილულია გლობალური უსაფრთხოების გამოწვევები და მათი გავლენა საქართველოზე, რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე. ყურადღება გამახვილებულია საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში არსებულ სირთულეებზე, საერთაშორისო ალიანსებისა და შიდა პოლიტიკის როლზე, გამოწვევებზე. ხაზგასმულია ყოვლისმომცველი და ადაპტირებული უსაფრთხოების სტრატეგიების მნიშვნელობა განვითარებად გლობალურ ლანდშაფტთან მიმართებაში, ისეთი ერების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, როგორცაა მაგალითად საქართველო.

**საკვანძო სიტყვები:** უსაფრთხოება; გლობალური გამოწვევები; რეგიონული უსაფრთხოება; საქართველო.

ახალ საინფორმაციო ეპოქაში თანამედროვე საქართველოს, ისევე როგორც სხვა ქვეყნების უსაფრთხოება, მრავალი ახალი გამოწვევითა და საფრთხეებით არის განპირობებული. უფრო მეტიც, მისი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა გარკვეულწილად საქართველოს საზღვრის უსაფრთხოებაშიც არის.

ინფორმაციის ეპოქის გლობალურმა გამოწვევებმა გამოავლინა თანამედროვე ტენდენციები, რომლებიც შეიცავს სერიოზულ საფრთხეებს, რომლებიც აისახება ეროვნულ უსაფრთხოებაზე: სახელმწიფოთა გავლენის თანდათანობით შემცირება, სახელმწიფო საზღვრების შეღწევის ხელშეწყობა და ა.შ.

უსაფრთხოების გამოწვევები წარმოადგენს მნიშვნელოვან საფრთხეებს, რომლებიც სცილდება რომელიმე კონკრეტული ქვეყნის საზღვრებს და მოითხოვს კოლექტიურ ქმედებებს. იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ებრძვიან ასეთ გამოწვევებს, არის საქართველოც, ქვეყანა, რომელიც სტრატეგიულად მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე. მიუხედავად მისი შედარებით მცირე ზომისა, საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რადგან ის უმნიშვნელოვანესია რეგიონულ სტაბილურობასა და საერთაშორისო უსაფრთხოების დინამიკაში.

გლობალური უსაფრთხოების გამოწვევები ვლინდება სხვადასხვა ფორმით, დაწყებული ჩვეულებრივი სამხედრო საფრთხეებიდან არატრადიციულ საფრთხეებამდე, როგორცაა ტერორიზმი, კიბერ ომი და პანდემია. საქართველომ უშუალოდ განიცადა ამ გამოწვევებთან დაკავშირებული სირთულეები მისი კონფლიქტების, ტერიტორიული დავებისა და გეოპოლიტიკური დამაბულობის ისტორიის გათვალისწინებით. ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობა სამხრეთ კავკასიაში, რეგიონში, რომელიც ხასიათდება კონკურენტული ინტერესებითა და მოუგვარებელი კონფლიქტებით, სირთულის კიდევ ერთ ფენას მატებს მის უსაფრთხოების ლანდშაფტს.

გლობალური უსაფრთხოების ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გამოწვევა, რომელიც საქართველოს წინაშე დგას, არის მოუგვარებელი კონფლიქტები მის სეპარატისტულ რეგიონებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილმა კონფლიქტებმა გამოიწვია გაჭიანურებული დამაბულობა და პერიოდული გამწვავება, რაც ძირს უთხრის სტაბილურობას რეგიონში.

მშვიდობიანობის დიდი სურვილის მიუხედავად, მცდელობები კონფლიქტის მოგვარებისა მცდელობად რჩება, მათ შორის სა-

ერთაშორისო მედიაციისა და სამშვიდობო მისიების, ჩართულობა არ აღმოჩნდა საკმარისი, რაც მუდმივ საფრთხეს უქმნის საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

გარდა ამისა, საქართველო არ არის დაზღვეული უსაფრთხოების უფრო ფართო

საფრთხეებისგან, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე დგას. ტერორიზმის, ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის ზრდა წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევებს, რაც გავლენას ახდენს რეგიონულ სტაბილურობასა და გლობალურ უსაფრთხოებაზე.

### უსაფრთხოება და საქართველოს ეროვნული სტრატეგია

სახელმწიფო საზღვრის დაცვა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობას, სასაზღვრო ზონაში, სასაზღვრო ხაზსა და სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში დადგენილი წესების შესრულებასა და კონტროლს, სახელმწიფო, კერძო და საჯარო ინტერესების დაცვას. საქართველოს სახელმწიფო საზღვრების გაუთავებელი დელიმიტაცია, რომელიც დაიწყო 1993-1994 წლებში, არსებით პრობლემებს უქმნის არამხოლოდ საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესს, არამედ რეგიონის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას.

სამწუხაროდ, გარდა თურქეთის რესპუბლიკის საზღვრისა, საქართველოს დანარჩენი სახელმწიფო საზღვარი მეზობელ ქვეყნებთან - რუსეთის ფედერაციასთან, აზერბაიჯანთან და სომხეთის რესპუბლიკებთან - საბჭოთა პერიოდში მხოლოდ ადმინისტრაციული საზღვარი იყო მონიშნული და მისი დელიმიტაცია ჯერ არ დასრულებულა, შესაბამისად, დემარკაცია არ განხორციელებულა [1].

განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის სახელმწიფო საზღვარზე. ისტორიული პირობებიდან და არსებული ვითარებიდან გამომდინარე, საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი არასტაბილური (სამხედრო) ტიპისაა, ხასიათდება სასაზღვრო კონფლიქტებითა და ომების სიხშირით. საქართველო-რუსეთის საზღვარს ბარიერის გამყოფი ფუნქცია აქვს. იგი გამოირჩევა რუსეთის მხარეს მილიტარიზაციის მაღალი დონით. საზღვარზე კომუნიკაცია მინიმუმამდეა დაყვანილი. მოსახლეობა ცხოვრობს მუდმივ დაძაბულობაში. საზღვარზე სპე-

ციალური რეჟიმია. მხარეებს შორის თანამშრომლობა თითქმის არ არსებობს.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციაა [2].

უმთავრესი პრობლემა ოკუპირებულ რეგიონების (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი) მილიტარიზაციაა. 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიამ აჩვენა, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ან შეზღუდული სამხედრო მოქმედების განახლების შესაძლებლობა მუდმივად გასათვალისწინებელი ფაქტორია. საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ოკუპირებულ რეგიონებში არსებული უკონტროლო ვითარება, გარდა იმისა, რომ უარყოფითად აისახება ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე, ასევე იძლევა ნოყიერ ნიადაგს კონტრაბანდისა და სხვადასხვა ტრანსსასაზღვრო დანაშაულების ზრდისთვის, მათ შორის ტრანსნაციონალური დანაშაულებისთვის, როგორცაა ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობა, გატაცება, მოპარული მანქანებით ვაჭრობა, ყალბი ვალუტის იმპორტი, და სხვ. [2].

ოკუპირებული რეგიონები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების დასაგეგმად და განსახორციელებლად და მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტების უკანონო ტრანსპორტირებისთვის [3].

მნიშვნელოვანი გამოწვევაა მეზობელ ქვეყნებში კონფლიქტური კერების არსებობაც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის. გარდა ამ კონფლიქტების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების პოტენციალისა, არსებობს შესაძლებლობა, რომ რე-

გიონში კონფლიქტის ინტენსიურ ფაზაზე გადასვლამ შეიძლება გამოიწვიოს კონკრეტული საფრთხეები, როგორცაა ლტოლვილთა ნაკადი და ქვეყანაში შეიარაღებული ჯგუფების შემოსვლის საფრთხე. კონტრაბანდა და სხვა სახის ტრანსსასაზღვრო ორგანიზებული დანაშაული. ასევე საფრთხე ემუქრება კავკასიაში სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების სტაბილურ და გამართულ მუშაობას. რუსეთის ფედერაციასთან, აზერბაიჯანთან და სომხეთის რესპუბლიკასთან დაგვიანებული დელიმიტაციისა და დემარკაციის პროცესები და, შესაბამისად, სახელმწიფო საზღვრების ფიზიკური ხაზის დამყარების შეუძლებლობა, ამკარად ართულებს საზღვრის დაცვის პროცესს, ქმნის სასაზღვრო ინციდენტებს, რაც ხელს უწყობს სასაზღვრო საკითხებზე პოლიტიკურ სპეკულაციებს [4].

საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ცხადია, რომ მცდელობის მიუხედავად, არსებული რისკები და საფრთხეები სათანადოდ არ არის გათვალისწინებული. სტრატეგიული დოკუმენტები ადეკვატურად არ ითვალისწინებს საფრთხეების სრულ სპექტრს. საზღვრის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებები ძირითადად იზიარებს, რომ სამხედრო ძალას არ შეუძლია უზრუნველყოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა არალეგალური მიგრაციისგან, საერთაშორისო ტერორიზმისგან, ექსტრემიზმის რისკისგან, ეკოლოგიური კატასტროფებისგან და ა.შ. სასაზღვრო ბარიერის ფუნქციების გამკაცრება არაეფექტურია და უარყოფითად აისახება ეკონომიკასა და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე, ამიტომ ასეთ ვითარებაში უმჯობესია განვითარდეს სასაზღვრო ტერიტორიების თანამშრომლობა მეზობელ ტერიტორიებზე რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილეობით; მუშავდება და ხორციელდება საზღვრების დაცვის ზოგადი სისტემური მიდგომები [4].

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გეოპოლიტიკური ლანდშაფტი დინამიურია. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს კიბერუსაფრთხოება, რომელიც ერთ-ერთ უმთავრეს სახელმწიფო გამოწვევას წარმოადგენს. კიბე შეტევების მზარდი სიხშირე მნიშ-

ვნელოვან გამოწვევას უქმნის გლობალურ უსაფრთხოებას. კიბერთავდასხმებს შეუძლია გავლენა მოახდინოს ინფრასტრუქტურაზე, სამთავრობო ინსტიტუტებსა და კერძო საწარმოებზე. საქართველო, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, კიბერ საფრთხეების წინაშე დგას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის ციფრულ ინფრასტრუქტურაზე. ნაციონალური სახელმწიფოები შეიძლება ჩაერთონ კიბერ შპიონაჟში, რათა მიიღონ არაავტორიზებული წვდომა სენსიტიურ ინფორმაციაზე [5. 64-65].

რაც შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფო საიდუმლოებას, ინტელექტუალურ საკუთრებას ან ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მონაცემებს. აღსანიშნავია აგრეთვე შერჩევითი პროგრამული შეტევები, რომელიც წარმოადგენს მავნე პროგრამულ უზრუნველყოფის ტიპს, რომელიც შიფრავს მომხმარებლის ფაილებს და ითხოვს გამოსასყიდს მათი გათავისუფლებისთვის [6].

ორგანიზაციები, მათ შორის სამთავრობო უწყებები და კრიტიკული ინფრასტრუქტურის პროვაიდერები საქართველოში, შესაძლოა, აღმოჩნდნენ გამოსასყიდის შეტევების სამიზნე. ფიშინგი გულისხმობს პიროვნებათა მოტყუებას, რათა ამ უკანასკნელთა მხრიდან მიწოდებულ იქნეს სენსიტიური ინფორმაცია, ისეთი მონაცემები როგორცაა პაროლები ან ფინანსური ფაილები. ფიშინგის შეტევები შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტით, სოციალური ინჟინერიით ან სხვა საშუალებებით და ისინი მნიშვნელოვან რისკს უქმნიან ინდივიდებსა და ორგანიზაციებს საქართველოში [6].

ისეთ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმა, როგორცაა ენერგეტიკული ქსელები, სატრანსპორტო სისტემები ან საკომუნიკაციო ქსელები, შესაძლოა სერიოზული შედეგები მოჰყვეს. საქართველოს კრიტიკული ინფრასტრუქტურა არ არის დაცული პოტენციური კიბერ საფრთხეებისგან. ეს თავდასხმები მიზნად ისახავს ონლაინ სერვისების ჩაშლას მათი ტრაფიკით გადატვირთვით. როგორც სამთავრობო, ისე კერძო სუბიექტები საქართველოში შეიძლება იყოს სამიზნე, რაც გავლენას მოახდენს მათ უნარზე, უზრუნველყონ ხელმისაწვდომი სერვისები ან

განახორციელონ თუნდაც შესაბამისი საბანკო ოპერაციები [5. 67].

**დასკვნა.** საქართველო დგას გლობალური უსაფრთხოების უამრავ გამოწვევის წინაშე, რაც მოითხოვს ერთობლივ ძალისხმევას ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე. თავისი სტრატეგიული მდებარეობის, უსაფრთხოების შესაძლებლობების გაძლიერებით და თანამშრომლობით პარტნიორობით ჩართვით, საქართველოს შეუძლია უფრო ეფექტურად გადალახოს ეს გამოწვევები და წვლილი შეიტანოს უფრო ფართო ძალისხმევაში, რათა ხელი შეუწყოს მშვიდობას, სტაბილურობას და კეთილდღეობას მსოფლიო ასპარეზზე.

უსაფრთხოების გლობალური გამოწვევების დაპირისპირებისას საქართველო მრავალმხრივ როლს ასრულებს მსოფლიო ასპარეზზე. როგორც ნატოს სტრატეგიული პარტნიორი და საერთაშორისო სამშვიდობო მისიების მონაწილე, საქართველო ხელს უწყობს რეგიონულ სტაბილურობას და ხელს უწყობს კოლექტიური უსაფრთხოების ძალისხმევას. გარდა ამისა, საქართველოს სწრაფვა ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ ემთხვევა უფრო ფართო ძალისხმევას უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისა და რეგიონში დემოკრატიული ღირებულებების წინსვლისთვის.

გარდა ამისა, საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა, როგორც ენერგორესურსების სატრანზიტო კერა, ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას ევროპისა და მის ფარგლებს გარეთ ენერგეტიკული უსაფრთხოების, დივერსიფიკაციის უზრუნველსაყოფად. ენერგეტიკული თანამშრომლობის, ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობით, საქართველოს შეუძლია წვლილი შეიტანოს რეგიონულ სტაბილურობაში და შეამსუბუქოს ენერგეტიკულ დამოკიდებულებასთან დაკავშირებული დაუცველობა.

IVANE KAVLELASHVILI – GTU, PhD Student

## GLOBAL SECURITY CHALLENGES AND GEORGIA

### Summary

In today's interconnected world, global security challenges pose a significant threat to the stability and prosperity of countries around the world. Based on this, the article discusses global security challenges and their impact on Georgia, which is located at the crossroads of Europe and Asia. Attention is focused on the difficulties in protecting the sovereignty and territorial integrity of Georgia, the role of international alliances and internal politics, challenges. The importance of comprehensive and adaptive security strategies in the evolving global landscape to ensure the resilience of nations such as Georgia is highlighted.

*Keywords:* security; global challenges; regional security; Georgia.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. MacFarlane N., Georgia: National Security Concept versus National Security. Chatham House, Russia and Eurasia Programme Paper REP PP 2012/01, Published in association with Center for Social Sciences, Tbilisi, 2012.
2. The Coast Guard of the Ministry of Internal Affairs receives NATO ships in the territorial waters of Georgia, 2021.
3. Dorokhina O., Political aspects of delimitation and demarcation of borders for development of border regions in Georgia, Tbilisi, 2020.
4. The Coast Guard of the Ministry of Internal Affairs receives NATO ships in the territorial waters of Georgia, 2021.
5. ჯოლოხაძე თ., ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობები თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, თბილისი, 2017, 64-65.
6. სტიგლიცი ჯ., როგორ ვამუშაოთ გლობალიზაცია, გამომცემლობა “რადარამი“, თბილისი, 2013, 738.

## რუსულ-უკრაინული კონფლიქტის გავლენა ევროპის უსაფრთხოების პოლიტიკაზე

ნაშრომში განხილულია რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის გავლენა ევროპის უსაფრთხოების პოლიტიკაზე. იმისათვის, რათა მიღწეულ იქნეს ევროპის უსაფრთხოება რუსეთის აგრესიული პოლიტიკის პირობებში აუცილებელია მრავალმხრივი თანამშრომლობა ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ, რადგან ინდივიდუალურად სახელმწიფოები ვერ შეძლებენ გაუმკლავდნენ კომპლექსურ გამოწვევებს. რაც შეეხება საქართველოს უსაფრთხოებასა და სტაბილურობას, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ უნდა იქნას დაძლეული შიდა და გარე ძალების უსაფრთხოების პრობლემები.

*საკვანძო სიტყვები: ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ერთიანი ევროპის იდეა, ეროვნული უსაფრთხოება, ბალანსირების პოლიტიკა.*

უსაფრთხოების პრობლემატიკა განსაკუთრებით აქტუალური გახდა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, როდესაც მთელი მსოფლიო დაფიქრდა თუ რა ტრაგიკული შედეგები შეიძლება მოიტანოს მთლიანად კაცობრიობისთვის ამ ომმა. ამიტომაც საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ახლებურად ჩამოყალიბების პირობებში კიდევ უფრო მეტად იზრდება უსაფრთხოების როლი და ადგილი ამ სისტემის შემდგომი განვითარების საკითხში.

იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ევროპის უსაფრთხოება მესამე მსოფლიო ომის საფრთხის პირობებში აუცილებელია მრავალმხრივი თანამშრომლობა ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ, რადგან ინდივიდუალურად

უსაფრთხოების პრობლემატიკა განსაკუთრებით აქტუალური გახდა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, როდესაც მთელი მსოფლიო დაფიქრდა თუ რა ტრაგიკული შედეგები შეიძლება მოიტანოს მთლიანად კაცობრიობისთვის ამ ომმა.

ევროკავშირის გაფართოების პროცესში ევროპა დღემდე რჩება ძირითადი პერიპეტეიების სცენად [1]. თუმცა, ერთიანი ევროპის იდეა არ არის მარტივი პროცესი, პირიქით, ის მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანი ევროპის იდეამ მაშინ შეიძინა ძალა, როდესაც ევროკავშირი ჩამოყალიბდა, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაცია, მაგრამ მარტო პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას არ შეუძლია უზრუნველყოს სახელმწიფოს დინამიური განვითარება. ერთიანი ევროპის იდეა ეფექტიანი შეიძლება იყოს, მხოლოდ ურთიერთ-თანამშრომლობის შემთხვევაში [2].

### ევროკავშირისა და აშშ-ს ფაქტორის მნიშვნელობა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მოგვარების საქმეში

რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე კონფლიქტმა არა მხოლოდ დამაბნურთიერებები ორ ერს შორის, არამედ მნიშვნელოვანი შეშფოთება გამოიწვია გლობალურ დონეზე. ევროკავშირი (ევროკავშირი) და შეერთებული შტატები (აშშ) გამოჩნდნენ, როგორც გადამწყვეტი მოთამაშეები ამ კრიზისის მოგვარების გზების ძიებაში. მათი ჩართულობა სცილდება უბრალო დიპლომატიის ფარგლებს; ის მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სტრატეგიულ განზომილებებს,

რაც ხაზს უსვამს მათი როლის მნიშვნელობას მშვიდობიანი გადაწყვეტის მოძიებაში [3].

ევროკავშირის ჩართულობა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მოგვარებაში გამოძინარეობს საერთაშორისო სამართლის დაცვის, მის სამეზობლოში სტაბილურობის ხელშეწყობისა და სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების დაცვისგან.



დიპლომატიური არხებით ევროკავშირის მუდმივად გმობს რუსეთის ქმედებებს უკრაინაში და აწესებს ეკონომიკურ სანქციებს, რომლებიც მიზნად ისახავს მოსკოვზე ზეწოლას დიალოგში ჩართვისა და უკრაინის სუვერენიტეტის პატივისცემისკენ. უფრო მეტიც, ევროკავშირმა უკრაინას დიდი ფინანსური დახმარება გაუწია, მხარი დაუჭირა მის ეკონომიკურ რეფორმებს და ხელი შეუწყო ევროპასთან ინტეგრაციას.

მეორე მხრივ, შეერთებულმა შტატებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა კონფლიქტში უკრაინის დიპლომატიური მხარდაჭერით და რუსეთის დიპლომატიური და ეკონომიკური იზოლაციის საერთაშორისო ძალისხმევის ხელმძღვანელობით.

აშშ მჭიდროდ თანამშრომლობდა ევროპელ მოკავშირეებთან სანქციებისა და დიპლომატიური ინიციატივების კოორდინაციისთვის, რომლებიც მიმართულია რეგიონში დაძაბულობის დეესკალაციისკენ [4].

ევროკავშირისა და აშშ-ის კოლექტიური ძალისხმევა ხაზს უსვამს ერთიანი ტრანსატლანტიკური მიდგომის მნიშვნელობას რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მოგვარების საქმეში. ერთიანი ფრონტის წარმოდგენით, დასავლეთის ძალებმა მკაფიო

გზავნილი გაუგზავნეს რუსეთს, რომ მისი დესტაბილიზაციის ქმედებები უკრაინაში დაუსჯელი არ დარჩება.

გარდა ამისა, ევროკავშირისა და აშშ-ის ჩართულობამ უზრუნველყო ძალიან საჭირო დიპლომატიური ბერკეტი მოლაპარაკებებში, რომლებიც მიზნად ისახავს კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის მოძიებას. მათი დიპლომატიური ინიციატივები, ეკონომიკურ ზეწოლასთან და უკრაინის სამხედრო მხარდაჭერასთან ერთად, ემსახურებოდა რუსეთის იძულებას დიალოგში ჩართვისა და დეესკალაციის პოტენციური გზების ძიებაში.

უფრო მეტიც, ევროკავშირი და აშშ გადამწყვეტ როლს თამაშობს უფრო ფართო გეოპოლიტიკური კონტექსტის ჩამოყალიბებაში, რომელშიც ვითარდება რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი [5]. მათი ქმედებები სიგნალებს უგზავნის ტერიტორიული ამბიციების მქონე სხვა ქვეყნებს და ადასტურებს საერთაშორისო სამართლისა და სუვერენიტეტის პატივისცემის მნიშვნელობას. უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერით, ევროკავშირი და აშშ აჩვენებენ თავიანთ ერთგულებას საერთაშორისო წესრიგის პრინციპების დაცვაზე.

### **ბირთვული იარაღი ევროპის უსაფრთხოების მთავარი პრობლემა**

დღეს საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარი მამოძრავებელი ძალაა ბირთვული იარაღი, სწორედ ბირთვული იარაღი გახლავთ ევროპის უსაფრთხოების მთავარი პრობლემა. მოკლედ რომ ვთქვათ, საერთაშორისო უსაფრთხოება თითოეული სახელმწიფოს ეროვნულ დონეზე დადიოდა და მისი სამიზნე იყო ეროვნული უსაფრთხოება [6], რაც კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენა უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებულმა ომმა. რუსეთი, რეგიონში არა ნორმალურ ურთიერთობებს, არამედ ექსკლუზიური გავლენის სფეროს მოპოვებას განსაკუთრებული აგრესიულობით ცდილობს. ამ ექსკლუზიური სფეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი კი საქართველოა. ამ პირობებში საქართველოსთვის გამართული და ეფექტიანი საგარეო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე, როგორც უსაფრთხოების გარანტიის

ერთადერთ საშუალებაზე, დასავლეთის სახელმწიფოების მხარდ ჩართულობასა და მხარდაჭერაზე, გადამწყვეტი ხდება საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის [7].

რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებიდან გამომდინარე ევროპა კიდევ უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს უსაფრთხოების პოლიტიკაში, ნელ-ნელა დგება მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა, რადგან არცერთ ერს დამოუკიდებლად არ შეუძლია გაუმკლავდეს კომპლექსურ პრობლემებს. სამწუხაროდ ბოლო პერიოდში ევროპა ეჯახება ახალ საფრთხეებს, რომელიც უფრო მრავალფეროვანია, ნაკლებად ხილული და პროგნოზირებადია. აღნიშნულიდან გამომდინარე ევროკავშირი აქტიურად უნდა იყოს ჩართული საკვანძო და ძირითადი საფრთხეების, როგორცაა: ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება,

რეგიონული კონფლიქტები, ტრანსნაციონალური დანაშაულის დარეგულირებაში, რათა უზრუნველყოს უსაფრთხოება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით:

- აწარმოოს ეფექტური პოლიტიკა კონფლიქტის პრევენციის მიზნით, გამოიყენოს მის ხელთ არსებული სამოქალაქო და საგარეო შესაძლებლობები;
- ევროკავშირის ორიენტაციის მიდგომები, რათა ევროპის სიახლოვეს შექმნას უსაფრთხო კლიმატი (ახლო აღმოსავლეთით, შავი ზღვის რეგიონში, კავკასია);
- საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნება მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით, საერთაშორისო სასამართლოს ნორმების სრული დაცვით [8].

ილუზია, რომ რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება შესაძლებელია დასავლეთთან ინტეგრაციის პარალელურად და ამისათვის აუცილებელია არ გავაღიზიანოთ რუსეთი. შეიძლება ითქვას, ეს მთავარ საგარეო პოლიტიკურ ამოცანად განისაზღვრა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთს ოფიციალურ დოკუმენტებში აქვს დეკლარირებული ნატოში გაფართოება როგორც რუსეთის საგარეო პოლიტიკური საფრთხე. გავისხენოთ მედვედევის 2011 წლის განცხადება, როდესაც იგი საქართველოში 2008 წელს შემოჭრილ 58-ე არმიის წარმომადგენლებს ესაუბრებოდა და ხაზგასმით განაცხადა – „რომ არა 2008 წლის ომი, ნატო უკვე ჩვენს საზღვრებთან იქნებოდა მოსული“ [9].

დღეს, ფაქტობრივად, აღარავინ დაობს მსოფლიოში იმის შესახებ, რომ რუსეთის სტრატეგიულ ამოცანას საბჭოთა კავშირის მსგავსი წარმონაქმნის რეანიმირება წარმოადგენს და ამრიგად, მათთვის მიუღებელია ნებისმიერი პროცესი, რომელიც ე.წ. პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მისი გავლენის სფეროდან გასვლას უზრუნველყოფს. შესაბამისად, საქართველოს დასავლური ინტეგრაცია ეწინააღმდეგება რუსეთის მთავარ სტრატეგიულ ამოცანას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა, ფაქტობრივად, არ შეცვლილა, ესაა ქვეყნის დასავლური ინტეგრაციის ამოცანა, უფრო კონკრეტულად, დასავლური ინტეგრაცია რუ-

სეთთან ურთიერთობის ნორმალიზების პარალელურად, საუბარია „დაბალანსების“ პოლიტიკაზე, სხვა ქვეყნების მაგალითებს რომ თავი დავანებოთ, „დაბალანსების“ პოლიტიკის წარუმატებლობა თავად გვაქვს გამოცდილი 90-იან წლებში, როდესაც დასავლეთთან და რუსეთთან დაბალანსების მცდელობამ, არც რუსეთთან მოგვიტანა რაიმე შედეგი და არც დასავლეთთან. დღეს, როდესაც რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირება უმწვავეს ფაზაშია შესული და ბევრს „ცივი ომის“ პერიოდს აგონებს, „დაბალანსების“ პოლიტიკა ორმაგად საშიშია იმ პირობებში, როდესაც ჩვენი ამოცანა არა მხოლოდ უკვე არსებული პრობლემების მოგვარება (დეოკუპაცია, ეთნიკური წმენდა), არამედ მიმდინარე პრობლემებისა და მყისიერი საფრთხეების (მათუხლხართების გავლება, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსიის საფრთხე) ნეიტრალიზებაა.

**დასკვნა.** როგორც აღინიშნა, რუსეთ-უკრაინის ომმა ძირეულად შეცვალა ვითარება მსოფლიოში საქართველოს კი მიეცა ყველაზე რეალური შანსი გაწევრიანდეს ევროკავშირში, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი საშინაო და საგარეო პოლიტიკა გატარდება, თუმცა უნდა ითქვას, რომ მენტალურად საქართველო ახლოსაა ევროპულ ფასეულობებთან, რადგან ევროპული აზროვნების საფუძველი სათავეს ანტიკური პერიოდის ფილოსოფიისგან და ქრისტიანული რელიგიის კონცეფციიდან იღებს, რომელიც ჰუმანიზმს, პლურალიზმს, თანასწორობას გულისხმობს [10. 97].

ევროკავშირი და აშშ ასრულებენ შეუცვლელ როლს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მოგვარებაში. მათი კოლექტიური ძალისხმევა მოიცავს დიპლომატიურ, ეკონომიკურ და სტრატეგიულ განზომილებებს, რომლებიც გადამწყვეტია დამაბულობის დეესკალაციისთვის, დიალოგის ხელშეწყობისთვის და, საბოლოოდ, მშვიდობიანი გადაწყვეტის მისაღწევად.

კონფლიქტის განვითარებასთან ერთად, ევროკავშირისა და აშშ-ს მნიშვნელობა აღმოსავლეთ ევროპის რთულ გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში ნავიგაციისთვის არ შეიძლება გადაჭარბებული იყოს. მხოლოდ

შეთანხმებული საერთაშორისო თანამშრომლობით არის შესაძლებელი რეგიონში ხანგრძლივი მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევა. თუ გავანალიზებთ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, არსებობს რეალური საფრთხე, რომ ჩვენი ევროატლანტიკური ინტეგრაცია შეეწიროს ან რუსეთთან არაგონივრულ პოლიტიკას, ან მცდარ შიდა ვიწრო პოლიტიკურ ამოცანებს. თუმცა უნდა დავეთანხმოთ ა. რონდელს იმაში, რომ პატარა ქვეყნებს არ შეუძლიათ არსებობა უსაფრთხოების გარანტიების გარეშე [11. 85]. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ინტერესები ძირითა-

დად დიდ პოლიტიკას ეწირებოდა. იმისათვის, რომ დღეს შენარჩუნდეს მშვიდობა და ბრუნდეს დაკარგული ტერიტორიები და გაგრძელდეს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესი, აუცილებელია ფრთხილი პოლიტიკის წარმოება, დაუშვებელია საომარი რიტორიკა. რაც შეეხება ევროპის უსაფრთხოებას მესამე მსოფლიო ომის საფრთხის პირობებში, აუცილებელია მრავალმხრივი თანამშრომლობა ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ, რადგან ინდივიდუალურად სახელმწიფოები ვერ შეძლებენ გაუმკლავდნენ კომპლექსურ გამოწვევებს.

LEVAN TEVZAIA – GTU, PhD Student

## THE IMPACT OF THE RUSSIAN-UKRAINIAN CONFLICT ON EUROPEAN SECURITY POLICY

### Summary

The paper discusses the impact of the Russia-Ukraine conflict on European security policy. In order to achieve Europe's security in the conditions of Russia's aggressive policy, multilateral cooperation is necessary in Europe and beyond, because individual states will not be able to cope with complex challenges. As for the security and stability of Georgia, it will depend on how to overcome the security problems of internal and external forces.

*Keywords:* Euro-Atlantic integration, idea of a united Europe, national security, balancing policy.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. An EU to cover the whole of Europe: the Union embarks on its greatest enlargement challenge ever, <https://bit.ly/3wDMlYx> [04.03.2024]
2. The European Union What it is and what it does <https://op.europa.eu/webpub/com/eu-what-it-is/en/> [04.03.2024]
3. How War in Ukraine Is Reverberating Across World's Regions, <https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2022/03/15/blog-how-war-in-ukraine-is-reverberating-across-worlds-regions-031522> [04.03.2024]
4. Russia's Strategic Failure and Ukraine's Secure Future <https://www.state.gov/russias-strategic-failure-and-ukraines-secure-future/> [04.03.2024]
5. EU response to Russia's war of aggression against Ukraine <https://www.consilium.europa.eu/en/policies/eu-response-ukraine-invasion/> [04.03.2024]
6. Michael Horowitz, The Spread of Nuclear Weapons and International Conflict: Does Experience Matter?, Sage Publications, Vol. 53, N2, A Strategic Approach to Nuclear Proliferation, 2009.
7. საერთაშორისო მისიები იხ. <https://mod.gov.ge/ge/mission> [04.03.2024]
8. გეგეჭკორი დ., „ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრატეგიის ძირითადი ასპექტები“, ჟურნალი „ინტელექტუალი“ №26; 2014
9. საქართველოს საგარეო პოლიტიკა. <https://forbes.ge/saqarthvelos-sagareo-poli/> [04.03.2024]
10. შუბითიძე ვ., ნიკო ნიკოლაძე- „კაცი სახელმწიფო“, თბილისი, გავაზი, 2013, 97.
11. რონდელი ა., პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, თბილისი, 2003, 85.

## საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი კიბერშეტევები

კიბერსაფრთხე გლობალური პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. საინფორმაციო ტექნოლოგიების ერაში საბრძოლო არეალი მოიცავს არა მხოლოდ საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო კომპონენტებს, არამედ მას დაემატა – კიბერსივრცე. რადგან კიბერსივრცე არ არის შემოფარგლული კონკრეტული საზღვრებით, ეს კიბერსივრცის თანმდეგ გამოწვევებს მასშტაბურ ხასიათს სძენს.

მოცემულ ნაშრომში განხილულია საქართველოს მიმართ განხორციელებული ფართომასშტაბიანი კიბერშეტევების კონკრეტული მაგალითები, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ზარალის გამოწვევა შეუძლია აღნიშნულ ქმედებებს.

კიბერთავდასხმები რთულად კონტროლირებადი საფრთხეა, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. მის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს ერთობას, საერთაშორისო საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობას და ეფექტური თავდაცვითი მექანიზმების ჩამოყალიბებას.

*საკვანძო სიტყვები: კიბერუსაფრთხოება, კიბერსივრცე, კიბერომი, კიბერსივრცეში არსებული საფრთხეები*

კიბერუსაფრთხოება თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი გამოწვევაა, რადგან ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად იზრდება კიბერსივრცეში არასანქცირებული შეღწევის რისკი. ჩვეულებრივი საომარი მოქმედებებისგან განსხვავებით, კიბერომი წარმოადგენს უფრო დახვეწილ საშუალებას, რომლის დროსაც შეიძლება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებზე სტრატეგიულმა თავდასხმებმა გაცილებით დიდი ზიანი გამოიწვიოს.

კიბერსივრიდან მომავალი საფრთხეების სრული მართვა შეუძლებელია, რადგან კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის განვითარებასთან ერთად, კიბერკრიმინალებიც ხვეწენ თავდასხმის ახალ წესებს [1], ასევე საქართველოს არსებობა და განვითარება უწყვეტ რეგიონში დამაბული გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე, სადაც დღითიდღე უფრო აქტიურად მოქმედებენ არასახელმწიფო აქტორები, ამავდროულად შეიმჩნევა პოლიტიკური მიზნით კიბერსივრცის გამოყენების მზარდი ტენდენციაც, საქართველო, შესაძლოა, მივაკუთვნოთ კიბერშეტევების მაღალი რისკის ქვემ მყოფი ქვეყნების კატე-

გორიას [2], რადგან გეოპოლიტიკური მდებარეობისა და არჩეული პროდასავლური კურსის გამო, საქართველო, ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან კიბერთავდასხმების განსაკუთრებულ სამიზნეს წარმოადგენს.

საქართველო არაერთხელ გახდა კიბერშპიონაჟისა და სრულმასშტაბიანი კიბერთავდასხმის ობიექტი. კიბერდანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ის ფაქტი, რომ ხშირად ძალიან რთულია ზუსტად დაადგინო არა მარტო უშუალო შემსრულებლები, არამედ მათი ადგილსამყოფელი ან ის ქვეყანა, საიდანაც შეტევა განხორციელდა. ამიტომ, დამნაშავეს ან დამნაშავეთა ჯგუფს შეუძლია ადვილად დამალოს არა მარტო თავისი მონაწილეობა კიბერშეტევის ორგანიზებაში, არამედ თავისი თავი დააფიქსიროს როგორც ქსელის სხვა მომხმარებლად ან საერთოდ დარჩეს ანონიმურად [3].

საქართველოს კიბერსივრცისთვის ყველაზე რეალური საფრთხის შემცველია რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე კიბერსაფრთხე. კრემლმა არათუ შეცვალა საკუთარი აგრესიული კიბერპოლიტიკა, არამედ მნიშვნელოვნად აამაღლა სახელმწიფოს კი-

ბერშეტევეთი პოტენციალი და გააფართოვა კიბეროპერაციების გამოყენების არეალი [3].

საქართველოს წინააღმდეგ კიბერთავდასხმის ისტორია ჯერ კიდევ 2008 წლის ივლისიდან იწყება, როცა რუსეთის მიერ განხორციელებულმა კიბერთავდასხმებმა, რომელთა სამიზნესაც სამთავრობო უწყებები, მედია საშუალებები და საბანკო სექტორი წარმოადგენდა, საგრძნობლად დააზიანა ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურა [1].

ქვემოთ აღწერილი იქნება საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი კიბერშეტევის მაგალითები:

1. 2008 წელს რუსეთის ფედერაციამ საქართველოს წინააღმდეგ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო შეტევების პარალელურად, განახორციელა მიზანმიმართული და მასირებული კიბერშეტევები. აღნიშნულმა კიბერშეტევებმა აჩვენა, რომ კიბერსივრცის დაცვა ეროვნული უსაფრთხოებისთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცეების დაცვა. ეს კიბერშეტევა ბევრი საერთაშორისო ექსპერტის მიერ შეფასდა როგორც „ინფორმაციული/კიბერ ომი“ საქართველოს წინააღმდეგ [4].

- 8 აგვისტოს თავდასხმის სამიზნე გახდა საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პარლამენტის საიტები, აგრეთვე, საინფორმაციო პორტალები (Apsny.ge, News.ge) და არაქართული, მაგრამ საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილი ახალი ამბების საიტები, ფორუმები;
- 9 აგვისტოს განხორციელდა შეტევა TBC-ი ბანკზე, რომელიც იმ პერიოდში საქართველოს უმსხვილესი კომერციული ბანკი იყო;
- 10 აგვისტოს განხორციელდა კიბერშეტევის ახალი ტალღა საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის საიტების წინააღმდეგ;
- 11 აგვისტოს არ ფუნქციონირებდა სამთავრობო საიტების უმრავლესობა, გარდა პრეზიდენტის საიტისა. იმავე პერიოდში განხორციელდა შეტევა აღნიშნულ საიტზე, სადაც განთავსდა ფაშისტური სიმბოლიკა და

პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ჰიტლერთან გამაიგივებელი ფოტოები;

- ამავე ტიპის შეტევა მოხდა ეროვნული ბანკისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდებზე, სადაც გამოქვეყნდა მე-20 საუკუნის დიქტატორების ფოტოები [5].

ზემოაღნიშნული კიბერშეტევები გახლდათ კიბერომის ერთ-ერთი პირველი აშკარა ფაქტი უახლეს ისტორიაში 2007 წელს ესტონეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ. ამ შემთხვევამ გამოიწვია გლობალური შიში იმ დამატებითი შესაძლებლობების შესახებ, რაც შეიძლება ახლდეს კიბერშეტევებს. ეს თავდასხმები არ იყო გამიზნული მხოლოდ ხალხის გასაკონტროლებლად, ისინი ასევე ცდილობდნენ ქართული სამხედრო დაზვერვის დოკუმენტაციის მოპარვასა და შეგროვებას.

პირველი შეტევა ქართულ კიბერსივრცეზე კონვენციური ოპერაციების დაწყებამდე საგრძნობლად ადრე, 19 ივლისს განხორციელდა – DDOS<sup>1</sup> შეტევის შედეგად თითქმის 24 საათის მანძილზე მწყობრიდან იქნა გამოყვანილი საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური საიტი.

ამავე პერიოდს უკავშირდება ქართული საკომუნიკაციო ქსელების მუდმივი სკანირება რუსული აქტორების მიერ. 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომში კიბერელემენტის – Defacement<sup>2</sup> და DDOS შეტევების გამოყენება უშუალოდ კონვენციური მოქმედებების კარგად ორგანიზებულ თანმხლებ პროცესს წარმოადგენდა, რომელთა მიზანიც რუსეთის შეიარაღებული ძალებისათვის სამხედრო მიზნების შესრულების გაიოლება, საინფორმაციო ვაკუუმის შექმნა, ინფორმა-

<sup>1</sup> DDOS (A distributed denial of service) – კომპრომეტირებული კომპიუტერების მეშვეობით გენერირებული დიდი რაოდენობით მონაცემთა მოთხოვნის ნაკადის მიმართვა სერვერისკენ, რომელიც მიმართულია ქსელის გამტარობის და ოპერატიული მეხსიერების გადასაცემად, რასაც შესაძლოა შედეგად მოჰყვეს სამიზნე სისტემის მწყობრიდან გამოყვანა და ბიზნესპროცესის მოშლა. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31399488.html>

<sup>2</sup> Defacement – კიბერშეტევის სახეობა, რომელიც იწვევს ვებგვერდის ან საიტის ვიზუალის შეცვლას. ხშირად გამოიყენება ტერორისტული ორგანიზაციების მიერ პროპაგანდისტული მოწოდებების გასავრცელებლად. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31399488.html>

ციული უპირატესობის მოპოვება და კონფლიქტის შესახებ რუსული ნარატივის დამკვიდრება იყო [6].

თეორიულად, აღნიშნული სქემა იძლეოდა საშუალებას, ნებისმიერ პრორუსულად განწყობილ აქტივისტს, ყოველგვარი ორგანიზების გარეშე, საკუთარი წვლილი შეეტანა კიბერშეტევაში, რითაც შესაბამისი შენიღბვის საშუალებას აძლევდა რუსულ სახელმწიფო უწყებებისგან მართულ კიბერშეტევას. ეს გარემოება გამოიყენა კიდევ კრემლმა: საჯარო განცხადებებში ოფიციალურად უარყო სახელმწიფოს ჩარევა მასობრივ კიბერთავდასხმებში და მისი განხორციელება პრორუსულად განწყობილ მოხალისეებსა და აქტივისტებს მიაწერა. თუმცა, მიუხედავად რუსეთის მხრიდან მრავალჯერადი უარყოფისა და იმ გარემოებისა, რომ სამართლებრივად კიბერშეტევის ორგანიზების ატრიბუცია მეტად რთულია, ამ მასობრივ კიბერშეტევაში აშკარაა სამთავრობო მხარდაჭერის კვალი. ბოტნეტების უმეტესობა, რომელთა სერვერები თურქეთსა და რუსეთში დაფიქსირდა და რომელთა შეტევებმა საქართველოს საინფორმაციო სივრცის პარალიზება და ფაქტობრივად, საინფორმაციო ბლოკადა გამოიწვია, რუსულ კიბერკრიმინალურ დაჯგუფება „RBN“-ს ეკუთვნის [5].

კავკასიური ცენტრის ვერ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ჰაკერული თავდასხმები რუსეთის მხრიდან აგვისტოს ომამდე 1 თვით ადრე დაიწყო. ეს ინფორმაცია ცნობილი გახდა ამერიკელი ექსპერტების სამონიტორინგო ჯგუფის შეფასების შემდგომ [5].

ასევე, 2008 წლის 12 აგვისტოს გაზეთი „The New York Times-ი“ წერდა, რომ ისტორიაში პირველად ორ ქვეყანას შორის შეიარაღებულ კონფლიქტს წინ ინტენსიური კიბერმოშადადება უძღვოდა. საქართველოზე კიბერშეტევები არ დაწყებულა 8 აგვისტოს. ის კონფლიქტის დაწყებამდე ბევრად ადრე მომზადდა და შედარებით მცირე მასშტაბებით ჯერ კიდევ ივლისის ბოლოდან ხორციელდებოდა [7].

საქართველოზე 2008 წელს განხორციელებული შეტევა ითვლება სამხედრო მოქმედებების პარალელურად განხორციელებულ

ბულ პირველ ფართომასშტაბიან კიბერშეტევად. საქართველოს მთავრობა, რომელიც აგრესიის პირობებში ინფორმაციის გასავრცელებლად საკუთარ ვებგვერდებს ეყრდნობოდა, იძულებული გახდა ეძებნა საინფორმაციო ბლოკადის გარღვევის გზები. ადგილობრივი აკადემიური წრეების კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფმა ესტონეთის, აშშ-ისა და პოლონეთის დახმარებით შეძლო კონტროლისძიებების შეძლებისდაგვარად მოკლე დროში განხორციელება და საინფორმაციო ვაკუუმის გარღვევა [5].

2. 2011 წლის მარტში, კომპიუტერული უსაფრთხოების რეაგირების ჯგუფმა (CERT-Georgia), აღმოაჩინა კიბერშეტევის ინციდენტი, რომელიც არის კიბერჯაშუშობის ერთ-ერთი საინტერესო მაგალითი. მავნე პროგრამა აგროვებდა სენსიტიურ, კონფიდენციალურ ინფორმაციას ქართული და ამერიკული უსაფრთხოების შესახებ.

კიბერჯაშუშობის შედეგად დაინფიცირდა შემდეგი ორგანიზაციები:

- სამინისტროები;
- პარლამენტი;
- კრიტიკული ინფორმაციის ინფრასტრუქტურები;
- ბანკები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები [8].

თავდამსხმელთა სერვერების და მავნე ფაილების გამოძიების შემდეგ, დადგინდა რომ, ეს კიბერშეტევა მომდინარეობდა რუსეთის უშიშროების სააგენტოდან. მავნე ფაილი სრულად აკონტროლებდა ინფიცირებულ კომპიუტერებს, იგი ეძებდა „სენსიტიურ სიტყვებს“ დოკუმენტის ფაილებში და საჭირო ინფორმაციას გზავნიდა ადგილობრივი მყარი დისკიდან დისტანციურ სერვერზე, აკეთებდა ვიდეო და აუდიო გადაღებას, მოწყობილობაში ჩაშენებული კამერისა და მიკროფონის გამოყენებით. მავნე პროგრამა ძალიან ჭკვიანურად იყო შექმნილი. დავირუსებული იყო საქართველოს ამბებთან დაკავშირებული სხვადასხვა ვებგვერდი, კონკრეტულად, ახალი ამბების გვერდები (მაგ. ნატოს დელეგაციის ვიზიტი საქართველოში, აშშ-საქართველოს შეთანხმებები და შეხვედრები). იმ პირთა კომპიუტერები, ვინც დაინტერესებული იყო მსგავ-

სი ინფორმაციით, ხვდებოდნენ ჰაკერთა მსხვერპლთა სიაში, მიუხედავად უსაფრთხოების დაცვის ზომებისა და პროგრამული უზრუნველყოფისა. საფრთხე იყო უადრესად დაშიფრული და იყენებდა თანამედროვე ფარულ ტექნიკას, ისე რომ, ვერცერთ უსაფრთხოების ინსტრუმენტს შეძლებოდა მისი ამოცნობა [8].

ეს შემთხვევა არის საინტერესო მაგალითი და ერთ-ერთი უპრეცედენტო შემთხვევა, იმ კუთხით რომ ჩვენმა კიბერსპეციალისტებმა შეძლეს არა მარტო ჰაკერის გამოვლენა, არამედ შეძლეს მისი ფოტოვიდეო გადაღება. ასევე მიიღეს ინფორმაცია მისი ადგილმდებარეობის, ინტერნეტ სერვისის პროვაიდერის, ელექტრონული ფოსტის შესახებ და ა.შ. [8].

ჩვენმა სპეციალისტებმა დაინფიცირებულ კომპიუტერში ჩაუშვეს მავნე პროგრამა, მისცეს თავდამსხმელს მისივე ვირუსი, სახელწოდებით „საქართველო-ნატოს შეთანხმება“, თავდამსხმელმა მოიპარა ეს ფაილი და გახსნის შემდეგ, ჩვენმა სპეციალისტებმა დაამყარეს კონტროლი მის კომპიუტერზე, გადაიღეს ჰაკერის ვიდეო, დააფიქსირეს ახალი მუქარის შექმნის პროცესი, ელექტრონული ფოსტით მიიღეს რუსული დოკუმენტი, სადაც თავდამსხმელი ვიდაცას აძლევდა მითითებებს, როგორ გამოეყენებინათ ეს მავნე პროგრამა და როგორ დაენფიცირებინათ სამიზნეები [8].

3. 2015 წლის მაისში ქართულ საფინანსო ორგანიზაციებზე განხორციელდა მასიური შეტევა. სულ შეტევაში მონაწილეობდა 300 000-მდე უნიკალური IP-ი მისამართი 160-ზე მეტი ქვეყნიდან. შეტევის მასშტაბიდან, მომზადების ხარისხიდან და რეგიონისადმი გეოპოლიტიკური ინტერესიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული შეტევის უკან რუსეთთან დაკავშირებული ჰაკერული ჯგუფი იდგა. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი მასშტაბური შეტევა არ იყო ორიენტირებული ფინანსურ ზარალზე. დიდი ალბათობით, შესაძლოა მიზანი სხვა უფრო მეტი ზიანის მომტანი შეტევის უყურადღებოდ გატარებაზე იყო გათვლილი [3].

ქართულ ფინანსურ ორგანიზაციებზე თავდასხმამ ხაზი გაუსვა კრიტიკული ინფ-

რასტრუქტურის დაუცველობას კიბერ საფრთხეების მიმართ და კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობას ფინანსური სისტემების დაცვისა და ეკონომიკის სტაბილურობის შესანარჩუნებლად, ასევე, საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას.

4. 2019 წლის ოქტომბერში, რუსეთის გენერალური შტაბის დაზვერვის მთავარი სამმართველოს სპეციალური ტექნოლოგიების მთავარმა ცენტრმა, საქართველოში განხორციელა ფართომასშტაბიანი კიბერშეტევა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სასამართლო სისტემის, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოების, სახელმწიფო, კომერციული და მედია ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე, სერვერებსა და სხვა მართვით სისტემებზე. კიბერშეტევის შედეგად დაზიანდა ზემოაღნიშნული ორგანიზაციების სერვერები, მართვის სისტემები და მნიშვნელოვნად შეფერხდა მათი ფუნქციონირება [9].

აღნიშნული კიბერშეტევა მიზნად ისახავდა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფას, საქართველოს მოსახლეობისათვის ზიანის მიყენებას და სამთავრობო სტრუქტურების, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება-მოშლას, საზოგადოებაში მღელვარების დათესვას. ქართული მხარის მიერ ჩატარებული გამოძიებით და საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, აღნიშნული კიბერშეტევა დაიგეგმა და განხორციელდა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (GRU) მიერ [9].

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამსახური (GRU), არის რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო ორგანო, რომელიც რუსეთის მთავრობას აძლევს რეკომენდაციებს სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფად. ინფორმაციული ტექნოლოგიების საკონსულტაციო ორგანიზაციამ, აშშ-ის დაზვერვის ყველაზე მსხვილმა კონტრაქტორმა, Booz Allen Hamilton-მა 2020 წლის მარტში

გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც შესწავლილია 15 წლის განმავლობაში (2004 წლიდან 2019 წლის ჩათვლით) რუსი ჰაკერების მიერ განხორციელებული 200-ზე მეტი კიბერთავდასხმა. აღნიშნული ანგარიში შეიცავს მნიშვნელოვან და უნიკალურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს რუსული ჰაკერული დანაყოფები, რა ლოგიკას ემყარება რუსული კიბერ ოპერაციები და როგორ იყენებს მათ რუსეთის ხელისუფლება საგარეო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად [10].

5. აგრეთვე, 2020 წლის სექტემბერში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაზე ერთ-ერთი უცხო ქვეყნიდან კიბერშეტევა განხორციელდა. შეტევის მიზანი სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და მის სტრუქტურულ ერთეულებში, მათ შორის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს რიჩარდ ლუგარის სახელობის კვლევითი ცენტრის მონაცემთა ბაზებში დაცული სამედიცინო დოკუმენტაციისა და პანდემიის მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაუფლება-გამოყენება იყო. უკანონო შეღწევის შედეგად მოპოვებული, დოკუმენტაციის ნაწილი ამჟამად ატვირთულია ერთ-ერთ უცხოურ ვებ-გვერდზე და მასობრივი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია.

იმავედროულად აღნიშნულ ვებ-გვერდზე აიტვირთა აშკარად ფალსიფიცირებული დოკუმენტები, რომლებიც განზრახ არის გაყალბებული საზოგადოების დაშინების, მათში დაბნეულობისა და უნდობლობის დასაწერად [10].

პროცესები და დეზინფორმაციის კამპანია, რომელიც მომხდარს უსწრებდა წინ, დიდი ალბათობით, მიუთითებს რუსულ კვალზე. დეზინფორმაციას, რიჩარდ ლუგარის სახელობის მიკრობიოლოგიური ლაბორატორიის საქმიანობის შესახებ, რუსული მედია და პოლიტიკოსები ლაბორატორიის დაარსების დღიდან ავრცელებდნენ. მათი თქმით, აშშ რუსეთის გარშემო სამხედრო ბიოლოგიური ლაბორატორიების ქსელს ქმნის. დეზინფორმაციის კამპანია კიდევ

უფრო გააქტიურდა კორონავირუსის პანდემიის დროს. მალევე კი, ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ ოფიციალური განცხადებები გაკეთდა რუსეთის ხელისუფლების მხრიდანაც. 2020 წლის 26 მაისს გავრცელებულ განცხადებაში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თქვა, რომ ბიოლოგიური იარაღის შესახებ კონვენციასთან ლუგარის ცენტრის შესაბამისობის საკითხი „კითხვებს ბადებდა“. ამასთანავე, რუსეთმა 2020 წლის მაისშივე მოითხოვა, რომ რუს ექსპერტებს მისცემოდათ წვდომა ლუგარის ლაბორატორიის ყველა შენობასა და დოკუმენტზე საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლების გარეშე.

აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია მსჯელობა იმაზე, რომ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროზე კიბერშეტევა 2020 წლის 1 სექტემბერს სწორედ რუსეთის მხრიდან განხორციელდა [10].

**დასკვნა.** კიბერსაფრთხეების იგნორირება, ან არასათანადოდ შეფასება ქვეყანას დააყენებს ისეთი რისკების პირისპირ, როგორებიცაა: სახელმწიფო და ეკონომიკური სტრუქტურების მოწყვლადობა; კრიტიკული ინფრასტრუქტურის არასაკმარისი დაცულობა; სამხედრო და ჰიბრიდული საფრთხეებისადმი სისუსტე; თავდაცვისუნარიანობის დაქვეითება. გამომდინარე აქედან, კიბერუსაფრთხოების მაღალ დონეზე უზრუნველყოფა სასიცოცხლოდ აუცილებელია [2].

როდესაც ქვეყანა მუდმივი კონფლიქტის პირობებში იმყოფება და მასობრივი კიბერშეტევის რისკი მაღალია, ქვეყნის რესურსის მობილიზება უნდა განხორციელდეს არსებული ორგანიზაციული სისტემის დახვეწაზე და გაძლიერებაზე [2].

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს რუსეთის, როგორც დესტრუქციული კიბერაქტორის განზრახვების, შესაძლებლობებისა თუ ღონისძიებების ასახვას კიბერუსაფრთხოების სტრატეგიულ დოკუმენტებში.

მართალია, კიბერსივცრიდან მომავალი საფრთხეების სრული მართვა შეუძლებელია, რადგან კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის განვითარებასთან ერთად, კიბერკრიმინალებიც ხვეწენ თავდასხმის ახალ წესებს.



თუმცა, კიბერუსაფრთხოების პროაქტიული პოლიტიკის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია სავარაუდო ზიანის შემცირება, პრევენცია და შესაბამისად, კიბერსივრცის მართვა [1]. ასევე მნიშვნელოვანია, ქვეყანამ განსაზღვროს ამ სფეროში არსებული კონკრეტული და მოსალოდნელი საფრთხეები,

რათა ქვეყანამ მოახდინოს დროული პრევენცია და თავიდან იქნას აცილებული კიბერშეტევები საქართველოს ინფორმაციულ ქსელებზე და საერთოდ ინფრასტრუქტურაზე. ეფექტური კიბერთავდაცვის გარეშე ქვეყანა ვერ გახდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის საიმედო პარტნიორი.

NATALIA KHULORDAVA – GTU, PhD Student

## LARGE-SCALE CYBER ATTACKS AGAINST GEORGIA

### Summary

Cyber threat is one of the most important problems of global politics. In the era of information technologies, the combat area includes not only air, land, and sea components, but also cyberspace. The fact that cyberspace is not bounded by specific boundaries, adds to the scale of the challenges inherent in cyberspace.

This work discusses specific examples of large-scale cyber-attacks against Georgia, and how significant losses can be caused by these actions. Cyber-attacks are a difficult-to-control threat, not only for Georgia but for the whole world. The fight against it requires unity, cooperation of the international community, and the establishment of effective defense mechanisms.

**Keywords:** *Cybersecurity, Cyberspace, Cyberwar, Treats in Cyberspace*

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯღარკავა ი., „საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, გამოწვევები და შესაძლებლობები“. თბ., 2021.
2. მალვენიშვილი მ., ბალარჯიშვილი ნ., „კიბერუსაფრთხოების რეფორმა საქართველოში: არსებული გამოწვევები, საერთაშორისო პრაქტიკა და რეკომენდაციები“. თბ., 2020.
3. სვანაძე ვ., გოცირიძე ა.. „კიბერსივრცის მთავარი მოთამაშეები, კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, სტრატეგია და გამოწვევები“, სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო. თბ., 2015.
4. სვანაძე ვ., „კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები“, 2015.
5. გოცირიძე ა., „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის კიბერგანზომილება“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2019. <https://gfsis.org.ge/ge/blog/view/970>
6. გოცირიძე ა., „აგვისტოს ომის კიბერგანზომილება: კიბერშეტევების დასაწყისი“. რადიო თავისუფლება. 2021. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31399488.html>
7. John Markoff. Before the Gynfire, Cyberattacks. The New York Times. 2008.
8. Ministry of Justice of Georgia. „Cyber Espionage against Georgian Government“ <https://docplayer.net/2643880-Cyber-espionage-against-georgian-government-georbot-botnet-cert-gov-ge-lepl-data-exchange-agency-ministry-of-justice-of-georgia.html>
9. საქართველოს ახალი ამბების სააგენტო „GNA“. „ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები გმობენ რუსეთის მიერ განხორციელებულ კიბერშეტევას“. 2020. <https://ghn.ge/news/240048-evrokavshiri-da-misi-tsevri-sakhelmtsifoebi-gmoben-rusetis-mier-gankhortsiebul-kibershetevas>
10. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი „IDFI“. კიბერშეტევა ჯანდაცვის სამინისტროზე და რუსული კვალი. 2020. [https://idfi.ge/ge/strategy\\_of\\_russian\\_cyber\\_operations](https://idfi.ge/ge/strategy_of_russian_cyber_operations)

## **უკრაინის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ახალი რეალიები**

უკრაინის პროდასავლური საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია რუსეთის ფედერაციასთან ომის დაწყების მიზეზი გახდა. დღეს უკრაინაში მიმდინარე ომი მსოფლიოს მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. მსოფლიოში ტექტონიკური გეოპოლიტიკური ცვლილებები სწორედ ამ ომით დაიწყო. ევროკავშირის სანქციებმა ვერ მოახდინა ამ პროცესის გარდატეხა. ყველა ქვეყანამ წინა პლანზე დააყენა საკუთარი ეროვნული ინტერესები, ხოლო ახლა, როგორც არასდროს, უკრაინას სჭირდება კონსოლიდაცია ყველა მიმართულებით.

ისტორიული ფაქტების თანახმად, უკრაინა მუდმივად იყო „უმცროსი ძმის“ როლში რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში და ვლადიმერ პუტინი არწმუნებდა თავის ამომრჩევლებს, რომ უკრაინა განწირულია რუსეთის ფედერაციის გარეშე და მას არ ძალუძს საკუთარი სახელმწიფოს აშენება, ხოლო უკრაინული ენა მხოლოდ დიალექტია. ნარინჯისფერმა რევოლუციამ კი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა უკრაინის საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტი. მიუხედავად ყირიმის ანექსიის და დონბასის ტერიტორიების დაკარგვისა უკრაინამ არ შეცვალა პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი და საბოლოო ჯამში ჩაერთო ერთერთ უმსხვილეს დაპირისპირებაში რუსეთთან, რომლის შედეგებით განისაზღვრება მსოფლიოს მომდევნო ათწლეულების პოლიტიკური მსოფლიო წესრიგი.

***საკვანძო სიტყვები:** საგარეო პოლიტიკა, ევროინტეგრაცია, დემოკრატია, რუსეთ-უკრაინის ომი.*

### **ახალი საგარეო პოლიტიკური სტრატეგია**

ფერადი რევოლუციები საქართველოსა და უკრაინაში დემოკრატიული სტანდარტების წამოწევის და განვითარების ახალ ეტაპად მოგვევლინა. ეს მიდგომები დაფუძნებულია „სოციალურ კონსტრუირებაზე“ პოსტმოდერნისტულ თეორიებში, რომლებსაც ამ ბოლო დროს სხვადასხვა ფორმით გვთავაზობენ ფ. ფუკუიამა, ე. ტოპლერი, ზ. ბჟეზინსკი და ს. ჰანტინგტონი. პოსტმოდერნისტული თეორიების წყობის განსაკუთრებულობა მომველებულ სტერეოტიპებზე პოლიტიკურ პროცესებში უარის თქმაა.

ვ. იუშენკოსა და მ. სააკაშვილის ერთობლივ დეკლარაციებში პოლიტიკური მიზნები განისაზღვრება როგორც „დემოკრატიზაციის მეოთხე ტალღა“. აქ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყინული დაიძრა და უკრაინა, როგორც ევროპის და პოსტსაბჭოთა სივრცის ერთერთი უმსხვილესი ქვეყანა, იწყებს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგ-

რაციას. ფრენსის ფუკუიამა 2019 წელს თავის ინტერვიუში აღნიშნავს - „საქართველო და უკრაინა დემოკრატიისთვის ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფებიან და მსურს გავაკეთო ყველაფერი, რაც შემიძლია, ამ პროცესის ხელშეწყობისთვის“ [1].

ქვეყნის ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე ძირითადად მისი საგარეო პოლიტიკის შედეგებზეა დამოკიდებული. დაბალანსებული, პრაგმატული, რაციონალური და შორსმჭვრეტელი საგარეო პოლიტიკა ქმნის წინაპირობებს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებისთვის. მრავალვექტორული და დაბალანსებული საგარეო პოლიტიკური კურსის გატარება არის აუცილებელი უკრაინის სტაბილური და ჰარმონიული განვითარებისთვის.

ვერც ერთი თანამედროვე სახელმწიფო, რომელიც მიისწრაფის ცივილიზაციისკენ,

ვერ ჩაიკეტება საკუთარ ნაჭურჭში და მარტო, მხოლოდ საკუთარ რესურსებზე დაყრდნობით, სხვა ქვეყნებთან მჭიდრო კონტაქტების გარეშე, ვერ შეძლებს განვითარებას. გამოწვევის არც უკრაინაა, მას უკავია საკუთარი ადგილი მსოფლიო საზოგადოებასა და საერთაშორისო ურთიერთობებში.

2021 წელს შეიქმნა უკრაინის ახალი საგარეო პოლიტიკური სტრატეგია. ის, რა თქმა უნდა, სუფთა ფურცლიდან არ დაწერილა, მას წინ უძღოდა 2019 წლის უკრაინის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები. უკრაინის საბაზისო პრიორიტეტად კვლავ პროდასავლური კურსი გამოცხადდა და საგარეო პოლიტიკის უმთავრეს ვექტორად ევროატლანტიკური ინტეგრაცია განისაზღვრა.

უკრაინის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები ასე გამოიყურება:

- ევროკავშირისა და ნატო-ს სრულფასოვანი წევრობა;
- მშვიდობის აღდგენა და ტერიტორიული მთლიანობა;
- აგრესორი ქვეყნისთვის ეფექტური წინააღმდეგობის გაწევა;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა [2].

სტრატეგია გამოყოფს ხუთ ქვეყანას, რომლებთან ურთიერთობას უკრაინისთვის პრიორიტეტული და სტრატეგიული ხასიათი აქვს: აშშ, გაერთიანებული სამეფო, კანადა, გერმანია და საფრანგეთი. ამ ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარება მიმდინარეობს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების შესაბამისად, ასახავს თანამშრომლობის განსაკუთრებულ ხასიათს და დონეს, ეფუძნება ეროვნულ ინტერესებს. მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს თანამშრომლობა პოლიტიკურ, უსაფრთხოებისა და სამხედრო სფეროებში, კერძოდ რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის ჭრილში. ამ ქვეყნების ჩამონათვალსა და მათთან პარტნიორობის შინაარსში იკვეთება გეოპოლიტიკური ლოგიკა და პრაქტიკული აზრი ხანგრძლივი ჰიბრიდული აგრესიის წინაშე მყოფი ქვეყნისთვის. სტრატეგიული პარტნიორობის წრე ამით არ შემოიფარგლება. დოკუმენტის მიხედვით, უკრაინის სტრატეგიული პარტნიორები არიან: პოლონეთი,

თურქეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ლიეტუვა, რუმინეთი, ჩინეთი, ბრაზილია. ასევე, მნიშვნელოვანია იაპონიასთან და ინდოეთთან გლობალური პარტნიორობა. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ასეთი არჩევანი ზოგადად გამართლებულია და პრაგმატულია, რადგან 200 სტრატეგიული პარტნიორი ბუნდოვანს ხდის სტრატეგიულ თანამშრომლობას. ცალკე გამოყოფილი სტრატეგიის რამდენიმე ძირითად დებულებას, რომლებიც ქმნიან უკრაინის საგარეო პოლიტიკის ხერხემალს.

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მკაფიოდ განსაზღვრული კურსი - ეს არის გარდამავალი თემა, რომელიც ამა თუ იმ გზით შეიძლება მოიძებნოს დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილში და ივსება კონკრეტული შინაარსით ძირითადი პრიორიტეტის სახით. ასევე, სტრატეგიის მთავარი თემა რუსული აგრესიაა. აგრესორი სახელმწიფოს წინააღმდეგ საპასუხო ღონისძიება და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა აღიარებულია უმაღლეს პრიორიტეტად. დოკუმენტი შეიცავს ზომების ერთობლიობას რუსეთის ფედერაციის გაფართოებისთვის წინააღმდეგობის გაწევას, უკრაინის მხარდამჭერ სახელმწიფოთა წრის გაფართოებას, კრემლის შეიარაღებული აგრესიის საკითხის საერთაშორისო დღის წესრიგის შენარჩუნებას, რუსული დანაშაულებების შესახებ სიმართლის მიწოდებას მსოფლიოს საზოგადოებისთვის, აგრესორთან დაპირისპირების სხვადასხვა საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებასა და კოლექტიური დასავლეთის სანქციების რეჟიმის გაძლიერებას, რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობების ქვეშ მოქცევას და ა.შ. [3].

ასევე, სტრატეგიის პრიორიტეტებს შორის განისაზღვრა საგარეო პოლიტიკური საქმიანობის ეკონომიკური კომპონენტი. საუბარია შიდა მწარმოებლების ინტერესების დაცვასა და ხელშეწყობაზე (მათ შორის, მრავალმხრივი სახელშეკრულებო სისტემებისა და საერთაშორისო პროექტების ფარგლებში), უცხოურ ბაზარზე უკრაინელი ექსპორტიორების პოზიციის გაძლიერებაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე უკრაინის ეკონომიკაში და ფინანსურ დახმარებაზე შიდა რე-

ფორმებისთვის. მნიშვნელოვანი მიმართულებებია სამეცნიერო და ტექნიკურ თანამშრომლობაში გაფართოება და საერთაშორისო თანამშრომლობა მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიაში.

ამავდროულად, იზრდება უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული ექსპორტიორთა და ინვესტორთა საბჭოს, როგორც უკრაინელი და უცხოური ბიზნესის პლატფორმის როლი. ეკონომიკური დიპლომატიის მიზანია უზრუნველყოს ხელსაყრელი გარე პირობები ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის და უკრაინის მოქალაქეების კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის.

ცხადია, რომ ეს არ ამოწურავს საგარეო პოლიტიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი სფეროების ჩამონათვალს. სტრატეგიაში ურთიერთობების გეოგრაფია მოიცავს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონს, ცენტრალური აზიის, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან პარტნიორობის განვითარებას. ცალკე თემაა მრავალმხრივი თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში გლობალურ და რეგიონალურ დონეზე. თავის მხრივ, დიდი ყურადღება ეთმობა სახალხო დიპლომატიას, საზღვარგარეთ უკრაინელების უფლებების დაცვას, შრომით მიგრაციას და ა.შ. [4].

შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტრატეგია ქმნის კონცეპტუალურად თანმიმდევრული და დაბალანსებული დოკუმენტის შთაბეჭდილებას, რომელიც აერთიანებს მკაფიოდ განსაზღვრულ სტრატეგიულ ამოცანებს და მათი განხორციელების პრაქტიკულ ზომებს. ამავე დროს, ყურადღება უნდა მიექცეს რამ-

დენიმე მნიშვნელოვან გარემოებას. სტრატეგია არ არის კანონიკური ტექსტი. გეოპოლიტიკური ტურბულენტობა, მოვლენების სიჩქარე და არაპროგნოზირებადობა მსოფლიო ასპარეზზე საჭიროებს კორექტირებას, ახალი აქცენტების და დამატებების დანერგვას. ეს ბუნებრივი პროცესია. უფრო მეტიც, დასკვნით დებულებაში ხაზგასმულია, რომ ეს არის „საშუალოვადიანი დაგეგმვის დოკუმენტი“.

სტრატეგია, უპირატესად, ჩარჩო ხასიათისაა და მისი კომპონენტები უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, დაბალანსებული და კოორდინირებული საგარეო ურთიერთობების პრიორიტეტულ სფეროებში. მისი ეფექტური განხორციელების აუცილებელი პირობაა, პოლიტიკური და დიპლომატიური რესურსების კონცენტრირება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საგარეო მიმართულებაზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა რეგიონები ყურადღების მიღმა დარჩება. თუმცა, აშკარაა, რომ პარტნიორობის და თანამშრომლობის განვითარება, სხვა ქვეყნების სოლიდარობასა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა მოითხოვს არა მხოლოდ ერთობლივ დეკლარაციას და ვიზიტებს უმაღლეს დონეზე, არამედ, სერიოზულ ფინანსურ და ეკონომიკურ მონაწილეობას. თანამედროვე სამყარო საკმარისად პრაგმატულია და ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ მსოფლიო მასშტაბებით და დიპლომატიური და პოლიტიკური გავლენების თვალსაზრისით, კიევი ვაშინგტონთან და პეკინთან შედარებით სხვა წონით კატეგორიაშია. ამიტომ, უკრაინა მსოფლიო ასპარეზზე პრაგმატულად მოქმედებს, ფოკუსირებას ახდენს საკუთარ რესურსებსა და შესაძლებლობებზე.

### რუსეთ-უკრაინის ომი ახალ ისტორიულ ჭრილში

დღეს უკრაინაში ომია, რომლის შედეგებმაც შეიძლება სრულიად შეცვალოს მსოფლიოს პოლიტიკური წესრიგი.

მსოფლიო ლიდერების ძალისხმევის მიუხედავად, დიპლომატიური და კულტურული შეხვედრების ფონზე, განვითარდა ისეთი კრიზისი, რომლის შედეგებიც ძალიან რთულად წარმოსადგენია.

მსოფლიო დგას კატასტროფის წინაშე და უზრუნველდება მეორე მსოფლიო ომის წინამდებარე ფაზას, როდესაც არც გაერო არსებობდა, არც ნატო და არც სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნდა ბერკეტი უმართავი მოვლენების განვითარების თავიდან ასაცილებლად.

ისტორიულ ფაქტებს რომ გადავხედოთ, უკრაინა და ბელორუსია მეორე მსოფლიო ომის დროს ყველაზე ძლიერად დაზარალდა, რამაც განაპირობა მათი სტატუსი გაეროს შემადგენლობაში, ხოლო დღეს ბელორუსია რუსეთთან ერთად აწარმოებს აგრესიულ ომს უკრაინის წინააღმდეგ. გაეროს სტატუსის მიღების შემდეგ უკრაინას გაუჩინდა უსაფრთხო ცხოვრების პირველი იმედი. შემდეგ იყო 1994 წელი, როდესაც ბუდაპეშტის მემორანდუმის თანახმად, აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა და რუსეთმა უკრაინას ტერიტორიული მთლიანობის გარანტიები მისცეს ბირთვულ იარაღზე უარის თქმის სანაცვლოდ, რასაც მოჰყვა იმედის გაქარწყლება 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ.

მესამე იმედი გაჩნდა ნატოს სახით, მაგრამ გაწევრიანებისკენ მიმავალმა დაუსრულებელმა გზამ უკრაინა დღეს უდიდესი აგრესორის პირისპირ დააყენა, ბირთვული იარაღის და ნატოს გარეშე. რუსეთი კი ახალი საბჭოთა კავშირის აღდგენისკენ მიისწრაფვის, სადაც ადამიანის უფლებები ფეხქვეშ იქნება გათელილი, თავისუფლება შეზღუდული, ხოლო უბრალო ხალხს არანაირი განვითარების პერსპექტივები არ ექნება.

უკრაინასა და რუსეთს შორის ურთიერთობები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საკმაოდ დამაბული და რთული იყო. რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეს განიხილავს, როგორც საკუთარ ტერიტორიას და ცდილობს რომ საკუთარი გავლენა კვლავ გაავრცელოს პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე. მისი მიზანია შექმნას საბჭოთა კავშირის მსგავსი დიდი იმპერია და დაიბრუნოს ძველი დიდება.

მიუხედავად კრემლის დიდი ზეწოლისა, უკრაინამ შეინარჩუნა პროდასავლური კურსი და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. როგორც კი რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ გაათვითცნობიერა, რომ კიევი არ აპირებს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლას, მაშინვე აგრესიული ომი წამოიწყო სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ. სამხედრო ინტერვენციით მან მოა-

ხერხა ყირიმის ანექსია და ოთხი უკრაინული ოლქის ოკუპაცია.

„რუსეთი არ არის დაინტერესებული იმით, რომ ჯანსაღი დემოკრატია ჰქონდეს საკუთარ საზღვრებთან, რადგან ეს არასწორი სიგნალი იქნება მისი მოსახლეობისთვის. ამიტომ, შესაძლოა სწორია ის, რომ რუსეთს ურჩევნია სხვა ავტორიტარი მეზობლებით იყოს გარშემორტყმული. ჩვენ ვხედავთ აქტიურ თანამშრომლობას რუსეთს და სხვა დიქტატურებს შორის. ისინი ცდილობენ ერთიანი სავაჭრო ზონის და ეკონომიკური სივრცის შექმნას ენერგეტიკული და სატრანსპორტო პოლიტიკის საშუალებით“ - წერს ფრენსის ფუკუიამა [5].

2022 წლის 24 თებერვალი მსოფლიო ისტორიაში XXI საუკუნის ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდის დასაწყისს თარიღად ჩაიწერება. ომი ორ მეზობელ ქვეყანას შორის თანამედროვე ინდუსტრიულ სამყაროში ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორის უმთავრესი არის უკრაინის ატლანტიკური ინტეგრაცია. უკრაინა აღარ განიხილებოდა რუსეთის მიერ, როგორც ე.წ. „ნეიტრალური“ ქვეყანა, რაც, თავის მხრივ, ომის დაწყების მიზეზი გახდა. ამ თემას აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი ეხმაურება და გერმანულ მედიასთან საუბრისას აცხადებს, რომ „ეს არ გახლავთ ომის გამართლება, მაგრამ მე მაშინაც და ახლაც ვფიქრობ, რომ აღმოსავლეთის ბლოკის ყოფილი წევრი სახელმწიფოების ნატო-ში მიღებასთან ერთად, უკრაინის ალიანსში მიპატიჟება არ იყო გონივრული“. მაგრამ უკვე 2023 წელს იანვარში იგი აღიარებს, რომ „ამ ომამდე მე წინააღმდეგი ვიყავი უკრაინის ნატოში გაწევრიანების, რადგან ვშიშობდი, რომ დაიწყებოდა ის პროცესი, რასაც ახლა ვხედავთ. ამ პირობებში ნეიტრალური უკრაინის იდეამ აზრი დაკარგა“ [6].

ეს არის ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ იცვლება დამოკიდებულება უკრაინის მიერ, რომელიც გმირულად იბრძვის საკუთარი ქვეყნის ტერიტორიებისა და სტატუსის დასაცავად.

## ომის გარდამტეხი ეტაპები

2023 წლის ბოლოს უკრაინის ყოფილმა მთავარსარდალმა ვალერი ზალუჟნიმ პირველად ომის დაწყებიდან, უკრაინელი ხალხის მიმართვისას ბრძანა, რომ მათ უჭირთ ადამიანური რესურსის მიმართულებით, არასაკმარისია სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა, ასევე ფინანსური მხარდაჭერა, შესაბამისად 2024 წელი საკმაოდ რთული წელი იქნება უკრაინისთვის. ამიტომ გამოცხადდა ახალი მობილიზაცია და ასაკი დაყვანილია 25 წლამდე. უკრაინის ფრონტზე ვითარება შეიძლება მკვეთრად გაუარესდეს თუ არ იქნება საკმარისი ფინანსური, მატერიალური და სამხედრო დახმარება დასავლეთის მხრიდან. დასავლეთის პასიურობის შემთხვევაში რუსეთის ჯარები შეეცდებიან შეტევა განახორციელონ ფრონტის მთელ ხაზზე, რათა დონბასზე სრული კონტროლი დაამყარონ. უკრაინის არმიას გაუჭირდება ძლიერ და აგრესიულ რუსეთთან გამკლავება თუ მას არ ექნება დასავლეთის სრულფასოვანი მხარდაჭერა [7].

2024 წელი ალბათ გარდამტეხი წელი იქნება რუსეთ-უკრაინის ომში. რუსეთის არმია ემზადება სტრატეგიული შეტევის განხორციელებისთვის. ასევე, იგი იმედოვნებს, რომ დასავლეთი დაკარგავს უკრაინის მხარდაჭერის გაგრძელების სურვილს. უკრაინას კი დასავლეთის ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერა სჭირდება, რათა გააგრძელოს ომი და სამომავლოდ განახორციელოს შეტევა.

ინდუსტრიული ეპოქის ომი აიძულებს დიდ ნაწილს, ზოგიერთ შემთხვევაში კი, მთელ ეკონომიკებს, პრიორიტეტი მიანიჭონ ომის მასალების წარმოებას. რუსეთის თავდაცვის ბიუჯეტი 2021 წლიდან სამჯერ გაიზარდა და სახელმწიფო ხარჯების 30% შეადგინა. 2022 წლიდან უკრაინის საერთაშორისო დახმარებამ 230 მილიარდი დოლარი შეადგინა, საიდანაც 70% წილი აშშ-სა და ევროკავშირზე მოდის [8].

აშშ-ში ძალიან არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა უკრაინისთვის დახმარებასთან დაკავშირებით. რესპუბლიკელები ეწინააღმდეგებიან უკრაინის დახმარებას, ისინი შემფოთებულები არიან მიგრანტების

ამხელა ნაკადის შემოსვლით აშშ-ში, რისი დაშვებაც მოხდა ჯოზეფ ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ. ისინი ადანაშაულებენ მას ამაში და თვლიან, რომ უფრო მნიშვნელოვანია ამერიკელების ინტერესების დაცვა, ვიდრე უკრაინელების. ცნობილი ფაქტია, რომ ბევრი რესპუბლიკელი დიდი სიმპათიით არის განწყობილი რუსეთის მიმართ. ასევე, ექსპრეზიდენტი დონალდ ტრამპიც აღფრთოვანებულია პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინით. რესპუბლიკელების ნეგატიური განწყობა და დამოკიდებულება უკრაინის მიმართ საფრთხეს უქმნის კიევს, როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში.

დასავლეთის დახმარებაც ვერ იქნება უსასრულო, რადგან ევროკავშირის ქვეყნები საკუთარ თავდაცვაზე და უსაფრთხოებაზე უფრო მეტს ფიქრობენ ვიდრე უკრაინაზე.

რაც შეეხება დანაკარგებს, ამ ომში - „აშშ-ის მონაცემებით, უკრაინამ დაკარგა დაახლოებით 70 000 ჯარისკაცი და კიდევ 120 000 დაიჭრა, ხოლო რუსეთის ფედერაციას - დაახლოებით 120 000 მოკლული და 180 000 დაჭრილი ჯარისკაცი ყავთ. თუმცა უკრაინის მოსახლეობა რუსეთის მხოლოდ 30% - ია და ეს არის კრემლის უპირატესობა ამ ომში“ [9].

რუსეთის უპირატესობა გამოიხატება არა მარტო დემოგრაფიული პოტენციალით, არამედ ასევე წარმოების სექტორშიც ფლობს მოსკოვი დიდ უპირატესობას. რუსეთმა შეძლო საკუთარი ეკონომიკის სამხედრო რელსებზე გადაყვანა და დაიწყო სამხედრო ტექნიკის და იარაღის დიდი რაოდენობით წარმოება.

ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე თითქმის 30 წლის განმავლობაში უკრაინაში ბევრი დრამატული მოვლენა მოხდა.

პარალელულად, უკრაინულ საზოგადოებაში გრძელდებოდა რთული და წინააღმდეგობრივი პროცესები, რაც დაკავშირებული იყო ქვეყნის დამკვიდრებასთან ევროპულ საზოგადოებაში. ეს პროცესი დათრგუნული და შენელებული იყო მთელი რიგი შიდა და გარე ფაქტორებით, როგორცაა პოსტსაბჭოთა მენტალიტეტი, რეგიონული

განსხვავებები და რუსეთის იმპერიული გავლენები, რაც მოგვიანებით ფართომასშტაბიანი სამხედრო ექსპანსიით დასრულდა.

2005-2021 წლებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად უკრაინელების 49%-ი არ თვლიდა, რომ მათი ქვეყანა წარმოადგენდა ევროპული ცივილიზაციის ნაწილს და მხოლოდ მოსახლეობის 41% თავს ევროპელად ასაღებდა. 2022 წლის სექტემბერში ეს პროპორცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. უკვე 63%-მა თავი ევროპას მიაკუთვნა, ხოლო 27% საპირისპირო აზრზე იყო [10].

რა არის ასეთი ცვლილებების მიზეზები და მოტივები?

ამ კითხვაზე პასუხი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. პირველი, ეს არის ევროინტეგრაციის მიღწევები და სტატუსის მიღების რეალური პერსპექტივები. მეორე, ევროკავშირის პოლიტიკური სოლიდარობა უკრაინის მხარდაჭერის და დახმარების სახით. მესამე, ევროპული არჩევანის მიმართ აღებული პასუხისმგებლობა. ამ ფაქტორებმა დიდი როლი ითამაშა საზოგადოების გაერთიანებასა და უალტერნატივოდ პროდასავლური გზის არჩევაში.

ევროინტეგრაციის მხარდაჭერის კიდევ ერთი დასტურია გაწევრიანების შესახებ ჰიპოთეტური რეფერენდუმის შედეგები. თუ რეფერენდუმი უახლოეს მომავალში ჩატარდებოდა მოსახლეობის 92 % ხმას მისცემდა ევროკავშირში გაერთიანებას, რამაც მკაფიოდ დაგვანახა უკრაინელების არჩევანი [11].

ომის პირობებში უკრაინის ევროინტეგრაციის გამოცდილებას უნიკალური ხასიათი აქვს. ფართომასშტაბიანი შეიარაღებული რუსული ინტერვენციის ფონზე, რომელსაც ყოველთვის თან სდევს უზარმაზარი ადამიანური მსხვერპლი, ფინანსური და ეკონომიკური ზარალი, ქვეყანამ მოიპოვა ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატის სტატუსი.

კიევი მზად არის შეასრულოს ევროკომისიის რეკომენდაციები, ეტაპობრივად დააკმაყოფილოს კრიტერიუმები, რომ ქვეყანა მომავალში გახდეს ევროპული სამყაროს განუყოფელი ნაწილი. ომის პერიოდში კიევსა და ბრიუსელს შორის თანამშრომლობის არსებული მდგომარეობის შეფასებისას, უპირ-

ველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ერთიანი ევროპის მკაფიო და თანმიმდევრული პოლიტიკური და დიპლომატიური სოლიდარობა უკრაინის მიმართ, როგორც სამხედრო, ფინანსურ და ეკონომიკურ, ასევე ჰუმანიტარულ საკითხებში. ამავდროულად, არსებული დახმარების ინსტრუმენტები აშკარა გაუმჯობესებას საჭიროებს. რუსეთის ექსპანსიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მნიშვნელოვანი კომპონენტია უკრაინისა და ევროკავშირის შორის ეკონომიკური კონტაქტების გაღრმავება და განვითარება.

ევროკავშირში ინტეგრაციის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს უკრაინაში არასაკმარისი ტემპებით განხორციელებული რეფორმები, არადაამაკმაყოფილებელი ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, ქვეყანაში არსებული სოციო-ეკონომიკური კრიზისი. ეს უკანასკნელი ერთის მხრივ, დაკავშირებულია ომთან და, მეორეს მხრივ, უკრაინის ევოლუციის წინა ეტაპების „იმეკვიდრეობასთან“.

ასევე, დიდ გამოწვევას წარმოადგენს გეოპოლიტიკური სიტუაციის გართულება ევროპასა და მსოფლიოს შორის, კრემლის ენერგეტიკული საფრთხეები, ბირთვული შანტაჟი და ბირთვული ომის გაზრდილი საფრთხე. ამ საკითხს ეხმაურება ჰენრი კისინჯერი CNN-თან გამართულ ინტერვიუში და ძალიან მკაფიოდ აფიქსირებს თავის პოზიციას - „რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოს, რუსეთსა და ჩვენ შორის ურთიერთობების აშენება ძალიან დიდი პრობლემაა, რადგან რუსეთი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე იმპერია იყო და მისი თვითშეგნება დამყარებულია იმპერიის მიღწევებზე. ჩინეთი რუსეთის

მომიჯნავეა და ეს სტრატეგიული კომმარია. რუსეთი მომიჯნავეა ისლამისა - ეს იდეოლოგიური კომმარია. რუსეთს საზღვარი აქვს ევროპასთან - ისტორიულად ერთობ არამტკიცე, მუდამ ცვალებადი.

მეორე მხრივ, რუსეთის მმართველები მთელი ისტორიის განმავლობაში მართავდნენ ისე, რომ საზღვარგარეთ თავისი მნიშვნელობის შთაბეჭდილებას ამკვიდრებდნენ. მაშ, როგორ უნდა შეადუღოს ქვეყანა ისე, რომ უცხოეთს თავი მრისხანედ მოაჩვენო და ამავდროულად, გესმოდეს, რომ შესაძ-

ლებელი და აუცილებელიცაა დიდი კომპრომისები. ვფიქრობ, ეს მთავარი სირთულეა, რომელსაც პუტინი აწყდება. ჩვენს ინტერესებში არ შედის მათი მიყვანა „ალყა-შემორტყმული ციხესიმაგრის“ მდგომარეობამდე, როცა ისინი გადაწყვეტენ, რომ ყველას უნდა უჩვენონ, თუ რისი უნარი შესწევთ“ [12].

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ უკრაინის საბჭოთა წარსულმა თავისი კვალი დატოვა მის უახლეს ისტორიაში. ჩვენ დავინახეთ, თუ რაოდენ რთულად მიმდინარეობდა უკრაინელებისთვის ტრანსფორმაციის პროცესი. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და დასავლური ფასეულობების გაზიარებას წლები დასჭირდა. მიუხედავად ამისა, უკრაინამ საბოლოოდ გააკეთა თავისი არჩევანი და უძვირეს ფასს იხდის საკუთარი დემოკრატიული პრინციპების დასაცავად. სწორედ უკრაინის საგარეო პოლიტიკური

პრიორიტეტების მკაფიო განსაზღვრა გახდა რუსეთის ფედერაციის შეჭრის რეალური საბაზი, რამაც მსოფლიო დღეს ორ ნაწილად გახლიჩა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპა და აშშ დღეს ერთ მხარეს დგანან, ხვალ შესაძლოა, სურათი შეიცვალოს. მოვლენების განვითარება გარკვეულ წილად არის დამოკიდებული აშშ-ში მომავალ არჩევნებზე. რესპუბლიკელების და დემოკრატების პოზიციები უკრაინასთან მიმართებაში არ ემთხვევა ერთმანეთს. უკრაინის ფინანსური მხარდაჭერის შეწყვეტა დასვამს ორივე მხარეს მოლაპარაკების მაგიდასთან. გლობალურ ჭრილში რუსეთის დაშლა და დასუსტება პირდაპირ ჩინეთის გაძლიერებას ნიშნავს. ამიტომ, სასწორზე მსოფლიოს განვითარების მომავალი დგას და ამ ეტაპისთვის რთული მოსამეზნია ის ოქროს შუალედი, რამაც შეიძლება ეს ბრძოლა შეაჩეროს.

NINO TAVARTKILADZE – GTU, PhD Student

## REALIGNING PRIORITIES OF UKRAINE'S FOREIGN POLICY

### Summary

The commencement of hostilities between Ukraine and the Russian Federation stemmed from Ukraine's embrace of a pro-Western foreign policy orientation. Presently, the ongoing conflict in Ukraine stands as a paramount global challenge, catalyzing profound geopolitical shifts. Despite concerted European Union sanctions, the trajectory of this conflict remains unaltered. In the realm of international relations, national interests have taken precedence, underscoring the imperative for Ukraine to forge unity across all fronts. Historically, Ukraine has often found itself in a subordinate position vis-à-vis the Russian Federation, a narrative perpetuated by Vladimir Putin, who contends that Ukraine's prosperity hinges upon its relationship with Russia. Additionally, he asserts that Ukraine lacks the capacity to assert its sovereignty and diminishes the significance of the Ukrainian language as merely a dialect. The pivotal juncture of the Orange Revolution unequivocally delineated Ukraine's foreign policy trajectory. Despite the annexation of Crimea and the relinquishment of Donbass territories, Ukraine steadfastly adhered to its pro-Western foreign policy orientation, precipitating one of the most significant confrontations with Russia in recent history. The outcomes of this conflict are poised to shape the global political landscape for decades to come.

**Key words:** *foreign policy, European integration, democracy, Russia-Ukraine war.*

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფრენსის ფუკუიამა <https://www.radiotavisupleba.ge/>
2. Про "Основні напрямки зовнішньої політики України". Постанова Верховної Ради України // Голос України. - 24 липня 1993 р. - № 139. - С. 3.



3. Стратегія зовнішньополітичної діяльності України  
<https://zakon.rada.gov.ua/laws/show/448/2021#Text>
4. Аналіз стратегії зовнішньополітичної діяльності України  
<https://ussd.org.ua/2021/10/05/analiz-strategiyi-zovnishnopolitychnoyi-diyalnosti-ukrayiny/>
5. ფუკუიამა ფ., „დემოკრატიზაციის შესახებ აღმოსავლეთ ევროპაში“  
<https://for.ge/view/25445/frensis-fukuiama-demokratizaciis-Sesaxeb-aRmosavleT-evropaSi.html>
6. კისინჯერი ჰ., [HTTPS://1TV.GE/NEWS/HENRI-KISINJERI-AR-VFIQROB-ROM-ES-OMI-MKHOLOD-PUTINIS-BRALIA-UKRAINIS-ALIANSI-MIPATIDJEBAR-ARO-GONIVRULI](https://1TV.GE/NEWS/HENRI-KISINJERI-AR-VFIQROB-ROM-ES-OMI-MKHOLOD-PUTINIS-BRALIA-UKRAINIS-ALIANSI-MIPATIDJEBAR-ARO-GONIVRULI)
7. В. Залужний про своє бачення стратегії війни у 2024 році.  
<https://suspilne.media/675028-zaluznij-rozproviv-pro-svoe-bacenna-strategii-vijni-u-2024-roci/>
8. ნოდია გ., „რუსეთ-უკრაინის ომი გავლენა საქართველოს პოლიტიკურ ვითარებაზე“.  
[https://cipdd.org/upload/files/ruseT-ukrainis-omis-gavlenna\\_GEO.pdf](https://cipdd.org/upload/files/ruseT-ukrainis-omis-gavlenna_GEO.pdf)
9. „ნიუ იორკ ტაიმსი“ - აშშ-ის ოფიციალური პირების განცხადება <https://1tv.ge/news/niu-iork-taimsi-ashsh-is-oficialuri-pirebis-ganckhadbit-ukrainis-omshi-daghupuli-an-dashavebuli-ukraineli-da-rusi-jariskacebis-saerto-raodenoba-500-000-mdea/>
10. Standard Eurobarometer 96, Winter 2021-2022. — Eurobarometer, European Union,  
<https://europa.eu/eurobarometer/surveys/detail/2553>.
11. EU's response to the war in Ukraine. — Eurobarometer, European Union,  
<https://europa.eu/eurobarometer/surveys/detail/2772>
12. კისინჯერი ჰ., ინტერვიუდან ამონარიდი 24.02.2022 <http://saqinform.ge/news/17910/kisineri>
13. Генри Кисинджер, Мировой порядок, Москва, 2014 стр. 99-115
14. Тімоті Гартон Еш. Модель - Європейський Союз // Міжнародний світ. 1999. № 5. С. 17.
15. University, S.,Stanford and California 94305 (n.d) Russia, Ukraine and Existential War  
<https://cisac.fsi.stanford.edu/news/russia-ukraine-and-existential-war>
16. Pentagon Press Secretary John F. Kirby Holds a Press Briefing. April,2022. <https://www.defense.gov/News/Transcripts/Transcript/Article/2991964/pentagon-press-secretary-john-f-kirby-holds-a-press-briefing/>
17. European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations, [https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/european-neighbourhood-policy/countries-region/ukraine\\_en](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/european-neighbourhood-policy/countries-region/ukraine_en).
18. <https://osvita.ua/vnz/reports/international-relations/19238/>
19. <https://www.bbc.com/news/world-europe-67760067>
20. Regulation(EU) 2022/870 of the European Parliament and of the Council of 30 May 2022 on temporary trade-liberalisation measures supplementing trade concessions applicable to Ukrainian products under the Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Ukraine, of the other part,  
21. <https://eurlex.europa.eu/legalcontent>
22. Key challenges of our times — the EU in 2022. — Eurobarometer, European Union,  
<https://europa.eu/eurobarometer/surveys>
23. EU's response to the war in Ukraine. — Eurobarometer, European Union,  
<https://europa.eu/eurobarometer/surveys/detail/2772>.
24. Join forces: How to sustain public support for Ukraine's EU accession. — The European Council on Foreign Relations, 22 June 2022,  
<https://ecfr.eu/article/join-forces-how-to-sustain-public-support-for-ukraines-eu-accession>

## საერთაშორისო ურთიერთობები - „პერესტროიკა“ და გორბაჩოვის საერთოევროპული სახლის იდეა

1984 წლის შემოდგომაზე მოსკოვში მიიღეს ინგლისის პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის მიერ ინიცირებული წინადადება. ინგლისელები, ბრიტანულ-საბჭოთა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გასაძლიერებლად, მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ჩასვლას ინგლისში, ოღონდაც მხოლოდ და მხოლოდ მიხეილ გორბაჩოვის მეთაურობით.

მ. გორბაჩოვის პირველი შეხვედრა მ. ტეტჩერთან შედგა პრემიერ-მინისტრის სპეციალურ რეზიდენციაში, სადაც მასპინძლები იღებდნენ მხოლოდ სახელმწიფოს პირველ პირებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, 1984 წლის 18 დეკემბერს გორბაჩოვის სიტყვით გამოსვლა ბრიტანეთის პარლამენტში, რომლის არსიც იყო „ევროპა ჩვენი საერთო სახლია“. ეჭვგარეშეა, რომ მ. ტეტჩერმა გორბაჩოვს საერთო ევროპული სახლის იდეა მიაწოდა. ლონდონში მყოფმა გორბაჩოვმა გააოცა ტეტჩერი, როდესაც მის წინაშე სსრკ-ის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის საიდუმლო რუკა გაშალა, სადაც ნაჩვენები იყო ინგლისზე ბირთვული დარტყმის მიმართულელები და განაცხადა, რომ „ეს უნდა შეწყდეს“. მაგრამ ბრიტანეთის ჭკვიანმა პრემიერ-მინისტრმა გააცნობიერა, გორბაჩოვს დასავლელ პარტნიორებზე შთაბეჭდილების მოხდენის სურვილით შეეძლო წასულიყო ბევრ რაიმეზე და დამაჯერებლად თქვა, რომ „ჩვენ შეგვიძლია საქმე გვექონდეს მასთან“. მან ეს დასკვნა აშშ-ის პრეზიდენტ რონალდ რეიგანს გაანდო.

მ. გორბაჩოვი ფიქრობდა, რომ მას ჰქონდა შესაძლებლობა გამხდარიყო ევროაზიური საზოგადოების ხელმძღვანელი, რომელიც ატლანტიიდან წყნარ ოკეანემდეა გადაჭიმული.

მ. გორბაჩოვს იდეაში წარმოედგინა, რომ მოსკოვი გახდებოდა უზარმაზარი ევრაზიული საზოგადოების ცენტრი. თავად კი მისი ხელმძღვანელი. როგორც მოვლენებმა უჩვენა ეს იდეა მხოლოდ სატყუარა იყო გორბაჩოვისთვის, რათა დასავლეთს მისი დახმარებით მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური არენიდან გაექრო ისეთი ძლიერი კონკურენტი, როგორც საბჭოთა კავშირი იყო.

საბოლოოდ ყველაფერი დასრულდა ისე, როგორც ეს სურდა დასავლეთს.

*საკვანძო სიტყვები: საბჭოთა კავშირი, საერთო ევროპული სახლი, გორბაჩოვი, ტეტჩერი, რეიგანი, ლონდონი, მოსკოვი, ევროპა, დასავლეთი.*

ტოტალიტარული მმართველობის პირობებში თითქმის ყველაფერი ქვეყნის ლიდერზეა დამოკიდებული. მას შეუძლია ატყუოს ხალხი დაპირებებით, ზღაპრებით კომუნიზმის შესახებ, რისი დიდოსტატიც იყო ხრუმჩოვი. კორუფციაში ჩაფლული მინისტრების თანამდებობებიდან გათავისუფლებით, რაც ბრბოს აღფრთოვანებას იწვევს, როგორც აკეთებდა ამას ანდროპოვი. მიჰყევით დინებას, როგორც ეს ხდებოდა ბრეჟნე-

ვისა და ჩერნენკოს დროს. თუმცა მათ შორის ზოგიერთი ხვდებოდა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, ვინაიდან ქვეყანა თანდათანობით, ნელ-ნელა, მეთოდურად იღუპებოდა.

წყაროების ცნობით ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ალექსეი კოსიგინის დროს(1964-1980) მიღებული იქნა გადაწყვეტილება უკვე მეორედ (პირველი მარცხით დამთავრდა) მოეხ-

დინათ სასიკვდილო მდგომარეობაში მყოფი საბჭოთა ეკონომიკის რეფორმირება.

1979 წლის ოქტომბერში ა. კოსიგინს მოუვიდა ინფარქტი, რის შედეგადაც იგი აღმოჩნდა საავადმყოფოში. კოსიგინის დაწყებულ რეფორმებს უამრავი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, რომელთა შორის იყო სკკპ გენერალური მდივანი ლ. ბრეჟნევიც. საბოლოოდ საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დაწერა წერილი და გაუგზავნა სკკპ ცკ-ს, სადაც ახსნილი იყო ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური ვითარების მთელი სირთულე. წერილს გაეცნენ ცკ-ს წევრები. მათ ის შეაფასეს, როგორც ცილისწამება და მისი ავტორი მოხსნეს თანამდებობიდან

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმამდე ორ წელზე მეტი ხნით ადრე სკკპ გენერალური მდივანი იური ანდროპოვი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო მრეწველობის, შემდეგ კი მთელი სახალხო მეურნეობის მართვის „რესტრუქტურისაციის“ პროგრამის შემუშავება. ამ საქმეში ჩაერთნენ მ. გორბაჩოვი, ნ. რიჟკოვი, ვ. დოლგოხი (სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი – ა.შ.), მეცნიერებისა და წარმოების არაერთი გამოჩენილი წარმომადგენელი. <...> ანდროპოვის მიერ გატარებული პოლიტიკა იყო ძალიან მნიშვნელოვანი [1. 60].

ვინაიდან ის მიზნად ისახავდა უზარმაზარი იმპერიის დამყაყებულ ქაობიდან ამოყვანას. საბოლოოდ მოხდა ისე, რომ იური ანდროპოვმა არა მხოლოდ დააწინაურა მიხეილ გორბაჩოვი ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში, არამედ გზა გაუხსნა მას გენერალური მდივნის თანამდებობისაკენ.

ლონდონში ყოფილი საბჭოთა რეზიდენტის, 80-იანი წლების დასაწყისში, ლუბიანკას პირველი სამმართველოს მთავარი ანალიტიკოსის მიხაილ ლიუბიმოვის თქმით, იური ანდროპოვმა ჯერ კიდევ 1983 წელს ჩაფიქრა ოპერაცია „გოლგოთის“ იდეა, რომლის არსი იყო ქვეყნის განახლება მოკლევადიანი „კაპიტალიზმში დაბრუნების“ გზით და ასე მისვლა „ნამდვილ სოციალიზმამდე“ [2].

თუმცა მ. გორბაჩოვმა, ასე ვთქვათ, მიატოვა ანდროპოვი. მამასადამე, ის, როგორც ამას ა. ლუკიანოვი მოწმობს [3. 174], ავადმ-

ყოფურად ექვიანობდა თავისი მფარველზე. ჰეროსტრატეს ამაოებით დაჭრილ გორბაჩოვს ჭეშმარიტად არ სურდა ვინმესთვის „პერესტროიკის“ შემქმნელის, დიდების სიტკბოს გაზიარება, რამაც საბოლოო ჯამში შეარყია და დაამარცხა მსოფლიოს უდიდესი ქვეყანა. თავად გორბაჩოვი წერს: „ვფიქრობ, ანდროპოვმა ხელი შეუწყო ჩემს წინწაწევას, თუმცა მან ამის მინიშნებაც კი არ მომცა“ [4. 23].

1984 წლის შემოდგომაზე მოსკოვში მიიღეს ინგლისის პრემიერ მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის მიერ ინიცირებული წინადადება. ინგლისელები ბრიტანულ-საბჭოთა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გასაძლიერებლად მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ სსრკ უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ჩასვლას ინგლისში, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ მიხეილ გორბაჩოვის მეთაურობით. 1984 წლის 15 დეკემბერს გორბაჩოვი მეუღლის რაისა ტიტორენკოს, ალექსანდრე იაკოვლევისა და სსრკ შეიარაღებული ძალების დელეგაციის თანხლებით ლონდონში ოფიციალური 6-დღიანი ვიზიტით ჩავიდა.

მ. გორბაჩოვის პირველი შეხვედრა მ. ტეტჩერთან შედგა პრემიერ-მინისტრის სპეციალურ რეზიდენციაში, ჩეკერსში, ბუკინგემში, სადაც მასპინძლები იღებდნენ მხოლოდ სახელმწიფოს პირველ პირებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, 1984 წლის 18 დეკემბერს გორბაჩოვის სიტყვით გამოსვლა ბრიტანეთის პარლამენტში, რომლის არსიც იყო „ევროპა ჩვენი საერთო სახლია“. ეჭვგარეშეა, რომ მ. ტეტჩერმა გორბაჩოვს საერთო ევროპული სახლის იდეა მიაწოდა. იმავდროულად, მ. გორბაჩოვს არ ჰქონდა უფლება პოლიტიკურიდან გაეკეთებინა ასეთი განცხადება, მაგრამ ჩერნენკო, იმ დროისათვის აშკარად უკიდურესად მძიმე ავადმყოფი, ვეღარ რეაგირებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ასეთ სერიოზულ შეცოდებაზე. უფრო მეტიც ლონდონში მყოფმა გორბაჩოვმა გააოცა ტეტჩერი, როდესაც მის წინაშე სსრკ-ის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის საიდუმლო რუკა გაშალა, სადაც ნაჩვენებია იყო ინგლისზე ბირთვული დარტყმის მიმართულეობით და განაცხადა, რომ „ეს უნდა შეწყდეს“.

ეს ფაქტი ა. იაკოვლევის მიერ წიგნში „მეხსიერების მორევში“ არის აღწერილი [5].

უცნაური იყო ისიც, რომ უსტინოვი, თავდაცვის მინისტრი და ჩერნენკოს დროს პოლიტიუროს დე ფაქტო ხელმძღვანელი, 1984 წლის 20 დეკემბერს გაურკვეველი მიზეზით მოულოდნელად გარდაიცვალა. თუმცა სუკ-ის მაშინდელმა თავმჯდომარემ ვიქტორ ჩებრიკოვმა ამ საკითხის გამო შემდეგში დუმისი არჩია [6].

MI6-მა (ბრიტანულმა დაზვერვა) უდავოდ აუხსნა ტეტჩერს, რომ გორბაჩოვის მიერ ნაჩვენები რუკა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ნამდვილი (ის შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს). მაგრამ ბრიტანეთის ჰკვიანმა პრემიერ-მინისტრმა გააცნობიერა, გორბაჩოვის დასავლელ პარტნიორებზე შთაბეჭდილების მოხდენის სურვილით შეეძლო წასულიყო ბევრ რაიმეზე და დამაჯერებლად თქვა, რომ „ჩვენ შეგვიძლია საქმე გვქონდეს მასთან“. მან ეს დასკვნა აშშ-ის პრეზიდენტ რონალდ რეიგანს გაანდო.

ტეტჩერის მესიჯი რეიგანისადმი დიდი ხნის განმავლობაში იყო გასაიდუმლოებული იყო და მხოლოდ 2014 წლის დეკემბერში გაცხადდა [6].

კრემლში პოლიტიუროს სხდომები შენობის შესასვლელი ე.წ. „ვერანდის“ გავლით მესამე სართულზე იმართებოდა. იქ იყო გენერალური მდივნის ოთახი და პოლიტიუროს დარბაზი. ტრადიციისამებრ, შეხვედრები კვირაში ერთხელ, ხუთშაბათ დღეს, დილის 11 საათიდან მიმდინარეობდა. პოლიტიუროს წევრობის კანდიდატები და ცენტრალური კომიტეტის მდივნები შეხვედრის დარბაზში ხვდებოდნენ საერთო მისაღები ოთახიდან, სადაც თავდაპირველად იკრიბებოდნენ მოწვეულები.

გენერალური მდივანი კი საკუთარი კაბინეტიდან შედიოდა ე.წ. „კაკლის“ ოთახში, სადაც მას პოლიტიუროს (მხოლოდ) წევრები ელოდნენ. აქ, მრგვალ მაგიდასთან, მიმდინარეობდა აზრთა მოკლე წინასწარი გაცვლა დღის წესრიგის ზოგიერთ საკითხზე, ურთიერთინფორმაცია ნებისმიერ მნიშვნელოვან მოვლენაზე. ზოგჯერ ჩნდებოდა საუბრისთვის დამატებითი თემები და დისკუსია ხშირად 20-30 წუთს გრძელდებოდა.

დარბაზში შესული გენერალური მდივანი, პოლიტიუროს წევრები და ყველა სხვა გრძელ მაგიდასთან სხდებოდნენ. ყველამ იცოდა მათი ადგილი. პოლიტიუროს წევრები ყველაზე ახლოს იმყოფებოდნენ თავმჯდომარესთან, შემდეგ კანდიდატები, შემდეგ კი ცენტრალური კომიტეტის მდივნები.

სკკპ გენერალური მდივნების იური ანდროპოვისა და კონსტანტინე ჩერნენკოს შეხვედრები, როგორც წესი, ხანმოკლე იყო - საათნახევარი, ორი, მაქსიმუმ სამი საათი. შესვენებები არ ყოფილა. შეხვედრის ფარგლებში, მონაწილეებს მიართმევდნენ ჩაის, ყავას და პატარა სენდვიჩებს.

ანატოლი გრომიკო მიუთითებს რა, იმ პოლიტიუროს სხდომაზე, სადაც გორბაჩოვი პარტიის გენერალურ მდივნად აირჩიეს წერს: „ეს შეხვედრა ისტორიული გახდა, რადგან მასზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელმაც სკკპ-ის და საბჭოთა კავშირს პოლიტიკური დემოკრატია და დემოკრატიული სოციალიზმის ახალ სამყაროში გაუხსნა გზა. ხელისუფლებაში მოვიდა საბჭოთა ლიდერების ახალი თაობა გორბაჩოვის სახით“ [7. 95].

მ. გორბაჩოვის გენერალურ მდივნად არჩევის შემდეგ პოლიტიუროს შეხვედრები გახანგრძლივდა. თავიდან 4-5 საათი მიდიოდა შესვენებების გარეშე. შემდეგ კი, 1987 წლიდან დაწყებული, ისინი გაცილებით დიდხანს, გვიანობამდე გრძელდებოდა.

თავდაპირველად მ. გორბაჩოვმა პოლიტიუროში შექმნა ძალიან დემოკრატიული, ამხანაგური ატმოსფერო. იყო ყურადღებიანი, მეგობრული, კომუნიკაბელური. მოგვიანებით კი ის გახდა ჩაფიქრებული, ნელა მძიმე პაუზებით მოლაპარაკე. ჯერ საშუალებას აძლევდა პიროვნებას აზრის თავისუფლად გამოთქმის, შემდეგ კი მოულოდნელად აწყვეტინებდა და ნაკლებად უსმენდა ნათქვამის არსს. დროთა განმავლობაში მასში სულ უფრო ძლიერდებოდა პოზირება, ნარცისიზმი და ხმამაღალი ფრაზებისადმი მიდრეკილება. ის უფრო და უფრო მეტყველი ხდებოდა. თავდაპირველად მას ყურადღება და საკუთარი მზარდი პოპულარობა მოსწონდა. მართალია, შეხვედრებზე ის ყველას აძლევდა გამოსვლის საშუა-

ლება. მაგრამ რაც შორს მიდიოდა პროცესი, ეს ყველაფერი უფრო და უფრო ემსგავსებოდა ფსევდოდემოკრატიას ანუ ხორციელდებოდა პრინციპი - ისაუბრეთ, თქვით, ილაპარაკეთ, ეს ჯერ კიდევ მცირეა. ბევრი სურვილი უბრალოდ ჰაერში ეკიდა.

განსაკუთრებით საგულისხმო იყო გენერალური მდივნის დამოკიდებულება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიმართ „- ჩვენ არ გვჭირდება ჩვენი საგარეო პოლიტიკის შეცვლა, მან მოიპოვა ავტორიტეტი, ჩვენ უბრალოდ უნდა გავაძლიეროთ იგი“. ეს იყო მისი საწყისი განწყობა [8].

როგორ მისი თანამედროვენი მოწმობენ რა თქმა უნდა, გორბაჩოვს სულელს ვერ უწოდებდი, მაგრამ ის აშკარად განიცდიდა პინოქიოს კომპლექსს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, დასავლელი ლიდერები (ტეტჩერი, რეიგანი, ბუში) გორბაჩოვთან შეხვედრებისთვის გაწვრთნილი იყვნენ მაღალკვალიფიციური დასავლელი ფსიქოლოგების მიერ, რომლებმაც საბჭოთა ლიდერის სისუსტეები იცოდნენ. ამ უკანასკნელს კი ავადმყოფურად სურდა თავის გამოჩენა და ისტორიაში მსოფლიო პოლიტიკოსის სახელით დარჩენა. ამ მიზნით მან ამოიჩემა ე.წ. „საერთო ევროპული სახლის შექმნის“.

პრემიერ-მინისტრმა ტეტჩერმა გორბაჩოვს უთხრა, რომ საბჭოთა კავშირის ევროპულ საერთო სახლში გაწევრიანების საკითხი პრაქტიკული გაგებით მხოლოდ მაშინ დადგებოდა, თუ სსრკ გათავისუფლდებოდა მარქსისტული იდეოლოგიისგან და ეკონომიკისადმი სოციალისტური მიდგომებისგან.

მ. გორბაჩოვმა გადაწყვიტა, რომ მას ჰქონდა შესაძლებლობა გამხდარიყო ევროაზიური საზოგადოების ხელმძღვანელი, რომელიც გადაჭიმულია ატლანტიდან წყნარ ოკეანემდე. ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა გენმდივნის აზრით, ვის შეეძლო ევროპაში სერიოზული კონკურენცია გაეწია სსრკ-სათვის პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით? - არავის.

ამიტომაც მ. გორბაჩოვს იდეაში წარმოედგინა, რომ მოსკოვი გახდებოდაა უზარმაზარი ევრაზიული საზოგადოების ცენტრი. თავად კი მისი ხელმძღვანელი. როგორც მოვლენებმა უჩვენა ეს იდეა მხოლოდ სატყუარა იყო გორბაჩოვისთვის, რათა დასავ-

ლეთს მისი დახმარებით მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური არენიდან გაექრო ისეთი ძლიერი კონკურენტი, როგორც საბჭოთა კავშირი იყო.

მ. გორბაჩოვი დარწმუნებული იყო, რომ მას დიდი მომავალი ელოდა. ამიტომ მან დაიწყო „პერესტროიკა“ (გარდაქმნა), რომლის მთავარი მიზნები იყო: სკკპ-ს როგორც სსრკ-ს მთავარი მაკავშირებლის პოლიტიკური ასპარეზიდან ამოღება და სოციალისტური ეკონომიკის არაეფექტურობის დამტკიცება.

აი, რას წერს თავად გორბაჩოვი: „1984 წლის დეკემბერში დიდ ბრიტანეთში ვიზიტის დროს სადაც ვმეთაურობდი სსრკ უმაღლესი საბჭოს დელეგაციას ღრმად დამაფიქრა ევროპის როლმა და ადგილმა მსოფლიოში. ბრიტანეთის პარლამენტის წევრებთან საუბრისას გავიხსენე, რომ 1970-იან წლებში ევროპა გახდა დამაბულობის, შემდეგ კი ჰელსინკის პროცესის აკვანი. ეს გაგრძელდა ბელგრადში (1977-1978), შემდეგ კი მადრიდის (1980-1983) შეხვედრებზე. მაგრამ ამ ფორუმების მუშაობა საერთაშორისო ვითარების ახალი მკვეთრი გაუარესების ფონზე მიმდინარეობდა. აქედან გამომდინარე, მათი რეალური მნიშვნელობა დაყვანილ იქნა იდეების დაგროვებით და რედაქტირებული არგუმენტებით. სტოკჰოლმის კონფერენცია რომელიც გაიხსნა 1984 წლის დასაწყისში, ნდობისა და უსაფრთხოების აღმშენებლობის ზომების შესახებ, არსებითად ტკეპნიდა ერთ ადგილს. იმ დროს ჩვენთვის ჩვეული იყო ყველაფრის ბრალი მთლიანად დასავლეთზე გადაგვეტანა. მაგრამ უკვე იმ გამოსვლაში ბრიტანელი პარლამენტარებისთვის საჭიროდ მივიჩნეე მეთქვა: ატომური ეპოქა აუცილებლად გვკარანახობს, ახალ პოლიტიკურ აზროვნებას.

ევროპულ პროცესზე ენერგიული იმპულსის მიცემის სურვილმა განაპირობა საფრანგეთის არჩევა, როგორც ქვეყანა, სადაც ჩემი პირველი ოფიციალური საგარეო ვიზიტი გავაკეთე ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რანგში. ჩვენ კავშირში გვახსოვდა, რომ 70-იან წლებში განმუხტვის სტიმული დიდწილად ფრანგებთან ჩვენმა ურთიერთობამ გამოიწვია. შევეცადე ფრანგებისათვის ამეხსნა და არა მხოლოდ

მათვის, რომ საბოლოო აქტის დაცვამ, როგორ შეიძლება გააუმჯობესოს კლიმატი კონტინენტზე და გაფანტოს მასზე თავმოყრილი ღრუბლები. იმ სურათის გამოყენებით, რომელიც პირველად მოვიდა თავში ასეთი იყო – ევროპა – „ჩვენი საერთო სახლი“. „მე და შენ ვცხოვრობთ ამ ევროპაში... ჩვენ გვაქვს გარკვეული ტრადიციები. ჩვენ გვაქვს ისტორია, საიდანაც ვიღებთ გაკვეთილებს, ვსწავლობთ ამ ისტორიიდან. ყოველ შემთხვევაში, ევროპელებს სიბრძნე არ აკლიათ. კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების რა ასპექტებსაც შევეხებით, ევროპელების წვლილი უზარმაზარია. ჩვენ ერთ სახლში ვცხოვრობთ, თუმცა ამ სახლში ზოგი ერთი სადარბაზოდან შემოდის, ზოგი მეორე სადარბაზოდან. ჩვენ გვჭირდება თანამშრომლობა და კომუნიკაცია ამ სახლში“ [9].

საფრანგეთიდან დაბრუნებულმა გორბაჩოვმა გადაწყვიტა „საცდელი ბურთის“ სროლა. 1985 წლის 13 ოქტომბერს „პრავდა“-ს ფურცლებზე გამოქვეყნდა სარედაქციო წერილი „ევროპა ჩვენი საერთო სახლია“. მაგრამ ამას სსრკ-ში დიდი რეაქცია არ მოჰყოლია, რადგან ქვეყანაში უმრავლესობას არ ესმოდა, რა ცვლილებები იდგა მის უკან.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ახალი მიდგომა მოკავშირეების მიმართ უკვე გამოიკვეთა მ. გორბაჩოვის პირველ შეხვედრაზე ვარშავის პაქტის ქვეყნების უმაღლეს ლიდერებთან.

კ. ჩერნენკოს დაკრძალვის შემდეგ, თავის გამოსვლაში, ახლადარჩეულმა გენმდივანმა განაცხადა: „...ჩვენ ვართ თანაბარი ურთიერთობების, თითოეული ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პატივისცემის, ყველა სფეროში ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის მომხრე. ამ პრინციპების აღიარება ერთდროულად ნიშნავს თითოეული მხარის სრულ პასუხისმგებლობას თავის ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე“ [9. 311]. თავად გორბაჩოვი თვლიდა, რომ ამით მან ამ შეხვედრაზე გამოაცხადა „ბრეჟნევის დოქტრინის“ უარყოფა, მაგრამ როგორც თავად მიუთითებს ეს ყველას არ ესმოდა [9. 311].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ საბჭოთა პოზიციის გასარკვევად გორბაჩოვმა პოლიტიკურს

წევრი სკკპ ცკ-ს მდივანი ალექსანდრე იაკოვლევი სპეციალურად გაგზავნა სოციალისტური ბანაკის ყველა ლიდერის მოსანახულებლად. რათა მათვის აეხსნა „რას ვგეგმავდით და როგორ, მათ შორის, მათთან მიმართებაში. ამიერიდან ისინი უნდა დაეყრდნობოდნენ საკუთარ თავს და აემყნებინათ ცხოვრება ისე, როგორც მათ მიზანშეწონილად მიაჩნდათ“ [10. 45].

სოციალისტური საზოგადოების ქვეყნებს შორის ურთიერთობების რესტრუქტურისაციის იდეების ერთობლიობა ჩამოყალიბდა გორბაჩოვის სპეციალურ ნოტაში „თანამშრომლობის ზოგიერთ აქტუალურ საკითხზე“, რომელიც განიხილა და დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ 1986 წლის 3 ივლისს. მასში კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ დროა „მომქმე ქვეყნებმა“ შეწყვიტონ განხილვა მოსკოვზე, როგორც ერთგვარი კონსერვატიული ძალაზე, რომელიც ერევა დაგვიანებულ გარდაქმნებში: „სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკაში გარკვეული კორექტირების შეტანით, ზოგიერთი ჩვენი მოკავშირეები ამას სიფრთხილით აკეთებდა, ემინოდან კრემლიდან რაიმე მბრძანებლური ძახილის მოსმენის. სოციალიზმის განვითარების აქტუალური პრობლემების ერთობლივად განხილვის ნაცვლად, ჩვენ ხშირად ვიღებდით საკუთარ თავზე მარქსისტულ-ლენინური სწავლების ერთადერთი „მცველის“ და დამცველის ფუნქციას და ყველაფერს საკუთარი პოზიციებიდან ვმსჯელობდით, სიახლის საკმარისად გათვალისწინების გარეშე. მომქმე ქვეყნების პრობლემები და სპეციფიკა, სერიოზულად და პატივისცემით არ განიხილებოდა და არ ვითვალისწინებდით მათი ძიების პროცესებს“ [11. 9].

„ჩანაწერების“ განხილვისას გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ „ჩვენ ყველა მივხვდით, რომ სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობა სხვა ეტაპზეა. როგორც იყო, იმით უფრო შორს ვერ წავალთ. მიუღებელია ის მეთოდები, რომლებიც გამოიყენეს ჩეხოსლოვაკიაში (1968 წელს) და უნგრეთში (1956 წელს)... რაც მოხდა, იწვევს უკმაყოფილებას და ასტიმულირებს ცენტრიდანულ ძალებს... ძველ ჩარჩოებში მუშაობით – არაფერი გამოვა“ [12. 56-57]

მოკავშირეების მიმართ ახალი პოლიტიკა გულისხმობდა ახალი ეკონომიკური ურთიერთობების შექმნას. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს (ეუს) ფარგლებში სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები დიდი ხანია საჭიროებდა რადიკალურ რესტრუქტურინგს. 1985 წლის 26 ნოემბერს პოლიტიკურ სხდომაზე, რომელიც განიხილავდა სოციალისტურ ქვეყნებს შორის სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობის საკითხს, გორბაჩოვმა თქვა: „რაც შეეხება ეუს გარდაქმნას, ის მწიფდება. აუცილებელია მნიშვნელოვანი რესტრუქტურინგის ჩატარება. ზოგს არ სურს მისი ზუსტი დანახვა. მაგრამ ჩვენ ამას ვერ დავეთანხმებით“ [13. 18].

სოციალისტურ ქვეყნებს შორის განხორციელებული სავაჭრო გაცვლის სტრუქტურა გამოიხატებოდა ფორმულით: „ნედლეული სსრკ-დან, ხოლო მზა პროდუქტები ეუს წევრი ქვეყნებიდან“. კერძოდ, სსრკ-ის ექსპორტში ამ ქვეყნებში უპირატესი ადგილი ეკავა საწვავს, ნედლეულს და ენერგეტიკულ პროდუქტებს (50% – რუმინეთში, 80%-მდე გდრ-სა და ჩეხოსლოვაკიაში), ხოლო იმპორტში – მზა ნაწარმი (მანქანათმშენებლობის პროდუქტები, საკვები და არასასურსათო სამომხმარებლო საქონელი (65%-დან პოლონეთიდან, 90%-მდე ბულგარეთიდან) [14. 166].

ეუს წევრი ქვეყნების იმპორტის საჭიროებების 3/4-ზე მეტი ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე, 90%-ზე მეტი გაზისა და რკინის საბადოზე, 80%-ზე ნახშირზე, 75%-ზე შავი ლითონებზე სსრკ-დან მიწოდებით კმაყოფილდებოდა. ამავდროულად, სსრკ იყო მანქანებისა და მათი აღჭურვილობების უდიდესი ბაზარი ეუს დანარჩენი წევრი ქვეყნებისთვის. ამრიგად, სსრკ-ს წილი ამ პროდუქციის ექსპორტში ბულგარეთიდან იყო 60%, უნგრეთიდან – 45%, გდრ-დან, პოლონეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან – 40% [13. 166].

როგორც ირკვევა ასეთი ვაჭრობით სსრკ მხოლოდ აგებდა, რადგან ნედლეული ყოველთვის იაფია, ვიდრე მზა პროდუქცია. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი იღებდა იმაზე უარესი ხარისხისა და მრავალფეროვნების საქონელს, ვიდრე შეეძლოთ მიეღო ამ

სავალუტო ნედლეულის (ნავთობი, გაზი) სანაცვლოდ დასავლეთიდან. სსრკ-სა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებს შორის ვაჭრობის ეფექტურობა 1970-1980 წლებში 2,5-ჯერ მეტი იყო, ვიდრე ეუს ქვეყნებთან [14. 24].

დაიწყო თუ არა ღიად სსრკ-მ ეუს-ს ფარგლებში თანამშრომლობის შრომის ეფექტიანობის საკითხების განხილვა, მაშინვე გამოვლინდა ფაქტი საბჭოთა კავშირის მიერ ევროპის პარტნიორობისთვის მრავალწლიანი ფარული სუბსიდიები. გათვლებით დადგინდა, რომ 1970-1984 წწ. აღმოსავლეთ ევროპის ეუს-ს წევრი ქვეყნების მიერ სსრკ-თან ვაჭრობის შედეგად მიღებული მოგება შეადგენდა 196 მილიარდ დოლარს, ანუ საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე – 1760 დოლარს (გდრ-ში 3493, ბულგარეთში – 3486, ჩეხოსლოვაკიაში – 2828, უნგრეთში – 1974, პოლონეთში – 1021, რუმინეთში – 169) [14. 24].

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში 1989 წლის რევოლუციური მოვლენების დაწყებამდე ვერ მოხერხდა ეუს-ს საქმიანობის სერიოზული რესტრუქტურინგისა და ორმხრივად მომგებიანი პირობებით. იმავდროულად, ეკონომიკური მდგომარეობა როგორც თავად სსრკ-ში, ისე ვარშავის პაქტის ქვეყნებში ამ დროისთვის უკიდურესად გაუარესდა. 1988 წლის 10 მარტს, პოლიტიკურ სხდომაზე განიხილეს სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის საკითხი. გორბაჩოვმა აღნიშნა: „ჩვენ ვიღებთ უამრავ ინფორმაციას სოციალისტურ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შესახებ. მდგომარეობა უარესდება და ეს საფრთხეს უქმნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობას. პასუხი კი, როგორც ჩანს, მარტივი არ არის... ეკონომიკურ პოლიტიკაში ბევრი შეცდომაა დაშვებული. მთელი რიგი ქვეყნები ვალებში ჩავარდნენ და ამჟამად კრედიტების ხარჯზე ნასესხები ფულით ცხოვრობენ. ასევე ჩვენი ნავთობის ხარჯზე“ [15. 543-544].

„გორბაჩოვის დოქტრინა“ რეალურად გადაიქცა მოკავშირეებთან მიმართებაში პოლიტიკური თანხმობად. გორბაჩოვის თანაშემწე სოციალისტური ქვეყნების საკითხებში გ. შახნაზაროვი აღნიშნავს: „გორბაჩოვმა

წესად დააწესა მოკავშირეებზე არანაირი ზეწოლა. მან მიაჩნია, რომ ნებისმიერი ცვლილება მთლიანად უნდა იყოს პარტიებისა და ხალხების სუვერენული არჩევანის საგანი“ [16. 100].

მ. გორბაჩოვი დაჟინებით იცავდა „არჩევნის თავისუფლების“ პრინციპს, როგორც უნივერსალურ სტრატეგიულ მიდგომას საერთაშორისო საქმეებში. ეს პოზიცია გამყარდა არა მარტო მნიშვნელოვანი განცხადებებით, არამედ ასევე კონკრეტული პრაქტიკული ქმედებებით. 1989 წლის 6 ივლისს, კომენტარებისას პოლონეთსა და უნგრეთში განხორციელებულ ცვლილებებზე (როდესაც ადგილობრივი კომუნისტური პარტიები აღარ იყვნენ დომინანტური პოლიტიკური ძალები), მ. გორბაჩოვი ამბობდა: „ყოველ ხალხს აქვს არჩევანის უფლება ეს არის ცენტრალური პუნქტი. თუ ამას არ ვაღიარებთ, საერთაშორისო ურთიერთობებისაგან მომავალში კარგს არაფერს არ უნდა მოველოდეთ. მაშასადამე, რას გადაწყვეტენ პოლონელი და უნგრელი ხალხი... მათი საქმეა“ [17].

უდავოა, ჩაურევლობის საბჭოთა პოლიტიკა მხოლოდ ახალისებდა ოპოზიციურ ძალებს, რომლებიც უკვე ღიად იბრძოდნენ თავიანთ ქვეყნებში ძალაუფლებისთვის, მაგრამ ეს პრობლემა ნაკლებად აწუხებდა გორბაჩოვის წრეს.

ჩაურევლობისა და „არჩევნის თავისუფლების“ საბჭოთა პოლიტიკისგან განსხვავებით, ამერიკის პოლიტიკა ზუსტად საპირისპირო იყო. მის არსი მდგომარეობდა შემდეგში მდგომარეობდა-გაემწვავებინა საბჭოთა კავშირსა და მის ვარშავის პაქტის მოკავშირეებს შორის დაპირისპირება. თანდათანობით გაემევებინა მმართველი პარტიები ხელისუფლებებიდან და ხელი შეეწყო ძალაუფლებაში პროდასავლური ოპოზიციური ძალების მოსავლისათვის.

1988 წლის გაზაფხულზე ჰ. კისინჯერისა და ჯ. კირკპატრიკის მონაწილეობით ჩატარდა „ამერიკული ინტელექტუალური ელიტის“ სემინარი, სადაც განიხილეს „სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკური აფეთქებების გეგმები. უპირველეს ყოვლისა, საუბარი იყო ვაშინგტონის მხრიდან ოპოზიციური ბანაკების სტიმულირებაზე.

უამრავი მტკიცებულება არსებობს, რომ 1989 წლის მოვლენების დროს ამერიკელმა ელჩებმა ვარშავაში, ბუდაპეშტში და პრაღაში ძალიან აქტიური როლი ითამაშეს. დიდი მატერიალური და პროპაგანდისტული მხარდაჭერა გაეწია „სოლიდარობა“-სთან ერთად, სხვა საპროტესტო მოძრაობებს და დისიდენტურ წრეებს [18. 25].

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე ზეწოლის ამერიკული პოლიტიკის კატალიზატორი იყო მ. გორბაჩოვის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე 1988 წლის დეკემბერში, სადაც მან გამოაცხადა აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა ჯარების ცალმხრივი შემცირება 500 ათასი ადამიანით, ასევე განზრახვა 1991 წლისთვის ექვსი სატანკო დივიზია გაეყვანა გდრ-დან, ჩეხოსლოვაკიიდან და უნგრეთიდან და დაეშალა ისინი. საბჭოთა არმია, რომლის ძალაც 4 მილიონ ადამიანს აღემატებოდა, ნახევარი მილიონით, ანუ 15%-ით შემცირდა. ერთი შეხედვით, ასეთი შემცირება შეიძლება უმნიშვნელო ჩანდეს. თუმცა, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ შემცირებული ჯარის ნახევარი და მთელი სამხედრო ტექნიკა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში იყო განლაგებული. ამის შედეგად, აქ ვარშავის პაქტის ქვეყნების სამხედრო დაჯგუფება, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ნატოს ჯარებს, თითქმის ნახევართ შემცირდა და დაკარგა შესაძლო საომარი მოქმედებებში შეტევის განხორციელების შესაძლებლობა [19. 298-299].

ამრიგად, 1989 წლის განმავლობაში სოციალისტური რეჟიმები აღმოიფხვრა ყველა ქვეყანაში, რომლებიც იყვნენ სსრკ-ს სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეები. ხელისუფლებაში მოვიდნენ „ანტისოციალისტური“ პროდასავლური ძალები. ამ პირობებში ეუ-ს და ვარშავის პაქტის არსებობა შეუძლებელი აღმოჩნდა. მ. გორბაჩოვის არარეალისტურმა, გაუთვლელმა, მიმდობმა პოლიტიკამ გამოიწვია აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის დამარცხება. ეს იყო შედეგი გორბაჩოვის უტოპიური იდეისთვის „საერთოევროპული სახლის“ შექმნის შესახებ.

შესაძლოა, სწორედ ამიტომ იყო გორბაჩოვი განაწყენებული, როდესაც 1991 წელს, მის მოწოდებას ლონდონში G7 ქვეყნებისად-



მი გამართულ შეხვედრაზე ერთგვარი „მარშალის გეგმით“ მხარი დაეჭირათ მისი რეფორმებისათვის შეხედნენ თავაზიანი, მაგრამ კატეგორიული უარით. ცხადია, კოლექტიური დასავლეთის მეთაური ვაშინგტონი კარგად გრძნობდა, რომ გორბაჩოვის ყველა კოზირი გაქრა და ამიტომაც არ იყო დაინტერესებული მასში ახალი პოლიტიკური და ფინანსური კაპიტალის ინვესტიციით. მოგვიანებით გორბაჩოვმა მწარედ უთხრა თავის მრჩეველებს: „როდესაც მათ სჭირდებოდათ 100 მილიარდი დოლარი სპარსეთის ყურის

ომისთვის, პრობლემები არ არსებობდა. ახლა, როდესაც საქმე ომს არ ეხება, არამედ ახალი სტრატეგიული პარტნიორის მხარდაჭერას, ეს პრობლემატურია“.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი მასალა ნათლად მეტყველებს, თუ როგორი დაუნდობელია პოლიტიკა, რომელიც არ და ვერ ითვალისწინებს ზოგიერთ ბრიყვ პოლიტიკოსთა გაუთვლელ და უტოპიურ ქმედებებს და იდეებს. რაც ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, სიცოცხლის ფასად უჯდებათ მილიონებით ადამიანს.

*EDISHER GVENETADZE - GTU, Professor*

## INTERNATIONAL RELATIONS, "PERESTROIKA" AND THE IDEA OF GORBACHEV'S PAN-EUROPEAN HOUSE

### Summary

In the fall of 1984, a proposal initiated by the British Prime Minister Margaret Thatcher was accepted in Moscow. In order to strengthen British-Soviet interstate relations, the British considered it expedient for the delegation of the Supreme Council of the USSR to arrive in England, but only under the leadership of Mikhail Gorbachev.

M. Gorbachev's first meeting with M. He met Thatcher in the special residence of the Prime Minister, where the hosts received only the first persons of the state.

Gorbachev's speech in the British Parliament on December 18, 1984, the essence of which was "Europe is our common home", is particularly noteworthy. There is no doubt that M. Thatcher gave Gorbachev the idea of a common European home. Gorbachev, in London, surprised Thatcher when he unfolded before her a secret map of the General Staff of the USSR Ministry of Defense, showing the direction of a nuclear strike on England, declaring that "this must be stopped".

But the shrewd British Prime Minister realized that Gorbachev could go to great lengths to impress his Western partners, confidently saying, "We can deal with him." He entrusted this conclusion to US President Ronald Reagan.

M. Gorbachev thought he had the opportunity to become the head of a Eurasian community stretching from the Atlantic to the Pacific. M. Gorbachev envisioned that Moscow would become the center of a huge Eurasian society. He himself is its head. As the events showed, this idea was only a bait for Gorbachev so that the West could use his help to eliminate such a strong competitor as the Soviet Union from the world political and economic arena.

**Key words:** *Soviet Union, Common European House, Gorbachev, Thatcher, Reagan, London, Moscow, Europe, West.*

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Дроздов Ю.И., Фаргышев В.И. Юрий Андропов и Владимир Путин. На пути к возрождению. М.: ОЛМА-пресс, 2001.
2. «Совершенно секретно», 1995, № 2.
3. Лукьянов А.И. Переворот мнимый и настоящий.
4. Горбачёв М.С. Жизнь и реформы. Кн. 1.

5. Яковлев А. Омуте памяти. М., 2001.
6. [https://www.stoletie.ru/territoriya\\_istorii/tajny\\_gorbachevskoj\\_perestrojki\\_219.htm](https://www.stoletie.ru/territoriya_istorii/tajny_gorbachevskoj_perestrojki_219.htm)].
7. Громыко Анат. Андрей Громыко. В лабиринтах Кремля. Воспоминания и размышления сына. М., 1997. С. 95.
8. Воротников В.И. А было это так...: Из дневника члена Политбюро ЦК КПСС. -М.: Совет ветеранов книгоиздания SIMAR, 1999[<https://www.rulit.me/books/a-bylo-eto-tak-iz-dnevnik-a-chlena-politbyuro-ck-kpss-read-698778-36.html>]
9. Горбачёв М.С. Жизнь и реформы. Кн. 2.
10. «Нам было не до Европы». Александр Яковлев о хаосе во внешней политике СССР середины 80–х // Коммерсант — Власть. 2005. № 8.
11. Информационный бюллетень ЦК КПСС (по международным вопросам). 1987. № 7.
12. В Политбюро ЦК КПСС... По записям Анатолия Черняева, Вадима Медведева, Георгия Шахназарова (1985–1991). Изд. 2-е. М., 2008.
13. Центрально-Восточная Европа во второй половине XX века. Т. 2. М., 2002.
14. Центрально-Восточная Европа во второй половине XX века. Т. 2. Ч. 1. М., 2002.
15. Отвечая на вызов времени. Внешняя политика перестройки: документальные свидетельства.
16. Шахназаров Г. Х. Цена свободы. Реформация Горбачева глазами его помощника. М., 1993. С. 100 *Шахназаров Г. Х. Цена свободы. Реформация Горбачева глазами его помощника. М., 1993.*
17. Выступление М. С. Горбачева и Ф. Миттерана на заключительной пресс-конференции в Париже 5 июля 1989 года // Правда. 1989. 7 июля.
18. Центрально-Восточная Европа во второй половине XX века. Т. 2. Ч. 3. М., 2002.
19. Островский А. В. Глупость или измена? Расследование гибели СССР. М., 2011.

## **დავით აღმაშენებლის უცნობი დამსახურების შესახებ ქართველი ერის წინაშე, რომელიც არანაკლებია დიდგორის გამარჯვებაზე**

ნაშრომში ახლებურად არის დანახული მოვლენები ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარებისა და „ვეფხისტყაოსნის“ წარმოშობასთან დაკავშირებით.

დამკვიდრებული აზრის მიხედვით, ქართული საერო მწერლობა წარმოიშვა ეროვნულ ნიადაგზე. გამოკვლევების ავტორის აზრით კი ის ნაყოფია სპარსულ-მუსლიმურ და ქართულ-ქრისტიანულ კულტურათა, ანუ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული ცივილიზაციათა დიალოგისა, რომელსაც გვირგვინად დაედგა „ვეფხისტყაოსანი“ და რომელიც მოხდა დავით აღმაშენებლის წყალობით.

***საკვანძო სიტყვები:** ისტორია, კულტურა, საერო მწერლობა, ვეფხისტყაოსანი, დავით აღმაშენებელი.*

### **ეს მოხდა 632 წელს**

ვიდრე უშუალოდ საკითხს შევხებოდეთ, ზოგადად გადავავლოთ თვალი XII საუკუნის მახლობელ აღმოსავლეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას.

ორმოცი წლის იყო მუჰამადი (570-632) ხილვები რომ დაეწყო და - სამოცდაორის - რეალობად რომ აქცია ისინი. სულ რაღაც ოცდაორ წელიწადში მან შეძლო არაბეთის ნახევარკუნძულზე მიმოფანტული მრავალღმერთიანი არაბული ტომები ერთი ღმერთის

გარშემო შემოეკრიბა და ისლამის დროშის ქვეშ დაერაზმა.

დიახ, ის-ის იყო, მუჰამადმა დარაზმა არაბები ისლამის დროშის ქვეშ, არაბეთის ნახევარკუნძულიდან გასასვლელად და დაპყრობითი ომების საწარმოებლად, მაგრამ სწორედ მაშინ მოუწია მას გასვლა ამ სოფლიდან. ეს მოხდა 632 წელს. 632 წელი გახდა მახლობელი აღმოსავლეთის, მათ შორის ირანელი ხალხებისთვის ახალი ერის დასწყისი.

### **მხოლოდ ერთი შეხედვით**

იმავე წელსვე დაარსდა ხალიფატი. ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ომაელები. დაიწყო მოჰამადის იდეის განხორციელება და არაბები ელვისებურად დაეპატრონენ მთელ მახლობელ აღმოსავლეთს. მათ ერთდროულად შეუტყეს ერთმანეთთან ბრძოლებში დასუსტებულ ირანსა და ბიზანტიას და, უკვე მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისისთვის, გამარჯვება მოიპოვეს ირანზე, ხოლო ბიზანტიას ჩამოაცილეს აღმოსავლეთის პროვინციები - სირია და ეგვიპტე. ამავე დროს ამიერკავკასიაში გააგზავნეს მარბიელი ლაშქრები.

მოხდა წარმოუდგენელი რამ, მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა იმპერიამ, ოთხსაუკუნოვანმა სასანურმა ირანმა, უცებ და-

კარგა ცამეტსაუკუნოვანი ზოროასტრული რელიგია, მშობლიური ანბანი და სალიტერატურო ენა, სანაცვლოდ მიიღო ისლამი, არაბული ანბანი და სალიტერატურო ენად - არაბული (ამ დროს ქართველებმა, იმავე დამპყრობთა ხელში, ყველაფერი შეინარჩუნეს).

ჩაბარდა წარსულს ირანის სახელმწიფოებრიობა, რომელიც, თუ არ მივაქცევთ ყურადღებას სამანიდების მიერ დამოუკიდებლობის ნაწილობრივ აღდგენას (X ს.), ირანს დაკარგული ჰქონდა.

არაბები, შედარებით ირანელებთან, პოლიტიკურად და კულტურად განვითარების დაბალ საფეხურზე იყვნენ, ამიტომ ისინი, ამ მიმართულებით, წარმატებით იყენებდნენ

ირანულ რესურსებს. ირანელებიც ყოველმხრივ აქტიურად ჩაებნენ არაბთა იმპერიის სამსახურში, პოლიტიკური კუთხით იქნებოდა ეს თუ კულტურული. განსაკუთრებით კი კულტურის სფეროში გამოიჩინეს მათ თავი. არაბებმა დაიწყეს მიღება ცივილური სამყაროს მონაპოვრებისა, როგორც აღმოსავლეთიდან, ისე დასავლეთიდან. ასე ჩაისახა და დაიწყო განვითარება კულტურამ, რომელიც არაბულ-მუსლიმური კულტურის სახელით დარჩა ისტორიაში.

ამგვარად, ირანელები, ასე ვთქვათ, გაარაბდნენ, მაგრამ თურმე ერთი შეხედვით. მათ გარეგნულად მოუსხამთ მხოლოდ არაბული მანტია. აღმოჩნდა, რომ მათში არ ჩამქრალა ეროვნული სულისკვთება, რომელსაც გასაქანი მიეცა 750 წლიდან, ირანული ორიენტაციის მქონე აბასელთა დინასტიის მოსვლის შემდეგ.

სახალიფოს პირველი საუკუნე, ანუ ომაელთა ხანა, მძიმე იყო ირანელთათვის, რადგან ომაელები ზემოდან უყურებდნენ დაპყრობილ ხალხებს. აბასიდების დროს კი ისლამი გახდა საერთაშორისო რელიგია და წაიშალა ეთნიკური ზღვარი არაბებსა და არა არაბებს შორის. გათანაბრების ეს პროცესი მძიმე ტვირთად დააწვა გლეხობას, იმ მიზეზით, რომ „თუ ომაელების დროს მათ მარტო არაბები „ჭამდნენ“, ახლა ირანელი და ადგილობრივი ფეოდალებიც მიემატნენ და გლეხი აუტანელ მდგომარეობაში აღმოჩნდა“ [1. 106].

ყოველივე ამას მოჰყვა გლეხთა აჯანყებანი, რომელთა დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ სახალიფოს პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურებული ირანელი და შუა აზიელი ფეოდალები.

აბასელთა ხალიფებიც თანდათან ნომინალურ მმართველებად იქცნენ და იმპერიაც IX საუკუნიდან საამიროებად იწყებს დაშლას. დაიწყო ანტიარაბული სახალხო ინტე-

ლექტუალური მოძრაობა. ირანელთათვის მამოძრავებელი ძალა აღმოჩნდა თავიანთი დიდი წარსული ლოზუნგით: „ჩვენ ჯემშიდის ჩამომავლები ვართ, არაბს კი თავისი პაპის სახელიც არ ახსოვს“ [1. 107].

ასე დადგა დღის წესრიგში ირანის სახელმწიფოებრიობის აღდგენის სკიოთხი.

მაღე ირანულმა ეროვნულმა დინასტიებმა წამოჰყვეს თავი თავკერიდების, საფარიდებისა და სამანიდების სახით და საბოლოოდ, როგორც ჯეიმს დარმსტეტერი წერს: „სამანიდებთან ერთად ტახტზე სპარსული ენაც ავიდა“ [2. 9].

ასი წელი გასტანეს სამანიდებმა. ამ დროს ახალ სპარსულ ენაზე შეიქმნა დიდი ლიტერატურა, რომელზედაც ფართოდ გაიშალა და დგას დღემდე დიდი სპარსული მწერლობა.

საუკუნოვანი არსებობის დასასრულს, სამანიდების დინასტია, მათსავე კარზე მონობიდან სულთნობამდე აღზევებულმა თურქმა, მაჰმუდ ღაზნელმა დაამხო. თურქები ანტიირანული განწყობისანი იყვნენ. მაჰმუდ ღაზნელმა სცადა სპარსულის ნაცვლად ისევ არაბული ენის დაბრუნება ირანში, მაგრამ სპარსულ ენაზე აწყობილი სახელმწიფო სტრუქტურების გადაყვანა სხვა ენაზე არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა. ამავე დროს, ღაზნელები სამანიდების კარზე იყვნენ აღზრდილები და მათ სმენას ისედაც საამოდ ელამუნებოდა ტკბილხმოვანი სპარსული ყასიდები, რამაც, ერთგვარად, ხელი შეუწყო სპარსულის დარჩენას თავის ფუნქციებში.

მაჰმუდ ღაზნელმა ინდოეთი დალაშქრა, სადაც შეიტანა ისლამი და სპარსული ენა, რითაც სპარსულ ენას მეტი ასპარეზი მიეცა. თუმცა ნამდვილი ასპარეზი მას, როგორც ვნახავთ, თურქ-სელჩუკთა ბატონობის ხანაში მიეცემა.

### ორქიანი გვირგვინი

ნახევარ საუკუნემდე გაძლეს ღაზნელებმა, რომლებიც მერე თურქ-სელჩუკებმა შეცვალეს. სელჩუკთა დინასტიის დამარსებელმა თოდრულ-ბეგმა 1055 წელს აიღო სახალიფოს დედაქალაქი ბაღდადი. მას თავზე ორქიანი გვირგვინი, ნიშნად აღმოსავლე-

თისა და დასავლეთის მფლობელისა, თვით ხალიფამ დაადგა.

თურქულმა ენამ ვერ გაუწია კონკურენცია სპარსულს და თურქ-სელჩუკებმაც დაპყრობილ ირანში, სპარსული ენა დატოვეს თავის ფუნქციებში - სახელმწიფო და სალი-

ტერატურო ენად. ახალი დამპყრობლები ირანის დაპყრობით არ შემოფარგლულან. მალე ისინი გაბატონდნენ მთელ მახლობელ აღმოსავლეთში და სპარსულ ენას, ძალაუნებურად, მიეცა არნახული ასპარეზი, იგი გახდა სახელმწიფო და სალიტერატურო თურქ-სელჩუკთა იმპერიისა.

ამგვარად, მოხდა ისე, რომ პოლიტიკურად დაპყრობილმა ირანმა კულტურულად დაიპყრო არა მარტო დამპყრობი თურქ-სელჩუკები, არამედ მთელ მის იმპერიაში შემავალი ხალხები. ასე რომ, მახლობელ აღმოსავლეთში არაბებს პოლიტიკურად ჩაენაცვლნენ თურქ-სელჩუკები, ხოლო არაბულ სალიტერატურო ენას - სპარსული. შესაბამისად, არაბულ-მუსლიმურ კულტურას ჩაენაცვლა ახალ თვისობრივ რანგში გადასული სპარსულ-მუსლიმური კულტურა.

ბუნებრივია, თურქ-სელჩუკთა იმპერიაში შემავალ ყველა ხალხს ჰქონდა თავისი კულტურული წარსული. ასევე ბუნებრივია, რომ მათგან გამოსულ ყველა შენაკადს შეჰქონდა რაღაც თავისი სპარსულ-მუსლიმური კულტურის საერთო ოკეანეში. სწორედ ამიტომ „გარეგნულად ირანულ ფორმაში გამოხვეულ კულტურაში (შუა აზიიდან ეგვიპტემდე) გამჭვირვალედ მოჩანს თურქ-სელჩუკთა მიერ დაპყრობილი ხალხების თავისთავადი, ადგილობრივ ნიადაგზე განვითარებული კულტურა, ხელოვნება, მწერლობა“ [1. 137].

### საქართველოშიც ამ დროს

საქართველოშიც ამ დროს მოხდა ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა. დავით მეოთხემ, რომელსაც ხალხმა აღმაშენებელი უწოდა, დავით III კურაპალატიდან (IX ს.) დაწყებული საქართველოს გამთლიანების პროცესი ბოლომდე მიიყვანა და შექმნა ისეთი დამოუკიდებელი ძლიერი სახელმწიფო, რომელიც თავდაცვითი ომებიდან თავდასხმით ომებზე გადაიყვანა.

რა თქმა უნდა, თურქ-სელჩუკები გულგრილად არ დაუწყებდნენ ცქერას საქართველოს და 1080 წლიდან ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იწყება მათი თარეშიც. „თურქების შემოსევა არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიელებისა თუ არაბების

აი, რატომ არის სპარსულ-მუსლიმური ლიტერატურა მსოფლიოში სახელგანთქმული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი გაგრძელდა ირანში მონღოლთა და თემურელთა ბატონობის ხანაშიც, რამაც განაპირობა ის, რომ დღეს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში მიმოფანტულა სპარსულენოვან მხატვრული სიტყვის ისეთ დიდოსტატთა საფლავები, როგორც არის ნიზამი განჯელისა (XII ს.) - აზერბაიჯანში, ჯელალ ედდინ რუმისა (XIII ს.) - თურქეთში, ხოსრო დეჰლევისა - ინდოეთში (XIII-XIX სს.), აბდორ-რაჰმან ჯამისა (XV ს.) - ავღანეთში და სხვ. „XI საუკუნეში არაბული ელემენტის უპირატესობა შეიცვალა სპარსული ელემენტის უპირატესობით“. ამიერიდან „სპარსელი“ მაჰმადიანსაც ნიშნავს, „სპარსული“ მაჰმადიანურს, „სპარსეთი კი სამაჰმადიანოს“ [1. 12].

ამ დროს „სპარსულ ამბავში“ („ესე ამბავი სპარსული“...) მოსაწონი ამბავი იგულისხმება. მაგრამ, მონღოლთა ხანიდან, ტერმინს სპარსი, ჩაენაცვლა თათარი, რამაც შებღალა ის იმიჯი, რომელიც გააჩნდა მას ქართველთა წარმოდგენაში სპარსელთა, როგორც კულტურისა ხალხთა მიმართ.

ეს მცირე ექსკურსი იმიტომ გავაკეთეთ, რომ დაახლოებით წარმოგვეჩინა თუ რა სახის პოლიტიკურ გარემოსა და კულტურასთან ჰქონდა შეხება საქართველოს XII საუკუნეში.

ბატონობისგან. თურქები მომთაბარე-მეჯოგენი იყვნენ. ისინი გადმოსახლებით მოდიოდნენ და დაპყრობილ ქვეყნებში თავისი მეურნეობისათვის საჭირო მიწებს იჭერდნენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ როგორ შეუთავსებელი, როგორ ერთმანეთის გამომრიცხველი იყო ორი მეურნეობა - თურქულ-მომთაბარული და ქართულ-ფეოდალური“ [3. 6].

ოთხი ათეული წელი გასტანა საქართველოში თურქთა თარეშმა, რასაც ბოლო მოუღო დავითმა და რომელიც 1122 წელს დავითის მიერ თბილისის არაბთა ოთხსაუკუნოვანი ბატონობისგან განთავისუფლებით დაგვირგვინდა.

## იმ მრავალ ქმედებათაგან

იმ მრავალ გარდამტეხ ქმედებათაგან, რომელიც განახორციელა დავითმა, ამ შემთხვევაში გამოვყოფდით ერთს - ისლამურ სამყაროსთან მის დამოკიდებულებას, რაც გამოიხატა ტოლერანტიზმისა და შირვანთან მჭიდრო პოლიტიკურ-ნათესაური ურთიერთობის დამყარებაში, რომელმაც შემდეგ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული ლიტერატურული პროცესების განვითარებაში.

ტოლერანტიზმს მოჰყვა ის, რომ მუსლიმებს შეექმნათ იმაზე უკეთესი პირობები, ვიდრე მათ ჰქონდათ მუსლიმურ ქვეყნებში, რაზეც ნათლად მეტყველებს არაბ ისტორიკოსთა ცნობები. აი, ზოგი მათგანი:

ალ-ფარიჯი: დავით IV-ემ „მიაგო მუსლიმებს უდიდესი პატივი, მეცნიერებს, ღვთისმეტყველებსა და სუფიებს ისეთი ღირსება და პატივი ჰქონდათ, რაც არ ჰქონდათ [თვით] მუსლიმებთანაც კი“;

ალ-ჯაუზი: დავით IV და მისი ვაჟი დემეტრე I საჯაროდ გამოხატავდნენ თავიანთ

პატივისცემას ისლამისადმი. ისინი პარაკკობით დადიოდნენ მეჩეთში, ისმენდნენ ხუტბასა და ყურანის კითხვას, ასაჩუქრებდნენ ხატიბსა და მუაზზინებს“;

ალ-ფარაჯი: „მე ვნახე ალიმები, მქადაგებლები, დიდებულები, სუფიები, მლოცველები, რომელთაც მეფე (დე-მეტრე I) პატივით იღებდა და ასაჩუქრებდა. ის კეთილად ექცეოდა [მათ], რისი მსგავსიც არ არსებობს. მე ვნახე [იქ] ისეთი პატივისცემა მუსლიმებისა, რაც ბაღდადშიც კი არ ექნებოდათ“ [4. 242].

შირვანთან მჭიდრო პოლიტიკურ და დინასტიურ ქორწინებაზე დამყარებულ ნათესაურ ურთიერთობას (დავითს ქალიშვილი თამარი დაქორწინებული იყო შირვან-შაჰზე) კი მოჰყვა ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის კულტურულ ურთიერთობათა დამყარება, კერძოდ, შირვანის გზით, თარგმანის საშუალებით, დიდი სპარსული ლიტერატურის შემოღინება ქართულ მწერლობაში.

## მნიშვნელოვანი ცვლილებები

არაბთა ხალიფატის დაშლის პროცესი დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებსაც მოეძო. შირვანშიც ისე თარეშობდნენ თურქ-სელჩუკები, როგორც საქართველოში, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დავითმა მოკავშირედ გაიხადა შირვანშაჰები. თურქ-სელჩუკთა მიერ დღევანდელი აზერბაიჯანის დაპყრობას, პოლიტიკურ-კულტურულთან ერთად, მოჰყვა ეთ-

ნიკური ცვლილებები. მოხდა ადგილობრივი ირანული ტომის მოსახლეობის ასიმილირება თურქებთან, რასაც მოჰყვა საშუალო სპარსული ენის თურქულით ჩანაცვლება. სახალიფოს დაშლამდე, ამ ტერიტორიის მოსახლეობის სახელმწიფო და კულტურის ენა იყო არაბული, რომლის ადგილიც, თურქ-სელჩუკთა გამოჩენიდან, დაიკავა სპარსულმა.

## ადგილმონაცვლეობა ლიტერატურულ ცენტრთა

პირველი ირანული დინასტიის წარმომადგენლებს - სამანიდებს (Xს.) ტახტი შუა აზიის ქალაქ ბუხარაში ედგათ. სპარსული ლიტერატურის ცენტრიც იქ იყო, რომელმაც, ხელისუფლებაში დაზნეულთა გამოჩენასთან ერთად, ღაზნაში გადაინაცვლა, ხოლო თურქ-სელჩუკთა მოსვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის სატახტო ქალაქი ისფაჰანი იყო, მისი გადანაცვლება აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთ ირანში, კერძოდ, შირვანში მოხდა. შეიქმნა სპარსული ლიტერატურის შირვანის სკოლა, სადაც განვითარების ახალ საფეხურზე ადის სპარ-

სული ლექსი, რომელიც შემდეგ ტონის მიმცემი ხდება მთელი სპარსული პოეზიისათვის.

სპარსულ მწერლობაში ცნობილია სამი სტილი, სამი მშვენიერა სპარსული ლიტერატურისა: ხორასნული (XI ს.) - იგივე სამანიდური, ერაყული (XII-XV სს.) - იგივე აზერბაიჯანული და ინდური (XVI-XVIII სს.) - იგივე ისფაჰანური. ანუ იმის თქმა გვინდა, რომ ერთ-ერთი თვისობრივად განსხვავებული სტილი, რომელიც მოიცავს სპარსული კლასიკური პერიოდის ლიტერატურის უდიდეს პერიოდს (XII-XVI სს.) შირვანის

(აზერბაიჯანული) ლიტერატურული სკოლიდან იღებს სათავეს, რაც „ძალოვანი ცენტრების ხორასნიდან ქვეყნის ცენტრ-

ლურ და ჩრდილოეთ ნაწილში გადასვლას მოჰყვა“ [5. 129].

### ერთიანი სივრცე

ისე როგორც ირანში, საქართველოშიც, პოლიტიკური ცენტრის ქუთაისიდან თბილისში ადგილმონაცვლეობას მოჰყვა კულტურის ცენტრის ადგილმონაცვლეობაც, რის გამოც ქართულ-სპარსული ლიტერატურის ცენტრები გეოგრაფიულად დაუახლოვდნენ ერთმანეთს. იმასაც თუ გავითვალსწინებთ, რომ შირვანი ამ დროს საქართველოს ვასალური ქვეყანა იყო, რომელიც 1124 წლიდან შემოიერთა დავითმა, იმისი თქმაც შეიძლება, რომ ამ დროს სპარსული ლიტერატურული ცენტრი ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეშიც კი მოექცა, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ქართულ-ქრის-

ტიანულ და სპარსულ-მუსლიმურ კულტურათა ურთიერთდაახლოება.

ამავე დროს, დავით მეფემ, რამდენადაც, ქვეყნის დამოუკიდებლობით, პოლიტიკურად გადაუკეტა გზა სპარსულ ენას საქართველოში, იმდენად გაუხსნა კარები ამ ენაზე შექმნილ კულტურას, კერძოდ, უდიდეს სპარსულ ლიტერატურას, რითაც მსოფლიოში მიმდინარე საერო ლიტერატურული პროცესების მონაწილე გახდა ქართული მწერლობა, რამაც, ვფიქრობთ, დიდად განაპირობა ქართული ს ა ე რ ო მწერლობის აღმოცენება-განვითარება.

### როგორც წყალი მიშვებული წისქვილის დარზე

სამწუხაროდ, იმ მრავალ ლიტერატურულ ქმნილებათაგან, რომელიც შემოვიდა ამ დროს ქართულ ლიტერატურაში, მხოლოდ „ვისრამიანის“ უზადლო თარგმანმა მოაღწია ჩვენამდე. დანარჩენთა არსებობის შესახებ ქართულ მწერლობაში (ფირდოუსის „შაჰნამე“, ნიზამისა და ონსორის პოემები, „ქილილა და დამანა“...) ისტორიულმა წყაროებმა თუ შემოგვინახეს მხოლოდ ცნობები. ასე მაგალითად, თამარის ისტორიკოსი გიორგი მესამეზე წერს, რომ იგი არის: „აღუქსანდრე და ქ ა ი ხ ო ს რ ო მპყრობელთა შორის: აქილევ და სამბსონ და ნებროთ გმირთა შორის; ს პ ა ნ დ ი ა რ, თ ა ჰ ა მ თ ა და ს ი ა ო შ გოლიათთა შორის. სოლომონ, სოკრატ და პლატონ ბრძენთა შორის [6. 42].

ამ ერთ წინადადებაში, შედარებისთვის, „შაჰ-ნამეს“ ოთხი გმირის სახელია მოყვანილი, რაც იმას მოწმობს, თუ რაოდენ ნაცნობნი ყოფილან ჯერ კიდევ XII საუკუნეში „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟები ქართველთათვის.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართველები „შაჰ-ნამეს“ გმირებს იცნობდნენ მანამდეც, სანამ ფირდოუსი (X ს.) შექმნიდა თავის უკვდავ ქმნილებას, იცნობდნენ მას რამდენიმე საუკუნით ადრე, მისი პირველწყარო – ფალაური „ხვადაი-ნამაკიდან“ („მეფეთა წიგ-

ნი“). ახლა კი თითო მაგალითი „ვეფხისტყაოსნიდან“ და „ვისრამიანიდან“: „ისრითა მოკლის ნადირი, რ ო ს ტ ო მ ი ს მკლავს უგრძესისა“ [7. 196].

„ნეტარმი, თუმცა ცხენსა ზედა მჯდომი მაშურალი ვნახო, რომელ პირი ჩემკენ ექმნას და ზურგი მარავისკენ! ნეტარ ვერ ვნახავ ჩემთვის მოსრულსა ჭაბუკად რ ო ს ტ ო მ ი ს საბატონოსა“ [8. 113].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ვისრამიანში“, სპარსულიდან ნათარგმნ ძეგლშიც კი, როცა დედანში არ არის ნახსენები „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟი როსტომი, თარგმანში მოხსენებულია, რაც კიდევ მაუწყებელია იმისა, თუ რაოდენ მახლობელი ყოფილა მაშინ ეს სახელი ქართველთათვის. ასევე იმდენად მახლობელია ნიზამი განჯელისთვის ქართული სამყარო, რომ „ხოსროვ-შირინიანში“ პროტოტიპებად თამარისა და რუსუდანის სახეები იკვეთება [9. 109].

ამ დროის ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ახლო ურთიერთობებზე მიუთითებს ის ცნობაც, რომ დემეტრე მეფის დაკრძალვაზე თბილისში ჩამოსულან ორი დიდი შირვანელი პოეტი ხაყანი და ფალაქი.

ეს ის ხაყანი შირვანელია, რომელიც ერთ-ერთ თავის ყასიდაში წერს: ბაგრატიონთა კარი ჩემთვის ყოველთვის ღიააო.

ეს ის ხაყანი შირვანელია, რომლის შემოქმედება, განსაკუთრებით სახოტბო ლირიკა, ნიჰამის შემოქმედებასთან ერთად, მიზამდის საგნად იქცა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის მხატვრული სიტყვის ოსტატათავის. მას მერე რაც დავითმა ეკლესია დაუმორჩილა სახელმწიფოს და სამეფო კარი საერო კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების ცენტრი გახდა, ასეთი ცნობები მოულოდნელი არც არის.

ამ დროის საკარო ლირიკაც, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ფრაგმენტების სახით არის მოღწეული ჩვენამდე, თავისი პოეტური ორგანიზებულობით, ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა დახვეწილი და მაღალი დონის წყობილსიტყვაობა გვქონია XII საუკუნეში. მაშინ, როცა შირვანის ლიტერატურულმა სკოლამ დიდი გავლენა მოახდინა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის

ლიტერატურაზე, რა თქმა უნდა, იგი გარკვეული ტონის მისცემი იქნებოდა ქართული მხატვრული აზროვნებისთვისაც.

ჩვენი აზრით, შექმნილმა ვითარებამ დიდად შეუწყო ხელი ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარებას, რომელსაც, ამდროისათვის, მოყოლებული გრიგოლ ხანძთელიდან (759-861 წწ.), საკმაოდ ჰქონდა მომზადებული ლიტერატურული ნიადაგი.

რაც შეეხება ნიადაგის მომზადებას, უფრო შორსაც წავალთ, როგორც ცნობილი ირანისტი ალექსანდრე გვახარია წერს: „დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოში სავსებით იყო შემზადებული ნიადაგი კლასიკური სპარსული კულტურის ასათვისებლად, რადგან კარგად იყო ცნობილი მისი ძველსპარსული და ფალაური (საშუალო სპარსული) საფუძვლები“ [10. 131].

### ვეფხისტყაოსანი - ვულკანი საერო მწერლობისა

ქართული მწერლობა, მეხუთედან მეთორმეტე საუკუნემდე, წამება-მარტვილობათა უწყვეტი ჯაჭვით, იყო ჰაგიოგრაფიული. მეთორმეტე საუკუნეში კი მის გვერდით, „ვეფხისტყაოსნის“ სახით, უცებ ამოიფრქვა საერო მწერლობის ვულკანი.

ეს მოულოდნელი მოვლენა იყო არა მარტო ქართულ, არამედ მთელი საქრისტიანოს მწერლობისთვის, რამაც მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ნაწილმა ეს მიიჩნია გარე ფაქტორის ძალიდან, კერძოდ, სპარსულიდან მომდინარედ (მარი...) ნაწილმა - შიდა ფაქტორის (კეკელიძე)... და ნაწილმაც - ორივე ფაქტორის არსებობა დაუშვა (იუსტ. აბულაძე)...საბოლოოდ კი გაბატონდა აზრი ამ მოვლენის შიდა ფაქტორის ძალის მომხრეთა სასარგებლოდ. აი, რას წერს აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ 1966 წელს გამოცემული სახელმძღვანელო წიგნის, ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომში (გვ. 8): „ნ. მარის ადრინდელ თეორიას ქართული საერო მწერლობის სპარსული ლიტერატურის ზეგავლენით წარმოშობის შესახებ ახლა აღარავინ იზიარებს (ამ თეორიას თავის დროზე ბევრი მიმდევარი ჰყავდა). სადავო არ არის,

რომ ისეთი დიდი მასშტაბის მოვლენა, როგორც არის ქართული საერო მხატვრული მწერლობის წარმოშობა, არ შეიძლება უცხოური გავლენით აიხსნას“.

ვეფხისტყაოსნით, რომ ქართული მწერლობა „არ შეიძლება უცხოური გავლენით აიხსნას“ - გაუგებრობაა.

შევნიშნავთ, რომ ეს კრებული დღემდე სახელმძღვანელო წიგნად არის მიჩნეული.

თუმცა აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს მაინც დარჩა გაუგებარი ამ მოვლენის არსი და წერს: „ის, რაც საეკლესიო მწერლობის წიაღში სტიქიურად მზადდებოდა, გარკვეული დროიდან, როდესაც შესაფერისი პირობები მომწიფდა, სახელდობრ, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებიდან, მკვეთრად გამოჟღავნდა და მხატვრული საერო ლიტერატურის სახით გაიშალა და გაიფურჩქნა. თუმცა შესაძლოა, ასეთი წინასწარი კულტურული პირობები სხვა ქვეყანაშიც არსებობდა, მაგალითად, ბიზანტიაში, მაგრამ იქ საერო ლიტერატურა არ აღმოცენებულა, მაშასადამე, საჭირო იყო კიდევ რაღაც სხვა პირობა“ [11. 12].

ჩვენი აზრით, ის „კიდევ რაღაც სხვა პირობა“, რომელიც ბურუსით იყო მოცული სულმნათი მეცნიერისთვის, საძიებელია სწორედ ქართულ-სპარსულ ლიტერატურ-



რულ ურთიერთობებში ანუ ქრისტიანულ და ისლამურ ცივილიზაციათა გზაჯვარე-

დინზე, რომელიც განხორციელდა XII საუკუნის საქართველოში.

### ცივილიზაციათა დიალოგის ჩარჩოში

„დავით აღმაშენებლის დროს ერთიანი და ეკონომიკურად ძლიერი ფეოდალური საქართველოს წინსვლა მის განათლება-კულტურაშიც გამოიხატა. საქართველოში მოხდა ქრისტიანული (ბიზანტიური) და მუსლიმური კულტურის შეხვედრა-შერწყმა [12. 265].

დიახ, მოხდა ქრისტიანული და მუსლიმური კულტურის შეხვედრა-შერწყმა, რამაც გავლენა იქონია ქართულ ლიტერა-

ტურაში მიმდინარე მოვლენებზე და დააჩქარა ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარების პროცესი, რასაც მოჰყვა „ვეფხისტყაოსანი“ - გვირგვინი აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციათა შორის დიალოგისა. გამომდინარე აქედან, XII საუკუნის ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი შეიძლება ჩავსვათ ქრისტიანულ და ისლამურ ცივილიზაციათა დიალოგის ოქროს ჩარჩოში.

### აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი, დასავლეთი - დასავლეთი

თანამედროვე მსოფლიოში, პოლიტოლოგთა შორის [13. 22-28] მუსირებს რადიკალურ კიპლინგის მოარული ფრაზა: „აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი, დასავლეთი - დასავლეთი, ისინი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს“ („Oh, East, is East, and West is West, and never the twain shall meet“) (კიპლინგი 1983: 71).

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის იგულისხმება ისლამი და ქრისტიანობა, რომელთა შორის მდებარე ქვეყანაზე, როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა: „აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ქრისტიანულისა და მაჰმადიანურის კულტურისა და განათლების შემთვისებელი და შემაერთიანებელი იყო“ [14. 306].

### მიმართება უცხოურ ლიტერატურასთან

ქართველებს უცხოურ ლიტერატურასთან იმდენად შემოქმედებითი დამოკიდებულება ჰქონდათ, რომ რელიგიურ ტექსტებსაც კი, ისე თავისუფლად ექცეოდნენ, ქრისტიანობაში ქართული ნაკადი შეიტანეს, რის გამოც იმდენად დაშორდნენ დედანს, რომ ხელმეორედ შეიქნა ისინი სათარგმნი. ამ დროს ადვილი წარმოსადგენია, თუ რა თავისუფლად მოეპყრობოდნენ ისინი საერო მწერლობას, თანაც მუსლიმურს.

მართლაც, ამის თვალნათლივი ნიმუშია თუნდაც X საუკუნის ირანელი პოეტის „შაჰ-ნამე“, რომლიდანაც ჩვენს წინაპრებს მხოლოდ თავიანთთვის საინტერესო ამბები გადმოუღიათ, თანაც არა თარგმანის, არა-

მიგვაჩნია, რომ თეზა: „აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი, დასავლეთი კი - დასავლეთი, ისინი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს“ - უსაფუძვლოა, რადგან ისინი შეხვდნენ ერთმანეთს ჯერ კიდევ XII საუკუნის საქართველოში და რახან ეს მოხდა ერთხელ, ასევე შეიძლება მოხდეს მომავალშიც.

კულტურათა ურთიერთგადაკვეთა შეიძლება მოხდეს ორი გზით - მშვიდობიანი და ძალდატანების. ქრისტიანობასა და ისლამს შორის კი საქართველოში იგი შედგა მშვიდობიანი გზით, მაშინ როცა საქართველო იყო მძლავრი დამოუკიდებელი სახელმწიფო და მას ძალით ვერავინ მოახვედდა თავზე თავის ნებას.

მედ მიბაძვა-გადაკეთებისა და ვერსიების სახით.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ მომენტზე. „შაჰ-ნამე“ მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი, რომელსაც ყველგან თავისი სახელი აქვს შენარჩუნებული. ერთადერთია ქართული მწერლობა, სადაც მას არა „შაჰნამე“, არამედ „როსტომიანი“ ეწოდება. ეს იმიტომ, რომ ქართველები, მისი მთავარი მითოლოგიური გმირის, როსტომის გარშემო არსებული საგმირო-საფალავნო ამბებით დაინტერესებულან და არა - ირანელ მეფეთა ისტორიით.

ალბათ, სწორედ ამიტომ არის, რომ „შაჰ-ნამეს“ გმირთა სახელები: როსტომი

(როსთამ), ზურაბი (სოჭრაბ), გივი (გივი), მანუჩარი (მანუჩეკრ), გოდერძი (გოდარზ), თამაზი (თაჰმასზ), უშანგი (ჰუშანგ), ლუარსაბი, (ლოჭრასზ), ჯემშიდი (ჯამშიდი), თეიმურაზი (თაჰმურასზ), ქაიხოსრო (ქაიხოსროვ) და სხვა, ოდიტგანვე ქართულ ეროვნულ სახელებად ქცეულა.

XII საუკუნემდე ქართული ლიტერატურა მოდიოდა მხოლოდ სასულიერო ნაკადით, XII საუკუნიდან კი მის გვერდით ჩნდება მეორე ნაკადი – საერო.

თუ პირველ ნაკადზე გავლენა მოახდინა ბერძნულმა სასულიერო

მწერლობამ, მეორეზე გავლენა იქონია სასულიერო ლიტერატურამ.

ორივე შემთხვევაში მოხდა ერის ფსიქოლოგიაში მათი შემოქმედებითად გადამუშავება, რის შედეგადაც, პირველ შემთხვევაში, მივიღეთ დიდი ქართული სასულიერო, ხოლო მეორეში – ასევე დიდი ქართული საერო მწერლობა.

სასულიერო მწერლობას ჩვენ არ ვეხებით. საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარება კი, ვფიქრობთ, უკავშირდება დავით აღმაშენებლის სახელს.

### რომ არა დავით აღმაშენებელი

ჩვენი აზრით, რომ არა დავით აღმაშენებელი: საქართველო იქნებოდა თურქ-სელჩუკთა სამფლობელოში შემავალი ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც სახელმწიფო და სალიტერატურო ენა იყო სპარსული.

ბუნებრივია, საქართველოშიც სახელმწიფო და სალიტერატურო ენა იქნებოდა სპარსული. მაშინ მიღებული წესების თანახმად, შირვანშაჰმა აღსათანმა უბრძანა ნიზამი განჯელს გაეღეჟსა ლეილისა და მაჯუნუნის სასიყვარულო ამბავი, ოღონდ არა თურქულ, არამედ „მთთვის საკადრის ფარსულზე“. ნიზამიმაც ბრძანება ისე შეასრულა, რომ არაბული სამყაროს სამიჯნურო ამბავი მთელი სპარსულენოვან სამყაროს პოეტთა თავდავიწყების თემად იქცა და – არა მხოლოდ სპარსულენოვან სამყაროსი.

დღეს ლეილისა და მაჯუნუნის ორასამდე პოეტური ვარიანტი არსებობს, მათ შორის ქართულ ლიტერატურაშიც, რომლის ძირისძირი სწორედ ნიზამის „ლეილი და მაჯუნუნია“. ისევე, როგორც შირვანშაჰმა უბრძანა ნიზამი განჯელის გაეღეჟსა ლეილისა და მაჯუნუნის ამბავი არა თურქულ, არამედ „მთთვის საკადრის ფარსულზე“ (ორივეს მშობლიური ენა თურქულია), ასევე, საქართველოშიც, ვინმე სულთანი უბრძანებდა ვინმე მესხ მეღეჟსეს, ექცია წყობილსიტყვად რომელიმე ამბავი, ოღონდ არა ქართულ, არამედ „მთთვის საკადრის ფარსულზე“ და, ვინ იცის, ისიც, არანაკლებ ნიზამი განჯელიზე, შეასრულებდა ბრძანებას.

მაგრამ დავით მეფემ, რამდენადაც პოლიტიკურად გადაუკეტა გზა სპარსულ ენას

საქართველოში, იმდენად, შირვანის გავლით, რომელიც მაშინ სპარსული მწერლობის ცენტრს წარმოადგენდა, თარგმანის გზით, კულტურულად გაუხსნა კარი მასზე შექმნილ უდიდეს ლიტერატურას, რამაც დიდად განაპირობა ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარება, რომლის გვირგვინადაც იქცა „ვეფხისტყაოსანი“ – ნაზავი ისლამური და ქრისტიანული, ანუ აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციისა.

რომ არა საერო მწერლობის ასეთი ძლიერი პირველი პერიოდი (XII ს.), რომელიც ოქროს ხანადაა წოდებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში, საეჭვოა, იქნებოდა თუ არა მისი მეორე პერიოდი (XVI-XVIII სს.) – ცნობილი ვერცხლის ხანად, როცა ისეთი მძიმე იყო სპარსული ენისა და ლიტერატურის ზეწოლა ქართულზე, რომ ქართველი პოეტი თეიმურაზ პირველი ამბობს: „სპარსული ენის სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“.

ეს კიდევ არაფერია მის მომდევნო ტაეპთან შედარებით: „მძიმეა ენა ქართველთა, არ ძალმძს მათებრ თხრობანი“ [15. 44].

ამ პოეტური სიტყვების ავტორი ხომ უკვე მენტალობით სპარსელია, რითაც ნათლად ჩანს თუ როგორ ეკიდა ბეწვზე ამ დროს ქართული სალიტერატურო ენის ყოფნა-არყოფნის ბედი.

თანაც უნდა გვახსოვდეს, რომ ამ საუკუნეებში მრავალი გამაჰმადიანებული ქართული წარმოშობის სპარსულენოვანი პოე-

ტის მხატვრული ქმნილება ამშვენებს სპარსულ მწერლობას.

ამგვარად, რომ არა დავით აღმაშენებელი, XII საუკუნის საქართველოში საერო მწერლობა იქნებოდა სპარსულენოვანი და,

საკითხავია, რომანტიკოსებამდე (XIX ს.) საერთოდ გვექნებოდა თუ არა იგი.

მტერმა საქართველოსთან ამა თუ იმში შეიძლება გაიმარჯვოს, მაგრამ „ვეფხისტყაოსანთან“ იმში ვერასოდეს გაიმარჯვებს, რაც არანაკლებია დიდგორის გამარჯვებაზე.

*NOMADI BARTAIA* - Orientalist-Iranist, professor

### **ABOUT THE UNKNOWN MERIT OF DAVID AGMASHENBELI TO THE GEORGIAN PEOPLE, WHICH IS NO LESS THAN THE VICTORY AT DIDGORI**

#### Summary


In the work, the events related to the emergence and development of Georgian secular writing and the origin of "Leopard" are seen in a new way.

According to the author of the study, it is the result of the dialogue of civilizations between the Persian-Muslim and Georgian-Christian cultures, that is, between the East and the West, which was crowned by "Tigerskin" and which happened thanks to Davit Agmashenebeli.

Key words: history, culture, secular literature, tiger skinner, Davit Agmashenebeli.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გაბაშვილი ვ., „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, თბ., 1957.
2. დარმსტეტერი ჯ., „სპარსული პოეზიის სათავეებთან“, თარგმანი ფრანგულიდან ბაჩანა ბრეგვაძისა, თბ., 1985.
3. ბერძენიშვილი ნ., „საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის“, თბ., 1954.
4. ჯაფარიძე გ., „საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო“, თბ., 1995.
5. მეიმანათი, „პოეტური ხელოვნების ტერმინოლოგია“, თეირანი, 1373/1994 (სპარსულად).
6. „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1942.
7. რუსთველი, თბ., 1966.
8. გორგანელი, „ვისრამიანი“, თბ., 1962.
9. ფაღვა კ., „ნიზამი“, თბ., 2014.
10. გვახარია ა., „ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან“, თბ., 2001.
11. კეკელიძე კ., „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, თბ., 1981.
12. მეტრეველი რ., „დავით აღმაშენებელი“, თბ., 2018.
13. ჰანტიგტონი, 1993:V 72 n.
14. ჯავახიშვილი ი., „ქართველი ერის ისტორია“, II, თბ., 1965.
15. თეიმურაზ პირველი, „ქართული პოეზია“ თხუთმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1975.

 ავთანდილ დიასამიძე  
საქართველოს საპატრიარქოს  
წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის  
სახ. სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი.

## სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობა ოსმალეთის მიერ და საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობის დარღვევა XVI საუკუნეში

„XVI საუკუნე, თავისი შედეგებით ყველაზე მძიმე მანც სამცხე-საათაბაგოსათვის გამოდგა. ... საქართველოს ფეოდალურმა დაშლილობამ აქ ყველაზე ცუდი ნაყოფი გამოიღო“ (აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი). „ოსმალეთი დაუცხრომელი სიმედგრით საქართველოს ამ ძვირფასი და მშვენიერი ნაწილის ჩაყლაპვას ლამობდა“ (აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი).

XVI საუკუნის 10-იანი წლებიდან მოყოლებული ოსმალეთი ახორციელებს სისტემატურ შემოტევებს საქართველოს წინააღმდეგ, კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ანუ სამცხე-საათაბაგოს დასაპყრობად.

1510 წელს ოსმალთა დიდი ჯარი სულთნის მემკვიდრე სელიმ ფაშას მეთაურობით მესხეთში შემოდის, რომელსაც მორჩილებას უცხადებს მზეჭაბუკ ათაბაგი და მისი ხელშეწყობით ოსმალები ლაშქარავენ იმერეთს. მათ გადაწვეს ქუთაისი, ბაგრატისა და გელათის ტაძრები და დიდი ნაალაფვეითა და ტყვეებით ქვეყანას გაეცალნენ.

1536 წელს ოსმალებმა ილაშქრეს ტაო-კლარჯეთში და რამდენიმე სანჯაყი დაიპყრეს.

1543 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III ქარაღაქთან სასტიკად ამარცხებს ოსმალთა 22-ათასიან ლაშქარს, ხოცავს ჯარის სარდალ მუსა ფაშას სხვა წარჩინებულებთან ერთად.

ქარაღაქთან დატრიალებულმა კატასტროფამ მრისხანებითა და შურისძიებით აღავსო სულეიმან სულთნის გული. შურისძიება მოხდა 1545 წელს.

სულემან I-მა სამცხე-საათაბაგოში დიდი ჯარი გამოგზავნა არზრუმისა და დიარბექირის ფაშების სარდლობით. ბრძოლა 1545 წელს ბასიანთან ახლოს, სოხოისტას ველზე მოხდა. ქართველთა მედგარი ბრძოლის მიუხედავად, მტრის რიცხოზრევმა უპირატესობამ, აგრეთვე მესხთა და სამეგრელოს მთავრის ლევან I დადიანის ღალატმა, რაც ომში მონაწილეობის უარის თქმამი გამოიხატებოდა, ქართველთა დამარცხება გამოიწვია. აქედან მოყოლებული, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს „ოსმალთა წესისა მათისაებრ იწყეს მძლავრებად ქვეყანათა“ და ქართული მხარეების დასაპყრობად ზედიზედ გამართეს ბრძოლები.

1547 წელს ოსმალები იპყრობენ ჭანეთს, 1548 წელს – ვანს (ვანის ოლქს), 1549 წელს – ისპირს (სპერს), ოლთისს, თორთუმს, ფანაკს, 1550 წელს – ტაოს, სპერის ზონასთან ერთად, 1552 წელს – არტაან-კოლას, კლარჯეთს, შავშეთს, ვიდრე არსიანის მთამდე, 1561 წელს – აჭარას, 1564 წელს – ბათუმს.

1578 წლის 9 აგვისტოს ჩილდირთან გამართულ ბრძოლაში ოსმალები ამარცხებენ ირანელებს. ამ წელს ოსმალთა მიერ დაპყრობილი იქნა ჩილდირი, ხერთვისი, ახალქალაქი, ახალციხე, აწყური და, ამრიგად, მთელი სამცხე-საათაბაგო მოექცა ოსმალთა მფლობელობაში. ასე რომ, ოსმალეთმა XVI საუკუნეში, ფაქტობრივად, დაიპყრო მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, იგივე ზემო ქართლი ანუ სამცხე-საათაბაგო, რომელშიც შედიოდა: სამცხე, ჯავახეთი, აჭარა, შავშეთი, იმერხევი, კოლა, არტაანი, ტაო, კლარჯეთი, სპერი (ისპირი), თორთუმი, ნიგალი და ჭანეთ-ლაზეთი.

1578 წლიდან ოსმალეთი ასევე დაეუფლა დასავლეთ საქართველოს ქალაქებს ფოთს და სოხუმს.

ოსმალეთის მიერ XVI საუკუნეში დაპყრობილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია შეადგენდა 58 815 კვ. კილომეტრს, აქედან მესხეთისა – 34230 კვ. კილომეტრს, ლახეთ-ჭანეთისა კი 24 585 კვ. კილომეტრ ფართობს მოიცავდა.

ოსმალეთის მიერ მიტაცებული დასავლეთ საქართველოს ქალაქების – ფოთის და სოხუმის ტერიტორია შესაბამისად შეადგენდა 65, 8 კვ. კილომეტრს და 27 კვ. კილომეტრს ანუ მთლიანად - 92, 8 კვ. კილომეტრ მიწის ფართობს მოიცავდა.

ამრიგად, ოსმალეთმა XVI საუკუნეში დაიპყრო და საქართველოს წაართვა სულ 58907,8 კვ. კილომეტრი ტერიტორია, რითაც უხეშად და ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების უგულვებელყოფით დაარღვია საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობა.

დღეისათვის მთლიანი მოცულობა საქართველოს ისტორიული ტერიტორიებისა, რომლებიც მიტაცებულია თურქეთის მიერ, შეადგენს 51 700 კვ. კილომეტრს. აქედან მესხეთისა მოიცავს 27115 კვ. კილომეტრს, ხოლო ჭანეთისა – 24585 კვ. კილომეტრ ფართობს.

სამწუხაროდ, ასეთია ისტორიული და ფაქტობრივი რეალობა, რომელიც თითოეულ ქართველს უნდა გვახსოვდეს.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ოსმალეთი, ტერიტორიული მთლიანობა, ისტორიული ტერიტორიები

*„XVI საუკუნე თავისი შედეგებით ყველაზე მძიმე მანძილს სამცხე-საათაბაგოსათვის გამოდგა. გამოვლილ უბედურებათა შედეგად მტრებთან ბრძოლაში ამ სამთავროს აღარ შერჩა იმდენი წინააღმდეგობის უნარი, რამდენსაც საქართველოს სხვა ნაწილები იჩენდნენ. საქართველოს ფეოდალურმა დაშლილობამ აქ ყველაზე ცუდი ნაყოფი გამოიღო.“*

**აკად. ნიკო ბერძენიშვილი [1. 379-380]**

XV-XVI საუკუნეებში ოსმალეთი ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო მთელ მსოფლიოში და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიების აქტიურ დაპყრობით ბრძოლებს აწარმოებდა. იგი კავკასიის და, განსაკუთრებით, საქართველოს ხელში ჩაგდებას პოლიტიკით იყო დაინტერესებული.

1453 წლის 29 მაისს ოსმალებმა ბრძოლით აიღეს კონსტანტინეპოლი და ათსაუკუნოვანი ბიზანტიის იმპერია დასცეს. მალე ოსმალები ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფ უმეტესად ლაზებით დასახლებულ ტერიტორიას – ტრაპიზონის იმპერიას XV საუკუნიდან, კერძოდ, 1461 წლიდან დაეპატრონენ [2. 8-9].

„დაიპყრო ხონთქარმან ტრაპიზონ აზრუმი და ეკირთებოდენცა ოსმალნი მცირედ-მცირედ კლარჯეთსა და ჭანეთსა“ – აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი [3.705].

„ოსმალთა გაბატონებამ აზიაში და კონსტანტინეპოლში მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, მეტადრე ეს უკანასკნელი მონაპირე მხარე, საშინელს განსაცდელში ჩააგდო. საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთი დაუცხრომელი

სიმედგრით საქართველოს ამ ძვირფასი და მშვენიერი ნაწილის ჩაყლაპვას ლამობდა,“ – წერს აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი [4.33].

XVI საუკუნის დასაწყისიდან იმერთის სამეფო და სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის მხრივ უშუალო დაპყრობის საფრთხის ქვეშ მოექცნენ. ქვეყნისათვის ამ მძიმე დროს სამცხე-საათაბაგოს მთავრები თავიანთი უგუნური, წინდაუხედავი და განკერძობითი პოლიტიკით მტერს უადვილებდნენ მიზნის მიღწევას. იმის მაგივრად, რომ მათ საქართველოს სხვა ნაწილებთან შეკავშირება ეცადათ და ერთიანი ძალით აღმდგარიყვნენ უძლიერესი დამპყრობლის წინააღმდეგ, ისინი შიშობდნენ, რომ კვლავ საქართველოს მეფეთა დამოკიდებულებაში მოხვდებოდნენ, სულ უფრო და უფრო აღრმავდებდნენ გათიშულობას და საბოლოო შედეგად ოსმალებისა და სპარსელების ლუკმად იქცეოდნენ.

1498 წელს ღრმად მოხუცებული ყვარყვარე ათაბაგი გარდაიცვალა. მის მაგივრად სამცხე-საათაბაგოს მთავრად შეიქმნა მისი უფროსი ვაჟი ქაიხოსრო. ქაიხოსროს მთავ-

რობის დროს (1498-1500 წწ.) ოსმალებმა სამცხესა და ჭანეთს შემოუტყეს. ამ დროიდან თანდათან იცვლება ოსმალეთის პოლიტიკა საქართველოს ამ ნაწილების მიმართ. მას უკვე აღარ აკმაყოფილებს სამცხე-საათაბაგოს მოხარკეობა და მის სრულ ინკორპორაციას (დაპყრობას) ცდილობს.

ასეთ დროს სრულიად უგუნური ჩანს სამცხე-საათაბაგოს მთავრის, მზეჭაბუკ ათაბაგის (1500-1515 წწ.) პოლიტიკა, რომელიც ენერგიულად ცდილობდა მესხეთის ეკლესია ჩამოეშორებინა მცხეთის საპატრიარქოსაგან და ამით გაეწყვიტა ის უკანასკნელი ძარღვი, რაც საქართველოს ამ სისხლხორცულ კუთხეს ჯერ კიდევ აკავშირებდა ქვეყნის ერთიანობის იდეის მატარებელ საეკლესიო-სულიერ ცენტრთან. მართალია, მზეჭაბუკ ათაბაგის ეს ცდა ამჯერად წარუმატებლად დამთავრდა, მაგრამ მისი შემდგომი მოქმედება უკვე ქვეყნის ერთიანობის აშკარა ღალატი იყო [5.156].

XVI საუკუნის 10-იანი წლებიდან მოყოლებული, ოსმალეთი ახორციელებს გენერალურ შემოტევებს საქართველოს წინააღმდეგ. მთავარი ეტაპები, იმ ბრძოლებისა, რომლებიც გაიმართა XVI საუკუნეში, შემდეგი იყო: 1510 წელს ოსმალთა დიდი ჯარი სულთნის მემკვიდრე სელიმ ფაშას მეთაურობით, რომელიც ამ დროს ტრაპეზუნდის საფაშოს განაგებდა, საქართველოს დასალაშქრავად დაიძრა. მზეჭაბუკ ათაბაგმა, თავისი სამფლობელოს ხსნის მიზნით, მტერს უბრძოლველად მორჩილება გამოუცხადა და თავისი სამსახურიც შესთავაზა. ოსმალებმა დაუბრკოლებლად გადმოვლეს სამცხე-საათაბაგო და იმერეთში შეიჭრნენ.

გვიანი შემოდგომა იყო.

ქვეყანა ამ მხრიდან მტრის შემოსევას არ ელოდა, ამიტომ იმერეთის ახალგაზრდა მეფე ბაგრატ III ალექსანდრესძეს (1510-1565 წწ.<sup>1</sup>), რომელიც ის იყო, ტახტზე ასულიყო,

<sup>1</sup> შენიშვნა: იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მეფობის პერიოდზე ისტორიკოს მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა; ბეჟან ხორავა და გოდერძი ვაჭრიძე, თავიანთ მონოგრაფიაში „ბაგრატ III – იმერეთის მეფე“, თბ., 2019 წ. გვ. 11, მისი მეფობის თარიღად 1510-1565 წლებს მიუთითებენ. აღნიშნული მეფის მეფობის პერიოდს ასევე 1510-1565 წლებით ათარიღებს პაატა ფირანიშვილი თავის ნაშრომში „საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი თარიღები და მოვლენები“, თბ., 1996 წ., გვ.

სათანადო წინააღმდეგობის გაწევა არც შეეძლო. მოსახლეობამ ძლივს მოასწრო გახიზვნა. ოსმალებმა აიღეს და გადაწვეს ქუთაისი, დაარბიეს ახლომახლო სოფლები და დაბეზი, დაწვეს ეკლესიები.

მტრის მსახვრალ ხელს ამჯერად ვერ გადაურჩა დიდებული ბაგრატისა და გელათის ტაძრები. მაგრამ მომხვედურებს ხანგრძლივად ქვეყანაში დარჩენა არ შეეძლოთ. საქართველოში ჩარჩენილ ოსმალთა ჯარს დიდი საფრთხე ელოდა, ამიტომ სელიმ ფაშამ უკან დაიხია და ნაალაფვეითა და ტყვეებით ქვეყანას გაეცალა [5.156].

ბაგრატ მეფე ცდილობდა შემოერთებინა სამცხე-საათაბაგო. 1535 წლის 12 აგვისტოს, ახალქალაქის მახლობლად, სოფელ მურჯახეთთან მოხდა ბრძოლა მეფე ბაგრატსა და ყვარყვარე ათაბაგს შორის. ბრძოლა ბაგრატ მეფის სრული გამარჯვებით დამთავრდა. მეფემ თვით ყვარყვარე ათაბაგი იგდო ტყვედ. ამავე დროს ლუარსაბ I-მა ჯავახეთი დალაშქრა [5. 158].

ამრიგად, სამცხე-საათაბაგო მომდევნო 10 წლის განმავლობაში, 1535-1545 წლებში იმერეთისა და ქართლის სამეფოების შემადგენლობაში დარჩა [6. 103].

1536 წლის 4 ივლისს, სულთნის ბრძანებით არზრუმის ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა თავისი ლაშქრით საქართველოს დასაპყრობად გამოემართა. ოსმალებმა ტაო-კლარჯეთში ილაშქრეს და რამდენიმე სანჯაყი დაიპყრეს, – აღნიშნავს ოსმალეთის ისტორიკოსი იბრაიმ ფეჩევი [7.25].

1543 წელს, სულთნის ბრძანებით, არზრუმის მმართველი მუსა ფაშა 22-ათასიანი ლაშქრით იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის წინააღმდეგ გამოემართა. ბაგრატმა საჭირო ზომები მიიღო, ციხეები გაამაგრა, ლაშქარი შეკრიბა და გურიელსა და დადიანს უხმო. ლევან I – დადიანმა (1533-1572 წწ.) განაწყენებულმა იმით, რომ მეფემ ჭანეთი და აჭარა გურიელს გადასცა, ბრძოლაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა [6. 110-111].

33. პროფ. ნოდარ ასათიანი კი იმერეთის მეფის ბაგრატ III ალექსანდრისძის მეფობის დროდ 1510-1556 წლებს მიჩნევს, იხ: ნოდარ ასათიანი, გიორგი ოთხმეხური, მიხეილ სამსონაძე, გივი ჯამბურია, საქართველოს ისტორია, ტ. III, თბ., 2020 წ., გვ. 156.

ოსმალთა ჯარი, რომელიც ევროპული ზარბაზნებით იყო შეიარაღებული, ტაოში ოლთისის ციხეს მოადგა. ოლთისელი მეციხოვნეები უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ. ბაგრატ კარგად ხედავდა, რომ მისი ლაშქარი მრავალრიცხოვან და კარგად შეიარაღებულ მტერს ვერ გაუმკლავდებოდა, ამიტომ ხერხი იხმარა: მუსა ფაშას საჩუქრებით დატვირთული მოციქულები გაუგზავნა და შეუთვალა: „მე როგორ შემძლია ხონთქრის ჯარისათვის წინააღმდეგობის გაწევა. თქვენ უკან დაბრუნდით, და ციხის კლიტეებს, ვისაც მიბრძანებთ, იმას გადაეცემო.“ ფაშა ციხიდან აიყარა და არზრუმის გზას გაუდგა, არტილერია და ლაშქრის ნაწილი კი იქ დატოვა, რათა შემდეგ მას გაჰყოლოდნენ. ქართველთა ლაშქარი თავს დაესხა ოსმალებს, ერთიანად ამოწყვიტა, ხელთ იგდო ზარბაზნები და მუსა ფაშას

დაედევნა. დილით ბაგრატ მეფე დაეწია მუსა ფაშას ძირითად ლაშქარს და სასტიკად დაამარცხა. ქართველებმა დიდძალი ნადავლი ჩაიგდეს ხელში, მათ შორის, ზარბაზნები, რომლებიც ბაგრატ მეფემ ქუთაისში გაგზავნა. ირანელი მემბტიანის, ჰასან რუმლუს ცნობით, „ქართველებმა ლალისფრად შედგეს ბრძოლის ველი მათი სისხლით და მრავალი ოსმალო, მუსა ფაშასთან და წარჩინებულ ოსმალებთან ერთად, დახოცეს, ხოლო მათი ბანაკი დაარბიეს და აიკლეს.“ ეს ბრწყინვალე გამარჯვება ოლთისის სამხრეთით, ქარაღაქთან მოხდა [6. 111-112].

ქარაღაქთან დატრიალებულმა კატასტროფამ უსაზღვრო მრისხანებით ადავსო სულეიმან სულთნის გული. „ამ დროიდანვე ისლამის ფადიშაჰმა განიზრახა ეპოვა შემთხვევა და შური ეძია“ ქართველებზე. ხოლო შურისძიება მოხდა 1545 წელს [8. 169].



**იმერეთის მეფე ბაგრატ III**  
(მეფობის წლები 1510-1565)



**ქართლის მეფე ლეონ I**  
(მეფობის წლები 1527-1556)

1545 წელს სულთანმა სულეიმან I-მა (დაბ. 1494 წელს, სულთან 1520-1566 წლებში) სამცხე-საათაბაგოში დიდი ჯარი გამოგზავნა არზრუმის და დიარბექირის ფაშების

სარდლობით. იმერეთის მეფე ბაგრატ III-ემ ერთობლივი გამოსვლისათვის ისევ გურიელს და დადიანს მიმართა.

გურიელი თავისი ლაშქრით გამოცხადდა მეფესთან, დადიანმა კი ამ საერთო საქმეს კვლავ უღალატა და მეფეს დახმარებაზე უარი შემოუთვალა. ბაგრატ მეფემ თავის სიძეს ლუარსაბ I-ს (დაბ. 1502 წელს, მეფობდა 1527-1556 წლებში) სთხოვა დახმარება, რომელიც დაუყოვნებლივ გამოეშურა იმერეთის მეფის დასახმარებლად. ბაგრატის, ლუარსაბის და გურიელის ლაშქარს მესხი აზნაურებიც შეუერთდნენ და ქართველთა ეს გაერთიანებული ლაშქარი მტერს ბასიანთან დახვდა. ბრძოლა სოხოისტას ველზე მოხდა. ბრძოლის ბედი მესხთა ღალატმა გადაწყვიტა. ბაგრატი არ დაეთანხმა მესხების მოთხოვნას, რომ ბრძოლისას მეწინავედ ისინი გაემწესებინა. როგორც ჩანს ბაგრატი ბოლომდე მაინც ვერ ენდობოდა მათ, რადგან ბევრი სამცხელი ფეოდალი ოსმალების ბანაკში იმყოფებოდა და მეფე შიშობდა, რომ მესხ აზნაურებს მათთან კავშირი ჰქონდათ. მესხმა აზნაურებმა ეს გამოიყენეს საბაზად და როდესაც ქართველთა ლაშქარი მტერს თავგანწირვით ეკვეთა, „მაშინ შურითა ბოროტითა აღსავსეთა მესხთა ინებეს განდრეკილება და არღარა მიჰყვნენ ომსა შინა“, – წერს ქართველი მემკვიდრე. ამამზავმა უკუღმა შემოატრიალა ბრძოლის ბედი [5.159].

ღალატმა და მტრის რიცხოვნობამ უპირატესობამ თავისი გაიტანა, მედგარი ბრძოლის მიუხედავად საქართველოს ლაშქარი დამარცხდა. ამის შესახებ ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: „ბაგრატ მეფემან, მოიყვანა მეფე ლუარსაბ და ეკუთა ბასიანს სოხოისტასა ზედა ოსმალთა. მაშინ იძლივნენ საქართველოსანი მუხთლობითა მესხთათა, რამეთუ არღარა მწე – ეყვნენ მცილებლობისათვის მეწინავეობისა და წარვიდნენ ლტოლვილნი მეფენი თვს-თვსად. ხოლო ოსმალნი შემოვიდნენ და დაიპყრეს ციხენი საათაბაგოსანი... მაშინ მოსცეს ოსმალთა ათაბაგობა ქაიხოსროს და თვით წარვიდნენ. ... ოსმალთა წესისა მათისაებრ იწყეს მძლავრებად ქუეყანათა“ [3. 713-714].

ცხადია, ქართველთა დამარცხებას სოხოისტას ველზე არამარტო მესხთა ღალატმა, არამედ, ასევე სამეგრელოს მთავრის ლევან I დადიანის ღალატმაც შეუწყო ხელი, რომელიც იმერეთის მეფის თხოვნის მიუ-

ხედავად ბრძოლის ველზე არ გამოცხადდა [9.33].

დასკვნა ერთია: საქართველოს ყველა სამეფო-სამთავროს ერთობლივად რომ შეეცა მომხედური ოსმალის ლაშქრისათვის 1545 წლისათვის დამარცხება კი არა გამარჯვება გარდაუვალი იქნებოდა. სამეფო-სამთავროთა განცალკევებულმა მოქმედებამ და პოლიტიკამ თავისი სავალალო შედეგები გამოიღო, მტერი თანდათან და ნაწილ-ნაწილ იპყრობდა ძირძველ ქართულ მხარეებს, რაც სოხოისტას ველზე გამარჯვების შემდეგ უფრო გააძლიერა.

1547 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ჭანეთი (ლაზეთი) [2. 8-9-10]. „ქართლის ცხოვრება“ ჭანეთის (ლაზეთის აღმოსავლეთი ნაწილი – რიზეს ოლქი) ოსმალთაგან დაკავებას არა 1461 წელს (ანუ ტრაპიზონის იმპერიის დაცემას), არამედ 1547 წელს უკავშირებს და მოგვითხრობს: „მოვიდა სპა ხონთქრისა გურიასა ზედა... მიუღეს გურიელთა ჭანეთი... და იწყეს მძლავრება, ამოსწყვიტეს ჭანეთი და თვით დაიპყრეს.“ აქედან ვიგებთ, რომ ლაზეთით დასახლებული ეს მხარე გურიის სამთავროში შედიოდა და მას ტრაპიზონის დაცემიდან (1461 წლიდან) XVI საუკუნის შუა წლებამდე ოსმალთაგან დამოუკიდებლობა შეუნარჩუნებია [2.8].

1548 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ვანი (ვანის ოლქი) [10.58].

1549 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ისპირი (სპერი), ოლთისი, თორთუმი (ქართული ფორმა თორთომი), ფანაკი (იგივე ბანა) [10. 62,66]. ამ წელს ოსმალეთმა საქართველოს სათანადოდ მომზადებული დიდი ლაშქრით შემოუტია. ოსმალური წყაროებიდან ირკვევა და ისტორიკოს მიხეილ სვანიძის გამოკვლევებიდან ჩანს, რომ 1549 წლის 25 აგვისტოს ოსმალთა 40 ათასი მებრძოლისაგან შემდგარი ლაშქარი საქართველოსაკენ დაიძრა. ამ ლაშქრობას სარდლობდა მეორე ვაზირი აჰმედ ფაშა [11.64].

სექტემბრის დასაწყისში ოსმალთა ლაშქარი არზრუმში ჩავიდა. აქ საჭირო სურსათ-სანოვაგით მომარაგდა და 10 სექტემბერს სამცხე-საათაბაგოსაკენ გაემართა. 13 სექტემბერს ოსმალებმა ალყა შემოარტყეს ქალაქ თორთუმის ციხე-სიმაგრეს. თორთუმი ერთ-ერთი ყველაზე მაგარი ციხე-სიმაგრე



იყო სამცხე-საათაბაგოში. ოსმალებმა მას ზარბაზნები დაუშინეს. 20 სექტემბერს „დიდი ბრძოლით აღებულ იქნა თორთუმის ციხე“.

ოსმალებმა ამ ლაშქრობის შედეგად, სამცხე-საათაბაგოსი გარდა თორთუმისა, შემდეგი ციხეები და ადგილები დაიპყრეს: ნახახი, ამირახორი, ახჩაყალა, ფანასკერტი, მეორე ახჩაყალა, თალხისა, ლივანა, დადელის მხარე და სხვ. იბრაიმ ფეჩევის ცნობით: „ხსენებულ მხარეში დატოვებულ იქნა 15 ციხე, დანარჩენები მიწასთან იქნა გასწორებული. შემდეგ თორთუმი, თალხისი, ახჩაყალა და ლივანის ხევი განსაზღვრული იქნა, როგორც ერთი სასანჯაყო ადგილი. იგი ებოძა ერთ-ერთ ბეგს“ [11.65].

სულთან სულეიმანი საფრანგეთის მეფე ჰენრიხ II-სადმი გაგზავნილ წერილში ამ ლაშქრობასთან დაკავშირებით წერს: „მოკლედ, მტრისგან დაპყრობილი 35 ციხიდან 14 მოთხრილ იქნა, დანარჩენ 21 ციხეში ჩაყენებული იქნა გარნიზონი და სამხედრო მმართველი. ქვეყანა ორგანიზებულ იქნა საბეგლარბეგოდ და დაიყო 4 სანჯაყად და მთლიანად იგი შეერთებულ იქნა იმპერიასთან“ [11.65].

ჩვენთვის ამ ცნობიდან საყურადღებოა ის, რომ ოსმალებმა სამცხეს დაპყრობილ ტერიტორიაზე საბეგლარბეგო დაარსეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ოსმალებმა საქართველოს დაპყრობილ ტერიტორიაზე თავიანთი მართვა-გამგეობისა და თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის დანერგვას შეუდგნენ და იქ არსებული ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის გაუქმება დაიწყეს. და, ბოლოს, ამ დოკუმენტიდან კარგად ჩანს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სულთანს საქართველოს დაპყრობის საკითხს [11.67].

1550 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ტაო [12.430], სპერის ზონასთან ერთად [13.543].

1552 წელს ოსმალებმა დაიჭირეს არტან-კოლა და კლარჯეთ-შავშეთი, ვიდრე არსიანის მთამდე [13.543].

ამრიგად, XVI საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალეთმა თანმიმდევრობით დაიპყრო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი: ჭანეთი, ვანის ოლქი, ისპირი (სპერი), ოლთისი, თორთუმი,

ფანაკი (ბანა), ლივანა (ნიგალი), ტაო, კლარჯეთი, არტან-კოლა, შავშეთი და იქ თავისი ბატონობა დაამყარა.

1555 წლის 29 მაისს ოსმალეთსა და ირანს შორის ქალაქ ამასიაში ზავი დაიდო. ამ საზავო ხელშეკრულებით, აღმოსავლეთი საქართველო და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი ირანს ერგო, დასავლეთი საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი კი ოსმალეთს დარჩა [14.261], [15. 68-69].

ამის შემდეგ ორივე დიდ სახელმწიფოს, ირანსა და ოსმალეთს საქართველოს დასაპყრობად ხელები გაეხსნათ [14.262]. ამასიის ზავით დამთავრდა ოსმალეთ-ირანის პირველი ომი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ეს ზავი, რომელიც საქართველოს დაუკითხავად დაიდო, აშკარად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს გაერთიანებას და აღრმავებდა მის პოლიტიკურ დაშლილობას.

1561 წელს ოსმალებმა აჭარა დაიპყრეს. აჭარის ხეობა 1561 წლიდან უკვე ოსმალეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი ხდება და მის ტერიტორიაზე მყარდება თურქული ადმინისტრაციული მმართველობა [16.151]. 1587 წელს ოსმალებმა აჭარა ხელახლა დაიპყრეს [17. 326].

1564 წელს ოსმალებმა ბათუმი მიიტაცეს, – აღნიშნავს ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე [18.2], [19.23].

1578 წლის აგვისტოს დასაწყისში ოსმალთა უზარმაზარი არმია, რომელიც დონ ხუან სპარსელის ცნობით 200 ათასი კაცი-საგან შედგებოდა, მინადორის ცნობით – 300 ათას კაცს, ხოლო ისქანდერ მუნშის ცნობით 100 ათას კაცს შეადგენდა [11.100-110], მუსტაფა ლალა-ფაშას მეტაურობით სამხრეთ საქართველოში შემოვიდა და არტანში დაბანაკდა. ირანელთა ლაშქარს, რომელიც 30 000 (ოცდაათი ათასი) კაცს შეადგენდა, სარდლობდნენ თოქმან-ხანი, იმამ-ყული ხანი და ყარა-ხანი [11.108].

1578 წლის 9 აგვისტოს ჩილდირის ველზე (ჩილდირის ტბასთან ახლოს – ა.დ.) მოხდა დიდი ბრძოლა ოსმალეთისა და ირანის ლაშქარს შორის, რომელიც ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა [11.133].

ამ დრომდე მანუჩარი 6000 შეარაღებული აზნაურით მთის ფერდობიდან გამარჯვებულებს და დამარცხებულებს თვალყურს ადევნებდა, იდგა იქ და იმედი ჰქონდა, რომ გამარჯვებული მხარე მას შეიწყნარებდა. მართლაც ფაშამ იგი ზეიმით მიიღო და მანუჩარმაც მას ჩააბარა თავისი ქვეყნის ციხე-

სიმაგრეთა გასაღებები. მანუჩარისა და მისი თანმხლები ქართველების წინ, სარდლის კარავთან რამდენიმე ათას ტყვე ყიზილბაშს თავები დააყრევინეს, ქართველი ტყვეები კი კოცონზე დაწვეს, რომ ამით ველური დამპყრობლისადმი შიში და მორჩილება დაენერგათ [20.127].



ოსმალეთის სულთანი სულიმან I  
(1520-1566)



ოსმალეთის სულთანი სელიმ II  
(1566-1574)



ოსმალეთის სულთანი მურად III  
(1574-1595)

1578 წელს ლალა ფაშას დიდი ლაშქრობის დროს ოსმალთა მიერ დაპყრობილი იქნა ჩილდირი, ხერთვისი, ახალქალაქი, ახალციხე და აწყური, და ამრიგად, მთელი

სამცხე-საათაბაგო მოექცა ოსმალთა მფლობელობაში, – აღნიშნავს აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი [12.431]. ათაბაგ ქაიხოსრო მეორის (1545-1573) შვილები - ყვარყვარე V

(1573-1582), მანუჩარ II (1558-1614), ამის შვილი მანუჩარ III (1614-1625) იძულებული იყვნენ დამორჩილებოდნენ ოსმალებს და მათი სახელით დარჩენილიყვნენ მმართველებად ამა თუ იმ საათაბაგოს ნაწილებისა, მაგრამ ჯერ კიდევ ქრისტიანობა შეინარჩუნეს; ხოლო ბექა III-ის შვილმა ყვარყვარე V-მ, მოწამლა თავისი ძმისწული, კანონიერი ათაბაგი მანუჩარ III, წავიდა სტამბოლს, მიიღო იქ მუსლიმანობა საფარ-ფაშას წოდებით და გახდა ახალციხის ფაშა [12.431].

ოსმალებმა 24 აგვისტოს თბილისიც დაიკავეს. იგი საფაშოდ გამოაცხადეს, ციხესიმაგრეებში თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს და თბილისში ფაშა დანიშნეს [20.128].

1590 წლის 21 მარტს, სტამბოლში, ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად, ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო. საზავო ხელშეკრულების მიხედვით საქართველო, აღმოსავლეთ სომხეთი, ჩრდილო და სამხრეთ აზერბაიჯანი (არდებილისა და თალიშის გამოკლებით), ქურთისტანი და ლურისტანის ნაწილი ოსმალეთს დარჩა [20.140], [11.181].

ამ ზავის შედეგად დამთავრდა ირანსა და ოსმალეთს შორის ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი ომი, რომელიც 11 წელიწადს, 11 თვეს და 16 დღეს გრძელდებოდა [11.181].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე XVI საუკუნის I ნახევარში ოსმალეთმა დაიპყრო ჭანეთი და მესხეთის ნაწილი, ხოლო მე-16 საუკუნის II ნახევარში ოსმალებმა მოახდინეს ოკუპაცია მთელი მესხეთისა [13.543]. ასე, რომ ოსმალეთს თითქმის ერთი საუკუნე დაჭირდათ აღნიშნული მხარეების დასაპყრობად.

ოსმალეთის მიერ დაპყრობილი მესხეთის ტერიტორიის ფართობი შეადგენდა 34 230 კვადრატულ კილომეტრს, ჭანეთ-ლაზეთის მხარეებისა – 24 585 კვადრატულ კილომეტრს [13.297, 299], სულ XVI საუკუნეში ოსმალეთის მიერ დაპყრობილი იქნა 58 815 კვადრატული კილომეტრი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია, რაც ოდიტგანვე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო.

ოსმალეთმა 1578 წლიდან მიიტაცა ქალაქი ფოთი, 65, 8 კვადრატული კილომეტ-

რის ფართობით [21] მან ასევე ხელში ჩაიგდო ქალაქი სოხუმი, რომლის ფართობი 27 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა [22]. ორივე ამ ქალაქის ფართობი 92.8 კვ. კილომეტრ ტერიტორიას მოიცავდა.

ამდაგვარად, სულ ოსმალეთმა დაპყრობითი ომების შედეგად საქართველოს წართვა 58 907,8 კვ.კმ. ტერიტორია.

ასე, რომ ოსმალეთმა XVI საუკუნეში ფაქტობრივად დაიპყრო მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, რომელიც მესხეთის მხარეებს ანუ ზემო ქართლს შეადგენდა და უფრო გვიან ხანაში სამცხე-საათაბაგოს სახელით იყო ცნობილი; სახელდობრ, XVI საუკუნეში ოსმალეთმა დაიპყრო ჭანეთ-ლაზეთი, სამცხე, ჯავახეთი, აჭარა, შავშეთი, იმერხევი, კოლა, არტაანი, თორთუმი, სპერი (ისპირი), ტაო, კლარჯეთი და ნიგალი (ლივანა).

ოსმალეთი ასევე დასავლეთ საქართველოში დაეუფლა ქალაქებს ფოთს და სოხუმს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ოსმალეთმა უხეშად, ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების უგულვებელყოფით დაარღვია საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობა.

მართლაც XVI საუკუნე იყო ბოროტი ასწლეული საქართველოს ჟამსაბრუნავში [23.334].

დღეისათვის, როგორც დიდი მეცნიერი პავლე ინგოროყვა მიუთითებს, მთლიანად მოცულობა საქართველოს ისტორიული ტერიტორიებისა, რომლებიც მიტაცებულია თურქეთის მიერ, შეადგენს 51 700 კვ.კილომეტრ ფართობს. აქედან მესხეთისა მოიცავს 27 115 კვ. კილომეტრს, ხოლო ჭანეთისა – 24 585 კვადრატულ კილომეტრ ფართობს [13.299].

მაინც რა მიზეზებმა, გარემოებებმა და ფაქტორებმა განაპირობა XVI საუკუნეში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის დაკარგვა და ოსმალეთის მიერ მისი მიტაცება?

- სათანადო წყაროებზე, ფაქტებსა და მასალებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ უძველესი აღნიშნული ქართული მხარეების ჩამოცილება და ოსმალების მიერ მისი მი-

ტაცება გამოიწვია შემდეგმა მიზეზებმა, გარემოებებმა და ფაქტორებმა:

1. XVI საუკუნისათვის მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ოსმალეთის იმპერიის სისტემატიურმა და მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალებით (ზოგჯერ საომარ ბრძოლებში ჩართული ოსმალთა შეიარაღებული მეზობლები 5 და 10-ჯერ და უფრო მეტადაც აღემატებოდნენ ქართველთა მეზობლებს) შემოსევებმა და ოსმალეთის სულთნების (სელიმ I, სულეიმან I, სელიმ II, მურად III) დაპყრობითმა პოლიტიკამ;
2. XVI საუკუნეში ირანელთა ქართლში (საქართველოში) ხშირი შემოსევებით (1541, 1547, 1551, 1554 წლები) ქვეყნის დასუსტებამ;
3. საქართველოს პოლიტიკურმა დაშლილობამ: XV საუკუნის ბოლოსათვის სამ სამეფოდ – ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხე-საათაბაგოს დამოუკიდებელ სამთავროებად გამოცხადებამ, გურიის, სამეგრელოს, სვანეთის და აფხაზეთის სამთავროების განკერძოების გზაზე დადგომამ;
4. თვით ქართველთა ღალატმა, ერთმანეთისადმი მტრობამ და ურთიერთგაუტანლობამ.

5. ოსმალეთის სულთნის ხელისუფალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს ზოგიერთი ათაბაგის, თავადის, აზნაურის, ეპიკოპოსის, მღვდლის, გლეხის მოსყიდვა, დასაჩუქრება-გადაბირებამ და სხვა ფაქტობრივმა გარემოებებმა [24. 1-5].

ამიტომაც სრულიად სამართლიანად ამბობდა XVII საუკუნის ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე:

„ქართველებს ჯერ იქით ურუმნი არბევდეს და აქეთ ყიზილბაშნი და ამისთანას და მისთანას ორ დიდ ხელმწიფეს შუაში ბევრს ეცადნენ, აქეთ იქნიეს ხმალი, იქეთ იქნიეს, მაგრამ არ იქნა და ვერცა რა თავს გაუვიდეს ... მეორეც – საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავლად გაყოფილი და ერთმანეთის ურჩი და ქიშპნი, მტერნი, ერთმანეთის მარბევნი და მაწყინარნი“ [25. 2015].

ზემოთ აღნიშნული ასეთი დიდი მოცულობის საქართველოს ტერიტორია, ოსმალეთის გარდა სხვა არცერთ დამპყრობელს არ მიუსაკუთრებია. „საქართველოს ბევრი დამპყრობი უნახავს. თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი“, – აღნიშნავენ აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი“ [26].

სამწუხაროდ, ასეთია ისტორიული და ფაქტობრივი რეალობა, რაც თითოეულ ქართველს უნდა გვახსოვდეს.

*AVTANDIL DIASAMIDZE - State Educational Pedagogical University  
of the Patriarchia of Georgia named after Saint Tbel Abuserisde, Professor*

## CONQUEST OF SOUTHWESTERN GEORGIA BY THE OTTOMANS AND VIOLATION OF THE TERRITORIAL AND NATIONAL INTEGRITY OF GEORGIA IN THE 16TH CENTURY

### Summary

„The 16th century, with its consequences, was the most severe for Samtskhe-Saatabago. ... the feudal disintegration of Georgia bore the worst fruits here“ (Academician Niko Berdzenishvili). „Ottoman was eager to swallow this precious and beautiful part of Georgia“ (academician Ivane Javakhishvili).

Since the 10th years of the 16th century, Ottomans have been carrying out systematic attacks against Georgia, in particular, to conquer South-West Georgia, or Samtskhe-Saatabago.

In 1510, a large army of the Ottomans entered Meskheta under the leadership of Selim Pasha, the successor of the Sultan, to whom Mzechabuk Atabag declared obedience, and with his support, the Ottomans marched to Imereti. They burned down Kutaisi, Bagrat and Gelati

temples and left the country with a large loot and prisoners. In 1536, the Ottomans attacked Tao-Klarjeti and captured several Sanjak. In 1543, King Bagrat III of Imereti brutally defeats the 22,000-strong Ottoman army near Karagakh, killing the army commander Musa Pasha along with other dignitaries. The disaster at Karagakh filled Suleiman Sultan's heart with fury and revenge. Revenge took place in 1545.

Suleman I sent a large army to Samtskhe-Saatabago under the command of the pashas of Arzrum and Diyarbekir. The battle took place in 1545 near Basian, in the Sokhoista Valley. Despite the good fight of the Georgians, the numerical superiority of the enemy, as well as the betrayal of Levan I Dadiani, the prince of Meskhi and Samegrelo, which was manifested in his refusal to participate in the war, led to the defeat of the Georgians. From then on, as Vakhushti Batonishvili points out, "following the rule of the Ottomans, they started to fight for the conquest of powerful countries" and Georgian sides.

In 1547, the Ottomans conquered Chanet, in 1548 - Van (Van district), in 1549 - Ispir (Sper), Oltis, Tortum, Fanak, in 1550 - Tao, together with the Sper zone, in 1552 - Artaan-Kola, Klarjet, Shavshet, than to Mount Arsiani, in 1561 - to Adjara, in 1564 - to Batumi.

On August 9, 1578, the Ottomans defeated the Iranians in the battle of Childir. In this year, the Ottomans conquered Childir, Khertvisi, Akhalkalaki, Akhaltsikhe, Atzuri, and thus the entire Samtskhe-Saatabago came under the Ottomans' possession.

Thus, in the 16th century, the Ottoman Empire actually conquered the entire southwestern Georgia, the same as Zemo Kartli or Samtskhe-Saatabago, which included: Samtskhe, Javakheti, Adjara, Shavsheti, Imerkhevi, Kola, Artaan, Tao, Klarjeti, Speri (Ispir), Tortum, Nigal and Chanet-Lazet. From 1578, the Ottomans also captured the cities of Poti and Sokhumi in western Georgia.

The territory of southwestern Georgia conquered by the Ottomans in the 16th century was 58,815 square meters. kilometers, of which Meskheti - 34230 sq. kilometer, Lazet - Chaneti has 24,585 square meters. It covered an area of one kilometer. The territory of Poti and Sokhumi cities of Western Georgia captured by the Ottomans was 65.8 square meters respectively. Kilometer and 27 sq. per kilometer, i.e. completely - 92, 8 sq. m. It covered an area of one kilometer of land.

Thus, in the 16th century, the Ottoman Empire conquered and took away a total of 58,907.8 square meters of Georgia. kilometer of territory, thereby violating the territorial and national integrity of Georgia in a rude manner and in disregard of all legal norms. To date, the total volume of the historical territories of Georgia, which have been seized by Turkey, is 51,700 square meters. kilometers. Of these, Meskheti covers 27115 sq. kilometers, and that of Chaneti - 24585 sq. kilometer area Unfortunately, this is the historical and factual reality that every Georgian should remember

*Key words: Georgia, Ottoman Empire, territorial integrity, historical territories*

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯავახიშვილი ივ., ბერძენიშვილი ნ., ჯანაშია ს., „საქართველოს ისტორია“, თბ., 1943.
2. ანდრიაძე გ., „უცნობი ისტორიული საქართველო (ქრისტიანული ლაზეთი)“, თბ., 2012.
3. ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
4. ჯავახიშვილი ივ., „საქართველოს საზღვრები“, თბ., 1996.
5. ასათიანი ნ., ოთხმეზური გ., სამსონაძე მ., ჯამბურია გ., „საქართველოს ისტორია“, ტ. III, თბ., 2020.
6. ხორავა ბ., ვაჭრიძე გ., „ბაგრატ III - იმერეთის მეფე“, თბ., 2019.
7. იბრაიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ, თბ., 1964.
8. სანიკიძე ლ., „დედა ისტორია“, თბ., 2020.

9. ფირანიშვილი პ., „საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი თარიღები და მოვლენები“, თბ., 1996.
10. თურქული წყაროები XVI ს-ის I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისთვის, ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ, თბ., 1983.
11. სვანიძე მ., „საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს.“, თბ., 1971.
12. თაყაიშვილი ექვ., „თხზულებანი“, ტ. I, თბ., 2016.
13. ინგოროყვა პ., „გიორგი მერჩულე“, თბ., 1954.
14. ბახტაძე მ., მერკვილაძე დ., გეთიაშვილი გ., „მსოფლიოს ისტორია“, თ., 2016.
15. გაბაშვილი ვ., „ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში“, თბ., 1957.
16. შაშიკაძე ზ., „ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საკუნის აჭარის ისტორიიდან, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული III, ბათუმი, 2002.
17. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ, თბ., 1981.
18. ბაქრაძე დ., „ბათუმი“, გაზ.: „დროება“, N 166, 18 მარამობისთვე, 1878.
19. ბაქრაძე დ., „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, ბათუმი, 1987.
20. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV, თბ., 1973.
21. „ფოთი ოსმალეთის იმპერიაში“ - ვიკიპედია.
22. „სოხუმი ოსმალეთის იმპერიაში“ - ვიკიპედია.
23. სანიკიძე ლ., „უქარქაშო ხმლები“, წიგნი მეორე, თბ., 1990.
24. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი, ივანე გვარანაძის პირადი არქივი, ფონდი N 2918, ფურც. 1-5.
25. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, ტფ. 1926.
26. ჯანაშია ს., ბერძენიშვილი ნ., „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, გაზ.: „კომუნისტი“, N 24, 14 დეკემბერი, 1945 წ.

## ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობების განვითარების ისტორიიდან

ნაშრომი ეხება აღიარებული ქართველი ემიგრანტი ისტორიკოსისა და მკვლევარის ნინო და კალისტრატე სალიების მოღვაწეობას საფრანგეთში. რომელმაც მნიშვნელოვანი კვლი დატოვა როგორც ისტორიული, ასევე კულტურული თვალსაზრისით. მათ ჩამოიტანეს საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერების, მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პირადი არქივები. მათი წყალობით ის დღეს საქართველოშია და განუზომლად ფასდაუდებელია ქართული კულტურისა და ემიგრანტების ისტორიის შესწავლაში. ექიმმა, ისტორიკოსმა, ნინო სალიამ მეუღლესთან, ემიგრანტ კალისტრატე სალიასთან ერთად საკუთარი ფინანსური სახსრებით და საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დახმარებით 1948 წელს დააარსა ჟურნალი „ბედი ქართლისა“. 35 წლის განმავლობაში ჟურნალმა გამოაქვეყნა მრავალი ცნობილი ევროპელი და ქართველი მეცნიერის მნიშვნელოვანი შრომები.

განსაკუთრებით დიდია სალიების წვლილი ემიგრაციაში დაგროვილი უნიკალური მასალის გადარჩენაში, რომელიც 1980 წელს ქართულ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცეს უნიკალური ბიბლიოთეკა. სალიების კაბინეტში ასევე ინახება სალიების პირადი ნივთები და ტანსაცმელი, რომელსაც მიენიჭა სამუზეუმო ექსპონატის სტატუსი და დღეს იგი ითვლება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი პერიოდის მნიშვნელოვან ღირებულეზად.

**საკვანძო სიტყვები:** ემიგრაცია საფრანგეთში, კულტურული ურთიერთობები, ქართული კულტურა, საქართველო და საფრანგეთი, ქართველოლოგია.

ნაშრომი ეხება საფრანგეთში აღიარებული ქართველი ემიგრანტი ისტორიკოსის და ქართველოლოგის ნინო და კალისტრატე სალიების მოღვაწეობას, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა, როგორც ისტორიული ასევე კულტურული თვალსაზრისით, რომ მათ შემოგვინახეს საზღვარგარეთ მოღვაწე ზოგიერთი ქართველი მეცნიერის, მწერლის და საზოგადო მოღვაწის პირადი არქივები, რომელთაც მათი წყალობით დღეს საქართველოშია და ქართული კულტურისა და ემიგრანტული ისტორიის შესწავლის საქმეში განუზომლად ფასდაუდებელია.

პარიზში აღიარებული ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი, ქართველოლოგი, ქველმოქმედი და საქართველოს ისტორიის და ქართული კულტურის საკითხების ყველაზე კომპეტენტური მკვლევარი ნინო ქურციკაშვილი დაიბადა 1898 წლის 15 ოქტომბერს თელავის რაიონის, სოფელ ვარდისუბანში. იგი სწავლობდა თბილისისა და

პეტერბურგის უნივერსიტეტებში. პირველი მსოფლიო ომის დროს მოწყალების დად მუშაობდა, ხოლო 1926 წლიდან კი საფრანგეთში დასახლდა და ცხოვრებას იქ იწყებს, რომელიც შემდგომ თავის ცხოვრებას უკავშირებს კალისტრატე სალიას (კალისტრატე სალია ამ პერიოდში მუშაობდა მოწყალების დის მძღოლად).

კალისტრატე სალია სამეგრელოში გლეხის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა ხაშურის გიმნაზია და 1920 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე.

იმავე წელს გაწევრიანდა სოციალურ-დემოკრატიულ პარტიაში. 1921 წელს, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იგი დააპატიმრეს. დამოუკიდებელი საქართველოს ელჩის გერმანიაში ვლადიმერ ახმეტელის ძალისხმევით საზღვარგარეთ გაასახლეს. ბერლინის უნივერსიტეტთან არსებულ გერმანული ენისა

და ლიტერატურის ორწლიანი ინსტიტუტის დასრულების შემდეგ სწავლას აგრძელებს ქ. ჰალეს უნივერსიტეტის იურიდიულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. 1924 წელს საცხოვრებლად გადავიდა პარიზში და 1927 წელს სორბონის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. იგი იყო 1924 წელს დაარსებული „თეთრი გიორგის“ წევრი; 1934 წელს გაწევრიანდა ჟურნალ „ორნატის“ ჯგუფსა და მეორე მსოფლიო ომის წინ დაარსებულ ქართულ ფაშისტურ დარაზმულობაში. თანამშრომლობდა ასევე ემიგრანტულ პრესასთან.

აქვე ნინომ პარიზში გაიცნო და ცოლად გაჰყვა (მეორედ) ცნობილ ისტორიკოსს და აღიარებულ ქართველოლოგს კალისტრატე სალიას, რომელიც პროფესიით ექიმი იყო, მაგრამ მას დამთავრებული ჰქონდა ასევე ვარშავის უმაღლესი სასწავლებელი ისტორიის მიმართულებით. ნინოს თანადგომით და ხელშეწყობით კალისტრატე სალია წარმატებთ მოღვაწეობდა მეცნიერული მიმართულებით.

ნინო და კალისტრატე სალიები, როგორც ევროპაში ცნობილი ქართველოლოგები, არჩეულნი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრების წევრებად. კერძოდ, კალისტრატე სალია იყო ლუვენის, ოსლოს, ბამბერგის, ბორდოს უნივერსიტეტის და პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის საპატიო დოქტორი, პროფესორი, ხმელთაშუაზღვეთის აკადემიის წევრი (1968). იგი ასევე იყო პარიზის აზიის, ისტორიის, ბიზანტიანიტიკის, ლინგვისტური საზოგადოებების წევრი, მეცნიერული პრესის საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (1964), და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი (1983).

კალისტრატე და ნინო სალიების ღვაწლი განუზომლად დიდია ქართველი ხალხის წინაშე, რომელიც იმ პერიოდში ერთგვარი დამაკავშირებელი სამეცნიერო რგოლი იყო ემიგრაციაში მყოფი ინტელიგენციისა და საქართველოს მოსახლეობას შორის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პრაქტიკულად აღარ არსებობდა ომამდელი ქართული პრესა ამიტომ 1948 წელს კალისტრატე და ნინო სალიებმა თავიანთი სახსრებით და

საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის დახმარებით დაარსეს სამეცნიერო ისტორიულ-ლიტერატურული ჟურნალი „ბედი ქართლისა“, რომელმაც 35 წელი იარსება, თავდაპირველად წელიწადში 4-ჯერ გამოდიოდა და ჟურნალის რედაქცია განთავსებული იყო სალიების საცხოვრებელ ბინაში. 1958 წლიდან ჟურნალი განახლდა და ეწოდა „ბედი ქართლისა - რევიუ დე ქართველოლოჟი“ და გამოვიდა 41 ტომი ქართულენოვანი, ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო ჟურნალის ნომერი, სადაც სტატიები იბეჭდებოდა ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ჟურნალის მთავარი რედაქტორი იყო კალისტრატე სალია, ხოლო რედაქტორ გამომცემელი კი სალიას მეუღლე ნინო ჟურციკაშვილი.

სალიების მიზანი იყო საზღვარგარეთ გაფანტული ემიგრანტების გაერთიანება და ერთიანი ეროვნული სულისკვეთების სამსახურში ჩადგომა.

სალიებმა ჟურნალის გარშემო შემოიკრიბეს ქართველი მეცნიერები: მიხაკო წერეთელი, მიხეილ თარხნიშვილი, მძებნიკურაძეები, ექვთიმე თაყაიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ყაუხჩიშვილი და მრავალი სხვა. ჟურნალის სამეცნიერო საბჭოში შედიოდნენ მსოფლიოს ცნობილი კავკასიოლოგები და ორიენტალისტები, რომელიც ცდილობდა დაემყარებინა აუცილებელი კავშირი საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით მუშაობას შორის და გაეღვიძებინა მეცნიერთა ინტერესი ქართული კულტურისა და ცივილიზაციის ყოველმხრივი შესწავლისადმი.

ჟურნალი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. „ბედი ქართლისა“, სხვა ემიგრანტული გამოცემებისაგან განსხვავებით, საქართველოში, უცნობი არ დარჩენილა. იბეჭდებოდა ქართველ, აზერბაიჯანელ, ჩრდილოკავკასიელ საბჭოთა მეცნიერთა სტატიები. სალიები ეხმარებოდნენ უცხოელ ქართველოლოგებს, მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციებსა და კონგრესებში. 1980 წელს ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა 550-გვერდიანი „ქართველი ერის ისტორია“.



წიგნს საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის პრემია მიენიჭა და მალე ცნობილი საქართველოშიც გახდა.

ნინო სალია ხშირად თავადაც წერდა სხვადასხვა თემებზე ქართულად ან ფრანგულად, მათ შორისაა: რამდენიმე წერილი გარდაცვლილი ქართველების ნეკროლოგი ან მოსაგონარია: „25 წლისთავი ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალებიდან“ (1949), „მარიამ მამულაიშვილის ხსოვნას“ (1952), „ეგენი გეგეჭკორის უკანასკნელი დღე“ (1954), „მამა მიხეილ თარხნიშვილი“ (1958), „გრიგოლ რობაქიძის საფლავთან“ (1964), „გრიგოლ რობაქიძის არქივის ბედი“ (1964). სტატიები ეძღვნება ემიგრანტ და საბჭოთა ქართველთა კულტურულ საქმიანობას: „ქართველთა კულტურული აქტივობა პარიზში“, „გრიგოლ რობაქიძის სადამო ქართული სიტყვისა“ (1950), „ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი პარიზში (1958), „რამდენიმე სიახლე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში“ (1959), „მსოფლიო პრესა ქართულ ფოლკლორულ ცეკვებზე“ (1960), „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეკუმენისტური ეკლესიების კონგრესზე პარიზში“ (1962). საისტორიო ნაშრომებია: მსოფლიოს რელიგიების მიმოხილვა „ლოცვა“ (1954-7, 1962), „დედოფალ ქეთევანის წამება“ (1957), „მოთარუსთაველის უცნობი პორტრეტი“ (1961), „კვიპროს ქართველების წვლილი კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში“ (1963), „ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები“ (1971), „წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევის შესახებ“ (1972), „პორტუგალიური მასალები ქეთევან დედოფლის წამებაზე“ (1973), კალისტრატე სალიასა და ვახტანგ ბერიძის თანაავტორობით - „საქართველო: (ისტორიულ-კულტურული მიმოხილვა)“ (1972) და სხვა.

განსაკუთრებით გამოვარჩევთ ნინო სალიას სამეცნიერო მემკვიდრეობას, გარდა

დიადი საგამომცემლო საქმიანობისა იგი ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობასაც, რომლის ანგარიშზეც გახლავთ ჯერ კიდევ იმ პერიოდში საქვეყნოდ აღიარებული ნაშრომები, კერძოდ: ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები 1971, წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევის შესახებ 1972, პორტუგალიური მასალები ქეთევან დედოფლის წამებაზე 1973, და სხვა მრავალი, რომლებმაც უდიდესი აღიარება მოიპოვეს არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

კალისტრატე სალია გარდაიცვალა 1986 წელს პარიზში, დაკრძალეს ლევილის სასაფლაოზე. 1988 წლის 27 თებერვალს, ანდერძის თანახმად, მისი ფერფლი დიდუბის პანთეონის მიწას მიაბარეს. ნინო გარდაიცვალა 1993 წელს პარიზში 95წლის ასაკში, მისი ფერფლიც ჩამოასვენეს საქართველოში და მეუღლის გვერდით დაკრძალეს დიდუბის პანთეონში. მათ შთამომავალი არ დარჩენიათ.

სალიების ღვაწლი განსაკუთრებით დიდია ემიგრაციაში დაგროვილი უნიკალური მასალების გადარჩენის საქმეში, რომლებმაც 1980 წელს მათ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცეს უნიკალური ბიბლიოთეკა, რომლის ბაზაზეც დღეს შექმნილია სალიების-კაზინეტი-ფონდი. ფონდი განსაკუთრებით მდიდარია ქართველოლოგიური და ორიენტალისტური ლიტერატურით, ლექსიკონებით, ენციკლოპედიებით და სხვა უნიკალური გამოცემებით, რომლებიც მთელ მსოფლიოში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის მიჩნეული. სალიების კაზინეტში ინახება ასევე სალიების პირადი ნივთები და ტანსაცმელი, რომლებსაც სამუზეუმო ექსპონატების სტატუსი აქვს მიანიჭებული და ის დღეს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი დიადი პერიოდის მნიშვნელოვან ღირებულებად ითვლება.

*EDISHER JAPHARIDZE - GTU, Associate Professor*

## FROM THE HISTORY OF THE DEVELOPMENT OF GEORGIAN-FRENCH CULTURAL RELATIONS

### Summary

The work refers to the work of Nino Salia, a recognized Georgian emigrant historian and Georgian researcher in France, who left an important mark, both form a historical and cultural

point of view. They brought us the personal archives of some Georgian scientists, writers and public figures working abroad. Thanks to them, it is in Georgia today and it is immeasurably invaluable in the study of Georgian culture and immigrant history. The doctor, historian, specialist of Georgia studies Nino Salia, together with the spouse, immigrant Kalistrate Salia, established the journal „Bedi Kartlisa-Revue de Kartvelologie” using their own financial means and assistance of national scientific research institute of France in 1948. During 35 years the journal published significant pieces of work many famous European and Georgian scientists.

Saliebi’s contribution is especially great in saving the unique materials accumulated in emigration, which in 1980 they gave to the National Center of Georgian Manuscripts a unique library. Salii’s cabinet also stores Salii’s personal belongings and clothes, which have been given the status of museum exhibits, and today its considered a significant value of one of the great periods of Georgian History.

*Key words:* Keywords: emigration to France, cultural relations, Georgian culture, Georgia and France, Georgianology.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ, წ.1. 1991წ.
2. ნაცარაშვილი ო. კახეთის გამოჩენილი ადამიანები. თბ. 2001
3. ქაჯაია ნ. კალისტრატე და ნინო სალიები: საფრანგეთში მოღვაწე ქართველები. ენგური, #1, 1991წ.
4. დაუშვილი რ. ქართველები უცხოეთში, წ.1 2012წ.
5. დაუშვილი რ. შრომების კრებული, მსოფლიო და გენდერი 6, 2022წ. თბილისი,
6. ნოზაძე ვ. საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან ქართველ საზოგადო მოღვაწეთა გაძევება \_ „კავკასიონი“, N16-17, პარიზი, 1972-73,
7. Salia k. Histoire de la Nation Georgienne, Paris, 1983

## ედუარდ შევარდნაძის ნომრიანი „დისიდენტები“ და „ინტელიგენტები“ საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში

ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას ედუარდ შევარდნაძე და მისი პოლიტიკური პატრონები რამდენიმე ფრონტიდან უტევენ. ამ ბრძოლის ყველაზე უფრო ბინძური და ბნელი მხარე გახლდათ ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ „ინტელიგენცია“ და „ნომრიანი“ დისიდენტების დარაზმვა. ეს ხალხი კომუნისტური რეჟიმიდან მოყოლებული, ყოველთვის ხელისუფლების თამაშს თამაშობდა, მაგრამ ამავედროულად თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და სხვა ზემაღალ იდეალებსაც ეთაყვანებოდა, რათა ერის წინაშე ქვეყნის ბედით გულდათუთქული უმწიკვლო ჭირისუფლის მანტია მოერგო. დრომ გამოაჩინა და დაადასტურა, რომ ამ ადამიანებს, რომლებიც საბჭოთა უმიშროებასთან იყვნენ დაკავშირებული, სინამდვილეში ქვეყნისა და ერის ბედი კი არ აწუხებდათ, არამედ თავიანთი სტატუსის, ეკონომიკური კეთილდღეობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გავლენის შესანარჩუნებლად იღვწოდნენ. როცა ზვიად გამსახურდიამ ეს ხალხი ამხილა და მათ „კრემლის აგენტურა“ უწოდა, ამან საზოგადოების გარვეულ ნაწილში მძაფრი რეაქცია გამოიწვია, რადგან ერთ დროს ცნობილი ადამიანებისა და ერის სათაყვანო ელიტის წარმომადგენლების ასე საქვეყნოდ გამოჭენებას ვერვინ წამოიდგენდა... თუმცა წლების შემდეგ გაირკვა, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი, როგორც სხვ უამრავ შემთხვევაში, აქაც მართალი აღმოჩნდა.

ამ ხალხმა საქართველოს დაქცევაში უდიდესი როლი ითამაშა...

ეს ხალხი ერის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის უმძიმეს პასუხისმგებლობასა და ისტორიის ემაფოტს ვერ ასცდება!

*საკვანძო სიტყვები:* ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, თამრიკო ჩხეიძე, გენშერი, ბუში, ედუარდ შევარდნაძე, ნოდარ ლომოური, ელდარ შენგელაია, გიორგი შენგელაია, გიორგი ხოშტარია

ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას ედუარდ შევარდნაძე და მისი პოლიტიკური პატრონები 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის გადატრიალებაში ქართული ინტელიგენციის აქტიური მონაწილეობის გარეშე ვერაფრით დაამხობდნენ.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს სწორედ იმის ჩვენება წარმოადგენს, რომ შევარდნაძეს როგორც ინტელიგენცია, ისე ეკლესია და ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე სოკოებივით მომრავლებული „დისიდენტები“, ე.წ. „პრეს-კლუბელები“ თუ „თავისუფალი სიტყვის“ მქადაგებლები იმთავითვე ნაყიდი ჰყავდა. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, უამრავი ფაქტით დასტურდება. მაგალითად, ყოვლად წარმოუდგენელია, გვერდი აუარო ბატონი ავთანდილ რცხილაძის ერთ ცნობას,

რომელიც შევარდნაძის ცნობილი მეხოტბოსა და „ჰიმნოგრაფის“, ცნობილი მაესტროს – ჯანსუღ კახიძის ყოვლად უკადრის და გაუგონარ საქციელს ამხელს!

დაიხ, ედუარდ შევარდნაძის მიერ მოსყიდულმა, გადაბირებულმა თუ მოღორებულიმა კახიძემ 1991 წელს ედინბურგში, შოტლანდიაში გამართული პირველივე კონცერტის მსვლელობისას „საქართველოს სიმფონიური ორკესტრი მოულოდნელად გააჩერა და გაოცებულ დარბაზს შემდეგი სიტყვებით მიმართა: ქალბატონებო და ბატონებო, მოგმართავთ თხოვნით, იხსენით ჩემი სამშობლო – საქართველო პრეზიდენტ გამსახურდიას ფაშისტური რეჟიმისგან!“ [1. 301] აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რასაც პროფესორი ნოდარ ლომოური გაზეთ

წლების წინათ ქართულ პრესაში წერდა – რუსთაველზე ავტომატი კი მეჭირა, მაგრამ ჰაერში ვისროდიო!

არ ვიცით, ნოდარ ლომოურის მსგავსად რუსთაველზე ავტომატს ისროდა თუ არა, მაგრამ ვინმე პროფესორმა უჩა ბლუაშვილმა, რომელიც თავის დროზე შევარდნაძის ერთ-ერთი გუბერნატორის მრჩეველი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის კათედრის დოცენტი გახლდათ, დაბეჭდა წიგნი, რომელშიც ვკითხულობთ: „ქვეყანაში გამეფებული ქაოსის და განუკითხაობის მთავარი შემოქმედი სწორედ ყოფილი პრეზიდენტი იყო. ამ ქაოსს, განუკითხაობას, სეპარატისტული განწყობის გაძლიერებას, ორხელისუფლებიანობას და, საერთოდ, უხელისუფლებობას, სწორედ ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ მისი ხელმძღვანელობით გაშლილი ბრძოლა განაპირობებდა. გასცლოდა საქართველოს, ამაღლებულიყო პირად ამბიციებზე, შურისძიების გრძნობაზე და ქვეყანაში სიმშვიდე დაისადგურებდა“... [2. 158].

ანუ, ბლუაშვილის ლოგიკით, თურმე ყველაფერი ზვიად გამსახურდიას ბრალი ყოფილა, ხოლო ედუარდ შევარდნაძე და მისი ხელისბიჭები, რომლებიც ხელისუფლებაში მოსასვლელად ნებისმიერ სიბინძურეზე აწერდნენ ხელს, ბუნებაში არც არსებობდნენ და რომ არა გამსახურდია, საქართველო დღეს უბედნიერესი ქვეყანა იქნებოდა. უფრო მეტიც, უჩა ბლუაშვილი ზვიად გამსახურდიას პიროვნული თვისებების „ექსპერტ-შემფასებლად“ გვევლინება და აცხადებს: „გამსახურდია პრეზიდენტის პოსტზეც დისიდენტად დარჩა. მას პოლიტიკოსის თვისებები არ აღმოაჩნდა. მან ვერ გაიგო, რომ არ შეიძლება, პოლიტიკოსმა თქვას ყველაფერი, რაც პირზე მოადგება; არ შეიძლება, პოლიტიკოსი მოქმედებდეს იმპულსურად, ემოციურად, პირადი სიმპათია-ანტიპათიის მიხედვით... ასეთი „პოლიტიკოსი“ მარცხისთვის არის განწირული. გამსახურდიას ამ ნაკლზე თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ყურადღებას ამახვილებდა ედუარდ შევარდნაძე: „გამსახურდიასთვის ჭკუის სწავლებას არ ვაპირებ, ერთ ანბანურ ჭკმშიარტებას კი ვიტყვი: ამ რანგის პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე დიდ

რისკს ეწევა, როცა პირად სიმპათიებს და ანტიპათიებს ემონება, თავისდაუნებურად საკუთარი ვნებების სათამაშოდ აქცევს საქმეს!“ [2. 143].

მოკლედ, ბლუაშვილი ზვიად გამსახურდიას სიტყვა-პასუხსა და ქცევას „უწუნებს“, აქაოდა, ლაპარაკი არ გივარგოდაო!

ქართული ინტელიგენცია, რომ იმ სისხლიან და კრიმინალურ პროცესებში თავიდან ბოლომდე ჩართული იყო, ამას პროფესორ ნოდარ ლომოურის მოგონებათა წიგნიც ადასტურებს. ლომოური მაშინდელ „იმელის“ შენობაში ჯაბა იოსელიანსა და თენგიზ სიგუას შორის გამართულ ლაპარაკს იხსენებს და წერს: „ჯაბამ ასე მიმართა თენგიზ სიგუას – თენგიზ, შენ მეცნიერი ბრძანდები, მაგრამ ამ ქვეყნის მართვის გამოცდილება არ გაქვს. მე ვინ ვარ – ქურდი და ხელოვნებათმცოდნე, ქვეყნის მართვა არც მე გამეგება. ჩამოვიდეს შევარდნაძე, კაცი გამოცდილიცაა და დიდი ავტორიტეტიც აქვს მსოფლიოში. ჩამოვიდეს, გამოიყენოს თავისი გამოცდილება, ცოტა მოაწესრიგოს აქაურობა და მერე მოვიშორეთ! ბოლოს სიგუა და კიტოვანიც დათანხმდნენ, თუმცა, არცთუ ხალისით. ცხადია, ჯაბას საუბარი მე მიახლოებით დამამახსოვრდა“ [3. 55].

კიდევ უფრო შთამბეჭდავია ავტომატიანი პროფესორის, ნოდარ ლომოურის, ის მოგონება, რომელიც 1992 წლის აპრილის შუა რიცხვებში თბილისში გერმანიის ვიცე-კანცლერისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ჰანს დიტრიხ გენშერის სტუმრობას უკავშირდება.

გენშერი რომ ჩამოვიდა, კარგად მახსოვს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი გახლდით. სწორედ იმ დღეს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში ავტომატებით შეიარაღებულმა ბანდიტებმა სასტიკად დაარბიეს მშვიდობიანი საპროტესტო მიტინგი. 1991 წლის 2 სექტემბრისგან განსხვავებით, ამ და სხვა ბევრად უფრო უარეს დარბევებს, რასაც 1992 წლის 3 იანვარს, 6 იანვარსა და 2 თებერვალს დიდი მსხვერპლი მოჰყვა, როგორც რუსეთის ტელევიზიები, ისე დასავლეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტი ტოტალური დუმილი-

თა და სიყრუით შეხვდნენ. ახლა უკვე სხვა დრო დამდგარიყო, სხვა ქარი ქროდა და შევარდნადის განუყრელი მეგობარი ჰანს დიტრის გენშერიც, რომელმაც ხუნტის რეჟიმს მიტინგების დასარბევად საგანგებოდ გაწვრთნილი გერმანული ნაგაზები – ე.წ. გენშერები, ჩამოუყვანა, სულ სხვაგვარად ჭიკჭიკებდა.

აი, რას იხსენებს ნოდარ ლომოური, რომელიც შევარდნადესთან შეხვედრას ესწრებოდა: „გენშერმა ამას ყოველივეს უსმინა, კარგა ხანს დუმდა და ბოლოს უთხრა შევარდნადეს: „მე ბევრი რამ ვიცი, მაგრამ არა უშავს, მე მჯერა, რომ შენ შეძლებ ამ სიძნელების გადალახვას...“ მერე საკმაოდ საზეიმოდ მოგვიბრუნდა და მოგმართა: „ამ კაცს უნდა დაუჯეროთ! მან ბერლინის კედელი დაანგრია და მის ნაცვლად თქვენს ქვეყანას ააშენებს! ოღონდ თქვენ უნდა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოთ!“ [3. 61].

ბუნებრივად დაისმის კითხვა – მაინც რა იცოდა ჰანს დიტრის გენშერმა? იქნებ მან ყველაზე უკეთ იცოდა ის, რაც რუსეთის ყოფილ სახელმწიფო მდივან გენადი ბურბულის არასოდეს დაუმაღავს და ყოველთვის აცხადებდა: „1991-1992 წლების დეკემბერიანვრის ამბები მოსკოვში დაიგეგმა, სადაც ხშირად ჩამოდიოდნენ ქართველი ოპოზიციონერები. რუსეთის ხელისუფლება მონაწილეობდა სახელმწიფო გადატრიალებაში და მე თვითონ ვიღებ პასუხისმგებლობას „თბილისის ომზე!“ [4. 350].

უფრო მეტიც, მოსკოვის ყოფილი მერი გავრილ პოპოვი კონკრეტულ თანხასაც კი ასახელებდა, რომელიც ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დასამხობად მოსკოვმა გამოყო და არ მალავდა – „საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოსკოვს 65 მილიონი დაუჯდაო!“ [4. 351].

როგორც ჩანს, გენშერმა ამ და სხვა ამბების შესახებ ყველაფერი იცოდა და დიდი ალბათობით იმ სუფრასაც უჯდა, რომელსაც 1991 წლის ოქტომბერში გერმანიის ერთ პატარა ქალაქში ედუარდ შევარდნადე მასპინძლობდა. ეს ის შეკრება და ბანკეტია, სადაც გავლენიანმა სტუმრებმა ედუარდ შევარდნადე უკვე მოიხსენიეს „საქართველოს პრეზიდენტად“. ანუ 1991-1992 წლების დეკემბერიანვრის მოვლენებამდე სამი თვით ად-

რე მსოფლიოს მმართველ პოლიტიკურ და ბიზნესელიტას საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე ბუნებრივად დაისმის კითხვა – მაინც რას წარმოადგენდა ის „ინტელიგენცია“, რომელიც ზვიად გამსახურდიას დაუპირისპირდა? ამ კითხვას წინამდებარე ნაშრომის დასაწყისში ერთხელ უკვე უპასუხა აწ განსვენებულმა პროფესორმა, ცნობილმა ლიტერატორმა გიორგი გაჩეჩილაძემ, რომელმაც განაცხადა: „ზვიადი იყო პოლიტიკოსი, უფრო ადრე დაბადებული, რომელმაც წინ გაუსწრო თავის ეპოქას და მისი უკლებლივ ყველა პოლიტიკური პროგნოზი სიტყვა სიტყვით აუხდა როგორც საქართველოს, ისე დანარჩენ მსოფლიოს... ზვიადის დროს საქართველოს ჰყავდა არა ოპოზიცია, არამედ კონტრელიტა, რომლის მიზანიც სახელმწიფოს დაშლა იყო. ელიტამ გაყიდა თავისი ერი და მხარში ამოუდგა საკუთარ ქვეყანაში დამპყრობი ერის ჯარის შემომყვან ხელისუფლებას და ამ ხელისუფლებამ, ანუ შევარდნადემ, მადლობა გადაუხადა ქართულ ინტელიგენციას, რომელმაც იარაღი აიღო ხელში!“ [5. 7].

1991 წლის 21 სექტემბრის ღამეს საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ათეულობით ათასმა მომხრემ რუსთაველის პროსპექტი ირაკლი წერეთლისა და მისი ამფოსონების მიერ დაყრილი ქვა-ღორღისგან, რკინის მილებისა და არმატურებისგან გაწმინდა, მაგრამ ქართველმა ხალხმა ვერაფერი მოუხერხა და ვერ აღკვეთა აწ განსვენებულ პროფესორ გიორგი გაჩეჩილაძის მიერ ნახსენები იმ „კონტრელიტის“, ე.წ. ელიტური ინტელიგენციის, ამბოხი, რომელიც თავიდან ბოლომდე შევარდნადეს მიეყიდა. უშიშროების გენერალს, აწ განსვენებულ ანზორ მაისურამეს პირადად ჩემთვის არაერთგზის უთქვამს, რომ ძმები ელდარ და გიორგი შენგელაიები ტელევიზიის შენობასთან შეკრებილ შეიარაღებულ მემამოხეებს სისხლისღვრისაკენ მოუწოდებდნენ და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დასამხობად ახალგაზრდებს აგულიანებდნენ. იმავეს ადასტურებს ნოდარ ნათამეც, რომელიც თავადაც აქტიურად მონაწილეობდა კანონიერი ეროვნული ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობის სისხლიან ავანტიურაში.

აწ განსვენებული ნოდარ ნათამის ერთ-ერთი საგაზეთო ინტერვიუ, ფაქტობრივად, გასაღებია იმ დიდი დაპირისპირებისა და განხეთქილებისა, რომელმაც ეროვნულ მოძრაობაში იფეთქა და საქართველო შეიწირა. ნათამე იხსენებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარიჟრაჟს, როცა 1988 წლის 5 ნოემბერს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ“ იპოდრომზე პირველი ლეგიტიმური მიტინგი გამართა:

„5 ათას მომიტინგეში 2 ასეული უშიშროების აგენტი მაინც ერია. ამას იმით ვხვდებოდი, რომ მიტინგისას დროდადრო, 25-30 წუთის ინტერვალით, ყველა მხარეს რაღაც თავისებური ჩუმი სტვენა იწყებოდა, რომელიც სისინს წააგავდა. ეტყობა, ამით ან საკუთარ ურთიერთკავშირს ამოწმებდნენ, ან მიტინგის მონაწილეებს აფრთხილებდნენ, რომ თავი კონტროლის გარეშე დარჩენილად არ ჩაეთვალიათ. მიტინგი 4 საათს გაგრძელდა. მიტინგის ორგანიზატორი გურამ მამულია ძალზე ამაყობდა წარმატებით, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ისევ იპოდრომზე 80-ათასიანი მიტინგი ჩაატარა სხვა ჯგუფმა. მიტინგის მთავარი ფიგურა ზვიად გამსახურდია იყო. ეს გურამ მამულიამ ვერ აიტანა და შურმა დააწერინა ღვარძლიანი წერილი „კომუნისტში“. ეს ან შურით უნდა გაეკეთებინა, ან „სუკ“-ის ბრძანებით. ამ წერილის გამო გურამ მამულია, როგორც ხელისუფლების რუპორი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან გაირიცხა. სხვათა შორის, ის არ მალავდა ეჭვს, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების სამსახურები „ფაქიზად“ მართავდნენ და გამსახურდიაც დაახლოებით ასეთივე ეჭვით პასუხობდა. დიდი ხნის შემდეგ ერთმა ხორციან-სულიანად რუსეთის სამსახურში მდგომმა კაცმა, შემდგომ პარლამენტის წევრმა, მითხრა – 1991-92 წლების გადატრიალების წინ გურამ მამულია ელდარ შენგელაიასთან ერთად რუსეთის პარლამენტარებს ევედრებოდა, საქართველოს „ყურადღება“ მიაქციეთ, ანუ გამსახურდიას დამხობაში მიიღეთ მონაწილეობა! იპოდრომის მიტინგზე ვნახე პირველად გია ჭანტურია, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის იუბილის

საწინააღმდეგო პროკლამაციების გამო იყო დაპატიმრებული. გია ჭანტურია ზვიად გამსახურდიას წრეში ტრიალებდა – ცოცხალი, გონებასწრაფი ბიჭი იყო. იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც ყველაზე აქტიურნი იყვნენ ეროვნულ მოძრაობაში, ყველაზე პერსპექტიულად გია ჭანტურიას ვთვლიდი. ჩემი აზრით, კონკურენტად მხოლოდ ირაკლი ბათიაშვილი ჰყავდა... მოგვიანებით გ. ჭანტურია მოსკოვს გაემგზავრა. იქიდან ჩამოსვლის შემდეგ ვეღარ ვიცანი. იერგამოცვლილი, დამძიმებული და დადინჯებული მეჩვენა. იმ წრეს, რომელთანაც უპირატესი კონტაქტი მქონდა და რომელიც მერაბ კოსტავას ბინასა და ეზოში იკრიბებოდა, არ ეკარებოდა. ხშირად მესმოდა მას და ზვიადს შორის განხეთქილების შესახებ!“ [6. 6].

ვფიქრობთ, გია ჭანტურია მოულოდნელი „დადინჯების“ მიზეზების შესახებ ჩვენ სხვა ნაშრომებში უფრო ვრცლად და არგუმენტირებულად გვაქვს ნასაუბრები, მაგრამ რაც შეეხება ზემომოყვანილ ამონარიდში ნახსენებ პროფესორ გურამ მამულიას, ის ნოდარ ლომოურის მსგავსად „წითელი ინტელიგენტი“ გახლდათ, რომელსაც ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „ჩვენი ხელისუფლება სისხლით მოვიდა. ამ ბრძოლაში მე აქტიურად ვმონაწილეობდი. ეს აბსოლუტურად მეამაყება. მიმაჩნია, რომ იმ ხელისუფლების მოშორება საქართველოს ხსნის ერთადერთი გზა იყო. გამსახურდიას ხელისუფლების მოშორებით ჩვენ საზოგადოებას ქირურგიული ოპერაცია გავუკეთეთ. ის მოურჩენელი სენი იყო“ [7. 9].

პროფესორ გურამ მამულიას პირადად ვიცნობდით... ის განსაკუთრებული აგრესიით ებრძოდა სააკაშვილის რეჟიმის მიერ ქუჩაში დახვრეტილ გურამ შარაძეს და თავგამოდებით იცავდა საქართველოში ე.წ. თურქი-მესხების ჩამოსახლების იდეას. ყველა უბედურებასთან ერთად, პროფესორ მამულიას ხელს ადებენ და მოსკოვიდან იმ ფულის ჩამოტანაშიც ამხელენ, რომელიც 1993 წლის შემოდგომაზე ადმირალ ედუარდ ბალტინს ედუარდ შევარდნაძემ თავისი ემისრების ხელით

გადასცა. გამორიცხული არ არის, პროფესორი მამულია იმ ბინძური ფულის სკანდალშიც იყოს გახვეული, რომლის შესახებაც მოსკოვის ყოფილი მერი გავრილ პოპოვი ასე უტიფრად და უსინდისოდ საუბრობდა – „საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოსკოვს 65 მილიონი დაუჯდაო!“

საქართველოს დამაქცევრებს რომ ფული არ აკლდათ, ამას ნოდარ ნათაძის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ინტერვიუც ადასტურებს, სადაც „სახალხო ფრონტის“ ყოფილი ლიდერი ჯაბა იოსელიანისა და კომუნისტური მაფიის სამარცხვინო ალიანსს ამხელს: „ყველამ ვიცოდით, რომ ჯაბა იოსელიანის „მხედრიონი“ საქართველოს კომუნისტური მთავრობის უმძლავრესი და უმდიდრესი ქვეგანყოფილების – „აგრომრეწვის“ თავმჯდომარე გურამ მგელაძის მიერ ფინანსდებოდა. ის კი არა, ისიც კარგად არის ცნობილი, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში კომუნისტების დამარცხების შემდეგ, სანამ მოხდებოდა „მრგვალი მაგიდისთვის“ ხელისუფლების გადაბარება, გურამ მგელაძემ და მისმა „აგრომრეწვამ“ „მხედრიონს“ თავისი დაწესებულებიდან უზარმაზარი თანხა – 14 მილიონი მანეთი, გადაურიცხა! მანამდე კი, გუმბარაძის კომუნისტურმა ხელისუფლებამ თავის უკანასკნელ სხდომაზე ეს „მამველთა კორპუსი“, ანუ „მხედრიონი“, ოფიციალურად დაარეგისტრირა კიდევ. სხვათა შორის, ამ მგელაძეს და მის უწყებას ქვემო ქართლში მასობრივად ჰქონდათ მიყიდული მიწები ადგილობრივ თუ ჩამოსახლებულ არაქართველებზე, რითაც საქართველოს არანაკლებ ავნეს, ვიდრე ავადსახსენებელმა ყორღანაშვილებმა ამ 400 წლის წინათ...“ [7. 18-19].

ძმები ელდარ და გიორგი შენგელაიები და სხვა ნომრიანი გადამტრიალებლები კუბოს კარამდე ხელებს ასავსავებენ და ამტკიცებენ, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება არა რუსის ჯარმა და ედუარდ შევარდნაძემ, არამედ „სახალხო-დემოკრატიულმა რევოლუციამ“ წააღწია, მაგრამ ფაქტები სულ სხვას მეტყველებენ. ასე, მაგალითად, აწ განსვენებული ქართველი პედაგოგი ნელი კეტაშვილი სახელოვანი ფეხბურ-

თელის, 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ გელა კეტაშვილის მამიდა გახლდათ. 1991 წლის დეკემბერში, როცა შეიარაღებული მემბოხენი ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას ცეცხლსა და სიკვდილს უშენდნენ, ავადსახსენებელი მერვე პოლკის ბაზაზე, რომელსაც მისი საცხოვრებელი კორპუსი მალლიდან გადასცქეროდა, ქალბატონი ნელის ყურადღება რუსი გენერლის თუ პოლკოვნიკის ერთმა ბრძანებამ მიიპყრო. ნელი კეტაშვილი იგონებს: „იქნებოდა 1991 წლის 25 ან 26 დეკემბერი, ყოველ შემთხვევაში, ომი რუსთაველის პროსპექტზე რამდენიმე დღის დაწყებული იყო, როცა რუსი სამხედროების ლაპარაკს შევესწარი და მაშინვე ცუდად გავხდი! მივხვდი, რომ საქართველოსა და ზვიადის საქმე შავად იყო... დაახლოებით, საღამოს 6 საათზე, როცა რუსი ოფიცრები შეიკრიბნენ, ჯარისკაცები პლატზე მოაწყვეს და რომელიღაც გენერალმა თუ პოლკოვნიკმა შეკრებილებს ასეთი სიტყვით მიმართა: „ტოვარიში ოფიცერი ი სტარშინი, სლუშიტე ხოროშო! სეჩას პაიდიოტე ი პრიმიტე უჟინ, ა ვ 9 ჩასოვ ვსე ბუდიტე ნა მესტე, პატამუ ჩტო ოპოზიცია ნუჟდაეტსია ვ პომოში ი მი დოლჟნი პომოჩ იმ!“ ეს რომ გავიგონე, მაშინვე მივხვდი, თუ რა უბედურება ელოდა ქვეყანას და ნერვიულობისგან თავიდან ფეხებამდე ჟრუანტელმა დამიარა. გაფაციცებული ვითვლიდი წუთებსა და წამებს, რადგან სიმკაცრითა და სადიზმით განთქმული მერვე პოლკი, რომელიც კაცი-ჭამიებით იყო დაკომპლექტებული, კარგს არაფერს დაგვმართებდა. მართლაც, იმ საღამოს, დაახლოებით, ათის ნახევარზე, რუსთაველზე ისეთი საშინელი ძალით განახლდა ომი და სისხლისღვრა, ქალაქის ცენტრიდან რამდენიმე კილომეტრით მოშორებული ჩვენი საცხოვრებელი ბინაც კი ზანზარებდა. მაშინვე მივხვდი, რომ დაპირისპირებაში სწორედ რუსული მერვე პოლკი ჩაერია თავისი ოფიცრებითა და შეიარაღებით!“ [8. 13].

ედუარდ შევარდნაძის გავლენა მხოლოდ გურამ მგელაძესა და ზურაბ წერეთელზე არ ვრცელდებოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ 1988 წლის 22 ნოემბერს დაწყებული აქციები, რომელიც ზურაბ

ჭავჭავაძემ, თამრიკო ჩხეიძემ, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელმა და „უნივერსიტეტის პრესკლუბის“ აქტივისტებმა ააგორეს, სწორედ ედუარდ შევარდნაძის მიერ იყო ორგანიზებული. დიახ, დრომ და მავანთა პოლიტიკურმა მოღვაწეობამ დაადასტურა, რომ ვინც 1988 წლის ნოემბრის აქციების ავანგარდში იდგა, თამრიკო ჩხეიძით დაწყებული, ფიქრია ჩიხრაძით დამთავრებული, სუყველანი ედუარდ შევარდნაძის ნომრიან აგენტურას წარმოადგენდნენ. ერთადერთი გამონაკლისი მთელ ამ ბაკქანალიაში ირაკლი წერეთელი იყო... ამ მართლაცდა აგენტებმა, რომლებმაც მერე შევარდნაძეს გადაფურთხებული ათასგზის აულოკეს, 1988 წლის ნოემბრის აქციებს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა არ გააკარეს. მიუხედავად ამისა, თვითგამოცხადებულ მწერალ დავით მჭედლოურის თქმით, რომელიც სამარეში ისე ჩავიდა, რომ ზვიად გამსახურდიას ლანძღვა-გინების გარეშე ერთი დღეც არ უცოცხლია, „საზოგადოების ფართო წრეები ოქტომბერ-ნოემბრის აქციების ორგანიზატორებს თითქმის არ იცნობდნენ და ყოველივე ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას სახელს უკავშირდებოდა. ისინი იყვნენ სახალხო ბელადები, მათ გარშემო ირაზმებოდა თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟინით შეპყრობილი ათასობით ქართველი“ [9. 49].

უფრო მეტიც, გვაქვს საფუძვლიანი ექვი, ვიფიქროთ, რომ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარიჟრაჟზე ზვიად გამსახურდიას გარდა, ფაქტობრივად, ყველა პოლიტიკური ლიდერის თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა, 1987 წლის 31 ოქტომბერს სწორედ ედუარდ შევარდნაძის ფარულმა მსტოვრებმა შექმნეს. ბუნებრივად დაისმის კითხვა – რა გვამღევს მსგავსი განცხადების საფუძველს? საქმე ის არის, რომ ე.წ. პირველი ვიოლინოს ფუნქციას „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში“ ასრულებდნენ თამრიკო ჩხეიძე და ზურაბ ჭავჭავაძე, რომლებსაც ზვიად გამსახურდია „კრემლის აგენტებს“ უწოდებდა. საქვეყნოდ ცნობილია იმ ვიდეომასალის შინაარსი, რომელიც ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე დიდი ქართველი მეცნიერის, ზვიად გამსა-

ხურდიას ნათლიის, აკაკი გაწერელიას, სახელში გამართული „არაფორმალების“ თათბირის პროცესში შეიქმნა. იმ ფირზე კარგად ჩანს, თუ რა წინააღმდეგობები არსებობდა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერებს შორის და როგორ ემუქრებოდა გიორგი ჭანტურია ზურაბ ჭავჭავაძეს „მუბლის გახვრეტით“. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ამ თავყრილობაზე ზვიად გამსახურდიამ ზურაბ ჭავჭავაძეს აგინა და „სუკის აგენტი“ უწოდა...

ახლა კი, თამრიკო ჩხეიძის შესახებ! ხმები იმის თაობაზე, რომ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ალამდარი თამრიკო ჩხეიძეც „სუკის აგენტი“ და შევარდნაძის მიერ დანიშნული თუ ნებადართული „დისიდენტი“ იყო, თბილისში ჯერ კიდევ 70-იანი წლების მიწურულს გავრცელდა. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ხმების გავრცელებას დიდი ბიძგი მისცა ერთმა ძალიან უხერხულმა და საეჭვო ფაქტმა.

1978 წლის 25 მაისს საბჭოთა „სუკმა“ დააპატიმრა ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, მიტროპოლიტი გაიოზ კერატიშვილი. როგორც თომას ბეკეტი შეეწირა რიჩარდ ლომგულის მრისხანე და ძლევამოსილი მამის – ჰენრი მეორე პლანტაგენეტის, პოლიტიკურ აღზევებას, მიტროპოლიტი გაიოზ კერატიშვილიც, ზვიად გამსახურდიაც და მერაბ კოსტავაც სწორედ ასე წააკლეს ილია მეორის ინტრონიზაციას, რომელიც 1977 წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის დიდ და ბრწყინვალე ტაძარში აღსრულდა. მართლაც, პატრიარქის აღსაყდრებამდე ცოტა ხნით ადრე, კერძოდ, 1977 წლის პირველ აპრილს, ზვიად გამსახურდია ჯერ მწერალთა კავშირიდან გარიცხეს და მერე ჩრდილოეთ კავკასიაში, დაბა კოჩუბეიში გადაასახლეს, ხოლო მერაბ კოსტავა მოუსავლეთში, კვიტოკში განაწესეს და შორეული ციმბირის გულაგში ათი წლით გამოამწყვდიეს. თუ რა უძლოდა წინ ამ დაპატიმრებას, ეს ვრცელი და ძალზე საინტერესო თემაა, რომელსაც ამჯერად შეგნებულად არ შევეხებით, მაგრამ ამ მართლაცდა „წყევლაკრულვიან“ ისტორიაში ძალიან საყურადღებოა ერთი ამბავი. კერძოდ, საქმე ის გახლავთ, რომ მიტროპოლიტ გაიოზ კერატიშვილის სასამართლო პროცესზე, რომელიც ხელისუფლებამ



დახურა და დარბაზში „სუკის“ თანხმობის გარეშე ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა, რატომღაც საშვი მისცეს და შეუშვეს ხელისუფლებისადმი განსაკუთრებული „ურჩობითა და შეუწყნარებლობით გამორჩეული“ სტუდენტი თამრიკო ჩხეიძე. აწ განსვენებულ მიტროპოლიტ გაიოზთან პირადად მისაუბრია ამ თემაზე და მას არასდროს დაუმალავს, რომ თამრიკო ჩხეიძე მის სასამართლო პროცესზე დარბაზში მართლაც იჯდა. უფრო მეტიც, მეუფე გაიოზმა ისიც მითხრა, რომ სასამართლოზე დასასწრებად ან „რელიგიის საქმეთა რწმუნებულისგან“ უნდა აეღოთ შესაბამისი ნებართვა, ანდა მსგავსი საბუთი თავად მოსამართლე ალექო ალადაშვილს უნდა გაეცა, რომელსაც საბჭოთა საქართველოს სასამართლო სისტემისა თუ ძალოვანი უწყებების მესვეურები „სიკვდილის მოსამართლეს“ უწოდებდნენ. ცნობისათვის მოგახსენებთ, რომ ხშირად დახვრეტის განაჩენი, რომელიც საბჭოთა საქართველოში „ცეკას“ სანქციის გარეშე არ გამოჰქონდათ, სწორედ „სიკვდილის მოსამართლე“ ალექო ალადაშვილს უნდა გამოეცხადებინა. 1976-1978 წლებში საქართველოს „რელიგიის საქმეთა რწმუნებული“ გახლდათ თენგიზ ონოფრიშვილი – ქართველი პოლიტიკოსისა და საქმოსნის, დავით ონოფრიშვილის, მამა. „რელიგიის საქმეთა რწმუნებულის“ ინსტიტუტი სტალინმა თავიდანვე საბჭოთა „კაგებეს“ დაუქვემდებარა. აქედან გამომდინარე, ყველამ კარგად იცოდა, რომ 1978 წელს, როცა მიტროპოლიტ გაიოზ კერატიშვილის დახურულ სასამართლო პროცესებზე თამრიკო ჩხეიძე საგანგებო საშვით ხელში იჯდა, მას ეს საშვი სწორედ „კაგებემნიკმა“ თენგიზ ონოფრიშვილმა მისცა, რომელიც საბჭოთა საქართველოში უძლიერესი სპეცსამსახურის დანაყოფს – „რელიგიის საქმეთა რწმუნებულს“ – წარმოადგენდა და არა კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის დირექტორატს! ანუ „კაგებეს“ გარეშე თამრიკო ჩხეიძე მიტროპოლიტ გაიოზის პროცესზე ვერ მოხვდებოდა...

1979 წლის 27 მაისს №1 საგამომძიებლო იზოლატორის პატიმარმა, მიტროპოლიტმა გაიოზ კერატიშვილმა, საიდუმლოდ, თავისი ძმის ხელით წერილი გაუგზავნა გაზეთ „ივრის განთიადის“ მთავარ რედაქტორს, აწ

განსვენებულ ალექსანდრე ელერდაშვილს, ხოლო იმავე წერილის ასლი – მაშინდელი გაზეთ „კომუნისტის“ მთავარ რედაქტორ გიორგი (ჟორა) ბედინეიშვილს. ცხადია, ბედინეიშვილმა მიტროპოლიტის წერილი გაზეთის ფურცლებს არ გააკარა, მაგრამ ამ ამბიდან 18 წლის შემდეგ, 1997 წელს, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 50-ე ნომერში, მერვე გვერდზე გამოქვეყნდა მეუფე გაიოზის წერილი, რომელიც რედაქციაში სწორედ ალექსანდრე ელერდაშვილმა მოიტანა. წერილში მიტროპოლიტი გაზეთ „კომუნისტის“ მთავარ რედაქტორ გიორგი ბედინეიშვილს ამხელს და ეკითხება – „რად იყო დახმული სასამართლოს დარბაზის კარი ჩემი ახლობლებისთვის? ვინ ურიგებდა საშვებს რეზო ჩხეიძის გოგოს, მის ამხანაგებს და შენგან ფლიდობით აუგად ხსენებულ დისიდენტებს? ვინ ისმენდა ჩემს სატელეფონო საუბრებს და ვის მიჰქონდა ამ საუბრების შინაარსი ონოფრიშვილთან? ვინ და რა მიზნით ცდილობდა ჩემს ჩართვას სახელმწიფო დანაშაულებში ჯერ კიდევ 1974-1975 წლებიდან?“ [10. 12].

ვფიქრობთ, ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ თამრიკო ჩხეიძე „კაგებეში“ მიღებული პერსონა იყო! ეს კი გვაფიქრებინებს იმას, რომ 1987 წლის 31 ოქტომბერს თამრიკო ჩხეიძისა და ზურაბ ჭავჭავაძის მიერ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ შექმნა „კაგებეს“ ლოცვა-კურთხევის გარეშე ვერ და არ მოხდებოდა!

ალარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რაც ერთხელ უკვე ვთქვით – მერაბ კოსტავას დაღუპვის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ მიუნხენში რადიო „თავისუფლების“ თანამშრომელ თენგიზ გუდავას სატელეფონო საუბრისას უთხრა – თამარ ჩხეიძემ „შვიდჯერ მოუწყო მას (მერაბ კოსტავას. – დ. ჩუბინიძე) ავარია. ეს მერვეჯერ იყო, გესმის?! დიახ, მან ეს ყველაფერი განზრახ გააკეთა. ის იყო მიგზავნილი და ეს ნაძირალა ჭავჭავაძე, გესმის?! სანამ არ დაღუპეს, მანამდე არ შეეშვნენ!“ [11. 2].

თამრიკო ჩხეიძეს მერაბ კოსტავას მკვლელობაში მხოლოდ ზვიად გამსახურდია არ ადანაშაულებდა. საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ შევარდნაძის „იმედის“ პარლამენტში, ერთ-ერთი სხდომის ტრანს-

ლაციის დროს, ქართველმა კლასიკოსმა ჭაბუა ამირეჯიბმა თამრიკო ჩხეიძეს სწორედ 1989 წლის 13 ოქტომბერს ბორითთან დატრიალებული ტრაგედია გაუხსენა და ტელევიზიის პირდაპირ ეთერში წამოაძახა – „შენ კაცი მოკალი!“

თამრიკო ჩხეიძის გარემოცვაში საქმე მთლად კარგად რომ არ იყო, ამას ცნობილი პუბლიცისტი და მწერალი ირაკლი კაკაბაძეც ადასტურებს, თუმცა, ის მაინც მიიჩნევს, რომ ჩხეიძე საბჭოთა სუკთან წილნაყარი არ გახლდათ. თავის პუბლიცისტურ წერილში „1988 – ჩვენი დანაწევრების დასაწყისი“ ირაკლი კაკაბაძე წერს: „1987 წლის ბოლოდან საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო, ძირითადად, საბჭოთა დისიდენტებისგან შემდგარმა არაფორმალურმა ჯგუფმა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ“. ამ ორგანიზაციაში მოიაზრებოდნენ თავიდანვე გულაგიდან ახლად განთავისუფლებული მერაბ კოსტავა, თამარ ჩხეიძე, ჯუმბერ კოპალიანი, გია ჭანტურია, ნანა კაკაბაძე და ბოლოს უკვე ზვიად გამსახურდიაც. ამ არაფორმალური ჯგუფის ერთიანობა რამდენად დიდხანს გაგრძელდა, ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ძალიან არ მოეწონა ეს ფაქტი და სასწრაფოდ დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ დაეპირისპირებინა ამ ორგანიზაციისთვის გარკვეული „ლიბერალური ალტერნატივა“, რომელიც ძირითადად მხარს დაუჭერდა „პერესტროიკის“ მთავარ პუნქტებს, მაგრამ ეყოლებოდა რეფორმისტული ფრთის წარმომადგენლებიც, რომლებიც კომუნისტური პარტიის მიმართ კონსტრუქციულ კრიტიკასაც არ მოერიდებოდა. ამ დროს საქართველოში კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი იყო. შევარდნაძე უკვე კარგა ხნის წასული იყო მოსკოვში საგარეო საქმეთა მინისტრად. პატიაშვილის ერთ-ერთი საკვანძო ბიუროს წევრი კი, ნუგზარ ფოფხაძე გახლდათ. პატიაშვილმა და ფოფხაძემ გადაწყვიტეს, შეექმნათ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ალტერნატივა „რუსთაველის საზოგადოების“ სახით. 1988 წლის მარტში საგანგებოდ მო-

იწვიეს „რუსთაველის საზოგადოების“ ყრილობა, სადაც საზოგადოების საინტერესო ნარევი იყო: შედარებით ლიბერალური ნომენკლატურის, კომკავშირის „რეფორმისტული“ ფრთა და, ამავე დროს, ისეთი თავისუფალი ადამიანები, როგორც იყვნენ ბატონები აკაკი ბაქრაძე, რევაზ ჯაფარიძე, ნოდარ წულეისკირი და სხვები. აქვე ახალგაზრდების ნაწილში მოიწვიეს: ზურაბ ჟვანია, გიო მგელაძე, ლევან ვასაძე, გიორგი მარგველაშვილი, ელიზბარ მუჯირი, სტეფანე კალარჯიშვილი, დათო გამყრელიძე და სხვები. დათო ტურაშვილს, თედო ისაკაძეს, ფიქრია ჩიხრაძეს, ნიკო ნიკოლოზიშვილს და მათ მეგობრებს უკვე ჰქონდათ უნივერსიტეტში შექმნილი „პრესკლუბი“ და ამიტომაც ისინი არ მოვიდნენ დამფუძნებელ ყრილობაზე. საბოლოოდ, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, მის მოადგილეებად კი, რეზო ამაშუკელი, სოსო ცისკარიშვილი და კიდევ ერთი ქალბატონი. გამგეობის წევრები იყვნენ კოტე გაბაშვილი, აკაკი ბაქრაძე, გუჩა კვარაცხელია, ანდრია აფაქიძე და ბერი ცნობილი ხელოვანი და მეცნიერი“ [12].

მიგვაჩნია, რომ ირაკლი კაკაბაძე მწარედ ცდება. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ და მტკიცედ გვწამს, რომ საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი მსტოვრების „შემოქმედების“ ნაყოფი მხოლოდ „რუსთაველის საზოგადოება“ კი არა, არამედ უნივერსიტეტის „პრესკლუბი“ და „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაც“ იყო, რაც დრომ დაადასტურა!

ამდენად, 1991-1992 წლების სექტემბერიანვრის სახელმწიფო გადატრიალებას ბევრად უფრო ღრმა საფუძვლები აქვს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს!

ეროვნულ მოძრაობაში ჩართული პარტიებისა და ე.წ. „დისიდენტების“ მსუყე ნაწილი, ისევე როგორც მთელი ელიტარული ინტელიგენცია, თავიდან ბოლომდე ედუარდ შევარდნაძისა და საბჭოთა „კავებებს“ მიერ იყო შექმნილი. ამიტომ გასაკვირი სულაც არ არის, რომ ამ ადამიანებმა შევარდნაძის მიერ მოწყობილ გადატრიალებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს!

**EDUARD SHEVARDNADZE'S NUMBER  
"DISSIDENTS" AND "INTELLECTUALS" IN THE NATIONAL MOVEMENT OF  
GEORGIA**

Summay

The national government of Zviad Gamsakhurdia was attacked by Eduard Shevardnadze and his political patrons from several fronts. The dirtiest and darkest part of this struggle was the deployment of "intelligentsia" and "numbered" dissidents against the national government.

Since the communist regime, these people have always played the game of the government, but at the same time worshiped freedom, independence and other lofty ideals, in order to fit the mantle of a blameless ruler who cares about the fate of the country before the nation. Time has shown and confirmed that these people who were connected with Soviet security were not really concerned about the fate of the country and the nation, but were created to preserve their status, economic well-being and socio-political influence. When Zviad Gamsakhurdia exposed these people and called them "Kremlin's agency", it caused a strong reaction in the marginalized part of the society, because at one time, no one would have imagined that famous people and representatives of the venerable elite of the nation would be exposed in such a public way... However, years later it became clear that the first president of Georgia, As in many other cases, it turned out to be true here.

These people played a great role in the transformation of Georgia...

These people cannot escape the heaviest responsibility for the crime committed against the nation and the scaffolding of history!

*Key words:* Zviad Gamsakhurdia, Merab Kostava, Tamriko Chkheidze, Gensher, Bush, Eduard Shevardnadze, Nodar Lomouri, Eldar Shengelaya, Giorgi Shengelaya, Giorgi Khoshtaria

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. რცხილაძე ა., „მზე კავკასიისა“, თბ., 2018.
2. ბლუაშვილი უ., „ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოში 1987-1993 წლებში“. გამომცემლობა „გეორგიკა“, თბ., 2021.
3. ლომოური ნ., „საქართველო წარსული საუკუნის ბოლოს და ედუარდ შევარდნაძე“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2011.
4. კვესელავა ი., „საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკები II. „ზვიად გამსახურდია – დისიდენტი, პრეზიდენტი, მოწამე“, თბ., 2008.
5. „ასავალ-დასავალი“, 2007 წლის 19-25 თებერვალი.
6. „კვირის პალიტრა“, 2006 წლის 3 ივლისი.
7. „ასავალ-დასავალი“, 1998 წლის 13-19 აპრილი.
8. „ასავალ-დასავალი“, 2019 წლის 16-22 დეკემბერი.
9. მჭედლური დ., „თავისუფლების სახელით“, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1995.
10. „ასავალ-დასავალი“, 2018 წლის 21-27 მაისი.
11. „ივერია“, 1990 წლის 29 სექტემბერი, თბილისი-მიუნხენი. ზ. გამსახურდიას სატელეფონო საინფორმაციო საუბარი თენგიზ გუდავასთან ბორითის ავტოავარიის შემდგომ დღეებში.
12. კაკაბაძე ირ., „1988 - ჩვენი დანაწევრების დასაწყისი (ნაწილი III)“.  
<https://www.aliq.ge/ge/1988-chveni-danatsevrebis-das/>

✍ **ალა ბიბილაშვილი**

*Илиауნი, асоц. профессор*

## **Интеграция Молдовы в Евросоюз: проблемы и вызовы**

Целью данной работы является анализ современной общественно-политической ситуации в Республике Молдова и ее дальнейшего развития с учетом трансформирующихся стратегических факторов, влияния объективных международных реалий и активного участия влиятельных государственных деятелей. В исследовании рассматриваются вопросы основных констант внешней и внутренней политики Молдовы, развитие сложных демократических процессов, наличие определенной поляризации политических сил, связанной с различным видением путей будущего развития республики в аспекте межгосударственного сотрудничества, а также успешного завершения процесса европейской интеграции и членства в Евросоюзе.

В работе изучается круг вопросов, связанных с основными этапами формирования и развития интеграционных процессов Молдовы с государствами Запада, начиная с открытия в Кишиневе представительства Европейского Союза и формирования коалиции политических партий под названием «Альянс за европейскую интеграцию».

Став в 2014 году ассоциированным членом ЕС, Молдова получила возможность развивать с ним более тесные двусторонние взаимоотношения на основе политического взаимопонимания, в том числе расширенную зону свободной торговли, имеющей приоритетное значение для дальнейшей экономической интеграции. Создание в 2021 году главами Украины, Грузии и Молдовы «Ассоциированного трио» стало важным фактором для пути дальнейшего европейского развития всех трех государств.

В итоговом документе были зафиксированы их общие приоритеты в достижении поставленной цели: вступление в Европейский Союз и НАТО, обеспечение мира и безопасности в Черноморском регионе, непоколебимая приверженность ценностям Европейского союза и проведение комплексных реформ в соответствии с демократическими принципами и учетом основных внешнеполитических координат Евросоюза.

საინტერესოა განვიხილოთ, რომელი ძირითადი ნორმატიული დოკუმენტებით რეგულირდება ევროკავშირის მედიაციის საქმიანობა, პირველად მედიაცია და შუამავლობა განიხილებოდა, როგორც კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობის მიმართ ევროკავშირის საერთო მიდგომის განუყოფელი ნაწილი ევროკავშირის მედიაციისა და მოლაპარაკებების შესაძლებლობების გაძლიერების კონცეფციის ფარგლებში, რომელიც ევროკავშირის საბჭომ 2009 წლის ნოემბერში დაამტკიცა. ეს დოკუმენტი ყველაზე სრულად ასახავდა ევროკავშირის მიდგომას მედიაციის მიმართ. პირველ რიგში, წარმოდგენილია ევროკავშირის საქმიანობის პრევენციული და ყოვლისმომცველი ბუნება კონფლიქტებში, რაც გულისხმობს მედიაციის ინსტრუმენტების ფართო სპექტრის ერთდროულ გამოყენებას, როგორცაა „პოლიტიკური, დიპლომატიური, სამხედრო და სამოქალაქო ინსტრუმენტები, ვაჭრობა და განვითარების ინსტრუმენტები“ [7].

მეორეც, კონცეფცია განსაზღვრავს ევროპული მედიაციის მუდმივ ხასიათს და აღნიშნავს ევროკავშირის სურვილს გამოიყენოს მედიაციისა და მშვიდობიანი დიალოგის რესურსები კონფლიქტის ნებისმიერ ეტაპზე. ევროკავშირის გლობალური სტრატეგია (2016 წ.) განსაკუთრებით ხაზს უსვამს ევროკავშირის მედიაციის მზარდ როლს აქტიური საერთაშორისო კონფლიქტების გადაწყვეტაში [8].

ამავდროულად, მედიაცია აღიარებულია, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ევროკავშირის ინტერე-

სების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო უსაფრთხოების კონტექსტში.

ევროკავშირის მედიაციის საქმიანობის განვითარებას არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, დაწყებული 1996 წელს ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელთა ინსტიტუტის შექმნით, როდესაც ევროკავშირის საბჭომ გამოსცა პირველი მანდატები ევროკავშირის წარმომადგენლების მონაწილეობისთვის აფრიკის დიდი ტბების რეგიონში კონფლიქტების მოგვარებაში და ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში მონაწილეობით. ამ დროის განმავლობაში, ევროპულმა მედიაციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა: შეზღუდული წრის ადამიანთა დახურულ კარს მიღმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებებზე მოლაპარაკების პრაქტიკიდან - კონფლიქტის ყველა ფაზაში მრავალი საკითხის განხილვისა და კონფლიქტის მხარეების, ინკლუზიური შუამავლების, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო პარტნიორებისა და სხვათა ჩართულობის უზრუნველყოფამდე [9].

ასე რომ, ევროკავშირის მედიაციის საქმიანობის განვითარებამ ორი ძირითადი ეტაპი გაიარა. პირველი - „ლისაბონამდე“ - ევროკომისიის ეგიდით, იმდროინდელი ერთ-ერთი ცენტრალური დოკუმენტის შესაბამისად, გოტენბურგის პროგრამა ძალდობრივი კონფლიქტების პრევენციისთვის (2001) და მეორე - „პოსტ ლისაბონი“ - ევროკავშირის საბჭოს, წევრი ქვეყნების, ევროკავშირის საგარეო ოფისისა და საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის დომინირებით [10].

2009 წლიდან ევროკავშირის მედიაცია განვითარდა ევროკავშირის მედიაციისა და მოლაპარაკების შესაძლებლობების გაძლიერების კონცეფციის შესაბამისად, ამ პერიოდის განმავლობაში ევროკავშირი საკმაოდ აქტიური იყო.

მსოფლიოში ევროკავშირის მედიაციის მხარედი როლის ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს როგორც მედიაციის ინსტიტუციონალიზაცია ზესახელმწიფოებრივ დონეზე თვით ევროკავშირში, ასევე რეგიონული ორგანიზაციებისა და არასამთავრობო აქტორების საქმიანობაში მედიაციის გამაძლიერებელი ის ინიციატივები, რომლებიც მხარდაჭერილია ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების მიერ გაეროსთან თანამშრომლობით [11].

2007-2016 წლებში გაეროს გენერალური მდივნის, პან გი მუნის, თქმით, „ევროკავშირი... არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავლობის პოტენციალის გამყარების აშკარა მომხრე და მხარს უჭერს გაეროს ამ ძალისხმევაში, მათ შორის მნიშვნელოვანი ფინანსური უზრუნველყოფის გზით; ეს ორგანიზაციები ატარებენ რეგულარულ კონსულტაციებს საშუამავლო თანადგომის მოთხოვნებზე შეთანხმებული რეგულირების ხელშეწყობისა და ძალისხმევის პოტენციური დუბლირების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით“ [12].

გაეროსა და ევროკავშირს კრიზისული დიპლომატიის და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებისას საერთო და გადაფარვითი სახელმძღვანელო პრინციპები ახასიათებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური რეგულირების პრიორიტეტს, ინტეგრირებულ მიდგომას პოლიტიკური მოგვარებისა და პოსტკონფლიქტური რეკონსტრუქციისადმი, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას პოლიტიკურ და მოლაპარაკებების პროცესში, კანონის უზენაესობისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმას და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას [13. 139-144].

2018 წლის სექტემბერში ევროკავშირმა და გაერომ დაამტკიცა თანამშრომლობის სტრატეგიული პრიორიტეტების ახალი პაკეტი - პრიორიტეტები ევროკავშირისა და გაეროს სტრატეგიული პარტნიორობისთვის სამშვიდობო ოპერაციებისა და კრიზისების მართვის სფეროში 2019-2021 წლებში. ევროკავშირი რეგულარულად მონაწილეობს გაეროს მაღალი რანგის ექსპერტების (2010 წლიდან) შეხვედრებში (რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება), რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და, ასევე, გაეროსთან ერთად, არის სამუშაო სემინარებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელ (მედიაციის ოპერატიული მხარდაჭერის სამთავრობოთაშორისი ორგანიზაციების ფარგლებში) ექსპერტთა შეხვედრების ორგანიზატორი.

პირველი ასეთი შეხვედრა რომში 2016 წლის ნოემბერში შედგა [14], მეორე - 2018 წლის ოქტომბერში კენიაში [15].

ექსპერტებისა და არსებული შუამავლების შეხვედრები, მედიაციის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა ახალი გლობალური გამოწვევების კონტექსტში რჩება ევროკავშირის, როგორც წამყვანი საერთაშორისო აქტორის, საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან სფეროდ საერთაშორისო მედიაციის საკითხებში. გაეროში ფინეთისა და თურქეთის ინიციატივით 2010 წელს შექმნილი „მედიაციის მეგობრების ჯგუფი“ ამჟამად მოიცავს 52 სახელმწიფოს, რომელთაგან 23 ევროპულია, 17 ევროკავშირის წევრი. ამ ჯგუფში ასევე შედის 8 რეგიონული ორგანიზაცია, სხვა ორგანიზაციებთან ერთად შედის ევროკავშირი და ეუთო [16].

ევროკავშირი მჭიდროდ არის ინტეგრირებული საერთაშორისო მედიაციის განვითარებაში და, ასევე, აქტიურად თანამშრომლობს გაეროს მედიაციის მხარდაჭერის ქსელთან (MSN), რომელიც ხელს უწყობს და აუმჯობესებს მედიაციის პრაქტიკას, პროცესებსა და სტანდარტებს პოლიტიკური დამაბულობისა და შეიარაღებული კონფლიქტების მოსაგვარებლად [17].

MSN-ქსელი მოიცავს ბევრ არასამთავრობო მოთამაშეს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ევროკავშირის მედიაციის საქმიანობაში, მათ შორისაა: ბერგოვის ფონდი (გერმანია), ჰუმანიტარული დიალოგის ცენტრი (შვეიცარია), კრიზისების მართვის ინიციატივა (ფინეთი), საერთო ნიადაგის მიება (ბელგია, აშშ) და სხვ. [18].

მედიაციის საქმიანობაში ევროკავშირის მონაწილეობის მოდელი გაწერილია ევროკავშირის მედიაციისა და მოლაპარაკების შესაძლებლობების გაძლიერების კონცეფციაში (2009) და განხორციელებულია როგორც მონაწილეობა მედიაციაში, მედიაციის გამოყენება, მედიაციის მხარდაჭერა, მედიაციის დაფინანსება [19].

თავის საქმიანობაში ევროკავშირი იზიარებს მედიაციაში მონაწილეობის ორ ძირითად ფორმატს: ესაა, საკუთრივ მედიაციის საქმიანობა და ევროკავშირის მხრიდან მესამე ქვეყნების მედიაციის მხარდაჭერა. ამასთან აღსანიშნავია, რომ დარეგულირე-

ბის პროცესებში ინკლუზიური შუამავლების მხარდაჭერა და დაფინანსება განიხილება, როგორც ევროკავშირის მედიაციის საქმიანობის არსებითი კომპონენტი.

მედიაციის მხარდაჭერის პოლიტიკის ფარგლებში, ევროკავშირი მოქმედებს როგორც მედიაციის პროცესში მრავალი მონაწილის ძალისხმევის კოორდინატორი, ხშირად ახორციელებს „მრავალმხრივი დიპლომატიის“ კონცეფციას, რომელიც თეორიულად მოიცავს მედიაციის სამ შესაძლო გზას.

კერძოდ, პირველი დონე არის ოფიციალური დიალოგი, პირდაპირი მოლაპარაკებები „წნეხის დიპლომატიის“ მოშველიებით, მონაწილე-ლიდერების მცირე რაოდენობით; მეორე დონე არის არაოფიციალური დონე, რომელშიც ჩართულნი არიან სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები და, ასევე მონაწილეები, რომელთაც შეუძლიათ ექსპერტული ზეგავლენის მოხდენა პირველი ტრეკის მონაწილეებზე; მესამე დონე არის მოლაპარაკებების ქვედა ან „აღმავალი“ დონე, რომელშიც ჩართულნი არიან საზოგადოების ის წარმომადგენლები, რომელთაც საკუთარ თავზე აქვთ განცილი ძალადობრივი კონფლიქტის გავლენა [20. 7-8].

ევროკავშირის მედიაციის აქტივობებში მონაწილეთა სპექტრი საკმაოდ ფართოა - მედიაცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა აქტორების მიერ და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა დონეზე, მათ შორის საგარეო საქმეთა უმაღლესი წარმომადგენლის, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლების, საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სტრუქტურების, ევროკავშირის დელეგაციათა ხელმძღვანელების, ევროპარლამენტის წევრებისა და სხვათა ჩართულობით.

ევროკავშირი მედიაციის საქმიანობაში, როგორც საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სტრუქტურის, ასევე საგარეოპოლიტიკური დეპარტამენტის დონეზე, აერთიანებს ექსპერტთა ფართო სპექტრს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ბიზნესს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

სამედიაციო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს ევროკავშირის წევრმა ქვეყ-

ნებმა და მათმა წარმომადგენლებმა. მედია-ციის მრავალდონიანი მოდელი მოითხოვს გარკვეულ ინსტიტუციურ სტრუქტურას ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის სისტემაში და განისაზღვრება არა მხოლოდ კონფლიქტური სიტუაციის მოგვარების ოპერატიული ამოცანებით, არამედ მჭიდროდ არის დაკავშირებული აღნიშნული კავშირის „ინტერესების გეოპოლიტიკასთან“.

2019 წელს, საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) და კრიზისზე რეაგირების სტრუქტურების შიდა რეორგანიზაციის ფარგლებში, სხვა ქვედანაყოფებთან ერთად, შეიქმნა ახალი ინტეგრირებული უსაფრთხოებისა და მშვიდობის დირექტორატი (ISP) - კონფლიქტის ციკლის სრულ სპექტრში კონფლიქტებისა და კრიზისებისადმი ევროკავშირის რეაგირების ეფექტიანი კოორდინაციის გზით ინტეგრირებული მიდგომის გამტარებელი, რომლის უმთავრესი პასუხისმგებლობის სფეროში შედის ასევე კრიზისის მართვა და დაგეგმვა [21]. დღეისათვის დირექტორატი შედგება ხუთი დეპარტამენტისგან, რომელთა შორის კონფლიქტების პრევენციას და მედიაციის მხარდაჭერას ახორციელებს მეორე დეპარტამენტი (ISP 2). მედიაციის საკითხებს განიხილავს ასევე აღნიშნული დირექტორატის მეხუთე დეპარტამენტი [21].

ცოტა ადრე, 2017 წლის იანვარში, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის დეპარტამენტის სტრუქტურაში მოხდა კონფლიქტების პრევენციის, მშვიდობისა და შუამავლობის სამმართველოსა და კრიზისებზე რეაგირებისა და კოორდინაციის განყოფილების გაერთიანება; შეიქმნა ახალი სტრუქტურა - კონფლიქტების პრევენციის, კანონის უზენაესობის, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის, მთლიანობის, სტაბილიზაციისა და მედიაციის სამმართველო

(PRISM), რომელმაც გააერთიანა ყველა მანამდე არსებული ექსპერტული ცოდნა კონფლიქტის ციკლის ყველა ეტაპზე [22]. PRISM-ის უფლებამოსილება ასევე მოიცავს მედიაციის საკითხებს.

რაც შეეხება ფინანსურ უზრუნველყოფას, 2020 წლის ივლისის ევროკავშირის სამიტის შედეგად მიღებულ იქნა ახალი მრავალწლიანი ფინანსური ჩარჩო (MFF) 2021-2027 წლებისთვის. ამ მრავალწლიანი ფინანსური გეგმის სტრუქტურიდან გამომდინარე, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური საქმიანობის დაფინანსება გათვალისწინებულია გეგმის მეექვსე ნაწილში: „მეზობლობა და მშვიდობა“. ამასთან, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტების, ასევე ევროკავშირის საგარეოპოლიტიკური საქმიანობის დაფინანსების სტრუქტურების მოდერნიზაციის შესახებ [23].

ასე რომ, სტაბილურობისა და მშვიდობის ინსტრუმენტი (ICSP), ევროკავშირის მედიაციის საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტი (2014-2020 წლებში), ინტეგრირებული იქნა უფრო ფართო და ყოვლისმომცველ - მეზობლობის, განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის - ინსტრუმენტში (Neighbourhood, Development and International Cooperation Instrument (NDICI)). NDICI მიზნად ისახავს ათამდე საგარეოპოლიტიკური ინსტრუმენტისა და ფონდის ჩანაცვლებას; მეზობლობის, განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტის ფარგლებში 2021-2027 წლებში დაგეგმილია ევროკავშირის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულების, მათ შორის მედიაციის, დაფინანსება 70 მილიარდ 800 მილიონი ევროს ოდენობით [24].

*GIORGI KHIDIRBEGISHVILI – GTU, PhD Student*

## APPROACHES OF THE EUROPEAN UNION IN SOLVING MODERN INTERNATIONAL CONFLICTS

### Summary

International conflicts have been a part of human history since ancient times. Despite many scientifically based attempts to generalize conflicts and to develop certain universal rules for their resolution and negotiation approaches based on this, practice shows that each conflict is



unique and requires special tools for resolution. The world is changing rapidly, a new world order is being formed, societies are facing new challenges, scientific and technological progress, including in the military and information fields, contributes to the fact that conflicts have changed qualitatively and acquired completely new forms. The 21st century is often called the century of new generation conflicts in scientific circles, which requires deep study and the development of new methods of solving them. Therefore, the modern "agenda" sets researchers such new tasks as: to find universal tools for influencing conflicts, which will create opportunities to prevent the escalation of latent conflicts and the emergence of new conflicts.

*Key words: conflict, security, mediation, European Union, United Nations.*

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. УРЕГУЛИРОВАНИЕ СОВРЕМЕННЫХ МЕЖДУНАРОДНЫХ КОНФЛИКТОВ: ПРОБЛЕМЫ, ИНСТРУМЕНТЫ, МЕТОДЫ. Сборник статей Под редакцией Н.В. Шевчук, Н.М. Михеевой, М.А. Буланаковой, Москва 2020. [https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/project-result-content/f19d3c2a-653a-42f4-b105-0c8d7bcd5574/\\_onflict\\_resolution\\_ex.pdf](https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/project-result-content/f19d3c2a-653a-42f4-b105-0c8d7bcd5574/_onflict_resolution_ex.pdf)
2. A Global Strategy for the European Union's Foreign and Security Policy. Shared Vision, Common Action: A Stronger Europe.   
[https://eeas.europa.eu/archives/docs/top\\_stories/pdf/eugs\\_review\\_web.pdf](https://eeas.europa.eu/archives/docs/top_stories/pdf/eugs_review_web.pdf) (date of application: 15.06.2020).
3. Bercovitch J. Mediation in international conflict: a novel view of theory, are view of practice. In: I. W. Zartman and J. Lewis, eds. Peacemaking in international conflict: methods and techniques. Washington, DC : United States Institute of Peace, 1997. P. 163-194. Цит. по: Müller P., Bergmann J. Orchestrating peace in South Sudan: exploring the effectiveness of the European Union's mediation support // European Security. 2020. Vol. 29. № 2. P. 149-169.
4. Council of the European Union. Concept on Strengthening EU Mediation and Dialogue Capacities. 10.11.2009. [https://eeas.europa.eu/archives/docs/cfsp/conflict\\_prevention/docs/concept\\_strengthening\\_eu\\_med\\_en.pdf](https://eeas.europa.eu/archives/docs/cfsp/conflict_prevention/docs/concept_strengthening_eu_med_en.pdf) (date of application: 24.08.2020).
5. Reinforcing the EU-UN strategic partnership on crisis management. [https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/factsheet\\_eu\\_un\\_missions\\_july\\_2019\\_0.pdf](https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/factsheet_eu_un_missions_july_2019_0.pdf) (date of application: 09.07.2020).
6. Haastrup T., Bergmann J., Whitman R., Niemann A., Davis L., Natorki M., Richter S. Version 2.0: Rebooting the EU's International Mediation Role. Policy Brief UACES. April 2019. P. 1.
7. Council of the European Union. European Security Strategy. 08.12.2003. <https://data.consilium.europa.eu/doc/document/ST15895-2003-INIT/en/pdf> (date of application: 24.05.2020).
8. A Global Strategy for the European Union's Foreign and Security Policy. Shared Vision, Common Action: A Stronger Europe.   
[https://eeas.europa.eu/archives/docs/top\\_stories/pdf/eugs\\_review\\_web.pdf](https://eeas.europa.eu/archives/docs/top_stories/pdf/eugs_review_web.pdf) (date of application: 24.08.2020).
9. Grevi G. Making EU Foreign Policy: The Role of the EU Special Representatives// CFSP Forum. 2007. Vol. 5. Issue 5. <https://www.lse.ac.uk/international-relations/assets/documents/efpu/cfsp-forum/CFSP-Forum-vol-5-no-5.pdf> (date of application: 20.08.2020); Global Challenges and Trends in International Peace Mediation and Diplomacy: A Background Note.   
[https://eeas.europa.eu/archives/docs/cfsp/conflict\\_prevention/docs/20160519-global-challenges-and-trends\\_final\\_en.pdf](https://eeas.europa.eu/archives/docs/cfsp/conflict_prevention/docs/20160519-global-challenges-and-trends_final_en.pdf) (date of application: 09.06.2020).
10. Sherriff A. What have we learned from the past regarding EU conflict prevention and peacebuilding — and where could mediation and dialogue fit in? // Strengthening the EU's

- peace mediation capacities. Leveraging for peace through new ideas and thinking / ed. by Tanja Tammine. 2012. P. 26-27.
11. Introduction // Strengthening the EU's peace mediation capacities. Leveraging for peace through new ideas and thinking / ed. by Tanja Tammine. 2012. P. 10-11.
  12. Сотрудничество между Организацией Объединенных Наций и региональными и субрегиональными организациями в области посредничества. A/70/328. 19 августа 2015 г. Доклад Генерального секретаря. С. 11. <https://undocs.org/ru/A/70/328> (дата обращения: 12.04.2020).
  13. Щербак И. ЕС — ООН: в поисках стратегического партнерства в сфере глобальной безопасности и управления кризисами // Научно-аналитический вестник ИЕ РАН. 2019. № 2. С. 139-144.
  14. Technical Expert Retreat Operationalizing mediation support within intergovernmental organizations — sharing experience and good practice. [https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/Summary\\_Note\\_Rome\\_Technical\\_Expert\\_Retreat\\_Nov\\_2016.pdf](https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/Summary_Note_Rome_Technical_Expert_Retreat_Nov_2016.pdf) (date of application: 09.07.2020).
  15. Second Technical Expert Workshop, Nairobi, Kenya, 17-19 October 2018. Operationalizing mediation support within intergovernmental organizations: sharing experience and good practice. [https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/182010\\_Summary\\_2nd\\_technical\\_workshop\\_on\\_mediation\\_support.pdf](https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/182010_Summary_2nd_technical_workshop_on_mediation_support.pdf) (date of application: 24.08.2020).
  16. Group of Friends of Mediation. <https://peacemaker.un.org/friendsofmediation> (date of application: 24.08.2020).
  17. The Mediation Support Network. <https://mediationsupportnetwork.net/> (date of application: 24.08.2020).
  18. Mediation Support Network. <https://peacemaker.un.org/mediation-networks/MSN> (date of application: date of application: 24.08.2020).
  19. Council of the European Union. Concept on Strengthening EU Mediation and Dialogue Capacities. 10.11.2009. [https://eeas.europa.eu/archives/docs/cfsp/conflict\\_prevention/docs/concept\\_strengthening\\_eu\\_med\\_en.pdf](https://eeas.europa.eu/archives/docs/cfsp/conflict_prevention/docs/concept_strengthening_eu_med_en.pdf) (date of application: 24.08.2020).
  20. Göldner-Ebenthal K., Dudouet V. From Power Mediation to Dialogue Support? Assessing the European Union's Capabilities for Multi-Track Diplomacy. Research Report. Berlin : Berghof Foundation, 2017. P. 7-8.
  21. Common Security and Defence Policy (CSDP) structure, instruments, agencies. [https://eeas.europa.eu/headquarters/headquartershomepage\\_en/5392/Common%20Security%20and%20Defence%20Policy%20\(CSDP\)%20structure,%20instruments,%20agencies](https://eeas.europa.eu/headquarters/headquartershomepage_en/5392/Common%20Security%20and%20Defence%20Policy%20(CSDP)%20structure,%20instruments,%20agencies) (date of application: 24.08.2020).
  22. EEAS. Annual Activity Report. 2017. P. 12. [https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annual\\_activity\\_report\\_2017.pdf](https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annual_activity_report_2017.pdf) (date of application: 16.03.2020).
  24. Briefing. EU Legislation in Progress. 2021-2027 MFF. A new neighbourhood, development and international cooperation instrument. February 2020. [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2018/628251/EPRS\\_BRI%282018%29628251\\_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2018/628251/EPRS_BRI%282018%29628251_EN.pdf) (date of application: 20.08.2020).
  25. European Council. Conclusions. Special meeting of the European Council (17, 18, 19, 20 and 21 July 2020). <https://www.consilium.europa.eu/media/45109/210720-euco-final-conclusions-en.pdf> (date of application: 20.08.2020).

## ევროკავშირის პოლიტიკურ-ეკონომიკური სტანდარტები და საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მოდერნიზაცია

საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და ცივი ომის დასრულების შემდეგ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ გზაზე მას ბევრი წინააღმდეგობები შეხვდა. რუსეთთან საომარი მოქმედებების შედეგად დაკარგეთ ქვეყნის ტერიტორიების 20%. ამან საქართველოს კიდევ ერთხელ უბიძგა თავისი ისტორიული არჩევანი გაეკეთებინა. ეს არის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია. ამ გზაზე ევროკავშირის განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება. ევროკავშირთან დაახლოება, მასში ინტეგრაცია და ევროპულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დამკვიდრება პანაცეა არ არის, იგი არც რაიმე აჩემბაა. ევროკავშირში ინტეგრაცია ნიშნავს ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნას, კომფორტულად ცხოვრებას, განვითარების შესაძლებლობას. ევროკავშირი წარმოადგენს მიზანს, მაგრამ ასევე წარმატებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირი წარმოადგენს საშუალებას მიზნის მისაღწევად.

საქართველომ უნდა დააკმაყოფილოს ის სტანდარტები, რომელიც ევროკავშირს გააჩნია, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული პროდუქცია ევროპულ ბაზარზე ვერ მოხვდება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ამ სტანდარტებს სრულად ვერ ვაკმაყოფილებთ, პროცესი პოზიტიურად ვითარდება.

*საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, საქართველო, ევროპული ბაზარი, ევროპული სამეზობლო პოლიტიკა, DCFTA.*

ქართულ რეალობაში ხშირად ვხვდებით სკეპტიკურ დამოკიდებულებას ევროკავშირის ეკონომიკურ ბაზარზე საქართველოს დამკვიდრების შესახებ, რაც, ჩვენი აზრით, სწორი არ არის. ევროატლანტიკური მისწრაფება ჩვენი ხალხის ისტორიული არჩევანია. ამ არჩევანს არაერთი თაობა შეეწირა. მაგრამ ხშირად ბევრს არ ესმის ევროკავშირში, ევროპულ ოჯახში გაწევრიანების მნიშვნელობა.

ევროკავშირს, ბუნებრივია, თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური სტანდარტები გააჩნია. იგი თავისუფალი სამყაროა. გვთავაზობს ამ სტანდარტებს. შეგიძლია მიიღო, შეგიძლია არა, მაგრამ ამ სტანდარტებს თუ არ დააკმაყოფილებ, ცხადია, მასში ვერ მოხვდები. ჩვენ ამით იმის თქმა სულაც არ გვსურს, რომ ევროკავშირის თავისი გეოპოლიტიკური მიზნები და ამოცანები არ გააჩნია. ბუნებრივია, მას ეს გააჩნია, რაც თანა-

მედროვე ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში ნათლად გამოჩნდა, მაგრამ ევროკავშირი არ ღალატობს თავის ერთხელ არჩეულ ფასეულობებს და ავტორიტარული რეჟიმებისათვის მასში ადგილი არ რჩება.

ევროკავშირი სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ურთიერთობებს ბევს სახელმწიფოსთან, მათ შორის საქართველოსთან.

XX საუკუნის ბოლო ათწლეული საქართველოსათვის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების თვალსაზრისით უმძიმესი ხანა იყო. მკვეთრად დაეცა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე და სიღარიბე საყოველთაო მოვლენად იქცა. ამას ერთვოდა მძიმე პოლიტიკური ვითარებაც. ამ არახელსაყრელი ფაქტორების გამო საქართველო უზარმაზარი პრობლემის წინაშე იდგა – ეს იყო ბრძოლა გადარჩენისთვის. ასეთ მდგომარეობაში საქართველოს საგა-

რო პოლიტიკის წარმატებული საქმიანობისთვის ესაჭიროებოდა ძლიერი და ანგარიშგასაწევი ძალა, რომელიც მას ზურგს გაუმაგრებდა. ასეთ ძალად იმ დროს ქვეყანას მოეწვინა ევროკავშირი. იგი იყო ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო გაერთიანება, რომელმაც საქართველოს დახმარების ხელი გამოუწოდა.

სწორედ ამ დროს, 1992 წლიდან საქართველო ჩაერთო ევროკავშირის TACIS-ის (Technical assistance of independent states) პროგრამაში. ამ პროგრამით უნდა მომხდარიყო ევროკავშირსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის თანამშრომლობის განხორციელება გრანტების სახით. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ამ ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და დემოკრატიზაციის პროცესის ხელშეწყობა [1].

1993 წლიდან კი ტექნიკური დახმარების გარდა, საქართველომ დაიწყო ევროკავშირიდან ფინანსური და ჰუმანიტარული დახმარებების მიღება. ამდენად, ამ დროიდან საქართველოში ევროკავშირის ეკონომიკური დახმარების სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: საფინანსო დახმარება; ჰუმანიტარული დახმარება (ძირითადად სასურსათო დახმარების სახით) და ტექნიკური დახმარება.

აღსანიშნავია, რომ 1995 წლიდან საქართველო სარგებლობს სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP), რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მხრიდან, შედარებით სუსტი ქვეყნების ექსპორტის ხელშეწყობის კუთხით დახმარებაში. საქართველოს განადგურებული ეკონომიკისთვის ამ სისტემით სარგებლობა მეტად მნიშვნელოვანი და იმედისმომცემი იყო. საქართველო სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით დღემდე სარგებლობს და მისი საშუალებით ქართული წარმოების პროდუქტები ევროკავშირის ბაზარზე ნულოვანი საბაჟო განაკვეთით შედის. ეს შედეგები კი ევროკავშირის ბაზარზე ქართული ექსპორტის გაზრდის მიმართულებით დღემდე მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს, თუმცა ამ პროდუქტების ჩამონათვალი ძალიან მწირია და იგი

საქართველოს ეკონომიკაზე ფაქტიურად ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს.

საქართველომ 1997 წლის 1 სექტემბრიდან დაიწყო ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესი, დაამტკიცა რა ეროვნული პროგრამა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში. ევროკავშირის კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის უამრავ მიმართულებას. 2003 წლიდან საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობებმა უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო და ქვეყანაში აქტიურად დაიწყო, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური რეფორმების გატარება.

2004 წლის 14 ივნისს, საქართველო ჩაერთო ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში. ამ პოლიტიკით ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირთან დაახლოებისაკენ მიისწრაფვის, თანდათანობითი ინტეგრირების შესაძლებლობა ეძლევათ. აღმოსავლეთ პარტნიორობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემატური პლატფორმა ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ეს არ არის უბრალო თანამშრომლობა, იგი უკავშირდება მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინტეგრირებასა და ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას. 2006 წელს საქართველომ ევროკავშირისგან მიიღო ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებასაც ხელი შეუშალა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა. 2007 წლის 21 ივნისს საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB) შორის ხელი მოეწერა ჩარჩო ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოსათვის შეღავათიანი სესხის სახით ფინანსურ მხარდაჭერას ითვალისწინებდა. ფინანსური მხარდაჭერა საქართველოში სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, ენერგეტიკის, საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდა.

მიუხედავად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა, მხარეებს შორის ურთი-

ერთობები მაინც განვითარდა და 2010 წლის 15 ივლისს დაიწყო მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირის შორის „ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე“, რომელიც ასევე „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას“ მოიცავს. 2011 წლის 14 ივლისს ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის შეთანხმებას სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2012 წლის 1 აპრილს. ორმხრივი აქტიური თანამშრომლობის შედეგად 2013 წლის 28 ნოემბერს, ვილნიუსში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის ფარგლებში, „საქართველო-ევროკავშირის ასოცირებისა“ და მისი შემადგენელი, „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების“ (DCFTA) პარაფირება განხორციელდა [2].

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“, რომელიც რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს. 2015 წელს ევროკომისიამ საქართველოსათვის მაკროეკონომიკური დახმარების ახალი პაკეტი გამოყო. ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებში, რომელიც საქართველოსთვის 46 მილიონი ევროს გამოყოფას ითვალისწინებდა. საქართველომ აღნიშნული თანხა ორი თანაბარი ტრანშის - სესხისა და გრანტის სახით მიიღო. ეს დახმარება განკუთვნილი იყო საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული რეფორმების მხარდაჭერისათვის, კერძოდ, ეკონომიკური მმართველობის, სოციალური ინკლუზიურობისა და ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერებისათვის.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმება 2016 წლის ივლისში შევიდა ძალაში.

შეთანხმების ეკონომიკური მიზანია საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზების პროცესის მხარდაჭერა, ევროკავშირთან და

სხვა, მსოფლიოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებთან ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობით და ეკონომიკური რეგულირების ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად რეფორმირების გზით. ეს ნაბიჯები, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ეკონომიკური ინტეგრაციის უმაღლესი დონის მიღწევას [3. 1].

ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმება საქართველო-ევროკავშირის შორის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ევროკავშირთან დაახლოებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით [4. 20], ისევე როგორც შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, როგორც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ნაწილი. შეთანხმება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნის, ინვესტორთათვის ქვეყნის მიმზიდველობის ზრდის (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში) და მათ შორის გაზრდილი საექსპორტო სავაჭრო მაჩვენებლების თვალსაზრისით [5. 22].

DCFTA-ის ფარგლებში რეგულირდება საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტი [2].

ევროკავშირში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების თანახმად ნებისმიერი პროდუქტი, რომლის იმპორტიც ხორციელდება მის ფარგლებში მკაცრად კონტროლდება სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. თავისთავად საქართველოში ამ მიმართულებით მოქმედი სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმები საჭიროებს დახვეწას და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებას. აღნიშნული პროცესი, რომლის შედეგად შეიქმნება ევროპული სტანდარტების შესაბამისი სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სისტემა, ხელს შეუწყობს საქართველოს ბაზარზე სურსათის კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესებას, რაც პირდაპირ აისახება საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

ევროკავშირი ყოველწლიურად საქართველოს ტექნიკური და ფინანსური დახმარების სახით 100 მლნ ევროზე მეტ თანხას გამოყოფს. DCFTA-ის შესაძლებლობების გამოყენებით საქართველო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 6,5%-მდე გაიზრდება. წინასწარი გათვლებით, 5 წლის განმავლობაში საქართველოდან ექსპორტის მოცულობა გაიზრდება 13,5%-ით. ამასთან, აღსანიშნავია ინვესტორების ნდობის ზრდა საქართველოს მიმართ, რაც ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ზრდისთვის აუცილებელი პირობაა.

ევროკავშირის დახმარება მეტად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის. ეს ხელს უწყობს ქართულ საწარმოებს ევროპულ სტანდარტებზე გადასვლაში და უზრუნველყოფს ევროპულ ბაზარზე წვდომას. თუმცა ევროპული სტანდარტების დაკმაყოფილება განსაკუთრებით რთულია მცირე ბიზნესისათვის, ერთის მხრივ, საჭიროა ახალ სტანდარტების შესაბამისი საწარმოო პროცესების დანერგვა, ხოლო, მეორე მხრივ, მხოლოდ მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოება თავისთავად არ გულისხმობს უპირობო კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე.

იმისათვის, რომ ევროკავშირთან ეკონომიკური თანამშრომლობა იყოს ეფექტური და საქართველოს მოუტანოს ყველა შესაძლო სიკეთე, საჭიროა რეფორმების თანმიმდევრული, დროული და სწორი განხორციელება. მნიშვნელოვანია ევროკავშირის ქვეყნებში უკვე განხორციელებული რეფორმების ანალიზი, წარმატების და შეცდომების გაანალიზება, ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ქვეყნებში არსებული გარემოებების შესაბამისი რეფორმების საქართველოში ხელაღებით გადმოტანა ყოველთვის ვერ იქნება იმავე შედეგის მომტანი, ამიტომ საჭიროა ქვეყანაში არსებული გამოწვევების გათვალისწინება და ადექვატური რეფორმების განხორციელება. ამასთანავე საგულისხმოა, რომ ევროკავშირთან სავაჭრო ურთერთობების გაფართოების შედეგად დადებით ეფექტი მიიღწევა 5-10 წლიან პერიოდში, მაშინ როდესაც საჭირო რეფორმების განხორციელებისათვის საჭირო დანახარჯების გაწევა საჭიროა დღეს.

სწორედ ამიტომ საკანონმდებლო დაახლოების პროცესი უნდა იყოს აგებული პრიორიტეტებზე, საექსპორტო დარგების განვითარებაზე, ბაზარზე სამუშაო ძალთა გონივრულ ცვლილებაზე და ა.შ.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერიდან სავაჭრო ნაკადებსა და პროდუქციის გაცვლის სტრუქტურაში უკვე იკვეთება მოკლევადიანი ეფექტები, შეინიშნება ექსპორტის და იმპორტის ზრდაც. ვაჭრობის მოცულობის ზრდის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად მიჩნეულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, რაც დაკავშირებულია საკანონმდებლო ბაზის დახვეწასა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასთან.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური ზრდა ბოლო წლების განმავლობაში სახეზეა.

ევროკავშირმა დადებითად შეაფასა საქართველოს პროგრესი ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნათა შესრულების პროცესში [6], ასევე პოლიტიკური მიმართულებით გადადგმული სასიკეთო ნაბიჯები და 2023 წლის დეკემბერში ოფიციალურად მივიღეთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი [7].

DCFTA დებულებები ძირითადად საქართველოს სოფლის მეურნეობის და სავაჭრო პროდუქტების წარმოების სექტორებზე ახდენს გავლენას. ევროკავშირის სტანდარტების დაკმაყოფილებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის სურსათის უვნებლობისა და სურსათის ჰიგიენის დაცვა. ასევე მნიშვნელოვანია კვალიფიციური კადრების მომზადება.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად დაისახა. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ევროკავშირის მხარდაჭერით სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) განხორციელება გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ [8].

ENPARD-ი ევროკავშირის ერთ-ერთი წამყვანი პროგრამაა საქართველოში, რომლის მიზანია სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. ამ პროგრამით უკვე შეიქმნა პროდუქციის ახალი მოდელები და განვითარდა თანამედროვე სერვისები. პროგრამა განხორციელდა სამ ფაზად: პირველი ფაზის პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა იყო, ხოლო მეორე და მესამე ფაზები მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების შექმნას. სამივე ფაზით საქართველომ მიიღო 180 მილიონი ევროს დახმარება. III ფაზაში, რომელიც მოიცავს 2018-2021 წლებს, გამოყოფილია 77.5 მილიონი ევრო [9].

2017 წლის 12 აპრილს საქართველო და საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეთანხმდნენ სამწლიან (2017-2020) გაფართოებულ შეთანხმებაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის საკრედიტო დახმარების ფარგლებში ეკონომიკური სფეროს რეფორმის ხელშეწყობის მიზნით. 2017 წლის ივნისში საქართველოს მთავრობამ ევროკავშირისგან ახალი მაკროეკონომიკური დახმარების პროგრამის განხორციელებაც ითხოვა. 2017 წლის 29 სექტემბერს ევროკომისიამ საქართველოს შესთავაზა ახალი მაკროეკონომიკური დახმარების პროგრამა 45 მილიონ ევრომდე თანხით (10 მილიონამდე ევრო გრანტების, ხოლო 35 მილიონი ევრო - სესხების სახით).

შემოთავაზებული მაკროეკონომიკური დახმარების პროგრამა, რომელიც ძალაში შესვლამდე და თანხების გაცემამდე უნდა დაამტკიცონ ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ, დაეხმარება საქართველოს მომავალ წლებში გარე ფინანსურ საჭიროებათა ნაწილის დაფინანსებაში [10].

ამრიგად, საქართველო - ევროკავშირის ურთიერთობები დინამიურად ვითარდება. მართალია ამჟამად ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან ძალზე მცირე პროდუქცია შედის, მაგრამ პროცესი დაწყებულია და შეინიშნება მზარდი დინამიკა, თანაც საქართველო სწავლობს იმ ტექნოლოგიებს, რომელსაც ევროკავშირი იყენებს თავის ბაზარზე. ეკონომიკური პოლიტიკა ევროკავშირის „რბილი ძალის“ იარაღია, მაგრამ აქ საქმე გვაქვს ინტერესთა თანხვედრასთან. საქართველომ თავად გადაწყვიტა გაწევრიანდეს თავისუფალ ერთა კავშირში. თავად ევროკავშირის შიგნით ბევრ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული შეხედულებები. ეს განსაკუთრებით ეხება მოწყვლად თემებს, რელიგიურ საკითხებს, ინტეგრაციულ პრობლემებს, არალეგალურ მიგრაციას და ა.შ. მაგრამ ევროკავშირის ძალა იმაშია, რომ თითქმის ყველა პრობლემა კონსენსუსის გზით წყდება. თუნდაც ამიტომ საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანება ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად რჩება.

*IULIA TKESHELASHVILI - GTU, PhD Student*

## **POLITICAL AND ECONOMIC STANDARDS OF THE EUROPEAN UNION AND MODERNIZATION OF GEORGIAN ECONOMIC POLICY**

### **Summary**

After the collapse of the Soviet Union and the end of the Cold War Georgia gained independence. On the road to freedom, Georgia faced many obstacles. Because of hostilities with Russia, we lost 20% of our country's territories. This, once again, directed Georgia to make its historical decision, which is integration in the Euro-Atlantic space. The European Union plays a crucial role in this process. The idea of integrating with the European Union and establishing Georgian products on European market is not a whimsical decision, nor is it a definite solution; it means creating normal, comfortable living conditions and a chance to develop. The European Union is the goal, but at the same time, is the key to achieving the goal.

Georgia has to satisfy the standards set by the European Union; otherwise, Georgian products will not be allowed into the European market. Even though, as of today, we do not meet the said standards, it is a process progressing positively.

**Key words:** European Union, Georgia, European market, European Neighbourhood Policy, DCFTA.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია. <https://mfa.gov.ge/european-union/903144-saqartvelo-evrokavshiris-urtiertobebis-mnishvnelovani-movlenebis-qronologia>
2. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. <https://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7>
3. ემერსონი მ., კოვზირიძე თ., საქართველო და ევროკავშირი. მოკლე გზამკვლევი, თბ., 2016.
4. „The South Caucasus and its Wider Neighbourhood“, Jos Boonstra, 2015, p.20
5. ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო, 2014.
6. „ევროკავშირი საქართველოს პროგრესისა და გამოწვევების შესახებ“ - <https://www.radiotavisupleba.ge/a/verokavshiri-sakartvelos-gamotsvevaze/27370712.html>
7. ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა. <https://civil.ge/ka/archives/568370>
8. „საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროკავშირის მხარდაჭერით 12 მილიონი ევროს ღირებულების პროექტი იწყება“- <https://eeas.europa.eu/delegations/georgia/38786>
9. „ევროკავშირი და საქართველოს მთავრობა სოფლის მეურნეობის სფეროში ევროკავშირის ოთხწლიან მხარდაჭერას აფასებენ“ - [https://eeas.europa.eu/delegations/georgia\\_ka/37308](https://eeas.europa.eu/delegations/georgia_ka/37308)
10. ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ, ბრიუსელი, 2017.
11. Jos Boonstra „The South Caucasus and its Wider Neighbourhood“, , 2015.



## მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის წარმოშობის პოლიტიკური ასპექტები

1980-იან წლებში მიხეილ გორბაჩოვმა საბჭოთა კავშირის ფარგლებში ახალი რეფორმების პოლიტიკა წამოიწყო. რეფორმები, რომელიც ყურადღებას უფრო მეტად ამახვილებდა დებატებზე და ღია დისკუსიაზე, სსრკ-ში ნაციონალიზმის საკითხის აღორძინებას გაუხსნა გზა. გორბაჩოვისეულმა რეფორმების ეპოქამ საბჭოთა რესპუბლიკებში ნაციონალიზმის აღზევება გამოიწვია. ამ თვალსაზრისით კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი მთიანი ყარაბაღის მხარე იყო, რომელიც აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში შედიოდა. აქვე უნდა ითქვას, რომ, ამ რეგიონის მოსახლეობის 70-80 პროცენტი სომხებისაგან შედგებოდა. მითითებული ფაქტორის გამო ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ქუჩებში დემონსტრაციები ხშირად იმართებოდა, სომეხი ხალხი სომხეთის რესპუბლიკის და მთიანი ყარაბაღის ოლქის გაერთიანებას ითხოვდა.

დღესდღეობით მთიანი ყარაბაღი დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია. თავის მხრივ, აღნიშნული საკითხი მსოფლიო თანამეგობრობის მიერ არის აღიარებული. საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 1988 წელს მთიანი ყარაბაღში ურთიერთობა დაიძაბა ადგილობრივ მაცხოვრებლებს - ეთნიკურ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. აღნიშნული გამოწვეული იყო ეთნიკური სომხების სურვილით, ავტონომიის სახით შეერთებოდნენ სომხეთს. ეთნიკური დაპირისპირება, თავისი სიმწვავის გათვალისწინებით გასცდა მთიანი ყარაბაღის საზღვრებს და სომხეთსა და დანარჩენ აზერბაიჯანში გავრცელდა.

რუსეთისთვის ყარაბაღის საკითხი, სამხრეთ კავკასიაში ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი კონფლიქტური კერაა, რამდენადაც სწორედ აღნიშნული საკითხის მეშვეობით მოახერხა მან სომხეთზე და მის საგარეო კურსზე გავლენის მოპოვება. თავის მხრივ ერევანში კარგად აცნობიერებენ, რომ მოსკოვის კეთილგანწყობის დაკარგვა მათ ძვირად დაუჯდებათ. აღნიშნულის გათვალისწინებით არ არის გასაკვირი, რომ სომხეთი დღემდე რჩება რუსეთის სტრატეგიულ მოკავშირედ.

*საკვანძო სიტყვები: კონფლიქტები, ტერიტორიული მთლიანობა, ავტონომიური ოლქი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყარაბაღი.*

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე მსჯელობისას სასურველია გავიხსენოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი. რუსული წყაროების თანახმად, ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის ხვედრითი წილი ყარაბაღის რეგიონში 1823 წლისთვის 9%-ს შეადგენდა, ხოლო მუსლიმი მოსახლეობის წილი - 91%-ს, 1832 წელს სომხების წილი 35% იყო, ხოლო 1880 წლისთვის სომხები უმრავლესობაში იყვნენ და სრული მოსახლეობის 53%-ს შეადგენდნენ. ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის ხვედრითი წილის სწრაფი ტემპებით ზრდა მიანიშნებს, რომ 1853-56 წლის ყირიმის ომისა და 1877-1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, იმპერიულმა რუსეთმა დაინახა აზერბაიჯანელების მხარდა-

ჭერა ჯერ ოტომანთა იმპერიის და შემდეგ მისი სამართალმემკვიდრე თურქეთის მიმართ, რის გამოც რეგიონში სომხების ჩასახლება შეუწყო ხელი და რუსეთისთვის ჩვეული მეთოდებით, ეთნიკური კონფლიქტი წაახალისა [1. 3].

რეგიონში არაერთი სამხედრო დაპირისპირება გაიმართა. 1994 წლის სამხედრო კონფლიქტი „არცახის“ გამარჯვებით დასრულდა, რის გამოც, რეგიონის დატოვება იძულებით მოუწია 700,000-ზე მეტ აზერბაიჯანელს. ყარაბაღის ტერიტორიაზე კი ამ ფაქტორის გათვალისწინებით მოსახლეობის თითქმის 100%-ს შეადგენდნენ სომხები.

1994 წლიდან კონფლიქტი განელდა, რამაც გარკვეულწილად დიდ როლს თამა-

შობდა ეუთო-ს მინსკის ჯგუფი. ამავე 26-წლიან პერიოდში, კონფლიქტი რამდენიმე დღიანი შეტაკებებით მიმდინარეობდა, მათ შორის გამოირჩევა 2016 წლის სამხედრო დაპირისპირება [2. 4-5].

სამი ათწლეულის განმავლობაში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება მრავალჯერ დაირღვა. 2019 წლის აგვისტოში სომხეთის პრემიერ-მინისტრი - ნიკოლ ფაშინიანი ესტუმრა რეგიონს, სადაც მან წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: „არცახი სომხეთია, წერტილი.“ მწვავე პოლიტიკურ ფონზე, 2020 წლის ივნისში ათასობით აზერბაიჯანელმა საპროტესტო აქცია გამართა სომხეთის წინააღმდეგ. ამავე წლის 27 სექტემბერს კი მთიანი ყარაბაღის საკონტაქტო ხაზის გასწვრივ, რომელიც 1988-1994 წლების ომის შემდეგ დამყარდა, სამხედრო შეტაკებები დაიწყო. საპასუხოდ სომხეთმა და არცახმა სრული მობილიზაცია და საოპერატიული მდგომარეობა გამოაცხადეს. მობილიზაცია ასევე აზერბაიჯანმაც გამოაცხადა, მათ კონფლიქტში სამხედრო ავიაცია, დრონები და მძიმე არტილერია ჩართეს [3. .

როგორც საერთაშორისო ანალიტიკოსები ვარაუდობენ, საბრძოლო მოქმედებები აზერბაიჯანულმა მხარემ დაიწყო.

მომხდარს მალევე მოჰყვა საერთაშორისო გამოხმაურება, დაწყებული კონფლიქტი მკაცრად დაგმო გაერომ და ევროპის ბევრმა ქვეყანამ. ისინი მხარეებს მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებდნენ. საბოლოოდ მხარეები მოსკოვში, 10 ოქტომბერს ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ, რომელიც არაერთხელ დაირღვა. ამასთანავე გარდაცვლილთა და დაჭრილ პატიმართა გაცვლის პროცესი შეჩერდა [4].

უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ-თურქული გეოპოლიტიკური დინამიკის და მილსადენის გამო იყო საშიშროება, რომ დაპირისპირება ფართო რეგიონული კონფლიქტის სახეს მიიღებდა [5].

მოსკოვში შემდგარი საზავო შეთანხმების შესაბამისად, სომხეთის ჯარებმა ტერიტორიები გაათავისუფლა აზერბაიჯანის შვიდ რეგიონში, რომლებსაც ისინი აკონტროლებდნენ მთიანი ყარაბაღის გარშემო. მითითებული ტერიტორიები სომხებმა 90-იანი წლების პირველ ნახევარში დაიკავეს

და მას შემდეგ შეინარჩუნეს აღნიშნული მდგომარეობა. ფაქტობრივად აზერბაიჯანის ჯარების კონტროლქვეშ ყველა ის ტერიტორია დარჩება, რომელიც მათ დაიკავეს 27 სექტემბრიდან 10 ნოემბრამდე შუალედში. ქვეყნებს შორის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების იმედი ბოლოს 2001 წელს იყო, როდესაც აშშ-ში, მხარეებს შორის მოლაპარაკების შედეგად გარკვეული შეთანხმების მიღწევის იმედი გაჩნდა, თუმცა საბოლოო ჯამში მხარეებს შორის ვერ შედგა შეთანხმება. ამის შემდეგ სომხეთ-აზერბაიჯანის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებები მუდმივად მიმდინარეობდა, თუმცა კონკრეტული შედეგის ამ მოლაპარაკებებს არ მოჰყოლია. ასევე უშედეგო გამოდგა სომხეთის ახალი ლიდერის ნიკოლ ფაშინიანის და აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის განახლებული მოლაპარაკებებიც.

აღნიშნულის გათვალისწინებით ერთი მხრივ სამშვიდობო მოლაპარაკებით იმედგაცრუებული, მეორე მხრივ კი საერთაშორისო შუამავლების პასიურობით უკმაყოფილო აზერბაიჯანი იწყებს პრობლემის სამხედრო ჩარევით გადაწყვეტას. შიდა და საგარეო ფაქტორების ერთობლიობამ, მხარეთა მორიგების არაერთმა უშედეგო მცდელობამ მთიან ყარაბაღში ხელი შეუწყო ომის განახლებას.

ყარაბაღის კონფლიქტში მკაფიოდ არის გამოკვეთილი რუსეთი და თურქეთი. თურქეთმა მკაფიოდ აღნიშნა, რომ ის მხარს უჭერს მხოლოდ და მხოლოდ აზერბაიჯანს. ამით ნათელია, რომ ის არ არის ნეიტრალური მხარე, როგორც ამერიკა, ან როგორც საქართველო, თურქეთი ასევე არ საუბრობს მოლაპარაკების მაგიდის აუცილებლობაზე. მან თავისი პოზიციით აშკარად გამოხატა სტრატეგიული ხედვა, რითაც თურქეთი აქტიური გეოპოლიტიკური მოთამაშე გახდა. ამ თვალსაზრისით რუსეთი უფრო ხელფეხშეკრულია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ზოგადი განწყობა ცალსახა და ნათელია. რუსეთი გარკვეულწილად ვალდებულია სომხეთს დაეხმაროს, თუმცა ყარაბაღის ტერიტორიაზე საომარ მოქმედებებს ვერ გამართავს, რადგან მან კარგად იცის, რომ ყარაბაღი აზერბაიჯანის ტერიტორიად ითვლება. რუსეთი საომარ მოქმედებებში იმ

შემთხვევაში ჩაერთვება, როდესაც აღნიშნული მდგომარეობა გასცდება ყარაბაღის ტერიტორიას და არ გავრცელდება სომხეთის სხვა ტერიტორიებზე. ამდენად რუსეთი საჯაროდ ვერ დაუჭერს მხარს სომხეთს. აღნიშნულში რუსეთს ასევე ხელს უშლის მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეობა, რომლის ფარგლებშიც მას ევალება არა კონკრეტული პოზიციის დაფიქსირება და რომელიმე ქვეყნის დახმარება, არამედ უნდა ნეიტრალური და მომრიგებლის როლის მორგება. 2020 წლის ზაფხულში, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სასაზღვრო შეტაკებების შემდეგ ბაქოში ვიზიტით მყოფმა თურქმა თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანი მარტო არ არის და თურქეთი ყოველთვის დაეხმარება ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი ყარაბაღის ომში 90-იანებშიც იყო ჩართული, რომელიც ძირითადად მოხალისეებისა და სამხედრო ინსტრუქტორების დახმარებაში გამოიხატა [6].

უნდა ითქვას, რომ ყარაბაღში მიმდინარე კონფლიქტში თურქეთი ორი ძირითადი მიზეზით ჩაერთო. პირველი, ეს არის შიდა პოლიტიკური მიზეზი. თურქული ნაციონალისტური მოძრაობის პარტია უბიძგებს ერდოღანს შესაბამისი მოქმედებებისკენ, რადგან ახლა მისი ხელისუფლად ყოფნის გახანგრძლივება პრაქტიკულად მათზეა დამოკიდებული. მეორე კი ისაა, რომ კავკასიაში გააქტიურებით თურქეთი ცდილობს, რომ მეტი ჰქონდეს სავაჭრო რუსეთთან, მათ შორის, ლიბიაზე, სირიაზე და ა.შ. [6].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ის არის, რომ მხარეთა შორის ფართომასშტაბიანი ომისა და, განსაკუთრებით ახალი ტერიტორიების დაკავების შემთხვევაში, გამორიცხული არაა გაჩნდეს ლტოლვილთა ახალი ნაკადები. იმ შემთხვევაში თუ მოვლენები ამ მიმართულებით განვითარდება, შესაძლოა, ლტოლვილთა ნაწილი საქართველოსკენაც დაიძრას, რაც ჩვენს ქვეყანას ახალი სახის გამოწვევების წინაშე დააყენებს. ასევე მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული განზომილება აქვს „მეწამორის“ ატომური ელექტროსადგურის საკითხს, რომელიც სომხეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. საბრძოლო მოქმედებების ინტენსიფიკაციისა და

დროში გაწევის შემთხვევაში, ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს შესაძლოა დაემატოს ახალი გაუთვალისწინებელი გარემოებები და საკითხები, რომლებმაც, თავის მხრივ, შესაძლოა დამატებითი გამოწვევები და თავსატეხივარი მოუტანოს საქართველოს.

უფრო ფართო კონტექსტში რომ განვიხილოთ, უნდა ითქვას, რომ ყარაბაღის კონფლიქტის არსებობა, პოლიტიკური თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიის ერთიან რეგიონად ჩამოყალიბებას გამოიცხადებს. აღნიშნული კონფლიქტის არსებობა ართულებს სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გარდა სხვა ქვეყნების უფრო აქტიურ შემოსვლას, იქნება ეს მომიჯნავე თურქეთი თუ სხვა დასავლეთის ქვეყნები.

რუსეთისთვის ყარაბაღის საკითხი, სამხრეთ კავკასიაში ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი კონფლიქტური კერაა, რამდენადაც სწორედ აღნიშნული საკითხის მეშვეობით მოახერხა მან სომხეთზე და მის საგარეო კურსზე გავლენის მოპოვება. თავის მხრივ ერევანში კარგად აცნობიერებენ, რომ მოსკოვის კეთილგანწყობის დაკარგვა მათ ძვირად დაუჯდებათ. აღნიშნულის გათვალისწინებით არ არის გასაკვირი, რომ სომხეთი დღემდე რჩება რუსეთის სტრატეგიულ მოკავშირედ.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთიანი ყარაბაღის სამხედრო კონფლიქტით გამოწვეულმა შედეგებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია არა მარტო მასში მონაწილე ქვეყნებისთვის, არამედ მთელ რეგიონში. სასომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ჯერ კიდევ ბევრი რამ ექვემდებარება დაზუსტებას და გარკვევას. ასეთ ვითარებაში ჩვენი ქვეყანა ყურადღებით უნდა დააკვირდეს მიმდინარე მოვლენებს, დადებითი თვალსაზრისით გამოიყენოს შექმნილი მოცემულობით გამოწვეული შესაძლებლობა. კერძოდ, არის შესაძლებლობა, საქართველო კავკასიის რეგიონში გახდეს ეკონომიკური ცენტრი. რეგიონში, სადაც დაუმთავრებელი ხასიათი მიიღო ომმა, დაპირისპირებამ და შუღლმა, საქართველო უნდა იყოს სამხრეთი (საქართველო-სომხეთი-აზერბაიჯანი) და მრავალმხრივი პროექტების ინიციატორი. ამავდროულად იკისროს ქვეყნებს შორის მომრიგებლის ფუნქცია.

## ORIGIN OF THE NAGORNO-KARABAKH CONFLICT POLITICAL ASPECTS

### Summary

In the 1980s, Mikhail Gorbachev initiated a new reform policy within the Soviet Union. The reforms, which focused more on de-bats and open discussion, paved the way for the revival of the question of nationalities in the USSR. Gorbachev's era of reforms led to the rise of nationalism in the Soviet republics. From this point of view, one of the important centers was the region of Nagorno-Karabakh, which was part of the Azerbaijan SSR. It should be said here that 70-80 percent of the population of this region consisted of Armenians. Due to the indicative factor, demonstrations were often held in the streets of the Karabakh Autonomous District, the Armenian people demanded the unification of the Republic of Armenia and the Nagorno-Karabakh District. Today, Nagorno-Karabakh is an integral part of the territory of independent Azerbaijan. In turn, the mentioned issue is recognized by the world community. Before the collapse of the Soviet Union in 1988, relations in Nagorno-Karabakh were tense between the local residents - ethnic Armenians and Azerbaijanis. This was caused by the desire of ethnic Armenians to join Armenia in the form of autonomy. The ethnic conflict, taking into account its severity, went beyond the borders of Nagorno-Karabakh and spread to Armenia and the rest of Azerbaijan.

For Russia, the Karabakh issue is perhaps the most significant conflict center in the South Caucasus, as it managed to gain influence on Armenia and its foreign course through this issue. On the other hand, Yerevan is well aware that losing Moscow's goodwill will cost them dearly. Considering the above, it is not surprising that Armenia remains a strategic ally of Russia.

In conclusion, the consequences of the Nagorno-Karabakh military conflict have led to significant changes not only for the participating countries but for whole the region as well.

In current situation, our country should carefully monitor the current events and use the opportunity, by given data in a positive light. In particular, Georgia should become an economic center in the Caucasus region. In region, where the war, confrontation and strife have become unfinished, Georgia should be the initiator of trilateral (Georgia-Armenia-Azerbaijan) and multi-lateral projects. At the same time take on the function of conciliator between countries.

**Key words:** *conflicts, territorial integrity, autonomous district, Azerbaijan, Armenia, Karabakh.*

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გურგენაშვილი ი., „ყარაბაღის კონფლიქტის ანატომია“. გამომცემლობა კვლევითი ინსტიტუტი Gnomon.Wise. თბ., 2020..
2. სამადბეგიშვილი ს., „მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შუალედური დასასრული, როგორც საეტაპო მოვლენა კავკასიის რეგიონისთვის“. გამომცემლობა „ჯეოქეისი“. თბ., 2020.
3. Gatopoulos, Alex. (15 October 2020) "The Nagorno-Karabakh conflict is ushering in a new age of warfare". *www.aljazeera.com*.
4. Bagirova, Nvard Hovhannisyan, Nailia (13 October 2020). "Humanitarian crisis feared as Nagorno-Karabakh ceasefire buckles", Reuters.
5. Bangkok Post „Azerbaijan strikes inside Armenia as Karabakh fighting widens". (14 October 2020)
6. მენაღარიშვილი, ზ. 4 სისტემური ცვლილება ყარაბაღის კონფლიქტში. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://netgazeti.ge/news/487467/>. (02.03.2021.)
7. დიასამიძე გ., კიკაბიძე, გ. „ყარაბაღის კონფლიქტი. ტელევიზიებისა და ინტერნეტგამოცემების გაშუქების ტენდენციები“. თბ., 2016.
8. პიპინაშვილი დ., „სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები“. გამომცემლობა „ახალი აზრი“. თბ., 2009.

## THE ROLES OF NATO AND THE EU IN INTERNATIONAL CONFLICT RESOLUTION: ANALYSES OF THE KOSOVO AND GEORGIA CASES

This analytical brief investigates the roles of multilateral organizations, the North Atlantic Treaty Organization (NATO) and the European Union (EU) in conflict mediation practices in Europe amid absence of international consensus in major international organizations with conflict resolution mandates, United Nations Security Council (UNSC) and Organization for Security and Cooperation in Europe (OSCE).

The brief analyzes the two instances of EU and NATO interference and strategies they employed in conflict resolution scenarios in Kosovo and Georgia and explore the new trend of the conflict resolution without requiring mandates from UNSC and OSCE.

*Key words:* conflicts, security, NATO, European Union, Kosovo, Georgia.

Prior to the conclusion of the Cold War, the principle of noninterference in the internal affairs of sovereign states dictated that only these states possessed authority over conflicts within their borders. External influence was deemed illegitimate. However, major powers often disregarded this norm in pursuit of their national interests. Emerging norms such as human rights, democratic governance, and the self-determination of peoples have more recently been invoked to address states that violate the rights of their citizens. This has led to the creation of the Helsinki Final Act of 1975, endorsed by 35 signatories committing to uphold human rights within their territories, established international norms that paved the way for the formation of significant international organizations. This development underscores the importance of universal norms outlined in documents like the United Nations Charter and Helsinki Final Act and embodied in transnational institutions, enabling them to exert influence across different nation states.

The Helsinki Final Act led to the Conference on Security and Cooperation in Europe, which catalyzed the establishment of monitoring bodies in Eastern Europe. The creation of the Organization for Security and Cooperation in Europe (OSCE) through the Paris Charter in 1990 introduced a new perspective on conflict resolution among nation states.

The post-Cold War geopolitical landscape witnessed a shift in conflict resolution objectives, with multilateral organizations, namely OSCE, assuming a more prominent role in the process.

Consequently, in addition to the UN, the OSCE was tasked as the key actor in conflict resolution efforts in Europe following the end of the Cold War. However, despite missing the explicit mandates, primary responsibility for conflict resolution or conflict management has fallen to two other key multilateral organizations: the European Union (EU) and the North Atlantic Treaty Organization (NATO). These organizations have been instrumental in cases where consensus at the UN or OSCE were missing.

### Evolving Roles of NATO and the EU in Conflict Resolution

Following the end of the Cold War, the roles of the North Atlantic Treaty Organiza-

tion (NATO) and the European Union (EU) underwent significant reevaluations. While

during the Cold War era, both organizations primarily concentrated on issues related to internal matters—the EU advancing political and economic integration and NATO ensuring security within the North Atlantic alliance—this dynamic shifted following the collapse of the Soviet Union.

NATO's involvement in the Kosovo conflict and the EU's mediation efforts in Georgia highlight new characters of these organizations as conflict managers. Their active engagement in Kosovo and Georgia effectively substituted the peacekeeping efforts of the Organization for Security and Cooperation in Europe (OSCE) and the United Nations.

Historically, conflict resolution and peacekeeping have predominantly fallen under

the purview of the United Nations. The UN Charter designates the UN Security Council with primary responsibility for upholding international peace and security, thereby granting the United Nations the highest authority in conflict resolution processes. In conflict resolution endeavors, other international organizations need to align their actions with decisions made by the UN Security Council. However, in post-Cold War Europe, the cases of Kosovo and Georgia present a challenge to this paradigm by showcasing the capacity of alternative international organizations to step in and facilitate peace-building efforts between conflicting parties without necessarily aligning with a UN or OSCE mandate.

### **NATO and EU in the Balkans**

In case of NATO, the onset of conflicts in the Balkans in the early 1990s prompted the organization to assume a new role as an enforcer of the UN sanctioned decisions. First illustration of this new role was the engagement in the conflict in Bosnia under the auspices of the United Nations. While, the mediation efforts in Bosnia during 1995 were driven by nation-states, the United Kingdom, Germany, France, Russia, and the European Union, operating within the framework of the United Nations Format, NATO embraced a novel role as an enforcer of peace in the newly established Bosnia through Operation Joint Endeavor sanctioned by UN Security Council Resolution 787. This was NATO's first collective operation against a third party. Similarly, EU's engagement in peace negotiations marked a new role for the bloc.

NATO specifically targeted the Army of Republika Srpska in Bosnia due to its threat to designated UN safe zones and its conse-

quent air campaign was crucial in facilitating the Dayton Accords, which ultimately brought about a cessation of hostilities in Bosnia. Signed by leaders from the United States, France, the United Kingdom, Germany, Russia, and the European Union, this agreement paved the way for a multilateral military Implementation Force (IFOR) under NATO command, authorized by the United Nations.

In contrast to its approach in Bosnia, NATO's military intervention in Kosovo in 1999 did not rely on a United Nations mandate; instead, the organization unilaterally took action with the backing of its member states to prevent the Former Yugoslav Army's incursion into the Kosovar region. The NATO's structural prevention efforts in Kosovo marked a significant shift in conflict resolution; the organization's conduct in Kosovo lacked the approval from the United Nations Security Council (UNSC).

### **EU in Georgia**

In the case of Georgia, the European Union took charge of mediating the conflict in 2008. In contrast with the intervention in Kosovo, the EU employed peaceful conflict resolution means without military intervention given the threats of direct confrontation with nuclear power, Russia. The EU's media-

tion efforts focused on conflict transformation, when the French President Nicolas Sarkozy (as the President of the European Union) visited Moscow and Tbilisi to negotiate cease fire. Sarkozy's Six Point Plan led to the cessation of hostilities in Georgia's South Ossetia region and the establishment of the

European Monitoring Mission (EUMM) in lieu of OSCE and UN mandated missions.

Prior to the 2008 conflict, UN and OSCE led the separate peacekeeping missions in Georgia following the 1992-93 military hostilities in Tskhinvali/South Ossetia and Abkhazia. These missions were designed to aid the government of Georgia in providing humanitarian assistance, resettling refugees, and reconstructing infrastructure following the conflicts. These missions were terminated after the 2008 war between Georgia and Russia; the Russian Federation recognized the two territories of Georgia, Abkhazia and South Ossetia, as independent states and demanded OSCE and UN missions in these territories with independent Abkhazia and South Ossetia granting mandates. This was not accepted given that the UN, OSCE, EU and majority of the international community recognize these two entities as parts of Georgia.

Following the rejection of Russia's proposal, the Russian Federation and separatist authorities in South Ossetia and Abkhazia denied UN and OSCE officials entry into these occupied areas leading to termination of their mandates given Russia's veto as UN security council member and member of the OSCE. Consequently, the European Union (EU) established EU mandated peacekeeping mission in Georgia - European Monitoring Mission (EUMM) with access to only Georgia-controlled territory.

The approaches of NATO and the European Union (EU) in Kosovo and Georgia highlight the complexities and challenges of international conflict resolution and peacekeeping efforts. These cases illustrate the strategic and operational capabilities of the two organizations, as well as the impact of their interventions on the geopolitical landscape of Eastern Europe and the Western Balkans.

### Kosovo

In Kosovo, NATO's intervention was marked by a military campaign against the Federal Republic of Yugoslavia in 1999, aimed at halting the humanitarian catastrophe and violence against Kosovar Albanians. This intervention, which lacked the explicit endorsement of the United Nations Security Council, was controversial and faced criticism for potentially breaching international law. Despite these challenges, NATO's role

was pivotal in establishing a secure environment and supporting the international humanitarian effort. The presence of NATO missions, particularly the Kosovo Force (KFOR), was instrumental in maintaining peace and security in the region, laying the groundwork for the United Nations Interim Administration Mission in Kosovo (UNMIK). This mission facilitated Kosovo's eventual path towards independence, declared in 2008.

### Georgia

In Georgia, the EU's approach to conflict resolution was characterized by a diplomatic and soft power strategy during the 2008 conflict with Russia over the breakaway regions of Tskhinvali region/South Ossetia and Abkhazia. The EU refrained from direct accusations and focused on mediating peace and facilitating dialogue between the conflicting parties. It was easier for EU countries to reach consensus on peacemaking despite the severe attitudes of several Eastern member states against Russia. This approach enhanced the EU's role as a conflict mediator and stabilizer in the region. The establishment of the Eastern Partnership (EaP) and the signing

of an Association Agreement with Georgia in 2013 further solidified the EU's influence and commitment to the country.

**Conclusion.** The interventions in Kosovo and Georgia demonstrate the evolving roles of NATO and the EU in international conflict resolution. While NATO's approach in Kosovo was military-focused, the EU's strategy in Georgia emphasized diplomacy and soft power. These cases highlight the importance of these international organizations in facilitating peace agreements and stabilizing conflict-affected regions, even in the absence of explicit UNSC or OSCE endorse-

ment. The experiences in Kosovo and Georgia have set new precedents in conflict resolution methodologies, showcasing the comp-

lementary roles of NATO and the EU in promoting peace, security, and stability in Europe and beyond.

## იოსებ ჟორჟოლიანი

ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი, მაგისტრი

### კონფლიქტების მოგვარების პროცესში: კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტების ანალიზი

#### რეზიუმე

ანალიტიკური სტატია იკვლევს მრავალმხრივი ორგანიზაციების, ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) და ევროკავშირის როლს ევროპაში არსებული კონფლიქტების მოგვარების პროცესში საერთაშორისო კონსენსუსის არარსებობის ფონზე.


საერთაშორისო მასშტაბით კონფლიქტების დარეგულირებისა და მოგვარების მანდატების მქონე მთავარ საერთაშორისო ორგანიზაციებში, გაეროს უშიშროების საბჭოსა (UNSC) და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში (ეუთო - OSCE) ხშირად არ არსებობს კონსენსუსი კონფლიქტების მოგვარების გზებთან დაკავშირებით, რაც არაეფექტურს ხდის ამ ორგანიზაციების ჩართულობას სხვადასხვა კონფლიქტის მოგვარების პროცესში. შესაბამისად, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები იღებენ სწორედ იმ ვალდებულებებს, რომლებიც კონფლიქტების დარეგულირებასა და მოგვარებას ემსახურება. ეს მცირე ანალიტიკური სტატია მიმოიხილავს ევროკავშირისა და ნატოს მიერ ორ სხვადასხვა შემთხვევაში (საქართველოსა და კოსოვოში) გამოყენებულ მეთოდებს კონფლიქტების დარეგულირებისა და მოგვარების პროცესში და წარმოადგენს საერთაშორისო კონფლიქტის დარეგულირების ახალ ტენდენციას გაეროს უშიშროების საბჭოსა და ეუთოს მანდატების გარეშე.

*საკვანძო სიტყვები:* კონფლიქტები, უსაფრთხოება, ნატო, ევროკავშირი, კოსოვო, საქართველო.

#### References:

1. Asmus, Ronald D. A Little War that Shook the World: Georgia, Russia, and the Future of the West. Basingstoke and New York: Palgrave Macmillan, 2010.
2. Bytyci, Enver. Coercive Diplomacy of NATO in Kosovo. Cambridge: Cambridge Scholars Publishing, 2001.
3. Osmani, Sead. "NATO's Credibility in the Kosovo War." Sigma. Journal for Political and International Studies (2011).
4. Mearsheimer, John. "Why the Ukraine Crisis Is the West's Fault." Foreign Affairs (2014). Websites: NATO HQ. "Operations and missions: past and present." Last modified 2016. [https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_52060.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_52060.htm).
5. Barysch, Katinka. "Europe and the Georgia-Russia Conflict." Center for European Reform, 2008. <https://www.cer.eu/in-the-press/europe-and-georgia-russia-conflict>.
6. European External Action Service. "Missions and Operations." European Union. [https://www.eeas.europa.eu/eeas/missions-and-operations\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/missions-and-operations_en).
7. OSCE. "The OSCE Mission to Georgia has been supporting the United Nations-led efforts towards a comprehensive settlement of the Georgian-Abkhaz conflict." <https://www.osce.org/georgia-closed/44629>
8. United Nations. "Originally, the Security Council, by its resolution 1244 of 10 June 1999, authorized the Secretary-General to establish an international civil presence in Kosovo – the United Nations Interim Administration Mission in Kosovo (UNMIK) – in order to provide an interim administration for Kosovo under which the people of Kosovo could enjoy substantial autonomy." <https://peacekeeping.un.org/en/mission/unmik>



 გიორგი ფიფია  
სტუ, დოქტორანტი  
წარმოადგინა პროფ. ვაჟა შუბითიძემ

## რელიგიური ექსტრემიზმი და ტერორიზმი აზერბაიჯანში

სტატიაში გაანალიზებულია რელიგიური ექსტრემიზმის და ტერორიზმის კუთხით აზერბაიჯანში რადიკალიზაციის ხელშემწყობი მიმზიდველი და განმზიდველი ფაქტორები, მთავრობის მიერ ექსტრემიზმთან ბრძოლის პოლიტიკის და გატარებული ღონისძიებების ანალიზი, რეკომენდაციები აზერბაიჯანის ხელისუფლებისათვის. ნაშრომში წარმოჩენილია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოქმედ საერთაშორისო ტერორისტულ ჯგუფებში მოქალაქეთა მონაწილეობა, რადიკალიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის სხვა გამოვლინებები, მათ შორის მემარჯვენე და ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობები.

ანალიზით დადგენილია, რომ რელიგიურ-ძალადობრივი ექსტრემიზმი და რადიკალიზაცია უფრო მეტ საფრთხეს უქმნის აზერბაიჯანს, ვიდრე საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები, თუმცა აზერბაიჯანის ხელისუფლება ცდილობს, რომ ქვეყანაში არსებული რადიკალიზაციის ტალღა უცხოურ გავლენას დაუკავშიროს.

*საკვანძო სიტყვები: აზერბაიჯანი, რელიგიური ექსტრემიზმი, ტერორიზმი, ისლამური სახელმწიფო, სირიის კონფლიქტი, მემარჯვენე რადიკალიზმი, ყარაბაღის კონფლიქტი.*

რელიგიური ექსტრემიზმი და განსაკუთრებით ტერორიზმი აზერბაიჯანში ისეთ საშიშ ზღვარს არ აღწევს, როგორც ჩრდილოეთ კავკასიასა და რუსეთში, თუმცა შეინიშნება მისი მცირე ზრდა ყოველწლიურად. ეს იმიტაც არის განპირობებული, რომ აზერბაიჯანის ძირითადი მოსახლეობა სეფიანების ირანის დროიდან შიიტები არიან (ქვეყნის ჩრდილოეთი რეგიონის გამოკლებით, სადაც ცხოვრობენ ჩრდილოკავკასიური ეროვნების წარმომადგენლები – ლეკები, დაღესტნელები, რომლებიც სუნიტები არიან).

აზერბაიჯანში შიიზმსა და სუნიზმს შორის დღეს ზღვარი ფაქტიურად წაშლილია, რაც საბჭოთა ათეისტური პერიოდიდან ინერციით გადმოვიდა. ამის გამო სუნიტური ტერორისტული დაჯგუფებები აზერბაიჯანში საყრდენს ძნელად ან ვერ პოულობდნენ, თუმცა აქ არიან რადიკალური შიიტური ჯგუფებიც, რომლებსაც კავშირი აქვთ ირანთან. ხანდახან ხელისუფლება აზვიადებს ასეთი ჯგუფების საქმიანობას, რათა ეს გამოიყენოს მოსახლეობის თავისუფლების შესაზღვრად და კრიტიკის ჩასახშობად [1].

აზერბაიჯანში მოქმედებს მცირერიცხოვანი რადიკალური რელიგიური ჯგუფები, დაფიქსირდა მებრძოლთა წასვლა ახლო აღმოსავლეთში, მათ შორის „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში საბრძოლველად. ოფიციალური მონაცემებით, ახლო აღმოსავლეთში საომრად წავიდა 100-ზე მეტი მოქალაქე (არაოფიციალური მონაცემებით – 200), უკან დაბრუნდა – 49 კაცი [1].

დამოუკიდებელი ჯგუფები ასახელებენ 300-დან 700 მებრძოლს, რომლებიც ომობდნენ აზერბაიჯანიდან ავღანეთში, ერაყსა და სირიაში [1].

რადიკალური ჯგუფები ძირითადად გავრცელებულია ქვეყნის ჩრდილოეთში, დაღესტნის საზღვართან და სუმგაითში. აზერბაიჯანში მოქმედებდა ალ-ქაიდას ქვედანაყოფი (1990-2000 წწ.) და მოგვიანებით კი „ისლამური სახელმწიფოს“ ქვედანაყოფი (2014 წლიდან) [1].

არიფ იუნუსის აზრით, აზერბაიჯანელი რადიკალები სირიაში იბრძოდნენ 3 სამხედრო დაჯგუფებაში: ჯეიმ ალ-მუხაჯირინ ვალ-ანსარში, ჯაბხატ ან-ნუსრა ლი-ახლ აშ-შამში და ხარაკატ ახარ აშ-შამ ალ-ისმაილი-

აში, რომელთა უჯრედებიც არის აზერბაიჯანში [1].

მკვლევარი ჰიქმეტ გაჯიზადე მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანში სალაფიზმის მიმდევარია 50 ათასამდე მორწმუნე, რომელთაგან რამდენიმე ათასს სიმპათიები გააჩნია სხვადასხვა ჯიხადისტური მიმდინარეობების მიმართ, თუმცა საერთაშორისო ტერორიზმთან შეიძლება დაკავშირებული იყოს ასამდე ადამიანი იმ აზერბაიჯანელთა მეშვეობით, რომლებიც იბრძოდნენ ავღანეთსა, ერაყსა და სირიაში.

არიფ იუნუსი გამოყოფს 2 ეტაპს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე რელიგიური ექსტრემიზმის და ტერორისტული საქმიანობის ზრდისა და გაშლის თვალსაზრისით:

1. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან სირიის კონფლიქტის დაწყებამდე (1992-2013წ.წ.);
2. „ისლამური სახელმწიფოს წარმოშობიდან დღევანდელ დღემდე [1].

საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრმა (GCSD) 2019 წლის ნოემბერში შეისწავლა და გაანალიზა ძალადობრივი ექსტრემიზმის ფესვები აზერბაიჯანსა და საქართველოში და იგი ბროშურის სახითაც გამოსცა ფრიდრიხ ებერტის ფონდის დაფინანსებით.

კვლევის მიხედვით, აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1992 წლიდან ქვეყანა დადგა რამდენიმე სერიოზული პრობლემების წინაშე, რომლებიც (2023 წლის შემოდგომამდე) გადაუჭრელი იყო დამოუკიდებლობა ახლადმოპოვებული ქვეყნის წინაშე.

2008 წლიდან 2013 წლამდე ხუთწლიან პერიოდში „კავკასიის ბარომეტრმა“ ჩაატარა კვლევა, რომლის შედეგების ანალიზით დადგინდა ძირითადი პრობლემები, რომელთა წინაშე იდგა ქვეყანა.

აღნიშნული გამოკითხვის თანახმად აზერბაიჯანის მოსახლეობის უმრავლესობისათვის ყველაზე დიდი გამოწვევა იყო ყარაბაღის კონფლიქტი, ანუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა (ეს მოხერხდა ყარაბაღის მეორე – 2022 წ. და მესამე ომით – 2023 წ. შემოდგომაზე, როცა ბაქომ მთლიანად აღადგინა კონტროლი მთიან ყარაბაღზე) [2].

კვლევით, მეორე ძირითადი პრობლემა სიღარიბე და უმუშევრობაა, თუმცა ხელისუფლება ასახელებს გარე რადიკალურ ჯგუფებს და ადგილობრივ რელიგიურ ექსტრემიზმს [3. 6].

აღნიშნული კვლევების მიხედვით რადიკალიზაციის ხელშემწყობ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესაძლო გაუარესება წარმოადგენს, რამაც შეიძლება უმუშევრობისა და სიღარიბის ზრდა გამოიწვიოს, რის შედეგადაც მთავრობის და სტაბილურობის მდგრადობას გამოაცალოს საფუძველი. საბჭოთა კავშირის დაშლამდე აზერბაიჯანი სოციალ-ეკონომიკურად საკმაოდ განვითარებული რესპუბლიკა იყო მრავალფეროვანი ეკონომიკური ბაზით. თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ აზერბაიჯანის მრეწველობის დიდი ნაწილი დამოკიდებული იყო იმპორტზე, რომელიც შემოდიოდა სხვა რესპუბლიკებიდან, ხოლო მისი ექსპორტის დიდ ნაწილს მოიხმარდნენ ასევე საბჭოთა რესპუბლიკები.

საბჭოთა კავშირის სწრაფმა დაშლამ და ყარაბაღის კონფლიქტის დაწყებამ როგორც ყველაგან, ასევე აზერბაიჯანშიც კოლაფსი და მძიმე შედეგები გამოიწვია.

1995 წელს აზერბაიჯანის რეალური მშპ შეადგენდა 1989 წლის მშპ-ს მხოლოდ 37% (ანუ თითქმის 3-ჯერ ნაკლებს), მაშინ როცა დსთ-ს ქვეყნებში საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 1989 წლის მშპ-ს 58%.

1992 წლიდან 1996 წლამდე პერიოდში აზერბაიჯანის რეალური მშპ 15%-ით შემცირდა (მსოფლიო ბანკის მონაცემებით) [3. 7].

ასეთმა ეკონომიკურმა ვარდნამ და სტაგნაციამ კოლაფსი გამოიწვია დასაქმებაშიც. სამუშაო დაკარგა ასიათასობით ადამიანმა, რამაც მოსახლეობა მკვეთრად გააღატაკა. მოიშალა სოციალური დაცვის სისტემა, საარსებო წყარო დაკარგა უამრავმა ადამიანმა.

მდგომარეობა ცოტათი გაუმჯობესდა 2008-2014 წლებში, მოიმატა დასაქმებულთა რაოდენობამ და მოხდა ხალხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ ორმა დეველუაციამ და ნავთობზე ფასების ვარდნამ, კორუფციამ კვლავ ნეგატიური

გავლენა მოახდინა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ამ ფაქტორებს დაემატა რადიკალური ჯგუფების გავლენა გადატაკებულ და უიმედო ადამიანებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე, რამაც მათ უზიბგა ჩართულიყვნენ რელიგიურ ექსტრემიზმსა და რადიკალიზმში.

უცხოური რადიკალური ჯგუფების ფილიალების ამოქმედება აზერბაიჯანში 1990-იან წლებში დაკავშირებულია ყარაბაღის კონფლიქტთან, სადაც მუსლიმი რადიკალები მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის მხარეს სომეხი მეზობლების წინააღმდეგ. სწორედ აქ ღებულობდა ბრძოლებში მონაწილეობას ცნობილი საველე მეთაური ხატაბი, რომელმაც მერე სახელი გაითქვა ჩრდილო კავკასიაში ჩეჩნების მიერ რუსების წინააღმდეგ წარმოებულ ომში. უცხოური რადიკალური ჯგუფებს იზიდავდა აზერბაიჯანის მოხერხებული ადგილმდგომარეობა თურქეთსა და ირანს შორის, აგრევე მისი მეზობლობა სუნიტურ ჩრდილო კავკასიასთან.

აზერბაიჯანს იმ მომენტში არ გააჩნდა ძლიერი სამართლებრივი და უშიშროების ორგანოები, გაწვრთნილი და შეიარაღებული არმია, არსებობდა ხარვეზები კანონმდებლობაშიც. ამ ყველაფრის გამო აზერბაიჯანში შემოვიდნენ რელიგიური მისიონერები და საქველმოქმედო ორგანიზაციები თურქეთიდან, ირანიდან, არაბული ქვეყნებიდან, ჩრდილო კავკასიიდან, რომელმაც დაიწყო ექსტრემისტული რელიგიური რადიკალიზმის გავრცელება. ზოგიერთი მათგანი კავშირში იყო რადიკალურ სამხედრო ორგანიზაციებთან.

2000 წლიდან დადგა აუცილებლობა, რომ ბრძოლა დაწყებულიყო თავად აზერბაიჯანის მოსახლეობის რადიკალიზმის წინააღმდეგ ჩრდილო აზერბაიჯანსა და ბაქოშიც. მაშინ აზერბაიჯანში მოქმედებდა რადიკალური ექსტრემისტული ორგანიზაცია ჯეიმულაჰი (ალაჰის არმია), რომლის წარმომადგენლებმა მოკლეს ცნობილი ექსტრასენსი ეტიბარ ერკინი და მისი 2 არასრულწლოვანი ვაჟი, თავს დაესხნენ ერთ-ერთ ოფისს ბაქოში და გეგმავდნენ ტერაქტებს დასავლეთის სახელმწიფოების საელჩოებზე [4. 25].

ჯეიმულაჰი და მეორე რადიკალური დაჯგუფება – ხიზბ ატ-ტახრირ ალ-ისლამი (ისლამის გათავისუფლების პარტია) XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე.

აზერბაიჯანის სამხრეთში ოპერირებდა ასევე რადიკალური ექსტრემისტული დაჯგუფება „ტყის ძმები“ აზერბაიჯანის არმიის ლეიტენანტის ილგარ მალაჩიევის მეთაურობით, რომელმაც მოაწყო თავდასხმა აზუბაქრის მეჩეთზე ბაქოში 2018 წლის აგვისტოში. ამ თავდასხმის მონაწილე 3 პირი ლიკვიდირებულ იქნა მახაჩკალაში რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობით.

2007 წელს ლიკვიდირებულ იქნა „ტყის ძმების“ ერთ-ერთი რაზმი ლეიტენანტ ქიამრან ასადოვის მეთაურობით. მათთან ერთად ლიკვიდირებულ იქნა ალ-ქაიდასთან დაკავშირებული აზუ-ჯაფარის ჯგუფი.

2013 წლის ნოემბერში დაკავებული იქნა ამ ჯგუფის სხვა წევრები, რომლებიც გეგმავდნენ შიიტური მეჩეთის მეშად დადაშის აფეთქებას ბაქოში [4. 26].

2013-2017 წლებში აზერბაიჯანის ძალოვანმა უწყებებმა მიზამეს რუსული სპეცსამსახურების ტაქტიკას და გადავიდნენ ექსტრემისტების და ტერორისტების ფიზიკურ ლიკვიდაციაზე, სასჯელის გამკაცრებაზე და დეპორტაციაზე.

ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ ყარაბაღის კონფლიქტი აზერბაიჯანში რადიკალიზაციის გამომწვევი მოჩვენებითი ფაქტორია. ის ნაკლებად შეიძლება მიჩნეულიყო განმზიდეველ ფაქტორად, რომელსაც ისეთივე გავლენის მოხდენა შეეძლო, როგორც დასუსტებულ სოციალ-ეკონომიკურ და ფინანსურ ვითარებას. თუმცა, რადგან კონფლიქტი კვლავ აწუხებდა აზერბაიჯანის მოსახლეობას, იგი 2016-2023 წლებში განმზიდეველ ფაქტორად ყალიბდებოდა. 2016 და 2020 წლის საომარმა ოპერაციებმა ყარაბაღში აჩვენა, რომ აზერბაიჯანის საზოგადოება ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების პროცესში უფრო აგრესიული და რევანშისტული ხდებოდა და ტერორისტების შვიდობიანი გზით დაბრუნების იმედს კარგავდა. ამან გავლენა მოახდინა საფრთხის აღქმაზე, აჩენდა მოლოდინებს და ზრდიდა ზეწოლას ხელისუფლებაზე, რომ გაბედულად და გადამწყვეტად ემოქმედა მაგ.: რამდენიმე წლის

წინ აზერბაიჯანმა იყიდა 3,5 მლრდ დოლარის სამხედრო ტექნიკა, რომლის 80% რუსეთიდან იქნა იმპორტირებული, მათ შორის 2 S-300 სარაკეტო სისტემა, 94 T-90 ტანკი, 20 MI-35M ვერტმფრენი და 100 BMP-3 ჯავშანტექნიკა, ასევე ბელორუსიდან იყიდა 25 SU-25 თვითმფრინავი და 93 ცალი T-72M1 ტანკი [5].

ამან ყველაფერმა შედეგი გამოიღო და 2020 და 2023 წლის საბრძოლო ოპერაციების შედეგად აზერბაიჯანმა დაიბრუნა მთიანი ყარაბაღი, თუმცა ომი ძალიან ძვირი დაჯდა და ეს თანხები მოაკლდა აზერბაიჯანის მოსახლეობას. სამაგიეროდ რადიკალიზაციის საფრთხე ამ მიმართულებით მოიხსნა და ეს დადებითი ფაქტორია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების რადიკალიზაციას განაპირობებდა სიღარიბე, უმუშევრობა და უცხო ქვეყნების ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური და ექსტრემისტული ჯგუფების მიერ აზერბაიჯანში განხორციელებული აქტივობები.

გარკვეული პერიოდში აზერბაიჯანმა დიდი შემოსავლები მიიღო ნავთობის გაყიდვის შედეგად. 2003 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში ხელფასის ზრდის მაჩვენებელმა 14%-ს გადააჭარბა და შემდეგ ერთნიშნა რიცხვამდე დაეცა. 2011 წლიდან მთავრობა ნელ-ნელა ზრდიდა მინიმალურ ხელფასს და პენსიას, რომელიც საარსებო მინიმუმს მიუახლოვდა. ამან შეამცირა სიღარიბის მაჩვენებელი [3. 8].

ამასთან განხორციელებული პროგრამები და ცალკეული ინიციატივები მოკლევადიანი იყო. აზერბაიჯანმა შეწყვიტა ეკონომიკური რესტრუქტურის სართაშორისო დახმარების მოძიება. აქ კარგად ვერ განვითარდა მცირე ბიზნესის სექტორი, რადგან მთავრობა უფრო მეტ ყურადღებას აქცევს „სოკარის“ მსგავს მსხვილი კორპორაციების და კომპანიების დაარსებას, რომელთა მეპატრონეები ხშირად კორუმპირებული მოხელეები არიან.

2015 წლიდან აზერბაიჯანში კატასტროფული დეველპაციის შედეგად აზერბაიჯანული მანათი თითქმის 100%-ით გაუფასურდა. ამის გამო მთავრობამ აქცენტი გააკეთა ისეთ აქტივობებზე, რაც შეარბილებდა

კრიზისს და შეამსუბუქებდა მდგომარეობას ბიზნეს-საქმიანობის ხელშემწყობის მეშვეობით – გაუქმდა ათობით ლიცენზია სამეწარმეო საქმიანობისათვის, ხოლო საგადასახადო და საბაჟო ორგანოები უფრო გამჭვირვალე გახდა.

მთავრობამ შემოიღო მაკროეკონომიკურ დონეზე ეკონომიკური რეფორმის პრეზიდენტის თანაშემწის პოზიცია, რომელსაც დაევა ეკონომიკური რეფორმების საგზაო რუკის შექმნა. ამ გუნდმა განახორციელა აზერბაიჯანის ეკონომიკის სექტორების პრიორიტეტების მიხედვით დაყოფა სამუშაო ადგილების შექმნისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით [3. 9].

მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების დონის გაუარესების ხშირად ცალკეული რელიგიური და ექსტრემისტული ჯგუფები იყენებენ ქვეყანაში მდგომარეობის დასაძაბად. სოფელ ნარდარანში, რომელიც ცნობილია თავისი მტკიცე რელიგიური რწმენით და მდებარეობს ბაქოდან 35 კილომეტრში, 2002 წლის ზაფხულში ხალხი საპროტესტოდ გამოვიდა ქუჩაში. ისინი აპროტესტებდნენ მძიმე სოციალურ მდგომარეობას, სკანდირებდნენ რელიგიურ მოწოდებებს. მათ გააძევეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობები და დაპირისპირებისთვის მოემზადნენ. შეიქმნა გამოუვალი სიტუაცია, 3 ივნისს პოლიციამ და სპეცრაზმმა შტურმით აიღო სოფელი, რასაც მსხვერპლი მოჰყვა – დაიღუპა ერთი და დაიჭრა 30 ადამიანი [6].

მოვლენებმა აჩვენა, რომ ადგილობრივი რადიკალიზმის საფრთხე სათანადოდ არ იყო შეფასებული და ხელისუფლება ზედმეტ ილუზიებში იყო ამ მხრივ. ანალიზმა აჩვენა, რომ რელიგიური რიტორიკა და ლოზუნგები ეხებოდა სწორედ მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციიდან არსებულ გამოწვევებს – სოფელში უმრავლესობა უმუშევარია და არა აქვს საბაზისო და კვალიფიციური განათლება. გამოჩნდა, რომ მეზობელი ირანის (სადაც 25 მილიონი აზერბაიჯანელი ცხოვრობს) რბილი ძალა ძალიან ძლიერია რეგიონში და მისი გავლენა სულ უფრო მატულობს. ამ ვითარებამ განაპირობა ის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დაუცველი აღმოჩნდა რელიგიურ საქმიანობაში

გარე ზეგავლენისგან, რაც მომავალში ძალადობას ახალისებდა.

2011 წლის დეკემბერში განათლების სამინისტრომ აკრძალა საჯარო სკოლებში ჰიჯაბის ტარება. ამის საპასუხოდ, აკრძალვის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ დაიწყო საპროტესტო აქციების ჩატარება შიიტების აშურის წმინდა დღეს. ქუჩაში გამოვიდა ათასამდე რელიგიური აქტივისტი შემახილებით „ჰიჯაბი ჩვენი ღირსება“, „თავისუფლება ჰიჯაბის ტარებისათვის“ და განათლების სამინისტროსთან გადაიკეტა ქუჩა ერთი საათის განმავლობაში. დაკავებულ იქნა 15 პროტესტანტი, რომელთაგან შვიდს მიუსაჯეს 10-დღიანი პატიმრობა. მოგვიანებით დაიწყო სკოლებში ჰიჯაბის ტარების აკრძალვის გაუქმების კამპანია, რასაც ათასობით ადამიანი მოაწერა ხელი. ეს ყველაფერი მიუთითებდა ისლამიზმის გავლენის ზრდაზე ქვეყანაში.

შეიძლება გამოიყოს 2 ძირითადი პრობლემა, გამოწვევა, რომელთა წინაშე ქვეყანა დგას. პირველს შეიძლება ეწოდოს ირანის გავლენა აზერბაიჯანში. ირანის წარმომადგენლები ღიად თუ ფარულად ეწევიან ისლამური, თეოკრატიული სახელმწიფოს ღირებულებების და იდეების პროპაგანდას, რისთვისაც ათეული მილიონებია დახარჯული. ირანმა ამ ფრონტზე დიდ წარმატებას ვერ მიაღწია, რადგან მოსახლეობა საბჭოთა ინერციიდან გამომდინარე ანტირელიგიური პოლიტიკის გამო რელიგიუზობით არ გამოირჩევა. ამიტომ ირანი ეყრდნობა იატაკქვეშა რადიკალურ-რევოლუციურ საიდუმლო ორგანიზაციებს.

დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე მრავალმა ირანულმა ჰუმანიტარულმა სააგენტომ და საქველმოქმედო ორგანიზაციამ დაიწყო საქმიანობა აზერბაიჯანში, განსაკუთრებით ღირებულ ლტოლვილთა ბანაკებში. ასევე ირანულმა სააგენტოებმა სწავლა დააწყებინეს აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს ირანის რელიგიურ სკოლებში. 1995 წლიდან აზერბაიჯანის სპეცსამსახურებმა გამოავლინეს ირანთან დაკავშირებული ჯგუფები და დააკავეს რამდენიმე ადამიანი. ირანი შემოფოთებულია აზერბაიჯანში დასავლეთის კაპიტალის და გავლენის ზრდით და ცდილობს დაიცვას საკუთარი ჩრდილოეთი სა-

ზღვრები. რეალურად ირანის სპეცსამსახურებს ნაკლებად სურთ, რომ მათი ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობა აზერბაიჯანის სპეცსამსახურების ყურადღების ქვეშ მოექცეს. რეალურად, ადგილობრივი რადიკალური ჯგუფები ან და „მძინარე აგენტები“ შეიქმნა აზერბაიჯანის მიერ ირანზე აშშ-ის შესაძლო თავდასხმაში შესაძლო მონაწილეობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას ასამოქმედებლად [3. 11].

ირანი აზერბაიჯანის შიდა პოლიტიკაზე ასევე გავლენას ახდენს აზერბაიჯანის ისლამური პარტიის მეშვეობითაც. ამ პარტიაში გაწევრიანებულია ღარიბი რაიონების მარგინალიზებული მოსახლეობა. პარტიის ლიდერები დროდადრო ატარებენ სხვადასხვა აქციებს და პოპულარულიც არიან, აქტიურად მუშაობენ არჩევნებზეც. პარტია არაა რეგისტრირებული, მისი ლიდერები მუდმივად ციხეში არიან, მაგრამ მაინც ინარჩუნებენ გავლენას აზერბაიჯანის რამდენიმე რეგიონში.

მეორე საფრთხე, თითქოს შეუმჩნეველი, დაკავშირებულია სალაფიტებთან და მათ ორგანიზაციებთან. სალაფიტური იდეები და რჯული სულ უფრო პოპულარული ხდება აზერბაიჯანულ ახალგაზრდებში. მარტო ბაქოში მათმა რიცხვმა 15 ათასს მიაღწია, მთლიანად კი 50 ათასამდეა [3. 11] (სალაფიზმი – „ფუნდამენტალისტური ისლამური მოძრაობაა, რომელიც ცდილობს ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობის – სუნიზმის დამკვიდრებას იმ სახით, როგორც დაგ ის მუჰამედისა და მისი მოწაფეების დროს არსებობდა).

სალაფიზმი აზერბაიჯანში ძირითადად ჩრდილო კავკასიიდან გავრცელდა. პირველი მისიონერები აქ 1990-იანი წლების შუა პერიოდში ჩეჩნეთიდან და დაღესტნიდან შემოვიდნენ.

მაშინ აზერბაიჯანში ნაციონალიზმი და პანთუქიზმი უფრო პოპულარული იყო და თავიდან სალაფიტებს დიდი მხარდაჭერა არ ჰქონიათ. მაშინ აზერბაიჯანის საზოგადოება არ იყო იმდენად დაყოფილი და გალატაკებული, როგორც დღესაა. სალაფიზმის გავრცელების მეორე ტალღა 1999წელს რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის დასაწყისს

უკავშირდება. რუსები განსაკურებით ცდილობდნენ ჩეჩენი სალაფიტების განდევნას ჩეჩნეთიდან და ამ დროს აზერბაიჯანში თავი შეაფარა 8 ათასმა ლტოლვილმა, რომელთა შორის ნაწილი სალაფიტების მომხრეები იყვნენ. 2003 წლისათვის აზერბაიჯანში სალაფიტების მიერ კონტროლირებული 65 ახალი მეჩეთი აშენდა. ყველაზე დიდი სალაფიტური მეჩეთი ბაქოშია – აბუ ბაქრის. მისი იმამია მედინას მსოფლიო ისლამური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გამმეტ სულიმანოვი. ეს უნივერსიტეტი კი სალაფიზმის კვლევისა და ექსპორტის წამყვან ცენტრსა და კერას წარმოადგენს [3. 12].

აზერბაიჯანელი სალაფიტების დიდი უმრავლესობას სუნიტები და ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენლები შეადგენენ (ადგილობრივების 75%-შიიტია, დანარჩენი – სუნიტი). აზერბაიჯანის საზოგადოების სწრაფმა პოლარიზაციამ და გადატაკებამ ტრადიციული ინსტიტუტებითა და თანამედროვე დასავლური, დემოკრატიული იდეებით იმედგაცრუება გამოიწვია, რაც კარგად გამოიყენეს სალაფიტებმა, ისინი ხშირად აკრიტიკებენ მთავრობას, მორალის დაცემას და ტრადიციების რღვევას, ასევე კრიმინალის ზრდას ქვეყანაში. ისინი აგიტაციის და პროპაგანდას ეწევიან და მაღლა აყენებენ სალაფიზმის უნივერსალურ თვისებებს შიიზმზე და სუნიზმზე. არადა დიდი ხნის მანძილზე შიიზმის და სუნიზმის თანაარსებობამ აზერბაიჯანში შექმნა მყიფე ბალანსი, რომლის დარღვევა არც ერთს არ სურს. საბჭოთა ათეისტური პერიოდიდან აზერბაიჯანში ისლამი უფრო კულტურად და ტრადიციად ჩამოყალიბდა, ვიდრე მკაცრ, მორწმუნე რელიგიად. მართალია აზერბაიჯანელთა უმრავლესობა მგზნებარედ უწოდებს თავის თავს მუსლიმს, ისინი თითქმის არ იცავენ ისლამის კანონებს. აზერბაიჯანელები დადიან უფრო მეტად წმინდა ადგილებში, რომელსაც „პირსის“ უწოდებენ და „წმინდანთა“ სასაფლაოზე, ვიდრე მეჩეთებში, სადაც ფულს ან სხვა ნივთებს სწირავენ. სასულიერო პირები არ გმობენ ასეთ საქციელს, რადგან მას სხვადასხვა სახის, მათ შორის ფინანსური სარგებელი მოაქვთ მათთვის [3. 12].

სალაფიტების გამოჩენამ ეს დელიკატური ბალანსი შიიტებსა და სუნიტებს შორის დაარღვია. სალაფიტებმა თავდაპირველად დაიწყეს ქადაგება პირსის და წმინდანების თაყვანისცემის წინააღმდეგ და ხაზს უსვამდნენ, რომ ამგვარი ქმედება ისლამს ეწინააღმდეგებოდა. ისინი არ აღიარებენ ოფიციალურ შიიტ სასულიერო პირებს და მათ ადანაშაულებენ ირანის პოლიტიკის ხელშეწყობაში, ისინი მიიჩნევენ, რომ შიიტები ერეტიკოსები არიან და მოუწოდებენ ისლამის გაწმენდისაკენ აზერბაიჯანში. ბევრი სალაფიტი ძალადობასაც მიმართავდა, ისინი 2010-იანი წლების შუახნებიდან თავს ესხმოდნენ და ანგრევდნენ პირსებს, რამაც ადგილობრივი შიიტები ძალზე გააღიზიანა. ასეთმა ქმედებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას აზერბაიჯანის უსაფრთხოებას და ეროვნულ ერთიანობას, წარმოშვას ტერაქტების საფრთხე.

აზერბაიჯანელი სალაფიტები ორ ჯგუფად იყოფიან: მშვიდობიანი სალაფიტები (ასეთია სალაფიტთა უმრავლესობა და რადიკალები, რომლებიც უმცირესობაში არიან). მეზობელი სალაფიტები რადიკალურ ჯგუფებში ერთიანდებიან და ხშირად ფინანსდებიან საზღვარგარეთიდან. სალაფიტური მეჩეთების უმრავლესობა, სადაც შესამლებელია რადიკალების მიერ ახალი წევრების გადაბირება, სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. ამიტომ ისინი შედარებით სუსტები არიან, ძლიერი რადიკალური სალაფიტური ორგანიზაციის შექმნას ხელი თავიდანვე ეშლება.

სირიის ომის დაწყების და შემდგომ „ისლამური სახელმწიფოს“ ჩამოყალიბების გამო აზერბაიჯანი, როგორც ზემოთ აღინიშნა, რამდენიმე ასეულმა რადიკალმა დატოვა. ისინი დაემს შეუერთდნენ ინტერნეტის მეშვეობით, ნაწილი ნათესავების მოწოდებით გაემგზავრნენ სირიაში. ადგილობრივმა ჯიჰადისტმა მქადაგებლებმა გააქტიურეს მუშაობა არა მხოლოდ სოციალურ მედიაში – უმეტესად იუთუბის მეშვეობით, არამედ ბაქოში, სუმგაითში და სხვა ქალაქებში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ნაწილში, დაღესტნის მახლობლად ჩაის და მიწისქვეშა სახლებში. 2013 წელს „ისლამური სახელმწი-

ფოს“ დაარსებისა და „ალ-ქაიდასთან“ კონფლიქტის მერე „ჯიამ ალ-მუჰაჯირენი ვალ-ასნარის“ აზერბაიჯანელი მებრძოლები ორ ნაწილად გაიყვნენ: ერთი შეუერთდა „დაემს“, მეორე კი „ალ ქაიდას“ და „კავკასიის ემირატის“ ერთგული დარჩა. დაემის რიგებში მებრძოლი აზერბაიჯანელი ბატალიონი თითქმის განადგურდა ასადის ჯარებთან შეტაკებებში [3. 14].

იმის გამო, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობის უმრავლესობა შიიტია და მათი იდეოლოგიისათვის მიუღებელია „ისლამური სახელმწიფოს“ (დაემის) იდეები და გეგმები, ამიტომ გადაბირებულთა რიცხვი დიდი არ იყო. აზერბაიჯანი ისედაც არ წარმოადგენდა „ისლამური სახელმწიფოს“ ინტერესის საგანს, არამედ, უფრო ტრანზიტული ტერიტორია იყო, საიდანაც შედიოდნენ გადაბირებული ჩრდილო კავკასიიდან, თათრეთიდან, ბაშკირეთიდან და ა.შ. რუსეთის სხვა მუსლიმური რესპუბლიკებიდან. ამიტომ დაემს არც უცდიდა დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელება ან აზერბაიჯანელთა გადაბირება, რათა დარტყმის ქვეშ არ აღმოჩენილიყო აზერბაიჯანზე გამავალი ტრანზიტული გზა.

რა დაუპირისპირა აზერბაიჯანის მთავრობამ რელიგიური ექსტრემიზმის, რადიკალიზმის და ტერორიზმის ზრდას? უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანის მთავრობამ უფრო მეტი აქცენტი გააკეთა ზემოთხსენებულ პრობლემასთან ხისტი ძალის გამოყენებაზე, ვიდრე – პრევენციაზე. 1999 წლის 18 ივნისს აზერბაიჯანის მილი-მეჯლისმა მიიღო კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, რომელიც არის ტერორიზმთან ბრძოლის მთავარი რეგულატორი. 2014 წელს აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ზოგიერთი ცვლილება: დაემატა პუნქტი „ტერორიზმში ჩართვის საჯარო მოწოდებები“, რაც ითვალისწინებს 5 წლით თავისუფლების აღკვეთას დანაშაულის ჩადენისკენ ან შეიარაღებული ფორმირების ან ჯგუფის შექმნისაკენ საჯარო მოწოდების გამო, რაც იკრძალება კანონმდებლობით გადაბირების და ასევე, მსგავსი შინაარსის შემცველი მასალის გავრცელების შემთხვევაში.

2015 წელს პრეზიდენტმა ილხამ ალიევმა ბრძანებით ეროვნული უშიშროების სა-

მინისტრო 2 უწყებად დაყო – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურად და საგარეო დაზვერვის სამსახურად. პირველს სხვა რამეებთან ერთად ევალება ტერორისტული და ექსტრემისტული დაჯგუფებების გამოვლენა, თავიდან აცილება – პრევენცია და ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით აზერბაიჯანის ხელისუფლება ეფექტურად იყენებს ტერორისტებსა და სისხლის სამართლის დამნაშავეებზე დაკვირვების სიებს და ბიოგრაფიულ-ბიომეტრიულ ინფორმაციას აეროპორტში მგზავრების შემოწმების მიზნით. აზერბაიჯანში უშიშროების სამსახური ეფექტურად აწვდის ინფორმაციას მთავრობასა და სხვა ქვეყნებს. რამდენიმე ფრენისას მგზავრების შესახებ ინფორმაცია და მათი სახელები და გვარები წინასწარ შეამოწმეს [7]. ამავდროულად, სპეცსამსახურები ტერორისტულ და ექსტრემისტულ საქმიანობაში ჩართული პირების დევნისათვის იყენებენ არსებულ კანონმდებლობას. მაგ., 2016 წელს აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ ტერორისტულ საქმიანობაში მონაწილეობისათვის ბრალდებულ 58 ადამიანს ჩამოართვა მოქალაქეობა, რადგან კავშირი ჰქონდათ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ [7].

ამასთან უნდა აღინიშნოს ერთი ნიუანსიც, რომ აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების კონცეპციაში სათანადო ადგილი არ ეთმობა რელიგიურ და ძალადობრივ ექსტრემიზმს, რადიკალიზაციას და იგი ზოგადი მინიშნებებით შემოიფარგლება. შეიძლება დოკუმენტების ანალიზის შედეგად გაკეთდეს დასკვნა, რომ აზერბაიჯანის მთავრობა ექსტრემიზმთან და რადიკალიზაციასთან საბრძოლველად ფოკუსირებულია უფრო მეტად შეზღუდული პოლიტიკის გამოყენებაზე. ასეთი აქცენტირება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პირისპირ სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობას.

როგორც ზემოთ ითქვა, აზერბაიჯანში ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ამ პრობლემის შესუსტების მიზნით 2006 წელს აზერბაიჯანის ხელისუფლებამ დაიწყო „მიზნობრივი სოციალური დამარეზის“ (TSA) პროგრამის განხორციელება ქვეყანაში. პროგრამის მიზანი იყო გაჭირვებული ჯგუფების დახმარება სიღარიბის შესამცირებლად.

ქვეყანაში გაწეული სოციალური დახმარების დონე განისაზღვრა: 2008 წელს 42.56 დოლარით, 2010 წელს კი 54,4 ევროთი. ამგვარი დახმარების მიმღები ხალხის რაოდენობა ყოველწიურად იზრდებოდა. თუ 2007 წელს ეს დახმარება 48 ათას 705 ოჯახმა მიიღო (მოსახლეობის 2.5%), უკვე 2009 წლისთვის – 163ათას 409 ოჯახმა (750 ათასამდე ადამიანმა), ანუ მოსახლეობის 8,4%-მა. ქვეყანაში ერთი ოჯახისათვის გამოყოფილი დახმარება საშუალოდ შეადგენს – 86,81 ევროს, ერთ ადამიანზე კი 19,06 ევროს [3. 17].

პროგრამა მძიმე ეკონომიკური კრიზისის გამო შეწყდა 2015 წელს, თუმცა გარკვეული დადებითი გავლენა მაინც მოახდინა გაჭირვებაში მყოფ ადამიანებზე, განსაკუთრებით სოფლად, რომ გაეუმჯობესებინათ ცხოვრების პირობები.

რაც შეეხება რელიგიურ ექსტრემიზმს, იგი აზერბაიჯანის მთავრობის ყველაზე დიდი გამოწვევა და რადიკალიზაციის მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია. ბოლო 30 წლის განმავლობაში აზერბაიჯანის ხელისუფლება რადიკალური რელიგიური ორგანიზაციის გავლენის აღმოსაფხვრელად ძირითადად სამართალდამცავ კანონებს იყენებს. სალაფიტების და ირანული პროპაგანდის გავლენის შესამცირებლად რამდენიმეჯერვე შეიცვალა კანონი ღვთისმსახურების შესახებ. ამ ჩარევამ მისიონერული საქმიანობა და დამოუკიდებელი რელიგიური თემები სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარა. ასევე აღდგა რელიგიური განყოფილება სამინისტროს დონეზეც.

აზერბაიჯანის მთავრობის ამჟამინდელი სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის მიზანია რელიგიური ორგანიზაციების გავლენის ჩახშობა, მიმართულია აზერბაიჯანზე ირანის გავლენის შემცირებისკენ. ამ მიზნით

შეიზღუდა რელიგიური ლიტერატურის იმპორტი ირანიდან. ამას ყველაფერს ირანელი მისიონერები ადვილად ახერხებდნენ და რეალიზებას უკეთებდნენ სპეციალიზებულ მაღაზიებში და ქუჩაში. ითარგმნა საჭირო რელიგიური ლიტერატურა აზერბაიჯანულ ენაზე, რაც მანამდე ირანიდან შემოტანილი წიგნებით ხდებოდა და მოსახლეობაც 1992-2010 წლებში ისლამის შესახებ ინფორმაციას ირანული რელიგიური წიგნებიდან ეცნობოდა. 2010 წლისათვის რელიგიურ ორგანიზაციებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ განხილულ იქნა 18 ათასზე მეტი წიგნი და აქედან 348 მათგანის გაყიდვა აზერბაიჯანში აიკრძალა, თუმცა მათი ნაწილი მაინც ვრცელდება არალეგალურად.

ამავდროულად აზერბაიჯანის მილიმეჯლისმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, უკანონოდ შემენილი რელიგიური ლიტერატურისა და სპეციალიზებული გაყიდვის მაღაზიების გარეთ სხვა პროდუქციის შემენა ასევე ჩაითვლება კანონდარღვევად [3. 18].

ამრიგად, მიუხედავად აზერბაიჯანის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებებისა, ქვეყანაში რელიგიური ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის დონე ნელა, მაგრამ მაინც იზრდება. ეს განპირობებულია ირანის შიიტური და ჩრდილო კავკასიის სალაფიტური ჯგუფების გავლენით, „ისლამური სახელმწიფოს“ არსებობით (2013-2018), მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, რასაც ხელს უწყობს კორუფციის მაღალი დონეც.

ამას ხელს უწყობდა ასევე ყარაბაღის კონფლიქტის ფაქტორიც, რომელიც ზრდიდა დამაბულობას ქვეყნის შიგნით, ხელისუფლებისა და ხალხის დაპირისპირებას, სამხედრო ხარჯების ზრდას, რომელიც არ ხმარდებოდა მოსახლეობას. 2020 და 2023 წლის საომარი ქმედებების შედეგად აზერბაიჯანმა რუსეთის ფარული მხარდაჭერით, შეძლო მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენა, რაც ასევე ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით დამაბულობის მოხსნას და სახსრების გამოთავისუფლებას.



## RELIGIOUS EXTREMISM AND TERRORISM IN AZERBAIJAN

### Summary

The article analyzes the attractive and attractive factors promoting radicalization in Azerbaijan in terms of religious extremism and terrorism, the analysis of the government's policy and measures to combat extremism, recommendations for the government of Azerbaijan. The paper presents the participation of citizens in international terrorist groups operating on the territory of Azerbaijan, other manifestations of radicalism and violent extremism, including the activities of right-wing and ultra-nationalist groups.

According to the analysis, religious-violent extremism and radicalization pose a greater threat to Azerbaijan than international terrorist organizations, although the Azerbaijani authorities are trying to link the wave of radicalization in the country to foreign influence.

**keywords:** Azerbaijan, religious extremism, terrorism, Islamic State, Syrian conflict, right-wing radicalism, Karabakh conflict.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Баку ужесточил методы борьбы с терроризмом и оппозицией. <https://www.kavkaz-uzel.media/articles/297227/>
2. The Caucasus Research Centers. Caucasus Barometer Survey:2008-2013. <https://caucasusbarometer.org/en/cb-ge/IMP1SS1/>
3. ძალადობრივი ექსტრემიზმის ფესვები აზერბაიჯანსა და საქართველოში (საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი - GGSD, თბ; 2018
4. Казанцев А.А Гусев Л.Ю угроза религиозного экстремизма на постсоветской пространстве М. 2017
5. Anar Valiyev, <https://www.ponarseurasia.org/new-policy-memo-azerbaijan-s-balancing-act-in-the-ukraine-crisis/> (მოძიებული 2024 წლის 16 იანვარს)
6. Arif Yunusov Islamic pallet of Azerbaijan (Baku: adigoli, 2012)
7. U.S Department of State, burau of Counterterrorism and countering violent extremism. Country reports of terrorism 2016. Chapter 2, counter reports: Europe (Washington, D.C. 2017) <https://www.ecoi.net/en/document/1404760.html>

## ტერორიზმი და ექსტრემიზმი, როგორც ევროპის სტაბილურობის საფრხე

ნაშრომში განხილულია ტერორიზმი, ექსტრემიზმი და ევროპის სტაბილურობასთან დაკავშირებული საკითხები, ამ გამოწვევების ძირეულ მიზეზები, გამოვლინებები და შედეგები. ტერორიზმისა და ექსტრემიზმის მუდმივი ზრდა ევროპული ქვეყნებისთვის ურთულესი პრობლემა გახდა. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა მოსალოდნელ საფრთხეებზე რეაგირების ახალი გზების ძიება, რაც რეალური ვითარების ანალიზს უნდა დაეყრდნოს. კვლევამ გვიჩვენა, რომ ცალკეული ქვეყნებისა და თანამეგობრობის მიერ, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ სრულყოფილი და კოორდინირებული ერთიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებული. სტატიაში ასევე ყურადღება გამახვილებულია მიმდინარე გამოწვევებზე, შემოთავაზებულია მრავალგანზომილებიანი მიდგომები, რომლებიც მოიცავს საზოგადოების ჩართულობას და საერთაშორისო თანამშრომლობას ამ საფრთხეების წინააღმდეგ ეფექტურად საბრძოლველად.

*საკვანძო სიტყვები:* ტერორიზმი; ექსტრემიზმი; თალიბანი; ალ-ქაიდა; რადიკალიზაცია.

ევროკავშირისთვის ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია და წინააღმდეგობა (P/CVE) ხდება მთავარი კონცეფცია როგორც შიდა, ისე გარე უსაფრთხოების საკითხებში. აქტივობები განხორციელდა როგორც წევრი სახელმწიფოს, ასევე უფრო მასშტაბურ დონეზე. ICSF-ის ფარგლებში, გლობალური P/CVE-სპეციფიკური ქმედება დაიწყო მთელ მსოფლიოში ძალადობრივი ექსტრემიზმისადმი გამძლეობის გაძლიერების პროგრამის (STRIVE) ფარგლებში.

STRIVE ქმედებები მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ინოვაციურ P/CVE პროექტებს ადგილობრივ თემებთან თანამშრომლობით, გააძლიეროს განვითარების ხელშემწყობი პირობები და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ გამძლეობა. 2013 წლიდან დაწყებული, დაახლოებით 38 მილიონი ევრო გამოიყო სხვადასხვა STRIVE აქციებისთვის მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და წინააღმდეგობის მიზნით. ძირითადი საერთო ფაქტორი არის ის, რომ პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ქმედებები არის ინოვაციური, ახალი ნიადაგის ტესტირება და

სწავლისთვის პლატფორმის შექმნა, რომელიც შეიძლება იკვებებოდეს ევროკავშირის უფრო დიდი ტრადიციული თანამშრომლობის ინსტრუმენტებში.

2005 წლიდან ევროკავშირმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტერორიზმთან ეფექტურად საბრძოლველად ქმედებები უნდა იყოს ორგანიზებული ოთხი საყრდენის გარშემო:

პრევენცია, დაცვა, დევნა და რეაგირება, ევროკავშირის ანტიტერორისტული სტრატეგიისა და ევროკავშირის რადიკალიზაციისა და ტერორიზმში დაქირავების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის შესაბამისად. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ევროკომისიამ დიდი ინვესტიცია მოახდინა პარტნიორ ქვეყნებში ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

2019 წლის ბოლოსთვის, დაახლოებით 465 მილიონი ევროს ღირებულების CT ან P/CVE-ს სპეციფიკური პროექტები (მიმდინარეობს) გეოგრაფიული ფარგლებით ევროკავშირის გარეთ, რაც წარმოადგენს დაახლოებით 61 მილიონი ევროს (ანუ 15%) ზრდას).

წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლებიდან – და 4 წლის განმავლობაში ჩართულობის სამჯერ მეტი. ICSP-ის მე-5 მუხლი

წარმოადგენს ევროკავშირის მთლიანი ინვესტიციის 21%-ს ამ სფეროში [1].

### ტერორიზმი და ძალადობრივი ექსტრემიზმი, როგორც მსოფლიო სტაბილურობის საფრთხე

ტერორიზმი და ძალადობრივი ექსტრემიზმი, მათი ყველა ფორმით და წარმომავლობის მიუხედავად, მნიშვნელოვანი საფრთხეა სტაბილურობისათვის, მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის მთელ მსოფლიოში.

მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმის უახლესი ინდექსი მიუთითებს გლობალურად ტერორისტული აქტების რაოდენობის საერთო შემცირებაზე, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ტერორიზმის საფრთხე უფრო მრავალფეროვანი და რთული ხდება, ვიდრე ოდესმე.

ევროკავშირი თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან, ამ საფრთხის დასაძლევად, ხელმძღვანელობს ევროკავშირის ანტიტერორისტული სტრატეგიით, ევროკავშირის საბჭოს დასკვნებით, ევროკავშირისა და შესაბამის ქვეყნებს შორის CT-ის შესახებ პოლიტიკური დიალოგის კონტექსტში. ევროკავშირის პოლიტიკური მიზნების განხორციელების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის მიზნით, კომისიამ ჩამოაყალიბა არაერთი თემატური CT მექანიზმი, რომელსაც მართავს საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტების სამსახური (FPI). ეს უზრუნველყოფს მოთხოვნაზე ორიენტირებულ, მორგებულ მხარდაჭერას პარტნიორი ქვეყნების კომპიუტერული ტომოგრაფიის ციკლის ყველა სფეროში – მოლოდინი, პრევენცია, დაცვა და რეაგირება – გააძლიეროს მათი შესაძლებლობები გამომდინარე ტერორიზმის წინააღმდეგ კანონის უზენაესობის პერსპექტივიდან. მის თითოეულ ობიექტს აქვს გლობალური ან ტრანსრეგიონული ფარგლები და შემოთავაზებულია წვდომა CT სპეციფიკურ აქტივობებზე. ობიექტები მოქნილია: ისინი შექმნილია ისე, რომ მოხდეს აქტივობების კორექტირება შესაბამისი ობიექტების გეოგრაფიული და/ან თემატური მანდატის ფარგლებში განვითარებული მოვლენების ან პრიორი-

ტეტების ცვლილების გათვალისწინებით. FPI ახორციელებს ქმედების მართვას უამრავ მრავალ ქვეყანაში, რომლებიც ფოკუსირებულია CT-ზე. ისინი მოქმედებენ წინასწარ განსაზღვრულ ქვეყნებში, შერჩევის კრიტერიუმების ერთობლიობის საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრულია მოქმედების ფორმულირებისას ან დაწყების ეტაპზე [1].

როგორც აღინიშნა ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან დაკავშირებული საფრთხეები კვლავ წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას თანამედროვე მსოფლიოსთვის. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად აჩვენა, რომ ტერორისტულ/ექსტრემისტულ ორგანიზაციებს და ჯგუფებს შეუძლიათ ადგილობრივი, რეგიონული კონფლიქტები გლობალურ, საერთაშორისო კონფრონტაციად გადააქციონ; მათ შეუძლიათ განახორციელონ ტერორისტული თავდასხმები სხვადასხვა ქვეყანაში და მოსახლეობის ნაწილის რადიკალიზაცია. სირიაში, ერაყში, ავღანეთში, იემენში, ლიბიასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებმა შექმნა უპრეცედენტო შესაძლებლობები ტერორისტული იდეების გავრცელებისთვის, ასევე აღნიშნული იდეებისადმი დაუცველი ჯგუფების რადიკალიზაციისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ცივილიზებული სამყარო ტერორისტული/ექსტრემისტული ორგანიზაციებისგან წარმოშობილი არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, მათ შორისაა საკუთარი მოქალაქეების რადიკალიზაცია; მათი მოგზაურობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, იქ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად; საბრძოლო გამოცდილების მქონე რადიკალიზებული პირების დაბრუნება და ტერორისტული/ექსტრემისტული ჯგუფების ან/და გარკვეული პირების მიერ ტერორის-

ტული თავდასხმების დაგეგმვა და განხორციელება. მიუხედავად საერთაშორისო ძალისხმევისა, ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ (შემდგომში „დაეში“) რჩება გლობალური ტერორიზმის ყველაზე საშიშ გამოვლინებად.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში იგი წარმოადგენდა ტერორისტულ ორგანიზაციას უპრეცედენტო სამხედრო, ფინანსური, მმართველობითი და იდეოლოგიური შესაძლებლობებით. გასულ წლებში „დაეში“ ძირითადად ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებებით იყო დაკავებული. ტერიტორიების დაკარგვისა და პოზიციების შესუსტების შემდეგ ორგანიზაციას აღარ აქვს ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა და, შესაბამისად, შეიცვალა მოქმედების სტრატეგია, რამაც გამოიწვია ახალი გამოწვევები თანამედროვე სამყაროს წინაშე.

ახალი ტაქტიკის დროს კონფლიქტის ზონის მიღმა ტერორისტული აქტების განხორციელება „დაეშის“ მთავარ იარაღად იქცა. ეს ორგანიზაცია ცდილობს უფრო და უფრო მეტი ადამიანის რადიკალიზაციას, მათ დასაქმებას და თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის ინტერნეტისა და სოციალური მედიის გამოყენებით ტერორისტული აქტების მოწყობას. ბოლო წლებში

განმავლობაში „დაეში“ თავის მხარდამჭერებს სირიასა და ერაყში გამგზავრებისკენ უბიძგებდა. დღეს ტერორისტული ორგანიზაცია ინტერნეტისა და სოციალური ქსელების გამოყენებით აიძულებს რადიკალიზებულ პირებს განახორციელონ ტერორისტული თავდასხმები მათ საცხოვრებელ ადგილებში [2].

„ავღანეთის ისლამური ემირატი“, იგივე „თალიბანი“ ასევე რჩება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად საერთაშორისო ტერორიზმის თვალსაზრისით. აღნიშნული ორგანიზაცია ძირითადად მოქმედებს ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში და აკონტროლებს ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს. „თალიბანს“ შეუძლია განახორციელოს სამხედრო ოპერაციები, განახორციელოს შეიარაღებული თავდასხმები და ტერორისტული აქტები. ოპერაციების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ტერორისტული ჯგუფები დამოუკიდებლად საკმაოდ ეფექტურად მოქმედებენ, თუმცა საჭიროების შემთხვევაში „თალიბანი“ იყენებს ცენტრალიზებული მმართველობის მექანიზმსაც. ბოლო წლების განმავლობაში „ავღანეთის ისლამური ემირატი“ და „დაეში“ აქტიურად უპირისპირდებიან ერთმანეთს ავღანეთში და ცდილობენ გავლენის გადანაწილებას [3].

### ტერორიზმი და ექსტრემიზმი საერთაშორისო გლობალური პოლიტიკური პრობლემა

როდესაც საუბარია ტერორიზმისა და ექსტრემიზმის საფრთხეზე, უნდა ითქვას, რომ 2001 წლის 9 სექტემბერმა დაგვანახა, რომ ტერორიზმი საერთაშორისო გლობალური, პოლიტიკური პრობლემაა. ამის ნათელი მაგალითია ნორვეგიაში 2011 წლის 22 ივლისს მოწყობილი უპრეცედენტო ტერორისტული აქტი რომელიც განახორციელა ერთმა ტერორისტმა – ანდრეს ბრეივიკმა, რასაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ისიც უნდა ითქვას, რომ ტერორისტმა კვალის ასარევად ჯერ ოსლოს ცენტრში უფრო კონკრეტულად, პრემიერ მინისტრის ოფისთან მოაწყო აფეთქება, შემდეგ კი უგოიას კუნძულებისკენ გაემართა [4. 145]. შეაღწია ერთ-ერთ ბანაკში და ცივისსხლია-

ნად გაუსწორდა იქ მყოფ ახალგაზრდებს. გამოძიების შედეგად გამოირკვა, რომ ბრეივიკი აკრძალულ ტყვიებს იყენებდა. აღნიშნული ტერაქტი, რომელსაც 77 ადამიანი ემსხვერპლა, ნორვეგიის პრემიერ მინისტრმა შეაფასა, როგორც „ნორვეგიის ყველაზე სისხლიანი ტრაგედია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ“ [5].

აღნიშნულ ტერაქტთან დაკავშირებით, ბრეივიკის ადვოკატმა შემდეგი განმარტება გააკეთა: „მას სჯერა, რომ ის ომშია, რომელიც არავის ესმის, თუმცა 60 წელიწადში ჩვენ მას ყველანი კარგად გავუგებთ“ [6].

ადვოკატმა ასევე დააფიქსირა, რომ ბრეივიკი წუხს ნამოქმედარზე, თუმცა იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის ომშია,

ბერივიკი იმას ამტკიცებდა, რომ თანამზრახველები ჰყავდა, რაც არ დასტურდებოდა გამოძიებით: ნორვეგიელ ულტრამემარცხენე სრულიად მარტო მოქმედებდა რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ექსტრემისტული ძალადობის სამყაროში მარტოხელა ტერორისტების ტერმინი იკიდებდა ფეხს.

„ხოლო ტერორიზმს“ რაც შეეხება დიდი ხანია ტერორისტების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახური ყურადღებას ამახვილებენ ალქაიდას გამოწვრთნილ მებრძოლებზე, რომლებიც შემდეგ ორგანიზაციის კოორდინირებით, ან ფაქტობრივად სრული დამოუკიდებლად აგრძელებენ საქმიანობას.

საგულისხმოა, ისიც, რომ ბრევიკის შემთხვევა კიდევ უფრო მიძიმე იყო, რადგან ის როგორც გამოძიებით დადგინდა არცერთი ორგანიზაციის სახელით არ მოქმედებდა. სწორედ აღნიშნულზე ამახვილებს ყურადღებას ადგილობრივი დაზვერვის ხელმძღვანელი ჯეიმს კრისტიანსენი, როდესაც ბრევიკის ტერორისტულ აქტს შეეხო. „ეს უსაფრთხოების სამსახურებისათვის სრულიად განსხვავებული გამოწვევაა. ყველაფერი სათავეს მის გონებაში იღებს“.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტერორისტი თავს წმინდა მებრძოლად მიიჩნევს, ისევე როგორც მუსლიმი ფუნდამენტალისტები. თუმცა იმ განსხვავებით, რომ ბრევიკი თავს ქრისტიანად აღიქვამს და ბრძოლას მუსლიმების მასიური იმიგრაციის წინააღმდეგ აწარმოებს, მისი მიზანი „ევროპის გადარჩენაა“ რაც შეეხება მისი ადვოკატის პოზიციას, ტერორისტთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა განცხადება, რომ ბრევიკი მშვიდად არის, თუმცა „მის მიერ დანახული რეალობა ძალიან რთული ასახსნელია“ [7].

როდესაც მიმოვიხილავთ ტერორიზმსა და ექსტრემიზმს, ჩვენ უნდა განვასხვავოთ ექსტრემისტული იდეები, რომლის ქონაც სრულიად ლეგიტიმურია და ქმედებები რომელიც მათ მოჰყვება, არალეგიტიმური მხოლოდ ამ ექსტრემისტული იდეების ძალადობრივი გზებით განხორციელება. სწორედ ასეთი განცხადება გააკეთა იმ ქვეყნის პრემიერ მინისტრმა, რომლის ტერიტორიაზე ორი სასტიკი ტერორისტული აქტი განხორციელდა. აღნიშნული განცხადება შოკის

მომგვრელი იყო. სამწუხაროდ პრემიერ-მინისტრი ძალადობის საპასუხოდ მოსახლეობას კიდევ უფრო მეტი ღიაობისაკენ და ტოლერანტობისაკენ მოუწოდებდა.

უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო შესაფერისი რეაქცია ტერორიზმის საპასუხოდ, დასავლეთის სხვა ქვეყნების ლიდერებისაგან განსხვავებით. ძალზე დამაფიქრებელი იყო ნორვეგიის მმართველი გუნდის წევრების პოზიცია. ისინი ყველა საჯარო გამოსვლაში აფიქსირებდნენ, რომ ტერაქტების შემდგომი ნორვეგია ძველი ნორვეგიისაგან არაფრით იქნებოდა განსხვავებული [8. 27].

მიუხედავად ამისა, ტრაგედიის შემდეგ ნორვეგიაში არავის გამოუთქვამს პრეტენზიები მთავრობის მიმართ, ასევე არ მოუთხოვიათ, უსაფრთხოების საკითხების გადახედვა, თუმცა აღნიშნულზე გაამახვილა ყურადღება ნორვეგიელმა ექსპერტმა ტერორიზმის საკითხებში ტორე ბიორგომ, რომელიც თვლიდა, რომ უფრო მკაცრ კომპიუტერულ ზედამხედველობას შესაძლო ტერორისტი გამოევიდნენ, მაგრამ იქვე დაამატა, რომ „ასეთი დონის მონიტორინგს ნორვეგიელი ხალხი არასოდეს დაეთანხმებოდა“.

ტერაქტთან დაკავშირებით გაცილებით მკაცრი იყო ნორვეგიული მედიის პოზიცია, ისინი მოითხოვდნენ თავდასხმის ყველა დეტალის გარკვევას, თავდასხმების შემდეგ ერთ-ერთი ჟურნალის კორესპონდენტი ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის სახლში ეწვია და რამდენიმე კითხვა დაუსვა ერთ-ერთ კითხვაზე, თუ როგორი რეაქცია ქმონდა როცა გაარკვია რომ თავდამსხმელი არა მუქკანიან მუსლიმი არამედ ქერა ნორვეგიელი იყო, მან ჟურნალისტს ასე უპასუხა: პირველი რაც გავფიქრე იყო ის, რომ ეს სრულიად განსხვავებულ დებატებს წამოჭრიდა ვიდრე იმ შემთხვევაში, ის რომ უცხოელი ყოფილიყო. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ფაქტმა ნამდვილად წამოჭრა დებატები ევროპაში ულტრამემარჯვენე მოძრაობების და ექსტრემიზმის შესახებ, ზოგიერთისთვის სასიკეთოდაც კი. ასეთი პირველ რიგში პრემიერ-მინისტრი და მისი ლეიბორისტული პარტია იყვნენ. გამოკითხვის შედეგებმა პრემიერ მინისტრისადმი მოსახლეობის დიდი ნდობა აჩვენა. გამოკითხულთა 94% მიიჩნევდა, რომ პრემიერ მინისტრმა თავის

საქმეს თავი „კარგად“ ან „ძალიან კარგად“ გაართვა.

საგულისხმოა ისიც, რომ ნორვეგიის მაშინდელი პრემიერ მინისტრის სტოლტენბერგის, რომელიც დღეს ნატოს გენერალური მდივანია, ტოლერატენტობა ბრეივიკისთვის თავდასხმის სამიზნე ჯგუფის შერჩევის მთავარ კრიტერიუმად იქცა. უტო-იას საზღვრულ ბანაკი მისთვის ორმაგად მიმზიდველი აღმოჩნდა, რადგან კუნძულზე შეკრებილები ანტრასისტები იყვნენ და ბევრი მათგანი ნორვეგიის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. პრემიერ-მინისტრმა ტერაქტის გამოსაძიებლად დამოუკიდებელი კომისია შექმნა, რომელსაც უსაფრთხოების პოლიტიკოსისადმი დაკავშირებული დასკვნები უნდა გაეკეთებინა.

თუმცა, როგორც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, ყოველივე აღნიშნავდა იმას, რომ ტერაქტის შემდეგ საჯარო უწყებებში დეტექტორები დააყენებდნენ – მეტიც, როგორც აღმოჩნდა შეიარაღებული პოლიცია უტო-იას და ოსლოში არაფერს შეცვლიდა.

სწორედ აღნიშნულზე ამახვილებდა ყურადღებას სტოლტენბერგი, როდესაც ამბობდა, ვერცერთ საზოგადოებას ვერ ექნება 100% დაცვის გარანტია იგი არ იყო პირველი სკანდინავიელი პოლიტიკოსი, რომელიც დასავლურ სამყაროში საჯარო სამსახურში მიღებული უსაფრთხოების მაღალი ზომების წინააღმდეგი იყო. თუმცა უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ნორვეგიის პრემიერ-მინისტრისგან განსხვავებით ზოგს ეს ახირება ძვირად დაჯდა 1986 წელს შვედეთის პრემიერ-მინისტრი ოლაფ პალმე სტოკჰოლმის ქუჩაზე მოკლეს, ხოლო 2003 წელს შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანა ლინდი სავაჭრო ცენტრში შოპინგისას მოკლეს [9].

ნორვეგიის ე.წ. სოლო ტერაქტი „ნათელი“ ყოფს, რომ ტერორისტული აქტი შეიძლება მიმართული იყოს ადამიანების წინააღმდეგ, რომელსაც ტერორისტების პოზიციასთან საერთო არაფერი აქვს. ფაქტობრივად უნდა ითქვას რომ ტერორიზმი საერთაშორისო გლობალურ-პოლიტიკური პრობლემა [10].

2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტებმა, რომლებიც დაკავშირებულია ისლამურ ექსტრემისტულ დაჯგუფება ალ-ქაი-

დასთან, რომელიც დაარსდა ოსამა ბინ ლადენის მიერ, გაიტაცეს ოთხი კომერციული სამგზავრო თვითმფრინავი და განახორციელეს თვითმკვლეელი თავდასხმები შეერთებულ შტატებში სამიზნეებზე. ორი თვითმფრინავი ნიუ-იორკში მდებარე მსოფლიო სავაჭრო ცენტრში შეიყვანეს. რამდენიმე საათში ორივე ტყუპი კოშკი ნანგრევებად ჩამოინგრა და მანჰეტენის ქვედა ნაწილი გაანადგურა. მესამე თვითმფრინავი დაეჯახა პენტაგონს არლინგტონში, ვირჯინიის მახლობლად. ასევე თვითმფრინავი ჩამოაგდეს, პენსილვანიის შტატში, შენკსვილთან ახლოს. 11 სექტემბრის ტერორისტულ თავდასხმას თითქმის 3000 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ალ ქაიდას 19 ტერორისტი. 11 სექტემბრის შოკისმომგვრელი მოვლენები გლობალურად გადაიცემოდა ტელევიზიით და მსოფლიოს უმეტესი ნაწილი საშინელების მოლოდინში იყო.

მსოფლიო სავაჭრო ცენტრში 2763 ადამიანი დაიღუპა მას შემდეგ, რაც ორი თვითმფრინავი ტყუპ კოშკებს შეეჯახა. მათ შორის 343 მეხანძრე და პარამედიკოსი, 23 ნიუ-იორკის პოლიციელი და 37 პორტის პოლიციის ოფიცერი, რომლებიც ცდილობდნენ შენობების ევაკუაციის დასრულებას და მაღალ სართულებზე ჩარჩენილი ოფისის თანამშრომლების გადარჩენას.

საღამოს 7 საათზე, პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, რომელიც თავდასხმების დროს ფლორიდაში იმყოფებოდა და მთელი დღე უსაფრთხოების საკითხებით იყო დაკავებული, თეთრ სახლში დაბრუნდა.

საღამოს 9 საათზე მან წარმოთქვა სატელევიზიო მიმართვა ოვალური კაბინეტიდან, სადაც აღნიშნა: „ტერორისტულ თავდასხმებს შეუძლია შეარყიოს ჩვენი უდიდესი შენობების საძირკველი, მაგრამ მათ არ შეუძლიათ შეეხოს ამერიკის საძირკველს. ეს ქმედებები ამსხვრევს ფოლადს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ შეცვალონ ამერიკული გადაწყვეტილების სიმტკიცე. შეერთებული შტატების საბოლოო სამხედრო პასუხზე მითითებით მან განაცხადა: „ჩვენ არ განვასხვავებთ ტერორისტებს, რომლებმაც ჩაიდინეს ეს ქმედებები და მათ, ვინც მათ თავშესაფარს იცავს“.

ოპერაცია Enduring Freedom, ამერიკის ხელმძღვანელობით საერთაშორისო ძალისხმევა ავღანეთში თალიბანის რეჟიმის დასამხობად და იქ დაფუძნებული ოსამა ბინ ლადენის ტერორისტული ქსელის განადგურების მიზნით, დაიწყო 7 ოქტომბერს. ორ თვეში აშშ-ს ძალებმა ფაქტობრივად ჩამოაგდეს თალიბანი ოპერატიული ძალაუფლებიდან, მაგრამ ომი დაიწყო. გაგრძელდა, როდესაც აშშ და კოალიციის ძალები ცდილობდნენ დაამარცხონ თალიბანის მეამბოხე კამპანია მეზობელ პაკისტანში.

ოსამა ბინ ლადენი, 11 სექტემბრის თავდასხმების განმახორციელებელი თითქმის ათი წელი იმყოფებოდა თავისუფლებაში. 2011 წლის 2 მაისს დადგენილ იქნა მისი ადგილმდებარეობა და აშშ-ს ძალებმა აბოტაბადში, პაკისტანის სამალავში მოახდინეს მისი ლიკვიდაცია. 2011 წლის ივნისში მაშინდელმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გამოაცხადა ავღანეთიდან ჯარების ფართომასშტაბიანი გაყვანის დაწყების შესახებ; 2021 წლის აგვისტომდე დასჭირდა აშშ-ს ყველა ძალის გაყვანა [11].

**დასკვნა.** კვლევამ გვიჩვენა, რომ ტერორიზმი და ექსტრემიზმი ევროპის სტაბილურობისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს. საჭიროა ამ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შემდგომი სრულყოფა, რაც იქნება ყოვლისმომცველი და მრავალმხრივი, მათ შორის მნიშვნელო-

ვანია დაზვერვის გაძლიერება, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა და მტკიცე კონტრტერორისტული ზომების მიღება. როგორც აღინიშნა ტერორიზმი და ექსტრემიზმი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ევროპის სტაბილურობას, აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია ყოვლისმომცველი ანტიტერორისტული სტრატეგიების შემდგომი სრულყოფა, რომელიც ეხება როგორც რადიკალიზაციის ძირეულ მიზეზებს, ასევე ტერორისტული ორგანიზაციების ოპერატიულ შესაძლებლობებს.

გარდა ამისა, სოციალური ერთობის და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა, როგორც გადამწყვეტი ელემენტები ამ მრავალმხრივი გამოწვევის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შეიძლება ითქვას, რომ გლობალური პოლიტიკის დღის წესრიგში სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი. თუმცა, ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა უპირველეს ყოვლისა ნატოს მაგალითი, როდესაც ფუნქცია დაკარგულმა და დაშლის პირას მყოფმა ორგანიზაციამ შეძლო ფენიქსივით ფერფლიდან აღდგენა და ახალი სუნთქვა შეიძინა. რაც შეეხება ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებს, ევროკავშირი როგორც საერთაშორისო აქტორი მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩება ძლიერი თუ იქნება „სრულიად დამოუკიდებელი“ რუსეთის, ჩინეთის და აშშ-ს გავლენისაგან.

*ALEKSANDRE MAMISASHVILI - GTU, PhD Student*

## TERRORISM AND EXTREMISM AS A THREAT TO THE STABILITY OF EUROPE

### Summary


The paper discusses terrorism, extremism and issues related to the stability of Europe, the root causes, manifestations and consequences of these challenges. The constant growth of terrorism and extremism has become the most difficult problem for European countries. Based on this, it is necessary to search for new ways of responding to the expected threats, which will be based on the analysis of the real situation. As a result of the analysis, we came to the conclusion that a complete and coordinated unified action plan has been developed by individual countries and the Commonwealth to counter radicalization and violent extremism. The article also focuses on current challenges, proposing multi-dimensional approaches that include community engagement and international cooperation to effectively combat these threats.

**Keywords:** terrorism; extremism; Taliban; Al-Qaeda; radicalization.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. „Global Strategy for the Foreign and Security Policy of the European Union (EU)“ , <https://ct-morse.eu/projects/> [16.04.2024]
2. „NATIONAL STRATEGY OF GEORGIA ON FIGHT AGAINST TERRORISM“  
<https://ssg.gov.ge/uploads/pr/25.01.19/National%20CT%20Strategy%20of%20Georgia.pdf>  
[16.04.2024]
3. MIR ASFANDYAR „AFGHANISTAN’S TERRORISM CHALLENGE THE POLITICAL TRAJECTORIES OF AL-QAEDA, THE AFGHAN TALIBAN, AND THE ISLAMIC STATE“, Middle East Institute, 2020
4. Jacobsen Colin, Maier-Katkin Danie, “Breivik’s Sanity: Terrorism, Mass Murder, and the Insanity Defense” The Johns Hopkins University Press, 2015, 145
5. Norway marks decade since Anders Breivik killed 77 people  
<https://www.aljazeera.com/news/2021/7/22/norway-marks-decade-since-far-right-extremist-killed-77-people> [16.04.2024]
6. „Was Anders Breivik a psychotic spree killer or a calculating terrorist?“, 2011,  
<https://rusi.org/explore-our-research/publications/commentary/was-anders-breivik-psychotic-spreed-killer-or-calculating-terrorist> [16.04.2024]
7. Norwegian Labor Party.  
[https://www.usna.edu/HRO/\\_files/documents/Public%20-%20Docs/Training/Antiterrorism\\_Level\\_1\\_Training.pdf](https://www.usna.edu/HRO/_files/documents/Public%20-%20Docs/Training/Antiterrorism_Level_1_Training.pdf) [16.04.2024]
8. ჭყოიძე კ., „სოლო ტერაქტი ნორვეგიაში“ საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“ თბ. 2013, 27
9. „Swedish foreign minister dies after stabbing“  
<https://www.theguardian.com/world/2003/sep/11/3> [16.04.2024]
10. „Human Rights, Terrorism and Counter-terrorism” Office of the United Nations High Commissioner for Human Rights,  
<https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Publications/Factsheet32EN.pdf>  
[16.04.2024]
11. September 11 Attacks, 2010, <https://www.history.com/topics/21st-century/9-11-attacks>  
[16.04.2024]



 მაია თაბაგარი

გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის,  
ასოც. პროფესორი

## კომუნიკაციის მეთოდები და ჟურნალისტის ქცევა საგანგებო სიტუაციის დროს

(თურქეთში მომხდარი სტიქიის (06.02.23) მედიაგაშუქების ანალიზი)

საზოგადოებაში საგანგებო სიტუაციის კონცეფციას საკმაოდ ფართო გაგება აქვს. ზოგადი განმარტებით, აქ იგულისხმება ნებისმიერი სიტუაცია, რომელიც განსხვავდება მოვლენათა ნორმალური, ყოველდღიური მდინარებისგან და საფრთხეს უქმნის მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ეს შეიძლება იყოს: უბედური შემთხვევები, კატასტროფები და ბუნებრივი კატაკლიზმები, ტერორისტული აქტები და სამხედრო კონფლიქტები, არეულობები და შეტაკებები და ა.შ.

ასეთ დროს ტელეკომპანიები და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები მოხმარების ყველაზე მძლავრი ობიექტები ხდებიან და ანაცვლებენ ინტერესის სხვა ნებისმიერ სფეროს.

საგანგებო სიტუაციის დროს მომზადებული რეპორტაჟები თავის მხრივ, თავისი აქტუალობითა და გავლენით დიდწილად სჭარბობს იმ მომენტისათვის ნებისმიერ ახალ ამბავს და, როგორც წესი, დომინირებს საინფორმაციო ნაკადის რიგში. მით უფრო მაშინ, როდესაც მსხვერპლისა და ზიანის მიხედვით სტიქიური მოვლენის ნეგატიური გავლენა მასშტაბური და განგრძობადია.

ასეთ დროს, გაზრდილია აუდიტორიის მასშტაბი, მაღალია მოთხოვნა მედია პროდუქტზე, სატელევიზიო საინფორმაციო სივრცე გაჯერებულია რეპორტაჟებით, პირდაპირი ჩართვებით, ვიდეო კადრებით, ფოტოილუსტრაციებით, ისტორიებით...

აუდიტორიის ამგვარ ქცევას მრავალი კვლევა ადასტურებს, თუმცა სოციოლოგიური კვლევების ჩატარების, სატელევიზიო რეიტინგების დათვლისა და შედარების გარეშე, მარტივი დაკვირვებითაც ჩანს, რომ ყველაზე მეტი მომხმარებელი სწორედ ასეთ ინფორმაციას ჰყავს. ახალ ამბავზე გაზრდილი მოთხოვნისა და ინტერესის პარალელურად, მრავალჯერადად იზრდება როგორც მთლიანად მედიასაშუალების, ასევე ნიუსრუმის თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობა - მოიპოვონ, გადაამოწმონ, დაამუშაონ და გაავრცელონ ამბავი ისე, რომ დაზღვეული იყოს მავნე შედეგებისაგან.

*საკვანძო სიტყვები: სტიქია, მიწისძვრა, თურქეთი, მედია, კომუნიკაცია.*

საგანგებო სიტუაციებში ჟურნალისტის საქმიანობა ერთგვარ სამობილიზაციო სამსახურს ემსგავსება. პროფესიული უნარ ჩვენების მაქსიმალური მობილიზაციის პირობებში პროფესიულ თავისუფლებაზე წინ პროფესიული პასუხისმგებლობა დგება.

სტიქიის ეპიცენტრში მომუშავე ჟურნალისტს ადგილზე ბევრი მნიშვნელოვანი გამოწვევისათვის თავის გართმევა და რთული ამოცანის გადაწყვეტა უწევს. მან კარგად

უწყის, რომ რაც მეტია მოთხოვნა ამბავზე, მით მეტია ზუსტ მონაცემთა შეგროვებისა და მათი ვერიფიკაციის აუცილებლობა.

ჟურნალისტური საქმიანობა ამ ვითარებაში მოითხოვს უპირველესად, მყარ ფსიქოემოციურ მდგომარეობას, საქმიანობის სინქრონიზაციას. მას როგორც ველზე, ისევე ახალი ამბების რედაქციაში მუშაობისას კოორდინაცია უწევს როგორც სპეციალურ საგანგებო სამსახურებთან (სახანძრო-სამაშველო,

სასწრაფო-სამედიცინო, მუნიციპალური თუ ფედერალური უწყებები) ასევე მეცნიერთან, რომლებიც პარალელურ რეჟიმში, პირველადი დაკვირვების, თეორიული ცოდნისა და მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის საფუძველზე გვთავაზობენ თავდაპირველ ვერსიებსა და ვარაუდებს, რომლებიც მონაცემთა შეგროვებასთან ერთად უფრო ვრცელი და დასაბუთებული ხდება.

თუკი სტიქიის ეპიცენტრში მომუშავე რეპორტიორს ადგილზე უწევს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რედაქციების ოფისებში სიმშვიდეა და თანამშრომლები რუტინულად მიჰყვებიან მოვლენებს. ადგილზე მომუშავე კოლეგების სიცოცხლისა და უსაფრთხოების რისკებთან ერთად გაზრდილია თითოეული მედიასაშუალების და მისი ცალკეული წარმომადგენლის პასუხისმგებლობა - ნიუსრუმის საპროდიუსერო გუნდში, სატელევიზიო სტუდიებში, ვებ უზრუნველყოფისა თუ სოციალურ მედიის მართვის ქსელში მომუშავე ჟურნალისტის, პროდიუსერისა თუ მენეჯერისაგან პროფესიონალიზმი მოითხოვს მაქსიმალურ მობილიზებას, კომპლექსურ მიდგომას - საკუთარ და სხვის ფიზიკურ თუ ემოციურ უსაფრთხოებაზე ზრუნვასთან ერთად სურათის სრულ და ობიექტურ გაშუქებას. ასეთ დროს ინფორმაციის მოპოვების, შემოწმებისა და დამუშავების შესაძლებლობის შანსიც მცირეა და დროც - შეზღუდული.

სწორედ ამიტომ, სასიცოცხლოდ აუცილებელია ბალანსის პოვნა, იმის გათავისება, რომ სასწორზე დგება მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, მაქსიმალური მოცულობის მასალის ეთერში გადაცემა, ამბის გმირების დაზღვევა ზიანისაგან და თავად ჟურნალისტის რეპუტაცია - სწორედ ბალანსის ამ წერტილში გამოიხატება მასმედიის წარმომადგენლების პროფესიონალიზმი და სამოქალაქო სიმწიფე. ასეთ დროს ჟურნალისტის სტრატეგია და ტაქტიკის უმთავრესი ამოსავალი წერტილია - „არ ავნო“.

2023 წლის თებერვლის მიწისძვრა თურქეთსა და სირიაში ერთგვარი სტრეს ტესტი აღმოჩნდა ქართული მედიისათვის, ისევე როგორც რეგიონული თუ მსოფლიო

მასშტაბით მომუშავე მასმედიის წარმომადგენელთათვის [1].

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ექსტრემალური ჟურნალისტიკის თვალსაზრისით, ქართულმა მედიასაშუალებებმა ამ დროს, ერთი მხრივ, აჩვენეს მზადყოფნა, ხოლო, მეორე მხრივ, მიიღეს დიდი გამოცდილება.

დღეს, როცა სოციალური მედია სტიქიური უბედურებებისა თუ კატასტროფების დროს დაკავშირების მძლავრ და გავლენიან ინსტრუმენტად არის ქცეული, პროფესიული ჟურნალისტიკა მაქსიმალურ მობილიზებას, სიზუსტეს, ოპერატიულობას, სიმაძევესა და ხასიათის სიმტკიცეს ითხოვს. სოციალური პლატფორმები ცვლიან ახალი ამბების გაშუქების ტემპს, წესებს და, სტანდარტებსაც კი, განსაკუთრებით კი მსგავსი მოვლენების დროს.

თუმცა არის ისეთი სტანდარტები ჟურნალისტიკაში, რომლის ცვლილებამაც, შესაძლოა, მავნე ზემოქმედება მოახდინოს ინფორმაციის მომხმარებელზე, მის ფსიქოემოციურ მდგომარეობასა და ზოგადად, ჯანმრთელობაზე. არადა, კატასტროფების გაშუქების სტანდარტები ზედმიწევნით არის გაწერილი ყველა შესაბამის ლიტერატურაში, ისწავლება ტრენინგებსა თუ იმიტაციურ სწავლებებზე, ქსელში მოიძიება საერთაშორისო ჟურნალისტური გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ე.წ. გაიდლაინები.

მიწისძვრების ჟურნალისტური გაშუქების მონახაზი მოიცავს რამდენიმე ეტაპს, რაც ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებიდან დაწყებული ყველა დამწყებმა სტაჟორმაც და მედია მუშაკმაც უნდა იცოდეს.

უპირველესი ოქროს წესი, რაც არა მხოლოდ კატასტროფების, არამედ ნებისმიერი მოვლენის გაშუქებისას სახელმძღვანელოა ყველა ჟურნალისტისთვის: აუცილებელია სანდო ინფორმაცია. სტიქიური მოვლენების დროს კი მონაცემები უნდა იყოს უფრო მკაფიო. ასევე, წესთა შორის მნიშვნელოვანია ის, რომ სტიქიის ზონაში ადგილზე მომუშავე მედია ჯგუფი უზრუნველყოფილი იყოს ტექნიკური აღჭურვილობით (ენერჯის წყაროები, ინტერნეტ-კავშირი, საკვები, უსაფრ-

თხოვების აღჭურვილობა - ჟილეტი, პირბადე, ჩაფხუტი და ა.შ.); ცხელ წერტილში მუშაობის მნიშვნელოვანი სტანდარტია ემოციის მართვა - პანიკის გამორიცხვა. ეთერში ემოციურ, სკანდალურ ჩართვებს, სათაურებსა თუ ფოტო-ვიდეო მასალებს უნდა ანაცვლებდეს საზოგადოების ინფორმირების მიზანი.

საზოგადოების ინფორმირება მხოლოდ ცხელი ახალი ამბის მიწოდებით არ ამოიწურება - ჟურნალისტები მზად უნდა იყვნენ სტიქიის გრძელვადიანი გაშუქებისთვის - რაც იმას ნიშნავს, რომ მედიის საქმიანობა პირველი შედეგებითა და დაზიანების მასშტაბის მონაცემებით არ ამოიწურება. სტიქიური უბედურებების შედეგები დიდხანს

გრძელდება, ჟურნალისტებიც აგრძელებენ თემის გაშუქებას მაშინაც კი, როდესაც მკითხველმა და მაყურებელმა თითქოს უკვე დაკარგა ინტერესი.

საკვლევად აღებული სამი ქართული ტელეკომპანიის - საზოგადოებრივი მაუწყებლის, ტელეკომპანიების - „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის საეთერო ბადეს თუ დავაკვირდებით და პარალელურად, კატასტროფების ჟურნალისტური გაშუქების ზოგად წესებს თუ თანმიმდევრულად გავყვებით, ცხადი ხდება, რომ პირველ პლანზე მდგარი მთავარი წესი, ცხელი ამბავი და მისი გაშუქება - ზედმიწევნით ასახულია ქართულ მედიასაშუალებებში.

### „ცხელი ამბავი“ სოციალურ მედიაში

თურქეთსა და სირიაში დამანგრეველი მიწისძვრა 2023 წლის 6 თებერვალს, დილის 04.17 საათზე მოხდა. სტიქიის სიმძლავრემ 7.8 მაგნიტუდა შეადგინა. მას მალევე მოჰყვა ე.წ. აფტერშოკები, რომელთა შორის ყველაზე ძლიერი 6.7 მაგნიტუდის სიმძლავრის იყო. იმავე დღეს, განმეორებითი მიწისძვრა, თურქეთის დროით 13.24 საათზე დაფიქსირდა, რომელიც 7.5 მაგნიტუდით შეფასდა.

6 თებერვალს, გამთენიას, პირველი მძლავრი ბიძგიდან 10 წუთში მსოფლიო საინფორმაციო სივრცე დაიფარა ცხელი ამბით დამანგრეველი მიწისძვრის შესახებ. სოციალური მედია ყველაზე ოპერატიული და ყველაზე მძლავრი პლატფორმა აღმოჩნდა როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო მედია საშუალებების პირველადი პროდუქტის, ასევე თვითმხილველების მიერ ადგილზე სახელდახელოდ მომზადებული ფოტო, ვიდეო თუ ტექსტური ამბების დისტრიბუციისათვის [1].

როგორც აღვნიშნეთ, პირველი და აუცილებელი ეტაპი ე.წ. ცხელი ამბავია: საინფორმაციო ველი იფარება სიახლით მიწისძვრის შესახებ. ჯერ კიდევ ცხელ კვალზე, როგორც ტელეარხებით, ასევე ინტერნეტის საშუალებით, სწრაფად ვრცელდება ამბები სტიქიის ეპიცენტრის, მასშტაბის, სიმძლავრის შესახებ. მომხმარებელს მიეწო-

დება საწყისი ცნობები დაზიანების, ნგრევის, მსხვერპლისა და ტრავმების შესახებ.

სამივე ქართულ არხზე საინფორმაციო გამოშვებების პირველივე წუთებზე ნათლად გამოიკვეთა, რომ სტიქიური მოვლენა სტიქიურად ტრანსფორმირდა მედია მოვლენად. ეთერში გადაცემულ მასალას წინ უსწრებდა ამავე არხების სოციალურ პლატფორმებსა და ვებ გვერდებზე მიწოდებული მოკლე და განახლებადი ცნობები მეზობელ ქვეყანაში მომხდარი სტიქიის შესახებ.

სოციალური ქსელები, როგორც დაკავშირებადობის ყველაზე ოპერატიული და ხელშესახები მექანიზმი, ნანგრევებში მოყოლილი რამდენიმე ადამიანისათვის არა მხოლოდ კომუნიკაციის, არამედ გადარჩენის საშუალება აღმოჩნდა.

როგორც რუსთავი 2-ის ფბ გვერდი იტყობინებოდა, თურქულ სააგენტო „ანადოლუზე“ დაყრდნობით: ნანგრევებში მოყოლილმა მოქალაქემ თურქი მომღერლის, ჰალუქ ლევენტის ტვიტის ქვეშ ფოტოს გამოქვეყნება შეძლო, საიდანაც დახმარებას ითხოვდა. მეორე დღეს, იგივე მედიასაშუალების სოციალური პლატფორმა გვთავაზობს თურქი ქალბატონის ახალი ტვიტის მიხედვით მომზადებულ ბანერს, რომელიც იტყობინება: „მე გადავრჩი, ყველას ძალიან დიდი მადლობა, ადამიანები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია“.

რობაში არიან, გთხოვთ ილოცოთ, - წერდა აისელი ტვიტერში.

დამანგრეველი მიწისძვრის მასშტაბებისა და მსხვერპლის რაოდენობის შესახებ ინფორმაციების ილუსტრაციებით გავრცელების პარალელურად მეტი სიხშირით ვრცელდებოდა ისეთი კადრები, რაც ტრაგიკულ ვითარებაში იმედისა თუ სიხარულის წუთებს ასახავდა. მრავლად იყო გადაჩენილთა ფოტოები შემდეგი ჰედლაინებით: „ნანგრევებიდან 2 წლის ბავშვი მიწისძვრიდან 79 საათის შემდეგ ამოიყვანეს“; „მიწისძვრიდან 90 საათის შემდეგ ჰათაიში ნანგრევებიდან დედა-შვილი ცოცხალი ამოიყვანეს, ჩვილი სახელად იაგიზი 10 დღისაა“; „გადარჩენილი 18 თვის ბავშვი და აგრემლებული მაშველი“; „შვილის რეაქცია დედის დანახვაზე, რომელიც მაშველებმა 176 საათის შემდეგ ნანგრევებიდან ცოცხალი ამოიყვანეს“; „მაშველი წმენდს სახეს 20 დღის პატარას, რომელიც მიწისძვრის შემდეგ ნანგრევებიდან ცოცხალი ამოიყვანეს“...

აუდიტორია დამანგრეველი სტიქიის შესახებ პირველად მონაცემებს პირველივე წუთებში სოციალური ქსელებიდან იღებს, რაც სავსებით ბუნებრივია დღევანდელ ვითარებაში. ინტერნეტის ეს გლობალური ქსელი სეისმოლოგიურ სამსახურებსაც და ტრადიციულ მედიასაშუალებებსაც უსწრებს დროში ცნობის გავრცელების თვალსაზრისით. თუმცა, სოციალურ მედიაში გავრცელებული ამბავი უმეტესწილად საჭიროებს გადამოწმებასაც, დაზუსტებასაც და განგრძობადობასაც. ადგილობრივი მოსახლეობის ფეისბუქსა თუ ტვიტერზე მყისიერად ატვირთული პოსტების პარალელურად, პასუ-

ხისმგებლიანი და პროფესიონალი ჟურნალისტების უპირველესი მოვალეობა პოსტების კვალდაკვალ მონაცემების შეგროვება და მხოლოდ ამის შემდეგ გავრცელებაა.

ეს გამოცდილება მსოფლიო მედიასაშუალებებმა სხვა სტიქიური უბედურებისა და კატასტროფების გაშუქებისას მიიღეს. მათ შორის იყო დამანგრეველი მიწისძვრა ნეპალში, 2015 წლის მაისში, როდესაც 7,8 მაგნიტუდის მძლავრი მიწისძვრის დროს ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების ტვიტებიდან თუ ფეისბუქ პოსტებიდან შეძლეს ჟურნალისტებმა პირველადი ცნობების მიღება. თუმცა მათ შემდგომში დიდი ძალისხმევა დასჭირდათ მონაცემების დასაზუსტებლად.

„სოციალური მედია არ იძლევა მკაფიო ინფორმაციას, რა ხდება, როდესაც მიწა იძვრის, - წერს კუნდა დიქსიტი, Nepali Times - ის რედაქტორი, - ისინი სავსეა ჭორებით, გადაუმოწმებელი ინფორმაციით და არასწორი პროგნოზებით.“ რედაქტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბუნებრივი კატასტროფების გაშუქებისას ჟურნალისტებისათვის პროფესიული პრიორიტეტი ზუსტი ინფორმაციის მოძიება უნდა იყოს.

სტიქიაგამოვლილი და ბუნებრივი კატაკლიზმების ეპიცენტრში მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტები ხშირად იძლევიან პრაქტიკულ რჩევებს კატასტროფების გაშუქებისთვის. ისინი ქმნიან გაიდლაინებსა და პრაქტიკული რჩევების ნუსხას, რაც ახალგაზრდა და დამწყებ კოლეგებს გარკვეულ სახელმძღვანელოდ გამოადგებათ მიწისძვრის შესახებ ჟურნალისტური მასალების მომზადების დროს.

## „ცხელი ამბის“ სატელევიზიო რაკურსები

სირიელი ჟურნალისტი და ტრენერი მაის კატი სტიქიური უბედურებების გაშუქების ჟურნალისტებს მიუთითებს იმ ძირითად ასპექტებზე, რომლებიც მედიის წარმომადგენლებმა უნდა გაითვალისწინონ ბუნებრივი კატასტროფების ეპიცენტრში მუშაობისას. მაის კატის აზრით, გადამღებმა ჯგუფებმა უნდა იზრუნონ, რომ უპირველესად, მათი პირადი უსაფრთხოება იყოს უზრუნველყოფილი და დაცული. „უსაფრთხო-

ება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ექსკლუზიური ინფორმაციის მიღება და გავრცელება,“ - ამბობს ის. მაის კატი ჟურნალისტური ეთიკისა და პროფესიული სტანდარტების დაცვასთან ერთად მოუწოდებს კოლეგებს, მაღალი რისკის ზონებში შესვლისას დაემორჩილონ ადგილობრივი ხელისუფლებისა და უსაფრთხოების სამსახურების მითითებებსა და სარეკომენდაციო წესებს.

დიდ პასუხისმგებლობასა და სიფრთხილეს მოითხოვს უშუალოდ მსხვერპლთა მდგომარეობის ასახვა რეპორტაჟებში. „ბავშვების ფოტოების განთავსებისას დაიცავით წესები და პატივი ეცით სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების კონფიდენციალურობის უფლებებს, დაიცავით პროფესიული გაიდლაინები ტრავმის მქონე ადამიანების გასაუბრებისას. გთხოვთ, გადაამოწმოთ ინფორმაცია გამოქვეყნებამდე, რადგან კრიზისის გაშუქება დენიფორმაციის მკვებავი საფუძველია“, - აღნიშნავს სირიელი ჟურნალისტი მაის კატი.

სატელევიზიო რეპორტაჟები თურქეთში მომხდარი დამანგრეველი სტიქიის შესახებ ქართულ ელექტრონულ მედიაში 2023 წლის 6 თებერვლის დილის პირველივე საინფორმაციო გამოშვებებში გაჩნდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის, რუსთავი 2-სა და იმედის დილის გადაცემები სახელდახელოდ მომზადებული ინფო გრაფიკებითა და თვითმხილველების მიერ გადაღებული ვიდეო და ფოტო კადრებით იუწყებოდა მომხდარის შესახებ. ცნობები თავდაპირველად დაუზუსტებელი იყო როგორც მსხვერპლისა და ზიანის, ასევე სიმძლავრის შესახებ. ტექსტური ინფორმაცია ეფუძნებოდა თურქული ადგილობრივი მედიის მონაცემებს, რაც, თავის მხრივ, დროდადრო ახლდებოდა. შესაბამისი განახლებით ბრუნდებოდა საინფორმაციო გამოშვებები ეთერშიც. პარალელურ რეჟიმში, სამივე არხის ონლაინ გამოცემები და სოციალური პლატფორმები მყისიერად ათავსებდნენ ცხელ ცნობებსა და განახლებულ მონაცემებს მსხვერპლის, ზიანის, მასშტაბის შესახებ. ქართული აუდიტორისათვის ყველა დეტალი ხელმისაწვდომი იყო. თითქმის ყველა სტანდარტითა და მახასიათებლით ეს იყო ახალი ამბავი, რომელიც არა მხოლოდ დროულობით, უჩვეულობით, აქტუალობით, გავლენითა და გაშუქების აუცილებლობით გამოირჩეოდა, არამედ ქართული აუდიტორიის ინტერესს ასევე ამ მოვლენის სიახლოვეც განაპირობებდა. ეს იყო არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ ადამიანური, ჰუმანიტარული, მიგრაციული, მეზობლური თუ მეგობრული სიახლოვე.

ნიშანდობლივია, რომ სტიქიის ეპიცენტრში სამძებრო-სამაშველო სამუშაოებში პირველები სწორედ ქართველი მეხანძრე მაშველები ჩაებნენ, ერთ-ერთი პირველი ჰუმანიტარული ტვირთიც საქართველოდან გაიგზავნა, დიდი ინტერესი სტიქიის ზონაში მცხოვრები ან დროებით მყოფი საქართველოს მოქალაქეების მოძიებისკენ იყო მიმართული. საქართველოს საკონსულოებში ამოქმედებული ცხელი ხაზი ყველა მედიასაშუალების მორბენალ სტრიქონებში, ვებგვერდებსა თუ ფეისბუქ გვერდებზე განთავსდა. ტელეკომპანიების ჟურნალისტები და ოპერატორები საქართველოდან იმავე დღეს ჩავიდნენ: ოპერატიულად იმოქმედეს „იმედის“, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურებმა. უმძიმესი დღის ბოლოს ადგილზე იყვნენ ტელეკომპანიების გადამღები ჯგუფებიც. მოგვიანებით ქართველ მაყურებელს უკვე ჰქონდა საშუალება, პირველწყაროდან მიეღო იმ წუთებისთვის არსებული ინფორმაცია ნგრევის მასშტაბის, მსხვერპლისა და სამაშველო ღონისძიებების შესახებ. კადრების გარდა შემოთავაზებული იყო ინტერვიუები თვითმხილველებთან, მედიკოსებთან, მეხანძრე-მაშველებთან.

თურქეთში მომხდარი სტიქიური უბედურების მედია დაფარვის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართული არხები მართლაც გამოირჩეოდნენ ოპერატიულობისა და სიზუსტის თვალსაზრისით, სამივე არხის პირდაპირ ჩართვებსა და რეპორტაჟებში უზრუნველყოფილი იყო აგრეთვე ე.წ. დასწრების ეფექტიც, შესაბამისად, კატასტროფის პირველივე დღეებიდან ორი კვირის განმავლობაში ქართულ აუდიტორიას საშუალება ჰქონდა, ყოველდღიურად, თვალყური ედევნებინა განახლებადი რეპორტაჟებისა და პირდაპირი ჩართვებისათვის მოვლენის შუაგულიდან.

იმ პარამეტრებს შორის, რომლის ფარგლებშიც მედიასაშუალებებს საგანგებო ვითარებების დროს უწევთ მუშაობა, მნიშვნელოვანია გავლენისა და ზემოქმედების შეფასება. სტიქიის შედარებით უფრო დეტალური გაშუქების ეტაპზე ჟურნალისტები უკვე იძლევიან დაზუსტებულ ცნობებს და დუპულთა რაოდენობის, შენობებისა და

ინფრასტრუქტურის დაზიანებისა და საგანგებო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურების რეაგირების შესახებ.

დეტალური ინფორმაციის გავრცელება ქართულ მედიასაშუალებებში იმავე ინტენსივობით გრძელდება სტიქიის შემდგომ დღეებში. გარდა იმისა, რომ ზუსტდება ნგრევის მასშტაბის, მსხვერპლისა და დაზარალებულთა რაოდენობრივი მონაცემები, რეპორტაჟებში მრავლადაა სამაშველო და სასწრაფო დახმარების სამსახურების მუშაო-

ბის პროცესის აღწერა, ადგილობრივი მოსახლეობის განსახლების ამსახველი კადრები, წინა პლანზე გამოდის ასევე მასშტაბური ნგრევის მიზეზების შესახებ პირველადი ცნობებიც. თუმცა ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი არის, ის, თუ როგორ აღიქვამენ, აღბეჭდავენ და აღწერენ ჟურნალისტები უბედურების ზონაში ადამიანურ ისტორიებს. ისინი ხომ ამ დროს ტრაგედიების მომსწრენი და თვითმხილველები არიან.

## ადამიანური ისტორიები

2017 წელს, ქარიშხალ „ჰარვის“ გაშუქებისას CNN-ის ჟურნალისტს, თავისი ქცევის გამო, თავს დაატყდა ადგილობრივი მცხოვრები ქალბატონის რისხვა. ჟურნალისტი ქალბატონს ეკითხებოდა, თუ როგორ გრძნობდა თავს ქარიშხლის გამო. რესპონდენტმა ქალბატონმა ის პირდაპირ ეთერში გულგრილობაში დაადანაშაულა და საკმაოდ უხეში და ემოციური პასუხი გასცა. ამ რეპორტაჟის შემდეგ ჟურნალისტმა პოლ ფარჰმა Washington Post - ში ვრცელი სტატია გამოაქვეყნა სტიქიური უბედურების ზონაში ჟურნალისტთა მუშაობისა და ქცევის სტანდარტების შესახებ.

როგორ უმკლავდებიან ჟურნალისტები სტრესს, როდესაც ისინი ადამიანური უბედურებების უშუალო შემსწრენი არიან. რა არის მათთვის პრიორიტეტული იმ წუთებში: ხმაურიანი, ემოციური ჩართვა/კადრი/ინტერვიუ და მოკლევადიანი რეიტინგი თუ ეთიკური სტანდარტი. ამ დილემამ თავი იჩინა თურქეთის სტიქიის გაშუქებისას, როდესაც თითოეულ ჟურნალისტს, ოპერატორსა თუ რედაქტორს იმ წამიერი ემოციის დამლევა და მყისიერი გადაწყვეტილების მიღება უწევდათ როგორც ადგილზე, როდესაც მაშველებს მიცვალებულები ამოჰყავდათ ან სასოწარკვეთილი დედა ეძებდა ნანგრევებში შვილებს, ასევე საეთერო სივრცეში, სადაც ჭარბად იქნებოდა პირდაპირი სიგნალით ადგილიდან წამოსული შემზარავი სატელევიზიო კადრები და სინქრონები.

ყველაზე სენსიტიური და ემოციური ეტაპია, როცა ჟურნალისტები აუდიტორიას სტიქიით დაზარალებული ოჯახებისა თუ

მაშველების ადამიანურ ისტორიებს უყვებიან. გადარჩენის, გმირობისა და ტრაგედიის ამბები ყველაზე მეტყველია, შთამბეჭდავი და მგრძნობიარეა, და არ აქვს მნიშვნელობა, ტექსტურ ფორმატშია ის გადმოცემული, ფოტოკადრისა თუ ვიდეოკონტენტის სახით.

როგორც მედიასაშუალებებზე დაკვირვებიდან იკვეთება, თურქეთში მივლინებული ქართული ტელეარხების ჟურნალისტები სათანადო თანაგრძნობით აშუქებენ ტრაგედიის შედეგებს, ფრთხილად ეკიდებიან რეპორტაჟებს და მასში გამოყენებულ ინტერვიუებს, ითვალისწინებენ იმ პირთა მდგომარეობას, ვიზეც, შესაძლოა, გადამხდარ ამბავს ნეგატიური გავლენა მოეხდინა. მოგვიანებით, სტიქიის ზონიდან დაბრუნებული ჟურნალისტები თავად იხსენებენ იმ ემოციურ მომენტებს, რაც იყო ტრაგედიის მასშტაბისა და მსხვერპლის აღწერის დროს, თუმცა ისინი ადგილზე იღებდნენ გადაწყვეტილებას, უარი ეთქვათ სენსაციასა და რეიტინგის მოკლევადიან ზრდაზე, რათა არ მიეყენებინათ ზიანი საკუთარ თავის, გარშემომყოფებისა და მათივე მედიასაშუალების აუდიტორიისათვის.

„ვერცერთი კადრი გადმოსცემდა იმას, რაც ხდებოდა იქ, ადგილზე, - იხსენებს მიწისძვრის ეპიცენტრიდან დაბრუნებული „იმედის“ ჟურნალისტი მაკა აბულაძე, - უკრაინაში, კერძოდ, ბუჩასა და კიევიში ომის გაშუქების შემდეგ მეგონა, რომ მძაფრი ემოციებისა და ადამიანური ტრაგედიების მიმართ გამძლეობა უვე გამოუმუშავებელი მქონდა, მაგრამ ჰათაიში სრულიად გამოგ-

ნებელი და სხვა შემზარავი სურათი დამხვდა“. როგორც ჟურნალისტი აღწერს, კატასტროფის ადგილას ყველაზე დამთრგუნველი იყო იმ ადამიანების სასოწარკვეთა და უსუსურობა, რომლებიც ნანგრევებს სასწაულად გადარჩენილები ახლობლებისა და ნათესავების შესახებ ცნობებს ყოველ წუთიერად შიშით ელოდნენ. იყო კადრები, რომლის არათუ ეთერში გაშვება, არამედ გადაღებაც კი უფიქრიათ.

ტელეკომპანიების ჟურნალისტები ადგილიდან სიტყვიერად აღწერდნენ ადგილზე არსებულ სიტუაციას, თუმცა, სულისშემძვრელი კადრები არც ერთი კომპანიის ეთერში არ მოხვედრილა. ადამიანური ისტორიების გადმოცემით უფრო მეტად ამ არხების სოციალური პლატფორმები აქტიურობდნენ. პერიოდულობით მათ ფეისბუქ გვერდებზე ჩნდებოდა როგორც დანგრეული ინფრასტრუქტურის, ასევე გადარჩენილი მოქალაქეების, მათ შორის, ბავშვებისა და ქალების ფოტოვიდეოსტრაციები - შესაბამისი ემოციური სათაურებით.

სატელევიზიო რეპორტაჟებში მაქსიმალური სიფრთხილით ეკიდებიან იქ მყოფთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, ყვებიან მხოლოდ იმას, რისი გადმოცემაც მეტნაკლებად ცხად სურათს შექმნის აუდიტორიისათვის, კადრებით თუ სიტყვიერი თხრობისას ერიდებიან სასოწარკვეთის, უიმედობისა და გლოვის სრული სურათის გადმოცემას, თუმცა, ამ მონაცემშიც მრავლადაა ტრაგედიის ნიშნები, რის გარეშეც ნებისმიერი რეპორტაჟი აზრს დაკარგავდა.

რეპორტაჟებში ვხვდებით სურათის აღწერებს - როგორ ცდილობენ მაშველები და მოქალაქეები, მაქსიმალურად ჩუმად იმოქმედონ, რათა ნანგრევებში მყოფების ხმა გაიგონონ. აჩვენებენ მამას, ნანგრევებში მოყოლილ გარდაცვლილ შვილს რომ ხელს არ უშვებს, აჩვენებენ ღია ცის ქვეშ დარჩენილ ადამიანებს, ბებიას დაკარგული შვილიშვილების ფოტოებით ჰათაიდან, აჩვენებენ კარვების ქალაქს, რომელიც სახელდახელოდ ერთ დღეში მოეწყო და ბავშვებს, რომლებიც აქ ფეხბურთს თამაშობენ - ნიშნად იმისა, რომ სიცოცხლე გრძელდება.

ქართული ტელეკომპანიების ობიექტივები ფოკუსირებულია ქართველი მაშველე-

ბისკენ, რეპორტაჟებიდან ვიგებთ საქართველოს სახანძრო-სამაშველო სამსახურის წარმომადგენელთა გამირობის ისტორიებს, ისინი მზრუნველობას არა მარტო ადგილობრივ მოსახლეობაზე, არამედ, იმ გადამღებ ჯგუფებზეც იჩენენ, რომლებიც კვირების განმავლობაში მათთან ერთად ასრულებენ პროფესიულ მოვალეობას.

რეპორტაჟები სტიქიის ზონიდან ეს არის გარკვეულწილად, სტიქიური უბედურებისა და ადამიანური ისტორიების დღიურები.

28 წლის თურქი ფეხბურთელი შენობის ნანგრევებში მეუღლესთან ერთად მოჰყვა. მაშველებმა მისი მეუღლის ამოყვანა შეძლეს, მაგრამ „მალათიასპორის“ მეკარის გადარჩენა ვერ მოახერხეს. ამავე გუნდის ქართველი ლეგიონერი, საბა ლობჯანიძე, რომელიც თურქეთში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის ეპიცენტრში მდებარე ქალაქ ჰატიში ცხოვრობდა, საქართველოს პირველი არხის გადაცემაში „საფეხბურთო ტაიმაუტი ვლადიმერ გუცაევთან ერთად“ სტუმრობისას უმძიმესი ამბები იხსენებს.

„არ ვიცი, სიტყვებით როგორ გადმოვცე ის, რაც იქ გადავიტანე. მიწისძვრა ღამის ოთხ საათზე მოხდა. სახლში ვიყავი, მთელ ქალაქს ეძინა, როდესაც ეს საშინელი მიწისძვრა დაიწყო და დაახლოებით 2 წუთი გაგრძელდა. სახლიდან ძლივს გამოვასწარი. ჭერი და კედლები ჩამოინგრა. მერვე სართულზე ვცხოვრობ და ეგრევე გარეთ გამოვიქეცი. საშინელება იყო, მიწა მოძრაობდა, თანაც რაღაც ანათებდა. თავიდან მეგონა, მეჩვენებოდა, მაგრამ ვიდეო გავრცელდა და ცა მართლა ანათებდა, მიწიდან კი ისეთი საშინელი ხმა მოდიოდა, სულში გიძვრებოდა.“

ეს უდიდესი სტრესია, მაგრამ მე რა მიჭირს, ჯანმრთელად ვარ. საშინელება და უდიდესი ტრაგედია ისაა, იმ მშობლების სახეებს რომ ვუყურებ, რომლებიც შვილებს ეძებენ. ამასთან შედარებით ჩემი მდგომარეობა არაფერია“.

7 თებერვალსვე თურქეთის პირველი ლიგის კლუბის, „მალათიასპორის“ მეკარე აჰმეთ ეიუპ ტურკასლანი ქვეყანაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაიღუპა.

ადამიანური ისტორიების პარალელურად ძალზედ ემოციური აღმოჩნდა ორი ისტორია - ძალღსა და კატაზე. რაც ქართული მედიასაშუალებებით გავრცელდა.. 30 მარტს მსოფლიო მედიასაშუალებებთან ერთად ქართულებმა გააშუქეს ამბავი კატის შესახებ.

თურქეთში იპოვეს კატა, რომელმაც მიწისძვრის შემდეგ ნანგრევებში 49 დღე გაატარა. ემოციური იყო ქართველი ტინტოს ისტორიაც. 4 მარტს მაშველი ძალღი „ტინტო“ სპეციალური ჟეტონით - „სიცოცხლის გადარჩენისთვის“ დაჯილდოვდა.

## ანგარიშვალდებულებები სრულფასოვანი კომუნიკაციისათვის

ქართული ტელეკომპანიების რეპორტაჟებსა და ჩართვებში მონაცემები დღითიდღე უფრო მკაფიო ხდება, - მონაცემები არა მხოლოდ მსხვერპლისა და ნგრევის, არამედ ამ კატასტროფული ნგრევის მიზეზების შესახებაც. ტრაგედიიდან 3 დღის თავზე სატელევიზიო ჩართვებში ჩნდება ცნობები კანონდარღვევების შესახებ, რამაც ესოდენ მასშტაბური ნგრევა გამოიწვია. ცნობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ დამანგრეველი მიწისძვრა 58 წამს გაგრძელდა, ის იყო საკმაოდ ხანგრძლივი და ძლიერი.

ადგილზე მომუშავე კორესპონდენტებისაგან ვიგებთ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების პირველად დასკვნებს. ირკვევა, რომ განადგურებული სახლების 90 პროცენტი უსაფრთხოების წესების დაცვის გარეშე იყო აშენებული. მალევე ქართული აუდიტორიისათვის ცნობილი ხდება თურქი სამართალდამცველების რეაგირება აღნიშნულ დასკვნებზე - სამშენებლო სტანდარტების დარღვევის გამო რამდენიმე ათეულ პირს ბრალი წაუყენეს. მოგვიანებით დაზუსტდა, რომ უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევის საქმეზე დაკავებულთა რაოდენობამ 180-ს გადააჭარბა.

8 თებერვალს ქართულ მედიასაშუალებებში ფართოდ გაშუქდა თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეპ თაიფ ერდოღანის სტიქიის ზონაში ვიზიტისა და იქ გაკეთებული განცხადებების შესახებ ინფორმაცია. „შეუძლებელია, ამ მასშტაბის კატასტროფას მომზადებული შეხვდე“, - თურქეთის პრეზიდენტის ეს სიტყვები ერთგვარ ჰელაინად იქცა სააგენტოების, სოცმედიის პლატფორმებსა თუ სატელევიზიო სიუჟეტებში, სადაც თურქეთის პრეზიდენტი სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეებსა და მთელ მსოფლიოს საზოგადოებას ერთიანობისა და სოლიდარობისაკენ მოუწოდებდა [2].

შემდეგ საფეხურზე უკვე ჟურნალისტები მუშაობენ ექსპერტებთან, სეისმოლოგებისა და ინჟინრებისგან იღებენ ინფორმაციასა და აგროვებენ საფუძვლიან განმარტებებს, რაც უზრუნველყოფს მიწისძვრის კონტექსტისა და ანალიზის გააზრებას. ამ დროს ჟურნალისტის ამოცანაა, საზოგადოებას კომპეტენტურ წყაროებზე დაყრდნობით მოუთხროს მიწისძვრის მიზეზებზე, მის სავარაუდო შედეგებსა და შემდგომი ბიძგების ალბათობაზე.

9 თებერვლიდან გაჩნდა სიუჟეტები, სტატიები იმის თაობაზე, თუ რატომ იყო თურქეთსა და სირიაში 6 თებერვალს გამთენიისას მომხდარი მიწისძვრა ასეთი დამანგრეველი.

ტელეკომპანია „იმედის“, „რუსთავი 2“ - ისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერებში, ვებ პლატფორმებსა და სოციალურ ქსელებში განსაკუთრებული ინტენსივობით შუქდებოდა როგორც ქართველი, ასევე საერთაშორისო სეისმოლოგიური ინსტიტუტების, ცალკეული სპეციალისტებისა და ექსპერტების მოსაზრებები.

9 თებერვალს საინფორმაციო პორტალი „იმედინიუსი“ აქვეყნებს მეცნიერულ მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რატომ იყო თურქეთსა და სირიაში მიწისძვრა ასეთი დამანგრეველი

გაზიანთეპის რეგიონში მიწისძვრის სიმძლავრე 7.8 მაგნიტუდით შეფასდა. აღნიშნული შკალის მიხედვით, მსგავსი მასშტაბის ბიძგები დამანგრეველად მიიჩნევა. მისი ეპიცენტრი მდებარეობდა მიწისქვეშ, არც თუ ისე ღრმად - დაახლოებით, 18 კმ-ის სიღრმეში, რამაც ზედაპირზე მნიშვნელოვანი ნგრევა გამოიწვია. განმარტავს ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის რისკისა და კატასტროფების შემცირების ინსტიტუტის



ხელმძღვანელი, პროფესორი ჯოანა ფორ უოკერი [1].

თუმცა ნგრევის ერთადერთი მიზეზი მხოლოდ ბიძგების სიმძლავრე არ ყოფილა. ამ შემთხვევაში ეს მოხდა გვიან ღამით, როდესაც ადამიანებს ეძინათ. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო იმ შენობების მდგრადობა, სადაც ისინი იმყოფებოდნენ. პორტსმუთის უნივერსიტეტის ვულკანოლოგიისა და რისკების კომუნიკაციის სპეციალისტის, დოქტორ კარმენ სოლანას თქმით, პირველი ბიძგების შემდეგ მომდევნო 24 საათი ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

„სამწუხაროდ, ინფრასტრუქტურის მდგრადობა სამხრეთ თურქეთში და განსაკუთრებით, სირიაში არც ისე სახარბიელოა. ამიტომაც ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენა ძირითადად რეაგირებაზეა დამოკიდებული. ბიძგების შემდეგ მომდევნო 24 საათი გადამწყვეტია გადარჩენილთა მოსაძებნად, 48 საათის შემდეგ კი მათი რიცხვი მკვეთრად იკლებს“, - განმარტავს სოლანა იმედის მიერ მომზადებულ მასალაში. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ რეგიონს არ განუცდია ძლიერი მიწისძვრები ბოლო 200 წლის განმავლობაში. სწორედ ამიტომ მზადყოფნის დონე უფრო დაბალია, ვიდრე - იმ ადგილებში, რომლებიც რეგულარულ ბიძგებს უფრო მიჩვეულნი არიან.

ტელეკომპანიები მყისიერად რეაგირებდნენ ასევე იმ გავრცელებულ ხმებსა და ცრუ ინფორმაციებზე, რაც თითქოს საქართველოში მოსალოდნელ მიწისძვრას ეხებოდა. სამივე არხზე გაშუქდა სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის განცხადება იმის შესახებ, რომ თურქეთში მომხდარი მიწისძვრა უპირობოდ არ იწვევს საქართველოში მიწისძვრის ხდომილებას, სხვადასხვა ტერიტორიაზე მიწისძვრათა ხდომილებებს შორის ცალსახა კორელაცია არ არსებობს. - სეისმური ცენტრის ეს ცნობა გარკვეული სიხშირით მიეწოდებოდა ქართულ აუდიტორიას.

საზოგადოებაში გავრცელებული ცრუ პანიკებისა და ფეიკ პროგნოზების გაბათილება - ეს მედიის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა. ძლიერ მიწისძვრასთან დაკავშირებული ტრაგიკული მოვლენებით გამო-

წვეული საზოგადოებრივი აღელვების დასამშვიდებლად მედიასაშუალებები სხვადასხვა მექანიზმს მიმართავენ, ითვალისწინებენ რა საზოგადოებრივ განწყობებსა და სოციალურ შეხედულებებს სეისმურად აქტიურ კავკასიის რეგიონში. არამხოლოდ ახსენები, არამედ ქცევის წესები და ინსტრუქციები თუ როგორ უნდა მოიქცეს თითოეული მოქალაქე მიწისძვრის დროს.

სტიქიის შემდგომ დღეებსა და კვირებში ჟურნალისტები უკვე აღდგენისა და მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესის გამაშუქებლები არიან.

აქ ინტერესი ფოკუსირებულია სამთავრობო უწყებების რეაგირებაზე, აღდგენის პროცესში შესაბამისი სტრუქტურების ძალისხმევასა და მიწისძვრით დაზარალებულთა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე. ანალიზებენ მიწისძვრის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს, საზოგადოების შემდგომ სოციალურ პირობებსა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე სტიქიის შედეგების გავლენას.

ქართულმა ტელეარხებმა თავისი სამაუწყებლო ბადის დიდი ნაწილი დაუთმეს მეზობელი ქვეყნის სტიქიის გაშუქებას. გარდა იმისა, რომ სტიქიის პირველ დღეებში საინფორმაციო გამოშვებების პირველი ბლოკი მთლიანად იფარებოდა თურქეთში მომხდარი სტიქიის შესახებ უახლესი ცნობებით, ტელეკომპანიების შემეცნებითი გადაცემების დიდი ნაწილიც სწორედ რეგიონში მომხდარ კატასტროფას უკავშირდებოდა. დილისა და შუადღის შემეცნებით გადაცემებში, საღამოს პრაიმ ტაიმის თოქ შუებში მოწვეული სტუმრები ძირითადად, ექსპერტთა წრეების წარმომადგენლები და დარგის სპეციალისტები იყვნენ. ტელეარხები საეთერო დროს უთმობდნენ კატასტროფების მეცნიერულ ახსნებს, რაც მაყურებლისა და მომხმარებლის ინტერესის დაკმაყოფილების გარდა, საზოგადოებას ცნობიერების ამაღლებას, ცრუ პანიკებისა და შიშებისაგან დაცვასა და მეტი ანალიზის საშუალებას აძლევდა.

ტელეარხების ზემოაღნიშნული მიდგომები, რაც სრულად შეესაბამებოდა კატასტროფების მედია გაშუქების საერთაშორისო სტანდარტებს, მიმართული იყო აუდიტო-

რიის როგორც ფსიქო-ემოციური მდგრადობის, ასევე ცნობიერების ამალღებისათვის.

სწრაფი, სანდო და ზუსტი ეს სამი არსებითი საკვანძო სიტყვა ყველაზე ზუსტად აღწერს კრიზისულ სიტუაციებში მომუშავე ჟურნალისტის მიერ მოსამზადებელი პროდუქტის მახასიათებლებს. ინფორმაციის სრულყოფისათვის, პანიკის თავიდან ასაცილებლად, ტრავმების პრევენციისა თუ სრულფასოვანი ინფორმაციის გავრცელებისათვის, თავის მხრივ, პასუხისმგებლობა აკისრიათ ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამაშველო, სასწრაფო დახმარებისა თუ უსაფრთხოების სამსახურებს, საექსპერტო წრეებსა თუ დარგის სპეციალისტებს [3].

კატასტროფებთან დაკავშირებული ინფორმაცია რომ იყოს სანდო, სწრაფი და ზუსტი, ამისთვის საჭიროა მთელი ანგარიშვალდებულებითი სისტემის ამოქმედება, ჩართულობა და სინქრონიზაცია. ინფორმაციის უსწრაფესი და ზუსტი მიწოდება არის ხოლმე მთავრობის მთავრობის საუკეთესო ინტერესებში. როდესაც ხელისუფლება თანამშრომლობს მედიასთან, გასცემს „სწორ ინფორმაციას სწორ დროს“, ასეთ დროს ეძლევა საზოგადოებებსაც და მათ მთავრობებსაც ინფორმაციის ნაკადის კონტროლის საუკეთესო შანსი.

**პ.ს.** თურქეთის კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრის

(AFAD) ინფორმაციით, 2023 წლის 6 თებერვალს დამანგრეველი მიწისძვრების შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 50 096 შეადგინა. დაშავებულთა 107 204 ადამიანი. IOM-ის (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის) ცნობით, თურქეთში მიწისძვრის გამო 3 მილიონი ადამიანი იძულებით გადაადგილებულია. დაახლოებით 1,7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს არაფორმალურ დასახლებებში, ძირითადად იმპროვიზირებული თავშესაფრებში ან კარვებში უკიდურესად ელემენტარული საცხოვრებელი პირობებით. გაეროს სააგენტოებმა და ჰუმანიტარულმა პარტნიორებმა შეძლეს 535 ათასი ადამიანის დახმარება გაუმჯობესებული საცხოვრებელი ფართებით, მათ შორის კარვებითა და რელიეფური საცხოვრისებით. 1,4 მილიონმა ადამიანმა მიიღო დახმარება წყლის, სანიტარული და ჰიგიენის საშუალებების სახით, ხოლო დაახლოებით 47 ათას ადამიანს აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. [...] გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) განაცხადა, რომ მიწისძვრებმა 6,7 მილიარდი დოლარის ზარალი და ზიანი მიაყენა მოსავალს, მეცხოველეობას, საკვების მარაგს, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურასა და აქტივებს. (გაეროს ჰუმანიტარული ურთიერთობებისა და კოორდინაციის ოფისი (OCHA), 24 მარტი 2023).

*MAIA TABAGARI* - Grigol Robakidze University School of Humanities and Social Sciences.  
Associate Professor at

## COMMUNICATION METHODS AND JOURNALIST BEHAVIOR DURING AN EMERGENCY SITUATION

(Analysis of the media coverage of the natural disaster in Turkey (06.02.23))

### Summary

The concept of an emergency situation in society is broadly understood. Generally, it refers to any abnormal situation threatening civilian life and health. These include accidents, catastrophes, natural disasters, terrorist attacks, military conflicts, riots, and clashes.

During such times, television companies and other media outlets become the primary focus of public attention, overshadowing all other interests.

Emergency messages become highly relevant and influential, dominating the flow of information. Furthermore, the negative impact of a natural disaster, in terms of casualties and damage, is significant and enduring.

During these times, audience size increases, demand for media products rises, and television news is saturated with reports, live broadcasts, videos, photos, and stories.

Many studies confirm this audience behavior. However, even without conducting sociological research or analyzing television ratings, simple observation reveals that the majority of users seek this kind of information. With the increased demand for news, the media and its editorial staff have a heightened responsibility to ensure that information is received, verified, processed, and distributed safely, without harmful consequences.

*Key words: disaster, earthquake, Turkey, media, communications*

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Türkiye/Syria: Earthquakes - Feb 2023  
[https://reliefweb.int/disaster/eq-2023-000015-tur?fbclid=IwAR1XrZwksFBlykB1wPPiRb3gkkXgTh1WhoERlCaXkkwru4xGI\\_PJMDIYbhI](https://reliefweb.int/disaster/eq-2023-000015-tur?fbclid=IwAR1XrZwksFBlykB1wPPiRb3gkkXgTh1WhoERlCaXkkwru4xGI_PJMDIYbhI)
2. How journalists can protect themselves before, during, and after natural disasters  
[https://www.irex.org/insight/how-journalists-can-protect-themselves-during-and-after-natural-disasters?fbclid=IwAR3oExxrZvvg4eMALZXg6bABHM\\_8XIpCVnepkRrKkPpmUtnqFg-Vg8-bhX0](https://www.irex.org/insight/how-journalists-can-protect-themselves-during-and-after-natural-disasters?fbclid=IwAR3oExxrZvvg4eMALZXg6bABHM_8XIpCVnepkRrKkPpmUtnqFg-Vg8-bhX0)
3. Советы для журналистов, освещающих стихийные бедствия  
<https://ijnet.org/ru/story/>
4. Five Steps to Covering a Disaster Effectively  
<https://dartcenter.org/content/five-steps-to-covering-disaster-effectively?fbclid=IwAR3f26KZufAucGsYjYmh1KQQdHkiURVfpbqlgwtr1ZkWt0JqsnINI-0zFXY>
5. Reporting on Disasters  
<https://earthjournalism.net/resources/reporting-on-disasters>
6. Journalism and Climate Change: new guide to help newsrooms rise to the challenge  
<https://wan-iffra.org/2021/12/journalism-and-climate-change-helping-newsrooms-rise-to-the-challenge/>

## **ზნეობრივი განვითარების რელიგიური პარადიგმა**

პრაგმატიზმზე ამოზრდილმა განათლების თანამედროვე თეორიამ ცხადჰყო, რომ სათანადო დებულებების შემუშავება შეუძლებელია ზნეობრივი აღზრდის სფეროში განხორციელებული რეფორმების გარეშე. ადამიანური იდეალისა და მისკენ სავალი ნიშნულების სასკოლო სივრცეში კონსტრუირება საჭიროებს სპეციფიკურ ფილოსოფიურ-ეთიკურ მოდელს, რომელიც ტრადიციულისგან განსხვავებით, არ იქნება ორიენტირებული მოზარდის გონებაში „სოციალური მორალის“ პრინციპების მექანიკურად ჩანერგვაზე. ზნეობრივი ფორმირება ის აქტივობაა, რომელიც ეყრდნობა თეორიულ სწავლებას, მაგრამ თავის შედეგებს ქმედებისკენ მიმართავს და საშუალებას აძლევს ბავშვებს, გააცნობიერონ მორალური ქცევის უპირატესობები. მორალური ცნობიერების ჩამოყალიბების საფუძველს, ძირითადად, ორი მიმართულებით განიხილავენ: საკუთრივ, მორალური განათლება და რელიგიური განათლება. პირველი გულისხმობს მორალური განვითარების კოგნიტივისტურ თეორიას, რომლის მიხედვითაც მორალური ღირებულებები დაკავშირებულია სპეციფიკურ სოციალურ-კულტურულ დილემებთან და პიროვნების შეფასებით აქტივობებთან; მეორე კი მორალურობის რელიგიასთან ინტეგრირების მოდელირების მცდელობაა და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მორალური განვითარების სფეროში გადაწყვეტ როლს რელიგიური ფაქტორი თამაშობს; კერძოდ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ემოცია და ნებელობა უნდა ინტეგრირდეს რელიგიურ ინდექსთან, რათა განხორციელდეს სათანადო მორალური განსჯის აქტი, საბოლოოდ კი მორალური თვითცნობიერების ფორმირება. იმისათვის, რომ კონკრეტული დებულება მორალური ღირებულების რანგში ავიდეს, სუბიექტმა იგი უნდა განიცადოს, როგორც მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება, როგორც უმაღლესი მიზანი. განათლების ფილოსოფიის ქართული ტრადიცია რელიგიისკენ სწრაფვას განიხილავს, როგორც ადამიანური ბუნების „პირველყოფილ, ძირითად და აღმოუფხვრელ მოთხოვნილებას“ (დ. უზნაძე), რომელიც იმორჩილებს, როგორც გონებას, ისე გრძნობას და ნებელობას. ამასთან, ნებითი ურთიერთობა ის ფონია, რომელიც ქმნის მორალური განვითარების საფუძველს; სხვაგვარად აღმოცენებული მორალური მექანიზმი არამდგრადი და დროებითია.

***საკვანძო სიტყვები:** ზნეობა, განათლება, აღზრდა, რელიგია, განვითარება, მოთხოვნილება, გრძნობა, გონება, ნებელობა.*

ადამიანი ფიზიკურ-სულიერის, ცნობიერ-არაცნობიერის, ინტუიტურ-გრძნობადისა და პოტენციალურის სინთეზი, ანუ ადამიანურისა და ღვთაებრივის, ერთობაა. იგი დედამიწაზე ერთადერთი არსებაა, რომელიც ცოდნის მიღების, სიახლეების შექმნისა და ინტერიორიზებისაკენ და მამასადაძემ, განვითარებისაკენ მიისწრაფვის. ადამიანის ფსიქიკის, მისი ღრმა და მრავალფეროვანი „მე“-ობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს ზნეობრივი ხატი წარმოადგენს. შესაბამისად, საზოგადოების ყველაზე დიდი

საზრუნავი მოზარდების ზნეობრივ ღირებულებათა სისტემის მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბებაა. ბავშვი ამქვეყნად მემკვიდრეობით მიღებული სხეულითა და სულიერი ინდივიდუალობით (ენტელექით) მოდის. იგი სულიერი არსებაა, ერთადერთი და განუყოფელი და იზადება სწორედ მისი სულიერი წყობისთვის შესაბამის სოციალურ სივრცეში; ამიტომ, ზნეობრივი აღზრდისას უნდა მოხდეს, როგორც გენეტიკური, ისე ბიოგრაფიული პოტენციალის გათვალისწინება. ამას-

თან, აქცენტი უნდა გაკეთდეს კოგნიტურ მოცემულობასა და ემოციურ ფიქსაციაზე. ზნეობრივი განვითარების ამგვარ შესაძლებლობას რელიგიური განათლება იძლევა. მხოლოდ მას ხელეწიფება უკარნახოს პედაგოგიკას სწავლა-აღზრდის თავის არსენალში მოიძიოს საჭირო გამოცდილება ადამიანში ღვთაებრივი შტრიხების აქტივიზირებისათვის და ამ ფონზე მოახდინოს აღსაზრდელში თვითშეცნობისა და მორალური „მე“-ს ფორმირება და რეალიზაციის პროვოცირება.

განვითარება გულისხმობს მიზანმიმართულ და შეუქცევად ცვლილებათა რიგს (ძველიდან ახლისკენ, მარტივიდან რთულისკენ, ქვემოდან ზემოთ და ა.შ.) და ფსიქიკის კრიტიკულ არეებში სტრუქტურულ ცვლილებებს, რომლებსაც მომწიფების კანონები და მათი ადეკვატური გარემო პირობები მართავენ. ზნეობრივი განვითარების პროცესი, როგორც ფენომენი და ის, თუ რა განსაზღვრავს და წარმართავს ადამიანის სულიერ-მშვიინვერი წყობისა და ქცევის ფორმათა შეთანადებას მაღალმორალურ კატეგორიებთან, საუკუნეთა მანძილზე მრავალგზის ყოფილა მეცნიერული მსჯელობისა და დავის საგანი, რასაც განაპირობებდა, მისი სხვადასხვა რაკურსით ჭვრეტა და შესაბამისად, სხვადასხვა ფილოსოფიური კონცეფციითა და მასთან მისადაგებული მეცნიერული პოზიციით წარმოჩენა. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ერთი რამ ყოველთვის უდავო იყო, ზნეობა/მორალი „არის გრძნობა-გონებისეული ფენომენი; მას საფუძვლად უდევს სიყვარული და გარემომცველი სინამდვილისადმი შეფასებითი დამოკიდებულება. ამიტომ იგი ერთსა და იმავე დროს თანშობილიც არის და აღზრდასაც ექვემდებარება“ [1. 21].

თეორია ზნეობრივი განვითარების შესახებ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ჩამოყალიბდა, როგორც მცდელობა ქცევის წესების დადგენისა, რომლებიც ტრადიციებზე კი არ იქნებოდა დაყრდნობილი, არამედ რაციონალურ საფუძველზე. „მორალი არ არის მოქმედებათა კატალოგი ან წესების ერთობლიობა, რომელთა გამოყენებაც ისევე შეიძლება, როგორც სამედიცინო ან კულინარიული რეცეპტებისა. მორალის მოთხოვნილება

კვლევისა და გამოგონებათა განსაკუთრებული მეთოდების მოთხოვნილებაა“ [2. 72].

კვლევათა მეთოდები იმისთვის არის საჭირო, რომ სირთულეები ლოკალიზდეს, ხოლო გამომგონებლურ მეთოდებს საჭიროებს იმ გეგმათა ჩამოყალიბება, რომლებიც პრობლემათა გადაჭრისას მუშა ჰიპოთეზების როლს შეასრულებენ. ზნეობრივი განვითარება, ცხადია ეყრდნობა თეორიულ სწავლებას, მაგრამ შედეგების თვალსაზრისით ქცევაზეა ორიენტირებული. განვითარების თეორია ადამიანს მორალის სუბიექტადაც განიხილავს და ობიექტადაც. მისი მიზანი უმაღლესი ძალის, ღვთაებრივი ნების მორჩილება და მისკენ სწრაფვაა. მორალური სიტუაცია ის სიტუაციაა, რომელშიც განსჯა და არჩევანი ღია, გახსნილი მოქმედების წინმსწრებია. მოქმედების სწორი ფორმა, რომელიც მის მოსაგვარებლად არის საჭირო, სულაც არ არის თვითცხადი, საჭიროა მისი ძიება და პოვნა. ამისთვის აუცილებელია დაწვრილებითი კვლევის ჩატარება: სიტუაციის დეტალურ სტრუქტურაზე დაკვირვება, მის მრავალრიცხოვან ფაქტორთა ანალიზი, მართებულობათა და უზუსტობათა სორტირება, ხდომილების მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი და მკვეთრი თავისებურებების გამოწვლილვითი შესწავლა; ამასთან ყოველი გადაწყვეტილება ჰიპოთეტურად და საცდელად უნდა იყოს მიჩნეული მანამ, სანამ პროგნოზირებული ან მოსალოდნელი შედეგები, რომელთა საფუძველზეც გადაწყვეტილება მიიღება, რეალურ შედეგებს არ დაემთხვევა. ეს კვლევა ინტელექტუალურ ძიებას წარმოადგენს. როგორც ჯონ დიუი (ამერიკელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და განათლების სპეციალისტი) მიუთითებს, მორალის ველზე ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომების მიზეზია სუსტი და მერყევი დადგენილებები, მიუღებლობა და ცალმხრივობა, რის გამოც კონკრეტული შემთხვევის შესახებ უსაფუძვლოდ და უმართებულოდ ვმსჯელობთ ხოლმე. სიმპათიები, გულწრფელი მგრძობელობა, წინააღმდეგობისადმი მედეგობა, განსხვავებულ ინტერესთა გათვალისწინება, რომელიც სიტუაციის გონიერული ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღებაში გვეხმარება – წარმოადგენს განმასხვავებელ მო-

რალურ თავისებურებებს. როცა ყოფითი გეგმები და მეთოდები მორალთან მიმართებაში წინააღმდეგობრივია და ღირებულებები მიზნობრივად უპირისპირდებიან ერთმანეთს, მაშინ როგორ ვიქცევით? არსებობს ერთი *sumum bonum*, ერთი უმაღლესი ღვთაებრივი მორალი, რომელიც ადამიანთა არსებაში სუფევს და საჭიროებს გაცნობიერებას.

იმის გააზრებას, თუ რა წარმოადგენს მორალური განვითარების საფუძველს, წინ უნდა უსწრებდეს ადამიანის არსების ანალიზი. როგორც დიმიტრი უზნაძე (ქართველი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი, პედაგოგი, განწყობის თეორიის ავტორი). აღნიშნავს, ადამიანი არ არის არსება, რომელიც მარტოდენ ფიზიკური გაგებით იბადება და ფიზიკური სხეულიდან ივითარებს მემკვიდრული ფაქტორებით განსაზღვრულ სულიერ მახასიათებლებს. ადამიანი ორი სამყაროს მკვიდრია – მატერიალურ-ფიზიკალურის და ღვთაებრივ-სულიერის; იგი სინთეზია სულისა და სხეულისა. სხეულის მამოძრავებელი ძალა, მისთვის სიცოცხლისა და ინდივიდუალობის მიმნიჭებელია სული. სხეული გრძნობათა ორგანოებით შეცნობადი ელემენტია, ხოლო სული გონების ძალით შეცნობადი. სული ადამიანისა – ეს ის ელემენტია, რომელიც მასში უნივერსალობას, აბსოლუტობას წარმოაჩენს, ანუ ადასტურებს, რომ ადამიანი შექმნილია „ხატად და მსგავსად უფლისა“ და შესაბამისად მისი განვითარების გზაც სწორედ ამ ინდექსით უნდა იყოს აღბეჭდილი.

„ადამიანის მეს, რომელიც დაეშვა სულიერი სამყაროდან და მოექცა მიწიერი არსებობის ტყვეობაში, არ შეუძლია დაივიწყოს საკუთარი მიმართებები ზენა სულიერ წესრიგთან. ამ წესრიგის ხმა სინდისის ენით მეტყველებს“ [3. 211].

„წმინდა სინდისის ხმა ერთი და იმავე ძალით არ მეტყველებს ყველა ჩვენთაგანში, თუმცა იგი მუდამ არსებობს ყოველ ადამიანში, თუკი ის სულიერად ავად არაა. არსებობს არაჩვეულებრივი ფაქტი, რომ არსებობენ ზნეობრივი გენიოსებიც ზუსტად ისევე, როგორც ინტელექტუალურნი“ [3. 214].

„არიან ბავშვები, რომლებიც შეურყენელნი იზრდებიან ამორალურ გარემოშიც

კი, როგორც შრომანა ტალახში, სხვები კი ბოროტებისკენ იხრებიან, თუმცა კი უაღრესად მორალური გარემო აქვთ“ [3. 212].

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის მორალური მოცემულობა არ განისაზღვრება ინტელექტის კოეფიციენტით; ხშირია შემთხვევა, როცა ჭკვიანი/განათლებული ადამიანი მორალურ ცდომილებაში ვარდება, ხოლო შეზღუდული ინტელექტის მქონე და თითქმის გაუნათლებელი მაღალმორალურობით გამოირჩევა. მაშასადამე, ადამიანის ფსიქიკაში მოცემულია ღვთაებრივი მემკვიდრეობის ნაწილი, როგორც დასაბამი მორალურობა, ე. წ. „ინსტიქტური მორალი“, რაც განმსჭვალავს ადამიანის მორალურობას მანამ, სანამ მორალური ღირებულებები გაცნობიერდება და ცხოვრების საზრისად იქცევა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეუძლებელია მორალური აღზრდა მარტოდენ ვარჯიშის/წვრთნის ან დასწავლის წინასწარ განსაზღვრული პროგრამებით. პედაგოგიურ მიზნებად უნდა იქცეს ისეთი ცნებები, როგორცაა საკუთარი თავის აღმოჩენა, თვითგანვითარება და თვითრეალიზაცია. როგორც ჰერაკლიტე იტყოდა „აღზრდა კასრის ავსება როდია, იგი ცეცხლის ანთებაა“. „მორალის მაფუძნებელი და მსაბუთებელი ძირითადი იმპულსი ყოველი ადამიანის სამშვინელში ძევს. ესაა ღვთაებრიობის რწმენა. ამ რწმენიდან მჩქეფარე ნაკადად მომდინარეობს ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარული. რწმენასა და სიყვარულს ემატება და მათ, როგორც სამირკველს ეფუძნება ყველა სამშვინველის უნარი(სწრაფვა) კვლავ დაუბრუნდეს სულიერ ყოფიერებას, რაგინდ ღრმადაც არ უნდა იყოს ჩაშვებული მატერიაში“ [1. 154].

ადამიანი არის ყველაზე უფრო მშვიდი და ყველაზე უფრო ღვთაებრივი სულდგმული, თუ იგი მოშინაურებულია ჭეშმარიტი აღზრდით; თუ მას არ მიუღია აღზრდა, ან ყალბი აღზრდა მიიღო, მაშინ ის არის ყველაზე უფრო ველური იმ ცხოველთა შორის, რომელთაც დედამიწა წარმოშობს – წერდა მეცნიერული პედაგოგიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, დიდი ჩეხი პედაგოგი იან ამოს კომენსკი, რომელიც აღზრდის მიზნებს რელიგიურ პრინციპებზე აფუძნებდა, აღზრ-

დის მთავარ ამოცანად კი ღმერთის შეცნობას სახავდა და თვლიდა, რომ ეს იყო გზა, რომელზეც გადიოდა ადამიანში ბუნებით თანდაყოლილი „ზნეთა ჰარმონიის“ აქტივიზირება.

მორალური შემეცნების პროცესი არის არცოდნიდან ცოდნისკენ დიალექტიკური სვლა, გამოვლინება და განვითარება იმ ჩანასახისა, რომელიც ადამიანის შინაგან ბუნებაში იმთავითვე მოცემულია. აი, რას წერდა დიდი შვეიცარიელი პედაგოგი იოჰან ჰაინრიხ პესტალოცი: როგორც ზნეობრივი არსება, მე ვგრძნობ ჩემში ძალას, რომელიც თან მახლავს იმის გამო, რომ ვარსებობ და ვარსებობ იმის გამო, რომ ეს ძალა თან მახლავს. მე სრულვეყოფ ჩემს თავს, თუ მას, რაც მე ვალდებული ვარ შევასრულო, ვაქცევ იმის კანონად, რაც მე მსურს...წარმოიშობა წმინდა სურვილი სრულყოფისა, რის შედეგადაც ჩემს თავს ვგრძნობ არა ბუნების უბრალო არსად, არც აგრეთვე ადამიანთა მოდგმის ან სამყაროს ქმნილებად, არამედ საკუთარი თავის ქმნილებად... წმინდა ზნეობრივია ჩემთვის მოვალეობის შესრულების მხოლოდ ის საბაზი, რომელიც სრულიად თვისობრივია ჩემი ინდივიდუალობისთვის. მორალური განვითარების საყრდენი პესტალოცისთვის რელიგიური განათლებაა, რომელიც წარმოადგენს არა დოგმატურ სარწმუნოებრივ, არამედ „ბუნებრივ რელიგიას“, წარმოდგენილს უფლის შეცნობისაკენ სწრაფვით და ადამიანებისადმი ქმედითი სიყვარულით.

მორალური განვითარების პროცესში ზოგჯერ ადგილი აქვს ე.წ. ჰალუცინატორული ყოვლისშემძლეობის (მე ყველაზე კეთილი ვარ, ბოროტია სამყარო) შტრიხს. ბავშვი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საუკეთესო მორალური ჟესტებით წარმოჩინდეს თავის გარემოცვაში. ამ დროს ადგილი აქვს მე-ხატში „გრანდიოზული მე-ს“ განსხეულებას, რაც გამოიხატება ბავშვის ეგზიბიციონისტურ სურვილში, რომ აღმერთებდნენ. ამგვარი მორალური ნარცისიზმის თავიდან ასარიდებლად, აუცილებელია აღმზრდელობითი მუშაობა კოგნიტური ზრდისა და თვითშემეცნების სათანადოდ განვითარების მიმართულებით, რაც განუხორციელებელია მხოლოდ ფიზიკალურ მოცემულობაზე აქ-

ცენტის გაკეთებით. საჭიროა, ადამიანის სულიერი ორიენტირების ღვთაებრივ პრიზმაში წარმოდგენა და გააზრება; ეს კი მხოლოდ რელიგიური განათლებით შეიძლება გახდეს მიღწევადი. რელიგიასა და რელიგიურობასთან კავშირში ჰაინზ კოჰუტს შემოაქვს კოსმიური ნარცისიზმის ცნება. ზოგადად, ნარცისიზმი წარმოადგენს ინფანტილურ ფსიქიკურ დისპოზიციას, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე რეზისტენტობას უწევს საგნების მიმართ რეალისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. კოსმიური ნარცისიზმი კი, რომელიც მორჯულებული და მიმართულებამეცვლილი კატექსირებული ნარცისიზმია, კოჰუტის მიხედვით, საშუალებას აძლევს ეგოს, რომ ის გამოყენებული იყოს მაღალმორალური იდეალებისა და მიზნებისთვის.

ადამიანში პოტენციურად მოცემულ თანდაყოლილ ძალთა და უნართა განვითარების საშუალებას წარმოადგენს ვარჯიში. მათი ბუნება აიძულებს ადამიანს ავარჯიშოს ისინი: თვალს უნდა ყურება, ყურს – მოსმენა, ფეხს – სიარული, ხელს – ხელის მოვლება. აგრეთვე გულსაც უნდა რწმენა და სიყვარული. გონებას უნდა აზროვნება. ადამიანის თითოეული უნარი, რომელიც ჩვენში იმყოფება განუვითარებელი სახით, როგორც ძალის ჩანასახი და არა როგორც თვით ძალა, შეიცავს უსიცოცხლო მდგომარეობიდან და უხერხულობიდან გამოსვლისა და განვითარებულ ძალად ქცევისკენ მისწრაფებას – აღნიშნავს პესტალოცი. განვითარების ამგვარ შინაგან მოტივაციას დ. უზნაძე ფუნქციობის ტენდენციას უწოდებს. მორალურობის განვითარებისთვის ფუნქციობის ტენდენციას, ანუ მთავარ შინაგან მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს მოსწავლეთა ასაკობრივ მახასიათებლებზე მორგებული რელიგიური განათლება, რომელიც დაეყრდნობა მსჯელობისა და გააზრების ისეთ ფორმებს, რომლებიც ბავშვების განვითარების დონის გათვალისწინებით შეძლებს მათში მორალური მსჯელობის წახალისებას. სწორედ რელიგიური განათლებაა ის საძირკველი, რომელსაც მორალური განვითარების კონცეპტუალური კარკასი უნდა დაერდნოს.

გაბრიელ ეპისკოპოსი წიგნში „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ აღწერს რელიგიურ გრძნობებს და წარმოაჩენს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც ამ უკანასკნელთ განასხვავებს ჩვეულებრივი გრძნობებისგან. იგი ჩვეულებრივ გრძნობებს/სულიერ მდგომარეობებს ახასიათებს პოლარული წყვილებით: სასიამოვნო – უსიამოვნო, სიხარული – მწუხარება, შიში – სიმამაცე, იმედი – სასოწარკვეთილება. რელიგიურ გრძნობებზე საუბრის დროს ამგვარ ორპოლუსიან დაყოფას ადგილი არა აქვს: „როგორი წმინდაც არ უნდა იყოს ამქვეყნიური სიხარულის წარმოდგენის, ანდა რაიმე ამქვეყნიური უპირატესობის ფლობის საფუძველზე წარმოქმნილი სიხარულის გრძნობა, მასში მაინც არის რაღაც ისეთი, რაც სრულ კმაყოფილებას არ გვანიჭებს. ის ხანგრძლივად არ ამშვიდებს სულს. პირიქით, აღელვებს და არ აკმაყოფილებს მის სურვილებს, ისე, რომ რაც უფრო დიდია და ძლიერია ეს სიხარული, მით უფრო ძლიერია რეაქცია, რადგან ყველამ იცის: ძლიერი სიხარულის შემდეგ ადამიანს სევდა ეუფლება.“

ასეთი როდია რელიგიური სიხარული! ის შეიცავს თავის თავში იმას, რაც კმაყოფილებას ჰგვრის სულს, კლავს მის წყურვილს“ რელიგიური სიხარული იბადება ან მთელი ცხოვრების საერთო განწყობილებიდან, ან რაიმე კერძო საქციელის შედეგად. ეს უკანასკნელი მრავალგზის გვხვდება, პირველი კი ძალზე იშვიათია. ეს იმიტომ ხდება, რომ ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე მუდმივი ბრძოლაა სიკეთესა და ბოროტებას შორის [5. 149].

რელიგიური სიყვარული შეიძლება განვიხილოთ, ან როგორც სულის ზოგადი რელიგიური განწყობილება, ანდა თავის კერძო გამოვლინებებში, როგორც სიყვარული ღვთისა, მოყვასისა და საკუთარი თავისა. როცა გვიყვარს ღმერთი, გვიყვარს სრულყოფილება, გვიყვარს თავად მოწყალება, თავად სიბრძნე; უანგარო მხოლოდ ეს სიყვარულია. „რწმენისაგან წარმოშობილი სიყვარული მოყვასისა არის ყოველი ადამიანისადმი კეთილგანწყობილების, თანაზიარების, შეწყნარების გრძნობა, რომელიც იბადება იმ აზრიდან, რომ ყოველი ადამიანი ღმერთის ქმნილებაა და ძმაა ჩვენი. მაშა-

სადამე, ეს გრძნობა ღმერთის სიყვარულის შედეგია“. „საკუთარი თავისადმი სიყვარული, როგორც შედეგი ღმერთის სიყვარულისა, არის საკუთარი თავის, როგორც ღმერთის ქმნილების, ღმერთის სისხლის ხსნილის ღირსების გრძნობა. ეს გრძნობა ეგოიზმისთვის სავსებით უცხოა. ეგოიზმს უყვარს საკუთარი თავი, როგორც სხეული, მიწიერი არსება, უყვარს საკუთარ თავში მხოლოდ ის, რაც ღირსი არ არის სიყვარულის - თავისი ვნებანი და ბიწიერება“ [5. 156].

მაშასადამე, გაბრიელ ეპისკოპოსი რელიგიურ განცდებს ახასიათებს, როგორც უნივერსუმთან შერწყმის უწყვეტ-უმრეტ ერთპოლუსიან სულიერ მდგომარეობას. იგი საუბრობს, აგრეთვე, ადამიანის არსებაში მუდმივად არსებული სულიერი გაორების, კეთილსა და ბოროტს შორის სულიერი ბრძოლის, შესახებ. „ამ შინაგანი გაორების შეგნების გარეშე ადამიანი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტად კეთილი, რადგან როცა ფიქრობს კეთილად ვიქცევით, მან შეიძლება ცოდვა ჩაიდინოს, საძრახის გრძნობათა ჩაგონებით იმოქმედოს. ეს შინაგანი ბრძოლა შეიძლება შესუსტდეს მხოლოდ მაშინ, როცა უპირატესობას აღწევს ერთ-ერთი ორი საწყისიდან. პირველი ცნობიერი ბიწიერების ჩადენამდე ბრძოლა ძლიერია. ამგვარი ქცევის გამეორებისას, ბრძოლა უფრო სუსტია; რაც უფრო ხშირია ამგვარი ქცევა, მით უფრო სუსტდება ბრძოლა, მით უფრო ეჩვევა ადამიანი ცოდვის მშვიდად ჩადენას. ბოლოს იმას, რაც ადრე იწვევდა უდიდეს შფოთვას, ადამიანი აკეთებს გულგრილად, სიამოვნებითაც კი. ასეთია ადამიანში ყოველი ვნების განვითარების ისტორია. ბრძოლის შესუსტება ხდება მაშინაც, როცა უპირატესობას აღწევს კეთილი საწყისი, მაგრამ ეს შესუსტება ხდება გაცილებით ნელა; ბრძოლა კი ბოლომდე არასოდეს არ წყდება... რაც უფრო მეტად განმტკიცდება ადამიანი სიკეთეში, მით უფრო უახლოვდება ღმერთს და მით მეტად გრძნობს მიწიერ სიამეთა ამაოებას“ [5. 156].

ამგვარია ადამიანის ზნეობრივი გენეზისი და რაც უფრო მეტად ჩასწვდება, სიღრმისეულად გაიაზრებს საკუთარ სულიერ მახასიათებლებს, ზოგადად ადამიანურ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს, მით



უკეთ მოახერხებს იგი სათანადო მიმართულებით სვლას და თავის ზნეობრივ იდეალთან მიახლებას. ამისთვის კი, საჭიროა, სპეციფიკური ცოდნა და ხედვის უნარი, რაც აღზრდადია და ცხადია, გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს.

მორალურობაზე საუბრისას, დ. უზნაძეს აუცილებლობად მიაჩნია, ადამიანური ბუნების მრავალმხრივობისა და სირთულის გათვალისწინება და ამასთანავე, იმის გაანალიზება, რომ მორალურ განვითარებას თავის ფრიად დიდ ღირებულებასთან ერთად ბევრი უმნიშვნელო და მავნე მხარეც აქვს. კერძოდ:

ა) მხოლოდ მორალზე ორიენტირებული ადამიანი უმეტესწილად უმოქმედო და უინიციატივოა. ამა თუ იმ საქციელის მორალურ მოტივთა რიცხვი უთვალავია. შესაძლოა, ერთი მოტივი მეორეს დაუპირისპირდეს. თუ ასეთ დროს ადამიანმა ეს მოტივები არ უკუაგდო და არ მიმართა ტაქტს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მორალურ არგუმენტებთან, ვერანაირ ქცევას ვერანაირ ქცევას ვერ განახორციელებს. დ. უზნაძე ცალმხრივად განვითარებულ მორალს სენად მოიხსენიებს და მიუთითებს ამგვარი სენით შეპყრობილი ადამიანის უძლურებაზე;

ბ) მორალური განვითარების კულტი აჩლუნგებს ადამიანური ბუნების გრძნობით მხარეს. „აქედან კი წარმოიშვება ფსიქიკური სიმახინჯე და ცალმხრივობა ადამიანისა“;

გ) ისტორიული სინამდვილე ხშირად ეწინააღმდეგება ინდივიდუალურ მორალს. მაგალითად, მკვლელობა თავისთავად უზნეობაა, მაგრამ ზოგჯერ აუცილებლობად იქცევა კაცობრიობის კულტურული განვითარებისთვის (ომები, რევოლუციები და ა.შ.). გადამეტებული მორალური კულტის მქონე ადამიანები ასეთ დროს რეაქციონერთა მხარეს აღმოჩნდებიან ხოლმე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მთავარი ადამიანური ნიშნული მორალი და მორალურობა კი არ უნდა იყოს, არამედ ქცევის ღვთაებრივი სიყვარულით ნასაზრდოები ფილოსოფიურ-ეთიკური მოდელი. ადამიანი აბსოლუტისკენ მიისწრაფვის არა მხოლოდ გონებით; ამ სწრაფვაში ჩართულია ნებაც და გრძნობაც. აბსოლუტთან ნებითი

ურთიერთობა ის საფუძველია, რომელზეც მორალი აღმოცენდება, ხოლო აბსოლუტთან გრძნობითი დამოკიდებულება, იწვევს რა საკუთარი ამაოების, არარაობის და უსუსურობის შეგრძნებას, ბადებს რელიგიურობას. არ არსებობს ადამიანი რელიგიისა და რელიგიური ლტოლვის გარეშე; შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, თუ როგორი მიმართულებით განვითარდა ამა თუ იმ ადამიანის რელიგიოზურობა. დ. უზნაძე სავალდებულოდ მიიჩნევს რელიგიურ აღზრდას და თვლის, რომ ამ სფეროში შეცდომა განაკუთრები მიმედ აისახება ადამიანის პიროვნულ წყობაზე.

„ჩვენი სულიერი ცხოვრება ერთბაშად ყოფნა-არყოფნის ელფერშია მოვლენილი. განსაკუთრებული ძლიერებით რელიგიურ განცდაში პოულობს იგი თავის გამოხატულებას. რელიგია სწორედ ადამიანის ცხოვრების და მის განცდათა დროული შეზღუდულობის შედეგია. იგი ამ შემოფარგლულობაზე დამკვიდრებული ლტოლვა-მისწრაფებაა საზღვარდაუსმელი არსისა და არსებისაკენ. დიახ, სიკვდილი ამღვებს დასაბამს უკვდავების იდეას, ეს ასეც უნდა იყოს. მე ვხედავ რაიმე განსაზღვრულ მოვლენას და იმავე წამს ჩემს ცნობიერებაში სავსებით განუსაზღვრელის ცნება წამოიჭრება. მე ვხედავ სიკვდილს, გახრწნას და იმავე წუთას ჩემს სულის სამკვიდროს უკვდავების და მარადისობის იდეა ეუფლება. ფსიქოლოგიაში ასეთი ფაქტი „კონტრასტის ასოციაციის“ სახელით მოინათლა“ – წერს დ. უზნაძე [5. 237]. მისთვის სიკვდილი იმანენტური მოვლენაა და ცხოვრებისთვის ფორმის მიმცემი. სიკვდილის ფენომენი და ზოგადად, დაბადება-სიკვდილის არსის გაცნობიერება, ადამიანის უნივერსალური წყობა – სასრულობისა და უსასრულობის სინთეზი და ა.შ. ქმნის მორალური სრულყოფილებისაკენ სწრაფვისა და აქტივიზირების შესაძლებლობას, რასაც პროვოცირებას უკეთებს რელიგიური განათლება. მხოლოდ ამ უკანასკნელს შეუძლია გამოაღვიძოს და გაააქტიუროს არაცნობიერში მიმალული ის მორალური იმპულსები, რომელთა გარეშეც აზრს კარგავს ადამიანური ყოფა.

როცა ვსაუბრობთ რელიგიურ განათლებაზე, როგორც მორალური განვითარების

საფუძველზე, შეუძლებელია, არ შევცხოთ ერთ დროს უჩვეულო ჩარღზ დარვინისეულ ევოლუციის თეორიას, ამჟამად ფართოდ აღიარებულს და მეცნიერულად დადასტურებულ ფაქტად მიჩნეულს; თეორიას, რომელმაც ყველა სფეროში განავრცო ევოლუციური განვითარების, ბუნებრივი გადარჩევის და ბრძოლის კანონები. მორალურობის დარვინისტული მოძღვრების მიხედვით, ადამიანები მყარად ითავისებენ სახეობის შემანარჩუნებელ ქმედებებს, რომლებიც თანდათანობით ჩაიქსოვება მათ არსებაში და დროთა განმავლობაში უკვე ავტომატურად მიიჩნევა მორალურად და მნიშვნელოვნად. აღსანიშნავია, რომ მორალურობის დარვინისტულ არეალში ბუნებითი სამართალი ისტორიულად ეწინააღმდეგება ბუნებრივის ბიოლოგიურთან/ინსტიქტურთან მარტივ იდენტიფიკაციას; იგი ბუნებრივს უკავშირებს გონივრულს, განსჯაზე დაფუძნებულს, მართებულს. ბუნებითი სამართალი მიისწრაფვის იქითკენ, რომ გადალახოს ბიოლოგიური სამეფოს საზღვარი და ბუნებრივი გაადამიანუროს განსჯის სამეფოში გაერთიანებით. მატერიალისტი დარვინისტებისთვის ადამიანური ბუნება, სახეობის შენარჩუნების მიზნით, ბიოლოგიურ ინსტიქტებში ჰპოვებს რეალიზებას, სულიერ პლანში მოაზროვნეთათვის კი კაცობრიობის ბუნებრივი მიდრეკილება მას მიმართავს ღმერთის შესახებ ჭეშმარიტი მიგნებისა და საზოგადოებაში ცხოვრებისაკენ. ბუნებითი სამართალი ცხადყოფს, რომ ადამიანები თავიანთი ინსტიქტების მონები კი არ არიან, არამედ ფლობენ ფსიქიკურ თავისუფლებას. დარვინიზმის ბიოლოგიური დეტერმინიზმის საპირისპიროდ, ბუნებითი სამართლის თეორია დაშენებულია სრულიად ადამიანური ქვეცნობიერის ბრძოლის გამოცდილებაზე – გააკეთოს ის, რაც სავალდებულოა და არა ის, რაც მას სურს. ბუნებითი სამართალი ეწინააღმდეგება რელატივიზმს. თუ ჩვენ ვმოქმედებთ განსჯის მიხედვით, ვთანხმდებით ყოვლისმომცველ ზოგად კანონებზე, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მაღალმორალური კატეგორიებისკენ დაუსრულებელ ადამიანურ სწრაფვაზე. თეორია ბუნებითი სამართლის შესახებ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის რაციონალურობას, განსჯის უნარს. თუ ყველანი განსჯის მიხედვით ვიმოქმედებთ, შევთანხმდებით ღვთაებრივ, ყოვლისმომცველ წესებზე, რომელთა მორალურობა ყოველი რაციონალური აგენტისთვის იმდენად ცხადი იქნება, რომ აღნიშვნაც კი არ გახდება საჭირო. ბუნებითი სამართალი წარმოშობს ზოგად წესებს, რომელსაც ადამიანი უბრალოდ რაციონალურობის ღირსებით შეიმეცნებს. მეორადი წესებისგან განსხვავებით, მთავარი მცნებების დაცვა ყოველთვის მორალური გადაწყვეტილებაა. ამასთან, ბუნებითი სამართლის თეორიიდან გამომდინარე, ყოველ ადამიანს გააჩნია ბუნებითად მინიჭებული უფლებები, რომლებიც მომდინარეობენ ღმერთიდან, ბუნებიდან ან არსიდან.

თუ ზემოთ თქმულს კარგად გავიაზრებთ, დავრწმუნდებით, რომ მიუღებელია სკოლაში დარვინიზმის აქსიომური სწავლება. მოსწავლეებს უფლება აქვთ იცოდნენ, რომ დარვინის თეორია მხოლოდ სამეცნიერო ჰიპოთეზაა, რომელიც საკმარისად არც არის გამყარებული მეცნიერული მტკიცებულებებით; რომ სამყაროსა და ადამიანის წარმოშობის სხვა თეორიებიც არსებობს. შეუძლებელია, ბავშვებს, რომლებსაც მხოლოდ მაიმუნიდან და მომთაბარე ჯოგებიდან ადამიანის წარმოშობის კონცეფციაზე ვზრდით და ვერსიის დონეზეც კი არ ვაწვდით სხვა პარადიგმას, იმგვარად ჩაუნერგო მაღალი მორალური ღირებულებები, რომ შესაძლებელი იყოს რთული ყოვითი დილემის დროს მორალური გადაწყვეტილების აქტივიზაცია. როგორ მოხდება აღზრდის მთავარი ამოცანის „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“ რეალიზება დარვინისტული თეორიის ფონზე? რა არის განვითარების ნიშნული და ფილოსოფიურ-ეთიკური მოდელი ე. წ. განვითარების შედეგად გაადამიანებული მაიმუნისთვის? ძალადაკარგულად ხომ არ უნდა ჩაითვალოს ლაიზნიცის ცნობილი გამონათქვამი: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა?“ რა მომავალი აქვს მორალური განვითარების თვალსაზრისით მაიმუნობიდან მომავალ ადამიანს? ნუთუ ევოლუციის თეორიაზე იმდენად ნაკლებ-

დამაჯერებლად ჟღერს ადამიანის ღვთაებრივი წარმოშობის თეორია, რომ ვერსიის დონეზეც კი არ ღირს გავაცნოთ მოსწავლეებს?

სიტყვა სუბსტანცია წარმოდგება ლათინური სიტყვიდან „cubsto“ – „ვდაგავარაიმეს ქვეშ“, „ვიყრდნობ“. აქედან რაიმე არსების სუბსტანცია ეწოდება თავად მის არსს, რომელიც აერთიანებს და წარმოშობს მის ყველა თვისებასა და ძალას. „უმაღლესი და ყველაზე აუცილებელი ცნება, რომელიც არსებობს ადამიანის სულში, არის ცნება უზენაესი სუბსტანციის, მთელი სამყაროს შემოქმედის, ყველა მოვლენის საბოლოო მიზეზის, ღმერთის შესახებ. ღმერთის შემეცნება და მისი რწმენა არის ის თვისება, რომელიც მკვეთრად განასხვავებს ადამიანს ყველა სხვა მიწიერ ქმნილებათაგან და ანიჭებს მას დიდ შინაგან ღირსებას. ამ მაღალი ცნების განმასხვავებელი თვისებებია:

1. საყოველთაოობა ადამიანთა ყველა ტომში და ცალკეულ ადამიანში;
2. ადრეული და, ასე ვთქვათ, ადვილი და გარდაუვალი აღმოცენება ადამიანის სულში.

გამოცდილებამ და მოგზაურობამ აჩვენა, რომ დედამიწაზე არ არსებობს ისეთი ტომი, რომელსაც არა აქვს ბნელი წარმოდგენები მაინც უზენაეს არსებაზე. თუკი სხვადასხვა ტომის განხილვიდან ცალკეული პიროვნების დაკვირვებაზე გადავალთ, დავინახავთ, რომ საღი გონების ადამიანს, როგორი დაბალიც არ უნდა იყოს მისი სულიერი განვითარება, მუდამ აქვს ცნება ღმერთის შესახებ.“ [5. 91].

ღმერთის ცნების გაჩენა „იმდენად ბუნებრივი და გარდაუვალია, რომ ის წარმოიშობა არა რაიმე ღრმა ბჭობისა და დასკვნების შედეგად, არამედ თავისთავად, თითქოს წინასწარ იყოს ჩადებული გონებაში და მხოლოდ რაღაც გარემოებამ მიიქცია მასზე ჩვენი ყურადღებაო. აი, რატომ ამბობენ – ღმერთის იდეა ადამიანის სულში თანდაყოლილიაო. არ უნდა ვიფიქროთ, რომ თანდაყოლილი იყო, როგორც ცნება, იმ სახით, როგორსაც ვპოულობთ ახლა ჩვენს გონებაში, რადგან ეს ცნება შედეგია მსჯელობათა და დასკვნათა რიგისაგან. ის თანდაყოლილია, როგორც სულის ლტოლვა,

შეიმეცნოს თავისი თავის შემოქმედი და მთელი სამყაროს მიზეზი, როგორც სულის აუცილებელი მოთხოვნა, აღიაროს ღმერთი პირველსავე შესაძლებლობისას“ [5. 92]

ჟან პიაჟემ თავის ნაშრომში „ბავშვის მორალური განსჯა“ მიგვცა მორალური განათლების კოგნიტივისტური თეორიის საბაზისო პოსტულატები და გარკვეული რეზულტატები, რაც შემდეგ გააღრმავა და გააფართოვა ლოურენს კოლბერგმა, რომლისთვისაც მორალურ მოცემულობათა დიაპაზონი სრულიად მკაფიო და ზუსტია; კერძოდ, მოიცავს იმ თემებსა და საკითხებს, რომლებიც საკუთრივ სოციუმში წარმოქმნილი ინტერესთა კონფლიქტებს ეხება, ხოლო მორალური განათლება მეცადინეობა/მომზადებაა გადაწყვეტილებათა მისაღებად.

პიაჟეს ნაშრომში აღნიშნულია, რომ ეგოცენტრული ასაკის გადალახვის შემდეგ ბავშვი ჰეტერონომულ მორალურობას იღებს, რომელშიც კანონები აბსოლუტური და ავტორიტარულია; აქედან კი უნდა მივიდეს მორალის ავტონომიურ კოოპერაციამდე. ცხადია, ეს გადასვლა არ არის მკვეთრი და მკაცრად განსაზღვრული, წესების მექანიკურად დამორჩილების ნაცვლად მოითხოვს მოითხოვს მორალური პრინციპების გააზრებას. აზროვნების პიაჟესეული ტიპის კონვერტაცია კოლბერგმა მოაქცია ექვსსაფეხურიან სერიაში, რომელიც სამ სტადიად გააერთიანა:

1. პრეკონვეციური მორალის დონეზე ჯერ არ არის გათავისებული საზოგადოების წესები და კონვენციები. ამ სტადიაზე მყოფნი ქცევის ზნეობრიობის შესახებ უშუალოდ ქცევის შედეგებიდან (იმის გათვალისწინებით, თუ რა შედეგი მოყვება მათ საქციელს თვითონ მათთვის, ჯილდო თუ სასჯელი) გამომდინარე მსჯელობენ.

**პირველი საფეხური:** დასჯის თავიდან აცილება და მორჩილება – ორიენტირებულია ავტორიტეტისა და ძალაუფლების მქონე პირებისადმი მორჩილებაზე, რათა მოხდეს სასჯელის არიდება.

**მეორე საფეხური:** ჰედონისტური ანუ ინსტრუმენტულ-რელატივისტური – ნიშანდობლივია მორალური რეციპროკულობა. მორალური ქცევა პირადი ინტერესებით განისაზღვრება. ზოგჯერ ხდება სხვათა ინტე-

რესების გათვალისწინებაც, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი საჭიროებებიც დაკმაყოფილებული იქნება. ამ საფეხურის დამახასიათებელი მსჯელობაა: „თუ შენ რა-ღაცით მაინც დამეხმარები, მაშინ მეც დაგეხმარები.“

2. კონვენციური მორალის დონეზე მოაზროვნე ადამიანებს გათავისებული და აქვთ და ეთანხმებიან საზოგადოების კონვენციებს – საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს სწორ და არასწორ საქციელთან დაკავშირებით.

**მესამე საფეხური:** ინტერპერსონალური შეთანხმება – ქცევის მორალურობას განსაზღვრავს სხვა ადამიანების მოლოდინები და სტერეოტიპული როლები. ამ საფეხურზე მყოფი ადამიანი ცდილობს ისე მოიქცეს, რომ სხვებს, განსაკუთრებით კი ავტორიტეტის მქონე პირებს ასიამოვნოს, რათა კარგი გამოჩნდეს მათ თვალში. ამ ეტაპზე ეგოცენტრიზმი რამდენადმე მცირდება.

**მეოთხე საფეხური:** კანონი და წესები – ხასიათდება სოციალური წესრიგის შენარჩუნებაზე ორიენტაციით. ინდივიდი მსჯელობს საზოგადოების წევრის პოზიციიდან და სწორ ქცევად არსებული სოციალური სისტემის დაცვას მიიჩნევს. ამ საფეხურზე წესებს და ნორმებს დაუფიქრებლად ემორჩილებიან და იშვიათად შეაქვთ ეჭვი მათ სისწორესა და სამართლიანობაში. ვერ ხვდებიან, რომ როცა საზოგადოება ვითარდება და მისი მოთხოვნები იცვლება, მასში არსებული წესებიც უნდა შეიცვალოს.

3. პოსტკონვენციური მორალის დონეზე ინდივიდუალური პერსპექტივა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საზოგადოება. მართალია, ინდივიდის მორალური მსჯელობა წესებსა და ნორმებს ეყრდნობა, მაგრამ ის უარყოფს მათ ერთგვაროვან გამოყენებას ნებისმიერ სიტუაციაში. პოსტკონვენციურად მოაზროვნე ადამიანი ხელმძღვანელობს აბსტრაქტული პრინციპებით და შესაძლოა არ დაემორჩილოს წესს.

**მეხუთე საფეხური** – სოციალური/საზოგადოებრივი კონტრაქტი – ამ სტადიაზე მყოფი ადამიანები აცნობიერებენ, რომ წესები მხოლოდ სოციალური შეთანხმებაა და მათი შეცვლა შესაძლებელია, ზოგჯერ კი აუცილებელიც. მათ უყალიბდებათ საკუთა-

რი შეხედულება იმის შესახებ, თუ რა არის სწორი და რა არა სწორი და უპირველეს ყოვლისა, ამ შეხედულების შესაბამისად მოქმედებს.

**მეექვსე საფეხური:** უნივერსალური ეთიკური პრინციპები – ამ საფეხურის ადამიანის მორალური აზროვნება ეფუძნება აბსტრაქტულ და ზოგად პრინციპებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული საზოგადოების წესებსა და კანონებზე; სწორ და არასწორ საქციელს განსაზღვრავს თავის შინაგან უნივერსალურ სტანდარტებზე დაყრდნობით.

კოლბერგისთვის მორალი არის დასწავლილი პიროვნული რწმენების სისტემა – თუ რა არის სწორი და რა არასწორი, რომლებსაც ადამიანები იყენებენ, რათა შეაფასონ რაიმე სიტუაცია ან ქცევა. დამოკიდებულებები მორალის მიმართ ვითარდება მთელი ცხოვრების მანძილზე. კოლბერგის თეორიის თანახმად, ყველა ბავშვი ერთნაირი თანმიმდევრობით გაივლის მორალური განვითარების სტადიებს. არც ერთ მათგანს არ შეუძლია, რომელიმე სტადია გამოტოვოს, ან ერთდროულად ორი სტადია გაიაროს; ამასთან, ყველა ვერც აღწევს მორალის განვითარების უმაღლეს საფეხურს ინტელექტუალურ-ემოციური სტიმულაციის ნაკლებობის გამო. რეალურად საზოგადოებაში პირველ ოთხს აქვს მოკვებული არსებობის დამადასტურებელი ემპირიული მონაცემები. თანამედროვე საზოგადოების ზნეობრიობა მხოლოდ კანონით არის შეკავებული და მართული. შესაბამისად, საუკეთესო შემთხვევაში მორალური აღზრდის მაქსიმუმი არის კანონის და წესების საფეხური. ზედა საფეხურებზე სვლა რელიგიური განათლების პრეროგატივაა და ამ მიმართულებით მოითხოვს მუშაობას. საგულისხმოა ისიც, რომ რელიგიურ თემატიკაზე შექმნილი ლიტერატურული მასალა გაცილებით ღრმად სწვდება ხოლმე ბავშვის სულსა და გონებას ვიდრე ტიპური მორალური ტექსტი და გაცილებით მნიშვნელოვან სოციალურ-მორალურ ფუნქციას ასრულებს მის განვითარებაში. მათში ასახული ვიზუალურ-წარმოსახვითი ხატები არა მხოლოდ ასახავენ რეალობას, არამედ წარმოადგენენ მეტაფორებსაც, რომლებსაც შესწევთ ძალა ზნეობრივი

ტენდეციების არა მხოლოდ კოგნიტური, არამედ ემოციური ფიქსაციაც მოახდინონ და თავს კი არ მოახვიონ, არამედ ფრთხილად და თანმიმდევრულად გაუსიგრძელონ მოსწავლეებს მორალური ქცევის უპირატესობა. პიაქეს თეორია საფუძველი გახდა რელიგიურობის ფსიქოლოგიაში შემოსულიყო ისეთი კვლევები, რომლებიც რწმენისა და მორალური განვითარების ურთიერთკორელაციებს შეისწავლიდა. ზოგიერთი ავტორის მიხედვით, რელიგია არის მორალისა და მორალურისადმი დამოკიდებულებების სოციალური ინსტიტუტი. ისინი ხშირად მიმართავენ კოლბერგის მოდელს და აკვირდებიან რელიგიური რწმენის განვითარების ასაკობრივ კრილში.

გრინვილ სტენლი ჰოლის(ამერიკაში ასაკობრივი და პედაგოგიკური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი) მიხედვით, ჩვილობის ასაკშივე შესაძლებელი ძირითადი რელიგიური განცდების გააქტიურება, რომლებიც ჩაისახება ბავშვის სხეულის მოვლით, სიმშვიდითა და ინტენსიური გამღიზიანებლებისაგან თავის არიდებით. ამ გზით იზრდება ნდობა, მაღლიერება, დამოკიდებულება, სიყვარული. როგორც კი ბავშვი გასცდება ადრეული ჩვილობისთვის ნიშანდობლივ არაცნობიერ მდგომარეობას, მისი ასაკობრივი განვითარების ეტაპები იკვეთება რელიგიური განვითარების ეტაპებით: ფეტიშიზმით (სიყვარული, სითბო), ბუნების ძალების გაღმერთებით(შიშები) და ნებმიერი ტიპის კერპთაყვანისმცემლობის გამოვლინებით (დედ-მამა, ბებია-ბაბუა). მხოლოდ მოზარდობის ასაკში ხდება შესაძლებელი რელიგიური განვითარების ისეთი საფეხურის მიღწევა, როდესაც ის მზად არის სიყვარულისა და ალტრუიზმისთვის. ამ უკანასკნელთა გარეშე კი წარმოუდგენელია მორალური კატეგორიების ფორმირებაზე ფიქრიც კი. ბავშვი ეძებს მეგზურს, რომელიც გაუძღვება ნათელი ნიშნულისაკენ და გაარკვევს საკუთარ დამაბნეველ განცდებში. ამგვარი მეგზური მხოლოდ რელიგიური განათლებათაა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არ არის საჭირო არც ნაადრევი რწმენის კულტივირება (ხელს შეუშლის პიროვნებას ღრმა და ნელ-ნელა ტრანსფორმირებადი ინტერესების ჩამოყალიბებაში) და არც ბუნებრივი ზრდა-გარ-

დაქმნების პერიოდის გამოტოვება (გამწელება თავიდან ინტერესების გაღვიძება რელიგიურობის მიმართ). რელიგიური განათლების პროცესი უნდა იყოს მიზანმიმართულად, თანმიმდევრულად დაგეგმილი და შესაბამებოდეს ბავშვის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებებსა და ინდივიდუალურ მახასიათებლებს (უნარები, შესაძლებლობები, ინტერესები და ა.შ.). მხოლოდ ამგვარად წარმართული რელიგიური განათლება შეიძლება განისაზღვროს, როგორც მორალური განვითარების საფუძველი.

მორალური აღზრდა-განათლებისა და სულიერი ზრდის განუწყვეტელი პროცესის საიდუმლო მუდმივ ძიებაშია. შეცდომები საშიში არ არის, ისინი სახიფათოა მხოლოდ მაშინ, როცა გამუდმებით გრძელდება ერთი და იგივე შეცდომის დაშვება. შეცდომათა თავიდან არიდებისა და საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფისკენ სვლის ძირითადი და მთავარი გარანტი არის მასწავლებელი. მოსწავლეთა მორალური ღირებულებები (და არა მხოლოდ) მისი სულიერ-მშვინვიერი მდგომარეობის გამოძახილიცაა. შესაბამისად, მასწავლებელი, რომელიც მთლიანად არა არის დაკავებული რელიგიურ-მორალური თვითაღზრდით, ვერ შეძლებს მოსწავლეთათვის მართებული გეზის მიცემას; ამგვარი მასწავლებლის ჩატარებული გაკვეთილი წარმატებით შეიძლება შეიცვალოს ვიდეოტექნიკით ჩატარებული გაკვეთილით.

რელიგიური განათლება სრულიად განსაზღვრულ როლს ასრულებს ზნეობრივ განვითარებაში. შესაბამისად, სასურველია, წარმოჩინდეს თუ რა ტიპის გამოცდილებას იძლევა იგი, რა კანონზომიერებებს ექვემდებარება და კონკრეტულად რითი უზრუნველყოფს მორალური განვითარების პროცესს.

რელიგიურობა ადამიანში იწვევს სიხარულს, ექსპანსიურობას, „დინამიკურ აგზნებას“, რომელიც აძლიერებს და აახლებს სასიცოცხლო ძალებს, მოაქვს წონასწორობის განცდა და საზრისის პოვნის შესაძლებლობა. ფსიქოლოგიაში ამ მდგომარეობას ეძახიან „რწმენის მდგომარეობას“. იგი ერთნაირად არის ბიოლოგიურიც და ფსიქოლოგიურიც. რწმენის მდგომარეობა, შესაძლოა,

საერთოდ არ მოიცავდეს თავის თავში ინტელექტუალურ შინაარსს და შედგებოდეს პრიმიტიულ-ბუნდოვანი, სანახევროდ სულიერი და სანახევროდ ორგანული აგებულებისგან, რომლებიც აძლიერებენ ცხოვრების ტემპს. როდესაც რწმენის მდგომარეობა ასოცირდება რაიმე კონკრეტულ ინტელექტუალურ შინაარსთან, ასეთ შემთხვევაში ეს უკანასკნელი ღრმად იჭრება ინდივიდში და იწვევს გარკვეულ პედანტურობას რწმენის უმცირეს დეტალებთან მიმართებაშიც კი. როგორც უილიამ ჯემსი (ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი, პრაგმატიზმისა და ფუნქციონალიზმის ერთ-ერთი დამფუძნებელი) მიუთითებს, რელიგია სუბიექტური მოვლენაა, რომელიც ხასიათდება მდგრადობით და დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე; მისი ფუნქციაა სტიმულირება და ცხოვრებისთვის საჭირო ძალების მოწოდება. სიცოცხლის სიყვარული – აი, ჭეშმარიტი რელიგიური იმპულსი კულტურული განვითარების ყველა საფეხურზე. ღმერთის ცნება, ფაქტობრივად არის სულიერი საყრდენი, რომლის საშუალებითაც ადამიანი თავის ცხოვრებას წარმართავს [6: 51].

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ რელიგიურ განათლებაში მოიაზრება რელიგიური ცნობიერების ფორმირება და არა რელიგიურ რიტუალებში ბრძად მონაწილეობის მიღება. ადამიანის სულიერ სტრუქტურასა და მორალურ კატეგორიებში ძირეული ძვრები ვერ მოხდება მარტოდენ რიტუალებით. რელიგია უნდა იყოს გარკვეული კოგნიტიური ელემენტის მატარებელი, ლოგიკურად აკინძული მსოფლმხედველობრივი სისტემა და არა გაფანტულ ცნებათა კონგლომერატი. ცოდნის ნაკლებობა ანუ კოგნიციითა ბუნდოვანი ხასიათი რელიგიას ტოვებს მხოლოდ ემოციურ-აფექტური და ქცევითი კომპონენტის ამარა და ახდენს მისი გარდამქმნელი ძალის შესუსტებას. თუ რელიგიურობის, როგორც ლოგიკურად გამართული მთლიანობის შიგნით ცალკეული ნაწილები ურთიერთწინააღმდეგობაში მოდის, ეს ნიშნავს, რომ ქცევითი დისპოზიცია მთლიანად ემოციურ-აფექტურ სფეროს მიეკუთვნება და საერთო არაფერი აქვს კოგნიტურთან. ამგვარ ნიადაგზე ჩამოყალიბებული

ლი მორალური ღირებულებები, ცხადია, არამყარი და სადავო იქნება. მორწმუნეობა მკაფიოდ განსაზღვრული ეთიკური ნორმების კატეგორიას გულისხმობს. მორალური რელატივიზმი მაჩვენებელია იმისა, რომ რაციონალურად არ არის გაშინაგნებული და გააზრებული რელიგიის, როგორც ღირებულების, შინაარსი და არც ისეთ უმარტივეს და ბაზისურ ცნებებთან დამოკიდებულება, როგორცაა ღმერთის სახეობრივი კონსტრუქტი და მორალის კატეგორია. სწორედ ამგვარი მდგომარეობის თანამდევია პიროვნებათაშორისი რელიგიური კონფლიქტები, რომლებიც არც თუ იშვიათად იღებენ ფართო მასშტაბებს.

ერთობ საინტერესოა დევიდ შინდლერის (ფილოსოფოსი, მეტაფიზიკისა და რელიგიის პროფესორი) მიერ შემუშავებული ერთ-ერთი უახლესი კონცეფცია, რომელიც მცდელობაა მორალურობის რელიგიასთან ინტეგრირებისა. შინდლერმა გააფართოვა „მორალური აგენტის“ ცნება განათლებაში რელიგიის ფაქტორის ანალიზის მიმართულებით და შემოიტანა „მორალური სააგენტოს“ ცნება. მისი აზრით, რელიგიური ფაქტორი დიდ როლს თამაშობს მორალის განვითარების პროცესში და მორალური განსჯის აქტის განსახორციელებლად რელიგიური ფაქტი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ემოცია, ნებელობა და ხასიათი; ეს უკანასკნელნი უნდა ინტეგრირდნენ რელიგიურ მომენტთან, რათა სათანადოდ განვითარდეს ადექვატური მორალური ცნობიერება.

სასკოლო განათლების სისტემა ერთადერთი საზოგადოებრივი ინსტიტუტია, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს ზრდის პროცესში ადამიანის ფსიქიკაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ მორალური განვითარების თვალსაზრისით, საკითხი სკოლაში რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით, ძალიან მნიშვნელოვანია. სასკოლო რელიგიური განათლება ერთ-ერთი ყველაზე განსჯადი საზოგადოებრივი პრობლემაა. სახალხო დისკუსია რელიგიის საგანმანათლებლო მიზნებთან, ამოცანებთან და ადგილთან დაკავშირებით 1990-იან წლებში აღმოცენდა და მას შემდეგ არა თუ არ ნელდება, ძალიან ხშირად იღებს მწვავე საზოგადოებ-

რივ ხასიათს. გადაწყვეტილება, რომელიც თანაბრად მისაღები იქნება ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეებისთვის, ჯერ არ ჩანს. „ირაციონალური რწმენის და დამოკიდებულებების ადგილი არ არის ცივილიზებულ საზოგადოებაში“ – ამტკიცებენ რელიგიური განათლების მოწინააღმდეგენი. „არსებითი ელემენტები რელიგიური ტრადიციისა განუშორებელი ნაწილია ნაციონალური განათლების სისტემისა, გვინდა ეს ჩვენ თუ არა“ – აცხადებენ აკადემიურ განათლებაში „რელიგიური კომპონენტის“ ინტეგრაციის მომხრენი. იმდენად, რამდენადაც კამათის ეპიცენტრი მდებარეობს საგანმანათლებლო სფეროზე კონტროლის მოპოვების იდეოლოგიურ ურთიერთდაპირისპირებულობათა სფეროში, რიგი არსებითი თეორიული, ნორმატიულ-უფლებრივი საკითხები ხდება პერიფერიული, როგორც შედეგი იმისა, რომ არ არსებობს თანამედროვე სკოლის, როგორც ფუნდამენტის, სპეციფიკის კვლევის ბაზაზე შექმნილი სრულყოფილი პრაქტიკული რეკომენდაციები.

უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო საგანმანათლებლო სივრცეში რელიგიის შესახებ ყოველგვარი ცოდნის გადაცემა თითქმის ყველა ევროპულ ქვეყნის პედაგოგიურ თეორიასა და პრაქტიკაში აღინიშნება ტერმინით „რელიგიური განათლება“ (religious education) და გულისხმობს სწავლა-სწავლებისა და აღზრდის მიზანმიმართულ პროცესს, რომელიც გარკვეული რელიგიური სწავლების საფუძველზე ხორციელდება და თან ახლავს სათანადო რელიგიური პრაქტიკის, კულტურისა და ზნეობრივი ცხოვრების შესახებ ცოდნის მიღების ფონზე პიროვნების მორალური მახასიათებლებისა და ცხოვრების წესის ფორმირება. ერთი კია, რომ ევროპელი ექსპერტები ამ ცნების არაერთმნიშვნელოვნების გასაგებად იყენებენ მისი შინაარსობრივი თავისებურების დამატებით განსაზღვრებას, მაგალითად, „კონფესიური რელიგიური განათლება“, „არაკონფესიური რელიგიური განათლება“, „ინკლუზიური რელიგიური განათლება“ და ა.შ.). საქართველოში რელიგიის სფეროში სწავლების ახალ ფორმათა აღსანიშნავად, კატეხიზაციის ტრადიციული რეკოლუციამდელი მოდელისგან განსხვავებით, გამოიყენება სხვა

ცნებები: სულიერ-ზნეობრივი აღზრდა და მსოფლიო რელიგიური კულტურა.

რელიგიური განათლებასთან მიმართებაში ადამიანები ძირითადად ირჩევენ ისეთი ფორმებს, როგორცაა: ა) რიტუალები და ინსტიტუტიზირებული ხასიათი, რომელიც კულტურისათვის მიჩნეულია ღვთისმოსაობის გამოვლინებად; ბ) ინდივიდუალური „გულით ღვთისმოსაობა“.

პირველთათვის, რელიგია, ძირითადად, სოციალური მნიშვნელობის ერთეულია, ხოლო მეორენი გამოირჩევიან გაშინაგებული ღირებულებებისა და გამოცდილების სისტემით. შესაბამისად, განსხვავებულია მათი მორალური წყობა და ღირებულებები. ე.წ. „რიტუალურები“ ძირითადად თავის კონკრეტულ მიზნებზე არიან ორიენტირებულნი, მათი ღირებულებები უტილიტარული და ინსტრუმენტულია, ხოლო მორალი ძირითადად „გამოყენებითობის“ და „მოგებითობის“ პრინციპით საზრდოობს; ხილო, ე.წ. „გულით ღვთისმოსავეები“ ჰარმონიზირებულები არიან მორალურ პრინციპებთან.

საზოგადოების მორალური განვითარებისთვის ყველაზე სწორი გზა რელიგიური განათლებაა, რადგან მას ხელეწიფება მორალური ღირებულებებისთვის ცნობიერი საყრდენის შექმნაც და ემოციური ფიქსაცია. ამასთან, გარდა საყოველთაოდ აღიარებული ტიპური მორალური კატეგორიებისა, რელიგიური განათლება უზრუნველყოფს რჯულთშემწყნარებლობას, ტოლერანტობას, განსხვავებული აზრის მიმღებლობას, ემპათიას. რელიგიური განათლების გარეშე გზა ეხსნება ისეთ გამოვლინებებს, როგორცაა: ექსტრემიზმი, ეთნიკური დაპირისპირებები, რელიგიური კონფლიქტები.

ადამიანი ორი სამყაროს მკვიდრია – მატერიალურ-ფიზიკურისა და ღვთაებრივ-სულიერის. შესაბამისად, მისი დამოკიდებულება საკუთარ თავთან და გარემომცველ სინამდვილესთან ვერ იქნება მხოლოდ მონხმარებლური, შემეცნებითი და შეფასებითი. იგი უფლის მიერ „თავის ხატად და მსგავსად“ შექმნილი არსებაა, ამიტომ სავსეა დაუშრეტელი სიყვარულით, რომელიც ზნეობისადმი მისწრაფებაში ვლინდება. „ცოდვით დაცემული ბუნებისგან“ თავდასაღწე-

ვად, რომელიც გამუდმებით უბიძგებს „ჩა-  
ებლაუქოს მატერიალურ კეთილდღეობას“,  
ადამიანი იქმნის ზნეობრივ ჩარჩოს მორა-  
ლურ ღირებულებების სახით და ცნობიერ-  
ად თუ არაცნობიერად ცდილობს შეინარ-  
ჩუნოს საკუთარ თავში ღვთაებრივი ნაპერ-  
წკალი.

მორალური განვითარება, როგორც ადა-  
მიანური ფენომენი, შეიცავს რა თანშობილ  
იმპულსსაც და ყოფითად განვითარებად  
წყობასაც, ცხადია, აღზრდადია, მაგრამ სა-  
ჭიროებს სიღრმისეულად გააზრებულ, მი-  
ზანმიმართულ და თანმიმდევრულ პედა-  
გოგიურ აქტივობებს. ეს უკანასკნელი გუ-  
ლისხმობს, როგორც აღსაზრდელის ასაკობ-  
რივი და ფსიქო-ფიზიკური მახასიათებლე-  
ბის გათვალისწინებას, ისე თავად პროცესის  
არსობრივად გააზრებას; კერძოდ, იმ ფაქტის  
გასიგრძელებას, რომ მორალური განვითარ-  
ება, მისთვის ნიშანდობლივი კოგნიტიური  
თუ ფსიქო-ემოციური შტრიხების გამო,  
ისეთი ჭრილია ზოგადპიროვნული განვი-  
თარებისა, რომელსაც აუცილებლად სჭირ-  
დება სათანადო რელიგიური საყრდენი  
ცოდნის/ინფორმაციის სახით.

რელიგიურად სტერილური საგანმა-  
ნათლებლო სივრცე, რაოდენ მაღალ დონე-  
ზეც არ უნდა იყოს ორგანიზებული, ვერ

შეძლებს მომავალი თაობის მორალური ღი-  
რებულებებით აღჭურვას. საქმე იმაშია, რომ  
ადამიანი, როგორც უფლის მიერ შექმნილი  
არსება, მიისწრაფვის „არსებული აბსოლუ-  
ტი, რომლის სინამდვილაც მისთვის აუცი-  
ლებელი პოსტულატუმია და ამიტომ ექვს  
გარეთ მდგომი, შემეცნებულ ჰყოს, მისი  
გონებისთვის საჭვრეტად აქციოს [7. 4].

ამასთან, ადამიანი აბსოლუტისკენ  
(ღმერთისკენ) მიისწრაფვის არა მხოლოდ  
გონებით. ამ სწრაფვაში ჩართულია ნებაც და  
გრძნობაც. როგორც დ. უზნაძე მიუთითებს,  
სწორედ ნებითი ურთიერთობაა ის საფუ-  
ძველი, რომელზეც მორალი აღმოცენდება.  
რაც შეეხება გრძნობით დამოკიდებულებას,  
იწვევს რა ადამიანში საკუთარი არარაობისა  
და უსუსურობის შეგრძნებას, ბადებს რელი-  
გიურობას. არ არსებობს ადამიანი რელიგიი-  
სა და რელიგიური ლტოლვის გარეშე. შეიძ-  
ლება დაზუსტდეს მხოლოდ ის, თუ რო-  
გორი მიმართულებით განვითარდა ამა თუ  
იმ ადამიანის რელიგიოზურობა. ამრიგად,  
რელიგიური განათლება შეიძლება განვიხი-  
ლოთ, როგორც მორალური განვითარების  
მყარი საფუძველი. სხვაგვარად ფორმირე-  
ბული მორალური მექანიზმი არამდგრადი  
და დროებითი იქნება.

*НАНА БОКУЧАВА -- ГТУ, Докторант*

## РЕЛИГИОЗНАЯ ПАРАДИГМА НРАВСТВЕННОГО РАЗВИТИЯ

### Резюме

Современная теория воспитания, которая основано на прагматизме, даёт понять ,  
что невозможно разработать соответствующие правила без реформ в области  
нравственного воспитания. Конструирование в школьном пространстве человеческих  
идеалов и путь идущий к нему, нуждается в специфической философско-этической  
модели, которая в подростковом разуме, в отличии от традиционной, не будет  
ориентирована механическом внедрении принципов «социальной морали». Нравственное  
формирование опирается на теоретическое обучение, но результаты  
направлены на действие и дают возможность детям осознавать преимущество моральных  
поступков. Основы формирования морального сознания рассматривают преимущест-  
венно в двух направлениях: само нравственное образование и религиозное образование.  
Первое подразумевает когнитивную теорию нравственного развития, по которой  
моральные ценности связаны специфическими социально-культурными дилеммами и  
оцениванием активности личности. Второе-попытка моделирования интегрировать  
моральные ценности и религию, и подчеркивает тот факт, что в сфере нравственного  
развития ключевую роль играет религиозный фактор. В частности, в каждом конкретном  
случае эмоция и воля надо интегрировать с индексом религиозности, чтобы осуществить



აქტის შესაბამისი მორალური განმარტება, რომელიც ყველაფერს ამას ფორმირებს მორალური  
სამოცინოება. იმისთვის, რომელიც კონკრეტული კანონი აწინააღმდეგებს მორალური  
მნიშვნელობის, სუბიექტი უნდა იმისთვის იმისთვის იმისთვის, როგორც სიამოვნების  
კონკრეტული მიზანი. ფილოსოფია განათლების ქართველ ტრადიციებში განიხილავს  
სიამოვნების რელიგიას, როგორც « პირველადი, ძირითადი და უსასრულო სიამოვნება» (დ.  
უილიამსი) ადამიანური ბუნების, რომელიც დაქვემდებარებულია როგორც რაზმს, ისე  
გრძობა და სიამოვნებას. იმავე დროს სიამოვნების ურთიერთობა უნდა იყოს  
განათლების განვითარების ურთიერთობის ფონი, რომელიც ქმნის მორალური  
განვითარების. მეორე შემთხვევაში მორალური მექანიზმი –უდრეკიერი და დროებითი.

*კლავური სიტყვა:* მორალი, განათლება, აღზრდა, რელიგია, განვითარება, სიამოვნება,  
გრძობა, რაზმი, სიამოვნება.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაგინდაშვილი რ., მეტრეველი ლ., ალტერნატიული ეთიკა და ფსიქოლოგია, „ჩემი  
გამომცემლობა“, თბ., 2021.
2. Крэйн У., „Секреты формирования личности“, СПб: прйм-ЕВРОЗНАК, 2002.
3. ლივებუდი ბ., „ბავშვის განვითარების ფაზები“, „აწმყო“, თბ., 2002.
4. უილიამსი დ., „ფილოსოფიური შრომები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.,  
1984.
5. ქიქოძე გ. (გაბრიელ ეპისკოპოსი), „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, თბილისის  
სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემა, თბ., 1993.
6. ჩიტაშვილი, მ., „რელიგიურობის ფსიქოლოგია: ემპირიული კვლევები“, უნივერსიტეტის  
გამომცემლობა, თბ., 1998.
7. უილიამსი დ., „აღზრდის მიზნები“, გაზეთი „დროება“ (№2, №5, №6, №8), თბ., 1910.
8. Джемс В., „Многообразие религиозного опыта“, Андреев и сыновья, Санкт-Петербург, 1993.
9. Коменский Я., „Великая Дидактика“, „Книга по Требованию“, М., 2012.
10. Песталоцци И., „Избранные педагогические сочинения в 2-х т.“, Педагогика, М., 1981.
11. Хелл Л., Зиглер, Д., „Теории личности“, СПб, Питер, 2006.
12. Юнг К., „Проблемы души нашего времени“, „Прогресс“, М., 1994.
13. Dewey John, Moral Principles in Education, The Riverside Press Gambridge Project Gutenberg,  
1999.
14. Gox Harvey, „The Feast of Fools: a Theological Essay on Festiviti and Fantasy“, 1969.

## სოციალური მედიის როლი პოლიტიკაში (ქართული და უცხოური პრაქტიკა)

მოცემულ სტატიაში განხილულია სოციალური მედიის როლი პოლიტიკაში. თუ როგორ შეცვალა მედიაკონიუქტურა და პოლიტიკური კომუნიკაცია მედიის ახალი სახის გამოჩენამ. რა ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები გააჩინა ამ მხრივ. მოცემულ სტატიაში დასახელებულია სოციალური მედიის ცალკეული მახასიათებლები. სოციალურ მედიას შეუძლია საზოგადოებას გაცილებით სწრაფად მიაწოდოს ინფორმაცია მის წინამორბედ მედიასაშუალებებთან შედარებით. ამასთანავე, ის იძლევა ინტერაქციის საშუალებას, რაც მას სხვა მედიასაშუალებებისგან გამოარჩევს. სოციალური მედიის ირგვლივ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ერთის მხრივ ის მიიჩნევა დემოკრატიზაციის პროცესის ხელშემწყობად, ხოლო მეორეს მხრივ დეზინფორმაციის წყაროდ.

მოცემულ სტატიაში მოყვანილია სოციალური მედიის პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად გამოყენების მაგალითები.

მოცემულ სტატიაში დასახელებულია ძირითადი სოციალური ქსელები და მათი გავრცელების მასშტაბები.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური მედია, ინტერნეტ მედია, პოლიტიკური კომუნიკაცია, პოლიტიკური კამპანია, დეზინფორმაცია

მედია ყოველთვის თამაშობდა დიდ როლს პოლიტიკასა და არჩევნებში. პოლიტიკოსები მას აქტიურად იყენებენ, როგორც თავიანთი პოლიტიკური კამპანიის ნაწილს. მედიის საშუალებით ხდება პოლიტიკოსისა თუ პოლიტიკური პარტიების კომუნიკაცია საზოგადოებასთან, ელექტორატთან. განსაკუთრებით უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საგრძნობლად შეიცვალა მედიის კონიუქტურა. ვინაიდან, გაიზარდა სოციალური მედიის როლი. ახლა პოლიტიკური აქტორები სულ უფრო აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს თავიანთი პოლიტიკური კამპანიების წარმართვისას.

სოციალურ მედიას პირველად საფუძველი ჩაეყარა აშშ-ში და ამის შემდგომ განვითარება დაიწყო სხვადასხვა განვითარებულ ქვეყნებში. 2012 წელს სოციალური მედიის მომხმარებელმა ორ მილიარდს გადაჭარბა. ამჟამად მსოფლიო მოსახლეობის 60%-ზე მეტი მისი მომხმარებელია.

სოციალური მედიის განმარტებასთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვა-

ვაობები. მიიჩნევა, რომ თავისი არსით, მედიის ნებისმიერი სახე სოციალურია, თუმცა ტერმინი „სოციალური მედიის“ დეფინიციისას ყველაზე ხშირად ისეთ მედიას გულისხმობენ, რომელიც კომპიუტერულ ტექნოლოგიებზეა დაფუძნებული, რომელიც ხელს უწყობს იდეების, აზრების და ინფორმაციის გაზიარებას ვირტუალური ქსელების საშუალებით [1. 745-750].

ამ დეფინიციას დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ ის დაფუძნებულია ინტერნეტზე და წარმოადგენს მედიის ყველაზე თანამედროვე სახეს, რომელიც ღრმად შემოჭრა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მედიის ამ საშუალების დახმარებით, ჩვენ ყველას შეგვიძლია გავხდეთ იდეების, აზრებისა და ინფორმაციის მიმწოდებელი, რაც მანამდე მცირე ჯგუფების პრეროგატივა იყო. მედიის ეს საშუალება იძლევა შესაძლებლობას მოვახდინოთ სწრაფი ელექტრონული კომუნიკაცია, ასევე შევძლოთ საკუთარი თავის „პრეზენტაცია“. გავცეთ ისეთი პერსონალური ინფორმაცია, როგორცაა: ფოტოები, ვიდეოები და ა.შ.

სოციალური მედიის მახასიათებლებიდან აღსანიშნავია მყისიერი უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა, მომხმარებლების მიერ გენერირებული კონტენტი, ინფორმაციის სწრაფი და ხშირად უკონტროლო გავრცელება, ინფორმაციის სამიზნე ჯგუფის განსაზღვრის სიმარტივე და სხვ.

სოციალური მედიის მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ მან ხელი შეუწყო მედიის დემოკრატიზაციის პროცესს, ვინაიდან ეს არის ახალი ეპოქა, როცა ყველა მომხმარებელს შეუძლია ახალი ამბებისა და კომენტარების გამოქვეყნება, ახალი იდეებისა და მოსაზრებების გენერირება. მეორე მხრივ კი, სოციალური მედია უფრო ხელსაყრელია ექსტრემალური, ემოციურად დატვირთული და გამყოფი შინაარსის კონტენტისთვის და ადგილს არ ტოვებს რაიმე ღრმა, შინაარსობრივი ანალიზისთვის.

გარდა ამისა, სოციალური მედია ხშირად ხდება დეზინფორმაციის წყარო, ასევე მასში ინფორმაციის სიზუსტის კონტროლი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე მედიის სხვა საშუალებებში. სოციალურ მედიის კრიტიკისას ცალკე შეუძლება გამოიყოს სოციალური მედიის ალგორითმები, რომლებსაც შეუძლიათ შემოგთავაზონ სწორედ ის კონტენტი, რომელიც თქვენს შეხედულებებს შეესაბამება. აღნიშნული თვისება ამცირებს განსხვავებული შეხედულების მირების ალბათობას და კიდევ უფრო მეტად ზრდის პოლარიზაციას.

ამჟამად მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელი არის Facebook, რომელიც 2004 წელს დაარსდა და სულ ცოტახანში მოახერხა ამ ბაზარზე ლიდერობის მოპოვება. ამჟამად მისი აქტიურ მომხმარებელთა რაოდენობა თითქმის 3 მილიარდია მთელ მსოფლიოში. მეორე ადგილზეა თვისობრივად განსხვავებული Youtube 2.5 მილიარდზე მეტი მომხმარებელით, ხოლო მესამეზე WhatsApp, თითქმის 2 მილიარდით. წამყვან სოციალურ ქსელებს შორის Facebook-ის მშობლიური Meta-ს კიდევ ორი სოციალური ქსელია Messenger და Instagram. ზემოთ მოცემული სოციალური ქსელებიდან Facebook გამოირჩევა თვისობრივად, ვინაიდან ყველაზე მე-

ტად არის განსხვავებული ტიპის ინფორმაციის მიმწოდებელი მომხმარებელთა რაოდენობისა და იმ კონტენტის გამო, რომელსაც ის წარმოადგენს [2].

სოციალური მედიის გამოყენება პოლიტიკაში გულისხმობს ონლაინ სოციალური მედიის პლატფორმების (სოციალური ქსელების, საიტების და ა.შ) გამოყენებას პოლიტიკურ პროცესებსა და აქტივობებში, მათ შორის აქტიურად გამოიყენება არჩევნებში.

სოციალური მედიის როლი პოლიტიკაში განსხვავებულია სახელმწიფოების მიხედვით, რაც სავარაუდოა, რომ განპირობებულია თავად სახელმწიფოში დემოკრატიის ხარისხით. ვინაიდან, ყველა სახელმწიფოში თავისუფალი აზრის გამოხატვის თანაბარი შესაძლებლობა არ არის, არც სოციალური მედიის პოლიტიკური აზრების დემონსტრირებისთვის გამოყენებაა თანაბარი.

პოლიტიკურ აქტორებს სოციალური მედიის გამოყენება შეუძლიათ საზოგადოების ფართო ფენებისთვის მნიშვნელოვანი იდეებს გაზიარებისთვის, მოქალაქეებთან (მათ შორის ამომრჩევლებთან) უწყვეტი ურთიერთობისთვის და მათგან უკუკავშირის მისაღებად. ამ უკუკავშირის მეშვეობით კი აქვთ შესაძლებლობა გაანალიზონ საზოგადოებრივი აზრი, ამასთანავე მიმართონ კამპანიები საზოგადოებრივი აზრის კონტროლისკენ. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წინასაარჩევნო პერიოდში.

სოციალური მედიის ინტერაქციის მაღალი ხარისხის გამოყენებით, პოლიტიკურ აქტორებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ მოქალაქეთა ჩართულობას სახელმწიფო მართვის პროცესში. სოციალურ მედიას შეუძლია მთავრობებს და პოლიტიკოსებს შეუქმნან ღია მთავრობის იმიჯი.

სოციალური მედიის პლატფორმები წარმოადგენენ ყველაზე სწრაფ და ეფექტურ საშუალებას პოლიტიკური ინფორმაციის ფართო აუდიტორიისთვის მისაწოდებლად. პოლიტიკოსები, პარტიები და სხვა ინფორმაციო გამოშვებები იყენებენ პლატფორმებს, როგორცაა Twitter, Facebook და Instagram, რათა გააზიარონ სიახლეები, გა-

ნახლებები და პოლიტიკოსების პოზიციები უშუალოდ საზოგადოებასთან.

პოლიტიკური კამპანიების დროს, სოციალური მედია ფართოდ გამოიყენება ამომრჩევლებთან მისასვლელად, სახსრების მოსაზიდად და მხარდამჭერების მობილიზებისთვის. ისეთი პლატფორმები, როგორებიცაა Facebook და Twitter, რთავენ მიზნობრივ რეკლამას, რაც კამპანიებს საშუალებას აძლევს მორგონ შეტყობინებები კონკრეტული დემოგრაფიული მონაცემების მქონე ჯგუფებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია პოლიტიკური აქტივიზმი. სოციალურმა მედიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პოლიტიკური აქტივიზმისა და სახალხო მოძრაობების ხელშეწყობაში. ისეთმა ცნობილმა მოვლენებმა, როგორებიცაა არაბული გაზაფხული, #MeToo კამპანია, გარემოსდაცვითი მსვლელობები, იმპულსი ონლაინ პლატფორმების საშუალებით მოიპოვეს და ხალხის მობილიზება შეძლეს. მსგავს შემთხვევებს შევხვედრივართ ქართულ რეალობაშიც.

სოციალურმა მედიამ მთავრობებს და პოლიტიკურ აქტორებს შესაძლებლობა მისცა ახალგაზრდები გახადონ თავიანთი იდეების მიმდებები. ეს უზიძგებს ტელეკომპანიებსაც, რაც შეიძლება მეტად გამოიყენონ ინტერნეტ პლატფორმები ინფორმაციის გასავრცელებლად.

დემოკრატი ჰოვარდ დინი, რომელიც 1991 წლიდან 2003 წლამდე ვერმონტის გუბერნატორის თანამდებობას იკავებდა და 2004 წლის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს, იყო პირველი პოლიტიკოსი, რომელმაც ინტერნეტი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენა [3].

2008 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნები იყო პირველი შემთხვევა, როცა საპრეზიდენტო კანდიდატმა გამოიყენა სოციალური მედია (ინტერნეტი და სოციალური ქსელი) როგორც პოლიტიკური კამპანიის ნაწილი. 2008 წელს არჩეული ბარაკ ობამა გახდა პირველი პრეზიდენტი აშშ-ს ისტორიაში, რომელმაც ინტერნეტი გამოიყენა მხარდამჭერთა მობილიზებისთვის. საპრეზიდენტო კამპანიის დროს სოცია-

ლური მედიის გამოყენებით მან შეძლო მილიარდების მოძიება ამავე კამპანიის წარმართვისთვის. 2012 წელს კი ამ მხრივ სულაც რეკორდი მოხსნა. ამავე პერიოდის დანვე იქმნება რეალობა, როცა პოლიტიკოსები ფლობენ ოფიციალურ ანგარიშებს (გვერდებს) თითქმის ყველა წამყვან სოციალურ ქსელში.

როდესაც პოლიტიკური კამპანიის სოციალურ მედიასივრცეში გადმოტანაზე ვსაუბრობთ, ყველაზე პირველი გვახსენდება აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომელმაც სოციალური მედია თავდაპირველად საკუთარი პოლიტიკური აზრების ფართო მასებისთვის გასაცნობად გამოიყენა. ამ მხრივ აღიარების მოპოვების შემდეგ კი აქტიურად ჩართო თავის საპრეზიდენტო კამპანიაში და, მოგვიანებით, პრეზიდენტობის დროს გახდა საზოგადოებასთან კომუნიკაციის და მისი, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლის ოფიციალური პოზიციების დემონსტრირების არეალად. დონალდ ტრამპის ოფიციალური Twitter გვერდი, მედიის საშუალებებისთვის და მთელი მსოფლიოსთვის იყო აშშ პრეზიდენტის პოზიციის გაცნობის ადგილი.

მედიასაშუალებები, ფაქტობრივად, აღარ ელოდებოდნენ პრეზიდენტის ოფიციალურ ბრიფინგებს. პრეზიდენტის მიერ, აღნიშნული პლატფორმა იმდენად ხშირად გამოიყენებოდა აზრისა და პოზიციის დემონსტრირებისთვის, რომ თეთრ სახლს მოუწია გაეკეთებინა განცხადება ამ პოზიციების ოფიციალურად ჩათვლის შესახებ [4].

ამასთანავე, ცნობილია, რომ დონალდ ტრამპი აქტიურად იყენებდა Twitter-ში ბოტებს. ექვი ამის შესახებ გაჩნდა მას შემდეგ გაანალიზებულ იქნა 2015-2017 წლებში, აღნიშნულ პლატფორმაზე მისი გამომწერების რიცხვის უპრეცედენტო ზრდა 2.98 მლნ მიმდევრიდან 30.9 მილიონამდე [5].

ყოველივე ამის მიზანი საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება გახლდათ. პრეზიდენტობის ვადის ბოლო ეტაპზე კომპანია Twitter-მა დისკრიმინაციული და საშიში ხასიათის შემცველი ინფორმაციის გამო, რომელსაც შეეძლო პროვიცირება მოეხდინა დესტრუქციული პროცესების, დო-

ნალდ ტრამპის ოფიციალური გვერდი დაბლოკა.

ქართულ რეალობაში ბოლო წლებში აქტიურად გამოიყენება სოციალური მედია საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის. პოლიტიკური აქტორების მიზანია ამომრჩევლამდე მარტივად მიიტანონ სათქმელი. ესაუბრონ მათ Live რეჟიმის მეშვეობით, ჰქონდეთ დისკუსია, რაც ნაკლებად შესაძლებელი ხდება სატელევიზიო გადაცემებიდან. აქ უფრო მეტად უწევს მოსახლეობას მოისინოს აზრი, მაგრამ ნაკლებად ახერხებს თავისი აზრის დაფიქსირებას რიგი საკითხების მიმართ.

საარჩევნო პროცესისა და წინასაარჩევნო კამპანიაში სოციალური მედიის როლის შეფასებას ჩვენს ქვეყანაში არცთუ ისე დიდი ისტორია აქვს.

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებში პირველად მოხდა სოციალური მედიის როლის შეფასება პროცესებში ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, კერძოდ – სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)-მიერ [6].

მათ მიერ შემუშავდა და მომზადდა სპეციალური მეთოდოლოგია, ხოლო უფრო დიდი დოზით მოხდა მათ მიერ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისა და წინასაარჩევნო კამპანიის სოციალურ მედიაში ასახვის კვლევა. კვლევა განხორციელდა ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით.

საკმაოდ აქტუალურია ფეისბუქ ლაივების ჩათვა პოლიტიკოსების მხრიდან. ამას ხშირად მიმართავს თბილისის მერი კახა კალაძე. რის მეშვეობითაც ის საზოგადოებას, თბილისელებს აცნობს ინფორმაციას ახალგანხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით. ასევე, ყველა იმ მოსალოდნელი სიახლეების შესახებ აწვდის ინფორმაციას, რის განხორციელებასაც აპირებს მომავალში. მსგავსი კომუნიკაციით გამოირჩევა პარტია „გირჩი“ და მისი წევრი იაგო ხვიჩია, რომელსაც აქვთ თავისი პლატფორმა სხვადასხვა სოც ქსელში. ის იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი პოლიტიკოსი, რომელმაც გამოიყენა Tik-Tok პლატფორმა. ამჟამად ამავე პლატფორმაზე

კიდევ უფრო მეტ ქართველ პოლიტიკოსს შეხვდებით. ეს არის შესაძლებლობა ახალგაზრობასთან მარტივი ურთიერთობისთვის. საქართველოში ჩატარებულმა ბოლო არჩევნებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდების საარჩევნო აქტივობის დონე მაღალი არ არის.

სოციალური მედია მნიშვნელოვნად მონაწილეობდა საქართველოში გამართულ ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებშიც.

საქართველოს ამჟამინდელ პრეზიდენტს გააჩნია აქტიური ანგარიშები რამდენიმე სოციალურ ქსელში. მათ შორის აქტიურობით გამოირჩევა Facebook და უკვე Twitter (პლატფორმის ამჟამინდელი სახელია X). პრეზიდენტის Facebook გვერდზე შეხვდებით დასპონსორებულ პოსტებსაც, მათ შორისაა არამარტო პოლიტიკური პოსტები. სალომე ზურაბიშვილს თავისი მოსაზრების დასაფიქსირებლად გამოუყენებია Twitter-იც. ამ პლატფორმის გამოყენება უფრო ხშირად ხდება საერთაშორისო პოლიტიკასთან დაკავშირებული მოსაზრებების დასაფიქსირებლად.

ხემოთ მოცემული ინფორმაცია შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სოციალურმა მედიამ შესაძლებლობა მისცა პოლიტიკურ აქტორებს საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის ტიპიური მედიასაშუალებები წარმატებით ჩაანაცვლონ სოციალური მედიით და მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანონ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ხშირად პოლიტიკოსები მას საზოგადოების ფართო მასების მობილიზებისთვის იყენებენ. მაგალითად, 2020 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში მოქმედი პრეზიდენტი დოლად ტრამპი დამარცხდა, თუმცა მან არჩევნების შედეგებს არასწორი უწოდა და დაიწყო მტკიცება იმისა, რომ არჩევნები გაყალბებული იყო. მან ამის მტკიცებისთვის აქტიურად გამოიყენა სოციალური მედია, მოახდინა განსაკუთრებით რადიკალ მომხრეთა მობილიზება, რის შემდეგაც ისინი ძალის გამოყენებით შევიდნენ აშშ-ის კაპიტოლიუმის შენობაში. ქართულ რეალობაშიც, სოციალურ მედიაში, არაერთხელ გვინახავს ცალკეული პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური ჯგუფების მოწოდება მასობრივი არეულობების მოწყობაზე.

ხშირ შემთხვევაში მთელი რიგი დემონსტრაციების დაგეგმვისთვის სოციალური ქსელები გამოიყენება.

მიუხედავად სოციალური მედიის მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორებისა, ითვლება, რომ მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ ყალბი ამბების – დეზინფორმაციის გავრცელებას. ცრუ ინფორმაცია შეიძლება სწრაფად გავრცელდეს, პოტენციურად მოახდინოს გავლენა საზოგადოებრივ აზრზე და შექმნას გამოწვევები ფაქტების შემოწმებისა და ანგარიშვალდებულებისათვის.

2020 წლის აგვისტოში, წინასაარჩევნო პერიოდში Facebook-ის პლატფორმაზე პოლიტიკური რეკლამის ბიბლიოთეკა ამოქმედდა, რომლის თანახმადაც პლატფორმაზე განთავსებულ იმ რეკლამებს, რომლებიც ეხებოდა არჩევნებს, სოციალურ და

პოლიტიკურ საკითხებს უნდა ჰქონოდა შესაბამისი დეკლარაცია, რისთვისაც საჭირო იყო შესაბამისი ავტორიზაციის გავლა. მისი მიზანი იყო პოლიტიკური რეკლამების მეტი გამჭვირვალობა და სიძულვილის ენის შემცირება. ასევე, ინფორმაციით მანიპულირებისა და არასწორი ინფორმაციის გავრცელებისგან თავის არიდება. იმავე პერიოდში მოცემულმა სოციალურმა ქსელმა გამოავლინა ათეულობით ყალბი ანგარიში, რითიც ხდებოდა სიძულვილის ენისა და დეზინფორმაციის ტირაჟირება. სოციალურ მედიას აქვს პოტენციური გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე. დეზინფორმაციის გავრცელებამ, სოციალური მედიის ბოტების გამოყენებამ და მიზანმიმართულმა რეკლამამ შეიძლება გავლენა მოახდინოს საზოგადოების აღქმაზე.

ELENE KURDGELIA – GTU, PhD Student

## THE ROLE OF SOCIAL MEDIA IN POLITICS (GEORGIAN AND FOREIGN PRACTICE)

### Summary

The article discusses the role of social media in politics. How the emergence of a new type of media has changed the media conjuncture and political communication. What new challenges and opportunities this has created. In this article, the individual characteristics of social media are named. Social media can provide information to the public much faster than its predecessors. It also allows for interaction, which sets it apart from other media. There are differences of opinion around social media. On the one hand, it is considered to facilitate the democratization process, and on the other hand, it is a source of misinformation.

This article provides examples of active use of social media in political processes.

In this article, the main social networks and the scale of their distribution are named.

**Key words:** *Social Media, Internet Media, Political Communication, Political Campaign, Disinformation.*

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Obar, J. a. Social media definition and the governance challenge: An introduction to the special issue. . *Telecommunications Policy*, (2015). 745-750.
2. *Facebook Inc. Dominates the Social Media Landscape.* (2022). Retrieved from [www.statista.com](http://www.statista.com): <https://www.statista.com/chart/5194/active-users-of-social-networks-and-messaging-services/>
3. FRIESS, S. *The father of all Web campaigns.* Retrieved from [www.politico.com](http://www.politico.com): <https://www.politico.com/story/2012/09/how-deans-wh-bid-gave-birth-to-web-campaigning-081834>. (2012, 09 30).
4. Johnson, S. (2018, 02 19). *Donald Trump's tweets are now presidential records.* Retrieved from [web.archive.org](http://web.archive.org): <https://web.archive.org/web/20200406233624/https://www.pri.org/stories/2018-02-19/donald-trumps-tweets-are-now-presidential-records>
5. Bort, R. (2017). Nearly Half of Donald Trump's Twitter Followers Are Fake Accounts and Bots. *Newsweek*.
6. ISFED, ს. ა. (თ. გ.). *კვლევები. მოპოვებული* [www.isfed.ge](http://www.isfed.ge): <https://isfed.ge/geo/kvlevebi-დან>

## ინოვაციების დანერგვისა და ორგანიზაციული ტრანსფორმაციის თავისებურებანი განათლების სისტემაში

საგანმანათლებლო დაწესებულებები, აუცილებელია საზოგადოების წინსვლასა და წარმატებაზე იყოს ორიენტირებული. ამ მიზნების მისაღწევად კი სისტემის მდგრადობა საკმარისი არაა, ის უნდა იყოს განვითარებადი და მორგებული სამყაროს ახალ გამოწვევებზე. განათლების სისტემის წარმატებულობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო ინოვაციები და მათი ინტეგრირება სასწავლო დაწესებულებებში. თუმცა მისი ეფექტურობისთვის არაერთი ფაქტორის გათვალისწინებაა აუცილებელი: თითოეული ინციატივა უნდა იყოს თანმიმდევრული, სისტემური, მამულებრივი და გაზომვადი. შესაბამისად, ინციატივების გუნდი უნდა შედგებოდეს: მკვლევრების, პროფესორების, პედაგოგების, ადმინისტრატორებისა და პოლიტიკოსებისგან, რათა შემუშავებული ახალი მეთოდოლოგია შეესაბამებოდეს სწავლა-სწავლების არსებულ სისტემას და უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა სრულფასოვანი მომზადება ჯანსაღი ცხოვრების წესისა და წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის. საგანმანათლებლო ინოვაცია სამი ნაბიჯისგან შედგება: იდეა, განხორციელება, და შედეგი. მიზანი კი ერთია – ცვლილება უკეთესობისკენ. შესაბამისად, საგანმანათლებლო სისტემაში დანერგილი თითოეული ინოვაციის მიზანი სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაა. ინციატივა შეიძლება გულისხმობდეს ახალ პედაგოგიურ თეორიებს, მეთოდურ მიდგომებს, სასწავლო რესურსებს. განათლების რეფორმა მხოლოდ მაშინაა შედეგიანი როცა მოიცავს ყველა საფეხურსა და რგოლს, რასაკვირველია განსაზღვრული პრიორიტეტებითა და თანმიმდევრულობით (უშედეგოა უმაღლესი განათლების რეფორმა პროფესიული, საშუალო და სკოლამდელი განათლების რეფორმის გარეშე, უფრო ფრთო განხილვისას კი აუცილებელია არაფორმალური და განათლების სხვა სექტორის ჩართვა). მნიშვნელოვანია ინოვაცია პასუხობდეს სამ კითხვას: ვისთვისაა? როგორ მუშაობს? რა მოლოდინები გვაქვს/რა შედეგზე ვართ ორიენტირებული?

ბუნებრივია, არავის აქვს იმის მოლოდინი, რომ შესაძლებელია ისეთი რეფორმის განხორციელება ან ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რომელიც განათლების სისტემის მთლიან გარდაქმნას მოახდენს, თუმცა უშუალო გავლენა უნდა იქონიოს საგანმანათლებლო ორგანიზაციებზე ან კურსდამთავრებულზე, სუკეთესო შემთხვევაში კი ორივე მათგანზე. ხშირ შემთხვევაში, განათლების სფეროში განხორციელებული ცვლილებები არ ვრცელდება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორცაა სწავლების პროცესი და ორგანიზაციული განვითარება. საგანმანათლებლო სფეროში ინოვაციის შეტანა არ გულისხმობს მის გამოყენებას მხოლოდ სკოლებსა და უნივერსიტეტებში. მისი ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების აქტიურობა და მზაობა სისტემის უკეთესობისკენ შეცვლისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** განათლების სისტემა, საგანმანათლებლო ინოვაცია, ორგანიზაციული ტრანსფორმაცია.

საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება როგორც შედეგებს ასევე გზას რომლითაც ეს შედეგები მიიღწევა, არიან ინოვატორები, თანამედროვე გამოწვევების მიმართ მდგრად-

ები და აღწევენ გაცილებით მაღალ შედეგებს. იუნესკოს მხარდაჭერით 2013 წელს განათლების მიმართულების ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ რეფორმა მხოლოდ მაშინაა წარმატებული როცა საგანმანათლებ-

ლო დაწასებულებების ადმინისტრაცია და პროფესორ-მასწავლებლები მხარს დაუჭირენ და თავის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ მის განხორციელებაში. ამის საუკეთესო მაგალითია ფინეთი, სადაც პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართული რეფორმის შემუშავების პროცესში და მათი მთავარი გამოწვევა რეფორმების მომავალ თაობებზე მორგება იყო. მსოფლიოში გატარებული ყველა რეფორმის საკუთარ თავზე გამოცდა საჭირო არაა. „რეფორმები რომლებიც ბევრ ქვეყანაში პოპულარულია, ფინეთმა მათ მიღებაზე უარი თქვა. ესენია: სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ხშირი ტესტირებები; სასწავლო პროგრამის მინიმალისზაცია; ადგილობრივი ინოვაციების განვითარებისა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების ნაცვლად, საგანმანათლებლო იდეების გარე წყაროებიდან მიღება; მაღალი წილის ანგარიშვალდებულება პოლიტიკასთან“ [1].

პოპულარული რეფორმების გატარების ნაცვლად, ფინელები თავიანთ გზას მიჰყვებიან, თავად აანალიზებენ საკუთარ საჭიროებებს და გამოწვევების საპასუხოდ გეგმავენ ცვლილებებს. განათლების ზოგიერთი მკვლევარი აქტიურად მუშაობს სასწავლო პროცესში ტექნოლოგიური სიახლეების შეტანაზე. მათი მიზანია, სწავლების პროცესში საგანმანათლებლო აპლიკაციების ჩართვა, რადგან მიიჩნევენ, რომ 21-ე საუკუნის მთავარი საგანმანათლებლო იარაღი ციფრული რესურსი, კომპიუტერული პროგრამები და მობილური სწავლებაა. ისინი მიიჩნევენ, რომ საუკეთესო შედეგი თანამედროვე მიღწევებისა და ძველი ფუნდამენტური მეთოდების ინტეგრირებით მიიღწევა. „საინტერესოა, რომ ინოვაციების დიდი ნაწილი მატერიალურია და დიდი წილი ტექნოლოგიურ სიახლეებს უჭირავთ. ხშირად ეს სასარგებლოა, მაგრამ ყურადღება არ მახვილდება არამატერიალური ინოვაციებზე (თეორიული საფუძვლები, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, სწავლების მეთოდოლოგია), რომელიც სწავლა/ სწავლების საფუძველია. ამ მსჯელობის მიხედვით განათლების სფეროს წარმომადგენლები სიახლის დანერგვისას ძირითად აქცენტებს მატერიალურ სარგებელზე აკეთებენ და რა გასაკვირია, რომ სტუ-

დენტებიც უფრო მატერიალური დიპლომებითა და სერტიფიკატებით დაინტერესდნენ, ვიდრე არამატერიალური ცოდნით“ [2].

ამდენად, საგანმანათლებლო დაწესებულებების ტექნოლოგიით აღჭურვისას უნდა გვინტერესებდეს, არა კომპიუტერთა რაოდენობა ან რესურსი რომლებიც გვაქვს, არამედ მათი გამოყენების შედეგი – როგორ ეხმარება თითოეული კომპიუტერი სტუდენტებს სწავლის პროცესში.

იუნესკოს კვლევის ანგარიშში ინოვაციური სწავლა/სწავლების შესახებ ვკითხულობთ: „ტექნოლოგია პედაგოგების მხარდასაჭერად კარგი იარაღია, მაგრამ ის არა ჯადოსნური ინგრედიენტი“ [3] კომპიუტერები და ზოგადად ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში ცალსახად მნიშვნელოვანია, მაგრამ მნიშვნელოვანია რამდენად ვართ ჩვენ მზად მათ მისაღებად, გვაქვს კი საკმარისი ცოდნა სწავლებაში მათ გამოსაყენებლად. ტექნოლოგიური ინოვაცია საბოლოოდ პედაგოგიურ ინოვაციას მართავს, მაგრამ ამ ტიპის ინოვაცია რთულია და მოითხოვს დიდ დროს, ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს. კოგნიტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჯერომ სეიმურ ბრუნერი ამბობდა, რომ „თუ დღეს სტუდენტებს ვასწავლით ისე, როგორც გუშინ ჩვენ გვასწავლიდნენ, ეს ნიშნავს რომ მათ არ ვამზადებთ ხვალინდელი დღისათვის“ [4].

**საგანმანათლებლო სისტემებზე მსოფლიო მასშტაბით ჩატარებული არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ სასწავლო დაწესებულების წარმატებულობის საფუძველი პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიონალიზმი და მაღალი ორგანიზაციული კულტურაა. ეს უკანასკნელი კი მეტად მნიშვნელოვანია რადგან ცვლილებების განხორციელებამდე ორგანიზაციამ უნდა განიხილოს მოსალოდნელი რისკები და სარგებელი. მიზანმიმართული, სისტემური კვლევის შედეგად განსაზღვროს რამდენად აქვთ სწავლებაში ინოვაციური პროგრამების გამოყენების შესაბამისი თეორიული საფუძველი, რამდენად არის მზად გაზარდოს სწავლების ეფექტურობა. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება იწყებს ახალ ეპოქას – ეკონომიკის გარდაქმნით, განათლების სფეროს**



გამდიერებით, სამუშაო ადგილების შექმნით და დაუცველი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებით. **ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება სგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის არჩევანი აღარ არის, ეს აუცილებლობაა.**

კრიტიკულად მნიშვნელოვანი სფეროების (ჯანდაცვა, განათლება, ენერჯეტიკა და სოფლის მეურნეობა) თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევების საპასუხოდ განვითარებისათვის, აუცილებელია მუშაობა ურთიერთდაკავშირებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ინტერნეტზე სრულფასოვანი წვდომისა და ციფრული ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების გარეშე ორგანიზაციები მოწყვეტილი არიან თანამედროვე სამყაროს, რადგან დღეს ანალიტიკასა და მონაცემთა დამუშავების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები ზრდის ორგანიზაციების ეფექტურობას. ციფრულ ტექნოლოგიების სარგებელი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების, ორგანიზაციებისა და ინდივიდების კეთილდღეობის, არამედ მთელი პლანეტისთვის.

გლობალური ფონის განხილვისას ჩანს, რომ პროგრესი არათანაბარია, ციფრულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობასა და მიუწვდომლობას შორის. მაშინ, როცა მოწინავე ქვეყნებში საწარმოები ნერგავენ ხელოვნურ ინტელექტს თავიანთ პროდუქტებსა და სერვისებში, ბევრ განვითარებად ქვეყანაში მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებს აქვს მხოლოდ საბაზისო ციფრული კომპეტენციები. ახლა ციფრული კომპეტენციები და ინტერნეტთან სრულფასოვანი წვდომა განიხილება როგორც აუცილებლობა ყველა ორგანიზაციისა და მოქალაქისთვის და არა ფუფუნება ზოგიერთებისთვის.

ახლა საჭირო და აუცილებელია ორგანიზაციების ლიდერებმა იფიქრონ შემოქმედებითად, როგორ შეუწყონ ხელი **ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით ცოდნის მხარდაჭერასა და დაფინანსების გაზრდას**, რომ მეტ ორგანიზაციას მიეცეს ტრანსფორმაციის შესაძლებლობა, ციფრულ სერვისებზე წვდომისა და ინოვაციების დანერგვისთვის [5].

დროა, სასწავლო დაწესებულებებმა გაამდიერონ პარტნიორობა, ერთად შეიმუშა-

ონ განვითარების ახალი გზა, მოემზადონ ციფრული ტრანსფორმაციის მზარდი აუცილებლობისა და ახალი რისკების (კიბერუსაფრთხოება, დეზინფორმაციის გავრცელება) მართვისათვის, რომელიც ყველა მათგანს შეეხება უახლოეს მომავალში.

**ახალი ციფრული ეპოქა, ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რადგან მას აქვს პოტენციალი შექმნას უფრო ინკლუზიური, გამძლე და მდგრადი სამყარო მომავალი თაობებისთვის.**

თანამედროვე ხედვის თანახმად, ტრადიციული სწავლებისა და კვლევის ფუნქციების გარდა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია უნდა შეითავსონ – წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში. ამ ფუნქციის შესრულებისთვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები რამდენიმე მოთხოვნების წინაშე დგანან: უმაღლესი განათლების მასიფიკაციის ფონზე ექსკლუზიური ნიშის ფორმირება და პროდუქტის მრავალფეროვანი სპექტრის შექმნა; ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა; კურსდამთავრებულთა კომპეტენციებთან დაკავშირებით დამსაქმებლის მუდმივად ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად, მნიშვნელოვანი ინოვაციების დანერგვა. საუნივერსიტეტო სწავლება არის საზოგადოებრივი მისის განხორციელების გზა. უნივერსიტეტის შექმნის მიზანი იმთავითვე იყო არა მხოლოდ ის, რომ ადამიანებს მიიღოთ კვალიფიკაცია და დასაქმებულიყვნენ. უნივერსიტეტის მისია უფრო ფართოა: ზრუნვა საზოგადოების განვითარებაზე; მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეცნიერული ცოდნის თავმოყრა და გააზრების შესაძლებლობა; მოაზროვნე, თავისუფალი პიროვნებების აღზრდა რომლებიც შეცვლიან სამყაროს უკეთესობისკენ.

განათლების ხელმისაწვდომობა, ხარისხის მოთხოვნები და მასთან დაკავშირებული პრობლემები საკმაოდ კომპლექსურია. ერთის მხრივ მნიშვნელოვანია ბიზნეს სტრატეგიების გამოყენება ინვესტიციების მოზიდვისა და სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის, მეორე მხრივ კი, როდესაც ბიზნესის წესებზე იწყებს უნივერსიტეტები

აწყობას ამან შეიძლება იქონიოს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი გავლენა. მაგალითად, ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიდგომა – მინიმალური ძალისხმევით მაქსიმალური მოგების მიღწევა არ გამოდგება სასწავლო დაწესებულებებისთვის, ანუ არ შეილება უარი თქვა განათლების ხარისხზე თუ ეს მოგებას მომიტანს. (რასაკვირველია, ბიზნესის გავრცელებული წესის ასეთი პირდაპირ გადმოტანილი დასკვნები არასწორია). კიდევ ერთი სირთულე არის ის, რომ სასწავლო დაწესებულებები, მუდმივად განვითარებაზე არიან ორიენტირებული, ახალი გამოწვევი კი სწრაფად ცვალებადია. ამასთანავე უნივერსიტეტები ორიენტირებული უნდა იყვნენ რამდენიმე რგოლის: სტუდენტების, აბიტურიენტებისა და მათი მშობლების, პოტენციური დამსაქმებლებისა და უსდ-ს თანამშრომლების საჭიროებასა და კმაყოფილებაზე. რეალურად რა არის 21-ე საუკუნის **დაკვეთა**, რას მოითხოვენ სტუდენტები უმაღლესი სასწავლებლებისგან, რა სჭირდება სახელმწიფოს უმაღლესი განათლების სისტემისგან და როგორ უნდა მოხდეს ამ ინტერესების ერთმანეთთან შეთავსება?

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIR) მიერ მომზადებული კვლევის ანგარიში კვლევა არაერთ პრობლემას ასახავს: ჩარიცხულ სტუდენტთა დაბალი მომზადება; უმაღლესების არასაკმარისი დაფინანსების სისტემა (რომელიც უმაღლესებს სტუდენტთა რაოდენობაზე ორიენტირებულს ხდის, რაც უარყოფითად აისახება ხარისხზე); ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა განათლების ყველა საფეხურზე. (სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი [6].

*SOPIKO BARAMIDZE – GTU, PhD Student*

## PECULIARITIES OF INNOVATION AND ORGANIZATIONAL TRANSFORMATION IN THE EDUCATION SYSTEM

### Summary

Educational innovations and its integration in educational institutions are extremely important. For the success of the education system, however, it is necessary to consider a number of factors for its effectiveness. Educational institutions must be focused on the progress and success of society.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ინოვაცია წარმატებულია, როცა იდეა მრავალმხრივად გაანალიზებული და მიზნად ისახავს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დანერგვას, 21-ე საუკუნის უნარების განვითარების ხელშეწყობისთვის. წარმატების მისაღწევად ინოვაციური განათლება უნდა გახდეს საყოველთაო და საგანმანათლებლო ორგანიზაციამ ამის პასუხისმგებლობა თავად უნდა აიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ძალისხმევა უშედეგოდ ჩაივლის. მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სასწავლო პროგრამების შედგენისას გაითვალისწინონ, რომ დღეს ვერ ვასწავლით ისე როგორც გასულ წელს ან გუშინ. ამიტომ, სწავლა-სწავლების პროცესის თანმდევი შეკითხვებია რას ვასწავლით? როგორ ვასწავლით? გამოადგებათ კი ეს ცოდნა და უნარ-ჩვევები სტუდენტებს თანამედროვე ცხოვრებაში.

„არ ვიცი, როგორი იქნება მომავლის სამსახური, თუმცა ვიცი, რომ საიდანაც გვინდა იქიდან შევძლებთ მუშაობას, როგორც გვინდა და რა ფორმითაც გვინდა. როგორ უწყობს დღევანდელი განათლება ხელს ასეთი სამყაროსთვის მზადებას? –უნდა შევხედოთ სწავლას, როგორც საგანმანათლებლო თვითორგანიზაციის პროდუქტს. ამისათვის საჭიროა შეიქმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც ძირითადად შედგება ინტერნეტის, კოლაბორაციისა და წახალისების შერწყმით“ [7].

განათლების სისტემური ცვლილებებსა და წიგნიერების მაღალ დონეს უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ქვეყნის კეთილდღეობისთვის. სწორედ განათლებას შეაქვთ მნიშვნელოვანი წვლილი ქვეყნის განვითარების აუცილებელ არაერთ სფეროში საერთო კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

System stability is not enough to achieve these goals. It must be evolving and adapted to the new challenges of the world, while each initiative must be coherent, systematic, scalable and measurable. Accordingly, the team of initiators should consist of researchers, professors, teachers, administrators and politicians, so that the developed methodology corresponds to the existing teaching-learning system and provides full training of graduates for a healthy lifestyle and successful business.

Educational innovation consists of three steps: idea, implementation, and result. The goal is one - change for the better. Accordingly, the goal of each innovation introduced in the educational system is to improve the quality of teaching. T

he initiative may mean new pedagogical theories, methodical approaches, learning resources. Education reform is effective only when it includes all levels and links, of course, with defined priorities and consistency (higher education reform is ineffective without reform of vocational, secondary and preschool education, and in a broader consideration, it is necessary to include informal and other sectors of education). It is important that the innovation answers three questions: Who is it for? how does it work? And what are our expectations/what results are we focused on?

Naturally, no one expects that it is possible to implement such a reform or introduce new technologies that will completely transform the education system, but it should have a direct impact on the educational organizations or the graduate student, and in the best case on both of them. In many cases, the changes implemented in the field of education do not apply to such important issues as the teaching process and organizational development.

Innovation in education does not mean its use only in schools and universities. It is important for its effectiveness to be active and ready to change the system for the better.

*Key words:* education system, educational innovation, organizational transformation.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. SAHLBERG, P. (2011, 05). *What can we learn from educational change in Finland?* Retrieved from pasisahllberg.com: <https://pasisahlberg.com/finnish-lesson-3-what-can-we-learn-from-educational-change-in-finland/#:~:text=The%20main%20lesson%20from%20Finland,models%20>
2. Hoffman, A. M. (2011). *Innovations in Higher Education: Igniting the Spark for Success (The ACE Series on Higher Education)*. New York: Rowman & Littlefield Publishers.
3. განათლების პოლიტიკის, დ. დ. (2013). *უმადლეის განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში*. მოპოვებული erasmusplus.org.ge: <http://erasmusplus.org.ge/files/publications/Strategic%20Development%20of%20HE%20and%20Science%20in%20Georgia%20-%20ge.pdf>-დან
4. Bruner, J. (2004). A Short History of Psychological Theories of Learning. *daedalus*, 13-20.
5. Trotsenburg, A. v. (2024 წლის 29 02). *The digital era for all*. მოპოვებული blogs.worldbank.org: [https://blogs.worldbank.org/voices/digital-era-all?intcid=ecr\\_hp\\_sidekickA\\_2024-02-29-DigitalEraBlog](https://blogs.worldbank.org/voices/digital-era-all?intcid=ecr_hp_sidekickA_2024-02-29-DigitalEraBlog)-დან
6. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR). (2024). *საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარება და ტექნიკით აღჭურვა*. თბილისი: CCIIR.
7. მიტრა, ს. (Director). (2013). *ააშენე სკოლა ღრუბლებში* [Motion Picture]. [https://www.ted.com/talks/sugata\\_mitra\\_build\\_a\\_school\\_in\\_the\\_cloud?language=ka](https://www.ted.com/talks/sugata_mitra_build_a_school_in_the_cloud?language=ka).
8. პაიჭაძე, ნ. (2019). *ადამიანური რესურსების მართვა*. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი თ.ს.უ. .
9. სამინისტრო, ს. გ. (2022). *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030*. თბილისი: განათლების სამინისტრო.

## უკრაინა-რუსეთის ომის გავლენა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე ომის და მისი შედეგების მოკლე ანალიზს. აღნიშნული პროცესი, თავისი შედეგებით, ფაქტობრივად, განმსაზღვრელი გახდა საერთაშორისო სისტემის შემდგომი წყობის. სახელმწიფოები ისტორიაში, ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური გამოწვევების წინაშე იმყოფებიან.

თანამედროვე ეპოქაში, გაზრდილი საგარეო საფრთხეების გამო, ქვეყნების წინაშე უსაფრთხოების სისტემის ახალი, განსაკუთრებული რისკის გამოწვევები იჩენს თავს. მიუხედავად იმისა, არის თუ არა ქვეყანა ჩართული სხვა ქვეყნებს შორის მიმდინარე საომარ მოქმედებებში, ზემოხსენებული საფრთხეები თავისთავად, მოვლენების განვითარების შედეგად იჩენს თავს.

უკრაინასა და რუსეთს შორის ურთიერთობები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო და დღევანდელ დღეს განსაკუთრებული სიმწვავეით მიმდინარეობს. ყველასათვის ნათელია, რომ იმპერიალისტური რუსეთი პოსტ-საბჭოთა სივრცეს კვლავინდებურად საკუთარ ტერიტორიად მოიაზრებს, შესაბამისად რუსული მხარისთვის დასავლური გავლენების გაძლიერება დაუშვებელია. კრემლს აღარ აკმაყოფილებდა რეგიონალური ქვეყნის სტატუსი და მისი პოლიტიკური ქმედებები „ისტორიული ტრავმის“ გამოსწორებისა და თანამედროვე „რუსული სამყაროს“ შექმნისკენ არის მიმართული.

**საკვანძო სიტყვები:** დიპლომატია, საერთაშორისო წყობა, ევროინტეგრაციის გზა, დიპლომატიური არხები, პოლიცენტრული მსოფლიო, გეოსტრატეგიული ხედვა.

უკრაინაში სამხედრო აგრესია არის რუსეთის უფრო ფართო სისტემატური გეოსტრატეგიული ძალისხმევის შემადგენელი ნაწილი. შეიძლება ითქვას, რომ ეს სისტემატური ძალისხმევა ორი ზოგადი მიმართულებით ხორციელდება [1].

რუსული სტრატეგიის ერთი-ერთ მიმართულებას წარმოადგენს მისი აქტიური ქმედებები შეერთებული შტატების და ამ უკანასკნელის სტრატეგიული მოკავშირეების საერთაშორისო ლიდერების წინააღმდეგ.

დღესდღეობით თანამედროვე რუსეთს აღარ შესწევს უნარი მსოფლიო პირველობისთვის იბრძოლოს. თუმცა იგი იბრძვის რომ გაანეიტრალოს და დაასრულოს ამერიკის პირველობა. მოსკოვს სურს აშშ-ის ამჟამინდელი დომინანტური მდგომარეობა ჩაანაცვლოს იმით, რომ მსოფლიო გახადოს „პოლიცენტრული“, რაც არა რომელიმე ერ-

თი, არამედ რამდენიმე წამყვანი სახელმწიფოს დომინანტობას გულისხმობს.

ზემოთ მოყვანილი მოდელი გულისხმობს, რომ პირველობა არ ექნება არცერთ ძლიერ სახელმწიფოს ან ალიანსს/სამხედრო ბლოკს. იქნება რამდენიმე, დიდი სახელმწიფო ან გაერთიანება, მათთვის განკუთვნილი გავლენის გეოგრაფიული სფეროთი. თავის მხრივ ასეთ სახელმწიფოებს ერთმანეთთან თანამშრომლობის ცვალებადი ფორმატი აქვთ. ამგვარი სისტემა პირველი მსოფლიო ომამდე პერიოდში ჰქონდათ სახელმწიფოებს.

რუსეთის გეოსტრატეგიული ხედვის მეორე მიმართულებას წარმოადგენს მცდელობა, რომ რაიმე ახალი ფორმით აღადგინოს დაკარგული იმპერია.

ბოლო ათწლეულების მანძილზე განვითარებულ მოვლენებს თუ გავითვალისწინებთ, ამკარაა რომ რუსეთი ამის მიღწევას

თავისი მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტის მოშლის და ტერიტორიული შევიწროების ხარჯზე ცდილობს [1].

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იმპერიის აღდგენის გეგმაში უკრაინას ცენტრალური ადგილი უკავია. ნათელია, რომ უკრაინის გეოგრაფიული, მისი ზომის, დემოგრაფიული თუ ეკონომიკური ფაქტორის გამო, ამ ტერიტორიის გარეშე რუსული იმპერიის აღდგენის გეგმა ვერ განხორციელდება

უკრაინა-რუსეთს შორის არსებულ მდგომარეობას თუ დავაკვირდებით, მიმდინარე ომის მთელი დინამიკა აჩვენებს, რომ დასავლეთის აქტიური დახმარებით უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის დამპყრობლური ომი კრაზის გზაზეა.

გასათვალისწინებელია, რომ დასუსტებული რუსეთი, როგორც მეზობელი ქვეყნების, ასევე მათი სტაბილური პარტნიორის დასავლეთის ძირგამომთხრელ ქმედებებზე გადავა. ყველაზე სახიფათო სივრცე ამ შემთხვევაში უახლოესი სამეზობლო იქნება, განსაკუთრებული საფრთხე საქართველოსა და ბელარუსზე მოვა. ამ პერიოდში რუსეთი ძალის მოკრების რეჟიმზე გადავა, ამავდროულად ყურადღებას დაუთმობს შედარებით სუსტ სამიზნეებს, რომელ სიაშიც საქართველო უპირობოდ იქნება. დამარცხებული რუსეთისთვის ასეთ სიაში, საქართველოს გარდა, ბევრი სხვა ქვეყანაც იქნება გათვალისწინებული, თუმცა ბალტიისპირეთის ქვეყნებს: ლატვიას, ლიტვას და ესტონეთს სამხედრო ალიანსის წევრობა დაიცავს. აზერბაიჯანი თურქეთის აქტიური მოკავშირე, ყაზახეთს ჩინეთის მხარდაჭერა აქვს, ამ უკანასკნელის დიდი ინტერესის გამო, შესაბამისად მოსკოვი ჩინეთის ინტერესების უზულებელყოფას ვერ გაბედავს.

რაც შეეხება მოლდოვას, გეოგრაფიულად არახელსაყრელი მდებარეობა აქვს და რუსეთისთვის მიუწვდომელია. მოწყვლად მდგომარეობაშია ბელარუსი, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ ლუკაშენკომ საერთაშორისო იზოლაციის მსხვერპლი გახადა. ამ უკანასკნელის მიერ გატარებული პოლიტიკით კი რუსეთს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედების თავისუფლება მისცა.

რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შემდეგ თუ მოსკოვს რაიმე სერიოზული გე-

ოსტრატეგიული ძალისხმევა შერჩება, მაღალი ალბათობით როგორც ბელარუსი, ასევე მსგავსი მდგომარეობის მქონე ქვეყნები მის ხელში აღმოჩნდებიან. ბელარუსზე სრული კონტროლი, ასევე საქართველოზე სხვადასხვა გზებით გავლენების გაძლიერება, რაც იმედია არასოდეს არ მოხდება, სერიოზულად დააზიანებს დასავლეთის ინტერესებს. საქართველოზე კონტროლით რუსეთი ერთ მხრივ აღიდგენს მის უცვლელ, იმპერიულ მდგომარეობას, მეორე მხრივ კი გაიმყარებს შერყეულ პოზიციებს სასომხეთზე, სადაც ფაშინიანი აქტიურად ცდილობს მოსკოვის გავლენის ზონიდან გამოსვლას. უკრაინაში მიმდინარე ომის საშუალებით, მოსკოვი თანდათან კარგავს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის შუამავლის როლს, შესაბამისად აღარ ექნება მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარების საკითხში შუამავლის ფუნქცია. 2020 წლის ნოემბერში სწორედ რუსეთი მოგვევლინა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების მთავარ „გარანტად“.

გარედან დაუცველი და შიგნიდან დამპალი ბელარუსი და საქართველო ადვილად შეიძლება მოხვდნენ მოსკოვის ხელში, თუკი უკრაინასთან ომის დასრულების შემდეგ რუსეთს რაიმე სერიოზული გეოსტრატეგიული ძალისხმევა კვლავაც შეეძლება. სრულიად შესაძლებელია, რომ რუსეთს ამის უნარი აღარ ჰქონდეს, მაგრამ ეს ჯერ ზუსტად ცნობილი არაა, ხოლო პოტენციური რისკი იმდენად სერიოზულია, რომ მისი იგნორირება არ შეიძლება. ერთდროულად საქართველოსა და სომხეთზე მოსკოვის სტრატეგიული კონტროლი ჩაკეტავდა ყველა შესაძლო კომუნიკაციას, ერთი მხრივ, აზერბაიჯანსა და, მეორე მხრივ, თურქეთსა და ევროპას შორის. მეორე მხრივ კი მოსკოვს ყაზახეთიდან და ცენტრალური აზიიდან ევროპაში მიმავალ გზებზე კონტროლის საშუალებას მისცემდა. იმავდროულად სრულ კონტროლს აიღებდა სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო დერეფანზე გამავალ ყველა კომუნიკაციაზე [1].

განვიხილოთ თუ რა გავლენა იქონია უკრაინის ომმა საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე.

ცნობილია, რომ უკრაინის ომამდე, ევროკავშირი უარს ამბობდა ევროპული პარტნიორობის ქვეყნებისთვის განეხილა წევრობის პერსპექტივა. პარალელურად ევროკავშირის ასოცირებული წევრები - საქართველო, უკრაინა და მოლდოვა აქტიურად ითხოვდნენ მათთვის ორგანიზაციის წევრობის თუნდაც ზოგადი შესაძლებლობის დაშვებას და ევროპული იდენტობის აღიარებას. მოლდოვას, უკრაინას და საქართველოს ევროკავშირთან მიმართებაში ხშირად „ტრიოდ“ მოიხსენიებდნენ. თვალსაჩინოებისთვის აქვე აღვნიშნოთ, რომ ამ სამი ასოცირებული ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების ექვსმა პლატფორმამ 2019 წლის დეკემბერში ბრიუსელში ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც მათ გაერთიანებული ძალებით უნდა მიეცათ ბიძგი საკუთარი ხელისუფლებებისათვის, უზრუნველყოთ რეგიონული თანამშრომლობა, რაც ერთმანეთთან მხარდაჭერასა და კოორდინაციაზე იქნებოდა დამყარებული.

რუსეთის აგრესიამ და უკრაინაში წარმოებულმა ომმა, ასევე უკრაინელი ხალხის გმირულმა წინააღმდეგობამ ევროპელი ლიდერების ომამდე არსებული განწყობა შესამჩნევად შეცვალა, რაც შედეგზეც აისახა. ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება განეხილა უკრაინის განაცხადი წევრობასთან დაკავშირებით.

აღნიშნულმა გარემოებამ დადებითი გავლენა მოახდინა ტრიოს დანარჩენ ორ წევრზე საქართველოზე და მოლდოვაზე. კერძოდ, 2022 წლის 3 მარტს, საქართველომ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადი წარადგინა, რომელსაც ქვეყნის პრემიერ მინისტრმა მოაწერა ხელი [2].

იმავე დღეს განაცხადი მოლდოვამაც გააკეთა. ომის კონტექსტის გათვალისწინებით სამივე ქვეყნის განაცხადის განხილვა შემჭიდროვებულ ვადებში მოხდა. ევროკომისიის რეკომენდაციაზე დაყრდნობით, ევროკავშირის საბჭომ, საქართველოსთვის მეტად არასასიამოვნო გადაწყვეტილება მიიღო, 2022 წლის 17 ივნისს გადაწყვეტილებით მოლდოვას და უკრაინას კანდიდატის სტატუსი მიენიჭათ, ხოლო საქართველოს განაცხადი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიღებაზე არ დაკმაყოფილდა.

ჩანაწერში კომისიამ ცნო საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა, თუმცა აქვე წარმოადგინა საკითხების ვრცელი ჩამონათალი, რამაც საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას შეუშალა ხელი [3].

ბრიუსელმა მოგვიანებით განმარტა, რომ ორგანიზაცია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხს 2023 წელს კვლავ მიუბრუნდებოდა. ამავე განმარტებაში ნახსენები იყო, რომ ქართულმა მხარემ უნდა იმუშაოს სასამართლო სისტემის, პოლიტიკური პოლარიზაციის და „დეოლიგარქიზაციის“ რეფორმებზე.

გადაწყვეტილების პარალელურად, ევროკომისიამ, კანდიდატის სტატუსის მისაღებად, საქართველოსთვის 12-პუნქტიანი, სავალდებულოდ შესასრულებელი რეკომენდაცია შეადგინა.

2023 წლის 8 ნოემბერს კი ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა. კომისიის შეფასებაზე დაყრდნობით 2023 წლის დეკემბერში ევროპული საბჭო კენჭს უყრის საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხს. არის დიდი მოლოდინი, რომ საბჭო მხარს სწორედ ევროკომისიის მიერ რეკომენდირებულ გადაწყვეტილებას დაუჭერს მხარს.

სასურველია მოკლე მიმოხილვა უკრაინა-რუსეთის ომის ეკონომიკურ შედეგებზე გავაკეთოთ. ომის დასაწყისში მეცნიერები გამოთქვამდნენ თავიანთ ვარაუდებსა და პროგნოზებს ქვეყნებს შორის ომის მიმდინარეობისა და მისი შედეგებზე, რაც უარყოფითად აისახებოდა ქართული ეკონომიკის ბედზე. ზოგიერთი პროგნოზი გამართლდა და ნამდვილად განცხადდა ჩვენს რეალობაში, თუმცა მეცნიერთა დიდი ნაწილის დასკვნები გააბათილა ომის დაწყებიდან ერთი წლის თავზე ჩვენი საქართველოს მაკროეკონომიკურმა მაჩვენებლებმა.

საინტერესოა უშუალოდ რა სფეროებს შეეხო ომის შედეგები და რა გავლენა იქონია მან. ბუნებრივია ომით გამოწვეული კრიზისი და მსოფლიო ეკონომიკაში წარმოშობილი ნეგატიური შედეგები გარკვეული დოზით საქართველოს ეკონომიკაზეც აისახა. საგულისხმოა სავალუტო რყევები, ინფლა-

ცია, ლოჯისტიკური პრობლემები და სხვ. გარდა ამისა, როგორც უკრაინასთან, ასევე რუსეთთან ჩვენს ქვეყანას სავაჭრო ურთიერთობები აქვს, რისი შეფერხებაც ქვეყნის ეკონომიკაზე, ბუნებრივია, ნეგატიურად აისახება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქსტატის“ მონაცემების მიხედვით რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ 2021 წელს \$1.6 მილიარდს გადააჭარბა. ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ \$610 მილიონს (მთლიანი ექსპორტის 14.4%) მიაღწია, ხოლო იმპორტმა \$1 მილიარდს (მთლიანი იმპორტის 10.2%).

რუსეთში ექსპორტირებული პროდუქციიდან გამოირჩევა: ფეროშენადნობები – \$171.7 მილიონი (104.7 ათასი ტონა), ყურძნის ნატურალური ღვინოები – \$139.7 მილიონი (გაცივებული ღვინის 57%); მინერალური და მტკნარი წყლები – \$60.9 მილიონი (107.4 ათასი ტონა); სპირტიანი სასმელები – \$41.2 მილიონი / 9.9 ათასი ტონა; ახალი გარგარი, ბალი, ალუბალი, ატამი, ქლიავი და ლღნაშო – \$26.6 მილიონი (24.9 ათასი ტონა). საქართველო მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რუსეთიდან იმპორტირებულ პროდუქციაზე, რომლებიდანაც გამოირჩევა: ნავთობი და ნავთობპროდუქტები – \$134.6 მილიონი (224.7 ათასი ტონა); ნავთობის აირები და სხვა აირისებრი ნახშირწყლები – \$96.8 მილიონი (319.1 ათასი ტონა); ხორბალი და მესლინი – \$87.4 მილიონი (337.6 ათასი ტონა); მზესუმზირის ზეთი – \$41.6 მილიონი (28.3 ათასი ტონა); სატელეფონო აპარატები – \$37.2 (46.3 ტონა); ელექტროენერგია – \$12 მილიონი (იმპორტირებული ელექტროენერგიის 62%) [4].

არ შეგვიძლია არ გამოვხმაუროთ სხვადასხვა ექსპერტის მიერ გაკეთებულ დასკვნას იმის თაობაზე, რომ საქართველო ელექტროენერგიის და ნავთობის კუთხით სრულად იყო დამოკიდებული რუსეთზე. უნდა ითქვას, რომ საქართველოში ელექტროენერგიაზე მოთხოვნის დიდ ნაწილს თავად იკმაყოფილებს თბო და ჰიდრო ელექტრო სადგურებით. რა თქმა უნდა, სეზონის მიხედვით განსხვავებულია პროცენტული მაჩვენებელი. ივლის-აგვისტოს შუალედში 98%-ზე მეტი, ხოლო დეკემბერ-

თებერვლის შუალედში 46-53%. ჩვენ გვაქვს ტრანსსასაზღვრო ურთიერთობები აზერბაიჯანთან, თურქეთთან, სომხეთთან, მათ შორის რუსეთთან. ელექტროენერგიის იმპორტი ყოველთვის ურად, როდესაც ამის საჭიროებაა, ხორციელდება იმ მეზობელი სახელმწიფოდან, რომელიც უფრო დაბალ, ხელსაყრელ ფასს შემოგვთავაზებს. იმპორტთან ერთად, 2021 წელს საქართველოს ელექტროენერგიის ექსპორტის რეკორდული მაჩვენებელი ჰქონდა მაის-ივლისში [5].

რაც შეეხება ბუნებრივი აირის საკითხს, ვფიქრობთ გასაბათილებელია მოსაზრება, თითქოს საქართველო ბუნებრივი აირით მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რუსეთზე, ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ 90%-ზე მეტი ბუნებრივი აირისა ჩვენს ქვეყანაში აზერბაიჯანიდან შემოდის. ხოლო რუსეთიდან მისი მცირე ნაწილის იმპორტი ხორციელდება.

უკრაინაში მიმდინარე ომი დღესდღეობით მსოფლიოში არსებული უმთავრესი კრიზისია, რომლის შედეგებიც არაერთი მიმართულებით, ფართო მასშტაბით იგრძნობა. უნდა ითქვას, რომ გეოპოლიტიკა ყველა ქვეყანაზე ახდენს გავლენას, არ აქვს მნიშვნელობა ეს ქვეყანა ომის მონაწილეა თუ არა. ისტორიის ამ ფურცელმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების შეფასებისთვის გეოპოლიტიკა უმნიშვნელოვანეს დისციპლინას წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა ერთიორად იზრდება როდესაც სამყაროს „დიდი მოთამაშეები“ წმინდა გეოპოლიტიკური პოსტულატებით ხელმძღვანელობს.

დღესდღეობით სამხრეთ კავკასიისთვის ყველაზე აქტუალურ გეოპოლიტიკურ მოვლენებს რუსეთსა და დასავლეთს შორის მზარდი კონფრონტაცია და უკრაინაში მიმდინარე ომი წარმოადგენს. მიმდინარე ომმა და უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ ცივილიზებული სამყარომ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს რუსული იმპერიული ზრახვების ნებისმიერი ფორმით გამოვლენას. დღეს სახეზე გვაქვს გაცილებით ფართო და მასშტაბური ხასიათის სამხედრო აგრესია, რომელსაც დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა და უშუალო ჩართულობა მოჰყ-

ვა. ეს უკანასკნელი აუცილებელიც იყო, მით უფრო როცა საქმე ეხება რუსულ იმპერიულ აგრესიას, თუმცა გაცილებით მარტივი იქნებოდა ამ უკანასკნელისთვის წინააღმდეგობის გაწევა და დასუსტება დღეს თუ ამგვარი მხარდაჭერა საქართველოს 2008 წლის ომის დროს ექნებოდა.

ყველასათვის ნათელია, რომ რეგიონულ ურთიერთობებში მოსკოვი კიდევ უფრო თამამი გახდა მას შემდეგ, რაც მისი სამხედრო შესაძლებლობები 2000-იან წლებში გაუმჯობესდა. გარკვეულწილად ამგვარი გაძლიერების შედეგი 2008 წელს საქართველომაც განიცადა, როდესაც რუსეთი შემოიჭრა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე კონტროლი დაამყარა, ხოლო ცოტა მოგვიანებით კი ორივე რეგიონი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. ამით იმის თქმა გვინდა, რომ 2008 წელს საქართველოში განხორციელებულ რუსულ აგრესიაზე სა-

ერთაშორისო აქტორების პასუხი დღევანდელთან შედარებით დაბალანსებული და საკმაოდ თავშეკავებული იყო. დასავლეთის მხრიდან გამოჩენილმა ზედმეტმა სიფრთხილემ, რუსეთს საშუალება მისცა, საერთაშორისო თანამეგობრობის უპატივცემლობის გზაზე, ყოველი მომდევნო ნაბიჯი უფრო თამამად გადაედგა. ვიტყვით იმასაც, რომ აგვისტოს ომის ირგვლივ სხვადასხვა ფორმატების არაეფექტურობას ხელს უწყობდა თავად ევროკავშირის ლოიალური დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, რომელიც ამკარა ხასიათს ატარებდა. მეორე ხელშემწყობი გარემოება გახლდათ მოსკოვის მხრიდან საერთაშორისო დოკუმენტებში მოყვანილი რეკომენდაციების, დასკვნების და გადაწყვეტილებების უგულებელყოფა, რასაც ქართული მხარე ყოველთვის პირნათლად ასრულებდა.

*AKAKI PARJIANI – GTU, Assoc. Professor*

## **THE IMPACT OF THE UKRAINE-RUSSIA WAR ON THE CURRENT POLITICAL SITUATION IN GEORGIA**

### **Summary**

Today, the most relevant geopolitical events for the South Caucasus are the growing confrontation between Russia and the West and the ongoing war in Ukraine. The current war and the events in Ukraine have clearly shown us that the civilized world should pay more attention to the manifestation of Russian imperial intentions in any form.

Today, we are facing a military aggression of a much broader and large-scale nature, which was followed by great international support and direct involvement. The latter was necessary, especially when it comes to Russian imperial aggression, although it would be much easier to resist and weaken the latter today if Georgia had such support during the 2008 war. It is clear to all that Moscow has become bolder in regional relations since its military capabilities improved in the 2000s. In 2008, Georgia also experienced the results of such strengthening to some extent, when Russia invaded and established control over Abkhazia and South Ossetia, and a little later recognized both regions as independent states.

By this we want to say that the response of international actors to the Russian aggression in Georgia in 2008 was balanced and quite restrained compared to today. The excessive caution shown by the West allowed Russia to take each subsequent step more boldly on the path of disrespecting the international community. We also say that the ineffectiveness of various formats surrounding the August war was facilitated by the obvious loyalty of the European Union towards Russia. The second contributing factor was Moscow's neglect of the recommendations, conclusions and decisions contained in international documents, which the Georgian side always clearly followed.



### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბატაშვილი დ., საფრთხე, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ შეიძლება დაემუქროს რუსეთის მეზობლებს. 13.12.2022 წ. სტატიის ნახვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე: <https://gfsis.org.ge/ge/blog/view/1533> (ბოლოს ნანახია: 30.11.2023წ)
2. ინტერნეტ მაუწყებლობა „JAM news“ პოლიტიკა საქართველოში. სტატია: „განაცხადი ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებაზე“ 03.03.2022 წ. სტატიის ნახვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე: <https://jam-news.net/ge/saqartvelom-evrokavshirshi-gawevrianebaze-ganackhadi-waradgina-ras-nishnavs-es/> (ბოლოს ნანახია: 07.11.2023 წ).
3. European Commission - Opinion on the EU membership application by Georgia, 17 June 2022. [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda\\_22\\_3800](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800) (ბოლოს ნანახია: 27.10.2023 წ)
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის - საქსტატის მონაცემების ნახვა შესაძლებელია ვებ გვერდზე: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba> . ბოლოს ნანახია: 05.10.2023 წ.
5. მ. მარგველაშვილი, მ. მუხიგულაშვილი, თ. კვარაცხელია, მ. ფარცვანია - რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე მოკლევადიან პერიოდში. WEG თბილისი, 2022 წ. პუბლიკაციის ნახვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე: [http://weg.ge/sites/default/files/russia\\_ukraine\\_war\\_and\\_georgian\\_energy\\_security.pdf](http://weg.ge/sites/default/files/russia_ukraine_war_and_georgian_energy_security.pdf) (ბოლოს ნანახია: 30.11.2023 წ).

## გაერო და საქართველოს გაყინული კონფლიქტები

„აფხაზეთის კონფლიქტში“ გაეროს ჩართულობის შესწავლისას ნათლად იკვეთება: მოლაპარაკებების წარმართვის და მისი წარმატებით დასრულებისთვის, მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მცდელობა არ არის საკმარისი. ამ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელმა ფაქტორებმაც, ხელი უნდა შეუწყონ პროცესების მართვას. გაეროს არაეფექტურობა – „აფხაზეთის კონფლიქტის“ მოგვარებაში – უმეტესწილად, რუსეთის საერთაშორისო სტატუსმაც განაპირობა. უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედმა წევრობამ მოსკოვს (2008 წლის შემდეგ) პროცესებიდან – გაეროს მისცა მაქსიმალურად დისტანცირების საშუალება.

„სამხეთ ოსეთის კონფლიქტში“ – გაეროს გარდა, ეუთო-ც გმოზდა – ცხინვალის რეგიონში არსებულ მოვლენებს და აფხაზეთში, ქართველების ეთნიკურ წმენდას. ორივე, ორგანიზაციის მხრიდან, ხორციელდებოდა ტერიტორიული მთლიანობის და მისი სუვერენიტეტის დაცვის პოლიტიკა, რაც მკვეთრად გამოიხატებოდა დეკლარაციებსა და რეზოლუციებში.

რაც შეეხება „2008 წლის აგვისტოს ომს“ – რუსეთმა, კიდევ უფრო შორს შეტოვა და სეპარატისტულ რეჟიმებთან სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებები გააფორმა, რაც უფრო ადასტურებს, იმას, რომ რუსეთი ამ ომისთვის დიდ ხნის მანძილზე ემზადებოდა და რომ არა პირველ ეტაპზე ევროკავშირის გადამწყვეტი მოქმედებები, რამაც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 6-პუნქტიანი შეთანხმება გამოიღო შედეგად, აგრესიის შედეგები შესაძლოა უფრო მძიმე ყოფილიყო.

*საკვანძო სიტყვები: კონფლიქტები, საბრძოლო მოქმედებები, გაერო, ჩართულობა, ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი.*

აღნიშნული თემის განხილვას აუცილებლად დავიწყებ აფხაზეთიდან, მე, როგორც ამ საოცარი კუთხის დევნილი და მოკლე ისტორიულ მიმოხლვას დაუვუთმობ მცირე ადგილს, ვინაიდან, ისტორიული ფრაგმენტი უფრო თვალსაჩინოს გახდის თუ, რა ეტაპზე დაიწყო საერთაშორისო ორგანიზაციამ ამ შემთხვევაში გაერომ – გარკვეული ღონისძიებების გატარება „აფხაზეთის კონფლიქტის“ შემთხვევაში.

XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთმა დაიწყო ბრძოლა – საქართველოს სამეფო-სამთავროების ანექსირებისთვის. აფხაზეთი, დიდხანს ეწინააღმდეგებოდა მას, თუმცა, 1864 წელს, ის რუსული იმპერიის შემადგენლობაში ძალით შეიყვანეს. 1866 წელს კი, რუსეთის იმპერიამ ე.წ. „სოხუმის ოკრუგი“ შექმნა – ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში.

რუსეთმა, მისი მმართველობის დამყარების შემდეგ, მასობრივ რეპრესიებს მიმართა აფხაზების წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა – ეთნიკურად აფხაზი და აღმსარებლობით მუსლიმი მოსახლეობის – ოსმალეთის იმპერიაში გადასახლება.

საქართველოს ხელისუფლების მიერ ინიცირებულმა მიწის კანონპროექტმა – აფხაზების უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც (1918 წლის ოქტომბერი) მოჰყვა – აფხაზეთში გადატრიალების მცდელობა, რომელიც რუსეთმა აჯანყების მოწყობისთვის გამოიყენა და სცადა კიდევაც. ქართულმა არმიამ, ბოლშევიკური გადატრიალების მცდელობა უმაღვე აღკვეთა და აფხაზეთი, კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დატოვა.

აფხაზეთი, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში მოექცა – რუსეთის იმპერიისგან დამოუკი-

დებლობის მოპოვების შემდეგ (1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით). საქართველოსა და რუსეთს შორის საზღვარი დადგინდა – მდინარე ფსოუს და ახახჩას მთაზე.

1922-1931 წლებში, აფხაზეთს, საქართველოსთან სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე – რესპუბლიკის სტატუსი ჰქონდა, სადაც ყველა საკითხი, მათ შორის: საკადრო, ფინანსური თუ ადმინისტრაციული საკითხი საქართველოს სსრ კანონმდებლობისა და ხელმძღვანელობასთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე წყდებოდა.

რაც მთავარია, 1924 წლის საბჭოთა კავშირის პირველ კონსტიტუციაში, აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი დაფიქსირებული იყო.

1936 წელს, ტრანსკავკასიური ფედერაცია (რომელშიც აფხაზეთი, საქართველოს შემადგენლობაში შევიდა არსებული ავტონომიური რესპუბლიკის სახით – 1931 წლიდან) გაუქმდა. ამ საწყისიდან – სსრკ-ს დაშლამდე, აფხაზეთი (საქართველოს სსრ-ის ფარგლებში) ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს ატარებდა.

აფხაზეთის სსრ-ის ეთნიკურად აფხაზეთა მოსახლეობამ (რეგ. მოსახ. 18%) 1978 წელს, საქართველოს სსრ-დან გასვლა და საბჭოთა კავშირში ცალკე მოკავშირე რესპუბლიკად შესვლა მოითხოვა, თუმცა, ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში (საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ), საქართველოს მთავრობამ, აფხაზ ლიდერთან გარკვეულ შეთანხმებას მიაღწია. კერძოდ, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, აფხაზებს (რეგ. მაცხოვ. 18%-ს) 28 ადგილი გამოუყვეს, ქართველებს (მოსახ. 47%) 26 ადგილი, ხოლო დანარჩენ მოსახლეობას (ძირითადად სომხები და რუსები 35%) – 11 ადგილი.

1991 წლის დეკემბერში, ახალი წესით გაიმართა უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რამაც ქართველ და აფხაზ დეპუტატებს შორის დაძაბულობა ვერ განმუხტა, უფრო მეტიც, ისინი ორ ურთიერთდაპირისპირებულ ფრაქციას ქმნიდნენ.

აფხაზეთში, საბრძოლო მოქმედებების დაწყება უკავშირდება: ცენტრალური ხელისუფლების მიერ სარკინიგზო ხაზების დაცვის მოტივით შეიარაღებული ძალების შეყვანას (1992 წელი). ომი, დაახლოებით 13 თვე გაგრძელდა და, სამწუხაროდ, აფხაზეთზე საქართველოს ხელისუფლების კონტროლის დაკარგვით დასრულდა. მხარეებმა ცეცხლი შეწყვიტეს, მოსკოვის – „ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შეთანხმებით“ (1994 წლის 14 მაისის შეთანხმება) [1].

### აფხაზეთის კონფლიქტი

„აფხაზეთის კონფლიქტი“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღის წესრიგში ჯერ კიდევ მაშინ მოექცა, როდესაც რეგიონში საბრძოლო მოქმედებები მძვინვარებდა. გაეროს უშიშროების საბჭოს პრეზიდენტის განცხადებაში (1992 წლის 10 სექტემბერი) ყურადღება გამახვილებულია, იმაზე რომ უშიშროების საბჭოს წევრები მოსკოვში გამოხატავენ კმაყოფილებას (1992 წლის 3 სექტემბერი) - რუსეთს, საქართველოსა და აფხაზურ მხარეს შორის გაფორმებული შეთანხმების გამო.

განცხადებაში ხაზგასმულია: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის და კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის აუცილებლობის საკითხი.

„აფხაზეთის კონფლიქტთან“ დაკავშირებით, გაეროს უშიშროების საბჭოს, მთლიანობაში მიღებული აქვს 37 რეზოლუცია. მათგან, პირველი ასეთი დოკუმენტი 1993 წლის 9 ივლისით თარიღდება და მასში ყურადღება გამახვილებულია: ცეცხლის შეწყვეტის იმპლემენტაციზე და სამშვიდობო პროცესებში, გაეროს ეფექტური ჩართულობისათვის, სამხედრო სადამკვირვებლო მისიის შექმნის აუცილებლობაზე.

1994 წლის 12 ივლისის გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში დეტალურად არის აღწერილი და ჩამოთვლილი, სადამკვირვებლო მისიის ძირითადი ამოცანები, ესენია:

- ა) დააკვირდეს და შეამოწმოს შეთანხმების იმპლემენტაციას [1994 წლის 14 მაისი];
- ბ) შეთანხმების შესაბამისად, დააკვირდეს დსთ-ს (დამოუკიდებელ სახელმწიფო-

თა თანამეგობრობა) სამშვიდობო მისიის ოპერაციებს აფხაზეთში;

გ) დაკვირვებისა და პატრულირების გზით შეამოწმოს, რომ უსაფრთხო ზონა თავისუფალია შეიარაღებული ძალებისგან და შეზღუდული შეიარაღების ზონა კი, მძიმე ტექნიკისგან;

დ) უსაფრთხო და შეზღუდული შეიარაღების ზონებში შეამოწმოს მძიმე შეიარაღების საწყობები;

ე) კოდორის ხეობიდან საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გამოსვლაზე დაკვირვება;

ვ) კოდორის ხეობაში რეგულარული პატრულირება;

ზ) მხარეების, ან დსთ-ს სამშვიდობო ძალების მოთხოვნით, ან საკუთარი ინიციატივით გამოიძიოს შეთანხმების დარღვევის, ან შესაძლო დარღვევის შემთხვევები და ეცადოს მსგავსი ინციდენტების მოგვარებას;

თუმცა, ეს ამით არ მთავრდება და უშიშროების საბჭოს (1994 წლის 21 ივლისის რეზოლუციაში) ზ/აღნიშნული მისიის ამოცანებს, კიდევ ემატება ორი კომპონენტი, როგორცაა:

1) სხვა რელევანტურ საკითხებთან ერთად, თავისი მანდატის ფარგლებში, ინტენსიურად შეატყობინოს გენერალურ მდივანს შეთანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საკითხები, ინფორმაცია მისი დარღვევის ფაქტებსა თუ მისიის გამოძიების შესახებ;

2) შეინარჩუნოს ახლო კონტაქტები კონფლიქტის ორივე მხარესთან და ითანამშრომლოს დსთ-ს სამშვიდობო ძალებთან, მონაწილეობა მიიღოს დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა - უსაფრთხო დაბრუნებისათვის საჭირო გარემოს შესაქმნელად;

2008 წლის 26 აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ „აფხაზეთი“ და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა და 2009 წლის 15 ივნისს „ვეტო“ დაადო - უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელსაც სადამკვირვებლო მისიის ვადა უნდა გაეგრძელებინა. საქართველოში, გაეროს სადამკვირვებლო მისია - 2009 წლამდე ფუნქციონირებდა;

„აფხაზეთის კონფლიქტში“, რუსეთის ფედერაცია დახასიათებულია, როგორც - „მხარეთა შორის მოლაპარაკებების ფასილიტატორი“, რაც დასტურდება გაეროს ოფიციალური დოკუმენტებით.

აღნიშნულ კონფლიქტში, გაერო არ წარმოადგენს მთავარ მედიატორს. 1997 წლის შემდეგ, აფხაზეთის საკითხზე მოლაპარაკებების პროცესში ჩართული არიან გაეროს გენერალური მდივნის მეგობარ სახელმწიფოთა ჯგუფი, როგორცაა: აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია და რუსეთის ფედერაცია [2].

„აფხაზეთის კონფლიქტის“ პოლიტიკური მოგვარებისთვის, უპირველესად, აუცილებელი იყო აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა. მთელი საერთაშორისო საზოგადოება და, მათ შორის, რა თქმა უნდა - გაეროც, ერთხმად აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ამავე დროულად აცხადებდა, რომ თბილისს, ფართო ავტონომია უნდა მიეცა სოხუმისთვის.

1997 წლიდან, გაერო აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში გაცილებით უფრო აქტიური ხდება, რაც გამოიხატა - საქართველოში, გაეროს გენერალური მდივნის პირველი პრეზიდენტი სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნაში, ჟენევის ფორმატის რეორგანიზაციასა და ქართულ-აფხაზეთის საკოორდინაციო საბჭოს შექმნაში. საკოორდინაციო საბჭოში 3 სამუშაო ჯგუფი ფუნქციონირებდა, რომლებიც მუშაობდნენ: პოლიტიკური და უსაფრთხოების, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ეკონომიკური რეაბილიტაციის საკითხებზე. შეხვედრების ამ ფორმატში, ქართულ-აფხაზეთის მხარეების გარდა, მონაწილეობას იღებდნენ: გაეროს გენერალური მდივნის მეგობარ ქვეყანათა ჯგუფის წარმომადგენლები, დსთ-ს სამშვიდობო მისიის ხელმძღვანელი და გაეროს მთავარი სამხედრო დამკვირვებელი.

1998 წელს, ათენში - „ნდობის აღდგენის ღონისძიებების ფარგლებში“ - ფართო წარმომადგენლობითი შეხვედრა გაიმართა გაეროს უშუალო ჩართულობით. დიალოგის გზაზე, ეს პირველი, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო „აფხაზეთის კონფლიქტში“ მონაწილე

მხარეთათვის. თუმცა, მხარეებმა მნიშვნელოვან პროგრესს - 1999 წელს, „ნდობის აღდგენის ღონისძიებების“ ფარგლებში გამართულ მეორე შეხვედრაზეც მიაღწიეს, რომელიც ჩატარდა ქ. სტამბულში, სადაც შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე :

ა) ერთი კვირის განმავლობაში, ტყვეებისა და დაკავებული პირების გაცვლის თაობაზე შეხვედრის გამართვა;

ბ) გაეროს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელთან ერთად კონფლიქტის ზონაში სიტუაციის დესტაბილიზაციის გამომწვევი ინციდენტების ერთობლივი გამოძიება;

გ) საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, სამუშაო ჯგუფების აქტივობის აღდგენა, სტამბულის სამიტიდან ერთი კვირის განმავლობაში სამივე ჯგუფის შეხვედრის მოწვევა;

დ) 1998 წლის 24 სექტემბრის პროტოკოლის იმპლემენტაციისათვის ხელშეწყობა, პროტოკოლი გამყოფი ხაზის გასწვრივ სიტუაციის სტაბილიზაციას ეხება;

ე) ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობის განვითარება, განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში;

ვ) ორ მხარეს შორის პოლიტიკური პირების შეხვედრების ორგანიზება;

ზ) ინფორმაციის რეგულარულად მიმოცვლისთვის, მექანიზმების შემუშავება და გაუმჯობესება, რაც მოიცავს თანამშრომლობას - მასმედიის სფეროში;

თ) ინფორმაციის მიმოცვლა და კონსულტაციები სამართალდამცავ ორგანოებთან უკანონო აქტების პრევენციის მიზნით;

ი) საომარი მოქმედებებისას, დაკარგულ პირთა მოძიების კომისიის წარმომადგენლების შეხვედრის მოწყობა ერთი თვის ვადაში;

„ნდობის აღდგენის ღონისძიებების ფარგლებში“, ბოლო შეხვედრა გაიმართა იალტაში (2001 წელს). შედეგად მოლაპარაკებებისა, მომზადდა სამი ძირითადი დოკუმენტი:

1) მხარეების განცხადება;

2) „ქართულ-აფხაზური მხარეების იალტის დეკლარაცია“ (სადაც მხარეები, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს მიმართვადნენ თხოვნით,

რომ მას - გაეროსთვის, მეგობართა ჯგუფის ქვეყნებისთვის, ეუთოს და დსთ-სთვის მიემართა და ის, ძალადობის განუახლებლობის, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნების გარანტი ყოფილიყო, თუმცა, აღნიშნულზე, ხელი არავის მოუწერია);

3) „ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის ნდობის აღდგენის სამოქმედო პროგრამა“, (რომელშიც: 15 ღონისძიება იყო დაგეგმილი და ეხებოდა შემდეგ საკითხებს, როგორცაა: - მხარეთა, ახალგაზრდა წარმომადგენლებს შორის შეხვედრების ორგანიზება; - მხარეთა, სხ/სხ პოლიტიკური წრეების შეხვედრების დაგეგმვა; - მხარეებს შორის, ომის ვეტერანებსა და შშმ პირების ორგანიზაციათა თანამშრომლობის მხარდაჭერა და ა.შ.).

იალტის მოლაპარაკებებზე მიღწეულმა პროგრესმა, რეალობაში აისახა ვერ ჰპოვა და ერთი წლის შემდეგ, ქართულ-აფხაზურმა საკოორდინაციო საბჭომ, მუშაობა საერთოდ შეწყვიტა.

საქართველოში, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დიტერ ბოდენის - უშუალო ჩართულობით - „თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციების განაწილების პრინციპების შესახებ“ ჩარჩო-შეთანხმება (The Principles For Division Of Competences Between Tbilisi And Sukhumi) 2002 წლის მარტში შემუშავდა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, ადასტურებდა, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, აფხაზეთი - საქართველოს შემადგენლობაში არსებული სუვერენული წარმონაქმნია, სადაც ასევე, საუბარი იყო, რომ: თბილისისა და სოხუმის კომპეტენციები ფედერალური შეთანხმებით და კონსტიტუციით უნდა განსაზღვრულიყო, რომელიც შესასრულებლად სავალდებულო იქნებოდა და მის შეცვლას, ორივე მხარის თანხმობა დასჭრიდებოდა.

„აფხაზეთის კონფლიქტის“ მოსაგვარებლად, გაეროს მიერ წარმოდგენილი ერთადერთი ოფიციალური ინიციატივაა - დიტერ ბოდენისა და მეგობარ სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, თუმცა, მისი მიღება საბოლოოდ ვერ მოხერ-

ხდა. მას შემდეგ, ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა გაეროს ეგიდით (ბოსნია-ჰერცეგოვინაში, სერბეთში, მონტენეგროში, ბოსნა და ჟენევაში) თუმცა, „აფხაზეთის კონფლიქტის“ მოგვარებასთან დაკავშირებით, პროგრესი მაინც არ მიღწეულა.

დღეისათვის, „აფხაზეთის კონფლიქტის“ საკითხში, გაეროს ჩართულობა შემოიფარგლება - ჟენევის, საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეობით და გენერალური ასამბლეის მიერ „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ - ყოველწლიურად მიღებული რეზოლუციებით, სადაც, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა - IDP აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლება - არის აღიარებული [3].

ამდენად, „აფხაზეთის კონფლიქტთან“ დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ, რომ - „აფხაზეთის კონფლიქტში“ გაეროს ჩართულობის შესწავლისას ნათლად იკვეთება: მოლაპარაკებების წარმართვის და მისი წარმატებით დასრულებისთვის, მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მცდელობა არ არის საკმარისი. ამ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელმა ფაქტორებმაც, ხელი უნდა შეუწყონ პროცესების მართვას.

გაეროს არაეფექტურობა - „აფხაზეთის კონფლიქტის“ მოგვარებაში - უმეტესწილად, რუსეთის საერთაშორისო სტატუსმაც განაპირობა. უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედმა წევრობამ მოსკოვს (2008 წლის შემდეგ) პროცესებიდან - გაეროს მისცა მაქსიმალურად დისტანცირების საშუალება.

მოგესხენებათ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ შესწევს უნარი ზემოქმედება მოახდინოს ზესახელმწიფოებზე, ხოლო ამ სახელმწიფოებს გააჩნიათ მასზე გავლენის მოხდენის შესაბამისი მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში ამას ოსტატურადაც იყენებენ. ერთ-ერთ, ასეთ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს ვეტო-ს უფლების გამოყენება. რუსეთის ფედერაციის მიერ, როგორც ეუთოს, ასევე, გაეროს შემთხ-

ვევაშიც, საქართველოს ტერიტორიაზე სადამკვირვებლო მისიის მანდატი სწორედაც ვეტო-ს გამოყენებით დასრულდა.

და ბოლოს, გაერომ ვერ მოახერხა 2008 წლის რუსული აგრესიის თავიდან არიდება „აფხაზეთის კონფლიქტის“ (საქართველოს) წინააღმდეგ, როგორც 2003 წელს, შტატების და ბრიტანეთის სამხედრო ძალების შეჭრა ვერ აღკვეთა - ერაყში.

### **„სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტი**

ამ ყველაფრის პარალელურად, სამხრეთ ოსეთის ოლქთან დაკავშირებით გაერო შესამჩნევად არ აქტიურობდა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, 1990-1991 წლებში, სამხედრო შეირაღებული დაპირისპირება იყო - ცენტრალურ ხელისუფლებას და ე.წ „სამხრეთ ოსეთის“ უკანონო ფორმირებებს შორის. ამ პერიოდში, საქართველო ჯერ კიდევ არ იყო გაეროს სრულუფლებიანი წევრი. თუმცა, მოგვიანებით სხვა რეზოლუციებში განხილულია „აფხაზეთის კონფლიქტთან“ ერთად „ცხინვალის კრიზისიც“. სწორედ, ამ ორივე კონფლიქტურ ზონასთან დაკავშირებით გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, როგორცაა: „დევნილები“; „ლტოლვილები“; „იძულებით გადაადგილებული პირები“; „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა“; „ეთნიკური წმენდა“ და ა.შ.

გაეროს გარდა, ეუთო-ც გმობდა - ცხინვალის რეგიონში არსებულ მოვლენებს და აფხაზეთში, ქართველების ეთნიკურ წმენდას. ორივე ორგანიზაციის მხრიდან, ხორციელდებოდა ტერიტორიული მთლიანობის და მისი სუვერენიტეტის დაცვის პოლიტიკა, რაც გამოიხატებოდა დეკლარაციებსა და რეზოლუციებში, სადაც კარგად არის აღწერილი ორგანიზაციების შეხედულებები და დამოკიდებულება, რომლის, ნათელი მაგალითია - 1995 წლის 6 აპრილი, როდესაც ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის მიერ შემუშავდა წინადადებები, რომელიც ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონსტიტუციურ სტატუსს ეხება და ყურადღებას ამახვილებს სამ ძირითად პრინციპზე: 1) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება; 2) „სამხრეთ ოსეთის“ ფართო ავტონომია; 3) ურთიერთობების შენარჩუნება;

2008 წლის 18 სექტემბერს, ეუთო-ს მუდმივმოქმედი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის შემდგომ შეიცვალა ვითარება, რაც გულისხმობდა ეუთო-ს მისიის სამხედრო მონიტორინგის გაზრდას საქართველოში. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მათი ნაწილი განთავსდებოდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ რუსეთის მიერ ვეტოს დადებით დაიბლოკა აღნიშნული პროექტი.

2008 წლის 4 დეკემბერს, ეუთო-ს მინისტერიალზე (რომელიც გაიმართა ქ. ჰელსინკში) რუსეთმა კიდევ ერთხელ გამოიყენა ვეტო-ს უფლება და დაბლოკა ეუთოს მისიის მანდატის გაგრძელება საქართველოში.

2009 წლის 15 ივნისს, რუსეთმა კვლავ ვეტო-ს გამოიყენებინა უფლებით, გაეროს სამკვირვებლო მისიის მუშაობა შეაჩერა. სწორედ, რუსეთის გავლენამ და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ გამოიწვია ეუთო-ს მისიის და გაერო-ს მანდატის შეწყვეტა - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ორგანიზაციების დაინტერესება დღემდე გრძელდება ორივე კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

გაეროს და ეუთოს მოწონებას იმსახურებს „ჩართულობის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა“, რომელიც დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 27 იანვარს. დოკუმენტში, გაწერილია რიგი საკითხები, როგორც ცხინვალის რეგიონში, ასევე, აფხაზეთში მცხოვრები მოქალაქეების კეთილდღეობისთვის. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს გაყოფილი საზოგადოების შერიგებას და მათ შორის ნდობის ჩამოყალიბებას.

„ჩართულობის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა“ ოთხი ძირითადი მიმართულებისგან შედგება, ესენია: 1. ეკონომიკური მიმართულება; 2. სოციალური მიმართულება; 3. ადამიანური მიმართულება (უფლება და თავისუფლება); 4. ჰუმანიტარული მიმართულება.

1. ეკონომიკური მიმართულება - საერთაშორისო სავალუტო ფონდის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს გლობალური თანამშრომლობის გაღრმავება, სიღარიბის დონის

შემცირება, დასაქმების დონის ამაღლება და საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა. აღნიშნულ პროცესში მონაწილეობას იღებს შრომის დაცვის ორგანიზაცია, რომლის დახმარებით საქართველოში ხორციელდება პროექტი - „შრომის კანონმდებლობის შესრულების გაუმჯობესება.“ 2011-2015 წლებში წარმოდგენილ „გაეროს გეგმა განვითარების ხელშეწყობისათვის“ - მოცემულია ის აუცილებელი პრიორიტეტები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საქართველოს განვითარებაში. გაერომ, განახორციელა შემდეგი ქმედითი ნაბიჯები: დემოკრატიის განსავითარებლად - რაც მოიცავს თანამონაწილეობრივი და სამართლიანი პროცესების ხელშეწყობას; სიღარიბის შესამცირებლად - რომლის მიზანია გაიზარდოს ხელმისაწვდომობა დასაქმებაზე, განათლებაზე, სოციალურ თუ ჯანდაცვის მომსახურებებზე. რაც განსაკუთრებულად ეხება დევნილებს, სოციალურად დაუცველებს და ა.შ. - კატასტროფის რისკის შემცირება - რამაც საქართველოს უნარის გამტკიცება შეძლო, ზიანის მინიმუმამდე დაყვანის და კატასტროფების საგანგებო სიტუაციებში, ზარალის პროცესების წარმართვისას.

2. სოციალური მიმართულება - აქ მოცემულია სხვადასხვა ფონდები, მაგ.: გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), რომელიც ახორციელებს ოკუპირებულ აფხაზეთში რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურების გაზრდას; გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), რომელიც ჩართულია ბავშვთა დაცვის, განათლების და ჯანმრთელობის სფეროებში გაატაროს სოციალური რეფორმები; გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), რომელიც დახმარებას უწევს ეკონომიკური განვითარების, დემოკრატიული მმართველობის, საგანგებო სიტუაციებისგან თავის არიდების და მათი რეაბილიტაციის, ასევე, გარემოს დაცვის კუთხითაც. რაც შეეხება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას, ეს უკანსკნელი აქტიურად მონაწილეობს როგორც, ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებაში, ასევე, საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის სისტემების განვითარებაში.

3. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიმართულება - აქ წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა

დაცვის უმაღლესი კომისარიატი (OHCHR). გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი უშუალოდ არის ჩართული პროცესებში; გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UNIFEM), რომლის უდიდეს წვლილს წარმოადგენს სახალხო დიპლომატიის და დაპირისპირებულ მხარეთა შორის დიალოგის წარმართვა, გასაკუთრებით საგულისხმოა 2001-2006 წლების პერიოდი. ხოლო, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ორგანიზაციამ განაახლა სამუშაოები საქართველოში და ომის შემდგომ - პროცესებში ჩაერთო აქტიურად. გაეროს გენერალური ანსამბლეს გადაწყვეტილებით 2010 წლიდან კი ახორციელებს პროექტებს, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები დევნილების თუ, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვას.

4. ჰუმანიტარული მიმართულება - გაერო, თავისი არსებობის მანძილზე, მუდმივად მხარს უჭერს ჰუმანიტარული და სამშვიდობო პროექტების განხორციელებას, ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია“-ც ტექნიკური და ფინანსური კუთხით, ინტენსიურად ეხმარება საქართველოს.

„2016-2020 წლების თანამშრომლობის გეგმას მდგრადი განვითარებისთვის“ (რომლის ბიუჯეტი იყო 156 მილიონი დოლარი) გაეროს მუდმივ კოორდინატორს და საქართველოს მთავრობას შორის მოეწერა ხელი - 2015 წლის 20 ნოემბერს. ხელშეკრულება ემსახურება: განათლების, სოციალური დაცვის, დასაქმების და ჯანდაცვის მიმართულებებს და ასევე, დემოკრატიულ მმართველობას.

2010 წლის 27 იანვარს დამტკიცებულ გეგმაში საუბარია, რომ გაერო, საერთაშორისო არეალზე მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მისი სუვერენიტეტის დაცვას, რაც 2008 წლის აგვისტოდან დღემდე ნათლად ჩანს. მოგახსენებთ, რომ გაეროს გენერალური ასამბლეს მიერ მიღებულ რეზოლუციაში „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო, ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობის“ - შესახებ, ხაზგასმულია დევნილ-

თა უფლებების აღდგენის აუცილებლობა, მათი საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო, ღირსეული და, რაც მთავარია - ნებაყოფლობითი დაბრუნება. მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს რეზოლუციის მხარდამჭერთა რაოდენობა, რომელიც არის ფიქსირებული ყოველწლიურად.

რაც შეეხება ეუთო-ს როლს, ცხინვალის რეგიონში მიმდინარე დამაბულობაზე, ეუთოს მისია აქტიურად ჩაერთო მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა „საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ“ შეთანხმებას.

მისიის შემადგენლობა დაკომპლექტდა 1992 წლის 24 ივლისს ქალაქ სოჭში, რომელიც შედგებოდა - ოფისის თავმჯდომარის სპეციალური წარმომადგენლების, ორი დიპლომატიური მრჩეველისა და ოთხკაციანი სამხედრო ჯგუფსგან.

ეუთოს მისიას განესაზღვრა პოლიტიკური ჩარჩოების შექმნის აუცილებლობის ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც უნდა მომხდარიყო ხანგრძლივი პოლიტიკური შერიგება, რაც ეფუძნებოდა ეუთო-ს ძირითად პრინციპებს და ვალდებულებებს.

1997 წლის 22 აპრილს ამოქმედდა ეუთო-ს მისიის ქვედანაყოფი - ქალაქ ცხინვალში, რომელიც უშუალოდ ექვემდებარებოდა მისიის შტაბს ქალაქ თბილისში. იმავე წელს, მოეწერა ხელი შეთანხმებას, აფხაზეთში არსებულ გაერო-ს ადამიანის უფლებების ოფისსა და ეუთო-ს შორის. შეთანხმების საფუძველზე ერთი ოფიცერი უნდა გაეგზავნათ - „ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგისათვის“ აფხაზეთში. მიუხედავად, ეუთო-ს მისიის ძალისხმევისა, პოზიტიური შედეგები არ მოჰყოლია აღნიშნულ მისიას, როგორც ცხინვალის ასევე, აფხაზეთის რეგიონში.

334-ე გადაწყვეტილების თანახმად, ეუთო-ს მისიის შემადგენლობა 20-მდე გაიზარდა (1999 წლის 15 დეკემბერს), რომლებსაც უნდა განეხორციელებინათ მონიტორინგი რუსეთ-საქართველოს საზღვრის მონაკვეთებზე. ხოლო, 2004 წლის 31 დეკემბრამდე „საზღვრის კონტროლის მისია“ ახორციელებდა მონიტორინგს, როგორც რუსეთ-საქართველოს საზღვართან, ასევე, დადესტნის, ჩეჩნეთის და ინგუშეთის საზღ-



ვრების მონაკვეთებზე, თუმცა, საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნების მიუხედავად, მონიტორინგის დაწესება არ განხორციელდა საქართველო-რუსეთის საზღვრის და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მონაკვეთებზე. უფრო მეტიც, რუსეთის ფედერაციამ მისიის მიერ მონიტორინგის გაგრძელებას „ვეტო“ დაადო და 2004 წლის ბოლოსკენ კი კონტროლის განხორციელება საერთოდ შეწყდა - ზემოთ აღნიშნულ საზღვრებზე.

2004 წლის კონფლიქტის პერიოდში, ცხინვალის რეგიონში, რუსეთის ფედერაციის მხრიდან მუდმივად ხდებოდა საბრძოლო ტექნიკის და შეიარაღების არალეგალურად შემოტანა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

2008 წლის აგვისტოში, ეუთო-მ შეცვალა მიმართულება და მისი საქმიანობა ემსახურებოდა ჰუმანიტარულ კრიზისს, გადაუდებელ სტაბილიზაციას. რისთვისაც, ეუთომ, ოპერატიულად ჩართო 20-მდე ახალი ოფიცერი, ამ ახალი მიმართულების გასააქტიურებლად. ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაცია - მხარს უჭერდა ჟენევის მოლაპარაკებებს, რომელსაც რეგიონში სტაბილურობის დასამყარებლად ხელმძღვანელობდნენ - ეუთო, გაერო და ევროკავშირი. განხილვების შედეგად, შემუშავდა საერთო ინციდენტების პრევენციის სხვადასხვა მექანიზმები.

„ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის ცხინვალის საველე ოფისის“ - ევაკუირება განხორციელდა - აგვისტოს ხუთდღიანი ომის პერიოდში (პერსონალის უსაფრთხოების მიზნით) ხოლო შემდეგ, ის ახორციელებდა საქმიანობას კარალეთის „მეწინავე მონიტორინგის ბაზიდან“ 2009 წლის 30 ივნისამდე. 2009 წლიდან, კი, მისიამ საერთოდ შეწყვიტა საქმიანობა, რადგან რუსეთის ფედერაციამ ტრადიციულად მხარი არ დაუჭირა [4].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით მოგახსენებთ, რომ - „სამხეთ ოსეთის კონფლიქტში“ - გაეროს გარდა, ეუთო-ც გამობდა - ცხინვალის რეგიონში არსებულ მოვლენებს და აფხაზეთში, ქართველების ეთნიკურ წმენდას. ორივე, ორგანიზაციის მხრიდან, ხორციელდებოდა ტერი-

ტორიული მთლიანობის და მისი სუვერენიტეტის დაცვის პოლიტიკა, რაც მკვეთრად გამოიხატებოდა დეკლარაციებსა და რეზოლუციებში. სადაც, კარგად არის აღწერილი ორგანიზაციების შეხედულებები და დამოკიდებულება, რომ აქაც (აფხაზეთის კონფლიქტის მსგავსად) 2009 წლის 15 ივნისს, გამოიყენა რუსეთმა ვეტო-ს უფლება და გაეროს სადამკვირვებლო მისიის მუშაობა შეაჩერა. სწორედ, რუსეთის გავლენამ და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ გამოიწვია ეუთო-ს მისიის და გაერო-ს მანდატის შეწყვეტა - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. თუმცა, გაეროს და ეუთოს მოწონებას იმსახურებს „ჩართულობის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა“, რომელიც დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 27 იანვარს. დოკუმენტში, გაწერილია რიგი საკითხები, როგორც ცხინვალის რეგიონში, ასევე, აფხაზეთში მცხოვრები მოქალაქეების კეთილდღეობისთვის. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს გაყოფილი საზოგადოების შერიგებას და მათ შორის ნდობის ჩამოყალიბებას.

და ბოლოს, აღნიშნული კონფლიქტის ფარგლებში, ჩემი აზრით ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ და „აფხაზეთი“, უნდა სარგებლობდეს მათი „საშინაო“ თვითგამორკვევის უფლებით. ისინი, არ უნდა სარგებლობდნენ მესამე სახელმწიფოს მიერ - ჩარევის უფლებით, მათი აღიარებით და საქართველოს სუვერენიტეტის შელახვით.

#### **2008 წლის აგვისტოს ომი**

გაეროს უშიშროების საბჭოს 2007 წლის 1781-ე და 1752-ე რეზოლუციებით დასტურდება, რომ 2007-2008 წლებში, საქართველოსა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც მიზნად ისახვდა ე.წ. „გაყინული კონფლიქტების“ მოგვარებისთვის რეალური პირობების შექმნას, რუსეთის ფედერაციამ სამხედრო აგრესიით უპასუხა.

2008 წლის 7 აგვისტოს, რუსეთის ფედერაცია ღიად ჩაება კონფლიქტში, ყოფილი „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე და განახორციელა მასობრივი „სამხედრო ინტერვენცია“ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მიუხედავად, რომ

საქართველო, თავისი სამშვიდობო მცდელობებით - აქტიურად იყო ჩართული. რუსეთის სამხედრო ნაწილებმა არა მხოლოდ საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე, არამედ სამოქალაქო ობიექტებსა და მშვიდობიან მოსახლეობაზე მიიტანეს იერიში, რის შედეგადაც ფაქტიურად სრულად განადგურდა კონფლიქტის ზონაში არსებული დასახლებული პუნქტები, ასევე, რუსეთის სამხედრო ძალებმა პარალელურად განახორციელეს თავდასხმა ზემო-აფხაზეთის ტერიტორიაზე და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების და საერთაშორისო შეთანხმებების მკვეთრი დარღვევით დაიკავეს აფხაზეთი. იბომბებოდა საქართველოს მთელი ტერიტორია; ამჟამად, საქართველოს ტერიტორიის 20% - რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. „შეიარაღებული კონფლიქტის“ აშკარა პროვოკაციას ჰქონდა ადგილი რუსეთის მხრიდან, რომელმაც ათასობით ჯარისკაცის, ტანკის და ასობით თვითმფრინავის გამოყენებით ფართომასშტაბიანი შეტევა განახორციელა.

7-12 აგვისტომდე, მოსკოვმა დაახლოებით 40 000 ჯარისკაცი შეიყვანა საქართველოში. მათ შორის - 20 000 ჯარისკაცი როკის გვირაბის გავლით შევიდა სამხრეთ ოსეთში და დამატებით იმდენივე ჯარისკაცი აფხაზეთში. ამ რეგიონში განლაგებული რუსების სამხედრო ძალა, იმთავითვე სამჯერ აღემატებოდა საქართველოს მთელს შეიარაღებულ არმიას. რუსული და სეპარატისტული ძალების ინტენსიური აღჭურვა თანამედროვე იარაღით, შემოსევიდან სულ რაღაც, რამდენიმე თვით ადრე, შავი ზღვის ფლოტის მომზადება და ბაზების და რკინიგზის მოდერნიზაცია - მიუთითებს, რომ ეს ოპერაცია დიდი ხნით ადრე იყო დაგეგმილი.

ეს იყო ისტორიაში პირველი შემთხვევა, როდესაც, კარგად იყო გათვლილი და შეწყვილებული: სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ოპერაციები - ე.წ. „კომპიუტერულ“ ომთან. სადაც, ზოგიერთი ანალიტიკოსის მიერ გაჟღერდა ცნება - „მეოთხე ფრონტი“. ეპიზოდური ინტერნეტშეტევის მსხვერპლი თავდაპირველად საქართველო გახდა - ივლისის თვეში და 19 ივლისს, უკვე განხორციელდა კიბერშეტევა - ქვეყნის პრეზიდენ-

ტის პირად ვებგვერდზე. თუმცა, ნამდვილი შეტევა 8 აგვისტოს განხორციელდა, როდესაც რუსებმა ქართული ინტერნეტსერვისის კონტროლი და სრული ბლოკირება მოახდინეს. მოქმედებდა ორი სხ/სხ ჯგუფი: პრეზიდენტის ვებსაიტს აკონტოლებდა ერთი ჯგუფი, რაც მიზნად ისახავდა იმის დემონსტრირებას თუ, რამდენად დაუცველი იყო ქვეყნის კიბერსივრცე და ინფრასტრუქტურა.

ხოლო, საბანკო სექტორს აკონტოლებდა მეორე ჯგუფი, რომლის მიზანი იყო ეკონომიკური ქაოსის წარმოქმნა. საინფორმაციო ვებგვერდებზე მიყენებული იერიში კი, ამცირებდა ხელისუფლების შესაძლებლობას დაკავშირებოდა გარე სამყაროს დამხმარებისთვის ან ინფორმაციის გასავრცელებლად (პოლონეთმა და ესტონეთმა გამოიჩინეს ყურადღება საქართველოს ხელისუფლების მიმართ და მიაწოდეს ინიციატივა - ესარგებლათ თავიანთი ვებგვერდებით საზოგადოებასთან დასაკავშირებლად).

- ამერიკის შეერთებული შტატების, რიგით 66-ე სახ-ო მდივნის, რაისის სიტყვებით: „მართლაც დიდი ხნით ადრე იყო ჩაფიქრებული“;

- ასევე, „ნოვია გაზეტას“ კორესპონდენტი სამხედრო საკითხებში, პაველ ფელგენჰაუერი წერდა: „ცხადზე უცხადესია, რომ რუსეთის შეჭრა საქართველოში წინასწარ იყო დაგეგმილი და აგვისტოს ომის დაწყება კრემლს, ჯერ კიდევ აპრილში ჰქონდა გადაწყვეტილი.“

ამ და სხვა ანალიტიკოსთა მსგავსი შეფასებები წარმოადგენს მტკიცებულებათა ნაკრებს, რასაც მივყავართ დასკვნამდე, რომ - 2008 წლის ომი, წინასწარ დაგეგმილი და ოპერატიულად შესრულებული ფართომასშტაბიანი თავდასხმა იყო, რომლის მიზანი, საქ-ს ხელისუფლების დამხობასთან ერთად, ქართული ჯარის განადგურება და ნატოში შველის ოცნებაზე, საბოლოოდ უარის თქმა გახლდათ.

11-12 აგვისტოს რუსეთი კვლავ განაგრძობდა საქართველოს ტერიტორიების დაკავება-დაბომბვას. (დაიბომბა ქარელის რ/ნ, ქალაქი კასპი, გორი, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მილი, კასპისა და ხაშურის რაიონები).

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა გასცა ბრძანება საქართველოში სამხედრო ოპერაციების შეწყვეტის შესახებ, რუსეთმა მას შემდეგ მაინც რამდენიმეჯერ დაბომბა საქართველოს ტერიტორია.

13 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თანხმდებიან - „თბილისში, ცეცხლის შეწყვეტის და მშვიდობის დამყარების მიზნით“ - ცეცხლის შეწყვეტის 6-პუნქტიან გეგმაზე; თუმცა, კვლავ ბომბავს გორის და კასპის რაიონებს - რუსეთის ავიაცია; დამატებითი რუსული ჯარები თავს ესხმიან და აწიოკებენ მოსახლეობას, ძარცვავენ გორთან არსებულ არტილერიის ბაზას, გრძელდება ქართული სოფლების დაკავება.

იმავდროულად, მიმდინარეობს შეტევა დასავლეთ საქართველოს მიმართულებითაც. რუსი ჯარისკაცები შედიან წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში; ქალაქი ფოთის ნავსადგურთან აფეთქებენ საქართველოს სანაპირო დაცვის 3 გემს. ზუგდიდსა და ფოთში შეპყავთ დამატებითი რუსული ჯარები (14 აგვისტოს). პარალელურად, ანადგურებენ სენკაში განთავსებულ სამხედრო ბაზას. გრძელდება ჯარების შეყვანა ქ. გორშიც. 16 აგვისტოს კი, რუსული არმიის მძიმე ტექნიკა გამოდის სენაკიდან და შეპყავთ ქ. ფოთში.

რუსეთის პრეზიდენტი ვ. მედვედევი ხელს აწერს საფრანგეთის პრეზიდენტის სარკოზის მიერ შემოთავაზებულ 6-პუნქტიან გეგმას, თუმცა, ამის მიუხედავად, რუსეთი ისევ არ უხსნის საჰაერო სივრცეს თურქეთის და უკრაინელ მეხანძრე თვითმფრინავებს, რათა ჩააქრონ ხანძარი ბორჯომის ტყეპარკში.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შემაერთებელი სარკინიგზო კავშირიც წყდება სოფელ გრაკალთან ახლოს მდებარე ძირითადი საარკინიგზო ხიდის აფეთქებით.

17 აგვისტოსთვის, სენაკის სამხედრო ბაზის გამაგრება, მისი რაიონული სოფლების დაკავება, ახალგროში ე.წ. სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ფრომირებების შეყვანა, სუფსის ნაბთობტერმინალთან სამხედრო ნა-

წილების განლაგება დ.შ. - უკვე ადასტურებდა, რომ რუსეთი 6-პუნქტიანი შეთანხმების შესრულებას სრულ ინგნორირებას უკეთებდა. რუსეთმა, ჩვეული ორმაგი სტანდარტების გამოყენებით იმოქმედა (მოახდინა საქართველოს ტერიტორიის ოკუპირება და გამაგრდა ამ ტერიტორიაზე)

18 აგვისტოს, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში საუბარია არა „ჯარების გაყვანაზე“, არამედ „ჯარების გადაწევაზე“.

რუსეთის პრეზიდენტი დ. მედვედევი ყველა საერთაშორისო ნორმისა თუ კანონმდებლობის დარღვევით (26 აგვისტოს), ხელს აწერს ბრძანებულებას: „აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ“.

საქართველოს პარლამენტი 28 აგვისტოს, (რუსეთის მიზანმიმართული ქმედებების საპასუხოდ) რუსეთის სამხედრო ძალებს აცხადებს „საოკუპაციო ძალებად“, ხოლო, აფაზეთსა და ცხინვალის რეგიონს (სამხრეთ ოსეთი) – „ოკუპირებულ ტერიტორიებად“. 3 სექტემბერს კი, საქართველო ოფიციალურად წყვეტს დიპლომატიურ კავშირს რუსეთთან.

რაც შეეხება „2008 წლის აგვისტოს ომს“ - რუსეთმა, კიდევ უფრო შორს შეტოვა და სეპარატისტულ რეჟიმებთან სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებები გააფორმა, რაც უფრო ადასტურებს იმას, რომ რუსეთი ამ ომისთვის დიდ ხნის მანძილზე ემზადებოდა და რომ არა პირველ ეტაპზე ევროკავშირის გადამწყვეტი მოქმედებები, რამაც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 6-პუნქტიანი შეთანხმება გამოიღო შედეგად, აგრესიის შედეგები შესაძლოა უფრო მძიმე ყოფილიყო.

საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან საომარ მოქმედებას რუსეთმა ე.წ. უცხო ქვეყანაში „საკუთარ მოქალაქეთა“ დაცვის უფლებით - „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ უწოდა.

ამდენად, ცხადზე ცხადია, რომ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა, სრულიად მსოფლიო შეძრა. ევროპული უსაფრთხოების კუთხით, ის უდიდეს კრიზისად იქცა მას შემდეგ, რაც სერბმა დიქტატორმა სლობოდან მილოშვიჩმა მე-20 სა-

უკუნის 90-იანი წლების ბოლოს აუშვა თავისი „ნაგაზები“ და ეთნიკური წმენდა ჩაატარა ბალკანეთში, რამაც რუსეთი და დასავლეთი ლამის ახალ „ცივ ომამდე“ მიიყვანა.

NANA KANKAVA – GTU, PhD Student

## THE FROZEN CONFLICTS OF THE UN AND GEORGIA

### Summary

When studying the involvement of the United Nations in the "Abkhazian conflict", it is clear: the efforts of the United Nations alone are not enough for the management of the conflict and its successful completion. Factors independent of this organization should also contribute to the management of processes. The inefficiency of the UN in solving the "Abkhazia conflict" was largely due to the international status of Russia. Permanent membership of the Security Council allowed Moscow (after 2008) to distance itself as much as possible from the processes of the United Nations.


In the "Samkhet Ossetia conflict" - in addition to the UN, the OSCE also condemned the events in the Tskhinvali region and the ethnic cleansing of Georgians in Abkhazia. Both, from the side of the organization, the policy of protection of territorial integrity and its sovereignty was carried out, which was clearly expressed in declarations and resolutions.

As for the "War of August 2008" - Russia went even further and signed military cooperation agreements with the separatist regimes, which further proves that Russia was preparing for this war for a long time and not at the first stage. The decisive actions of the European Union, which resulted in the 6-point agreement on the cessation of hostilities, the consequences of the aggression could have been more severe.

*Key words:* conflicts, hostilities, United Nations, involvement, territorial integrity, sovereignty.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. [https://ugsp.ug.edu.ge/storage/publications/March2021/CgDirUgwHCzrgs824jWA.pdf?fbclid=IwAR2ng38ww1-ZtEvy-PMMHiCB7QCKVhZ8c\\_am-X8XLWBOD18MXM4pHeuxDR4](https://ugsp.ug.edu.ge/storage/publications/March2021/CgDirUgwHCzrgs824jWA.pdf?fbclid=IwAR2ng38ww1-ZtEvy-PMMHiCB7QCKVhZ8c_am-X8XLWBOD18MXM4pHeuxDR4) – 18-20გვ
2. [https://ugsp.ug.edu.ge/storage/publications/March2021/CgDirUgwHCzrgs824jWA.pdf?fbclid=IwAR2ng38ww1-ZtEvy-PMMHiCB7QCKVhZ8c\\_am-X8XLWBOD18MXM4pHeuxDR4](https://ugsp.ug.edu.ge/storage/publications/March2021/CgDirUgwHCzrgs824jWA.pdf?fbclid=IwAR2ng38ww1-ZtEvy-PMMHiCB7QCKVhZ8c_am-X8XLWBOD18MXM4pHeuxDR4) – 29-31გვ.
3. [https://ugsp.ug.edu.ge/storage/publications/March2021/CgDirUgwHCzrgs824jWA.pdf?fbclid=IwAR2ng38ww1-ZtEvy-PMMHiCB7QCKVhZ8c\\_am-X8XLWBOD18MXM4pHeuxDR4](https://ugsp.ug.edu.ge/storage/publications/March2021/CgDirUgwHCzrgs824jWA.pdf?fbclid=IwAR2ng38ww1-ZtEvy-PMMHiCB7QCKVhZ8c_am-X8XLWBOD18MXM4pHeuxDR4) – 31-35გვ.
4. ქართულ-ოსური ურთიერთობები და საერთაშორისო ორგანიზაციები. სტუ., თბ., 2022.
5. [https://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Disertaciebi/xatuna\\_burkaze.pdf?fbclid=IwAR0vY87YVP35p-qt0pTjmtC6KmVTnbhhZMn35sdZfZCCwpLF-qa5P\\_PTwp](https://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/xatuna_burkaze.pdf?fbclid=IwAR0vY87YVP35p-qt0pTjmtC6KmVTnbhhZMn35sdZfZCCwpLF-qa5P_PTwp) – 123-124გვ.
6. [https://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Disertaciebi/xatuna\\_burkaze.pdf?fbclid=IwAR0vY87YVP35p-qt0pTjmtC6KmVTnbhhZMn35sdZfZCCwpLF-qa5P\\_PTwp](https://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/xatuna_burkaze.pdf?fbclid=IwAR0vY87YVP35p-qt0pTjmtC6KmVTnbhhZMn35sdZfZCCwpLF-qa5P_PTwp) – 125გვ
7. [https://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Disertaciebi/xatuna\\_burkaze.pdf?fbclid=IwAR0vY87YVP35p-qt0pTjmtC6KmVTnbhhZMn35sdZfZCCwpLF-qa5P\\_PTwp](https://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/xatuna_burkaze.pdf?fbclid=IwAR0vY87YVP35p-qt0pTjmtC6KmVTnbhhZMn35sdZfZCCwpLF-qa5P_PTwp) – 126-130გვ.
8. [https://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Disertaciebi/xatuna\\_burkaze.pdf?fbclid=IwAR0vY87YVP35p-qt0pTjmtC6KmVTnbhhZMn35sdZfZCCwpLF-qa5P\\_PTwp](https://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/xatuna_burkaze.pdf?fbclid=IwAR0vY87YVP35p-qt0pTjmtC6KmVTnbhhZMn35sdZfZCCwpLF-qa5P_PTwp) – 130გვ
9. [https://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Disertaciebi/xatuna\\_burkaze.pdf?fbclid=IwAR0vY87YVP35p-qt0pTjmtC6KmVTnbhhZMn35sdZfZCCwpLF-qa5P\\_PTwp](https://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/xatuna_burkaze.pdf?fbclid=IwAR0vY87YVP35p-qt0pTjmtC6KmVTnbhhZMn35sdZfZCCwpLF-qa5P_PTwp) – 137გვ

 გურამ გვენეტაძე

სტუ, პროფესორი

## ქართული ენის სწავლებისათვის

სტუდენტთა სოციალიზაცია, მათი ჯეროვნად მომზადება პროფესიული საქმიანობისადმი ზუსტად შეესატყვისება ბოლონიის პროცესის სულისკვეთებას. ამიტომაც გავიხადეთ იგი ჩვენი სასწავლო პროცესის ფუნდამენტად. გარდა ამისა, აღნიშნულ საქმიანობას გვავალდებულებს ჩვენი გამალებული სწრაფვა ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირებისათვის. ამიტომაც სრულიად გასაგებია, რომ უკვე დავამკვიდრეთ ახალი სამეცნიერო დარგი კომუნიკოლოგია, რომელსაც მყარი საფუძველი ჩაუყარეს გამოჩენილმა მეცნიერებმა, როგორცაა სტუ პროფესორები: თემურ ჯაგოდნიშვილი, ივანე ჯაგოდნიშვილი, მამუკა შელეგია და სხვ. მათ მიერ გამოცემული წიგნები: „ვერბალური კომუნიკაცია“, „წერიტი და ზეპირი კომუნიკაცია“, „აკადემიური წერა“ თუ სხვა სახელმძღვანელოები ევროპელი და რუსი ტექსტოლოგების ნაშრომებთან წილნაყარია, სადაც ავტორთა კონცეფციები, მიგნებები და ხერხები მაღალმეცნიერულ დონეზე ამკვიდრებენ თანამედროვეობის მოთხოვნებს. ქართული ენის სწავლებაში დიდ ყურადღებას ვაქცევთ მენეჯმენტის ელემენტების მომარჯვებას, როგორცაა ენის განვითარების გზათა დადგენა და მერე მისი მართვა, ენის პრესტიჟის საკითხის გარკვევა, მისი როლის დაზუსტება ეროვნულობის განსაზღვრაში, მართებული ენობრივი პოლიტიკის მოდელის მოძიება და დამკვიდრება.

**საკვანძო სიტყვები:** ბოლონიის პროცესი, სწავლების მეთოდები, აკადემიური წერა, ვერბალური კომუნიკაცია, კომუნიკოლოგია.

უმალესი განათლების სისტემაში მიმდინარე სასწავლო-საგანმანათლებლო თუ სოციალიზაციის, სტუდენტი-ახალგაზრდობის პროფესიული საქმიანობისათვის მზადყოფნის საკითხები, ბოლონიის პროცესთან თავსებადობის გზები სასწავლო პროცესის საფუძველთა საფუძველია.

სწავლების თანამედროვე თეორიების, სწავლების მოტივაციის არსის, ლექტორისა და სტუდენტის ურთიერთობის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების და ინკლუზიური განათლების თავისებურებების მიტანა ჩვენს მომავალ თაობასთან, ჩვენი საქმიანობის განმსაზღვრელი მოტივაციაა.

საგანმანათლებლო-პედაგოგიური სისტემის დღევანდელი მოთხოვნების გათვალისწინებით, სასწავლო-აღმზრდელობით სისტემაზე ესოდენ ყურადღების გამახვილება ევროატლანტიკურ სივრცეში ჩვენმა ინტეგრირებამ, თანამედროვე ცივილიზაციის უმთავრესმა ღირებულებებმა, ინფორმაციისა და კომუნიკაციის საზღვრების უაღრესმა გაფართოებამ განაპირობა.

ბენჯამინ ბლუმისა და მისი კოლეგების მიერ შემუშავებული ნაშრომი „საგანმანათლებლო მიზნების ტაქსონომია“, რომელიც დღევანდელი მოთხოვნებს საოცრად მიესადაგება და პასუხობს, სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფის, მეცნიერული თუ ლოგიკური აზროვნების გამორჩეული გზამკვლევაა. ის მრავალმხრივ უწყობს ხელს სტუდენტი-ახალგაზრდობის უნარ-ჩვევებს საუნივერსიტეტო დისციპლინების უკეთ დაუფლება-ათვისებაში, რაც ჩვენი სასწავლო სისტემის მაგისტრალური ხაზია. ლექციაზე მოსმენილი მასალა ხომ მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება, რაც მიმართულია სტუდენტის დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების, მისი ინდივიდუალური თვისებების გამომჟღავნების, წიგნისა და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი წვდომის სურვილის სრულყოფისათვის.

ყოველივე ზემოხსენებული კი ახალგაზრდობის მზარდი განათლების ანალიზისა და დასკვნების გაკეთების, სტიმულირებისა თუ სრულქმნის შესანიშნავი საშუალებაა.

სასწავლო-შემეცნებით და შემოქმედებითი ხერხების ერთობლიობა, რაც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა, სტუდენტის ინდივიდუალური გამიზნულობა, დამოუკიდებელი მოქმედებისაგან მიღებული შედეგები ყოველთვის ეფექტიანად წარმოჩინდება სწავლებისა თუ პრეზენტაციის პირობებში.

სწავლების მრავალგანზომილებიანი და დინამიკური ხასიათი, მეთოდოლოგიური სრულფასოვნება და მრავალფეროვნება ნაცადი გზაა სასურველი შედეგის მისაღწევად, თუ გავითვალისწინებთ ბრძენთა შეგონებას: „მეცნიერები მოციქულთა მემკვიდრენი არიანო“.

ამისდა კვალობაზე, მომავალი თაობის აღზრდა რადგან ვიტვირთეთ, ვალდებულნიც ვართ, გზა გავუკვლიოთ მათს აზროვნებასა და სულიერი განვითარების ფენომენს.

გასათვალისწინებელია და ყურადსაღები ნ. მარის სიტყვები: „ქართველებს ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ ისინი სხვებზე (ანუ ევროპელებზე) ადრე ეწაფებოდნენ ხოლმე საფილოსოფიო აზრის ყოველს უახლესს მიმართულებას და იმ დროისათვის სამაგალითო სამეცნიერო მეთოდებით აღჭურვილნი პირდაპირ ბერძნული დედნების შესწავლაზე ამყარებდნენ თავიანთ ნაყოფიერ მუშაობას“ [1. 301].

ჩვენ ორიოდ სიტყვით გვსურს შეგახსენოთ საქართველოში ახლად დამკვიდრებული მეცნიერება - კომუნიკოლოგია. ამ დისციპლინის დაფუძნება XIX საუკუნეში მოხდა, მაგრამ მან საოცრად გაშალა ფრთები კომპიუტერული ტექნოლოგიების დამკვიდრებასთან ერთად. მანამდე ეს მეცნიერული მიმართულება პიროვნულ ვიწრო წრეს არ გაცვილებია, მოგვიანებით კი წინამორბედ მეცნიერთა კვალდაკვალ ჩამოყალიბდა. ტექსტზე მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა ბევრ მკვლევარს და მეცნიერულ მიმართულებად - ტექსტოლოგიად ჩამოაყალიბეს კორნელი კეკელიძემ, გიორგი წერეთელმა, აკაკი შანიძემ, გიორგი ახვლედიანმა, პროკლე კეკელიძემ, იუზა ევგენიძემ და სხვებმა, რომელთა მიერ დამკვიდრებული ფილოლოგიური მიმართულება დღეს უმაღლეს რანგშია აყვანილი „წერითი და ზეპირი

კომუნიკაციების“ წიგნის ავტორების თემურ და ივანე ჯაგოდნიშვილების მიერ [2].

კომუნიკოლოგიის - როგორც მეცნიერული მიმართულების - განვითარებაში დიდი წვლილის შემტანია ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი მამუკა შელეგია.

ტექსტზე მუშაობის პრობლემატური საკითხის გამარტივება სწორედ საგანმანათლებლო სივრცეში შემოტანილმა სიახლემ - კომუნიკოლოგიამ - გახადა შესაძლებელი. თუ ადრე - მავანი ავტორის ტექსტზე სუბიექტური შეხედულებების გამომხატველი აზრის შექმნა იყო აუცილებელი, დღეს ტექსტის ლინგვისტიკამ სკოლებში შეაღწია და მან სულ სხვა, გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა.

ჩვენი ღირსეული წინაპრები ინდურ-ტიბეტური კულტურის შესანიშნავი მცოდნენი იყვნენ. ამაზე ძველი ქართული წერილობითი თუ ზეპირგადმოცემები მეტყველებენ. მათ გარკვეულწილად დიდი დადებითი როლი შეასრულეს ქართული კულტურის განვითარებაში.

წარმართობასაც დადებითი როლი აქვს მიკუთვნებული ქართული კულტურის წინსვლა-განვითარებაში. მრავალმერტიანობა და ანიმაციები ხომ ბუნების ამა თუ იმ ძალას და სტიქიონს გამოხატავს. სტიქიონთა მრავალფეროვნება და დინამიკურობა არის ქართული ქორეოგრაფიისა და კულტურის სათავე. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამ დროისათვის განსაკუთრებული ადგილი მნათობთა თაყვანისცემას ეჭირა, რაც ქართველთა ასტრონომიული ცნობიერების სათავედ შეიძლება ჩაითვალოს. ალბათ, შემთხვევითიც არაა, როცა გელათის მონასტერში ქართველებს თავისებური ტელესკოპი ჰქონდათ და ციურ სხეულებსა თუ სხვადასხვა ბუნებრივ მოვლენებზე დაკვირვებას აწარმოებდნენ.

სხვადასხვა ერებთან ურთიერთობა და მრავალმერტიანობა საქართველოს გარესამყაროსთან ურთიერთობის გაღრმავებას უწყობდა ხელს. ხანგრძლივად და ინტენსიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა კულტურათა ურთიერთგამდიდრების პროცესი. სწორედ ამ მხრივ იძლევა მეტად მდიდარ მასალას ქართული ენის ლექსიკური ფონ-

დი, მათ შორის, ქართული ტოპონიმაც, ფოლკლორი და ეთნოგრაფია.

ქრისტიანობამ საქართველოში ბევრ კულტურულ ინიციატივას დაუდო სათავე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი საღვთო წერილისა და ლიტურგიის ქართულ ენაზე ამტკიცებლბაა. ყოველივე ამის დამსახურებაა ქართული ენის გამდიდრება-დახვეწა.

ყოველივე ზემოხსენებულს კი ქრისტიანული მწერლობის წარმოშობა და აღმავლობა მოჰყვა.

გასათვალისწინებელია თვალსაზრისი, რომ ყოველივე ეს ქრისტიანობამდეც არსებობდა, რომ ქართული ანბანი ძვ. წ. III ს-ში მოღვაწე ქართლის პირველი მეფის, ფარნავაზის, კულტურული ნაღვაწის (რეფორმის) ნაყოფია.

ენის სტრუქტურულიდან გამომდინარე, მისი სრულფასოვანი გამოვლენა დინამიკაში ხდება. მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთდამოკიდებულებათა გარკვევა, მათი ცვლილებებისა და განვითარების კანონზომიერებათა დადგენა არის ენათმეცნიერების, კერძოდ კი, საკუთრივ ლინგვისტიკის ძირითადი ამოცანა. აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი ენის გრამატიკული (ლინგვისტური) სტრუქტურის შესწავლა ენის დაუფლების სურვილს გარკვეულწილად აფერხებს კიდევ. სწორედ ამიტომ ეს ასახება ენის უმთავრესი ფუნქციის - კომუნიკაციის - რეალიზებაში.

მეორეა ენის დანიშნულებითი, პრაგმატული მხარე. ენის ამ დანიშნულებითი ასპექტის განსაზღვრა, ენის გამოყენებითი ფუნქციის შესწავლა, ენის კომუნიკაციური ღირებულების გარკვევა, ენის სოციალურ, საზოგადოებრივ პროცესებთან მიმართების, მასზე ამ პროცესების ზეგავლენისა და მის მიერ ამ პროცესების ასახვის კვლევა, ანუ ზოგადად, ენის ჩამოყალიბების, არსებობისა თუ განვითარების სოციალური შეპირობებულობის შესწავლა დაუსახავს მიზნად სოციოლინგვისტიკას [3. 197].

უსაფუძვლოდ არ ამტკიცებდნენ XIX საუკუნის ლინგვისტები, რომ შესაძლებელია, ენის განვითარების ტენდენციის გონივრული წარმართვა. ენა ყოველთვის საჭიროებს გონივრულ ჩარევას. მისი დახვეწი-

სათვის კი სასურველია მართებული ენობრივი პოლიტიკის შემუშავება.

ენათმეცნიერება არა მხოლოდ ენაში არსებულ კანონებს უნდა იკვლევდეს, არამედ აღმოჩენილ კანონთა საფუძველზე წარმართავდეს კიდევ ენის შემდგომი განვითარების გეზს, რადგანაც მეტყველების, ანუ ვერბალური კომუნიკაციის, ხერხი გადამწყვეტ გავლენას ახდენს ენის სუბიექტის მიერ გამოყენებულ მეტყველების წარმოქმნის სტრატეგიებზე.

თანამედროვე სოციოლინგვისტიკის პოზიტიური მონაპოვრები შესაძლებლობას იძლევიან, წარმატებით გადაწყდეს ეს რთული და მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა.

ენობრივი პოლიტიკა ოფიციალური ქმედებაა, რომელიც ცდილობს, ჩაერიოს ნებისმიერი ტიპის ენის ფუნქციონირების სფეროში (მაგალითად, წერის სისტემა, ოფიციალური ენის არჩევა) ან განათლებაში ამ ენების ადგილის საკითხებში, მოქალაქეებმა ან მოქალაქეთა ჯგუფებმა, შესაძლებელია, ნებაყოფლობით გაატარონ ენობრივი პოლიტიკა სახელმწიფო დონეზე ან კერძო სექტორში. ენებზე ზემოქმედებას ადგილი აქვს კონკრეტული სოციალური სიტუაციების ან მოვლენათა კონტექსტში, რომელსაც ის მიეკუთვნება. თუმცა ასეთი ენობრივი პოლიტიკა ეყრდნობა გარკვეულ პრინციპებს.

კანონზომიერია იმის თქმა, რომ ენები ერთნაირები როდია. ეს იდეოლოგია გვასწავლის, რომ ენები არსობრივად არათანაბარია მათი ღირებულების თვალსაზრისით. ეს არათანაბარი მდგომარეობა თავისი წარმომობით ეთნოცენტრულია, რაც აუცილებელს ხდის სხვების მიერ ნალაპარაკევი ენის გაკრიტიკებას ამა თუ იმ კონკრეტული ენისა და ჯგუფის უპირატესობის გასამყარებლად. სხვა ენებიც წარმოდგენილია არასასიამოვნო, რუდიმენტულ ან ძირეულად არასათანადოდ დახვეწილი გამოყენებისათვის, მაგალითად, ლიტერატურული ან მეცნიერული გამონათქვამებისათვის.

ტერმინი „ენებისადმი დამოკიდებულება“ მრავალასპექტიანია. ის მოიცავს კოგნიტურ, ემოციურ ან ქცევით კომპონენტებს. ამგვარად, ენებისადმი დამოკიდებულება ვლინდება ისეთ სფეროებში, როგორცაა შეფასება, ენობრივი უპირატესობა, არჩევის

მიზანშეწონილობა და ამა თუ იმ ენის შესწავლის საფუძველი, იმ სოციალური ჯგუფების შეფასება, რომლებიც იყენებენ ერთ ან რამდენიმე ენას, ბილინგვიზმის ან, თუ წარმოიშობა, ბილინგვური განათლების აუცილებლობა.

ხშირად ზოგიერთი ენა ითვლება უფრო პრესტიჟულად და აქვს უფრო მაღალი სტატუსი. ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა დროში ენა გვევლინება გარკვეული სოციალური ჯგუფის მახასიათებლად. ენის პრესტიჟი მისი კომუნიკაციური თვისება, როგორც ამას პრაქტიკა გვიჩვენებს, დაკავშირებულია არა თვით ენასთან, არამედ სოციალურ კლასსა და მასზე მოლაპარაკეთა სტატუსთან.

ენობრივი საკითხების პოლიტიკური ბუნების გაგებისადმი ზერელე მიდგომა ცვალებად ხასიათს ატარებს სხვადასხვა ქვეყანაში და ყურადღებას იმით ამახვილებს,

რომ მიუხედავად საუკუნეების განმავლობაში მისი არსებობისა, შეგნებული ჩარევა ენებთან დაკავშირებით მხოლოდ ბოლო დროს დამკვიდრდა პოლიტიკისა და სოციოლინგვისტიკის სფეროში. ფაქტია, რომ სოციოლინგვისტიკა ცოდნას აღრმავებს, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია გადაწყვეტილების მიმღებისთვის.

ზოგიერთი ევროპული პოლიტიკური ფილოსოფია გვთავაზობს თეორიას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო, ეროვნება და ენა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული: სახელმწიფო ენა არის ეროვნულობის სიმბოლო და კომპონენტი და, ამასთანავე, მოქალაქეობის განმსაზღვრელი ფაქტორი, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ის მკაფიოდ განისაზღვროს და გამოიყოს სხვა ენობრივი განსხვავებებისაგან, რომლებიც გამოიყენება მოცემულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე.

*GURAM GVENETADZE – GTU, Professor*

## FOR TEACHING THE GEORGIAN LANGUAGE

### Summary

Socialization of students, their thorough preparation for professional work will correspond exactly to the spirit of the Bologna process. That's why we made it the foundation of our training process. In addition, our hidden desire to integrate into the Euro-Atlantic space obligates us to the mentioned activity. That is why it is completely understandable that we have already established a new scientific field of communicology, which was laid a solid foundation by outstanding scientists, such as STU professors: Temur Jagodnishvili, Ivane Jagodnishvili, Mamuka Shelegia and others. The books published by them: "Verbal communication", "Written and oral communication", "Academic writing" and other titles are shared with the works of European and Russian textologists, where the authors' concepts, findings and methods establish modern requirements at a high scientific level.


In teaching the Georgian language, we pay a lot of attention to the management elements, such as determining the ways of language development and then managing it, clarifying the issue of language prestige, clarifying its role in defining nationality, finding and establishing valid language policy models.

**Key words:** *Bologna process, teaching methods, academic writing, verbal communication, communicology.*

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი, ტომი 2, თბ., 1983.
2. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ივ., შელეგია მ., „წერთი და ზეპირი კომუნიკაციები“, თბ., 2017.
3. ჯორბენაძე ბ., დიალექტოლოგია“, თბ., 1989.



 ეთერ თავალანძე  
ეკონომიკის დოქტორი

## დედამიწაზე ქრისტე-სიტყვის, იმავე ქრისტეს მეორედ მოსვლა-მოვლენის შესახებ

დედამიწაზე ქრისტე-სიტყვის, იმავე ქრისტეს მეორედ მოსვლა-მოვლენის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ეკონომიკური მეცნიერული თეორიის თვალსაზრისით კვლევაში ჩვენი 30-წლიანი მუშაობის შედეგები ასეთია:

გამოკვეთილია ასტრო-ფიზიკური სოციალურ-მეცნიერული რეალობები:

**პირველი:**

1. მზის სამყაროდან, გონის თვითგანვითარების, კანონის თაობაზე ინფორმაცია დედამიწაზე პირველად დაიბეჭდა საქართველოში სასძლო ქვეყანაში; - დაიბეჭდა გაზეთში „საავალ-დასავალი“, სათაურით - „წიგნი, რომელიც არავის წაუკითხავს“, 1995.01.09; ასეთი ინფორმაცია-მინიშნება ამ გაზეთში, სასძლო კაცის, ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის - აკაკი ჯორჯაძის - განაცხადის მიხედვით დაიბეჭდა. ასე დაფიქსირდა და გავრცელდა ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანული წელთაღრიცხვის მე-3 ათასწლეულის დაწყების ჟამი; ეს დრო-ჰჟამი ასტრო-ფიზიკურ სივრცეში, დროის ერთეულის „მერწყულის“ ერას - აღრიცხვის დაწყების ჟამიც არის; ხოლო ამ ორი ჟამის ერთეულებს შორის ფარდობაც 1:1000-ის ტოლია;

დედამიწაზე დროის მსვლელობასი მზის სინათლისა თუ სითბური ენერგიების ძალთა (დადებითი და უარყოფითი, უხილავი ძალებსშორისი თანხვედრა, არის რა ამ ორი ძალის ურთიერთგაწონასწორება-განეიტრალების გამომწვევი ძალა, ხსენებული თანხვედრა (რომლითაც, აღნიშნული, ზომის ერთეულებსშორისი თანაფარდობის და, ერთდროულად, დედამიწაზე, სწორედ ამ ორ (დადებითი, უარყოფითი) სულიერ ძალთა განეიტრალიზების დაფიქსირების ძალაც არის, მზის სამყაროში დედამიწის ბრუნვის რიტმულობის, სოც-კანონზომიერების „ლაზარეს“ მოთხოვნების, იგივე, უზენაესი გონის თვითგანვითარების 2000-წლიანი ეტაპობრივი მისიის (ბუნების დაცვა), აღსრულების გამომხატველიცაა; ეს სოციალური რეალობა-პროცესი, ჩვენს პლანეტაზე, არის ვთქვათ, ადამის დაბადებიდან ან/და უფრო სწორად - ქრისტეს პირველად სასწაულებრივად მოსვლის ჟამიდან, უწყვეტად მიმდინარე დრო ჩვენს პლანეტაზე (იხ.: ე. თ. ჟ. „საისტორიო ვერტიკალები“, #34, გვ. 192, დანართი 2, 2016 წ.).

2. ზემოხსენებული, 2000-წლიანი მისიონერული კანონზომიერების „ლაზარეს“ სოციალური მოთხოვნები, რომლებიც დედამიწაზე პირველად, სასძლო ქვეყანაში - საქართველოში გაცხადდა, არის ახალი დროის „მერწყულის“ ერასი და, ერთდროულად ქრისტიანული წელთაღრიცხვის მე-3 ორიათასწლეულის, საქართველოს (სასძლო ქვეყანა) მოსახლეობაზე და, ცხადია, ასევე მსოფლიო მოსახლეობის თაობებზე გათვლილი ინფორმაცია; იგი, როგორც სიახლე, ჯერ ჩვენი ერის მხრიდან გაცნობიერება-დანერგვას ექვემდებარება; ამასთან, ზემო-ხსენებული, ორ უხილავ ძალთა შორის განეიტრალიზება, ჩვენს პლანეტაზე სასიცოცხლო პირობების დაკარგვის საფრთხეა; სწორედ ამ საფრთხის ასაცილებლად კანონზომიერება „ლაზარე“-ს მოთხოვნების სახით, სასწაულებრივად (ანომალურად), ემცნო, თვითონ სასძლო კაცს, ქრისტე-სიტყვა უკვე თავისი „ზღვა მასალით“ - ემცნო სასძლო კაცსა, ის ასტრო-ფიზიკური სოც.მეცნიერული მოთხოვნა, რომ ქვეყნის ზრდასრული მოსახლეობის უმრავლესობის მხრიდან, თავისი ქვეყნის მისიონერობის გაზიარებაზე ურთიერთშეთანხმებულად, მოქალაქე - ვინის პირადი ხელმოწერებით, სიებში - „სიცოცხლის წიგნისათვის“ უნდა დააფიქსირონ, რომ მოეთხოვებათ მისი დაფიქსირება, სამყაროს უზენაესი გონის თვითგანვითარების კანონის სოციალური კანონზომიერების „ლაზარეს“ მოთხოვნების მიხედვით (ეს მოთხოვნები „პ/გ „მძლეველის“ პროგრამითაა შესრულებული).

3. ზემოაღნიშნული ასტრო-ფიზიკური სისტემური „ჯაჭვი“ (არსი) დედამიწაზე უსასრულო, უხილავი და, ჭეშმარიტი დროისა, ვინი-კაცობრიობამ შეიცნო; მან იგი (დრო) შეიცნო დედამიწაზე ქვეყნების ტერიტორიულ სივრცეებში, ეროვნულ-საზოგადოებრივად ორგანიზებული ბაზაზე, თვითშემოქმედების რესურსად; მეტიც, - შეიცნო მან ის - ბუნებრივ სასიცოცხლო პირობად; იგი გაუფრთხილდა დროს და გამოიყენა კიდევაც; მისი გამოყენების მრავალათასწლიანმა პრაქტიკამ, ქვეყანაში ეროვნულ-საზოგადოებრივი თვითგანვითარების პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორია-პრაქტიკის სისტემურობის სოციალურ-მეცნიერული დანიშნულება, რომ ამგვარი სისტემურობის დანიშნულება არის რა მსოფლიო ეკონომიკაში დემოკრატიულობის ზღვრული დონის -  $K > 1$ -ის ამაღლებაზე ვინის აზროვნების ორიენტირება, და - დააწინაურა ეს საქმიანობა, რათა ასეთი ორიენტირით ეს პრაქტიკა მსოფლიომ გაიზიაროს!

4. ქვეყანაში, ეროს მშობლიური ენის შემოქმედება-განვითარება, ამ ქვეყნის გეოგრაფიულ გარემო-სივრცეს ეფუძნება; ბიბლიური ცნობიერებით, ლაზარე ქრისტეს მამის გვარია; ქრისტეს დების - მართასი და მარიამის, ცნობილი დიალოგი გვამცნობს, რომ მაშინ (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ლაზარე იყო ოთხი დღის (ანუ ოთხი წლის) დამარხული ანუ ირკვევა ის, რომ  $(4000 + 2000 = ) 6000$  წლის ისტორია ქართველმა ერმა, კავკასიაში გამოიარა; უფრო კონკრეტულად: ეს ისტორია, ლაზარე-ენის კანონისა (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), რომელიც 34 ასო-ნიშანსა და ამდენსავე ბგერით ნიშნებს მოიცავს, აღდგენილია დღევანდელს საქართველოში; ახსნილია გრაფიკული თუ სქემატური ტექნიკურ-მეცნიერული პოზიციიდან ლაზარე-ენის კანონის, ასტრო-ფიზიკურ კანონებთან თუ მოვლენებთან შესაბამისობა; ახსნილია და, თვალსაჩინოდაა წარმოჩინებული ეს ელფერი, სასძლო კაცის, ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ბ-ნი აკაკი ჯორჯაძის ღვაწლითა და მადლით (ცხადია, სამწუხაროა, რომ „ეს დიდებული ადამიანი აწ უკვე გადაცვლილია).

მოკლედ, განვლილი ქართული ეროვნულ-საზოგადოებრივი პრაქტიკა, რომელიც მოიცავს საქართველოში მე-20 საუკუნეში „საბჭოთა სოციალისტური კავშირის“ 70-წლიან გამოცდილებას და, რომელიც მსოფლიო მოსახლეობაში „სტალინური კონსტიტუციის“ სახელითაა ცნობილი ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემურობით განაგრძობს საქმიანობას დედამიწაზე ასე განახლებულად - კვლავ სასძლო საქართველოდან;

ანუ, საქართველოში წარმოებითი და შრომითი ურთიერთობების ორგანიზება-მართვა მშობლიური ეროვნული ენის - ლაზარე-ენის კანონის ბაზაზე ოდითგან ჰქმნის და, ამჯერადაც, უკვე ახლებურად განაგრძობს თავის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში თვითშემოქმედებას; ხოლო ეს სივრცე ანუ საქართველო, გახდება დამწყები - აქტორი დედამიწაზე, ვინის აზროვნება-გონის კეთილგონიერების, ახალი 2000-წლიანი ეტაპობრივი დონის, იგივე დემოკრატიულობის საერთო-საკაცობრიო ზღვრული დონის ( $K > 1$ ) გადალახვის ( $K > 0,5$ -დან  $K > 0,6$ -მდე ამაღლების) მისიის დამღვევში.

5. ადამის გენისა და გონის თვითგანვითარების ადგილი - ტერიტორიული სივრცე, დედამიწაზე ოდითგან დროში განუწყვეტლივად ჰქმნის დედამიწაზე ქართველი ერის, ამ ვინი სოციუმისა და მამასადამე, ყველა ერისა და ასავე მთლიანი კაცობრიობაც იქმნის თავის-თავის ვინაობა-წარმომავლობას, იქმნის, თუნდაც ადამის ხანიდან ანუ დრო-ხანის განმავლობაში იქმნიან ერებიც ამ უკანასკნელის, ამ ეტაპზე გახანგრძლივებაც, როგორც ჩანს, ყოფილი ოდითგან / და, არის, უდავოდ, თანამედროვე ადამიანური ღირსების თანამემოქმედი ვინი! ანუ ცხადი ის რეალობა, რომ დედამიწაზე, ადამიანური ანუ კეთილი გონის განვითარება (წარმოება-კვლავწარმოება) დაფუძნებულია, თვითონ ადამის სოციალურ ბუნებაზე, თვითშეგნებაზე, იგივე მისი მამის გვარის გენისა და გონის განვითარებაზე; ეს საქმიანობა მოიცავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას; ასე ვიტყვოდი, ვინის გონის წარმოება-კვლავწარმოება არის ადგილობრივი ფიზ/გეოგრაფიული და საერთო/საკაცობრიო ანუ სოც/მეცნიერული პოზიციიდან. ორგანიზებადი, ახლებური პოლიტ/ეკონომიკა, რომლითაც ვინი-სუბიექტის მხრიდან, პასუხისმგებლობა ვინი-სუბიექტისა ქვეყანაში, საერთო-საკაცობრიო ზღვრულ-

ლი დემოკრატიულობის დავის თვალსაზრისით, მზის სამყაროში, უზენაესი გონის თვითგანვითარების მოვალეობა-მიზანია (-უზენაესი გონის განსაზღვრულობა).

6. სოციალურ-მეცნიერული, მშვიდობიანი საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკური თვითგანვითარების თეორია-პრაქტიკის სისტემურობა, ვინი - სოციუმის პიროვნული ინტერესების, საკუთრივ, შრომისუნარიანი ვინის დასაქმებას მოიცავს; ამას, ცხადია, ვერ შეცვლის, ე.წ. „სოციალური დახმარება“; პირიქითაა, კი; - იქმნება დიდწილად ფულის გაფეტიშების, კაპიტალიზმის სტაბილიზაციის, კერძო საკუთრების პოპულარუზაციის ტენდენციები და მდგომარეობაც; სახეზეა ვინის ღირსების დაცვის, მათზე სოციალურ-მეცნიერული, ეროვნული თუ საერთაშორისო მოთხოვნების, მშვიდობიანი, საერთაშორისო თანასწორუფლებიანი თანაცხოვრების აუცილებლობა; ამ უკანასკნელის გარანტი კი (რაც, თავისთავად, არის დედამიწაზე სრულწლოვანი ვინი-მამაკაცის ეროვნული გვარების მიხედვით, სისხლის წარმოება-კვლავწარმოების მისიის აღმსრულებლობის ერთადერთი გზა), გულისხმობს, ეროვნული გვარის სისხლის კოდისა (გენი) და, ამასთან - მშობლიური ეროვნული ენის ფლობას, რამეთუ, ცხადია, მათი ფლობა-დაცვა, რაც თავისთავად, ფუნდამენტურს ეროვნულ-საზოგადოებრივ-მეცნიერული თეორიების ურთიერთშესაბამისობას ტერიტორიულ სივრცეში, კაცობრიობის ერთსულოვნების ორგანიზებას მოითხოვს, ააშკარავებს დროს, როგორც სწორედ, გარდაუვალ წინაპირობას, მამისეული სისხლის კოდისა და მამის გვარის, იგივე, ვინის ვინაობის შენარჩუნების ან/და კიდევ მისი, როგორც ქვეყანაში ვინის ვინაობჯის დაცვისათვის; ვინის კეთილგონივრული ბუნების (თვისება, ხასიათი, ინტერესი) გამოხატულებების, მისი როგორც იურიდიულ-სამართლებრივად აღრიცხვა-პასუხისმგებლობის პირის, მეტადრე კი, მამაკაცური გენის, ეროვნული გვარების კოდით თვითგანვითარების, იგივე სოციალურ-მისიონერული სამსახურის რეალიზებისათვის; ეს სამსახური, დასაბამიდად, დროში განუწყვეტლივად განვითარებადი ერთსულოვნება-სიამტკბილობით, ერების, თავიანთ ქვეყანა-სივრცეებში, ერის პოლიტიკურ-ეკონომიკური თვითგანვითარების საქმიანობაა; იგი, როგორც ეროვნული მიზანი, უპირისპირდება ხსენებულ პოლარიზაციისა თუ, ზოგადად მატერიალიზმის, მეტადრე - კაპიტალის, ფინანსებისა და ფულის „ყოვლისშემძლეობის“ იდეოლოგიას; შესაბამისად, ასე თუ ვიტყვი, კაპიტალიზმმა „დააქვეითა“ თვით ვინი-სოციუმის საზოგადოებრივი ღირსება; მან, დღეს, როცა მსოფლიო სივრცეში იმპერიალიზმი დასაძლევია, ეროვნული თვითგანვითარების მიზანიც კი, ომების, კაცობრიობის თვითგანადგურების - მიზეზად აქცია!

7. ზემოხსენებული სოციალური პროცესები დედამიწიდან, ასტრო-ფიზიკურ სივრცეში, თვისებრივად ანუ ზოგადი ფიზიკის კანონის, მაგნიტური გამოწვევის ბაზაზე აისახება; ვინისეული ანტისაზოგადოებრივი საქმიანობის შედეგები კი, თავისთავადაა ქვეყნის სახელმწიფოებრივ ანგარიშგებაში ანტი-ეროვნული იგივე ანტი-პოლიტიკური ეკონომიკურ-მეცნიერული თეორიის რეალიზება; პარალელურად, ქართული ენის (ლაზარე-ენა) კანონის (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი) შესაბამისად, როგორც ამას თავად ქრისტე-სიტყვა გვამცნობს, თვითონ მზის სინათლის სიჩქარით, ასო-ბგერებისა და ასო-ნიშნების, მზის სხივებთან მიზიდულობის ძალის ზეგავლენით, უკვე გახდა ხსენებული, ანტი-პოლიტიკის შესახებ მაცნეც კი ასტრო-ფიზიკურ სივრცეში; ეს უკანასკნელი საქმე კი, თავისთავად, არის, ცხადია, ვინის-მიერი მაღლი, ახალი ტექნიკურ-მეცნიერული აღმოჩენებისა, ანუ იგი (ლაზარე ენა) თავისი ბგერების ნიშნებისა თუ ასო-ნიშნების, მზის სხივებთან მიზიდულობის ძალის გავლენით, ასრულებს უკვე მზის სინათლის სიჩქარით, უშუალო „ინფორმატორის“ ფუნქციას სამყარო-სივრცეში, თავად, ლაზარე-ენის სამშობლო ქვეყნიდან. მეტიც! ქრისტე-სიტყვის მცნება დედამიწაზე, ის ახალი ინფორმაცია, რომ ხსენებული ანტი-პოლიტიკური შედეგების სახით, ჩვენს მშობლიურ ქვეყნებში, ამომრჩეველთა უმრავლესობის ხმებად, სახელმწიფოებრივ აღრიცხვა-ანგარიშგებაში, ამ გაყალბებული ციფრებით დაფიქსირება, იწვევს სტიქიურ, ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს ჩვენს ქვეყნებში (იხ. გაზ.: „სინათლე“, #48, 2005 წ. ე.თ. ჟ. „ეკონომიკა“, #4 და #9, 2004 წ.).

8. სამყარო-სივრცეში ჩვენი პლანეტის გაწონასწორებულობა, ზოგადი ფიზიკის კანონით, დროში უწყვეტად ბრუნვას განსაზღვრავს; ეს კი დედამიწის მოსახლეობის სოციალურ-მეცნიერული კანონზომიერების „ლაზარეს“ (პირობითი სახელი) მოთხოვნებია; ეს უკანასკნელიც, თავის მხრივ, დედამიწის ერთიანობა-მთლიანობისა და სულიერ-მატერიალური თვითგანვითარება-თვითმყოფადობის საქმიანობის, წინასწარ ახალ 2000-წლიან ეტაპზე გახანგრძლივების თაობაზე, მისიონერულ-ეროვნული პასუხისმგებლობის, თვით, ამ მოსახლეობაში ურთიერთშეთანხმებულად, გარანტირებას მოიცავს; მთელი ეს საქმიანობა, რომელიც ოდითგანვე მსოფლიო მოსახლეობის ქვეყნების მიხედვით დეცენტრალიზებული აღრიცხვის საგანია, როგორც ირკვევა, ახალს „მერწყულის“ ერაშიც ასევე გაგარძელდება; ჩვენი აზრით, მსოფლიოში ზრდასრული თაობების მოსახლეობის აღრიცხვის დეცენტრალიზაციას ქვეყანა-სახელმწიფოებში, ოდითგან არსებული, მათს პოლიტიკურ სტრუქტურებში, შესაბამისი სამსახურები, უკვე ახალი „მოქალაქე-სოციუმის“ სტატუსის შემოდებით გააგრძელებენ; ხოლო ეს სამსახურები, ინტერნაციონალური ინფორმაციული წყაროებიდან გამომდინარე დაეუფლებიან დანარჩენი ყველა ქვეყნის, საინტერესო საინფორმაციო ანალიტიკურ მასალებს, იმისათვის, რომ დედამიწაზე მსოფლიო სოც-ეკონომიკურ სივრცესთან, მოცემული, კონკრეტული ქვეყნის ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობით, მიზნობრივად „შეიკრას“;

9. ქვეყანაში მოსახლეობის პატრიოტულ ანუ მშობლიური, იგივე ადამის გენის კვლავ-წარმოება, თუნდაც ზემოხსენებული ახალი მოტივაციას, ცხადია, არის საზოგადოება-სოციუმის აზროვნების, ეროვნულ-ტერიტორიული სივრცე-სისტემის შემოქმედებაზე ორიენტირება; იგი, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტ/ეკონომიკური თეორია-პრაქტიკის ერთიანობა - აქტორი, დაეფუძნება და, ცხადია, მიზნად დაისახავს ჩვენს პლანეტაზე უპირველესად და პრიორიტეტულად, სწორედ ვინი-სოციუმის აზროვნება-გონის განვითარებას დედამიწის ერთიანობა-მთლიანობის მრავალჯამიერ შენარჩუნებას; დაეშურება მოზარდი თაობების ვინი-სუბიექტად აღზრდა-ჩამოყალიბებას, ამ თაობებში კაცთმოყვარული, იგივე ადამიანური სულისკვეთების, თვისებების, ხასიათების დამკვიდრებას, უკვე მსოფლიო სოციალ-პოლიტ-ეკონომიკაში ეს, იმისათვის, რათა პლანეტაზე ვინისეული მისია მსახურობდეს და იცავდეს მშობლიური გვარის კეთილგონიერებას; ამისათვის, არის ქრისტე-სიტყვაში წარმოჩინებული გასული, „ვერძისა“ და „თევზების“ ერას თაობების - მოსესი, იესო - 1-ის თაობებისა და, პარალელურად, ახალი ცნობიერების - ქრისტე-სიტყვის (სასძლო კაცის - ქართველი მწერლისა და საზ. მოღვაწის აკაკი ჯორჯაძის მიერ გაცხადებული), ცნობიერებათა კეთილგონიერების მიზანმიმართული დინამიურობა; თავისთავად ასეთი დინამიურობით ადასტურებს კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი გვარებისა თუ სახელების ისტორიულ და სოციალურ-მეცნიერულ ლოგიკურობას, გვიდასტურებენ თავად ამ „ზღვა მასალის“ ისტორიულ-მეცნიერულ საფუძვლიანობას (იხ. ე. თ. ჟ. „საისტორიო ვერტიკალები“, #47-48, გვ. 346, 2021);

10. მშობლიური ეროვნული გვარის მოდგმა-თაობების ერთსულოვნების, დედამიწის ზედაპირულ სივრცეში, ქვეყნების მიმდებარეობის თანმიმდევრულობით, ბუნების ძალებით (მზე, სითბო, ჰაერი), სასიცოცხლო პირობებით, სამყარო-სივრციდან, ზოგადი ფიზიკის კანონის სოც-მეცნიერული კანონზომიერების - „ლაზარეს“ მოთხოვნებზე ორიენტირება-ორგანიზება არის ვინისეული საქმიანობა; ამგვარი პრაქტიკა\*გამოცდილება დასაბუთებული ისტორიული, სოციალურ-მეცნიერული „ზღვა მასალა“ ქრისტე-სიტყვაში გადმოცემული; ანუ, ქრისტე-სუტყვა არის მაცნე ახალი ცნობიერებისა, კაცობრიობის ახალი თუ მომავალი თაობების სოციალურ-დემოკრატიული, ეროვნული ეკონომიკურ-პოლიტიკურ-მეცნიერული თეორიის ამგვარი სულიერი (არამატერიალური) სიმდიდრის (კეთილგონიერება) ფლობის საერთო. საკაცობრიო ეროვნულ-საზოგადოებრივი თვითმყოფადობა-რეალობა იგი!

11. ზემოხსენებული დინამიურობა, თავისთავად, როგორც ადამიანური ბუნების (სული) უწყვეტობა-პასუხისმგებლობა-მისიის გათავისების გამოხატულება, დღევანდელ საქართველოში (3-მილიონიანი მოსახლეობიდან), 1907 ათასი სრულწლოვანი მოქალაქის ხელმოწერით, სიებში „სიცოცხლის წიგნისათვის“ ოფიციალურად არის დადასტურებულ-დაფიქსირებული ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკური ნება (იხ.: 1) გაზ.: „სრ. საქართ-

ველოს ხსნის ეროვნული ფრონტი“, #1, 2022 წ. „სრ. საქართველოს ეროვნული ყრილობის დადგენილება“ (2014 წ. 16 ნოემბრიდან, 2) გაზ. „მძლეველი“ 3, 14, ე. თ. სტატია „საქართველოში გაცხადებული ქრისტე-სიტყვის ფსიქ. და სოც. ფორმების შესახებ“).

ზემოთ ხსენებული დემოკრატიული ნებით, ცხადია, დასტურდება ჩვენს ქვეყანაში „პ/გ „მძლეველის“ პროგრამის“ მომხრე ამომარჩეველთა ნების დემოკრატიულობა. ამითი, მორიგი, 2024 წლის სახელმწიფო-სახელისუფლებო, საარჩევნო კომპანიაში, „პ/გ „მძლეველის“ პროგრამის“ დაწინაურების სოციალურ-დემოკრატიული სამართლიანობა, ცხადია, გამოიკვეთება და რაოდენ სამწუხაროა, ის რეალობა, რომ ხსენებული „პ/გ „მძლეველის“ პროგრამის“ საერთოდ მივიწყებულია, ქვეყნის სახ/საარჩევნო კომისიისა თუ ზოგადად, პ/გ „ქართული ოცნების“ საქმიანობებიდან; შესაბამისად, სხვანაირად ვერ ვიტყვით, განწირულია ჩვენი სახ. ხელისუფლების მხრიდან, ჩვენი დედამიწაც, კაცობრიობაც და მშობლიური ერიც, სიცოცხლის დასრულებისათვის, მთლიანად, ჩვენს პლანეტას. ამას კი, როგორც ზემოთ (პუნქტი 1) ითქვა, განაპირობებს ჟამთა თანხვედრა დედამიწაზე.

ცხადია, საკითხავია „პ/გ „მძლეველის“ პროგრამა, რომელსაც მიზეზთა გამო, ტაბუ დაედო, ჯერ კიდევ საქართველოს მეორე პრეზიდენტის ედ. შევარდნაძის მიერ და, რმელიც დღეისათვის, ქვეყანაში დემოკრატიული ქმედების გამოსწორებას - ჩვენი - ერის დიდი უმრავლესობა მოვითხოვთ, ხსენებული ტაბუს მოხსნის საქმეზე, პ/გ „ქართული ოცნების“ კანცელარიას, საგულისხმოა, ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის დრო, ნება და შესაძლებლობის მოძიება, ცხადია, ძალუძს და, უდავოდ უნდა შეძლოს; რამეთუ ხსენებული მოთხოვნა ემყარება მსოფლიო დემოკრატიის უმთავრეს პრინციპს „ხალხის (ერის) ნება უზენაესია“; ხოლო ეს უკანასკნელი, ასტრო-ფიზიკური სივრციდან დედამიწაზე, ვინისეული კეთილგონიერებით ორგანიზება-მართვას ექვემდებარება ანუ სასძლო ქვეყანაში ხსენებული ტაბუს ამსახველი საბუთის გაუჩინარების მიზეზი იყო, სავარაუდოდ პიროვნული ან/და სხვა რამეც, მაგრამ ის, რომ სასძლო ერი ზოგადსაკაცობრიო მისიას თაოსნობს, ასეც იქნება, (იხ. გაზ. „სს. ხსნის ეროვნული ფრონტი“, #1, ივნისი, 2022, გვ. 2).

#### **მეორე:**

ეროვნულ-საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორია, როგორც სისხლის (გენის) სამართალზე დაფუძნებული სოციალურ-მეცნიერული პრაქტიკა წარმოაჩენს და, კიდევაც ადასტურებს თავად ქრისტე-სიტყვის, როგორც ახალი სოციალურ-მეცნიერული რეალობის მაცნეს, თანამედროვე კაცობრიობის თაობებისათვის; ეს ახალი სოციალური რეალობაც, საქართველოში, სასძლო ქვეყანაში, არის იგივე ჟამი, როდესაც სწორედ „მერწყულის“ ერაში და ქრისტიანული წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის ჟამთ - დედამიწის სივრცეში თანხვედრის ჟამიც არის! ეს კი, როგორც ეს დასაწყისში (პუნქტი 1) ითქვა, დედამიწაზე სიცოცხლის მუდმივად შენარჩუნების საწინდრად, სასძლო ერისაგან, დადებით სულიერი ძალის სალდოს მუდმივ შენარჩუნებას (დაზღვევას) მოითხოვს.

მსოფლიო სოციალურ-მეცნიერული ანუ სულიერი ერთიეობის დაცემა-შენარჩუნებისათვის თავად დემოკრატიულობის საერთო-საკაცობრიო ზღვრული დონის ( $K>1$ ) ბაზაზე, სოციალურ-პოლიტიკური სივრცის შემოქმედება ამგვარი სივრცეების, შრომითი პროფესიულობა-სპეციალიზება-ორგანიზებას მოიცავს. ეს პოლიტიკა, შრომის კულტურის ამალღების კვალობაზე ჰქმნის ვინი-პიროვნების ღირსების ამალღების, შესაბამისად, სიყალბისა და სიჭრუის მოშლის, საზოგადოებრიობაში, მამაკაცის, დედაკაცის თვითმეგნების ამალღების გზას, სულიერ მოთხოვნილებას ქმნის;

თანამედროვე მსოფლიო სოც/დემოკრატიული საზოგადოებრივი პოლიტ/ეკონომიკური მეცნიერებიდან ლოგიკა ვინი-სუბიექტის თვითშემოქმედების თვალსაზრისით, პრაქტიკულად იგნორირებულია; ქვეყანაში, წარმოების საშუალება ზეპოლარიზებული კერძო მესაკუთრეობით ან თუნდაც ერთაშორის ომში მხარეების სამხედრო იარაღით „დახმარებით“ ცხადია, შეურაცხყოფილია ადამიანური ღირსება - ადამიანური მორალის რაობა; გაუფასურებულ-დავიწყებულია ეს ფასეულობები; პარალელურად, შემოთავაზებულია კი, გული, კაპი-

ტალი; ანუ უსულო სხეული; იგი დაწინაურდა დედამიწაზე და, ლამისაა, ქვეყნის პოლიტიკური ხელისუფლებიდან მოითხოვება ადამიანური სისხლის წარმოება-კვლავწარმოების ბიოლოგიურ-მეცნიერული ე.ი. სოციალურ-მეცნიერული კანონზომიერების - „ლაზარეს“ გაუქმება. (იხ.: 1) ე. თ. „უზენაესი გონის თვითგანვითარების კანონი...“, ჟ. „საისტორიო ვერტიკალები“, #40, 2017, გვ. 101-135; 2( სიონის ბრძენთა კრებების ოქმები, გაზ. „მძლეველი“, #59, 2005 წ.),

როგორც ირკვევა კაპიტალისტური საზ/ეკონომიკური ფორმაცია შეუძლებელს ხდის ვინი-თაობების თვითგანვითარების, ახლებური, სოციალურ-დემოკრატიული თეორია-იდეოლოგიის შემოქმედება-რეალიზებას; შესაბამისად, ეროვნული მამისეული გვარის სისხლის კოდისა და, ერთდროულად მშობლიური გვარისა და ენის დაცვის სივრცე მამულეთია!

მიგვაჩნია, რომ ზემოხსენებულ ახალს, სოციალურ-მეცნიერულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ თეორიას დაერქმევა „გონის თვითგანვითარების სოციალურ-პოლიტიკური, ეროვნულ-საზოგადოებრივ-ეკონომიკურ-მეცნიერული თეორია“; ეს, უდავოდ, არის მატერიალისტური და, მეტადრე მონოპოლისტური წარმოებითი ურთიერთობების ფორმაციათა მოძველების აღიარებაც!

### მესამე:

საყურადღებოა ახალი - ანომალიური სოციალური რეალობა:

ა) სასძლო ქვეყანაში, ობიექტურად - ასტრო-ფიზიკური გონის თვითანვითარების კანონის სოციალურ-მეცნიერული კანონზომიერებას, ჩვენ, სასძლო კაცთან, ქართველ მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან ბატონ აკაკი ჯორჯაძესთან შეთანხმებით, დავარქვით პირობითი სახელი - „ლაზარე“, რომელიც ქართული ენის სახელია; ამ ენის კანონი, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, მისია, ასტრო-ფიზიკურ-მეცნიერულ მოთხოვნილებებთან, საზოგადოებრივ, ასევე ტექნიკურ-მეცნიერული თუ ასტრო-ფიზიკური მეცნიერული, პოზიციებიდან, ახსნილ-წარმოჩინებულია თავად სასძლო კაცის ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ბ-ნი აკაკი ჯორჯაძის დამსახურებით; სწორედ ქრისტე-სიტყვის, „ზღვა მასალის“ სახით (იხ. გაზეთი „მეტი სინათლე“, #48 და #49 2005 წ., ე. თ. ჟ. „საისტორიო ვერტიკალები“, 338, გვ. 112-დან; ასევე, გაზეთები: „მძლეველი“, „ახალი იერუსალიმი“, „ეროვნული ფრონტი“).

ბ) სასძლო კაცმა, ბ-მა აკაკი ჯორჯაძემ გაავრცელა ახალი სოციალურ-მეცნიერული დანიშნულების ინფორმაცია, გაზეთიდან „სავალ-დასავალი“, 09.01.1995 წ.. ამ დიდებულმა ადამიანმა (სამწუხაროდ, აწ გარდაცვლილმა), გაავრცელა სასძლო ქვეყანაში, საკაცობრიო ისტორიისა თუ მომავლის ამსახველი, სასიცოცხლოდ საჭირო, დროული ინფორმაცია, გაავრცელა მან იგი, თავად ახალი დროის (არსი) სახელით. მან ამეტყველა, თავად დრო, ერისა თუ კაცობრიობის მიერ საკუთარი სასიცოცხლო მისიის გააზრება-გაცნობიერების, „მერწყულის“ ერაში, დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნების საქმეში, ქართველის, სასძლო ერის - სოციალური მისიის, გააზრება-შემეცნების გზა, წარმოაჩინა სიტყვა-ცნობიერება, როგორც გაცნობიერებისა თუ რწმუნების საგანი; დაგვანახა, თავად ეს გზა, როგორც დედამიწისაგან კატასტროფის აცილების ერთადერთი გზა, ანუ წარმოაჩინა მან ეს ცნობიერება, როგორც თავისი ერის, ერებისა და კაცობრიობის გადარჩენის გზად; ამასთან, მიგვაჩნია, რომ მწერალმა თავისი ამგვარი წადილის, ასეთი ფორმით გამოხატვითაც კი, თავად პატრიოტული სულისკვეთებაც დააფიქსირა!

გ) სასიცოცხლო პირობები დედამიწაზე (მიწა, წყალი, ჰაერი) არის ვინი-საზოგადოებისათვის, ასევე, ადგილობრივი ფლორა-ფაუნასათვისაც, საარსებო საშუალება; ამასთან, იგი ვინი-საზოგადოებისათვის არის ასევე სამარადქამოდ შენარჩუნების საგანიც; ეს საქმე მოითხოვს ვინის წინდახედულება-შორსმხედველობა-გამჭრიახობის, საზოგადოებრივ-პიროვნულ მოვალეობას;

დ) ბუნების დაცვა დედამიწაზე, ქართული, იგივე ლაზარე-ენის კანონის (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი) მიხედვით შედგენილ-წარმოებულ, ქართულ წინადადებაში წარმოაჩენს, სწორედ ადამიანური გონის (ნება, უნარი, ჩვევა, თვისება, ხასიათი) ე.ი. ვინის სწრაფ-

ვას კეთილგონიერებისაკენ; ხოლო ამგვარი სწრაფვა-საქმიანობით, ვინი-სუბიექტი, საზოგადოებრივ-მეცნიერული ფუნდამენტური დარგების (ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა) მეცნიერებათა საზოგადოებრივ-მეცნიერული თეორიების დაცვა-დამკვიდრებას, საკუთრივ, სოციალურ-მეცნიერულ ლოგიკურობას, თვით სიტყვის ბრუნვის ნიშნებით გამოხატვით წინადადებაში;

ე) სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიის ანუ ქრისტე-სიტყვის შესაბამისად, ზემოხსენებული სოციალური კანონზომიერების - „ლაზარეს“ მოთხოვნით, დედამიწის ქვეყნების ეროვნულ-საზოგადოებრივი თვითგანვითარების საშუალო-საკაცობრიო დემოკრატიულობის ზღვრული დონის  $K > 0,6$ -ის გადალახვის მისიის აღსრულების ვადა სასძლო ქვეყანაში, დამდეგი ქრისტიანული წელთაღრიცხვის მე-3-4 2000-წლეულის დასრულებაა, ეს კოეფიციენტი, რომელიც დღეისათვის მხოლოდ 0,5-ია, ახალი - „მერწყულის“ ერას დასრულების ჟამს კი, სულ მცირე, 0,6-ზე მეტი უნდა იყოს;

ასე რომ, დედამიწაზე საერთო-საკაცობრიო, ზღვრული დემოკრატიულობის დონის, 2000-წლიანი ეტაპობრიობით ამაღლების ტენდენციების, სულ მცირე 10%-ით ზრდა არის უზენაესი გონის თვითგანვითარების კანონის კანონზომიერების „ლაზარეს“ მოთხოვნა; ეს უკანასკნელი კი, როგორც ასეთი ანუ როგორც სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ-მენციერული თეორია იდეოლოგიაცაა;

ზემოხსენებული თეორია, ჩენი აზრით, სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ-მეცნიერული, ასტრო-ფიზიკური წარმომავლობის სულიერ სიმდიდრესთან ზიარება-ღირსებაა ვინი-თაობებისათვის. იგი, ქართველი ერის მშობლიური ენის - ლაზარე-ენის - 6000-წლიანი ისტორიის აღდგენას მოჰყვება და, რაც თავისთავად დედამიწაზე ქრისტეს მეორედ სასწაულებრივი მოსვლის მაღლია, ცხადია, განხორციელდა ქართველი მწერლისა და საზ. მოღვაწის, დიდი პატრიოტის, ბ-ნი აკაკი ჯორჯაძისა და ქართველი ერის დიდი დამსახურებით, რომელიც, მიგვაჩნია, „საზეიმო თარიღია“; ქრისტეს მეორედ მოსვლა დედამიწაზე ლაზარე-ენის აღდგენის ეროვნული დღესასწაულია!

ღ ლეილა ხონელიძე

სსიპ ილ.ჭავჭავაძის სახელობის  
ქ. ფოთის მე-5 საჯარო სკოლის ქართული ენისა და  
ლიტერატურის მენტორი მასწავლებელი

## ნოტიო ლოლუა - განმანათლებელი, რომელიც ქალებს დამოუკიდებლად ცხოვრებას ასწავლიდა

იმ ქალბატონზე, რომელზეც ახლა უნდა გაიმბოთ, გამოგიტყდებით, და თავადაც ბევრი არაფერი ვიცოდი.. ისე მოხდა, რომ ბედმა უცნაურად დაგვაკავშირა, თუ ამას „დაკავშირება“ შეიძლება ვუწოდოთ...



რამდენიმე წლის წინ ჩემს მშობლიურ ქალაქ ფოთში ქალთა დღისათვის მიძღვნილ მორიგ შეკრებაზე, რომელსაც ფოთელი ქალბატონები ესწრებოდნენ, ახალი და საინტერესო წამოწყების შესახებ ისაუბრეს - ნოტიო ლოლუას სახელობის მედალიონის დაარსების შესახებ გვაუწყეს.. მერე ისე მოხდა, რომ ამ მედალიონის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ბედნიერი მფლობელიც მე აღმოვჩნდი.

იმ სადამოს ვნახე პირველად ამ პატივცემული ქალბატონის ფოტოც, რომელიც სადღესასწაულო აქსესუარს ამშვენებდა 21 ფოთელი კონკურსანტის ფოტოსთან ერთად და სახელობით მედალზეც იყო გამოსახული...

\*\*\*

სიხარულის, მოულოდნელობისა და ბევრი სხვა ემოციის შემდეგ ჩემმა მეხსიერებამ მორეულ წარსულში ჩემს უბის წიგნაკში ჩაწერილი ერთი ამბავიც გაიხსენა ნოტიოლოლუასა და ყველა ფოთელისათვის კარგად ცნობილი მისი ძმის - ლოტბარ ძუკუ ლოლუას შესახებ: მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ძუკუ ლოლუა ჯგუფურ ჩხუბში გარეულა თურმე. სამწუხაროდ, ჩხუბი მკვლევლობით დამთავრებულა. ძუკუ დაუპატიმრებიათ და რვა წელიც მიუსჯიათ.



ძუკუს დას, ნოტიო ლოლუას, ძმის საპატიმრო ვადის ნახევარი თავის თავზე აულია და დამას 4 წელი ერთად გაუტარებია გვერდიგვერდ საკანში, ისე რომ, ძმას ამის შესახებ არაფერი სცოდნია...

თავის დროზე ამ ამბავში დის ერთგულებამ და უპირობო თავგანწირვამ მომხიბლა, ისიც წაკითხული მქონდა, რომ ბევრი ამბობდა, „რომ არა ნოტიო, ძუკუ არაფერი იქნებოდა, ნოტიომ მთელი თავისი ცხოვრება ძმას შესწირა ფაქტობრივად“. წლებისშემდეგ კი ბევრი ისეთი რამ გავიგე ნოტიოს შესახებ, რომ გულწრფელად მგონია - ბევრმა, ძალიან ბევრმა უნდა გაიგოს, ვინ იყო იგი.. ფაქტებს, მშრალად და ქრონოლოგიური სიზუსტით მოთხრობილთ, ნებისმიერი მსურველი მოიძიებს, თუკი დაინტერესდება, ინტერნეტსივრცის ვრცელ და უკიდევანო სამყაროში, თუმცა ვერც ამ ფაქტების გარეშე შევძლებთ ნოტიოს დამსახურების გაცნობას ხალხისათვის.

მაინცრით იყო მნიშვნელოვანი ნატო, იგივე ნოტიო, ლოლუას ღვაწლი ფოთელთათვის და არამხოლოდ ფოთელთათვის? უპირველეს ყოვლისა, იმ საქმიანობისათვის, რომლისთვისაც მას „განმანათლებელი“ უწოდეს..

როგორი ტიტულია? - „განმანათლებელი, რომელიც ქალებს დამოუკიდებლად ცხოვრებას ასწავლიდა“ და როდის? მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული.. მაშინ, როცა განათლება და დამოუკიდებლობა დღესაც ბევრი ქალისათვის რჩება სასურველ-საოცნებოდ..



ნოტიო ლოლუა (საოჯახო ალბომიდან)



ამონაწერი ნოტიოს ბიოგრაფიული ცნობებიდან: „1989 წელს დაამთავრა ბათუმის კერძო სასწავლებელი, დაბრუნდა ფოთში და კერძო სამკერვალო დააარსა, თავის გარშემო ათამდე ქალი შემოიკრიბა და შექმნა ერთგვარი ამხანაგური კოლექტივი...“

1895 წლიდან თავისი სახელოსნო გარდაქმნა კერძო პროფესიულ ექვსთვიან კურსებად, რისთვისაც მას შესაფერისი დიპლომი მოსთხოვეს, მეგობრების დახმარებითა და თავის სახელოსნოში შეგროვილი მცირე თანხით იგი გაემგზავრა თბილისში, სადაც ექვსი თვის მეცადინეობის შემდეგ მიიღო დიპლომი და ფოთში დაბრუნდა.

სკოლას მიენიჭა „ნოტიო ლოლუას პროფესიული კერძო სასწავლებლის“ სახელწოდება. 1907 წლიდან აქ ისწავლებოდა „ჭრა-კერვა, ხატვა-ხაზვა, ქსოვა, გამოჩენილ მხატვართა, ხუროთმოძღვართა და მოქანდაკეთა ნაწარმოებების ოქრომკედით ამოქარგვა და ამოქსოვა, აგრეთვე, ქართული ენა და ლიტერატურა, არითმეტიკა, სამოქალაქო ისტორია, რუსული ენა და ლიტერატურა, გალობა, სიმღერა და საღვთო ისტორია...“

ეს მშრალი ფაქტებია ოდენ... ადვილი წარმოსადგენია, რა შრომაა ამ ფაქტების მიღმა... სასწავლებლის არსებობის მანძილზე გამოშვებული ხუთასი კურსდამთავრებული, რომელთაც პროფესიული განათლება ჰქონდათ მიღებული... არსებული ფასიანი სკოლების ფონზე დარიბი ოჯახების შვილებისთვის უფასოდ სწავლება..ბრძოლა ქალთა უფლებებისათვის, საზოგადოებაში მათი როლის გაზრდისათვის.. პრესაში ატეხილი დისკუსიებისათვის პასუხის გაცემა.. საქარგი და საქსოვი დაზგების შექმნა (ადგილობრივი მონაზვნისაგან უსესხებია ამის თანხა), ჯერ სკოლის გახსნა, მერე ექვსთვიან კურსებად გადაკეთება, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად სკოლა-პანსიონის დაკარგვა (საბჭოთა მთავრობამ ის საფაბრიკო სკოლად გადააკეთა), ბრძოლა უამრავ წინაღობასთან, მასა და მის სკოლა-პანსიონს რომ უქმნიდნენ, ისე, როგორც ყველა კარგ საქმესა და წამოწყებას ჩვენში...



### ნოტიო ლოლუა და მისი კოლეგები და მოწაფეები

ჩემთვის ნოტიო ლოლუა უპირველესად ის მამაცი ქალბატონია, რომელმაც მაშინ, როდესაც სამეგრელოში სწავლა მხოლოდ რუსულ ან მეგრულ(!) ენებზე იყო

დაშვებული, თავის სკოლაში მხოლოდ ქართულად დაუშვა ყველა საგნის სწავლება.

დიდი საქმე იყო ეს ნამდვილად! და კიდევ ერთი რამ, რაც გამორჩეულად მომწონს ნოტიოს საქმიანობაში - ქალები, რომლებიც ნოტიოს სკოლა-პანსიონში სწავლობდნენ, სწავლის დასრულების შემდეგ მიდიოდნენ თავიანთ სოფლებში და იქაც ხსნიდნენ ასეთივე სკოლებს იმ განათლების საფუძველზე, რომელსაც ნოტიოს სკოლაში იღებდნენ. დიახ, ნოტიო ლოლუა სწორედ ის განმანათლებელი იყო, რომელმაც საკუთარი წამოწყებით თემის განვითარებაშიც უდიდესი წვლილი შეიტანა (სხვათა შორის, ნოტიო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილების წევრიც ყოფილა).



### ნოტიო და მისი მოსწავლეები

აი, სწორედ ამიტომ მგონია, რომ ბევრმა უნდა იცოდეს ამ ამაგდარი ქალბატონის შესახებ, დროს რომ უსწრებდა, შრომისა და დამოუკიდებლობის ფასი იცოდა, უმეცრების სიბნელის გასაფანტავად ყველაფერს აკეთებდა...უნდა ვიცოდეთ, უნდა გვახსოვდეს, უნდა ვზამავდეთ, პატივს უნდა ვცემდეთ და გვახსოვდეს, რომ „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის!“

## ნაშრომის გაფორმებისა და წარდგენის წესი

სტატიის მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 14 გვერდისა, სტატიას თან უნდა დაერთოს: გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, რეზიუმეები ქართულ და ინგლისურ ან რუსულ ენებზე (არანაკლებ 100-150 სიტყვა) და საკვანძო სიტყვები.

### ტექნიკური პარამეტრები:

1. გვერდის ფორმატი: – A4
2. გვერდის ველი: – 2 სმ
3. შრიფტი: ქართული – sylfean, ზომა – 12,  
რუსული – Times New Roman, ზომა 12  
ინგლისური – Times New Roman, ზომა 12
4. ინტერვალი – 1 (Single)
5. აბზაცი – 1 სმ

### ტექსტის სტრუქტურა:

- ავტორის სახელი, გვარი
  - რეცენზენტის სახელი, გვარი (დოქტორანტის შემთხვევაში)
  - ნაშრომის სათაური
  - რეზიუმე ქართულ და ინგლისურ (ან რუსულ) ენებზე
  - საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ (ან რუსულ) ენებზე
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა